განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ქართული ლიტერატურა 7

მასწავლებლის წიგნი

პირველი ნაწილი



მაია ჯალიაშვილი, თინათინ ცერაძე,
ფატი ფირუაშვილი, მაკა სახურია

ქართული ლიტერატურა 7

მასწავლებლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ქართული ლიტერატურა
VII კლასი, I ნაწილი
მასწავლებლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორები: მაია ჯალიაშვილი ფატი ფირუაშვილი
თანაავტორი: მაკა სახურია
ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი: თინათინ ცერაძე

სამეცნიერო რეცენზენტები: გია მურღულია, გიორგი გოგოლაშვილი
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: თეონა ლოდია
რედაქტორი: ცისანა ბურჯანაძე
დამკაბადონებელი: გურამ ჩხაიძე
ყდის დიზაინერი: ნინო ხვინგია

VII კლასის ქართული ლიტერატურის მასწავლებლის წიგნი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის ქართული ლიტერატურის სტანდარტის შესაბამისად და წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს, რომლის მიზანია მოსწავლის წიგნის დანერგვის ხელშეწყობა.

მასწავლებლის წიგნი კვალდაკვალ მიჰყვება მოსწავლის წიგნს და პედაგოგებს სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებს. ესენია, კერძოდ: ნაწარმოებების მიმოხილვა, წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები, კონკრეტულ დავალებებსა თუ შეკითხვებთან დაკავ-შირებული კომენტარები, ალტერნატიული/დამატებითი დავალებები თუ აქტივობები, გა-ნმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რეკომენდაციები ცალკეული დავალებებისა თუ აქტივობების წარმართვასთან დაკავშირებით, ასევე რეკომენდაციები დიფერენცირებული სწავლებისთვის,

მასწავლებლის წიგნში შესული მასალა წარმოდგენილია თავებისა და პარაგრაფების მიხედვით, რაც აადვილებს მათ დაკავშირებას საგაკვეთილო მიზნებსა და ამოცანებთან. გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ტიპის აქტივობას, კომენტარსა თუ შეფასების რუბრიკას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი I და II ნაწილები;
მასწავლებლის წიგნი I და II ნაწილები.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ძვირფასო მასწავლებლებო!

ეს წიგნი წარმოადგენს პრაქტიკულ პროფესიულ გზამკვლევს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს VII კლასის ქართული ლიტერატურის მოსწავლის წიგნის დანერგვას და საიმედო დამხმარე იყოს თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა თუ წარმართვაში. იგი კვალდაკვალ მიჰყვება მოსწავლის წიგნს, რომელიც აგებულია თემატური პრინციპის საფუძველზე და შვიდ თავს მოიცავს. პირველი სემესტრისთვის განკუთვნილი მასალა სამ თავს აერთიანებს, მეორე სემესტრის მასალა - ოთხ თავს.

მოსწავლის წიგნი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის ქართული ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს, როგორებიცაა:

მოსწავლის განვითარება - აქცენტი კეთდება არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის ემოციურ, სოციალურ და ეთიკურ განვითარებაზე (პიროვნული და ჰოლისტური განვითარება).

მოსწავლე საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში - სწავლება ეფუძნება წინარე ცოდნას, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც განაპირობებს მის აქტიურ ჩართულობას ახალი ცოდნის აგების პროცესში. ამის უზრუნველსაყოფად მოსწავლის წიგნში შეთავაზებულია დავალებათა არჩევითობის პრინციპი, რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული სწავლების დანერგვას.

უნარები - წიგნი ხელს უწყობს ფუნქციური და ცხოვრებისეული კომპეტენციების, ასევე შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეები აკავშირებენ წაკითხულს პირად გამოცდილებასთან, რეალურ ცხოვრებასთან; სწავლობენ საკუთარი პოზიციის მკაფიოდ ჩამოყალიბებას, წაკითხულზე დაყრდნობით არგუმენტების მოძიებასა და პრობლემური საკითხების ღრმა ანალიზს. წიგნი მოსწავლეებს ასევე სთავაზობს შესაძლებლობას, წარმოსახვისა და შემოქმედებითი აზროვნების გამოყენებით მოიფიქრონ ახალი იდეები, გამოხატონ სათქმელი არასტანდარტული ფორმებით.

საგნის შესწავლა მრავალმხრივი პერსპექტივიდან - ლიტერატურული ტექსტები მუშავდება მრავალფეროვანი რუბრიკების მეშვეობით, სხვა საგნებთან (ქართული ენა, სახვითი ხელოვნება, მუსიკა, ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ციფრული ტექნოლოგიები, სამოქალაქო განათლება) კავშირის წარმოჩენით. ამგვარი მულტიდისციპლინური „ხიდები“ ეხმარება მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ნასწავლის სხვადასხვა პერსპექტივიდან გააზრებაში.

მოსწავლის წიგნის დანერგვის ხელშესაწყობად მასწავლებლის წიგნი გთავაზობთ: თემატურ ერთეულებში წარმოდგენილი ნაწარმოებების მიმოხილვას; რეკომენდაციებს დავალებებისა თუ აქტივობების განსახორციელებლად; პასუხებს მოსწავლის წიგნში წარმოდგენილ შეკითხვებზე (საორიენტაციო ხასიათის); იდეებს დამატებითი აქტივობებისთვის, ალტერნატიული დავალებებისა და დიფერენცირებული სწავლებისთვის; სარეკომენდაციო დამხმარე რესურსებს მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის; განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკებს - საგნობრივ სტანდარტთან კავშირის წარმოჩენით.

იმედი გვაქვს, რომ მასწავლებლის წიგნი საიმედო მეგზური გახდება თქვენთვის: გაგიმარტივებთ საგაკვეთილო პროცესის წარმართვას და შეგმატებთ ახალ იდეებს, რათა საკლასო ოთახი გადაიქცეს წაკითხულზე არგუმენტირებული მსჯელობის, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თავისუფალი დიალოგის, კრიტიკული და შემოქმედებითი

აზროვნების სივრცედ. ვფიქრობთ, ამ გზით შევძლებთ ჩვენი საერთო მიზნის მიღწევას - გავუღვივოთ მოსწავლეებს ქართული ლიტერატურისა და, ზოგადად, მხატვრული სიტყვის სიყვარული, რათა ჩვენი მომავალი თაობა იყოს ღირსეული მემკვიდრე იმ დიდი სულიერი და კულტურული საგანძურისა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ჰქვია.

წარმატებას გისურვებთ თქვენ და თქვენს მოსწავლეებს!

შინაარსი

§ 1. საბაზო საფეხურის ქართული ლიტერატურის სტანდარტი 7
§ 2. მოსწავლის წიგნის შესახებ (მიმოხილვა)
2.1. მოსწავლის წიგნის სტრუქტურა 12
2.2. მოსწავლის წიგნის შინაარსი და მეთოდიკა 16
§ 3. მოსწავლეთა შეფასება 17
§ 4. მასწავლებლის წიგნის მიზანი და სტრუქტურა 18
§ 5. თავი I. სამშობლო უპირველეს ყოვლისა
1. ნიკო ლორთქიფანიძე - ლიტერატურული საღამო (ფრაგმენტი) 21
ნაწარმოების შესახებ 22
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 25
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 51
2. გალაკტიონ ტაბიძე - გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! 51
ნაწარმოების შესახებ 52
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 53
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 76
3. ლადო ასათიანი - საქართველოში 76
ნაწარმოების შესახებ 77
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 79
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 95
4. ილია ჭავჭავაძე - ბაზალეთის ტბა 95
ნაწარმოების შესახებ 97
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 100
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 116
5. აკაკი წერეთელი - ხატის წინ 116
ნაწარმოების შესახებ 117
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 120
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 145
6. ანა კალანდაძე - საქართველოო ლამაზო 146
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 147
§ 6. დიფერენცირებული დავალებების შეფასების რუბრიკები 154
§ 7. თავი II. ცოდნის გზაზე
1. დავით გურამიშვილი - სწავლა მოსწავლეთა 167
ნაწარმოების შესახებ 168
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 170
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 186
2. ილია ჭავჭავაძე - სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე 187
ნაწარმოების შესახებ 188
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 189
5.სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 205
3. დავით კლდიაშვილი - ჩემი ცხოვრების გზაზე (ფრაგმენტი) 206
ნაწარმოების შესახებ 207
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 209

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 218
4. მიხეილ ჯავახიშვილი - ათი მცნება 218
ნაწარმოების შესახებ 219
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 220
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 230
5. გურამ დოჩანაშვილი - პირველი კონცერტი 231
ნაწარმოების შესახებ 232
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 234
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 270
§ 8. თავი III. ადამიანის არჩევანი
1. სულხან-საბა ორბელიანი - იხვი და მყვარი 271
ნაწარმოების შესახებ 272
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 274
2. სულხან-საბა ორბელიანი - უგუნური მცურავი 282
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 283
3. სულხან-საბა ორბელიანი - მეფე და მხატვარი 294
ნაწარმოების შესახებ 296
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 297
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 307
4. აკაკი წერეთელი - ღამურა 307
ნაწარმოების შესახებ 309
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 310
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 323
5. ჭაბუა ამირეჯიბი - დათა თუთაშხია (ფრაგმენტი)..... 323
ნაწარმოების შესახებ 325
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 327
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 339
6. გოდერძი ჩოხელი - ცასწავალა 339
ნაწარმოების შესახებ 342
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 343
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 363
7. რიჩარდ ბახი - თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი 363
ნაწარმოების შესახებ..... 366
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები..... 368
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 382
8. თავგაუტეხელი კაცი (ქართული ხალხური ზღაპარი) 382
ნაწარმოების შესახებ 383
დავალებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და შეფასების სქემები 384
სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები 398
9. შემოქმედებითი დავალებების შეფასების სქემები..... 399

§ 1. საბაზო საფეხურის ქართული ლიტერატურის სტანდარტი

მუხლი 22[1]. სახელმწიფო ენები

1.ქართული ენა და ლიტერატურა

ა) სწავლა-სწავლების მიზნები:

- ეროვნული და კულტურული იდენტობის ფორმირება;
- ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობის, მიმართ ინტერესის გაღვივება, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება; პატრიოტი მოქალაქის აღზრდა;
- ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილის, შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბება;
- ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის, როგორც ცვლილებებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესის, გააზრება კულტურათშორისი დიალოგის საფუძველზე;
- საკუთარი მსოფლმხედველობის შემუშავება ლიტერატურასთან ზიარების გზით; ჰუმანისტური და დემოკრატიული ფასეულობების მქონე პიროვნების ფორმირება;
- ქართული ენის, როგორც აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების, მნიშვნელობის გაცნობიერება;
- თანამედროვე მრავალფეროვან ენობრივ გარემოში ორიენტირების ხელშეწყობა; საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ქართული ენის გამოყენების მიმართ გააზრებული, პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულების ფორმირება;
- ლიტერატურის, როგორც თვითშემეცნებისა და სამყაროს შეცნობის საშუალების, მნიშვნელობის გაცნობიერება;
- წარმოსახვის უნარის, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება;
- ლიტერატურასთან მუდმივად ზიარების მოთხოვნილების ჩამოყალიბება ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად, თვალსაწიერის გასაფართოებლად, ინფორმაციის მოსაპოვებლად, გამოცდილების გასამდიდრებლად;
- მედიაწიგნიერი, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების აღზრდა.

1.1. ქართული ლიტერატურის სტანდარტი საბაზო საფეხურზე

ა) სწავლის შედეგები

საგნის - „ქართული ლიტერატურა“ - ფარგლებში საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის სამიზნე ცნებების - „ტექსტი“, „კონტექსტი”. „ტექსტების დიალოგი“ - ურთიერთდაკავშირებულად გააზრება.

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი** - მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა** - მოსწავლეს აცნობიერებს, რომ
(1) ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად;	· კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; · ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით; · სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; · ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით; · ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.	სამიზნე ცნება **ტექსტი** ჟანრების მიხედვით ტექსტებში გამოიყოფა ორი უმთავრესი ჯგუფი - მხატვრული და არამხატვრული. თითოეული ჯგუფი სხვადასხვა მხატვრულ თუ არამხატვრულ ჟანრს აერთიანებს. მხატვრული ტექსტები შექმნილია ავტორის ფანტაზიით. ისინი წარმოგვიჩენს წარმოსახვით სამყაროს, რომელიც გარკვეულწილად უკავშირდება და ასახავს რეალურად არსებულს, გვიზიარებს ავტორისეულ გამოცდილებას, შეხედულებებს, წარმოდგენებს, შთაბეჭდილებებსა თუ იდეებს. არამხატვრული ტექსტები რეალობას ასახავს და გვაწვდის ინფორმაციას რეალური ადამიანების, რეალური სამყაროს შესახებ. ისინი ეფუძნება ფაქტებს, წარმოგვიჩენს ავტორის გამოცდილების საფუძველზე ან კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, გვთავაზობს ავტორის მოსაზრებებს რეალურ სამყაროსთან დაკავშირებულ თემებსა თუ პრობლემებზე. ყველა ტექსტს - მხატვრულსა თუ არამხატვრულს - აქვს სამი მხარე: შინაარსობრივი, სტრუქტურული და ენობრივი, რომლებიც განუყოფლადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ტექსტების სამი მხარის ცოდნა დაგვეხმარება სხვადასხვა მხატვრული თუ არამხატვრული ჟანრის ტექსტების გაანალიზებასა და შეფასებაში, თხზულებებში წარმოჩენილი იდეების, თემატიკის, ძირითადი საკითხების ინტერპრეტირებაში. ამ ელემენტების ცოდნის საფუძველზე უკეთ შევძლებთ სხვადასხვა ჟანრის ტექსტების გაანალიზებასა და შეფასებას, მხატვრული თუ არამხატვრული ჟანრის ტექსტების (მაგ.: მოთხრობის, ჩანახატის, ესეს) შედგენას. მხატვრული ტექსტი - მაგ.: მოთხრობა, ნოველა, მინიატურა, ჩანახატი, იგავ-არაკი, მითი, ზღაპარი, თქმულება, ლეგენდა, ლექსი, პოემა და სხვ. არამხატვრული ტექსტი - მაგ.: საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი; სხვადასხვა სახის ესე; ინტერვიუ, რეპორტაჟი, პუბლიცისტური წერილი/საგაზეთო სტატია; მემუარული პროზა; ბიოგრაფიული/ავტობიოგრაფიული ტექსტი; პირადი/არაფორმალური წერილი; საჯარო გამოსვლა და სხვ. სხვადასხვა ჟანრის ტექსტების: შინაარსი თემა, ქვეთემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი (რეალური, წარმოსახვით-ფანტასტიკური); ლირიკული გმირი, პერსონაჟი (მაგ.: მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება); მონოლოგი, დიალოგი, პოლილოგი და მათი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ავტორისეული დახასიათება; ავტორისეული პლანი; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (მაგ.: ავტორის, პერსონაჟის); ლირიკული გადახვევა; სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; ეპიზოდი; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი, გარეგანი); ტონი, განწყობილება. სტრუქტურა-აგებულება მაგ.: სათაური, ქვესათაური, პროლოგი, ეპილოგი, თავი, ქვეთავი, აბზაცი; რითმა (რითმა ადგილმდებარეობის მიხედვით; რითმა ბგერითი შედგენილობის მიხედვით); რიტმი/საზომი, სტროფი, ტაეპი. არავერბალური სტრუქტურული ელემენტები (მაგ.: განსხვავებული ფერის/ზომის შრიფტი, გრაფიკი, ილუსტრაცია, ლოგო, სქემა). ენა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, გაპიროვნება, ჰიპერბოლა, ალიტერაცია, ალეგორია, სიმბოლო, ირონია); *რიტორიკული ხერხები* (მაგ.: რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, გამეორება, ანალოგია, რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები: სანდოობა, ლოგიკა, ემოცია); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/ თავისებურებები. ტექსტების სახეობები - აღწერითი, თხრობითი და მსჯელობითი.
(2) შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნის გამოყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად;	· ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; · ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის არსებული მიმართებების ახსნა; · კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/ წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; · საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; · ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; · პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება; · შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას.	
(3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად;	· ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; · მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა; · იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას; · ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა; · ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება; · მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	

(4) მსჯელობა ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/ მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად;	· ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; · ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით; · ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში/კულტურულ არეალში შექმნილ ტექსტებში მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით; · იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.	სამიზნე ცნება კონტექსტი ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც იგი შეიქმნა და ამა თუ იმ კუთხით უკავშირდება ნაწარმოებს, ზეგავლენას ახდენს მასზე. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული თუ სულიერი გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინება ტექსტზე მსჯელობისას ან/და ტექსტის შედგენისას დაგვეხმარება იმაში, რომ გავიაზროთ ნაწარმოები როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის ჭრილში, აღმოვაჩინოთ მსგავსება-განსხვავება კულტურათა შორის, მსგავსი ან განსხვავებული პერსპექტივები; გავიაზროთ, თუ რითაა ტექსტი მნიშვნელოვანი და აქტუალური თანამედროვეობისათვის. <u>კონტექსტური ფაქტორები</u> <u>ისტორიული და სოციალურ-კულტურული</u> - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა). ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი გამოცდილება.
(5) ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტის ღირებულების გასაცნობიერებლად; მასში წარმოჩენილი თემის/პრობლემის/საკითხის, ფასეულობების შესახებ მსჯელობისას საკუთარი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების წარმოსაჩენად, თვითშემეცნებისა და სამყაროს შემეცნების გზების საძიებლად.	· სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; · ტექსტების შედარება მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; იმის ახსნა, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; · ინტერტექსტობრივი მიმართებების (მაგ.: ალუზიის, ციტატის) ამოცნობა/წვდომა; იმის ახსნა, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს (მაგ.: თემის, მთავარი იდეის, პერსონაჟის სახის წარმოჩენის კუთხით).	სამიზნე ცნება ტექსტების დიალოგი ტექსტებს შესაძლებელია ჰქონდეთ სხვადასხვა სახის მსგავსი ელემენტი: მთავარი იდეა/ დედააზრი, თემა, მოტივი, სიუჟეტი, სახე-სიმბოლო; პერსონაჟთა ტიპები, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი მსგავსი სახასიათო ნიშან-თვისებები (მაგ.: პერსონაჟი - შემოქმედი/ გმირი/მედროვე/მეამბოხე). ზოგჯერ ტექსტში ნათლად იკვეთება მეორე ტექსტის უშუალო ზეგავლენა - პირდაპირი ციტატის ან მინიშნების (ალუზიის) სახით. ტექსტებს შორის მიმართებების, მსგავსი/უნივერსალური ელემენტების ცოდნა დაგვეხმარება, რომ მრავალმხრივად, სხვადასხვა პერსპექტივიდან გავიაზროთ წაკითხული; უკეთ წარმოვიდგინოთ, რითაა მნიშვნელოვანი ან/და გამორჩეული ესა თუ ის ტექსტი; რა ადგილი უჭირავს მას ქართულ ლიტერატურაში. თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მოტივი, სახე-სიმბოლო, მოარული სიუჟეტი; ალუზია, ციტატა.

ბ) თემატური ბლოკები

I. საბაზო საფეხურის VII-VIII კლასებში საკითხავი მასალა წარმოდგენილია სამი სავალდებულო თემატური ბლოკის შესაბამისი სასწავლო თემების სახით. აღნიშნული კლასებისთვის გამიზნული თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგადშინაარსობრივ კონტექსტებს და საფუძველს ქმნის სტანდარტის შედეგების მიღწევისთვის. თითოეულ თემატურ ბლოკში გაერთიანებულია შესაბამისი სასწავლო თემები, რომლებიც განსაზღვრულია ლიტერატურის უნივერსალური თემების/მოტივების გათვალისწინებით.

VII-VIII კლასები	
თემატური ბლოკი	**საორიენტაციო სასწავლო თემები**
I. ადამიანი და მისი ცხოვრება	ადამიანის ცხოვრების გზა (მაგ.: ადამიანის ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა, ურთიერთობა სხვა ადამიანთან), ადამიანის შინაგანი სამყარო (მაგ.: ემოციები, გრძნობები, განცდები, ოცნებები; წარმოსახვა-ფანტაზია); საზოგადოებაში თანაცხოვრება (მაგ.: ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, საზოგადოების ზეგავლენა ადამიანზე, ადამიანის ზეგავლენა საზოგადოებაზე) და მისთ.
II. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება	• მშობლიური სამყარო (მაგ.: მშობლიური ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი; ენა, კულტურა, ტრადიციები; პატრიოტიზმი; მშობლიური ქვეყნის მრავალფეროვნება); • ბუნებასთან ურთიერთობა (მაგ.: ბუნების მშვენიერება, ჰარმონიულობა; წონასწორობა/ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის, კონფლიქტი ბუნებასთან და მისი შედეგები; ზრუნვა ბუნებაზე/გარემოზე თანამედროვე ეპოქაში) და მისთ. • ახალი სამყაროს აღმოჩენა-შემეცნება (მაგ.: სწავლა-აღზრდა, ახლის/სიახლის აღმოჩენის გზები, ახლის ნახვით/აღმოჩენით მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ურთიერთმიმართება ახალსა და ნაცნობს/ჩვეულს შორის) და მისთ.
III. მარადიული ძიებები/ ფასეულობები	• სიკეთე და ბოროტება (მაგ.: სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, ადამიანის არჩევანი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში) და მისთ.; • ცხოვრების აზრისი (მაგ.: ადამიანის არსებობის მიზანი, ადამიანის პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება) და მისთ.

საკითხავი ლიტერატურა

საკითხავი მასალის ფარგლებში ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები - ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებები, რომლებიც წარმოადგენს საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემატური ბლოკების/თემების შესწავლის დროს.

<u>სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი VII-VIII კლასებისთვის</u>

ხალხური - „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“;

ლეონტი მროველი - „წმ. ნინოს ცხოვრება“: მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება;

დავით გურამიშვილი - „სწავლა მოსწავლეთა“;

სულხან-საბა ორბელიანი - „სიბრძნე-სიცრუისა“: იგავები, შერჩეული სავალდებულო თემატური ბლოკების ფარგლებში განსაზღვრული სასწავლო თემების გათვალისწინებით;

გრიგოლ ორბელიანი - „სადღეგრძელო“: ფრაგმენტები;

ნიკოლოზ ბარათაშვილი - „სული ობოლი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“;

ილია ჭავჭავაძე - „ბაზალეთის ტბა“, „პოეტი“, „ქართვლის დედას“, „სარჩობელაზედ“, „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“;

აკაკი წერეთელი - „განთიადი“, „პოეტი“, „ხატის წინ“, „ღამურა“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“;

ვაჟა-ფშაველა - „ჩემი ვედრება“, „კაი ყმა“, „ხმელი წიფელი“;

მიხა ხელაშვილი - „ლექსო, ამოგთქომ“;

მიხეილ ჯავახიშვილი - „ეშმაკის ქვა“;

გალაკტიონ ტაბიძე - „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“, „ქარი ჰქრის“, „გაგონდება თუ არა“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „მამული“, „ჰე, მამულო“, „მე და ღამე“;

ლადო ასათიანი - „საქართველოში“, „სალაღობო“, „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“;

გიორგი ლეონიძე - „ნატვრის ხე“: „მარიტა“;

ნოდარ დუმბაძე - „Hellados”;

კოლაუ ნადირაძე - „25 თებერვალი, 1921 წელი“;

რევაზ ინანიშვილი - „ლამაზი ცრემლები“;

მურმან ლებანიძე - „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, „უფლისციხესთან“;

ანა კალანდაძე - „საქართველოო ლამაზო“, „შენ ისე ღრმა ხარ“;

ოთარ ჭილაძე - „როდესაც ასე ახლოა გრემი“;

მუხრან მაჭავარიანი - „შენ - სისხლო ჩემო...“, „ტა, ტა, ტა, ტა!...“;

ჭაბუა ამირეჯიბი - „დათა თუთაშხია“: მოსე ზამთარაძის ნაამბობი.

შენიშვნა: მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით რიგი ნაწარმოებებისა შესაძლებელია მიწოდებული იყოს როგორც ფრაგმენტების, ისე ადაპტირებული ვერსიების სახით.

II. საბაზო საფეხურის IX კლასში მოსწავლეებს საკითხავი მასალა მიეწოდებათ ქრონოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით. კერძოდ, აღნიშნულ კლასში შეთავაზებულია სავალდებულო თემატური ბლოკი: V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა.

საკითხავი ლიტერატურა

საკითხავი მასალის ფარგლებში ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები - ქართული

მწერლობის კლასიკოსთა თხზულებები, რომლებიც წარმოადგენს საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემატური ბლოკების/თემების შესწავლის დროს.

<u>სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი IX კლასისთვის</u>

იაკობ ხუცესი - „შუშანიკის წამება“;

იოვანე საბანისძე - „აბოს წამება“;

გიორგი მერჩულე - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“;

შოთა რუსთველი - „ვეფხისტყაოსანი“: „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით, „დასასრული“;

სულხან-საბა ორბელიანი - „სიბრძნე-სიცრუისა“: „მემკვიდრის აღზრდა“; იგავები, შერჩეული სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში განსაზღვრული სასწავლო თემის/თემების გათვალისწინებით;

დავით გურამიშვილი -„დავითიანი“.

შენიშვნა: მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით რიგი ნაწარმოებებისა შესაძლებელია მიწოდებული იყოს როგორც ფრაგმენტების, ისე ადაპტირებული ვერსიების სახით.

სწავლა-სწავლების პროცესში, სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად, მოსწავლე შეისწავლის ასევე არასავალდებულო ლიტერატურას - მხატვრულ ტექსტებს, რომლებიც შეესაბამება მის ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი სამიზნე ცნებების გაცნობიერებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების/თემების წვდომა-გააზრებაში.

სასწავლო თემების ფარგლებში შესასწავლი ნაწარმოებები შეირჩევა ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით, ესენია: ა) მხატვრულ-ესთეტიკური მხარე (ნაწარმოები გამოირჩევა მაღალმხატვრული ენითა და სტილით); ბ) აღმზრდელობითი მხარე (ნაწარმოები აზიარებს მოსწავლეს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს/ფასეულობებს, უნივერსალურ გამოცდილებას; შეესაბამება მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და საჭიროებებს); გ) ეპოქის კონტექსტი (ნაწარმოები საუკეთესოდ წარმოგვიდგენს ეპოქისთვის დამახასიათებელ იდეებს, თავისებურებებს/სპეციფიკას; გამოწვევებს/წინააღმდეგობებს, წარმოდგენებს; ესთეტიკურ იდეალებს/შეხედულებებს, მორალურ-ეთიკურ ორიენტირებს, მწერლის მსოფლმხედველობას); დ) კულტურული კონტექსტი (თხზულება მნიშვნელოვანია ქართული კულტურისთვის/კულტურული არეალისთვის/მსოფლიო კულტურისთვის; მყარი ადგილი აქვს დამკვიდრებული ლიტერატურაში; იყო ან/და არის აქტუალური).

§ 2. მოსწავლის წიგნის შესახებ (მიმოხილვა)
2.1. მოსწავლის წიგნის სტრუქტურა

შესავალი ნაწილი

მოსწავლის წიგნის შესავალი ნაწილი რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს აერთიანებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის სასწავლო პროცესისთვის მომზადებასა და წიგნში ნავიგაციის გამარტივებას, ესენია:

- **სამოტივაციო საინფორმაციო ტექსტი „რატომ ვკითხულობთ მხატვრულ ლიტერატურას“,** რომელიც ემსახურება წინარე მზაობის შექმნას. იგი ეხმარება მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი ფუნქცია, მიზნები და ამოცანები კითხვის პროცესში და სახელმძღვანელო აღიქვას არა როგორც სავალდებულო სასწავლო მასალა, არამედ როგორც აღმოჩენებით აღსავსე ინტელექტუალური და სულიერი მოგზაურობა.
- **საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი „როგორ ვიკითხოთ მხატვრული ლიტერატურა?“,** რომელიც ორიენტირებულია კითხვის სტრატეგიების დაუფლებაზე. მასში წარმოდგენილია კითხვის საბაზისო სტრატეგიები, განაწილებული კითხვის სამი ეტაპის (კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ) მიხედვით.
- **შინაარსი** - სარჩევი, რომელშიც დეტალურადაა წარმოდგენილია პირველი სემესტრისთვის განკუთვნილი მასალა შესაბამისი გვერდების მითითებით.
- **პირობითი ნიშნები** - წიგნში გამოყენებული რუბრიკების ლოგოების ჩამონათვალი (ანბანური პრინციპის დაცვით), რაც მოსწავლეს ეხმარება წიგნის სტრუქტურის აღქმასა და ორიენტირებაში.

ძირითადი ნაწილი

თავები და პარაგრაფები მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი მასალა დაყოფილია თავებად (თემატურ ერთეულებად), თავები კი - ცალკეულ პარაგრაფებად. თითოეულ პარაგრაფში წარმოდგენილია ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოები, შერჩეული თემატური ერთიანობის პრინციპის დაცვით.

პირველი სემესტრისათვის განკუთვნილი მასალა დაყოფილია სამ თავად, რომლებიც სხვადასხვა რაოდენობის პარაგრაფებს აერთიანებს, ესენია:

თავი I. სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!

1. ნიკო ლორთქიფანიძე - ლიტერატურული საღამო (ფრაგმენტი)
2. გალაკტიონ ტაბიძე - გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!
3. ლადო ასათიანი - საქართველოში
4. ილია ჭავჭავაძე - ბაზალეთის ტბა
5. აკაკი წერეთელი - ხატის წინ
6. ანა კალანდაძე - საქართველოო ლამაზო

თავი II. ცოდნის გზაზე

1. დავით გურამიშვილი - სწავლა მოსწავლეთა
2. ილია ჭავჭავაძე - სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე
3. დავით კლდიაშვილი - ჩემი ცხოვრების გზაზე (ფრაგმენტი)
4. მიხეილ ჯავახიშვილი - ათი მცნება
5. გურამ დოჩანაშვილი - პირველი კონცერტი

თავი III. ადამიანის არჩევანი

1. სულხან-საბა ორბელიანი - იხვი და მყვარი
2. სულხან-საბა ორბელიანი - უგუნური მცურავი
3. სულხან-საბა ორბელიანი - მეფე და მხატვარი

4. აკაკი წერეთელი - ღამურა
5. ჭაბუა ამირეჯიბი - დათა თუთაშხია (ფრაგმენტი)
6. გოდერძი ჩოხელი - ცასწავალა
7. თავგაუტეხელი კაცი (ქართული ზღაპარი)

თემატური საკვანძო შეკითხვები თითოეულ თავს (თემატურ ერთეულს) წინ უძღვის თემატური საკვანძო შეკითხვები. ისინი მიემართება, ზოგადად, თემას და არა - ცალკეულ ნაწარმოებს ან ნაწარმოებებს. მათი მიზანია დააფიქროს მოსწავლეები თემის არსობრივ, ზოგადშინაარსობრივ ასპექტებზე.

ამ ტიპის შეკითხვები ააქტიურებს მოსწავლის წინარე ცოდნას; ამზადებს მას იმისათვის, რომ ააგოს ახალი ცოდნა ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით, და ქმნის მყარ ნიადაგს შემდგომი სწავლისათვის. ერთმნიშვნელოვანი პასუხები ამ შეკითხვებზე არ არსებობს - თემატურ ერთეულში წარმოდგენილი ნაწარმოებების გაცნობის შედეგად მიღებული ცოდნა-გამოცდილებისა და წინარე ცოდნა-გამოცდილების ურთიერთდაკავშირების გზით მოსწავლე თავად აღმოაჩენს პასუხებს ამ ფუნდამენტურ შეკითხვებზე, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს სხვათა პასუხებისგან.

თემატური ერთეულის შესწავლისას მასწავლებელს შეუძლია დროდადრო მიაბრუნოს მოსწავლეები ამ შეკითხვებთან, რათა მათ ერთმანეთს დაუკავშირონ თემის ფარგლებში შესწავლილი ნაწარმოებები და ახალ გამოცდილებაზე დაყრდნობით განავითარონ ან გადააფასონ თავიანთი პირველადი მოსაზრებები.

რუბრიკები თითოეული ტექსტი მუშავდება მრავალფეროვანი რუბრიკების მეშვეობით. რუბრიკები, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად აადვილებს წიგნში ნავიგაციას და მასწავლებელს აძლევს მასალის ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად ახსნისა და დამუშავების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის კომპლექსურ განვითარებას - რუბრიკებზე მიზანმიმართული მუშაობა აქტიურად უწყობს ხელს როგორც წაკითხულის გააზრებასა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ისე კრიტიკული, ანალიტიკური, შემოქმედებითი და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების ჩამოყალიბებას.

სულ მოსწავლის წიგნში შეთავაზებულია 16 რუბრიკა. თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკური მიზანი და დანიშნულება აქვს, კერძოდ:

- ✓ **დააკვირდით** - ააქტიურებს ანალიტიკური აზროვნებისა და ტექსტის სიღრმისეული გააზრების უნარებს; ეხმარება მოსწავლეს, გასცდეს შინაარსის ზედაპირული აღქმის ფარგლებს და ჩასწვდეს ტექსტის ენობრივ-მხატვრულ თავისებურებებს, მნიშვნელოვან დეტალებსა და ნიუანსებს, ავტორისეულ ჩანაფიქრს.
- ✓ **დისკუსია\დებატები** - ორიენტირებულია გუნდურ მუშაობაზე, განსხვავებული აზრის მოსმენასა და არგუმენტირებული დიალოგის წარმართვაზე, რაც, თავის მხრივ, აქტიურად ავითარებს მოსწავლის საკომუნიკაციო და სოციალურ უნარებს.
- ✓ **ეს საინტერესოა** - მოსწავლეს აწვდის შემეცნებით და სახალისო ინფორმაციას ავტორთან, თემასა თუ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც აფართოებს მის თვალსაწიერს და ამაღლებს შინაგან მოტივაციას.
- ✓ **იმსჯელეთ** - მოსწავლეს სთავაზობს ღია ხასიათის პრობლემურ შეკითხვებს, რომლებიც მას უბიძგებს საკუთარი პოზიციის გამოხატვის, არგუმენტირებისა და ზნეობრივ-ეთიკური საკითხების გააზრებისკენ.
- ✓ **ლიტერატურული მეგზური** - წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს, რომელშიც

მოწოდებულია კონკრეტულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ახსნილი მოსწავლეთათვის გასაგები, მარტივი ენით.

- ✓ **ლიტერატურული ხიდები** - მოსწავლეებს აწვდის ლიტერატურულ პარალელებს უცხოური მწერლობიდან (ძირითადად, ფრაგმენტების სახით), რაც მათ ეხმარება წაკითხულის მრავალმხრივად, სხვადასხვა კულტურული პერსპექტივიდან გააზრებაში.
- ✓ **მოემზადეთ წასაკითხად** - შეიცავს შესასწავლი ტექსტის გაგება-გააზრებისთვის აუცილებელ წინარე ინფორმაციას (მაგ.: ისტორიულ ან ლიტერატურულ კონტექსტთან დაკავშირებით) და ამზადებს მოსწავლეს ახალი ცოდნის ეფექტიანად კონსტრუირებისთვის.
- ✓ **მოგზაურობა ციფრულ სამყაროში** - იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მედიარესურსებს (მაგ.: ონლაინ რესურსებს, ციფრულ სივრცეებს) სწავლების პროცესში ციფრული წიგნიერების ინტეგრაციისა და მულტიმედიური წიგნიერების განვითარებისთვის. რუბრიკაში ინტეგრირებულია QR-კოდები, რაც უზრუნველყოფს მულტიმედიურ რესურსებზე თავისუფლად წვდომას.
- ✓ **მწერლის ენა და სტილი** - ამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას მწერლის ინდივიდუალურ ხელწერაზე, სტილურ თავისებურებებზე, ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე.
- ✓ **სიტყვების განმარტება** - განმარტავს ტექსტში არსებულ უცნობ, არქაულ თუ დიალექტურ სიტყვებს ნაწარმოების გაგება-გააზრების ხელშეწყობის მიზნით და ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.
- ✓ **სიტყვების კიდობანი** - მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით ინფორმაციასა და სავარჯიშოებს წაკითხულ ტექსტში წარმოდგენილ ესთეტიკურად მიმზიდველ, იშვიათ, ხატოვან სიტყვებთან ან/და ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიური ლექსიკის გამდიდრებასა და მეტყველების განვითარებას.
- ✓ **უპასუხეთ კითხვებს** - აერთიანებს შეკითხვებს, რომლებიც მიემართება ტექსტში მოცემულ ექსპლიციტურ და იმპლიციტურ ინფორმაციას და მოსწავლეს ეხმარება წაკითხულის გაგება-გააზრებაში.
- ✓ **შეადარეთ** - მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, შეპირისპირებითი ანალიზის გზით ერთმანეთს შეადარონ შესწავლილი ნაწარმოებების პერსონაჟები, ეპიზოდები, იდეები თუ ავტორისეული მიდგომები. ეს სტიმულს აძლევს წაკითხულის მრავალმხრივად, სხვადასხვა პერსპექტივიდან გააზრების პროცესს, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლის დამოუკიდებელ მკითხველად ფორმირებასა და ლიტერატურული კომპეტენციის ამაღლებაში.
- ✓ **შემოქმედებითი სახელოსნო** - ავითარებს ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს ისეთი დავალებებისა თუ აქტივობების მეშვეობით, როგორებიცაა: ნაწარმოების ილუსტრირება, მუსიკალური გაფორმება, შემოქმედებითი წერა, თხრობა მთხრობლის შეცვლით (მაგ.: თხრობა პერსონაჟის პოზიციიდან), ნაწარმოების გაგრძელება და მისთ.
- ✓ **შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება** - აერთიანებს სხვადასხვა ფორმატის კომპლექსური ბუნების შემოქმედებით დავალებებს (ზეპირი ან წერილობითი სახისას, ჯგუფურსა და ინდივიდუალურს), რომლებიც ააქტიურებს ყველა საგნობრივ სამიზნე ცნებას და მოითხოვს ნასწავლი მასალის ინტეგრირებასა და შემოქმედებით (ტრანსფერულ) გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში. ამ ტიპის დავალებები შეთავაზებულია ყოველი თავის ბოლოს.
- ✓ **წერითი დავალება** - ავითარებს აზრის წერილობით, სტრუქტურირებულად

ჩამოყალიბების უნარს. მოიცავს მრავალფეროვან ფორმატებს: პირად გამოხმაურებებს ნაწარმოებზე, თხრობით ესეებს პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, არგუმენტირებულ მსჯელობასა და სხვ.

შეთავაზებულ ნაწარმოებთაგან თითქმის ყველას უცვლელად ახლავს სამი რუბრიკა: „სიტყვათა განმარტება“, „უპასუხეთ კითხვებს“ და „დააკვირდით“. მათი თანმიმდევრობა ხშირ შემთხვევაში კოგნიტური სირთულის ზრდას ეფუძნება („სიტყვათა განმარტება“➔„უპასუხეთ კითხვებს“➔„დააკვირდით“), კერძოდ: მოსწავლე ჯერ ტექსტის საბაზისო/ფაქტობრივ დონეს ეუფლება (ლექსიკა და ფაქტები), შემდეგ გადადის მის გააზრებაზე (კითხვებზე პასუხი) და ბოლოს სწვდება მნიშვნელოვან მხატვრულ-სტრუქტურულ დეტალებსა თუ ნიუანსებს, ავტორისეულ მსოფლმხედველობას/მთავარ სათქმელს („დააკვირდით“). რაც შეეხება სახელმძღვანელოს სხვა რუბრიკებს, ისინი გამოიყენება მოქნილად, კონკრეტული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

2.2. მოსწავლის წიგნის შინაარსი და მეთოდიკა

ნაწარმოებთა შერჩევის პრინციპი თითოეულ თემატურ ერთეულში (თავში) წარმოდგენილია სავალდებულო და არასავალდებულო ნაწარმოებები, რომლებიც შერჩეულია ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით, ესენია: ა) მხატვრულ-ესთეტიკური მხარე; ბ) აღმზრდელობითი მხარე; გ) ეპოქის კონტექსტი; დ) კულტურული კონტექსტი (ამ კრიტერიუმების შესახებ უფრო დეტალურად იხ. საბაზო საფეხურის ქართული ლიტერატურის სტანდარტი).

დავალებათა არჩევითობა შეთავაზებულია დავალებების „მენიუ“, რაც იძლევა დიფერენცირების ეფექტურ საშუალებას (ინტერესების, მზაობის, სწავლის სტილისა თუ სხვა ფაქტორების მიხედვით). მოსწავლეს აქვს არჩევანის თავისუფლება, რის გამოც დავალება აღარ აღიქმება, როგორც „თავსმოხვეული“ ვალდებულება. ეს მოსწავლეს უბრალო შემსრულებლიდან გადაწყვეტილების მიმღებ პირად აქცევს, რაც ზრდის მის შინაგან მოტივაციასა და პასუხისმგებლობის გრძნობას. ამდენად, სწავლების პროცესი შეიძლება წარიმართოს იმგვარად, რომ დავალებები მოვარგოთ მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებს.

მულტიდისციპლინური მიდგომა სახელმძღვანელოში ინტეგრირებული სწავლება და საგანთაშორისი კავშირები წარმოდგენილია მრავალფეროვანი დავალებებითა და აქტივობებით. ეს მიდგომა ცვლის სწავლის ტრადიციულ, იზოლირებულ ფორმატს და ქმნის განვითარებაზე ორიენტირებულ პერსპექტივას. ლიტერატურა არ არის წარმოდგენილი იზოლირებულ საგნად; წაკითხული მასალა დაკავშირებულია სამოქალაქო განათლებასთან, ხელოვნებასთან, მუსიკასთან, ისტორიასა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან, რაც მოსწავლეს წაკითხულის სხვადასხვა მხრიდან გაგება-გააზრების შესაძლებლობას აძლევს. შედეგად, მოსწავლე გააცნობიერებს, რომ სასკოლო საგნები ერთმანეთისგან მოწყვეტილი სფეროები არ არის - ისინი ერთიანი კულტურული და შემეცნებითი სივრცის ნაწილებია.

მკაფიოდ სტრუქტურირებული დავალებები წერით დავალებებს აქვს მკაფიო სტრუქტურა და ახლავს კონკრეტული მითითებები (საყრდენები), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა წერითი უნარების განვითარებას. უმეტეს შემთხვევებში ესეს ტიპის წერითი დავალებების პირობაში ინტეგრირებულია შემდეგი მითითება: „სათქმელი შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ

შემდეგნაირად“. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლეს ესეს ტრადიციულ სამნაწილიანი სტრუქტურის დაცვისას ინფორმაცია შეუძლია სხვაგვარადაც ჩამოაყალიბოს.

მოსწავლის წიგნი სრულად შეესაბამება კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (აქტიური სწავლა, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირება, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, ცოდნის სამი კატეგორია, სწავლის სწავლა).

კავშირი საგნობრივ სტანდარტთან მოსწავლის წიგნი ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს და ემსახურება საგნის სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევას.

§ 3. მოსწავლეთა შეფასება

სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება:
ა) განმავითარებელი შეფასება;

ბ) განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასების შესახებ
(ზოგადი კომენტარი)

განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, თითოეული მოსწავლის წინსვლის, განვითარების ხელშეწყობა. განმავითარებელი შეფასების გამოყენებით ფასდება სწავლის პროცესი, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი წინსვლა, ერთი მხრივ, მისსავე წინარე შედეგებთან, მეორე მხრივ კი - სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაკვირვება მასწავლებელს ეხმარება პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებაში, მოსწავლეთა შესაძლებლობების უკეთ განსაზღვრასა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებაში. განმავითარებელი შეფასებისას შემფასებელი შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს მიეცეთ თვითშეფასების საშუალება (იშვიათად - ურთიერთშეფასებისაც). სწავლის პროცესის შეფასებაში მონაწილეობა მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს სწავლის პროცესი, რათა გააზრებულად და დამოუკიდებლად მართოს იგი. გარდა ამისა, მოსწავლის მიერ შევსებული თვითშეფასების სქემები მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი წყაროა მოსწავლის ცოდნის სტრუქტურების განვითარების შესაფასებლად. განმავითარებელი შეფასების სახეობებში გამოვყოფთ განმავითარებელი შეფასების სამ ძირითად სახეს:

მიმდინარე შეფასება - გამოიყენება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში; ყოველ გაკვეთილზე თითოეულმა მოსწავლემ, სულ ცოტა, ორი მცირე განმავითარებელი შეფასება უნდა მიიღოს ინდივიდუალურად (შესაძლებელია ზეპირი გზით).

განმავითარებელი სადიაგნოსტიკო შეფასება - მისი მიზანია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა სწავლის Oპროცესში დაგროვებული ხარვეზების გამოვლენის გზით. სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა, დეტალური ინფორმაცია მივიღოთ თითოეულ მოსწავლეზე სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების შესახებ. ამ ხარვეზების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ აქტივობათა შემუშავება.

§ 4. მასწავლებლის წიგნის მიზანი და სტრუქტურა

მიზანი: მეშვიდე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს კომპლექტში შემავალი წინამდებარე მასწავლებლის წიგნის ელექტრონული ვერსია შეიქმნა იმ მიზნით, რომ მასწავლებელს დაეხმაროს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში: სწავლების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

სტრუქტურა: წინამდებარე მასწავლებლის წიგნი კვალდაკვალ მიჰყვება პირველი სემესტრისთვის განკუთვნილ მოსწავლის წიგნს და აერთიანებს საგაკვეთილო პროცესისთვის საჭირო ისეთ მრავალფეროვან რესურსებს, როგორებიცაა: წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები, ალტერნატიული/დამატებითი დავალებები თუ აქტივობები, შენიშვნები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რეკომენდაციები ცალკეული დავალებებისა თუ აქტივობების წარმართვასთან დაკავშირებით, ასევე რეკომენდაციები დიფერენცირებული სწავლებისთვის.

თითოეული პარაგრაფის დასაწყისში წარმოდგენილია გრძელვადიანი სასწავლო მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების ცხრილი, რომელიც წარმოაჩენს პარაგრაფში მოცემული მასალის კავშირს საბაზო საფეხურის ქართული ლიტერატურის სტანდარტთან.

ყოველ პარაგრაფში წარმოდგენილია რუბრიკა **„ნაწარმოების შესახებ“** - მოკლე ანალიზი, რომელიც ფოკუსირებულია ტექსტის საკვანძო საკითხებსა და სპეციფიკურ მახასიათებლებზე. აღნიშნული რუბრიკა მხოლოდ მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი და პედაგოგებს დაეხმარება, მოსწავლეებს გაუადვილონ ნაწარმოების სიღრმისეული გააზრება, მიზანმიმართულად წარმართონ გაკვეთილი დასახული სასწავლო მიზნების მისაღწევად.

მასწავლებლის წიგნში შესულია ყველა რუბრიკა და შეკითხვა, რომლებიც მოსწავლის წიგნშია წარმოდგენილი. იმის მიხედვით, თუ რა ტიპისაა შეკითხვა, მას შეიძლება ახლდეს:

ა) **პასუხი** - მართებული პასუხები ტესტურ დავალებებზე/ქვიზებზე, ასევე, იმ შეკითხვებზე, რომლებიც ნაწარმოებში ექსპლიციტურად წარმოდგენილი ინფორმაციის გაგება-გააზრებას ამოწმებს;

ბ) **რეკომენდაცია** - საინტერპრეტაციო შეკითხვებს შეიძლება ახლდეს რეკომენდაცია, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება მსჯელობის მიმართულების განსაზღვრაში, დამატებითი შეკითხვების დასმაში, სიღრმისეული მსჯელობის სტიმულირებაში.

გ) **კომენტარი** - საინტერპრეტაციო შეკითხვებს შეიძლება ახლდეს კომენტარი, რომელშიც წარმოდგენილია საკითხის შესაძლო ინტერპრეტაცია, განმარტებულია ტექსტის მნიშვნელოვანი დეტალები და გამოკვეთილია ის ასპექტები, რომლებზეც სასურველია მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება. ეს მასწავლებელს დაეხმარება მსჯელობის მიმართულების განსაზღვრაში, დამატებითი შეკითხვების დასმაში, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებას, ბიძგი მისცეს ტექსტის სიღრმისეულ, მრავალმხრივ გააზრებასა და სხვადასხვა პერსპექტივიდან ინტერპრეტაციას.

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილი შეფასების სქემები

ყველა დავალებას, რომლებიც მოსწავლის წიგნშია წარმოდგენილი, მასწავლებლის წიგნში ახლავს შეფასების შესაბამისი რუბრიკები. ისინი ორი სახისაა:

რუბრიკები განმავითარებელი შეფასებისთვის;

რუბრიკები განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებიც აგებულია შეფასების 10-ქულიან სისტემაზე.

ამ ორი სახის შეფასების გარდა, ცალკეულ დავალებებთან წარმოდგენილია ასევე მოსწავლეთა **თვითშეფასებისა** და **ურთიერთშეფასების** რუბრიკები.

აქვე ცალკე უნდა აღინიშნოს შემდეგი: მოსწავლეთა პროგრესის უზრუნველსაყოფად მხოლოდ შეფასება არ არის საკმარისი - მნიშვნელოვანია შეფასების შედეგებზე დაფუძნებული შემდგომი მუშაობის სწორად დაგეგმვა. ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი ნაბიჯები და სტრატეგიები, რომლებიც დაგეხმარებათ ეფექტიანი განმავითარებელი უკუკავშირის დაგეგმვასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაში. გახსოვდეთ: შეფასება სწავლა-სწავლების საბოლოო ეტაპი კი არა, შემდგომი სწავლების დაგეგმვის საფუძველია.

შეფასების შემდგომი ნაბიჯები და უკუკავშირი:

- **შედეგების ანალიზ**ი: გამოავლინეთ მოსწავლის ძლიერი მხარეები და ის კონკრეტული საკითხები, რომლებიც დამატებით მუშაობას საჭიროებს.
- **კონკრეტული უკუკავშირი**: მოსწავლეს მკაფიოდ აუხსენით - რა შეასრულა კარგად, რა აქვს გასაუმჯობესებელი და კონკრეტულად რა გზით შეუძლია ამის მიღწევა.
- **ინდივიდუალური მხარდაჭერა**: საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზეთ მოსწავლეს დამატებითი განმარტება, ნიმუში, დამხმარე კითხვები, ახალი სავარჯიშო ან მიეცით დავალების ხელახლა შესრულების შესაძლებლობა.
- **ჯგუფური მუშაობა**: თუ ერთი და იგივე სირთულე რამდენიმე მოსწავლეს აქვს, დაგეგმეთ ამ საკითხზე დამატებითი მუშაობა მთელ კლასთან ან მცირე ჯგუფებში.
- **პროგრესის გადამოწმება**: შემდგომ ეტაპზე, განმეორებითი მოკლე დავალების საშუალებით გადაამოწმეთ, რამდენად შეძლეს მოსწავლეებმა გამოვლენილი სირთულეების დაძლევა.

დიფერენცირებული სწავლება - ზოგიერთი დავალების რეკომენდაციების ნაწილში ინტეგრირებულია რჩევები დიფერენცირებული მიდგომების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია სამი მიმართულებით:

ა) მოსწავლეთა მზაობის დონის მიხედვით;

ბ) მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით;

გ) საბოლოო პროდუქტის/ნამუშევრის მიხედვით.

გაითვალისწინეთ:

1) საინტერპრეტაციო შეკითხვებთან დაკავშირებით მოყვანილი ყველა მასალა **მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა** და წარმოდგენილია მასწავლებლისთვის **შესაძლო მიმართულების** საჩვენებლად. ეს გულისხმობს, რომ მასწავლებლის წიგნი **არ განსაზღვრავს ერთ „სწორ“ ინტერპრეტაციას.** თავისი ხედვის შესაბამისად, პედაგოგს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაცია, წარმართოს მსჯელობა სხვა მიმართულებით, გამოკვეთოს სხვა აქცენტები მოსწავლეთა წინარე ცოდნის, სასწავლო მიზნების, კონკრეტული კლასის საჭიროებებისა თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამისად, მოსწავლისგან არ მოითხოვება მოსაზრებების, ფორმულირებების, არგუმენტებისა თუ მაგალითების ზუსტი დამთხვევა/სიტყვასიტყვით გამეორება. მსგავსი ტიპის შეკითხვებზე მისაღებია **ნებისმიერი განსხვავებული პასუხი,** თუ იგი ლოგიკურად არის ახსნილი და სათანადოდ დასაბუთებული.

2) შეფასების ყველა რუბრიკა შეთავაზებულია **ნიმუშის სახით**. კონკრეტული კლასის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერი მათგანის მოდიფიცირება ან მის მიერ შემუშავებული სხვა შეფასების რუბრიკის გამოყენება.

3) სწავლა-სწავლების პროცესში განმავითარებელი შეფასება გამოიყენება სისტემატურად. იმ დავალებებისთვის, რომლებიც წარმოდგენილია ყოველი თავის ბოლოს, რუბრიკაში „შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალება“, გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.

§ 5. თავი I. სამშობლო, უპირველეს ყოვლისა
(II თემატური ბლოკი. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება)

1. ნიკო ლორთქიფანიძე - ლიტერატურული საღამო (ფრაგმენტი)

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი)

1. სამიზნე ცნება „ტექსტი“

მხატვრული ტექსტი - მინიატურა.

შინაარსობრივი მხარე - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი; ავტორისეული ხედვის კუთხე/პერსპექტივა; განწყობილება.

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, რეფრენი.

· ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები: მეტაფორა, ეპითეტი, გაპიროვნება; თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, არეალი, კონკრეტული რეალიები; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები: ფასეულობები, პრობლემატიკა.

ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული გამოცდილება.

3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“

ალუზია; ინტერდისციპლინური დაკავშირება - ნიკო ლორთქიფანიძის ტექსტში გასულიერებული ბუნებისა თუ ადამიანის მიერ შექმნილი ძეგლების „ხმიანობა“ და ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულოს“ ხმოვანი ორგანიზება.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე:

· ურთიერთდაკავშირებულად აანალიზებს ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს;
· ამოიცნობს მსგავსება-განსხვავებას სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
· ქმნის ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებულ არამხატვრულ ტექსტებს;
· განსაზღვრავს ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებულ მიმართებებს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
· ხსნის მიმართებებს ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის;
· ამოიცნობს კონცეპტუალურ და ქვეტექსტურ ინფორმაციას ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე;
· ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
· აკავშირებს ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახულ თემას, ფაქტებს, მოვლენებს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
· გამოხატავს და ასაბუთებს პირად დამოკიდებულებას/მოსაზრებას ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ;
· ნამუშევრის შექმნისას მიზნობრივად იყენებს ფუნქციური კონტექსტის შესაბამის ლექსიკას, სტილს, ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს;
· იცავს მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესებს;
· აკავშირებს ტექსტს კონტექსტურ ფაქტორებთან და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
· ხსნის, რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის;
· აკავშირებს ერთმანეთთან სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილ თემატიკას/პრობლემატიკას, ფასეულობათა სისტემას. ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობს მათ მსგავსება-განსხვავებაზე და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
· ამოიცნობს ინტერტექსტობრივ მიმართებას (ალუზიას); ხსნის, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს.

ნაწარმოების შესახებ

ამ მცირე ზომის ტექსტში ჩატეულია სამშობლოსთან მწერლის დამოკიდებულება, ის შფოთვა და ტკივილი, რომელსაც ატარებს ხელოვანი სამშობლოს მდგომარეობის გამო. ნიკო ლორთქიფანიძე მოესწრო იმ ეპოქას, როდესაც საქართველო მეფის რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, დამოუკიდებელ საქართველოს 1918-1921 წლებში და უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით შეყვანილ საქართველოს, რომელიც ქცეული იყო კოლონიად და ძლევამოსილი, უზარმაზარი მეტროპოლიის გავლენით დაკარგული ჰქონდა სუვერენიტეტი, ამასთან, თანდათან კარგავდა თვითმყოფადობასაც.

ევროპული განათლებისა და პატრიოტული სულისკვეთების მქონე მწერალი ამ მინიატურით მკითხველებს ქვეყნის ხსნისკენ მოუწოდებს, ითხოვს, რომ არ დაკარგონ შემართება ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლაში, მოისმინონ და გაიაზრონ, რომ საქართველოში ცისა და მიწის ყოველი ნაჭერი, ყოველი ტაძარი, ყოველი მთა და მდინარე, სულები ჩვენი დიდი წინაპრებისა, თვით წვიმის წვეთებიც კი ითხოვენ და ჩურჩულებენ, რომ ქვეყანას გავუფრთხილდეთ. ყოველმა ქართველმა უნდა გაითავისოს საკუთარი ვალი საქართველოს გადარჩენისთვის ბრძოლაში. ნიკო ლორთქიფანიძის ეს სულისშემძვრელი მოწოდებები, გაჯერებული სამშობლოზე დარდითა და ცრემლით, გულის გულში ხვდება ყოველ განათლებულ ქართველს და დაუვიწყარ კვალს ტოვებს სულსა და გონებაში.

„ლიტერატურული საღამო“ თავისი შთამბეჭდავი მოწოდებით - „მოუარეთ საქართველოს“ - თითქოს პასუხია ამავე ავტორის „საშობაო მინიატურების“ ერთ-ერთი მინიატურისა „საქართველო იყიდება“... აქ მწერალი დიდი ტკივილით წერს იმაზე, რომ ყველა ყველგან და ყოველთვის ყიდის საქართველოს და საშველი არ ჩანს. ეს მოთქმაა სამშობლოს უბედურებით გულშეწუხებული ადამიანისა: „ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული. იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში“.

-მოუარეთ საქართველოს! - ეს მოწოდება ეხება ყველა თაობის ქართველს, ყველას, ვინც, ნებით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს ქვეყნის დაკნინებას. ამ მოწოდებამ უნდა გამოაფხიზლოს ქართველი ხალხის მიძინებული ეროვნული თვითშეგნება, რათა თითოეულმა ჩვენგანმა გაიაზროს: ყველანი სამშობლოს საიმედო მცველები და ქომაგები უნდა ვიყოთ და წინ უნდა აღვუდგეთ ქვეყნის დაცემას.

საქართველო თავისი ისტორიის განმავლობაში ხშირად ყოფილა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, ხოლო გადამრჩენელი ჩვენი ეროვნული სხეულისა და იდენტობისა იყო ჩვენი კულტურა, ყველაზე მეტად - ჩვენი მწერლობა, რომელიც ყოველთვის ასახავდა ქვეყნის სატკივარს უმძაფრესი ემოციებით, ექსპრესიით, ფაქიზი განცდებით. ჩვენს ხალხს ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად ეს ამხნევებდა. ნიკო ლორთქიფანიძის „მოუარეთ საქართველოს!“ ასეთი კოდირებული ნაწარმოებია. მისი მთავარი მოწოდება ყველგან და ყოველთვის ისმის.

მხატვრული სახეები: მინიატურა „მოუარეთ საქართველოს!“ არაერთ მხატვრულ სახეს გვიცოცხლებს. ესენია: მყინვარი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები (საბჭოთა ეპოქაში ბაგრატის ტაძარი არ იყო რესტავრირებული და ნანგრევების სახით იყო შემორჩენილი), ქუთაისი, სულის მესაიდუმლე შოთა, მკვირცხლი რიონი, გიჟმაჟი თერგი და დინჯი მტკვარი, კოკისპირული წვიმა და მთხრობელი, რომელიც ხშირად ავტორის „ალტერ ეგოდ“ („მეორე მედ“) განიხილება ხოლმე.

სასურველია, რომ მხატვრულ სახეთა განხილვის დროს ანალიზი დავიწყოთ დახარისხებით:

განვსაზღვროთ, სულიერია თუ უსულო, ბუნების მოვლენაა, ცხოველია თუ ადამიანი. მხატვრული სახე შეიძლება იყოს რეალისტური ან ავტორის მიერ გამოგონილი, ზღაპრული, ფანტასტიკური, ალეგორიული.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურაში წარმოდგენილ ცხრა მხატვრულ სახეს შორის მთხრობელი და „სულის მესაიდუმლე შოთა“ ადამიანები არიან და განასახიერებენ პატრიოტულ სულისკვეთებას, შემოქმედებით ბუნებას. ქვეყნის ბედით შეწუხებული მწერალი შვებას ეძებს ყველგან და მას ანუგეშებს ვინმე შოთა, რომელსაც „სულის მესაიდუმლედ“ მოიხსენიებს. აქ არავის გვეპარება ეჭვი, რომ მასში შოთა რუსთველი, უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იგულისხმება.

<u>მყინვარი და სამი მდინარე</u> სიმბოლურ-ალეგორიულად მთელ საქართველოს განასახიერებს. მყინვარი ხშირად გვხვდება ქართულ ლიტერატურაში. განსაკუთრებული სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნებით კი წარმოჩნდება ილია ჭავჭავაძესთან („მგზავრის წერილები“, „აჩრდილი“, „განდეგილი“). პოემა „აჩრდილში“ მყინვარი საკრალური, წმინდა ადგილია, საიდანაც საქართველოს უკვდავი სული ელაპარაკება პოემის ლირიკულ გმირს ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!

მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული!“

„განდეგილშიც“ ბერი მყინვარზე გამოკვეთილ მონასტერში ადამიანისა და ქვეყნის ხსნისთვის ლოცულობს. ნიკო ლორთქიფანიძემ გააგრძელა ილიას დამკვიდრებული ლიტერატურული ტრადიცია და ახალი ნიუანსებით გაამდიდრა.

მინიატურის პირველსავე აბზაცში ვკითხულობთ, რომ „[მყინვარის] „ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა: მოუარეთ საქართველოს!“. ნიკო ლორთქიფანიძემაც შეახსენა მკითხველს ქართველის უპირველესი საზრუნავი: საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ფიქრი, ბრძოლა და ზრუნვა.

მდინარეთა მხატვრულ სახეებს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩვენს მწერლობაში. **<u>მტკვარი, თერგი და არაგვი</u>** მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის საკვანძო სახე-სიმბოლოებია. შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ლორთქიფანიძემ იგივე სიმბოლური დატვირთვა შეუნარჩუნა თერგსა და მტკვარს, როგორიც მათ ჰქონდათ მე-19 საუკუნეში. გიჟმაჟი თერგი ქართული დაუმონებელი სულის სიმბოლოა, ხოლო დინჯი მტკვარი მოგვაგონებს ბარათაშვილისეულ „ნელადმღელვარე“, „მრავალ დროების მოწამე“ მდინარეს ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“.

ნიკო ლორთქიფანიძე მინიატურაში ასევე აცოცხლებს **<u>მკვირცხლ რიონს</u>**, რომელიც საქართველოს ეროვნული ენერგიის სიმბოლოა - მკვირცხლი და ხალასი, შეუპოვარი და სიცოცხლით სავსე.

<u>ბაგრატის ტაძარი და ქუთაისი</u> განასახიერებენ სამშობლოს, მის საყრდენს, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, ისინი ყოველთვის დგანან ქვეყნის სადარაჯოზე.

<u>კოკისპირული წვიმა</u> მნიშვნელოვანი მხატვრული სახეა, რომელიც ტექსტს ღრმა ემოციურ ფონს უქმნის. „გაუთავებელი, გაბმული ძახილი [წვიმის] ყოველი წვეთისა“ ქმნის რომანტიკულ განწყობას, აღძრავს ფიქრს და ბიძგს აძლევს მკითხველის ფანტაზიას. ნაწარმოების დასასრულს წვიმის ხმა პერსონიფიცირებულ მოწოდებად - „მოუარეთ საქართველოს!“ - გარდაიქმნება, რაც ძლიერი მხატვრული შტრიხით აგვირგვინებს მინიატურას.

სტილური ანალიზი: მწერლის ორიგინალური ხელწერა, მისი ენისა და სტილის მახასიათებლების უნიკალურობა არის ასევე გადამწყვეტი, რომ მხატვრულმა ტექსტმა კლასიკური მწერლობის წიაღში დაიმკვიდროს ადგილი. რას ვაქცევთ ყურადღებას, როცა მხატვრული ტექსტის სტილზე ვფიქრობთ:

- ნაწარმოების ჟანრული და სტილური მახასიათებლები (რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ნაწარმოები);
- ავტორის ენა, ემოცია და განწყობა;
- კომპოზიცია: თხრობის დინამიკა და სიუჟეტის არქიტექტონიკა;
- მხატვრულ სახეთა ძერწვის ოსტატობა;
- ტროპული სამყარო.

მოცემულ მინიატურაში ავტორის ენა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისია, თუმცა დამუხტულია განსაკუთრებული შინაგანი ექსპრესიით, რომელსაც ბიძგს აძლევს ნაწარმოების თემის სიმწვავე. ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც ევროპული მწერლობიდან იმპრესიონისტული მხატვრული სტილის დამამკვიდრებელი, გამოირჩევა ემოციური თხრობით, განწყობათა გრადაციებით, გადამდები ექსპრესიით. მინიატურა მცირე ფორმის ქმნილებაა, თუმცა იდეურად ტევადი და შთამბეჭდავი უნდა იყოს, რასაც ავტორი ოსტატურად ახერხებს. მინიატურის ენა გამომსახველი, განწყობა ზეაწეული, ემოციურად დატვირთულია, ხშირია ძახილის ნიშნები. მართალია, პროზის ჟანრია, თუმცა მინიატურას აქვს ლირიკის მახასიათებლები და აქ ეს განსაკუთრებით მძაფრად გამოიხატება რეფრენად გამოყენებული ფრაზით „მოუარეთ საქართველოს!“. ეს პოეტური პროზის ნიმუშია.

თხრობის დინამიკას აქ ამძაფრებს დაუვიწყარი მხატვრული სახეები, ისინი ენაცვლება ერთმანეთს და მკითხველის ცნობიერებაში ქმნის სამშობლოს სურათ-ხატებს.

მიუხედავად ნაწარმოების მცირე მოცულობისა, მოცემული მინიატურა ტროპულად მდიდარია. გამოყენებულია ეპითეტები („თოვლით დაფარული“, „მზის სხივებით აფერილი“, „მკვირცხლი“, „გიჟმაჟი“, „დინჯი“, „გაუთავებელი“, „გაბმული“). მათი მხატვრული ფუნქციაა შთამბეჭდავი მხატვრული სახეების შექმნა. ასევე ვხვდებით ორ შედარებას („..ვით ხმა ნაზი ქალწულისა“ და „თალხით მოსილ ჭირისუფალსავით“...), რომლებიც ასევე გამოიყენება მყინვარისა და ბაგრატის ტაძრის მხატვრულ სახეთა შესამკობად. ასევე მთავარი მხატვრული ხერხია გაპიროვნება („მდინარეთა გალობა-სიმღერა“, „გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა“, „[ბაგრატის ტაძრის ნანგრევები] უხმოთ მეტყველებენ“). ყველა უსულო სახე-სიმბოლო გაპიროვნებულია და მკითხველზე ღრმა ემოციურ ზემოქმედებას ახდენს.

შენიშვნა: სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლეთა ყურადღებას არ ვამახვილებთ მინიატურის ჟანრსა და მის მახასიათებლებზე. ამ ჟანრს მოსწავლეები გაეცნობიან მეორე სემესტრში, გურამ რჩეულიშვილის მინიატურა „მუსტანგების“ შესწავლისას.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- როცა სამშობლოზე ან მშობლიურ მხარეზე ფიქრობთ ან საუბრობთ, რა ან ვინ გახსენდებათ უწინარეს ყოვლისა?
- ვინ მიგაჩნიათ სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ადამიანად და რატომ? ვის მიაგებს პატივს ჩვენი ხალხი სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის?
- როგორ ფიქრობთ, სამშობლოს მოვლა-პატრონობა მხოლოდ გმირების, პოლიტიკოსების, ჯარისკაცების საქმეა თუ..? რა როლს ასრულებს სხვადასხვა პროფესიის უბრალო ადამიანი სამშობლოს სამსახურში?
- რომელი მხატვრული ნაწარმოების ან ფილმის გმირი მიგაჩნიათ სამშობლოსადმი ერთგულების ყველაზე შთამბეჭდავ მაგალითად? მოკლედ გადმოეცით, რა გააკეთა მან და რატომ მიგაჩნიათ გამორჩეულად.

შენიშვნა: მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს შეკითხვები, მოახდინოს მათი მოდიფიცირება ან დასვას განსხვავებული შეკითხვები.

რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“

1. **თქვენი აზრით, რატომ ადარებს ავტორი ბაგრატის ტაძარს „თალხით მოსილ ჭირისუფალს“?**

კომენტარი: 1691 წელს ოსმალო დამპყრობლებმა ბაგრატის ტაძარი ოთხივე კუთხიდან თოფის წამლით ააფეთქეს, რის შედეგადაც ჩამოიქცა გუმბათი და შეირყა კედლები, ხოლო ტაძრის მოკაზმულობა და მარმარილოს პერანგი მოხსნეს და ოსმალეთში წაიღეს. ტაძარი აღადგინეს 2009 წელს. ნიკო ლორთქიფანიძის დროს ის ჯერ კიდევ დანგრეული იყო. ვინაიდან ტაძარს ბევრი განსაცდელი გამოუვლია, მრავლის მოსწრე და მნახველია, ავტორი მას გაპიროვნების ხერხით აცოცხლებს და თალხით მოსილ ჭირისუფალს უწოდებს, თითქოს ტაძარი გლოვობს საკუთარ თავსაც და დაპყრობილ სამშობლოსაც.

2. **რაზე შეიძლება „უხმოთ მეტყველებდნენ“ ტაძრის ნანგრევები?**

კომენტარი: ტაძრის ნანგრევები უხმოდ ამბობენ „მოუარეთ საქართველოს!“ ამ მოწოდების მიღმა ისმის მრავალჭირვარამგამოვლილი ბაგრატის ტაძრის შეგონება, რომ სამშობლოს გაფრთხილება, ზრუნვა, მოვლა სჭირდება.

3. **როგორ გესმით სიტყვა „მესაიდუმლე“? „სულის მესაიდუმლე“? (ახსენით)**

კომენტარი: ყოველ ადამიანს ესაჭიროება სანდო ახლობელი, რომლისთვისაც თავისი ჭირისა და ლხინის გაზიარება შეუძლია. მესაიდუმლედ ჩაითვლება ის, ვისაც თავისუფლად გავანდობთ ჩვენს ფიქრებს, ხოლო სულის მესაიდუმლეა ის, ვინც ჩვენს სულში ღრმად ჩაიხედავს, გაგვიგებს და გვანუგეშებს განსაცდელის ჟამს.

4. **როგორ ფიქრობთ, ვინ არის ტექსტში მოხსენიებული შოთა - ვის უნდა გულისხმობდეს ავტორი?**

კომენტარი: ტექსტში მოხსენიებულ შოთაში უნდა იგულისხმებოდეს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი.

5. **რომელ მდინარეებს მოიხსენიებს მწერალი? რა საშუალებებითაა გადმოცემული მათი „გალობა-სიმღერა“? რატომაა შერჩეული სხვადასხვა მახასიათებელი: „მკვირცხლი“, „გიჟმაჟი“ და „დინჯი“?**

კომენტარი: ავტორი მოიხსენიებს სამ მდინარეს: რიონს, თერგსა და მტკვარს. მათი გალობა-

სიმღერა შესაბამისი ეპითეტებითაა გადმოცემული („მკვირცხლი“, „გიჟმაჟი“, „დინჯი“). ეს მახასიათებლები ავტორმა მოარგო/მოუხდინა ამ მდინარეთა მხატვრულ სახეებს, რიონი და თერგი განასახიერებენ იმერეთისა და ხევის პეიზაჟებს, საქართველოს კუთხეების მშვენიერ ლანდშაფტებს, ხოლო „დინჯი მტკვარი“ დედა-მდინარეა, დედაქალაქში მიედინება, ერთიანი საქართველოს სიმბოლოა. რიონი და თერგი ხმაურიანი მთის მდინარეებია, ხოლო მტკვარი ძირითადად ბარში მიედინება დინჯად.

6. როგორ ფიქრობთ, რაზე მიგვანიშნებს ის, რომ მწერლის მოწოდებას წვიმის „ყოველი წვეთი“ იმეორებს?

კომენტარი: ჩვენ გარშემო ყველა და ყველაფერი, ბუნება, ბუნების მოვლენებიც კი საქართველოს გადარჩენაზე, მის კეთილდღეობაზე ფიქრობენ. ამასთან, წვიმა სევდის, რომანტიკული ოცნების, ცრემლის სიმბოლოა და განასახიერებს იმ სულიერ ტკივილს, რომელსაც პატრიოტი ქართველები, ქვეყანაზე ფიქრით შეპყრობილნი, დაატარებენ მუდმივად.

7. **ნაწარმოებში მყინვარი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, მდინარეები თუ წვიმის წვეთები თითქოს ცოცხალი არსებები არიან. რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს მწერალი მათი „გაცოცხლებისას“?**

პასუხი: მათი გაცოცხლებისას ავტორი გაპიროვნების (გასულიერების) ხერხს იყენებს.

8. თქვენი აზრით, ვის მიმართავს მწერალი თავისი მოწოდებით?

კომენტარი: მწერალი თავისი მოწოდებით მკითხველებს: ქართველ ხალხს, ყველა თაობის წარმომადგენლებს მიმართავს.

9. თქვენ რისი გაკეთება შეგიძლიათ ამ მოწოდების საპასუხოდ - როგორ შეგიძლიათ გამოხატოთ ზრუნვა ქვეყანაზე?

კომენტარი: სკოლის მოსწავლისთვის, სანამ ის სრულწლოვანი გახდება და დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებს, ქვეყანაზე ზრუნვა გამოიხატება იმით, რომ კარგად ისწავლოს, გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები, ისწავლოს შრომა, ჰქონდეს ჯანსაღი ურთიერთობები ოჯახთან, სკოლასთან, საზოგადოებასთან, ასევე, იზრუნოს გარემოზე, გამოიმუშავოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც ჯანსაღ ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

რუბრიკა „დააკვირდით“

ნაწარმოებში სხვადასხვაგვარი „ხმა ისმის“, რაც ქართული სიმღერისთვის დამახასიათებელ მრავალხმიანობას მოგვაგონებს. დააკვირდით ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებს და განსაზღვრეთ, რა განწყობილებას ქმნის თითოეული მათგანი:

- ბაგრატის ნანგრევები: „უხმოთ მეტყველებენ“;
- მდინარეთა ხმები: „გალობა-სიმღერა“, „შემოსძახებს“, „ბანს ეუბნება“;
- წვიმის წვეთები: „გაუთავებელი, გაბმული ძახილი“.

კომენტარი: ტექსტში წარმოდგენილი ბუნებისა და ისტორიული ძეგლის გაპიროვნებული „ხმები“ (ნანგრევების უხმო მეტყველება, მდინარეთა „გალობა-სიმღერა“ და წვიმის წვეთების „გაუთავებელი, გაბმული ძახილი“) მკითხველს სევდიან და მშფოთვარე განწყობილებას უქმნის. ამ დეტალების მეშვეობით მკითხველი აცნობიერებს, რომ ქვეყნის ბედით უსულო ბუნებაც კი შეძრულია. ეს განწყობილება შესაბამის ემოციურ ფონს უქმნის მწერლის მთავარ სათქმელს - სამშობლოს შვილებს განსაკუთრებული ძალისხმევა, ბრძოლა და დაუღალავი შრომა მართებთ ქვეყნის გადასარჩენად და ნათელი მომავლის შესაქმნელად.

რუბრიკა „დისკუსია“

1. ნაწარმოებში მწერალი წარმოგვიდგენს საქართველოს სხვადასხვა მხარეში მდებარე ქალაქს, ისტორიულ ძეგლს, მთასა თუ მდინარეებს: ქუთაისს, ბაგრატს, მყინვარს, რიონს, თერგსა და მტკვარს. როგორ ფიქრობთ, რისი თქმა სურს ავტორს ამით?

კომენტარი: ავტორი შეგნებულად არჩევს ობიექტებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან - მთიდან თუ ბარიდან. ეს ჩამონათვალი შემთხვევითი არ არის: ის მოიცავს მთელ საქართველოს კიდით კიდემდე და გვიჩვენებს, რომ სამშობლო ერთიანი, განუყოფელი სივრცეა და არა - რომელიმე ერთი კუთხე, ერთი რეგიონი ან ერთი ქალაქი. ნაწარმოებში ბუნება, კულტურა და ისტორია ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და თითოეულ კომპონენტს (სახეს) თავისი სიმბოლური დატვირთვა აქვს: ბაგრატის ტაძარი ისტორიულ წარსულს, სახელმწიფოებრიობასა და სარწმუნოებას განასახიერებს; მდინარეები (რიონი, თერგი, მტკვარი) - სიცოცხლის მარადიულ დინებას, დროის უწყვეტობას; მყინვარი - სიმტკიცეს, მიუწვდომლობასა და სიდიადეს. ავტორი ამ მრავალფეროვან სახეებს ერთი სახელში - საქართველო - აერთიანებს. ამით მიგვანიშნებს, რომ ჩვენი ქვეყანა მხოლოდ გეოგრაფიული ტერიტორია კი არა, ერთიანი და ცოცხალი ორგანიზმია, რომლის ყველა ნაწილი ერთმანეთს ავსებს და ასაზრდოებს.

2. **როგორ ფიქრობთ, რატომ ათქმევინებს ავტორი „ბრძანების კილოთი“ სწორედ შოთა რუსთველს: „მოუარეთ საქართველოს“?**

კომენტარი: შოთა რუსთველს ქართულ მწერლობაში სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია. იგი ეროვნული სულის, სიბრძნისა და უმაღლესი ზნეობრივი იდეალების განსახიერებაა. ამასთან, რუსთველი არ არის მხოლოდ წარსულის დიდებული ფიგურა - მისი მემკვიდრეობა მარად ცოცხალია, თაობათა შემაკავშირებელი ხიდია. ავტორის მიერ მისი აწმყოში „გაცოცხლება“ მიგვანიშნებს, რომ სამშობლოზე ზრუნვის აუცილებლობა დროთა სვლას არ ექვემდებარება: რაც განვლილ ეპოქებში იყო აქტუალური, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დღესაც.

რუსთველი მოწოდებას ბრძანების კილოთი ამბობს, რაც შემთხვევითი არ არის. ასეთი ავტორიტეტისგან ბრძანება ბუნებრივად ჟღერს: მწერალს თავისი უკვდავი შემოქმედებით, ერის წინაშე უდიდესი დამსახურებით აქვს „მოპოვებული“ უფლება, მოგვმართოს არა როგორც რიგითმა მოკვდავმა, არამედ როგორც ერის სულიერმა წინამძღოლმა. მისი პირით ნათქვამი მოწოდება: „მოუარეთ საქართველოს!“ ამ სიტყვებს ერისთვის დატოვებულ წმიდათაწმინდა ანდერძად აქცევს.

3. **შეიძლება თუ არა მწერალი ადამიანის „სულის მესაიდუმლე“ იყოს? თქვენი მოსაზრება ახსენით.**

კომენტარი: მწერალი ნამდვილად შეიძლება გახდეს ადამიანის სულის მესაიდუმლე. მესაიდუმლე ხომ ისაა, ვისაც გავანდობთ ხოლმე ყველაზე დაფარულ, ხშირად გამოუთქმელ გრძნობებსა და ფიქრებს. დიდი მწერალიც სწორედ ამას აკეთებს - თავისი პერსონაჟებისა და სიუჟეტების მეშვეობით გვესაუბრება იმაზე, რასაც ჩვენ თავადაც ვგრძნობთ, მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებთ სიტყვებით გამოხატვას. მწერალი თითქოს კონკრეტულ გმირზე წერს, მაგრამ სინამდვილეში საუბრობს თითოეულ ჩვენგანზე - იმ გამოცდილებაზე, რომელიც ჩვენც გადაგვხდენია ან განგვიცდია: სიყვარულზე, მეგობრობაზე, მარტოობასა თუ იმედზე. როდესაც ნაწარმოების კითხვისას ვფიქრობთ: „ეს ხომ ჩემზეა დაწერილი“, სწორედ მაშინ იქცევა მწერალი ჩვენი სულის მესაიდუმლედ.

4. თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ქვეყანაზე მზრუნველ ადამიანს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

კომენტარი: სამშობლოს გულწრფელი სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა,

სამართლიანობა, მომავლის ხედვა, ერთგულება და სიმტკიცე - ეს თვისებები გამოარჩევს ქვეყანაზე მზრუნველ ადამიანს. ამგვარ ადამიანებს მრავლად ვხვდებით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

- **სამშობლოს გულწრფელი სიყვარული** - მჟღავნდება არა მხოლოდ სიტყვებში, არამედ საქმეში. იგი არ არის დამოკიდებული პირად ინტერესებსა ან წარმატებაზე. გულწრფელი სიყვარული უანგაროა და გამოვლინდება მაშინაც კი, როცა ქვეყნის გადასარჩენად მსხვერპლის გაღებააა საჭირო.

მაგალითი: მეფე დემეტრე თავდადებული, თევდორე მღვდელი, ქეთევან დედოფალი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი და სხვ.

პასუხისმგებლობა - მზრუნველი ადამიანი აცნობიერებს, რომ ქვეყნის მომავალი მასზეც არის დამოკიდებული. ის არ ელოდება, რომ სხვამ გააკეთოს საჭირო საქმე: თავად იღებს ინიციატივას და თავისი წვლილი შეაქვს, თუნდაც ეს „მცირე“ საქმე იყოს. პასუხისმგებლობა ვლინდება ყოველდღიურ საქმიანობებშიც: კეთილსინდისიერ შრომაში, საზოგადოების წევრების მიმართ პატივისცემაში, ურთიერთდახმარებაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

მაგალითი: ექვთიმე თაყაიშვილი - 1921–1945 წლებში საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის მცველი. მან 24 წლის განმავლობაში დაიცვა საქართველოს ეროვნული საგანძური. მიუხედავად იმისა, რომ თავად უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა და შიმშილობდა, ქვეყნის ქონებიდან ერთი ნივთიც კი არ გაუყიდია საკუთარი თავის ან დასნეულებული მეუღლის გადასარჩენად. ექვთიმემ ბოლომდე პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა - უდიდესი პასუხისმგებლობით შენახული საგანძური უკლებლივ და დაუზიანებელად დააბრუნა სამშობლოში 1945 წელს.

- **სამართლიანობა** - ქვეყანაზე ზრუნვა გულისხმობს ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ. ქვეყანაზე მზრუნველი ადამიანი აცნობიერებს, რომ სამშობლოს სიმტკიცე და სიძლიერე სწორედ სამართლიანობაზეა დაფუძნებული.

მაგალითი: დავით აღმაშენებელი, რომელმაც საქართველოს გაძლიერება და გამთლიანება სწორედ სამართლიანობის დამკვიდრებით დაიწყო. იგი კანონის წინაშე თანაბრად სთხოვდა პასუხს ყველას - იქნებოდა ეს გავლენიანი დიდგვაროვანი თუ უბრალო მოქალაქე. სწორედ ამან დაუბრუნა ხალხს სახელმწიფოს რწმენა და გააძლიერა ქვეყანა.

- **მომავლის ხედვა** - სამშობლოს სიყვარული ქვეყანაზე ქმედითი ზრუნვით გამოიხატება, რისთვისაც მხოლოდ ემოცია საკმარისი არ არის - მას მომავლის ხედვაც ესაჭიროება. ამ ხედვის ჩამოყალიბება კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი კარგად ვიცნობთ ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. ეს დაგვეხმარება გავაცნობიეროთ, თუ რისი შენარჩუნება და განვითარებაა საჭირო იმისთვის, რომ წარსულის მყარ საძირკველზე დავაფუძნოთ ქვეყნის ძლიერი და ნათელი მომავალი.

მაგალითი: ილია ჭავჭავაძე - მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, რომელიც ნათლად ხედავდა, რომ ქვეყანას მხოლოდ წარსულით სიამაყე ვერ გადაარჩენდა. მის მიერ დაარსებული „თბილისის საადგილმამულო ბანკი“ თუ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ქვეყნის განვითარებისკენ მიმართულ კონკრეტულ მიზნებს ემსახურებოდა: ეკონომიკურ გაძლიერებას, განათლების გავრცელებასა და დამოუკიდებლობისთვის ნიადაგის მომზადებას. ბანკი თავისი შემოსავლიდან ახალგაზრდებს სწავლას უფინანსებდა, ხოლო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ხსნიდა სკოლებს, ბეჭდავდა ქართულ წიგნებს და განათლებას ავრცელებდა ხალხში, რაც მშობლიური ენის შენარჩუნებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა იყო.

- **სიმტკიცე და ერთგულება** - ქვეყანაზე მზრუნველ ადამიანს აქვს უნარი, დაუპირისპირდეს სირთულეებს და უკან არ დაიხიოს რთულ დროს, რათა ბოლომდე უერთგულოს თავის ქვეყანას, დაიცვას მისი ღირსება და ინტერესები.

მაგალითი: მარო მაყაშვილი, რომელმაც უკან არ დაიხია ქვეყნისთვის უმძიმეს დროს და თავგანწირვით იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად.

რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“

1. რეფრენი (გვ. 15)

დაფიქრდით, რა მიზნით იყენებს რეფრენს ნიკო ლორთქიფანიძე. ამისთვის წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები, შემდეგ ისაუბრეთ, რომელი მიგაჩნიათ მართებულად და რატომ.

- ✓ რეფრენი ნათლად წარმოგვიჩენს მოქმედების ადგილს;
- ✓ რეფრენი მკითხველს უქმნის სევდიან განწყობილებას;
- ✓ რეფრენი გამოყენებულია მთავარი სათქმელის გამოსაკვეთად.

პასუხი: ვარიანტი 3 (რეფრენი გამოყენებულია მთავარი სათქმელის გამოსაკვეთად).

2. გაპიროვნება (გვ. 15-16)

პასუხი: ცხრილში მოცემული მაგალითების სწორი პასუხებია: I - ა; II - ბ; III - ა; IV - ა.

რუბრიკა „წერითი დავალება“

წარმოიდგინეთ თქვენი საყვარელი ადგილი ან ისტორიული ძეგლი საქართველოში (მთა, ზღვა, ტყე ან ძველი კოშკი). გაპიროვნების ხერხის გამოყენებით დაწერეთ, რას იტყოდა ეს ადგილი, მასაც რომ ლაპარაკი შეეძლოს.

რეკომენდაცია მასწავლებლისთვის

I ეტაპი. წერის დაწყებამდე

1) წინარე განწყობის შექმნა, იდეების გენერირება

- **ვიზუალიზაცია:** სთხოვეთ მოსწავლეებს, წერის დაწყებამდე რამდენიმე წუთით წარმოიდგინონ არჩეული ადგილი ან მოიძიონ მისი ფოტო.
- **პერსონაჟის „გაცოცხლება“:** ურჩიეთ, ტექსტის დაწყებამდე განსაზღვრონ თავიანთი „ობიექტის“ ასაკი და ხასიათი. მაგალითად: როგორია კოშკი - მაგ.: ბრძენი და დაღლილი, ამაყი, მკაცრი...? როგორია ტყე - მაგ.: მზიანი და მხიარული, იდუმალი, შიშისმომგვრელი...?

2) შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ უნდა წერონ პირველ პირში (მე ვარ..., მე ვხედავ..., მე მიხარია...). წაახალისეთ, გამოიყენონ ემოციის გამომხატველი სიტყვები და ეპითეტები, რათა მათი ობიექტის „ხმა“ უფრო დამაჯერებელი და შთამბეჭდავი იყოს.

II ეტაპი. წერის დროს

გეზის მიმცემი შეკითხვები - დაუსვით მოსწავლეებს გეზის მიმცემი შეკითხვები შერჩეული ობიექტის როლის უკეთ მოსარგებად, რომლებსაც ისინი დაეყრდნობიან წერის პროცესში, მაგალითად:

- რამდენი წლის ხარ და რა გახსოვს შენი წარსულიდან? (რა ისტორიული მოვლენების მომსწრე ხარ?)
- რას ხედავ და რას ისმენ ყოველდღე? (როგორ იცვლება შენ გარშემო ბუნება ან ქალაქი?)
- რა არის შენი ყველაზე დიდი ტკივილი და ყველაზე დიდი სიხარული?
- რას ფიქრობ იმ ადამიანებზე, რომლებიც შენთან სტუმრად მოდიან? რას გრძნობ, როცა მარტო რჩები?
- რა არის შენი მთავარი სათქმელი ან თხოვნა ადამიანების მიმართ?

III ეტაპი. წერის შემდეგ

პირველადი ვერსიის გაუმჯობესება - ურჩიეთ მოსწავლეებს, დაწერის შემდეგ ხმამაღლა წაიკითხონ საკუთარი ნამუშევარი. ეს მათ დაეხმარება შეამოწმონ, რამდენად დამაჯერებლად და ბუნებრივად „ჟღერს“ მათი მონოლოგი და, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანონ შესაბამისი შესწორებები ნამუშევრის გასაუმჯობესებლად.

შეფასების რუბრიკები

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის:

მოსწავლეთა პროგრესის უზრუნველსაყოფად მხოლოდ შეფასება არ არის საკმარისი - მნიშვნელოვანია შეფასების შედეგებზე დაფუძნებული შემდგომი მუშაობის სწორად დაგეგმვა. ქვემოთ მოცემულია ის აუცილებელი ნაბიჯები და სტრატეგიები, რომლებიც დაგეხმარებათ ეფექტიანი განმავითარებელი უკუკავშირის დაგეგმვასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაში. გახსოვდეთ: შეფასება სწავლა-სწავლების საბოლოო ეტაპი კი არა, შემდგომი სწავლების დაგეგმვის საფუძველია.

შეფასების შემდგომი ნაბიჯები და უკუკავშირი:

- **შედეგების ანალიზი:** გამოავლინეთ მოსწავლის ძლიერი მხარეები და ის კონკრეტული საკითხები, რომლებიც დამატებით მუშაობას საჭიროებს.
- **კონკრეტული უკუკავშირი:** მოსწავლეს მკაფიოდ აუხსენით - რა შეასრულა კარგად, რა აქვს გასაუმჯობესებელი და კონკრეტულად რა გზით შეუძლია ამის მიღწევა.
- **ინდივიდუალური მხარდაჭერა:** საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზეთ მოსწავლეს დამატებითი განმარტება, ნიმუში, დამხმარე კითხვები, ახალი სავარჯიშო ან მიეცით დავალების ხელახლა შესრულების შესაძლებლობა.
- **ჯგუფური მუშაობა:** თუ ერთი და იგივე სირთულე რამდენიმე მოსწავლეს აქვს, დაგეგმეთ ამ საკითხზე დამატებითი მუშაობა მთელ კლასთან ან მცირე ჯგუფებში.
- **პროგრესის გადამოწმება:** შემდგომ ეტაპზე, განმეორებითი მოკლე დავალების საშუალებით გადაამოწმეთ, რამდენად შეძლეს მოსწავლეებმა გამოვლენილი სირთულეების დაძლევა.

ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

ვარიანტი 1. (მეტი აქცენტირებით ნამუშევრის მხატვრულ-შემოქმედებით მხარეზე)

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გაგება-გააზრება	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და მოთხოვნები უპასუხებს ყველა მოთხოვნას, თუმცა ერთი მოთხოვნა ნაწილობრივ არის შესრულებული.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან მცირედი გადახვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	მაღალი
	სტრუქტურა ძირითადად გამართულია, თუმცა ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საშუალო
	ტექსტის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში დარღვეულია აზრების ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაწილებს შორის კავშირი ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	აზრები ქაოსურადაა გადმოცემული; სტრუქტურა არ იკვეთება; აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.	საწყისი
III კრიტერიუმი. შინაარსი და შემოქმედებითი აზროვნება/ ხედვა	ჩანს ორიგინალური, არაშაბლონური აზროვნება, შემოქმედებითი ხედვა და ფანტაზია, ემოციური აღმქმელობა. გაპიროვნება გამოყენებულია ოსტატურად და ბუნებრივად. ძეგლის/ბუნების ხმა, ხასიათი და ემოცია (ტკივილი, სიხარული, სიამაყე და ა.შ.) ნათლადაა გამოკვეთილი.	მაღალი
	ჩანს ორიგინალური ხედვა და შემოქმედებითი აზროვნება, თუმცა აკლია ემოციური სიღრმე და წარმოსახვის (ფანტაზიის) უნარი. გაპიროვნება გამოყენებულია, მაგრამ ზოგჯერ ხელოვნურია.	საშუალო
	ნაწილობრივ იკვეთება მოსწავლის ორიგინალური და შემოქმედებითი ხედვა, მაგრამ ემოცია სუსტად ჩანს, ნაშრომი უფრო მეტად მშრალი აღწერით შემოიფარგლება, გაპიროვნების მხოლოდ მწირი მცდელობაა.	საბაზისო
	ნაშრომში არ ჩანს მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნება, ემოციური აღმქმელობა; გაპიროვნების ხერხი არაადეკვატურად არის გამოყენებული/ საერთოდ არ არის გამოყენებული.	საწყისი

IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

შენიშვნა მე-5 კრიტერიუმთან დაკავშირებით: აქ და შემდგომ, ყველა შეფასების რუბრიკაში, მე-5 კრიტერიუმში დაშვებული შეცდომების რაოდენობას დონეების მიხედვით განსაზღვრავს მასწავლებელი - კლასის სპეციფიკის, მოსწავლეთა მზაობის ან/და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ბ) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გაგება-გააზრება	დავალების პირობა ადეკვატურად არის გააზრებული.	**1**
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ შეესაბამება პირობას.	**0**
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	**2**
	სტრუქტურა ძირითადად გამართულია, თუმცა ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	**1**
	სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.	**0**

III კრიტერიუმი. შინაარსი და შემოქმედებითი აზროვნება/ ხედვა	ჩანს ორიგინალური, არაშაბლონური აზროვნება, შემოქმედებითი ხედვა და ფანტაზია, ემოციური აღმქმელობა. გაპიროვნება გამოყენებულია ოსტატურად და ბუნებრივად. ძეგლის/ბუნების ხმა, ხასიათი და ემოცია (ტკივილი, სიხარული, სიამაყე და ა.შ.) ნათლადაა გამოკვეთილი.	**3**
	ჩანს ორიგინალური ხედვა და შემოქმედებითი აზროვნება, თუმცა აკლია ემოციური სიღრმე და წარმოსახვის (ფანტაზიის) უნარი. გაპიროვნება გამოყენებულია, მაგრამ ზოგჯერ ხელოვნურია.	**2**
	ნაწილობრივ იკვეთება მოსწავლის ორიგინალური და შემოქმედებითი ხედვა, მაგრამ ემოცია სუსტად ჩანს, ნაშრომი უფრო მეტად მშრალი აღწერით შემოიფარგლება, გაპიროვნების მხოლოდ მწირი მცდელობაა.	**1**
	ნაშრომში არ ჩანს მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნება, ემოციური აღმქმელობა; გაპიროვნების ხერხი არაადეკვატურად არის გამოყენებული/ საერთოდ არ არის გამოყენებული.	**0**
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	**2**
	ლექსიკა ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება.	**1**
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	**0**
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია; მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან გვხვდება მცირე რაოდენობით და ისინი აზრის გაგებას არ აფერხებს.	**2**
	ტექსტში შედარებით ხშირად გვხვდება ენობრივი შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	**1**
	ტექსტში მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს აზრის გაგებას.	**0**

ვარიანტი 2. (ყველა კრიტერიუმის თანაბარი დეტალიზებით)
ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	დავალების პირობა ადეკვატურად და სიღრმისეულად არის გააზრებული.	მაღალი
	მოსწავლე ადეკვატურად იგებს და სწვდება დავალების პირობას, თუმცა პირობის გაგება ყოველთვის სიღრმისეული არ არის.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შეიმჩნევა თემიდან მცირედი გადახვევის ზოგიერთი შემთხვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გააზრებული; ნამუშევარი არ შეესაბამება პირობას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	მაღალი
	სტრუქტურა და ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია, თუმცა აბზაცები ყოველთვის სწორად არ არის გამოყოფილი.	საშუალო
	სტრუქტურა ნაწილობრივ გამართულია, ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.	საწყისი
III კრიტერიუმი. შინაარსი და შემოქმედებითი აზროვნება/ხედვა	ჩანს ორიგინალური, არაშაბლონური აზროვნება, შემოქმედებითი ხედვა და ფანტაზია, ემოციური აღმქმელობა. გაპიროვნება გამოყენებულია ოსტატურად და ბუნებრივად. ძეგლის/ბუნების ხმა, ხასიათი და ემოცია (ტკივილი, სიხარული, სიამაყე და ა.შ.) ნათლადაა გამოკვეთილი.	მაღალი
	ჩანს ორიგინალური ხედვა და შემოქმედებითი აზროვნება, თუმცა აკლია ემოციური სიღრმე და წარმოსახვის (ფანტაზიის) უნარი. გაპიროვნება გამოყენებულია, მაგრამ ზოგჯერ ხელოვნურია.	საშუალო
	ნაწილობრივ იკვეთება მოსწავლის ორიგინალური და შემოქმედებითი ხედვა, მაგრამ ემოცია სუსტად ჩანს, ნაშრომი უფრო მეტად მშრალი აღწერით შემოიფარგლება, გაპიროვნების მხოლოდ მწირი მცდელობაა.	საბაზისო
	ნაშრომში არ ჩანს მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნება, ემოციური აღმქმელობა; გაპიროვნების ხერხი არაადეკვატურად არის გამოყენებული/ საერთოდ არ არის გამოყენებული.	საწყისი

IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

ბ) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	9-10 ქულა	7-8 ქულა	5-6 ქულა	1-4 ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გაგება-გააზრება	დავალების პირობა ადეკვატურად და სიღრმისეულად არის გააზრებული.	მოსწავლე ადეკვატურად იგებს და სწვდება დავალების პირობას, თუმცა პირობის გაგება ყოველთვის სიღრმისეული არ არის.	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შეიმჩნევა თემიდან მცირედი გადახვევის ზოგიერთი შემთხვევა.	დავალების პირობა გაუგებარია ან ნაშრომი აცდენილია თემას (ამ შემთხვევაში შესაძლოა ნაშრომი განულდეს და შემდგომი კრიტერიუმებით აღარ შეფასდეს).

II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	სტრუქტურა და ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია, თუმცა აბზაცები ყოველთვის სწორად არ არის გამოყოფილი.	სტრუქტურა ნაწილობრივ გამართულია, ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.
III კრიტერიუმი. შინაარსი და შემოქმედებითი აზროვნება / ხედვა	ჩანს ორიგინალური, არაშაბლონური აზროვნება, შემოქმედებითი ხედვა და ფანტაზია, ემოციური აღმქმელობა. გაპიროვნება გამოყენებულია ოსტატურად და ბუნებრივად. ძეგლის/ბუნების ხმა, ხასიათი და ემოცია (ტკივილი, სიხარული, სიამაყე და ა.შ.) ნათლადაა გამოკვეთილი.	ჩანს ორიგინალური ხედვა და შემოქმედებითი აზროვნება, თუმცა აკლია ემოციური სიღრმე და წარმოსახვის (ფანტაზიის) უნარი. გაპიროვნება გამოყენებულია, მაგრამ ზოგჯერ ხელოვნურია.	ნაწილობრივ იკვეთება მოსწავლის ორიგინალური და შემოქმედებითი ხედვა, მაგრამ ემოცია სუსტად ჩანს, ნაშრომი უფრო მეტად მშრალი აღწერით შემოიფარგლება, გაპიროვნების მხოლოდ მწირი მცდელობაა.	ნაშრომში არ ჩანს მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნება, ემოციური აღმქმელობა; გაპიროვნების ხერხი არაადეკვატურად არის გამოყენებული/საერთოდ არ არის გამოყენებული.
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება.	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია (შეცდომების რაოდენობა შესაძლებელია მოდიფიცირდეს ნამუშევრის მოცულობის შესაბამისად).	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.

ინსტრუქცია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის მე-2 ვარიანტის გამოყენებისთვის:

კრიტერიუმების შეფასება: თითოეული კრიტერიუმის ფარგლებში მოსწავლის ნამუშევარს მიანიჭეთ შესაბამისი მთელი ქულა. მაგალითად, თუ კონკრეტულ კრიტერიუმში ნამუშევარი „საშუალო“ დონეს აკმაყოფილებს, მისი ხარისხის გათვალისწინებით, იგი შეიძლება შეფასდეს 6, 7 ან 8 ქულით.

- **საბოლოო ქულის გამოთვლა:** შეკრიბეთ ხუთივე კრიტერიუმში მიღებული ქულა და გამოთვალეთ საშუალო არითმეტიკული (ჯამი გაყავით 5-ზე). მიღებული რიცხვი დაამრგვალეთ, რათა მიიღოთ მოსწავლის საბოლოო შეფასება 10-ბალიანი სისტემით.

რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“

ამ რუბრიკაში წარმოდგენილი ორი დავალება მიზნად ისახავს კრიტიკული და ესთეტიკური აზროვნების განვითარებას. ისინი მოსწავლეს სთავაზობს განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთშემავსებელ მიდგომას - ვიზუალურ-ესთეტიკურსა და აუდიო-ინტონაციურს, რაც უზრუნველყოფს ტექსტის ჰოლისტურ აღქმას. დავალებები, კერძოდ, უბიძგებს მოსწავლეს ტექსტის სიღრმისეული და მრავალმხრივი გააზრებისკენ - მათ შესასრულებლად მოსწავლე უნდა ჩასწვდეს ნაწარმოების ემოციურ ფონსა და ატმოსფეროს (განწყობას), რაც ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას. შედეგად, დავალებები ეხმარება მოსწავლეს, აღიქვას ტექსტი არა როგორც მშრალი ნარატივი, არამედ როგორც ცოცხალი, მრავალფეროვანი და მრავალგანზომილებიანი მხატვრული სივრცე, სადაც ერთდროულად იკვეთება ფერები, ემოციები, ხმები და აზრი.

დავალება 1. მოსწავლეები ირგებენ ფერმწერის როლს და გარდაქმნიან სიტყვიერ ნარატივს ვიზუალურ სახეებად - ფერებისა და ვიზუალური დეტალების ენაზე. მათ აქვთ არჩევანის თავისუფლება - შეუძლიათ სურვილისამებრ შექმნან ილუსტრაცია ან ზეპირად იმსჯელონ, რა ფერებს გამოიყენებდნენ ნაწარმოების მხატვრულ სახეთა გამოსახვისთვის. შესაბამისად, აღნიშნული დავალება წარმოადგენს დიფერენცირებული სწავლება ეფექტურ ინსტრუმენტს, რომელიც ავითარებს ესთეტიკურ და შემოქმედებით აზროვნებას.

კომენტარი: მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები გამოისახება უფრო იდუმალი, რუხი, მუქი, მთვარის მიმქრალი სხივების გამომომხატველი ფერებით, ხოლო „მზის სხივებით აფერილი მყინვარი“ - თეთრი, ბაცი ყვითელი, მოცისფრო-მოლურჯო ტონებით.

დავალება 2. მოსწავლეს სთავაზობს მხატვრულად წაიკითხოს ტექსტი და განსაზღვროს ხმის მოდულაციები: ახსნას, სად დასჭირდება მის ხმას სინაზე, სად - სიმძიმე და სად - ენერგია და რატომ. აქ მოსწავლეს უნდა ვურჩიოთ, რომ გამოიყენოს გაწაფული და მხატვრული კითხვის ტექნიკები, რომელთა მთავარი მახასიათებლებია: სიტყვების უშეცდომოდ წარმოთქმა, პაუზები სასვენ ნიშნებთან, ტექსტის შინაარსის შესაბამისი ემოციის შერჩევა, ფრაზების გამომეტყველებით და მკვეთრად წარმოთქმა, რათა ყოველი სიტყვა მსმენელის გონებამდე და გულამდე დაუმახინჯებლად მივიდეს.

კომენტარი: მკითხველის ხმას სინაზე დასჭირდება მინიატურის დასაწყისში, როცა ნაზი ქალწულის ხმით მეტყველებს მყინვარი და უხმო ჭირისუფალივით ჩურჩულებს ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. სიმძიმე დასჭირდება, როცა სულის მესაიდუმლე შოთას ბრძანების კილოთი გამოთქმული ხმა ისმის, ხოლო ენერგია დასჭირდება ფინალში, როცა მდინარეთა გალობა-სიმღერა და წვიმის წვეთების გაუთავებელი, გაბმული ძახილი - მოუარეთ საქართველოს! - ისმის.

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

- აუხსენით მოსწავლეებს, რომ ეს ორი დავალება არ არის ორი ცალკეული, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი აქტივობა. ისინი ერთმანეთს ავსებენ - ერთში ტექსტი „ფერებად“ გარდაიქმნება, მეორეში კი - „ხმად“. ამ გზით მოსწავლე მთლიანობაში ჩასწვდება და გაიაზრებს ნაწარმოების მხატვრულ სამყაროს.
- ყოველთვის მოსთხოვეთ მოსწავლეებს დაასაბუთონ/ახსნან თავიანთი არჩევანი (რატომ მაინცდამაინც რუხი ან ბაცი ყვითელი, რატომ პაუზის დაცვა) ტექსტიდან კონკრეტული ფრაზების ან დეტალების დამოწმებით.
- წაახალისეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები, თუკი ისინი ტექსტზე დაყრდნობითაა დასაბუთებული.

დავალება 1.

- წაახალისეთ მოსწავლეთა ვიზუალური ასოციაციები: სთხოვეთ დახუჭონ თვალები და წარმოიდგინონ მთვარის შუქით განათებული ტაძრის ნანგრევები და მზის სხივებით აფერილი თოვლიანი მყინვარი. ჰკითხეთ: რა ემოციები ეუფლებათ პირველი სურათის წარმოდგენისას, რა - მეორე სურათის წარმოდგენისას; რა ფერები ასოცირდება მათთვის სიცივესთან, სინათლესთან, იდუმალებასთან/მისტიკასთან და მისთ.
- ყველა მოსწავლეს თანაბრად არ ეხერხება ხატვა. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ხატვის ნიჭის დემონსტრირება სავალდებულო არ არის - მოსწავლეს შეუძლია თამამად წარმოაჩინოს თავისი შემოქმედებითი ხედვა ზეპირი აღწერით და თავისი არჩევანის დასაბუთებით (ტექსტზე დაყრდნობით).

დავალება 2.

- ჩაატარეთ მცირე „ხმოვანი“ ექსპერიმენტი: ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ შეიძლება შეიცვალოს ხმის ტემბრი და სიძლიერე (დინამიკა), როდესაც ვსაუბრობთ მდინარეების ხმოვანებაზე, დიდებულ მწერალზე (შოთა), მწერლის მთავარ მოწოდებაზე.
- აუხსენით მოსწავლეებს, რომ გამომეტყველებითი კითხვა არ გულისხმობს გადაჭარბებულ პათოსსა თუ ემოციას. მთავარია იგრძნობოდეს, რომ მოსწავლეს ტექსტი სათანადოდ აქვს გააზრებული და შეუძლია ადეკვატურად შეცვალოს ხმის ტემბრი და სიძლიერე სხვადასხვა პასაჟის წაკითხვისას.
- აუხსენით მოსწავლეებს პაუზების მნიშვნელობა: სწორად შერჩეული პაუზა ზოგჯერ უფრო მეტ ემოციურ დატვირთვას ატარებს, ვიდრე ხმამაღლა და მკვეთრად წარმოთქმული სიტყვები.

რუბრიკა „იმსჯელეთ“

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

1) მოცემული დავალება - არეული რიგით მოწოდებული ხმიანობების თანმიმდევრობის აღდგენა - შესაძლებელია შესრულდეს წყვილებში მუშაობის გზით.

აღდგენილი თანმიმდევრობა - ხმიანობა ძლიერდება და ფინალში ყველაზე მძლავრად ჟღერს.

- ✓ „შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა“;
- ✓ „უხმოთ მეტყველებენ“;
- ✓ „ბრძანების კილოთი ამბობს“;

- ✓ „შემოსძახებს“;
- ✓ „ბანს ეუბნება“;
- ✓ „გაუთავებელი, გაბმული ძახილი“.

2) დავალების მეორე პუნქტი მოსწავლეებისგან მოითხოვს საკუთარი აზრის გამოთქმას იმის თაობაზე, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს ხმის დინამიკის ცვლილება მკითხველზე. ვინაიდან კითხვის პროცესში მიღებული შთაბეჭდილება სუბიექტური ხასიათისაა, გამორიცხული არ არის, რომ მეწყვილეებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეთ. ასეთ შემთხვევაში მათ უნდა წარმოადგინონ და დაასაბუთონ ორივე მოსაზრება. მოსწავლეები ამის თაობაზე დავალების შესრულებამდე უნდა გააფრთხილოთ, რათა მათ თავიდანვე იცოდნენ, რომ განსხვავებული პასუხები შეცდომად და ხარვეზად კი არა, ტექსტის ინდივიდუალური აღქმის ბუნებრივ გამოვლინებად ჩაითვლება.

რუბრიკა „წერითი დავალება“
„მოუარეთ საქართველოს!“ - მოგვიწოდებს ნიკო ლორთქიფანიძე.

- ✓ დაფიქრდით, რისი გაკეთება შეგიძლიათ ამ მოწოდების საპასუხოდ თქვენ - მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს - სკოლაში, თქვენს საცხოვრებელ ადგილზე თუ ბუნებაში ყოფნისას?
- ✓ დაწერეთ მცირე ზომის თხზულება: „როგორ ვიზრუნო საქართველოზე“, რომელშიც ისაუბრებთ, როგორ შეიძლება გამოხატოთ ქვეყანაზე ზრუნვა კონკრეტული ქმედებებით. მოიყვანეთ მაგალითები თქვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან (მაგ.: გარემოზე ზრუნვა, ბეჯითი სწავლა, სხვების დახმარება, ისტორიული ძეგლების მოფრთხილება). ახსენით, რა მნიშვნელობა აქვს ამ „პატარა“ ნაბიჯებს - რა საფუძველს უქმნის თქვენი პირადი პასუხისმგებლობა ქვეყნის წარმატებასა და წინსვლას.

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის
წერის პროცესი

I ეტაპი. წერის დაწყებამდე
1) გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება შემდეგ საკვანძო დეტალებზე:
- ✓ **აქცენტი აწმყოზე:** მოსწავლეებმა თხზულება უნდა დაწერონ აწმყოში მიმდინარე მოვლენებზე: უნდა იფიქრონ და ისაუბრონ იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ახლა, როგორც 12-13 წლის მეშვიდეკლასელებს.
- ✓ **სამომავლო პერსპექტივის თავიდან არიდება:** მოსწავლეებს მკაფიოდ განუმარტეთ, რომ არ უნდა დაწერონ მომავალზე - თუ რას გააკეთებენ ქვეყნისთვის მაშინ, როდესაც გაიზრდებიან და რაიმე პროფესიას დაეუფლებიან (მაგ.: გახდებიან ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები).
- ✓ **მთავარი გზავნილი:** დაეხმარეთ მათ გაიაზრონ, რომ ქვეყანაზე ზრუნვა იწყება დღეს და ამისთვის სრულწლოვანების მოლოდინი საჭირო არ არის. მათი ყოველდღიური, ერთი შეხედვით, „პატარა“ ნაბიჯები (მაგ.: სკოლის ინვენტარის გაფრთხილება, ბუნებაში ან ქუჩაში ყოფნისას ნაგვის ურნაში ჩაყრა, თანაკლასელის დახმარება თუ ბეჯითი სწავლა) უკვე არის ქვეყნის წარმატებასა და წინსვლაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი.

2) მოაწყვეთ კლასში 5-წუთიანი „გონებრივი იერიში“, რათა მოსწავლეებმა ერთმანეთს

გაუზიარონ, მათი აზრით, რას ნიშნავს „პატარა ნაბიჯები“ და რატომ აქვთ მათ დიდი ძალა (მაგ.: ნარჩენების ნაგვის ურნაში ჩაყრა, სკოლის მერხის/ სასკოლო სახელმძღვანელოს გაფრთხილება, ოთახიდან გასვლისას შუქის ჩაქრობა, მოხუცების ან პატარების დახმარება, ქუჩის ცხოველის გამოკვება ან ისტორიული ძეგლის მონახულებისას სისუფთავის დაცვა). ეს აქტივობა მოსწავლეებს იდეების გენერირებაში დაეხმარება.

3) **იდეა დამატებითი აქტივობისთვის - ერთობლივი პოსტერის შექმნა**

შესთავაზეთ მოსწავლეებს დიდი პოსტერის ერთობლივად შექმნა. ეს შეიძლება იყოს ხის გამოსახულება, რომელსაც დაარქმევთ „ზრუნვის ხეს“ და მასზე ყველა მოსწავლე, მათ შორი,სსსმ მოსწავლეც, მიაკრავს თავისი პატარა ,,ნაბიჯის“ ამსახველ ფოტოს/ნახატს/დაწერილ წინადადებას. ამგვარი აქტივობა სოციალური პასუხისმგებლობის გაღვივებასაც შეუწყობს ხელს და მოსწავლეებს ერთი დიდი გუნდის ნაწილად აგრძნობინებს თავს.

II ეტაპი. წერის დროს

შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ მარტივი სამნაწილიანი გეგმა, რომელსაც ისინი ნამუშევრის წერის დროს გამოიყენებენ. ეს მათ აზრის სტრუქტურირებულად ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

ნამუშევრის გეგმის შესაძლო ვარიანტი:

შესავალი

- **მოწოდების გააზრება:** იმსჯელეთ, როგორ გესმით ნიკო ლორთქიფანიძის მოწოდება: „მოუარეთ საქართველოს!“ და რას ნიშნავს იგი პირადად თქვენთვის, როგორც მეშვიდეკლასელისთვის;
- **მთავარი სათქმელი (თეზისი):** ჩამოაყალიბეთ ძირითადი აზრი - ქვეყნის სიყვარული და მასზე ზრუნვა იწყება არა მხოლოდ დიდი, გმირული საქმეებით, არამედ ყოველდღიური, ერთი შეხედვით, უბრალო ქმედებებით.

ძირითადი ნაწილი

- **ზრუნვა სკოლაზე, განათლების მიღება -** ისაუბრეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ბეჯითი სწავლა; მოიყვანეთ სასკოლო გარემოსა და ნივთების (მერხი, სახელმძღვანელო) გაფრთხილების, თანატოლების დახმარების, ჯანსაღი ურთიერთობების კონკრეტული მაგალითები (მაგ.: კონფლიქტების თავიდან არიდება, მშვიდობიანი გამოსავლის მოძებნა).
- **ზრუნვა საცხოვრებელ გარემოსა და საზოგადოებაზე** - კონკრეტულ ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით ისაუბრეთ უბნის, ეზოს, ქუჩის სისუფთავის შენარჩუნებაზე, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაზე, მოხუცებისა თუ პატარების დახმარებაზე ყოველდღიურ სიტუაციებში,
- **ზრუნვა ბუნებასა და ისტორიულ მემკვიდრეობაზე** - კონკრეტული მაგალითების მოყვანით ისაუბრეთ, როგორ უნდა ვიზრუნოთ ბუნების სამყაროზე, მიუსაფარ ცხოველებზე, მცენარეებზე; ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების პატივისცემა და გაფრთხილება, როგორ შეიძლება ამის გამოხატვა ყოველდღიურ სიტუაციებში (მაგ.: არ დავტოვოთ კედლებზე წარწერები, არ დავანაგვიანოთ ტერიტორია).

დასკვნა

- **„პატარა“ ნაბიჯების დიდი ძალა:** ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი ეს ქმედებები და როგორ იქცევა ბევრი ადამიანის „პატარა სიკეთე“ ქვეყნის დიდ სიძლიერედ.
- **პირადი პასუხისმგებლობა** - შეაჯამეთ, რა კავშირია ქვეყნის წარმატება-განვითარებასა და თითოეული მოქალაქის (მათ შორის, პირადად თქვენს) პასუხისმგებლობას შორის.
- **დასკვნითი წინადადება** - დაასრულეთ ნამუშევარი დამაფიქრებელი შეკითხვით ან ფრაზით.

შენიშვნა მასწავლებლებისთვის: დამაფიქრებელი შეკითხვით ან ფრაზით ამ ტიპის ნამუშევრის დასრულება ეფექტურია რამდენიმე თვალსაზრისით, კერძოდ:

- ✓ მკითხველს აქტიურ თანამონაწილედ აქცევს - როცა ტექსტი კითხვით მთავრდება, მკითხველი იძულებულია თავადაც იფიქროს პასუხზე - ის პასიური მსმენელი კი არა, თანამოაზრეა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურ თუ მოქალაქეობრივ თემებზე წერისას, როდესაც მიზანია არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა, არამედ დამოკიდებულების ჩამოყალიბება.
- ✓ ახანგრძლივებს შთაბეჭდილებას - დამაფიქრებელი კითხვა ან ფრაზა ტექსტის დასრულების შემდეგაც აგრძელებს „მუშაობას“ მკითხველის გონებაში, სწორედ ეს არის კარგი ესეს ერთ-ერთი ნიშანი.
- ✓ აძლიერებს ემოციურ ტონალობას - დამაფიქრებელი შეკითხვა ან ფრაზა გამოკვეთს მოსწავლის პირად ჩართულობასა და გულწრფელობას, რის გამოც ნამუშევარი უფრო შთამბეჭდავი და დამარწმუნებელი ხდება მკითხველისთვის.
- ✓ წარმოაჩენს შემოქმედებით უნარს - ამგვარი დასასრული აჩვენებს, რომ მოსწავლეს არა მხოლოდ საკითხის გააზრება შეუძლია, არამედ საკუთარი სათქმელის ორიგინალურად და შემოქმედებითად შეჯამებაც.

დამაფიქრებელი შეკითხვები და ფრაზები (შესაძლო ვარიანტები):

- ✓ „ჩვენ ხშირად ვამაყობთ წინაპრებით, მაგრამ რას ვაკეთებთ დღეს იმისთვის, რომ მომავალმა თაობებმა ჩვენით იამაყონ?“
- ✓ „თუ დღეს არ ვიზრუნებთ ჩვენს ქვეყანაზე, ვის დავუტოვებთ ამ საქმეს ხვალისთვის?“
- ✓ „დაფიქრდით, შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ დღეს რაღაც გააკეთეთ ქვეყნისათვის?“
- ✓ „რა მოხდება, თუკი ყველანი დაველოდებით, რომ ვიღაც „სხვა“ იზრუნებს ჩვენს ქვეყანაზე?“
- ✓ „რატომ შეიძლება „პატარა საქმეებიც“ სამშობლოზე ზრუნვის გამოხატულებად მივიჩნიოთ? მაგალითად, როგორ უკავშირდება სამშობლოზე ზრუნვას გარემოს სისუფთავის დაცვა ან თანაკლასელის დახმარება?“
- ✓ „დიდი სიყვარული ხშირად პატარა საქმეებით იწყება“.
- ✓ „სამშობლო არ არის მხოლოდ მიწა, რომელზეც დავიბადეთ - ის საქმეა, რომელსაც ყოველდღე ვაკეთებთ მისთვის“.
- ✓ „სამშობლოს სიყვარული ხმამაღალი სიტყვებით კი არა, „ნარჩენების ურნაში ჩაყრით, სახელმძღვანელოების მოვლით“ და ერთმანეთის დახმარებით იწყება“.

ამგვარ სოციალურ და მოქალაქეობრივ თემებზე მუშაობა ბევრად უფრო შედეგიანია, როდესაც ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი საგნით. საუკეთესო შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია საგნობრივი ინტეგრაცია და აქტიური თანამშრომლობა კოლეგებთან, კერძოდ, ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და გეოგრაფიის მასწავლებლებთან.

რეკომენდაციები დიფერენცირებული სწავლებისთვის
ა) დიფერენცირება მოსწავლეთა მზაობის დონის მიხედვით
დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის:

- შესთავაზეთ რომელიმე გრაფიკული მაორგანიზებელი (მაგ.: T-სქემა, „ობობას ქსელი“, „ჰამბურგერი“ ან სხვა), რომელშიც წინასწარ ჩამოწერენ სამ კონკრეტულ ქმედებას და თითოეულისთვის მოიფიქრებენ, სულ მცირე, ერთ მაგალითს. ქვემოთ მოვიყვანთ ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და თვალსაჩინო მაორგანიზებლის, ე.წ. T-სქემის, შევსებულ ნიმუშს.

ინსტრუქცია მოსწავლეებისთვის:
მარცხენა სვეტში ჩამოწერეთ სამი ქმედება, რომლებითაც გამოხატავთ ზრუნვას თქვენს ქვეყანაზე, სკოლასა თუ ბუნებაზე. მარჯვენა სვეტში კი მოიყვანეთ, მინიმუმ, ერთი კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ აკეთებთ ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში

რას ვაკეთებ? (ჩემი ქმედება)	**როგორ ვაკეთებ? (კონკრეტული მაგალითი ჩემი ცხოვრებიდან)**
1. ვუფრთხილდები სასკოლო გარემოს	ვუფრთხილდები წიგნებს, სასკოლო ნივთებს
	მერხს ყოველთვის ვასუფთავებ
2. ვზრუნავ ბუნებაზე	ვუფრთხილდები ხეებს და ვზრუნავ ბუნებაზე.
	ვზრუნავ გარემოს სისუფთავეზე, ნარჩენებს ყოველთვის ვყრი ურნაში.
3. პატივს ვცემ ისტორიულ ძეგლებს	ვუფრთხილდები ისტორიულ ძეგლებს.
	ვზრუნავ ტერიტორიის სისუფთავეზე.

- შესთავაზეთ წინადადებათა დასაწყისები, მაგალითად: „ჩემი აზრით, ქვეყანაზე ზრუნვა იწყება იმით, რომ...“, „ყოველდღიურ ცხოვრებაში მე შემიძლია...“, „ჩემი „პატარა ნაბიჯები“ მნიშვნელოვანია იმით, რომ...“ და მისთ.

მაღალი აკადემიური მზაობის მქონე მოსწავლეებისთვის:

- შესთავაზეთ მიზნობრივად გამოიყენონ ნაცნობი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: შედარება, ეპითეტი), რათა მათი ნაშრომი უფრო დამარწმუნებელი და ემოციურად დატვირთული იყოს.

შენიშვნა: საგანგებოდ იზრუნეთ იმაზე, რომ მოსწავლეთა თვითშეფასება არ დაქვეითდეს: ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე მოსწავლეს მიზანმიმართულად გადასცეთ წინადადებათა დასაწყისები, დაწერეთ ისინი დაფაზე ან დაურიგეთ ყველა მოსწავლეს შემდეგი ახსნა-განმარტებით: *„ვისაც გსურთ, შეგიძლიათ ეს ფრაზები გამოიყენოთ, ვისაც გირჩევნიათ - დავალება მთლიანად თქვენი სიტყვებით შეასრულეთ“.* ამით იხსნება ყოველგვარი იარლიყი - წინადადებათა დასაწყისები ყველასთვის ხელმისაწვდომ რესურსად იქცევა და მისი გამოყენება

ნებაყოფლობითია (შეგიძლიათ მათ დაარქვათ, მაგალითად, „იდეების გზამკვლევი“).

ამდენად, წინადადებათა დასაწყისების შეთავაზება უნდა წარმოჩნდეს არა როგორც „სუსტი“ მოსწავლეების დახმარება, არამედ როგორც ტექსტის/აზრის სტრუქტურირების მეთოდი. ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ არგუმენტის აგებისას ასეთ სიტყვებს/სიტყვიერ კონსტრუქციებს იყენებენ პროფესიონალებიც: მეცნიერები და მკვლევრები - სამეცნიერო ნაშრომებში; იურისტები - სასამართლოზე გამოსვლის დროს ან იურიდიულ დოკუმენტებში; ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები - საგაზეთო სტატიებში, პოლიტიკოსები - საჯარო გამოსვლებში და მისთ.

თუკი მოსწავლე დაინახავს, რომ ამ მცირე ბიძგის დახმარებით დავალების წარმატებით შესრულება შეუძლია, მისი თვითშეფასება გაიზრდება. დროთა განმავლობაში კი, როდესაც იგი დაძლევს „ცარიელი ფურცლის შიშს“ და გამოუმუშავდება აზრის ფორმულირების უნარი, ამგვარი დახმარების საჭიროება თავისთავად მოიხსნება.

ბ) დიფერენცირება საბოლოო პროდუქტის/ნამუშევრის მიხედვით

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, შეგიძლიათ მათ მისცეთ არჩევანის თავისუფლება, თუ რა სახით წარმოადგენენ თავიანთ ნააზრევს შეთავაზებული საკითხის შესახებ.

- **ვიზუალური ესე** - მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტს დაურთონ საკუთარი ხელით შექმნილი ილუსტრაციები ან გადაღებული ფოტოები, რომლებზედაც ასახული იქნება სკოლის ეზოს დასუფთავების პროცესი, ბუნებაზე ან ისტორიულ ძეგლზე ზრუნვის ამსახველი კადრები და მისთ. ეს ხელს შეუწყობს ტექსტისა და ვიზუალური ხელოვნების სინთეზის უნარის განვითარებას.
- **ვიდეოესე** - მოსწავლეებს შეუძლიათ სათქმელი გადმოსცენ მოკლე, 2-3-წუთიანი ვიდეორგოლის სახით. ამისთვის მათ უნდა ჩაწერონ ხმოვანი თხრობა (ნარატივი) და დაურთონ თემატური კადრები, მაგალითად:
  - ✓ წარსულის ეპიზოდი შეიძლება ნაჩვენები იყოს ფოტოებით, ნახატებით, სიმბოლური კადრებით. სიმბოლურ კადრებად შეუძლიათ გამოიყენონ გამოსახულებები, რომლებიც პირდაპირ არ ასახავს მოგონებას, მაგრამ გვიჩვენებს გარემოს, დროს, გამოხატავს შესაბამის განწყობას. ეს შეიძლება იყოს ბავშვობასთან დაკავშირებული სივრცე - სახლის ან სკოლის ეზო, ზღვის სანაპირო; ბავშვობის ნივთი - წიგნი, პატარა ველოსიპედი, სასრიალო; თოვლიანი ქუჩა, დათოვლილი მთები (თუკი ზამთარში მოხდა ამბავი), განწყობისათვის - მზით განათებული ეზო (სიხარული, მხიარულება), ლამაზი პეიზაჟი (სიმშვიდე, ჰარმონია) და მისთ.
  - ✓ დღევანდელობისა და წარსულის გასამიჯნად მოსწავლეებს შეუძლიათ თხრობა ააგონ შემდეგნაირად: დაიწყონ აწმყოთი და გამოკვეთონ დროში დაშორება (მაგ.: „რამდენიმე წლის წინ...“, „როდესაც ... წლის ვიყავი...“), შემდეგ გადმოსცენ მოგონება კონკრეტული დეტალებისა და ემოციების წარმოჩენით, ბოლოს კი დაუბრუნდნენ დღევანდელობას და ახსნან, რატომ არის იგი მათთვის მნიშვნელოვანი, როგორ აფასებენ ამ გამოცდილებას დღევანდელი გადასახედიდან (მაგ.: „ახლა, როცა ამ ამბავს ვიხსენებ...“).

ნამუშევრის შესაქმნელად მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ სმარტფონი ან პლანშეტი. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ტექნიკური კონსულტაციისთვის მოსწავლეებს შეუძლიათ მიმართონ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს.

- **პოსტი სოციალური ქსელებისთვის (სკოლის ვებგვერდისთვის)** - შესთავაზეთ მოსწავლეებს შექმნან მოკლე ინტერაქციული ტექსტი, რომელსაც დაურთავენ

შესაბამის ფოტომასალას. მათ უნდა შეძლონ მკითხველის (თანატოლების, უფროსების) ყურადღების მიქცევა და დისკუსიაში ჩართვა - მაგალითად, პოსტის ბოლოს დამაფიქრებელი შეკითხვის დასმით იმის თაობაზე, თუ რას აკეთებენ მკითხველები ყოველდღიურად საკუთარი გარემოს დასაცავად.

- **სამოტივაციო სიტყვა ან ვიდეომიმართვა** - სთხოვეთ მოსწავლეებს, დაწერონ სამოტივაციო სიტყვა ან ჩაწერონ ვიდეომიმართვა თანატოლებისთვის, რათა სხვებიც წაახალისონ საქართველოს წინსვლის საქმეში თანამონაწილეობისთვის.
- **ერთ მიმართულებაზე ფოკუსირება** - შეგიძლიათ შესთავაზოთ მოსწავლეებს ფოკუსირდნენ მათთვის ყველაზე საინტერესო მიმართულებაზე, რათა უფრო სიღრმისეულად ისაუბრონ მის შესახებ და წარმოაჩინონ, რა როლს ასრულებს იგი ქვეყანაზე ზრუნვის საქმეში, მაგალითად:
  - ✓ **ეკოლოგიური ფოკუსი** - ტყის შენარჩუნება, გადაშენების პირას მყოფი ცხოველების დაცვა და მისთ.;
  - ✓ **კულტურულ-ისტორიული ფოკუსი** - რეგიონის ისტორიული ძეგლები და მათი მოფრთხილების მნიშვნელობა;
  - ✓ **სოციალური ფოკუსი** - ბეჯითი სწავლა, წესრიგის დაცვა, ზრუნვა სასკოლო გარემოზე, სხვების დახმარება და მისთ.

შეფასების რუბრიკები

ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. პირობის გააზრება და შინაარსი	პირობა სრულადაა დაფარული: საუბარია სამივე გარემოზე (სკოლა, საცხოვრებელი ადგილი, ბუნება), თითოეულთან დაკავშირებით წარმოდგენილია მინიმუმ ერთი კონკრეტული მოსაზრება.	მაღალი
	პირობა ნაწილობრივაა შესრულებული. გამორჩენილია ერთ-ერთი მოთხოვნილი გარემო ან საკითხი, **ან** სამივე მოხსენიებულია ზედაპირულად, კონკრეტიზაციის გარეშე.	საშუალო
	მოიხსენიება მხოლოდ ერთი ან ორი გარემო/საკითხი, ისიც ზოგადი ჩამონათვალის სახით, კონკრეტული აზრის განვითარების გარეშე, ან სამივე გარემო/საკითხი მოხსენიებულია, მაგრამ კავშირი დავალების არსთან („ზრუნვა ქვეყანაზე“) სუსტად იკვეთება.	საბაზისო
	პირობა არასწორადაა გაგებული. ტექსტი აცდენილია ძირითად თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. მსჯელობა, არგუმენტაცია, შემოქმედებითობა	მოყვანილია ადეკვატური კონკრეტული მაგალითები / მოყვანილია ორიგინალური და არაშაბლონური მაგალითები (შესაძლოა წარმოჩენილი იყოს ახალი სფეროც); „პატარა“ ნაბიჯებისა და პირადი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ქვეყნის წარმატებისთვის ნათლად ან/და შემოქმედებითად არის წარმოჩენილი.	მაღალი
	მსჯელობა ზოგადია; მაგალითები ადეკვატურია, მაგრამ ზედაპირული ან შაბლონურია; კავშირი პირად პასუხისმგებლობასა და ქვეყნის წარმატებას შორის ნათლად არ არის წარმოჩენილი (მოხსენიებულია, მაგრამ აზრი განვითარებული არ არის).	საშუალო
	მსჯელობა უკიდურესად მწირია. არგუმენტაცია ძალზე სუსტია, თუმცა მოსწავლე ცდილობს თემაზე საუბარს.	საბაზისო
	მსჯელობა არ არის წარმოდგენილი: ნამუშევარი სრულიად მოკლებულია არგუმენტაციას (მაგ.: მოყვანილია მხოლოდ ფაქტების მშრალი ჩამონათვალი) **ან** მაგალითები საერთოდ არ არის მოყვანილი.	საწყისი

III კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ნაშრომს აქვს ცხადად გამოკვეთილი სტრუქტურა, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	მაღალი
	სტრუქტურას აქვს ძირითადი ელემენტები (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), მაგრამ ერთი მათანი არასრულია, აბზაცები უმეტესწილად თანმიმდევრულია და ლოგიკურად არის გამოყოფილი.	საშუალო
	სტრუქტურა არ არის გამართული (მაგ.: აკლია შესავალი ან დასკვნა), ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა. აბზაცების გამოყოფის პრინციპი ხშირად დარღვეულია.	საბაზისო
	ნაშრომი ქაოსურია, დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა, აბზაცები გამოყოფილი არ არის.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	ლექსიკა მდიდარია; შერჩეულია შესაბამისი სტილი, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული (დასაშვებია 1-2 უმნიშვნელო სტილისტური ხარვეზი).	მაღალი
	ლექსიკა ადეკვატურია; შერჩეულია შესაბამისი სტილი; გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი, რომლებიც ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა შეზღუდული და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია; სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას; გვხვდება უხეში სტილისტური ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის აზრის გაგებას.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

ბ) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. პირობის გააზრება და შინაარსი	პირობა სრულადაა დაფარული: საუბარია სამივე გარემოზე (სკოლა, საცხოვრებელი ადგილი, ბუნება), თითოეულთან დაკავშირებით წარმოდგენილია მინიმუმ ერთი კონკრეტული მოსაზრება.	2 ქულა
	პირობა ნაწილობრივაა შესრულებული. გამორჩენილია ერთ-ერთი მოთხოვნილი გარემო ან საკითხი, **ან** სამივე მოხსენიებულია ზედაპირულად, კონკრეტიზაციის გარეშე.	1 ქულა
	პირობა არასწორადაა გაგებული. ტექსტი აცდენილია ძირითად თემას.	0 ქულა
II კრიტერიუმი. მსჯელობა, არგუმენტაცია, შემოქმედებითობა	მოყვანილია ადეკვატური კონკრეტული მაგალითები / მოყვანილია ორიგინალური და არაშაბლონური მაგალითები (შესაძლოა, წარმოჩენილი იყოს ახალი სფეროც); „პატარა“ ნაბიჯებისა და პირადი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ქვეყნის წარმატებისთვის ნათლად ან/და შემოქმედებითად არის წარმოჩენილი.	3 ქულა
	მსჯელობა ზოგადია; მაგალითები ადეკვატურია, მაგრამ ზედაპირული ან შაბლონურია; კავშირი პირად პასუხისმგებლობასა და ქვეყნის წარმატებას შორის ნათლად არ არის წარმოჩენილი (მოხსენიებულია, მაგრამ აზრი განვითარებული არ არის).	2 ქულა
	მსჯელობა უკიდურესად მწირია. არგუმენტაცია ძალზე სუსტია, თუმცა მოსწავლე ცდილობს თემაზე საუბარს.	1 ქულა
	მსჯელობა არ არის წარმოდგენილი: ნამუშევარი სრულიად მოკლებულია არგუმენტაციას (მაგ.: მოყვანილია მხოლოდ ფაქტების მშრალი ჩამონათვალი) **ან** მაგალითები საერთოდ არ არის მოყვანილი.	0 ქულა
III კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ნაშრომს აქვს ცხადად გამოკვეთილი სტრუქტურა, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2 ქულა
	სტრუქტურა ნაწილობრივ დარღვეულია (მაგ.: აკლია შესავალი ან დასკვნა), აბზაცები ნაწილობრივ არათანმიმდევრულია.	1 ქულა
	ნაშრომი ქაოსურია, დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა, აბზაცები გამოყოფილი არ არის.	0 ქულა

IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	ლექსიკა მდიდარია; შერჩეულია შესაბამისი სტილი, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული (დასაშვებია 1-2 უმნიშვნელო სტილისტური ხარვეზი).	2 ქულა
	ლექსიკა ადეკვატურია; შერჩეულია შესაბამისი სტილი; გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი, რომლებიც ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	1 ქულა
	ლექსიკა მწირია; სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას; გვხვდება უხეში სტილისტური ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის აზრის გაგებას.	0 ქულა
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტში დაშვებული ენობრივი შეცდომები მცირე რაოდენობისაა და არ აფერხებს აზრის გაგებას.	1 ქულა
	ტექსტში ხშირია მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და/ან პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც ართულებს ან მნიშვნელოვნად აფერხებს აზრის გაგებას.	0 ქულა

გ) თვითშეფასების რუბრიკა
ინსტრუქცია მოსწავლეებისთვის:

ნამუშევრის წარდგენამდე გადაიკითხეთ თქვენი დაწერილი ტექსტი და თითოეულ კითხვაზე მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. თუკი მონიშნული გაქვთ „ნაწილობრივ“ ან „კიდევ უნდა ვცადო“, დაუბრუნდით ტექსტს და სცადეთ შესაბამისი მონაკვეთის უფრო ვრცლად ან მკაფიოდ ჩამოყალიბება.

საკითხი	**შევძელი**	**ნაწილობრივ შევძელი**	**კიდევ უნდა ვცადო**
ნათლად გამოვხატე, რას ნიშნავს ჩემთვის საქართველოზე ზრუნვა.			
ვისაუბრე, როგორ შემიძლია ვიზრუნო საქართველოზე სკოლაში.			
ვისაუბრე, როგორ შემიძლია ვიზრუნო საქართველოზე ჩემს საცხოვრებელ ადგილზე.			
ვისაუბრე, როგორ შემიძლია ვიზრუნო საქართველოზე ბუნებაში ყოფნისას.			
მოვიყვანე კონკრეტული მაგალითები, თუ რას ვაკეთებ ამისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში.			
ჩემი მაგალითები პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაზე ზრუნვას.			
ავხსენი, რატომ არის მნიშვნელოვანი ერთი ადამიანის „პატარა“ ქმედებებიც			
ავხსენი, როგორ უკავშირდება პირადი პასუხისმგებლობა ქვეყნის წარმატებასა და წინსვლას.			
ნათლად გამოვკვეთე სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.			
აზრები თანმიმდევრულად და ლოგიკურად დავუკავშირე ერთმანეთს.			
აბზაცები სწორად გამოვყავი.			
შევარჩიე თემისა და დავალების შესაბამისი სიტყვები და სტილი.			
დავიცავი ენობრივი ნორმები და სასვენი ნიშნების გამოყენების წესები.			

შენიშვნა: შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ მცირე კითხვარი ნამუშევარზე რეფლექსიისთვის. ამ ტიპის კითხვარის მეშვეობით თვითშეფასება მხოლოდ „დიახ/არა“ პასუხების მონიშვნით აღარ შემოიფარგლება და მოსწავლეს საკუთარი ნამუშევრის უფრო ღრმად გააზრებისა და გაუმჯობესებისკენ უბიძგებს.

კითხვარის ნიმუში:

1. ჩემი ნამუშევრის ყველაზე ძლიერი მხარეა:

2. ყველაზე მეტად გასაუმჯობესებელი მაქვს:

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლებისთვის

სიმონ ჩიქოვანის მოგონება ნიკო ლორთქიფანიძეზე (გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის“ N10-ში 1961 წელს). პოეტი იგონებს ნიკო ლორთქიფანიძეს, როგორც თავის მასწავლებელს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, სადაც მწერალი მას სამი წლის განმავლობაში ასწავლიდა გერმანულ ენას.

მონოგრაფიები

1. ელისო აბრამიშვილი, „ნიკო ლორთქიფანიძე“, სერიიდან „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, გამომც. „ნაკადული“, თბილისი, 1977.

2. ინგა მილორავა, „ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული დრო და სივრცე“, თბილისი, 1995.

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლეებისთვის

1. რევაზ ინანიშვილი, მოთხრობები: „დავითის ხმალი“, „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“.

2. გალაკტიონ ტაბიძე - გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 2 აკადემიური საათი)

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ მხატვრული ტექსტი - ლექსი (ლირიკული). შინაარსობრივი მხარე - თემა, მთავარი იდეა, ლირიკული გმირი - ფასეულობები, წარმოდგენები, ემოციები; განწყობილება. სტრუქტურა-აგებულება - სათაური, სტროფი. ენა - *მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები:* ეპითეტი; ნაწარმოებში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. **2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“** კონტექსტური ფაქტორები ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, ფასეულობები, დამოკიდებულებები, სულიერი გამოცდილება. **3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“** მსგავსი ელემენტები - თემა, მთავარი იდეა.

მოსალოდნელი შედეგები
მოსწავლე: ურთიერთდაკავშირებულად აანალიზებს ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს; · ქმნის ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებულ არამხატვრულ ტექსტებს; · ამოიცნობს კონცეპტუალურ და ქვეტექსტურ ინფორმაციას ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; · ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; · გამოხატავს პირად დამოკიდებულებას/მოსაზრებას ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და ხსნის/ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს; · ურთიერთდაკავშირებულად იყენებს შინაარსობრივ და სტრუქტურულ ელემენტებს ნამუშევრის შედგენისას; · ხსნის ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულებას ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; · მსჯელობს მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, ხსნის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციას; · ნამუშევრის შექმნისას მიზნობრივად იყენებს ფუნქციური კონტექსტის შესაბამის ლექსიკას, სტილს, ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს; · იცავს მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესებს; · აკავშირებს ტექსტს კონტექსტურ ფაქტორებთან და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; · ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილ თემატიკას/ პრობლემატიკას, ფასეულობათა სისტემას. მსჯელობს მათ მსგავსება-განსხვავებაზე და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.

ნაწარმოების შესახებ

ცნობილია, რომ გალაკტიონი შეყვარებული იყო აფხაზეთზე, უყვარდა შავი ზღვის სანაპიროზე დასვენება და მოგზაურობა. ლექსში პოეტი გამოხატავს თავის განსაკუთრებულ სიყვარულს აფხაზეთისადმი. ამ კუთხის „მზე სინათლის მფენი“ და „ზღვა, რომელიც შორია“ გამორჩეული სითბოსა და სილამაზის წყალობით ანდამატივით იზიდავდა პოეტის გულს.

ლექსის მთავარი სათქმელი პატრიოტულ მოტივებთან არის დაკავშირებული. აქ ჩანს, თუ რამდენად ხიბლავს იმერეთის ლამაზ სოფელში დაბადებულ, ქუთაისსა და თბილისში ნაცხოვრებ გალაკტიონს აფხაზეთი, რამდენად ემშობლიურება ის. გალაკტიონი ესთეტიზმის, მშვენიერების მოტრფიალე იყო და ღრმად შეიგრძნობდა აფხაზეთის უიშვიათეს სილამაზეს. მონატრების მძაფრი განცდა უბიძგებს ავტორს, პოეტური სიტყვით გამოხატოს თავისი სიყვარული ამ კუთხის მიმართ. ეს ლექსი სიყვარულის ახსნაა, სულიერი სიახლოვის გამოხატულებაა.

პოეტისთვის აფხაზეთი არ არის მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე - ესაა მოგონებებით სავსე ადგილი, რომლის თითოეული დეტალი - პალმა, გემი, ზღვა - კონკრეტულ განცდასა და ემოციასთან არის დაკავშირებული.

მონატრების „ობიექტები“: მზე და ზღვა - ცალკეულ მოგონებაზე მეტს, არქეტიპულ სამშობლოს განასახიერებენ. აფხაზეთი აქ კონკრეტული გეოგრაფიული ადგილიდან იქცევა უნივერსალურ სახე-სიმბოლოდ - დაკარგული სამოთხის, სულიერი სამშობლოს განსახიერებად.

<u>სახეობრივი ანალიზი:</u> მოცემულ ლექსში, მიუხედავად მცირე მოცულობისა, ვხვდებით მრავალ მხატვრულ სახეს. ესენია: თავად ავტორი, როგორც ლირიკული გმირი (მისი „ალტერ ეგო“), აფხაზეთი, ლურჯი მთები, თეთრი სანატორია, სინათლის მფენი მზე, შორი ზღვა, პალმის ხე, გალაკტიონის პოეზიის მოყვარული მშვენიერი ქალი, მშობლიური გემი და მშობლიური მიწა. მოცემული მხატვრული სახეები აფხაზეთის გარემოს, ჩვენი ზღვისპირეთის კოლორიტს აცოცხლებენ. ჩანს მთავარი ლირიკული გმირი, პოეტის ორეული, მონატრებული აფხაზეთის ნახვას, მეოცნებე და რომანტიკული ნატურა. მისი ემოციები გადამდებია და მკითხველს აფხაზეთზე ფიქრისკენ, სიყვარულისკენ უბიძგებს.

<u>სტილური ანალიზი</u> ლექსში ერთმანეთს ერწყმის ნოსტალგია (რადგან მონატრებასთან არის დაკავშირებული) და აღტაცება, რომელიც სიყვარულითაა შთაგონებული. პეიზაჟური დეტალები: ლურჯი მთები, აფხაზეთის ბრდღვიალა მზე და შორი, იდუმალი ზღვა, პალმები, გემი ზღვაზე - ეს ყველაფერი ზღვისპირა ქალაქის განუმეორებელ კოლორიტს აცოცხლებს.

ლექსი ტროპულად მდიდარი არ არის, მხოლოდ ორიოდე ეპითეტია გამოყენებული („სინათლის მფენი“ და „შორი“), თუმცა ეს მის მხატვრულ ღირებულებას არ აკნინებს.

პოეტური ნაწარმოების სტილური ანალიზის დროს უეჭველად უნდა დავფიქრდეთ ლექსის მუსიკალობაზე, ევფონიაზე (ტკბილხმოვანება), რითმასა და რიტმზე.

სტროფის პირველი და მესამე ტაეპები 10-მარცვლიანია, ხოლო მეორე და მეოთხე - 11-მარცვლიანი. ყველა დანარჩენი ტაეპი 10-მარცვლიანია. ტაეპში სამი მუხლია და მარცვალთა რაოდენობა ასეა განაწილებული: 4/4/2 პირველ და მესამე ტაეპებში და 4/4/3 მეორე და მეოთხე ტაეპებში. სხვა ყველა ტაეპში გვაქვს წყობა 4/4/2. პირველ სტროფში რითმები ჯვარედინია (abab) (შენი - მფენი, [სანა]ტორია - შორია), მეორე და მესამე სტროფებში გვაქვს მოსაზღვრე რითმები (aabb) (პალმა - ქალმა, ჩემი - გემი). ტაეპის რიტმიკას ქმნის მუხლებში მარცვალთა რაოდენობის თანაბრობა. საინტერესოა ის, რომ მუხლმა შეიძლება გაკვეთოს სიტყვა (მაგ.: თეთრო სანა/ტორია).

ცნობა თანამედროვე ისტორიიდან (შეახსენეთ მოსწავლეებს)

1993 წლიდან ოკუპირებული აფხაზეთი, საიდანაც ეთნოწმენდის შედეგად საკუთარი სახლებიდან გამოყარეს ასიათასობით ქართველი, დღეს თვითგამოცხადებული რესპუბლიკაა, რომელსაც ცივილიზებული მსოფლიო არ აღიარებს. ეს მხარე საქართველოს განუყრელი ნაწილია და უწყვეტი ძაფებით არის დაკავშირებული საქართველოსთან. აფხაზეთი, სოხუმი, გაგრა, შავი ზღვის ულამაზესი სანაპიროები მუდამ იყო შთაგონების წყარო ქართველი ხელოვანებისთვის. აფხაზეთის თემებს ხშირად ვხვდებით გურამ რჩეულიშვილის, ნოდარ დუმბაძისა და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებაში.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები
(შესაძლო ვარიანტები)

- არის თუ არა ისეთი ადგილი, სადაც ბავშვობაში ხშირად ყოფილხართ და დღემდე ძალიან გენატრებათ? პირველ რიგში, რა დეტალები (ხმები, სურნელი, ვიზუალური სურათი) გახსენდებათ ხოლმე მისი მოგონების დროს?
- თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ადამიანმა კონკრეტული ადგილი „მეგობრად“ მიიჩნიოს? თქვენი აზრით, რას გამოხატავს ასეთი დამოკიდებულება? / რა გრძნობები და მოგონებები შეიძლება აკავშირებდეს ადამიანს ასეთ ადგილთან?

- თქვენი აზრით, რა იგულისხმება სიტყვაში „მშობლიური“? აუცილებელია, ეს მხოლოდ ის ადგილი იყოს, სადაც დაიბადეთ, თუ შეიძლება სხვა ადგილიც გახდეს ჩვენთვის „მშობლიური“? რატომ ფიქრობთ ასე?
- დააკვირდით ლექსის სათაურს: „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

✓ რას გახსენებთ სიტყვა „აფხაზეთი“? რა იცით ამ კუთხის, მისი ბუნების, ზღვის, ქალაქების კულტურის შესახებ? რა ემოციას ან განცდას იწვევს თქვენში ეს სიტყვა?

✓ სიტყვას „გამარჯობა”, ჩვეულებრივ, ადამიანი ეუბნება ადამიანს. რას გამოხატავს, თქვენი აზრით, სიტყვა „გამარჯობა“, როდესაც მას ადამიანი პიროვნებას კი არა, ადგილს/მხარეს/კუთხეს ეუბნება? / რას ნიშნავს, როცა ადამიანი ადგილს ესალმება, თითქოს ცოცხალ არსებას? რა გრძნობაზე/როგორ დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებს ეს სიტყვა?

✓ რა განწყობას გიქმნით სათაური - „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“?

✓ როგორ ფიქრობთ, რას შეიძლება მიგვანიშნებდეს სათაური - ლექსში უფრო შეხვედრის სიხარული იქნება გამოხატული, მონატრება თუ ორივე ერთად?

შენიშვნა: მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს შეკითხვები, მოახდინოს მათი მოდიფიცირება ან დასვას განსხვავებული შეკითხვები.

რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“

1. რატომ იწყებს პოეტი ლექსს სიტყვით „გამარჯობა“? რა განცდას იწვევს მკითხველში ეს სიტყვა?

კომენტარი: ავტორი ლექსის დასაწყისში ესალმება აფხაზეთს, რაც მკითხველში აფხაზეთთან მიახლოების ემოციას აღძრავს და მონატრებულთან შეხვედრის განცდას ამძაფრებს.

2. აფხაზეთისთვის დამახასიათებელ რომელ კონკრეტულ დეტალებს იხსენებს პოეტი?

პასუხი: პოეტი იხსენებს აფხაზეთის ლურჯ მთებს, თეთრ სანატორიას (დასასვენებელ სახლს), ზღვას, პალმის ხეს, გემს. ეს დეტალები ერთობლივად ზღვისპირა აფხაზეთის პეიზაჟს ქმნის.

3. რა აგონდება პოეტს? თქვენი აზრით, რატომაა ეს მოგონება მნიშვნელოვანი მისთვის?

კომენტარი: პოეტი ერთადერთ კონკრეტულ მოგონებას გვიზიარებს: ესაა შეხვედრა პალმის ხის მახლობლად მშვენიერ ქალთან, რომელმაც გალაკტიონის ლექსი გადაიწერა. ეს მოგონება პოეტის შემოქმედებას (შემოქმედების აღიარებას) უკავშირდება და განსაკუთრებით ფასეული უნდა ყოფილიყო გალაკტიონისთვის. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი დეტალი: ქალმა ლექსი გადაწერა „ჩუმად“, რაც პოეტის მიმართ მოკრძალებულ პატივისცემასა და სიყვარულზე მიგვითითებს. ესაა არა ხმაურიანი, მყვირალა აღტაცება, არამედ ღრმა და გულწრფელი აღიარება. გალაკტიონისთვის, რომელიც სულიერ მარტოობას განიცდიდა, ასეთი ჩუმი, მოკრძალებული აღიარება, ალბათ, განსაკუთრებულად ღირებული უნდა ყოფილიყო - ეს იყო დადასტურება იმისა, რომ მისი შინაგანი სამყარო, რომელსაც ის პოეზიაში გამოხატავდა, სხვებამდეც აღწევდა, სხვათა სულებსაც ეხებოდა.

4. როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს გალაკტიონი სიტყვებს: „მშობლიური“, „ძველი მეგობარი“? აფხაზეთის მიმართ პოეტის როგორ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ეს სიტყვები?

კომენტარი: პოეტისთვის აფხაზეთი ერთი ჩვეულებრივი კუთხე არ არის. ყოველი დეტალი - პალმა, გემი თუ ზღვა - მისთვის საყვარელ მოგონებებსა და განცდებთან არის დაკავშირებული. სიტყვა „მშობლიური“ გამოკვეთს ძლიერ სულიერ კავშირს: აფხაზეთი პოეტის სამშობლოს

განუყოფელი ნაწილია, მშობლიური სითბოთი გაჯერებული „სახლია“, სადაც ის სულიერად „თავის ადგილზე“ გრძნობს თავს (მიუხედავად იმისა, რომ მისი სამშობლო დასავლეთი საქართველოს სოფელი ჭყვიში იყო). „ძველი მეგობარი“ კიდევ უფრო ღრმა და ემოციურ შინაარსს ატარებს, რადგან მეგობრობა დროში ჩამოყალიბებულ პირად ურთიერთობას გულისხმობს. ამით პოეტი გამოხატავს, რომ ამ მხარესთან წლების განმავლობაში გამოცდილი, ძალიან თბილი დამოკიდებულება აკავშირებს. პოეტი აფხაზეთს ცოცხალ არსებასავით მიმართავს და მასთან დიალოგს მართავს („გამარჯობა, აფხაზეთო“, „მომაგებე“) - ეს გაპიროვნების მხატვრული ხერხია, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ლექსის სუბიექტურ ხასიათს და ძლიერი ემოციური ინტონაციით ტვირთავს - მკითხველს აგრძნობინებს, თუ როგორ ენატრებოდა პოეტს ეს მხარე. ეს, უბრალოდ, აღწერითი პეიზაჟური ლირიკა კი არა, მიმართვა-ვედრებაა, რომელშიც პეიზაჟი ემოციური კავშირის გამოხატვას ემსახურება. ერთად აღებული, სიტყვები: „მშობლიური“ და „ძველი მეგობარი“ - მეტყველებს გალაკტიონის ღრმა და ერთგულ სიყვარულზე, გამორჩეულად თბილ დამოკიდებულებაზე აფხაზეთის მიმართ. ეს არ არის ტურისტისა თუ დამსვენებლის ზედაპირული აღტაცება მშვენიერი მხარით - ესაა დაბრუნება ადგილზე, რომელსაც პოეტი უაღრესად ძვირფას, ახლობელ, თითქმის ცოცხალ არსებად აღიქვამს. პოეტი თითქოს ცდილობს დაუბრუნდეს არა მხოლოდ ფიზიკურ სივრცეს, არამედ იმ ბედნიერების განცდას, რომელიც ამ ადგილთან იყო დაკავშირებული.

5. რომელი სიტყვები მეორდება ლექსში? რამდენჯერ? თქვენი აზრით, რას მატებს ეს ლექსს?

პასუხი: ლექსში რამდენიმე სიტყვა მეორდება: ზმნა „მომენატრა“ - ორჯერ; ზედსართავი „მშობლიური“ - ორჯერ; ხოლო ზმნა „მომაგებე“ - სამჯერ.

კომენტარი: სიტყვების გამეორებით ლექსში ნათლად წარმოჩნდება:

რიტმულობა და მუსიკალურობა - ლექსი თითქოს სიმღერას ან საგალობელს ემსგავსება, რომელშიც თხოვნის/ვედრების ინტონაცია იკვეთება.

აზრობრივი დატვირთვა - გამეორებული სიტყვების მეშვეობით მკითხველი მყისიერად გაიაზრებს მთავარ თემას, ძირითად აზრს.

ემოციური დაძაბულობა - ზმნის „მომაგებე“ გამეორება მზარდი ემოციის მატარებელია - ყოველი მომდევნო გამეორება თხოვნას უფრო მეტ ინტენსივობას ანიჭებს. პოეტი თითქოს სულ უფრო მოუთმენლად ცდილობს დაბრუნდეს იქ, სადაც მისთვის ყველაფერი ნაცნობი და მშობლიურია, სადაც თავს დაცულად და მყუდროდ გრძნობს.

სიახლოვის განცდა - იკვეთება პოეტის ღრმა, სულიერი კავშირი აფხაზეთთან. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი გალაკტიონისთვის „დაკარგული სამოთხეა“ და პოეტს იქ დაბრუნების დაუოკებელი სურვილი აქვს.

6. როგორ ფიქრობთ, ლექსში აფხაზეთის პირველად ნახვის შთაბეჭდილებაა გადმოცემული? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

კომენტარი: ლექსში გადმოცემულია არა აფხაზეთის პირველად ნახვის შთაბეჭდილება, არამედ ლირიკული გმირის ამ მხარესთან სიახლოვის, სიყვარულის, ძველი მეგობრობის გამოცდილება. როცა პოეტი ამბობს „მომენატრა“, ამ სიტყვაში გულისხმობს, რომ აფხაზეთის მზე და ზღვა მისთვის კარგად ნაცნობი და მიმზიდველია. სიტყვები „იგივე პალმა“ მიგვანიშნებს, რომ გალაკტიონი ნაცნობ ადგილს იხსენებს, ასევე მხატვრული სახეები - „მშობლიური გემი“ და „მშობლიური მიწა“ - მიგვანიშნებს მათთან პოეტის სიახლოვეზე, ხოლო როცა ის „ძველ მეგობრად“ მოიხსენიებს საკუთარ თავს, ამით ამტკიცებს, რომ აფხაზეთთან მას დიდი ხნის ნაცნობობა და სიყვარული აკავშირებს.

რუბრიკა „დააკვირდით“

1. თქვენი აზრით, შეესაბამება თუ არა ილუსტრაცია ლექსის განწყობილებას? თქვენი მოსაზრება ახსენით.

კომენტარი: ილუსტრაციაზე წარმოდგენილია პეიზაჟის დეტალები - ულამაზესი მოლურჯო-მომწვანო მთები, მათ ფონზე სანატორიუმის თეთრი შენობა, ლურჯი ზღვა და გემი, პალმის რტოები და ლურჯი, კამკამა ცა. ეს გვიცოცხლებს გალაკტიონის ლექსის მხატვრულ სახეებს, ზღვისპირა ქალაქის მშვენიერ პანორამას, ლირიკული გმირის ამაღლებულ განწყობას და მნახველშიც აღძრავს საყვარელი, მშობლიური გარემოს მონატრებისა და სიყვარულის ემოციებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ილუსტრაცია სრულად შეესაბამება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის განწყობილებას.

2. მწერალი ოსტატურად იყენებს ფერებს და პირველივე სტრიქონებიდან თითქოს „სიტყვის ფუნჯით“ ხატავს. დააკვირდით სიტყვებს: „ლურჯო მთებო“, „თეთრო სანატორია“ და ისაუბრეთ, რა განწყობილებას გიქმნით ისინი.

კომენტარი: ლექსში ლურჯსა და თეთრ ფერებს სიმბოლური დატვირთვა აქვს. გალაკტიონისთვის ფერი დეკორატიული ელემენტი კი არა, განწყობის მატარებელი კოდია. ლურჯი აქ ორმაგ ფუნქციას ასრულებს - ერთი მხრივ, რეალური პეიზაჟის აღსაწერად გამოიყენება, მეორე მხრივ კი, სიმბოლურად უსასრულობის, სივრცის, მიუწვდომლობისა და ოცნების ფერია. ლურჯში იკითხება ჰორიზონტისკენ სწრაფვაც - თითქოს პოეტის სულიც ამ მთების იქითა მხარეს ან იდეალურ სამყაროში მიისწრაფვის. სანატორიის (სანატორიუმის) თეთრი ფერი კი მიანიშნებს სიწმინდესა და სულიერ განწმენდაზე. საგულისხმოა, რომ სანატორია (სანატორიუმი) რეალურადაც დასვენების, გამოჯანმრთელების ადგილია, ამიტომ ეს სახე ერთდროულად კონკრეტულ-რეალისტურიცაა და სიმბოლურ-ალეგორიულიც - ფიზიკურ დასვენებას სულიერი შვების მეტაფორად აქცევს.

ეს ორი ფერი ერთმანეთს ავსებს: ლურჯი - სწრაფვა და ლტოლვა, თეთრი - მიღწეული სიმშვიდე. ამგვარად, უკვე პირველივე სტრიქონებში ლექსი ორ სამყაროს გვთავაზობს: წუხილისა და შვების, გაყრისა და შეხვედრის სამყაროებს. ორივე ფერი აფხაზეთის მშვენიერებასთან მიახლოების სურვილს აღძრავს მკითხველში. განწყობა ამაღლებულია და აღსავსეა მშობლიური მიწის სიყვარულის გულწრფელი ემოციებით.

3. თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ამგვარი დეტალების აღწერა? რომელი დეტალი გეხმარებათ ყველაზე მკაფიოდ იმის წარმოდგენაში, თუ რას გრძნობს პოეტი?

კომენტარი: ამგვარი დეტალების აღწერით პოეტი აფხაზეთის კოლორიტს აცოცხლებს. საყოველთაოდ ცნობილია გალაკტიონის სიყვარული ამ მხარისადმი, ქალაქ სოხუმისადმი, ყველაზე მკაფიოდ ავტორის გრძნობების წარმოდგენაში გვეხმარება სიყვარულით გამთბარი სიტყვები: „მომენატრა მზე, სინათლის მფენი, მომენატრა ზღვა, რომელიც შორია“... აქ აფხაზეთის „ძველი მეგობრის“ უჩვეულო მონატრება და ამ მიწასთან მიახლოების სურვილი იგრძნობა.

4. ლექსში ვკითხულობთ: „მომენატრა ზღვა, რომელიც შორია“. დააკვირდით სიტყვას „მომენატრა“ და ისაუბრეთ: თქვენი აზრით, აქ ფიზიკური მანძილი იგულისხმება (ზღვის სიშორე) თუ მიუწვდომელი ოცნება (მაგ.: შინაგანი თავისუფლება, რომელსაც ზღვა განასახიერებს)? რატომ ფიქრობთ ასე?

კომენტარი: სიტყვებში „მომენატრა ზღვა, რომელიც შორია“ არ იგულისხმება ფიზიკური

მანძილი, არამედ მიუწვდომელი, შორეული ოცნება, შეუზღუდავი შინაგანი თავისუფლების განცდა, რომელსაც ზღვა განასახიერებს (აქ შესაძლებელია მოსწავლეებს შევახსენოთ გალაკტიონის ლექსი „ზღვა ახმაურდა“, რომელიც წარმოდგენილია რუბრიკაში „მოემზადეთ წასაკითხად“). ამდენად, „შორი“ ზღვა გამოხატავს არა ფიზიკურ სიშორეს, არამედ სულიერ მდგომარეობას - მარადიულ სწრაფვას იდეალურისკენ, რისი მიღწევაც სრულად არასდროს შეიძლება. სწორედ ამიტომ რჩება ის მუდამ ერთგვარად „შორს”, თუნდაც პოეტი ფიზიკურად დაუბრუნდეს ამ ადგილს.

გალაკტიონის შემოქმედებაში ამგვარი საოცნებო მხარეები, მისტიკური, იდუმალი, მშვენიერი სივრცეები ხშირად ჩნდება. გალაკტიონი მეოცნებეა და მისი უმდიდრესი ფანტაზია ქმნის ზღაპრულ, არარეალურ სამყაროს, სადაც მისი სული შვებას პოულობს.

რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“
დავალება 2: ლოგიკური განსაზღვრება თუ ეპითეტი?

პასუხი:

ა) ბიჭი ცივ (ლოგიკური განსაზღვრება) ამინდში მარტო დახეტიალობდა.

ბ) მისი მგრძნობიარე (ეპითეტი) ბუნება სინამდვილის სისასტიკეს ვერ უძლებდა.

გ) ქალმა სველი (ლოგიკური განსაზღვრება) ჭურჭელი გაამშრალა.

დ) პოეტი მტანჯველ (ეპითეტი) ფიქრებს ატანდა ქარს.

ე) ხმელი (ლოგიკური განსაზღვრება) წიფლის ქვეშ მწვანე (ლოგიკური განსაზღვრება) ბალახი აბიბინდა.

ვ) ვაჟა-ფშაველა დიდებული (ეპითეტი) მთების შვილი იყო.

დავალება 3: დააკვირდით ლექსში გამოყენებულ ეპითეტებს და ისაუბრეთ, აფხაზეთის როგორ „პორტრეტს“ გვიხატავს გალაკტიონი მათი საშუალებით.

პასუხი: „ლურჯი“, „თეთრი“, „სინათლის მფენი“, „შორი“, „მშვენიერი“, „მშობლიური“ - გალაკტიონი გვიხატავს აფხაზეთის მისთვის საყვარელ, თბილ, ახლობელ გარემოს.

რუბრიკა „ლიტერატურული მეგზური“

იპოვეთ ლექსში ზმნა, რომელიც გამოკვეთს ლირიკული გმირის პირად გრძნობას, დაკავშირებულს აფხაზეთთან.

კომენტარი: ზმნა „მომენატრა“ გამოხატავს ლირიკული გმირის ღრმა ემოციებს, განსაკუთრებულ სიყვარულს აფხაზეთისადმი.

რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“

დავალება 1.

ა) **გადაიწერეთ ეპითეტების მაგალითები და თითოეულს მიუწერეთ შესაბამისი ლოგიკური განსაზღვრება სიტყვათა ჩამონათვალიდან (იხელმძღვანელეთ ნიმუშით).**
გაითვალისწინეთ: ჩამონათვალში მოცემულია ერთი ზედმეტი სიტყვა.
ნიმუში. თალხი ღრუბლები - შავი ღრუბლები.

პასუხი:

- ცასაწვდენილი კლდეები - ძალიან მაღალი კლდეები;
- ჭაღარა მთა - თოვლიანი მთა;
- მარტოსული კოშკი - განმარტოებით მდგარი კოშკი;
- მრისხანე მდინარე - ადიდებული მდინარე;
- წმინდა ნაკადული - სუფთა ნაკადული.

ბ) დააკვირდით ლოგიკური განსაზღვრებებისა და ეპითეტების წყვილებს, რომლებიც შეადგინეთ. ისაუბრეთ: რომელი უფრო შთამბეჭდავია - ლოგიკური განსაზღვრება თუ ეპითეტი? რომელი ქმნის ემოციას? თქვენი მოსაზრება ახსენით.

კომენტარი: მოცემულ წყვილებს შორის უფრო ემოციური და შთამბეჭდავია მხატვრული ეპითეტები. ლოგიკური განსაზღვრება მარტივად გვიქმნის წარმოდგენას საგნის მახასიათებლებზე, მის ნიშან-თვისებებზე, ხოლო მხატვრული ეპითეტის წყალობით საგნის ნიშან-თვისებასთან ერთად იკვეთება მისადმი ემოციური დამოკიდებულება, ხშირად საგანი/მოვლენა ეპითეტის წყალობით გასულიერებულია, ეპითეტის სემანტიკა გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ლოგიკური ეპითეტით გამოხატული მნიშვნელობა.

დავალება 2. ქვემოთ მოცემული სამი ნახატიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი. შემდეგ შეეცადეთ მოიფიქროთ სიტყვები, რომლებიც ემოციურად დაახასიათებს ნახატზე გამოსახულ გარემოსა თუ ცალკეულ დეტალებს.

ამისთვის:

- დაფიქრდით, როგორ განწყობილებას გიქმნით ეს ნახატი. დააკვირდით, რა არის გამოსახული, როგორი ფერებია გამოყენებული, როგორ არის გადმოცემული განათება. ყურადღება მიაქციეთ დეტალებს: ხეებს, შენობებს, მზეს, ღრუბლებს ... წარმოიდგინეთ, რა ხმები შეიძლება ისმოდეს ამ გარემოში, რა სურნელი შეიძლება შეიგრძნოთ.
- წერილობით აღწერეთ ნახატი: გამოსახულებები, დეტალები, ფერები, ფორმები. რას მოგაგონებთ, რა ემოციებს იწვევს თქვენში.
- გადაიკითხეთ ჩანაწერი. შეარჩიეთ და კლასის წინაშე ისაუბრეთ იმ სიტყვებზე, რომლებიც თქვენს ემოციებსა და წარმოდგენებს გამოხატავს.

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

1. იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ ამ შეკითხვებზე პასუხების გაცემა, გაამახვილეთ მათი ყურადღება შემდეგ დეტალებზე:
   - ✓ **წელიწადის დრო და სიუჟეტი:** რა გარემოა გამოსახული ტილოზე? წელიწადის რომელი დროა? დღის რომელი მონაკვეთია (მაგ.: დილა, შუადღე, საღამო, ღამე)?
   - ✓ **ფერები და განათება:** როგორია განათება, როგორი ფერები ჭარბობს ნამუშევარში?
   - ✓ **ხაზები და კომპოზიცია:** როგორია სურათის კომპოზიცია (მაგ.: მოძრაობაა გამოსახული თუ უძრაობა) და როგორ აძლიერებს ეს მხატვრულ ჩანაფიქრს?

2. წაახალისეთ მოსწავლეები, რომ სურათებზე დაკვირვებისას მოიფიქრონ ემოციების გამომხატველი თუ ხატოვანი სიტყვები, ეპითეტები ან/და სხვა ნაცნობი ტროპები (შეუძლიათ გამოიყენონ ეპითეტები, რომლებზეც იმუშავეს ადრე შეთავაზებული სავარჯიშოს ფარგლებში).

ქვემოთ, თითოეულ ნამუშევართან, საორიენტაციოდ მოცემულია ამგვარი სიტყვები და ფრაზები. შეგიძლიათ კლასში წარადგინოთ ისინი, მაგრამ იმისთვის, რომ მოსწავლეები მხოლოდ შეთავაზებული სიტყვებით არ შემოიფარგლონ, აუცილებლად დასვით შეკითხვები, რომლებიც ბიძგს მისცემს მოსწავლეთა წარმოსახვას, ასოციაციების წარმოქმნას და გამოიხმობს მათი მეხსიერებიდან ემოციების გამომხატველ თუ ხატოვან სიტყვებს (ქვემოთ მოყვანილია ამ ტიპის შეკითხვების ნიმუშები დავით კაკაბაძის ტილოსთან დაკავშირებით).

გაითვალისწინეთ: მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, შეგიძლიათ როგორც საორიენტაციო სიტყვებისა და წინადადებების, ისე შეკითხვების მოდიფიცირება ან მოიფიქროთ და მოსწავლეებს შესთავაზოთ სრულიად განსხვავებული სიტყვები, წინადადებები თუ შეკითხვები.



1. დავით კაკაბაძე, „იმერეთის პეიზაჟი“

საორიენტაციო სიტყვები და წინადადებები

სიმშვიდე, სითბო, ხასხასა მწვანე, ნარინჯისფერი, მოყავისფრო-წითელი, მიწის მზისფერი ნაჭერი; ხალიჩა; მცხუნვარე მზე; კაშკაშა ფერები; მარტოსული კოშკი; კოშკი ბევრ საიდუმლოს ინახავს და ჩვენს წარსულზე ჩურჩულით გვიყვება; აშოლტილი კვიპაროსები; კვიპაროსები ამ ძველ ციხეს სდარაჯობენ, მისი ერთგული გუშაგები არიან; სისხლივით წითელი ყვავილები გაწყვეტილი მძივის მარცვლებივითაა მიმობნეული მიწაზე; თიხისფერი გზა თითქოს გვეძახის, რომ გავყვეთ და ვნახოთ, სად მიგვიყვანს; მზით გამთბარი მიწა; ყვავილების ტკბილი სურნელი; ჭრიჭინების ხმა; არაფერი მოძრაობს, დრო თითქოს გაჩერებულია და ყველაფერი ისვენებს...

საორიენტაციო შეკითხვები:

- რა ფერებს ხედავთ? რა ემოციას აღგიძრავთ ეს ფერები?
- თქვენი აზრით, წელიწადის რა დროა გამოსახული? დღის რომელი მონაკვეთია (მაგ.: დილა, შუადღე)? რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ ფიქრობთ, რა სურნელი იდგება ნახატზე ასახულ გარემოში? რა ხმებს გაიგონებდით ამ ადგილზე ყოფნისას?
- როგორ ფიქრობთ, რა „ხასიათი“ აქვს ამ კოშკს - მოწყენილია, ამაყია თუ დაღლილი? კიდევ რა სიტყვებით დაახასიათებდით მის „განწყობას“?
- ამ ციხე-კოშკის ლაპარაკი რომ შეეძლოს, რას გვეტყოდა თავისი წარსულიდან? როგორ სიტყვებს გამოიყენებდა, როგორ იმეტყველებდა (მაგ.: ხმამაღლა, ჩუმად, სევდიანად, მკაცრად)?
- კიდევ რას შეიძლება შევადაროთ ეს წითელი ყვავილები, გარდა „გაწყვეტილი მძივისა“?
- კიდევ რას შეიძლება შევადაროთ კვიპაროსები, გარდა „ერთგული გუშაგებისა“?
- რას შეადარებთ თეთრ ყვავილებს, რას მოგაგონებთ ისინი?
- რას იგრძნობდით, ამ გზაზე ფეხით რომ გაგევლოთ? (მაგ.: „თბილ, ფხვიერ მიწას ფეხქვეშ“);
- როგორ ფიქრობთ, რა ხდება ამ მაღალი მთების გადაღმა?
- თქვენთვის ნაცნობ რომელ კუთხეს ან ადგილს გახსენებთ ეს სურათი? კონკრეტულად რით ჰგავს იგი ამ სურათზე გამოსახულ გარემოს?
- კიდევ რა „ფერები“ და „ხმები“ იმალება ამ სურათში, რასაც ერთი შეხედვით ვერ ვამჩნევთ?
- დაეხმარეთ ამ სურათს, რომ „ალაპარაკდეს“ - რა იქნებოდა მისი მთავარი ფრაზა?
- თქვენი აზრით, მოცემული სიტყვებიდან/ფრაზებიდან რომელი შეესაბამება ყველაზე მეტად სურათის განწყობას? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე - დაასახელეთ ნახატის კონკრეტული დეტალი ან დეტალები.
- თქვენი აზრით, მოცემულ სიტყვებს/ფრაზებს შორის არის თუ არა ისეთი სიტყვა ან წინადადება, რომელიც არ შეესაბამება ნახატს? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე - რომელი კონკრეტული დეტალი ან დეტალები არ შეესაბამება ამ სიტყვას/სიტყვებს?
- რომელ სიტყვას/სიტყვებს ან წინადადებას დაამატებდით ჩამონათვალში?



2. ელენე ახვლედიანი, „სოხუმის კუთხე“

საორიენტაციო სიტყვები და წინადადებები

ბუნება ემზადება ქარიშხლისათვის; ცასაწვდენილი ანძა; აბობოქრებული ზღვის ტალღების გუგუნი; მარილიანი ზღვისა და ახლად გარეცხილი სარეცხის სურნელი; ახლად გარეცხილი სარეცხის სუნი; ქარში მოფრიალე სარეცხის ტკაცუნის ხმა; საკვამურიდან ამოსული ბოლი ოჯახური მყუდროებისა და სითბოს განცდას აჩენს; ცაში თითქოს სინათლე და სიბნელე ებრძვის ერთმანეთს; ხის კენწერო თითქოს ღრუბლებში იკარგება; შიში, მღელვარება; ცის განათებული მხარე იმედს გვაძლევს; ისევ ამობრწყინდება მაცოცხლებელი მზე.



3. თენგიზ მირზაშვილი, „სვანეთი“
საორიენტაციო სიტყვები და წინადადებები

იდუმალი; მტკიცე და პირქუში კოშკები; გმირული წარსული; მუქი, მიწისფერი ტონები; საუკუნეების ისტორიას გვიცოცხლებს; კოშკს სახლები ეკვრის; სახლების სიმშვიდეს კოშკის სიძლიერე იცავს; სევდიანი; წყნარი; ცხოველების ხმიანობა; ქალების წყნარი საუბარი; დაცულობა; სიმშვიდე; სევდა.

რუბრიკა „წერითი დავალება“

თქვენს მშობლიურ კუთხეზე, სოფელზე ან ქალაქზე დაწერეთ თხზულება, რომელშიც გადმოსცემთ, როგორია იგი, რითია ღირსშესანიშნავი. წერისას გამოიყენეთ, სულ მცირე, ორი ეპითეტი.

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

ა) წერის პროცესი

I ეტაპი. წერის დაწყებამდე

1) ემოციური განწყობის შექმნა - გონებრივი იერიში

სანამ მოსწავლეები წერას შეუდგებიან, დაუსვით მათ მაპროვოცირებელი შეკითხვები, მაგალითად:

- ✓ რა გახსენდებათ პირველად, როცა თქვენს კუთხეზე/სოფელზე/ქალაქზე ფიქრობთ?
- ✓ რომელია თქვენი საყვარელი ადგილი და რატომ?
- ✓ რა აოცებთ სტუმრებს, რომლებიც პირველად ჩამოდიან თქვენს კუთხეში/სოფელში/ ქალაქში?
- ✓ რა მთავარი თვისებით გამოირჩევიან ადგილობრივი ადამიანები (მაგ.: არიან გამორჩეულად სტუმართმოყვარეები, მშრომელები, აქვთ საოცარი იუმორი თუ სხვა?)
- ✓ რა არის ისეთი, რასაც მხოლოდ თქვენი კუთხის/ქალაქის/სოფლის ხალხი აკეთებს ან ამბობს სხვანაირად (მაგ.: საინტერესო ტრადიციები, ლეგენდები, კერძები, გამორჩეული კილო, დიალექტური ფორმები - სიტყვები, რომლებსაც სხვა კუთხეში ვერ გაიგებენ; საინტერესო/კოლორიტული ადამიანები)? და მისთ.
- ✓ ამ ტიპის შეკითხვები დაეხმარება მოსწავლეს გაიაზრონ, რომ ნამუშევარში მათ უნდა წარმოადგინონ არა მშრალი, ენციკლოპედიური ტიპის ინფორმაცია, არამედ შექმნან პირადი დამოკიდებულების გამომხატველი ემოციური ტექსტი - ფოკუსირდნენ ცოცხალ დეტალებზე და არ შემოიფარგლონ ზოგადი, ბანალური ფრაზებით (მაგ.: „ჩვენს კუთხეში ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს“).

2) **არჩევანის თავისუფლება** - მიეცით თავისუფლება მოსწავლეებს ღირსშესანიშნავი ობიექტის შერჩევისას - აუხსენით, რომ აუცილებელი არაა ისაუბრონ რომელიმე ცნობილ არქიტექტურულ ძეგლზე (მაგ.: ციხესიმაგრეზე, ეკლესია-მონასტერზე) - მათ შეუძლიათ შეარჩიონ ნაკლებად ცნობილი ადგილი, რომელიც პირადად მათთვისაა ღირსშესანიშნავი (მაგ.: უბნის წყარო, ტბა, მდინარის ხეობა, ძველი ხიდი, თავიანთი ეზო და ა.შ.).

3) **ეპითეტის რაობის შეხსენება** - კიდევ ერთხელ შეახსენეთ მოსწავლეებს ეპითეტის რაობა. ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ რუბრიკაში „შემოქმედებითი სახელოსნო“ შეთავაზებული ცხრილი (დავალება 1). აუცილებლად შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ დეტალების აღწერისას არ დაავიწყდეთ ეპითეტების (მხატვრული განსაზღვრებების) გამოყენება.

II ეტაპი. წერის დროს

სტრუქტურის შეთავაზება - შესთავაზეთ მოსწავლეებს მარტივი სამნაწილიანი სტრუქტურა,

რომელსაც ისინი გამოიყენებენ წერის დროს. ამით დაეხმარებით მოსწავლეებს, რომლებსაც შესაძლოა გაუჭირდეთ სათქმელის სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება. მაგალითად:

შესავალი

რომელია თქვენი კუთხე/ქალაქი/სოფელი, როგორია მისი ზოგადი გარემო, რა განწყობას გიქმნით.

ძირითადი ნაწილი

კონკრეტული ღირსშესანიშნაობების აღწერა (მაგ.: ისტორიული ძეგლები, ბუნება, ტრადიციები ანდა ადამიანები) იმის გამოკვეთით, თუ რით არიან ისინი საინტერესო/გამორჩეული.

დასკვნა

თქვენი პირადი დამოკიდებულება - რატომ გიყვართ თქვენი კუთხე/ქალაქი/სოფელი და რას უსურვებდით მას.

III ეტაპი. წერის შემდეგ

ურთიერთშეფასება - ნამუშევარზე მუშაობის დასრულების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს გაცვალონ რვეულები მერხის მეზობელთან. დაავალეთ მათ მოძებნონ და ფერადი ფანქრით გაუსვან ხაზი იმ ეპითეტებს, რომლებიც მათმა თანაკლასელმა გამოიყენა, შემდეგ კი წარმოადგინონ კლასის წინაშე და ისაუბრონ, თუ კონკრეტულად რა მახასიათებელი ან/და ემოციაა გამოკვეთილი ამ ეპითეტების გამოყენებით (რა განწყობას ქმნიან ისინი).

ბ) რეკომენდაციები დიფერენცირებული სწავლებისთვის

- **დიფერენცირება მოსწავლეთა მზაობის დონის მიხედვით**

1) **ვიზუალური ასოციაციები** - მოსწავლეებს შესთავაზეთ დაათვალიერონ აფხაზეთის ბუნების ამსახველი ფოტოები ან ნახონ მოკლე ვიდეორგოლი აფხაზეთის შესახებ. სთხოვეთ აირჩიონ 3 ფოტო/კადრი, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე უკეთ შეესაბამება ლექსის განწყობას და ახსნან, რატომ დაუკავშირეს ისინი გალაკტიონის სტრიქონებს.

2) **„ემოციების ბარათები“** - დაურიგეთ მოსწავლეებს „ემოციების ბარათები“ (სიამაყე, სევდა, აღფრთოვანება, იმედი). ლექსის წაკითხვისას მათ უნდა მოათავსონ ეს ბარათები შესაბამის სტროფებთან და დაასაბუთონ თავიანთი არჩევანი.

3) **სიტყვების კიდობანი** - იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არ აქვთ მდიდარი ლექსიკური მარაგი, შეგიძლიათ წინასწარ შესთავაზოთ თემის შესაბამისი ეპითეტებისა და ემოციების გამომხატველი სიტყვების ჩამონათვალი. ამ ჩამონათვალიდან მოსწავლეებს შეეძლებათ აირჩიონ და ნამუშევარში გამოიყენონ მათთვის სასურველი ლექსიკური ერთეულები.

4) **საწყისი ფრაზები/სიტყვები** - მოსწავლეთა ნაწილს ზოგჯერ უჭირს აზრის ფორმულირება. ამ ჯგუფის დასახმარებლად შეგიძლიათ შეიმუშაოთ და მოსწავლეებს შესთავაზოთ საწყისი ფრაზები/სიტყვები, მაგალითად:

- ✓ „ჩემს კუთხეში/ქალაქში/სოფელში მაშინვე შეამჩნევთ, რომ...“;
- ✓ „ჩემი კუთხის/ქალაქის/სოფლის ყველაზე გამორჩეული ადგილია ....., რადგან....“ / „ჩემი საყვარელი ადგილია ..., რადგან...“
- ✓ „აქ მცხოვრები ადამიანები ყოველთვის ...“.

5) **ვიზუალური საყრდენი -** სთხოვეთ მოიტანონ თავიანთი საყვარელი ადგილის ფოტო და წერის პროცესში მხოლოდ ამ კონკრეტული ფოტოს აღწერაზე ფოკუსირდნენ.

6) მაღალი აკადემიური მზაობის მოსწავლეებისთვის - ამ ჯგუფის მოსწავლეებს შეგიძლიათ

შესთავაზოთ:

- ✓ **ტროპების გამრავალფეროვნება** - არა მხოლოდ ეპითეტების, არამედ მათთვის ნაცნობი სხვა ტროპის/ტროპების გამოყენებაც (მაგ.: გაპიროვნების, რომელზედაც პირველ პარაგრაფში იმუშავეს);
- ✓ **ხედვის კუთხის/პერსპექტივის შეცვლა (როლური წერა**) - დაწერონ თხზულება არა საკუთარი, არამედ სხვისი პერსპექტივიდან, მაგალითად: აღწერონ თავიანთი მშობლიური კუთხე/ქალაქი/სოფელი პირველად ჩამოსული უცხოელი ტურისტის თვალით **ან** ქალაქის მდინარის / ყველაზე ძველი შენობის პერსპექტივიდან, რომელსაც „ყველაფერი ახსოვს“).

· **დიფერენცირება მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით**

ყველა მოსწავლეს თანაბრად არ ეხერხება აზრის გამოხატვა ტრადიციული ესეს სახით. ამიტომ მოსწავლეებს შეგიძლიათ მისცეთ საშუალება, რომ დავალება დაუკავშირონ თავიანთ ინტერესებს (მაგ.: ხატვას, გეოგრაფიას, მედიას, ბუნებისმეტყველებას) და შექმნან განსხვავებული ფორმატის ან/და სახის ნამუშევარი (შემოქმედებითი პროდუქტი). მაგალითად:

- ✓ **ტურისტული გზამკვლევი (ბროშურა)** - მისი გაფორმება მოსწავლეებს შეუძლიათ ნახატებით ან ფოტოებით, რომლებსაც დაურთავენ აღწერით ტექსტებს (სულ მცირე, ორი ეპითეტის გამოყენებით).
- ✓ **სამოგზაურო ბლოგი** - მოსწავლეს შეუძლია მოირგოს ჟურნალისტის როლი და შექმნას ტექსტი თავის კუთხეზე/ქალაქზე/სოფელზე, სულ მცირე, ორი ეპითეტის გამოყენებით.

შენიშვნა: ტურისტული გზამკვლევისა და სამოგზაურო ბლოგის შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია ქვეთავში „დიფერენცირებული დავალებების შეფასების რუბრიკები“ (იხ. ქვემოთ, § 6).

შეფასების რუბრიკები

ვარიანტი 1. (მეტი აქცენტირებით ნამუშევრის მხატვრულ-შემოქმედებით მხარეზე)

ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გაგება-გააზრება	დავალების პირობა ადეკვატურად არის გააზრებული, ნამუშევარი სრულად უპასუხებს ყველა მოთხოვნას.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის არის შესრულებული.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან მცირედი გადახვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ პასუხობს დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ნამუშევარი ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, გამოკვეთილია 3 ნაწილი: გარემოს ზოგადი აღწერა (შესავალი), დეტალები (ძირითადი) და პირადი სურვილი/ დამოკიდებულება (დასკვნა), აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	მაღალი
	ნამუშევარში ძირითადად დაცულია სტრუქტურა, თუმცა რომელიმე ნაწილი (მაგალითად, შესავალი ან დასკვნა) ბუნდოვანია, ვხვდებით ურთიერთდაუკავშირებელ წინადადებებს; აბზაცების გამოყოფის ლოგიკა ზოგჯერ დარღვეულია.	საშუალო
	ტექსტის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში დარღვეულია აზრების ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაწილებს შორის კავშირი ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	აზრები ქაოსურადაა გადმოცემული, არ იკვეთება სტრუქტურა; ლოგიკური თანმიმდევრობა და აბზაცების გამოყოფის პრინციპი დარღვეულია.	საწყისი

III კრიტერიუმი. შინაარსი და შემოქმედებითი აზროვნება/ ხედვა	მოსწავლე საინტერესოდ, კონკრეტული დეტალების ჩვენებით აღწერს თავის კუთხეს/ სოფელს/ქალაქს. ფოკუსირებულია კონკრეტულ ღირსშესანიშნაობებზე (ცნობილ ან პირადად მისთვის ძვირფას ადგილებზე) და კარგად ხსნის, რითია ისინი გამორჩეული. იკვეთება ორიგინალური, არაშაბლონური აზროვნება, შემოქმედებითი ხედვა და ფანტაზია, ემოციური აღმქმელობა. ეპითეტები გამოყენებულია ოსტატურად და ბუნებრივად.	მაღალი
	მოსწავლე აღწერს გარემოს, თუმცა დეტალები ზოგადია და ნაკლებად გამოკვეთს ადგილის ან/და კონკრეტული ღირსშესანიშნაობის სპეციფიკას. იკვეთება ორიგინალური ხედვა და შემოქმედებითი აზროვნება, თუმცა აკლია ემოციური სიღრმე და წარმოსახვის (ფანტაზიის) უნარი. ეპითეტები გამოყენებულია, მაგრამ ზოგჯერ ხელოვნური ან ერთფეროვანია, ან გამოყენებულია მხოლოდ ერთი ეპითეტი.	საშუალო
	ნაწილობრივ იკვეთება მოსწავლის ორიგინალური და შემოქმედებითი ხედვა, მაგრამ ემოცია სუსტად ჩანს, ნაშრომი უფრო მეტად მშრალი აღწერით შემოიფარგლება, ეპითეტის გამოყენების მხოლოდ მწირი მცდელობაა.	საბაზისო
	ნაშრომში მოცემულია მხოლოდ მშრალი ფაქტები. არ ჩანს ემოციური აღმქმელობა, შემოქმედებითი ხედვა, ეპითეტი არაადეკვატურად არის გამოყენებული/ საერთოდ არ არის გამოყენებული.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა და სტილი	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი და ლექსიკა, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; შეიძლება შეგვხვდეს ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია დასმული ამოცანის შესაბამისი ლექსიკა და სტილი, თუმცა ზოგჯერ გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი

V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

ბ) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გაგება-გააზრება	დავალების პირობა ადეკვატურად არის გააზრებული, ნამუშევარი შეესაბამება დასმულ ამოცანას.	1
	დავალების პირობა ადეკვატურად არ არის გააზრებული, ნამუშევარი არ შეესაბამება პირობას.	0
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ნამუშევარი ორგანიზებული, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
	ტექსტი ძირითადად ორგანიზებული და თანმიმდევრულია; მცირე სტრუქტურული ხარვეზები მთლიანობას არ არღვევს; ზოგ შემთხვევაში აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი.	1
	აზრები ქაოსურადაა გადმოცემული, არ იკვეთება სტრუქტურა; ლოგიკური თანმიმდევრობა და აბზაცების გამოყოფის პრინციპი დარღვეულია.	0

III კრიტერიუმი. შინაარსი და შემოქმედებითი აზროვნება/ ხედვა	მოსწავლე საინტერესოდ და კონკრეტული დეტალების ჩვენებით აღწერს თავის კუთხეს/ სოფელს/ქალაქს. ფოკუსირებულია კონკრეტულ ღირსშესანიშნაობებზე (ცნობილ ან პირადად მისთვის ძვირფას ადგილებზე) და კარგად ხსნის, რითია იგი გამორჩეული. იკვეთება ორიგინალური, არაშაბლონური აზროვნება, შემოქმედებითი ხედვა და ფანტაზია, ემოციური აღმქმელობა. ეპითეტები გამოყენებულია ოსტატურად და ბუნებრივად.	3
	მოსწავლე აღწერს გარემოს, თუმცა დეტალები ზოგადია და ნაკლებად გამოკვეთს ადგილის ან/და კონკრეტული ღირსშესანიშნაობის სპეციფიკას. იკვეთება ორიგინალური ხედვა და შემოქმედებითი აზროვნება, თუმცა აკლია ემოციური სიღრმე და წარმოსახვის (ფანტაზიის) უნარი. ეპითეტები გამოყენებულია, მაგრამ ზოგჯერ ხელოვნური ან ერთფეროვანია, ან გამოყენებულია მხოლოდ ერთი ეპითეტი.	2
	ნაწილობრივ იკვეთება მოსწავლის ორიგინალური და შემოქმედებითი ხედვა, მაგრამ ემოცია სუსტად ჩანს, ნაშრომი უფრო მეტად მშრალი აღწერით შემოიფარგლება, ეპითეტის გამოყენების მხოლოდ მწირი მცდელობაა.	1
	ნაშრომში მოცემულია მხოლოდ მშრალი ფაქტები. არ ჩანს ემოციური აღმქმელობა, შემოქმედებითი ხედვა, ეპითეტი არაადეკვატურად არის გამოყენებული/ საერთოდ არ არის გამოყენებული.	0
IV კრიტერიუმი. ლექსიკა და სტილი	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი და ლექსიკა, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; შეიძლება შეგვხვდეს ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	2
	ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია დასმული ამოცანის შესაბამისი ლექსიკა და სტილი, თუმცა ზოგჯერ გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება.	1
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	0
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ნაშრომი ენობრივად გამართულია, მცირე ხარვეზები ხელს არ უშლის ტექსტის აღქმას.	2
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	1
	ტექსტში ხშირია მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და/ან პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც ართულებს ან მნიშვნელოვნად აფერხებს აზრის გაგებას.	0

შეადარეთ ერთმანეთს ორი ნაწარმოები: ნიკო ლორთქიფანიძის „მოუარეთ საქართველოს“ და გალაკტიონ ტაბიძის „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ ორივე მწერალი სამშობლოს სიყვარულზე გვესაუბრება, თუმცა სხვადასხვა „ენითა“ და განწყობით.

1. დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ ცხრილს და ისაუბრეთ, რომელ ნაწარმოებს უკავშირდება მეორე სვეტში მოყვანილი მახასიათებლები.

ცხრილი შევსებული სახით

ტექსტის ელემენტი	**მახასიათებელი**	
განწყობა	ა) მონატრება, სითბო, მოგონება. ბ) პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა.	„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ „მოუარეთ საქართველოს!“
სამშობლოს სახე	ა) დიდებული, ისტორიული, მებრძოლი. ბ) ნათელი, მშვიდი.	„მოუარეთ საქართველოს!“ „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“
მთავარი მოწოდება	ა) თხოვნა, გაფრთხილება. ბ) მისალმება, მეგობრობის თხოვნა.	„მოუარეთ საქართველოს!“ „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“
ფერები	ა) ჰარმონიული, ნათელი. ბ) კონტრასტული.	„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ „მოუარეთ საქართველოს!“
ხმა	ა) მრავალგვარი. ბ) უხმაურო, ჩუმი.	„მოუარეთ საქართველოს!“ „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

2. **წერითი დავალება:** ცხრილზე დაყრდნობით დაწერეთ, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვს ამ ორ ნაწარმოებს, როგორია თქვენი დამოკიდებულება მათ მიმართ.

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის

წერის პროცესი

I ეტაპი. წერის დაწყებამდე

1) მოცემული დავალების შესასრულებლად კლასს შესთავაზეთ კოგნიტური სქემა „ვენის დიაგრამა“, რომლის წრეების მარჯვენა და მარცხენა მხარეს გამოიყოფა თითოეულ ტექსტში გამოხატული სამშობლოს მახასიათებლები, ხოლო წრეების გადაკვეთის ზონაში - საერთო მახასიათებელი.

საერთოა: მშობლიური გარემო, რომელიც ავტორის დიდი სიყვარულის ობიექტია, საქართველოს მთიანეთი (აფხაზეთის ლურჯი მთები და მყინვარი), შენობები (ბაგრატის ტაძარი და სოხუმის სანატორიუმი), ძვირფასი ადამიანები (სულის მესაიდუმლე შოთა და გალაკტიონის პოეზიის მოყვარული მშვენიერი ქალი), წყალი (სამი მდინარე და შორი ზღვა).

განსხვავებულია: განწყობა (გალაკტიონთან - მშვიდი, ლორთქიფანიძესთან - მღელვარე), მშობლიური გარემოს გამოსახვა (გალაკტიონთან - ნათელი, მშვიდი, მაკურნებელი, ლორთქიფანიძესთან - მებრძოლი, მძიმე ისტორიული წარსულის გამომსახველი), მოწოდება (გალაკტიონთან - მეგობრობის თხოვნა და მისალმება, სიყვარულის ახსნა, ლორთქიფანიძესთან

- თხოვნა, გაფრთხილება, მოწოდება ბრძოლისკენ), ფერები და ხმა (გალაკტიონთან - ნათელი, მშვიდი, იდუმალი, ჩუმი, ლორთქიფანიძესთან - კონტრასტული, ხმაურიანი, მღელვარე).

2) გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება იმაზე, რომ დავალების მეორე ნაწილში (პირადი დამოკიდებულების გამოხატვა) არ არსებობს „სწორი“ ან „არასწორი“ პასუხი. მთავარია, მათ ნათლად გადმოსცენ საკუთარი ემოცია და არგუმენტირებულად ახსნან/დაასაბუთონ იგი.

II ეტაპი. წერის დროს

1) **სიტყვიერი საყრდენები** - შესთავაზეთ მოსწავლეებს ე.წ. „დამხმარე/გარდამავალი“ ფრაზები შესადარებლად ან პირადი დამოკიდებულების გამოსახატავად, რომლებიც წერის პროცესში გამოადგებათ, მაგალითად: „ორივე ნაწარმოებს აერთიანებს...“, „განსხვავებით ნიკო ლორთქიფანიძისგან, გალაკტიონი...“, „თუ პირველ ტექსტში ვხედავთ..., მეორე ტექსტში...“, „ჩემი აზრით...“, „ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რადგან...“; „საერთო თემის მიუხედავად, მათი განწყობა განსხვავდება. გალაკტიონთან ვხვდებით... ხოლო ნიკო ლორთქიფანიძესთან...“.

2) ნამუშევრის გეგმის შეთავაზება - შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ ნამუშევრის გეგმა. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც უჭირთ ნამუშევრის სტრუქტურირება, მაგალითად:

- ✓ **შესავალი:** ზოგადი საუბარი მთავარ თემაზე – სამშობლოს სიყვარული, როგორც ორივე ავტორის შთაგონების წყარო და მათი განსხვავებული მიდგომა (სხვადასხვა „ენა“).
- ✓ **ძირითადი ნაწილი 1 (საერთო ნიშნები ცხრილზე დაყრდნობით):** რა აერთიანებს ამ ტექსტებს (მაგ.: პატრიოტიზმი, სამშობლოზე ზრუნვის მოტივი, ემოციური დამოკიდებულება)?
- ✓ **ძირითადი ნაწილი 2 (განმასხვავებელი ნიშნები ცხრილზე დაყრდნობით):** როგორია სამშობლოს სახე თითოეულ ტექსტში? როგორია განწყობა და რა მხატვრული საშუალებებით (ფერები, ხმები) ქმნიან ავტორები ამ განწყობას?
- ✓ **დასკვნა (პირადი დამოკიდებულება):** რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ორივე ნაწარმოებმა? რომელი მიდგომა უფრო ახლობელია თქვენთვის და რატომ?

· **წერის პროცესის შემდგომი აქტივობა**

წერის დასრულების შემდეგ შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ ხმამაღლა წაიკითხონ ნამუშევრის მეორე ნაწილი, რომელშიც მათი პირადი დამოკიდებულებაა წარმოჩენილი. ამ გზით შესაძლებელი იქნება საინტერესო დისკუსიის წამოწყება. ამას გარდა, მოსწავლეები გააცნობიერებენ, თუ რამდენად განსხვავებულად შეიძლება აღიქვას სხვადასხვა ადამიანმა ერთი და იგივე ლიტერატურული ტექსტი.

შეფასების რუბრიკები

ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

I კრიტერიუმი. ცხრილის მონაცემების გააზრება და ანალიზი	დონე
მოსწავლე სრულყოფილად იყენებს ცხრილს. ზუსტად, ლოგიკურად და სიღრმისეულად მსჯელობს ორივე ნაწარმოების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე (განწყობა, სამშობლოს სახე, მოწოდება, ფერები, ხმა).	მაღალი
მოსწავლე იყენებს ცხრილს, თუმცა შედარება ზოგადია. გამოვლენილია ნიშნები, მაგრამ ანალიზი არ არის სიღრმისეული ან გამორჩენილია 1-2 მნიშვნელოვანი ელემენტი.	საშუალო
მოსწავლე ნაწილობრივ იყენებს ცხრილს, უჭირს საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოკვეთა. მსჯელობა ზედაპირულია ან ეხება მხოლოდ ერთ ნაწარმოებს.	საბაზისო
დავალების პირობა არ არის სწორად გაგებული, ცხრილის მონაცემები არ არის გამოყენებული ან მსჯელობა აცდენილია თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება	**დონე**
მოსწავლე ნათლად, დამაჯერებლად და არგუმენტირებულად გადმოსცემს საკუთარ დამოკიდებულებას (ემოციას, შთაბეჭდილებას) ორივე ნაწარმოების მიმართ.	მაღალი
მოსწავლე გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, თუმცა დასაბუთება სუსტია ან შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით.	საშუალო
პირადი დამოკიდებულება ბუნდოვანია, წარმოდგენილია მხოლოდ 1-2 მშრალი, დაუსაბუთებელი წინადადებით.	საბაზისო
პირადი დამოკიდებულება ორივე ნაწარმოების მიმართ საერთოდ არ არის გამოხატული.	საწყისი
III კრიტერიუმი. ტექსტის სტრუქტურა-ორგანიზება	**დონე**
ნამუშევარს აქვს მკაფიო სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად უკავშირდება ერთმანეთს, აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	მაღალი
ნამუშევრის სტრუქტურა მეტნაკლებად დაცულია, თუმცა ზოგჯერ ირღვევა აზრთა ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცები ზოგჯერ სწორად არ არის გამოყოფილი.	საშუალო
ნამუშევარი ფრაგმენტულია, არ ჩანს მკაფიო სტრუქტურა/აკლია სტრუქტურული ნაწილი (მაგ.: არ არის გამოყოფილი დასკვნა/შესავალი); აბზაცები უმეტესწილად არ არის გამოყოფილი.	საბაზისო
ნამუშევარი მოკლებულია ყოველგვარ სტრუქტურას, არ ჩანს ლოგიკური კავშირები, აზრის თანმიმდევრობა დარღვეულია, აბზაცები გამოყოფილი არ არის.	საწყისი

IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	**დონე**
ტექსტი სტილისტურად გამართულია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, გამოყენებულია მდიდარი ლექსიკა; არ გვხვდება ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი, მცირე სტილისტური ხარვეზი ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	საშუალო
ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	**დონე**
ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

ბ) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	9-10 ქულა (მაღალი დონე)	7-8 ქულა (საშუალო დონე)	5-6 ქულა (საბაზისო დონე)	1-4 ქულა (საწყისი დონე)
I. ცხრილის მონაცემების გააზრება და ანალიზი	მოსწავლე სრულყოფილად იყენებს ცხრილს. ზუსტად, ლოგიკურად და სიღრმისეულად მსჯელობს ორივე ნაწარმოების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე (განწყობა, სამშობლოს სახე, მოწოდება, ფერები, ხმა).	მოსწავლე იყენებს ცხრილს, თუმცა შედარება ზოგადია. გამოვლენილია ნიშნები, მაგრამ ანალიზი არ არის სიღრმისეული ან გამორჩენილია 1-2 მნიშვნელოვანი ელემენტი.	მოსწავლე ნაწილობრივ იყენებს ცხრილს, უჭირს საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოკვეთა. მსჯელობა ზედაპირულია ან ეხება მხოლოდ ერთ ნაწარმოებს.	დავალების პირობა არ არის სწორად გაგებული, ცხრილის მონაცემები არ არის გამოყენებული ან მსჯელობა აცდენილია თემას.
II კრიტერიუმი. პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება	მოსწავლე ნათლად, დამაჯერებლად და არგუმენტირებულად გადმოსცემს საკუთარ დამოკიდებულებას (ემოციას, შთაბეჭდილებას) ორივე ნაწარმოების მიმართ.	მოსწავლე გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, თუმცა დასაბუთება სუსტია, ან შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით	პირადი დამოკიდებულება ბუნდოვანია, წარმოდგენილია მხოლოდ 1-2 მშრალი, დაუსაბუთებელი წინადადებით.	პირადი დამოკიდებულება ორივე ნაწარმოების მიმართ საერთოდ არ არის გამოხატული.
III კრიტერიუმი. ტექსტის სტრუქტურა-ორგანიზება	ნამუშევარს აქვს მკაფიო სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად უკავშირდება ერთმანეთს, აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	ნამუშევრის სტრუქტურა მეტნაკლებად დაცულია, თუმცა ზოგჯერ ირღვევა აზრთა ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცები ზოგჯერ სწორად არ არის გამოყოფილი.	ნამუშევარი ფრაგმენტულია, არ ჩანს მკაფიო სტრუქტურა/ აკლია სტრუქტურული ნაწილი (მაგ.: არ არის გამოყოფილი დასკვნა/ შესავალი); აბზაცები უმეტესწილად არ არის გამოყოფილი.	ნამუშევარი მოკლებულია ყოველგვარ სტრუქტურას, არ ჩანს ლოგიკური კავშირები, აზრის თანმიმდევრობა დარღვეულია, აბზაცები გამოყოფილი არ არის.

კრიტერიუმი	9-10 ქულა (მაღალი დონე)	7-8 ქულა (საშუალო დონე)	5-6 ქულა (საბაზისო დონე)	1-4 ქულა (საწყისი დონე)
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	ტექსტი სტილისტურად გამართულია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, გამოყენებულია მდიდარი ლექსიკა; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი, მცირე სტილისტური ხარვეზები ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.

ინსტრუქცია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის გამოყენებისთვის:

- ✓ **კრიტერიუმების შეფასება:** თითოეული კრიტერიუმის ფარგლებში მოსწავლის ნამუშევარს მიანიჭეთ შესაბამისი მთელი ქულა. მაგალითად, თუ კონკრეტულ კრიტერიუმში ნამუშევარი „საშუალო“ დონეს აკმაყოფილებს, მისი ხარისხის გათვალისწინებით, იგი შეიძლება შეფასდეს 6, 7 ან 8 ქულით.
- ✓ **საბოლოო ქულის გამოთვლა:** შეკრიბეთ ხუთივე კრიტერიუმში მიღებული ქულა და გამოთვალეთ საშუალო არითმეტიკული (ჯამი გაყავით 5-ზე). მიღებული რიცხვი დაამრგვალეთ, რათა მიიღოთ მოსწავლის საბოლოო შეფასება 10-ბალიანი სისტემით.

გ) ურთიერთშეფასების რუბრიკა

ინსტრუქცია მოსწავლეებისთვის

გაცვალეთ ნამუშევარი მეწყვილესთან. ყურადღებით წაიკითხეთ მისი ტექსტი და თითოეულ კრიტერიუმთან მონიშნეთ შესაბამისი პასუხი. ბოლოს მიუთითეთ ნამუშევრის ერთი ძლიერი მხარე და მიეცით ავტორს ერთი კონკრეტული რჩევა გაუმჯობესებისთვის.

კრიტერიუმი	**არის**	**ნაწილობრივ არის**	**გასაუმჯობესებელია**
ნამუშევარში ნათლად არის აღნიშნული, რა აერთიანებს ორ ნაწარმოებს.			
ავტორი განმარტავს, როგორაა გამოხატული ორივე ნაწარმოებში სამშობლოს სიყვარული.			
ნათლად არის წარმოჩენილი ნაწარმოებებს შორის განსხვავებები.			
ავტორი მხოლოდ არ ჩამოთვლის მსგავსება-განსხვავებებს, არამედ ხსნის მათ.			
შედარებისას გათვალისწინებულია ცხრილში მოცემული მახასიათებლები: განწყობა, სამშობლოს სახე, მთავარი მოწოდება, ფერები, ხმა.			
მოსაზრებები შეესაბამება ცხრილში მოცემულ ინფორმაციას.			
გამოხატულია ავტორის პირადი დამოკიდებულება ორივე ნაწარმოების მიმართ.			
პირადი დამოკიდებულება ახსნილი და დასაბუთებულია - ჩანს, რატომ მოსწონს, რა შთაბეჭდილებას ახდენს ან რას აფიქრებინებს ნაწარმოები.			

ტექსტში აზრები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დაკავშირებული.			
აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.			
გამოყენებულია შესაფერისი სიტყვები და გამოთქმები.			
ტექსტი ენობრივად გასაგები და გამართულია; დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.			

1. **ნამუშევრის ყველაზე ძლიერი მხარეა:**

_____

2. **ყველაზე მეტად გასაუმჯობესებელია:**

_____

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

1. ნატო კორსანტია, „გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი“, თბილისი, 2012.

2. ვახტანგ ჯავახაძე, „უცნობი“ (აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა), გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2020.

3. ლადო ასათიანი - საქართველოში

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>მხატვრული ტექსტი</u> - **ლექსი (ლირიკული)** <u>შინაარსობრივი მხარე</u> - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; ლირიკული გმირი, ხედვის კუთხე/პერსპექტივა. <u>სტრუქტურა-აგებულება</u> - სათაური, რითმა (რითმა ადგილმდებარეობის მიხედვით; რითმა ბგერითი შედგენილობის მიხედვით); რიტმი/საზომი, სტროფი, ტაეპი. <u>ენა</u> -მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, ალეგორია, სიმბოლო, თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/ თავისებურებები. **2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“** <u>კონტექსტური ფაქტორები</u> <u>ისტორიული და სოციალურ-კულტურული</u> - ტექსტის შექმნის კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა). ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი გამოცდილება. **3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“** <u>მსგავსი ელემენტები</u> - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მოტივი, სახე-სიმბოლო, ალუზია

მოსალოდნელი შედეგები
მოსწავლეს შეუძლია: · კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; · სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; · ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; · საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; · შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას. · ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; · მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა; · იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას; · ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა; · მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა. · ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; · იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის. · სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

(საათების საორიენტაციო რაოდენობა - 3 აკადემიური საათი)

ნაწარმოების შესახებ

თემა: სიცოცხლის წარმავლობით გამოწვეული სევდა; ბავშვობისა და სილამაზის მონატრება; ქართველი ხალხის ვაჟკაცური სულისკვეთება, სიცოცხლის უწყვეტობის რწმენა და სიკვდილზე სულიერი გამარჯვება.

<u>იდეა (მთავარი სათქმელი):</u> ლადო ასათიანის ლექსი „საქართველოში“ პოეტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია. ის ყველას ჩააფიქრებს სიცოცხლის წარმავლობაზე, ხანმოკლე სიცოცხლის გამო დაუძლეველ ადამიანურ სევდაზე. ეს ზოგადადამიანური თემაა, მაგრამ პოეტი ქართული ეროვნული გამოცდილებისა და თვითშეგნების ჭრილში წარმოაჩენს ამ პრობლემას. ამაზე ლექსის სათაურიც მიგვანიშნებს: ზოგადადამიანური პრობლემა ნაწარმოებში ქართული ეროვნული გამოცდილების ფონზეა გააზრებული. ლექსში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მოტივი: სევდა სიცოცხლის წარმავლობის გამო და ვაჟკაცური სულისკვეთება, რომლის წყალობითაც ქართველები ამარცხებენ სევდასა და სიკვდილს. სწორედ ამ დაპირისპირებაში იკვეთება ნაწარმოების ეროვნული ასპექტიც: პოეტის წარმოდგენით, ქართველისათვის სიცოცხლის ხანმოკლეობის გაცნობიერება უიმედობას არ ბადებს. პირიქით, მას უპირისპირდება რწმენა, რომ სიცოცხლე გრძელდება და მეორდება - ახალ თაობებში, ადამიანთა ხსოვნასა და მათ მიერ დატოვებულ კვალში. სწორედ ამიტომ სიცოცხლისა და სიკვდილის დაპირისპირება ლექსში თანდათან სიცოცხლის გამარჯვების იდეამდე მიდის.

ბუნებრივია, რომ ადამიანები მისტირიან ბავშვობას, რადგან სწორედ ის ასოცირდება ყველაზე მეტად სილამაზესთან, სულიერ სისუფთავესთან, უცოდველობასთან, სამყაროს მშვენიერ ფერებში ხედვასთან, უზრუნველობა-სილაღესთან, გულწრფელობასთან. რეფრენად განმეორებული სურვილი - „ღუთით მაინც დაბრუნდებოდეს „ჩვენი ბავშვობა და სილამაზე“ - განსაკუთრებით ამძაფრებს წარმავლობის განცდას. თუმცა, პოეტის თქმით, ქართველებმა იციან, როგორ უნდა გაუმკლავდნენ ამ სევდას. მათთვის უცხოა თვითმკვლელობისკენ სწრაფვა - ისინი ბრძოლაში სიკვდილს არჩევენ.

სიცოცხლის გაგრძელების იმედი და ვაჟკაცური სულისკვეთება ლექსს ოპტიმისტურ ს სძენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო სტროფი, რომელშიც საწყისი სევდიანი განწყობა ამაღლებული და სიცოცხლისადმი სიყვარულის განწყობით იცვლება. მოწოდება - „სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ“ - გამოხატავს სიკვდილისადმი დაუმორჩილებლობასა და მისი სულიერი დაძლევის სურვილს. ლექსი სრულდება არა სიკვდილის, არამედ დაბადებისა და სიცოცხლის ზეიმით - პოეტი ჩვენს დაბადებას ლოცავს. „სიკვდილის დამარცხების“ მოტივმა შესაძლოა ქრისტიანული კულტურული ასოციაციაც გააჩინოს და გაგვახსენოს ქრისტიანულ ტრადიციაში სიკვდილზე გამარჯვების იდეა - „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ იესო, რომლის რწმენაც ძალას მატებდა ერს. თუმცა ეს პარალელი ტექსტის შესაძლო ინტერპრეტაციად უნდა გავიაზროთ და არა - ლექსში პირდაპირ გამოთქმულ სათქმელად.

ამდენად, ლექსის ლირიკული გმირია არა ინდივიდუალური, სუბიექტური „მე“, არამედ კოლექტიური „ჩვენ“ - ქართველი ხალხი. პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები: „ჩვენ“ (რომელიც ლექსში სამჯერაა გამეორებული), „ჩვენი“ - პოეტსა და მკითხველს ერთ მთლიანობად აერთიანებს და ნაწარმოებს საერთო ეროვნული განცდის ხასიათს აძლევს. პოეტი საუბრობს არა მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე, არამედ იმ ღირებულებებსა და განცდებზე, რომლებიც, მისი წარმოდგენით, ქართველ ხალხს აერთიანებს.

ლექსის მთავარი სათქმელი შესაძლებელია ამგვარად ჩამოყალიბდეს: ქართველი ხალხი სიცოცხლის წარმავლობით გამოწვეულ სევდას ვაჟკაცური სულისკვეთებით, სიცოცხლის უწყვეტობის რწმენით უპირისპირდება და ამ გზით აღწევს სიკვდილზე სულიერ გამარჯვებას.

<u>მხატვრული ანალიზი:</u> მხატვრული სახეები - ბავშვობა და სილამაზე - გარდასული დროის, სილაღისა და სიცოცხლის მშვენიერების სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. მეტაფორულია სიცოცხლისა და სიკვდილის სახეები: „სიცოცხლე ასე ნავარდობს“ სიცოცხლეს დინამიკურ, მოქმედ ძალად წარმოგვიდგენს, ხოლო „სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ“ სიკვდილის დაძლევის სურვილს გამომსახველ სახედ აქცევს. ამრიგად, ერთ მხარესაა დინამიკური „ნავარდი“, მეორე მხარეს კი - სტატიკური „დარაზვა“. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

ფრაზაში „სიცოცხლე ასე ნავარდობს“ სიცოცხლე პერსონიფიცირებულია - იგი წარმოჩნდება როგორც თავისუფალი, ენერგიული, შეუჩერებელი ძალა. ზმნა „ნავარდობს“ განსაკუთრებით ამძაფრებს მოძრაობის, სილაღის განცდას და სიცოცხლის აქტიურ ბუნებას უსვამს ხაზს. ამით სიცოცხლე უპირისპირდება სიკვდილს, რომელსაც პოეტი სტატიკური სახით წარმოგვიდგენს. სიტყვებში: „სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ“ სიკვდილი თითქოს უძრავ, შეზღუდულ სივრცედ არის წარმოდგენილი. მას მრავალი კარი აქვს, რომელთა ჩაკეტვაც („დარაზვა“) შესაძლებელია. ეს მეტაფორული სახე სიკვდილისადმი დაუმორჩილებლობასა და მისი სულიერი დაძლევის სურვილს გამოხატავს.

სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს სიცოცხლის გაგრძელებისა და განმეორების მოტივიც - „სიცოცხლე მარად / გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს“. აქ სიცოცხლე მხოლოდ ერთი

ადამიანის არსებობას აღარ ნიშნავს: იგი თაობიდან თაობაში გაგრძელებულ უწყვეტ პროცესად წარმოჩნდება. ამგვარად, ინდივიდუალური სიცოცხლის წარმავლობას უპირისპირდება სიცოცხლის თაობებში გაგრძელების, ქართველი ხალხის, ერის სიცოცხლის უწყვეტობის იდეა.

მხატვრულად მნიშვნელოვანია აგრეთვე დაბადებისა და სიკვდილის დაპირისპირება. ლექსში ორივე მოვლენაა ნახსენები - „საქართველოში იბადებოდნენ“ და „საქართველოში როცა კვდებოდნენ“ - თუმცა საბოლოოდ აქცენტი დაბადებასა და სიცოცხლეზე გადადის. ბოლო სტროფში სიკვდილის სახეს დაბადების ბედნიერი დღის ხატი უპირისპირდება, რაც ლექსის ოპტიმისტურ, სიცოცხლის სიყვარულით სავსე სათქმელს აძლიერებს. მეტაფორული ელფერი აქვს ფრაზასაც - „ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს“. ვაჟკაცობა აქ თითქოს თაობებს თან დაჰყვება და წინაპრებიდან შთამომავლებს გადაეცემა. ამ სახით პოეტი ვაჟკაცურ სულისკვეთებას ქართველი ხალხის ისტორიულ მემკვიდრეობად წარმოაჩენს.

ამრიგად, ლექსის ძირითადი მხატვრული სახეები - ბავშვობა, სილამაზე, სიცოცხლე, სიკვდილი, დაბადება და ვაჟკაცობა - ერთმანეთთან დაპირისპირებითა და ურთიერთდაკავშირებით ქმნის ნაწარმოების მთავარ მხატვრულ ხაზს: წარმავლობის სევდიდან სიცოცხლის სიყვარულისა და სიკვდილზე სულიერი გამარჯვებისაკენ.

<u>სტილური ანალიზი:</u> ლექსის ენა ემოციური და ექსპრესიულია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეფრენს - „ეჰ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს / ჩვენი ბავშვობა და სილამაზე“, რომელიც ლექსში ორჯერ მეორდება და წარმავლობისა და გარდასული დროის მონატრების განცდას აძლიერებს. აღსანიშნავია ისიც, რომ რეფრენი პირველად დაბადებაზე საუბარს მოსდევს, მეორედ კი - სიკვდილზე საუბარს, რითაც სიცოცხლისა და სიკვდილის თემები ერთმანეთს უკავშირდება. ექსპრესიას აძლიერებს ლექსიკური გამეორებაც: „ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!“, რომელიც სათქმელს მოწოდების ინტონაციას სძენს. ლექსში თანდათან იცვლება განწყობაც: თავდაპირველი სევდა თანდათან გადადის ჰეროიკულ, ამაღლებულ და სიცოცხლის მადიდებელ ტონალობაში. ეს ემოციური მოძრაობა განსაკუთრებით მკაფიოა ბოლო სტროფში.

ლექსის მუსიკალურობას ქმნის თანაბარი რიტმი, რითმა, გამეორება და ტაეპების ინტონაციური გამართულობა. ტაეპები ძირითადად ათმარცვლიანია და ორ ხუთმარცვლიან რიტმულ მონაკვეთად იყოფა. ძირითადად გვხვდება ჯვარედინი რითმები. ისინი ზოგან ზუსტია, ზოგან - არაზუსტი. ეს ყველაფერი ლექსს მელოდიურ, დინამიკურ და ადვილად დასამახსოვრებელ ჟღერადობას ანიჭებს.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- როგორ ფიქრობთ, რატომ ახსენდებათ ადამიანებს ხშირად ბავშვობა განსაკუთრებული სითბოთი?
- რას ნიშნავს თქვენთვის „სიცოცხლის სიყვარული“? როგორ შეიძლება გამოიხატოს იგი ადამიანის ქცევასა და გადაწყვეტილებებში?
- როგორ გესმით სიტყვა „ვაჟკაცობა“? მხოლოდ ბრძოლაში გამოვლენილ სიმამაცეს ნიშნავს თუ სხვა შემთხვევებშიც შეიძლება ვაჟკაცობა გამოვავლინოთ? პასუხი ახსენით.
- რას გულისხმობს მოსაზრება, რომ ადამიანის სიცოცხლე, გარკვეული აზრით, მისი გარდაცვალების შემდეგაც „გრძელდება“? რა ფორმით ტოვებს ადამიანი კვალს მომავალ თაობებში (მაგ.: საქმეებით, იდეებით, მოგონებებით)?

- როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ერთ ლექსში სევდაც და სიცოცხლის სიხარულიც ერთდროულად გამოიხატოს? როგორ?

შენიშვნა: მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს შეკითხვები, მოახდინოს მათი მოდიფიცირება ან დასვას განსხვავებული შეკითხვები.

რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“

ლექსის მიხედვით, რაზე წუხდნენ ადამიანები, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ?

პასუხი: ლექსის მიხედვით, საქართველოში დაბადებული ადამიანები წუხდნენ იმაზე, რომ ბავშვობა და სილამაზე წარმავალია; ნატრობდნენ, წუთით მაინც დაბრუნებოდათ ისინი.

2. **რას უკავშირებს პოეტი ბავშვობას?**

პასუხი: პოეტი ბავშვობას სილამაზეს უკავშირებს. ამ სიტყვათა შეწყვილებით - „ბავშვობა და სილამაზე“ - ბავშვობა წარმოჩნდება როგორც ცხოვრების ნათელი, ლაღი და ბედნიერი ხანა, რომლის დაბრუნებაც ადამიანს ენატრება.

3. **ლექსის მიხედვით, ბრძოლაში დაღუპულნი სიცოცხლეს აგრძელებენ. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი ძალა, რომელსაც ადამიანის უკვდავყოფა შეუძლია: მისი შთამომავლობა, საგმირო საქმე თუ სხვა რამ? ახსენით თქვენი მოსაზრება.**

კომენტარი: პოეტის სიტყვები - „მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს“ - შეიძლება გავიაზროთ როგორც რწმენა, რომ ადამიანის სიცოცხლე მისი ფიზიკური არსებობით არ სრულდება. იგი შეიძლება გაგრძელდეს შთამომავლობაში, ადამიანთა ხსოვნაში, მის მიერ გაკეთებულ საქმესა და იმ კვალში, რომელსაც სხვების ცხოვრებაში ტოვებს.

4. **რომელი პირისა და დროის ზმნებით იწყება ლექსი? რა ცვლილება ხდება ბოლო ორ სტროფში - როგორ იცვლება ზმნის ფორმები და ნაცვალსახელები?**

პასუხი: ლექსის პირველ სტროფებში ზმნები მესამე პირში და წარსული დროის ფორმით გვხვდება: „იბადებოდნენ“, „წუხდნენ“, „კვდებოდნენ“, ხოლო ბოლო სტროფებში მესამე პირის ფორმებს ცვლის პირველი პირი მრავლობითის, წარსულ დროს - აწმყო და მომავალი „მოგვდევს“, „გაიგოს“, „იცოდეს“, „მოვკვდეთ“, „ვტოვებთ“, „გავჩნდით“.

კომენტარი: ამ ცვლილებით პოეტი თითქოს თავადაც ერთვება სათქმელში და „ისინი“-ს შესახებ თხრობიდან კოლექტიურ „ჩვენ“-ზე გადადის. ამავე მონაკვეთში გვხვდება მოწოდების ფორმებიც: „გაიგოს“, „იცოდეს“.

5. როგორ გესმით სიტყვები: „სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ“?

კომენტარი: ეს სიტყვები მეტაფორული მოწოდებაა და გამოხატავს სიკვდილისადმი დაუმორჩილებლობას, სიცოცხლის სიყვარულსა და სიკვდილის სულიერი დაძლევის სურვილს. „სიკვდილის კარების დარაზვა“ პირდაპირი მნიშვნელობით სიკვდილის თავიდან აცილებას კი არ ნიშნავს, არამედ მისთვის სიცოცხლის რწმენისა და ვაჟკაცური სულისკვეთების დაპირისპირებას.

6. **რომელი სტრიქონები მოგაგონებთ სადღეგრძელოს? რას ადღეგრძელებს პოეტი და რატომ?**

კომენტარი: სადღეგრძელოს ინტონაციას განსაკუთრებით გვაგონებს სიტყვები: „და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, / როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“. პოეტი ადღეგრძელებს დაბადებასა და სიცოცხლეს, რადგან სწორედ სიცოცხლე უპირისპირდება ლექსში წარმავლობასა და სიკვდილს. ამით ნაწარმოების დასასრულში სევდიან განწყობას სიცოცხლის ზეიმი ენაცვლება.

7. ლექსის მიხედვით, რა თვისებებია დამახასიათებელი ქართველებისთვის?

კომენტარი: პოეტის წარმოდგენით, ქართველებისთვის დამახასიათებელია ვაჟკაცობა, ბრძოლისუნარიანობა, სიმტკიცე და სიცოცხლის სიყვარული. მათთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე რწმენა, რომ სიცოცხლე გრძელდება.

8. **თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ პოეტის მთავარი სათქმელი.**

კომენტარი: ლექსის მთავარი სათქმელი შესაძლებელია ამგვარად ჩამოყალიბდეს: ქართველი ხალხი სიცოცხლის წარმავლობით გამოწვეულ სევდას ვაჟკაცური სულისკვეთებით, სიცოცხლის უწყვეტობის რწმენით უპირისპირდება და ამ გზით აღწევს სიკვდილზე სულიერ გამარჯვებას.

შენიშვნა: კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშესაწყობად აქ შესაძლებელია დამატებითი შეკითხვის დასმაც: თუკი ჩვენ ასეთები ვართ, მაშინ რატომ ვერ ვახერხებთ ყოველთვის და ყველგან წარმატების მიღწევას?

რუბრიკა „დააკვირდით“

1. **ლექსში სევდისა და სიხარულის განწყობილებები ერთმანეთს ენაცვლება. იწყება სინანულით ბავშვობის სილაღის დაკარგვის გამო, თუმცა მთავრდება დიდი იმედით. დააკვირდით ლექსს და იპოვეთ მონაკვეთი, რომელშიც სინანული იმედით იცვლება.**

პასუხი: განწყობის საბოლოო გარდატეხა მეოთხე სტროფში იწყება, განსაკუთრებით კი ტაეპებში: „ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, / მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს“. აქ სიკვდილის შესაძლებლობას უპირისპირდება სიცოცხლის გაგრძელების რწმენა. ეს ოპტიმისტური განწყობა კიდევ უფრო ძლიერდება ბოლო სტროფში - „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს...“ - და ლექსის დასასრულს სიცოცხლის დაბადების ზეიმში გადაიზრდება.

2. ლექსი აგებულია მკვეთრ დაპირისპირებებზე, ანუ კონტრასტებზე:

ბავშვობა - სიბერე;

წუხილი - ბედნიერება;

ბრძოლა - დანებება;

სიკვდილი - სიცოცხლე.

იპოვეთ ლექსში მონაკვეთები, რომლებშიც ამ კონტრასტულ წყვილებს ვხვდებით. ახსენით: როგორ დაგეხმარათ ეს დაპირისპირება პოეტის ემოციისა და სათქმელის უკეთ გაგებაში, რომელი კონტრასტული წყვილი მიგაჩნიათ ყველაზე შთამბეჭდავად და რატომ.

პასუხი: პირველი და მესამე სტროფების დასაწყისები ერთმანეთს უპირისპირებს **დაბადებასა და სიკვდილს** - „საქართველოში იბადებოდნენ“ / „საქართველოში როცა კვდებოდნენ“. ორივე შემთხვევაში კი მეორდება ბავშვობისა და სილამაზის მონატრების გამომხატველი რეფრენი, რაც აჩვენებს, რომ სიცოცხლის წარმავლობის სევდა ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში თან სდევს. წუხილი - ბედნიერება - მე-3 და მე-5 სტროფები; ბრძოლა-დანებება - მე-3 სტროფი; სიკვდილი სიცოცხლე - მე-4 და მე-5 სტროფები.

სიკვდილისა და სიცოცხლის დაპირისპირება: „ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, / მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს“. სიკვდილის შესაძლებლობას აქ სიცოცხლის გაგრძელების რწმენა უპირისპირდება. ეს კონტრასტი კიდევ უფრო ძლიერდება ბოლო სტროფში: „სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ“ და „იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, / როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“ - სიკვდილის სახეს დაბადებისა და სიცოცხლის ზეიმი უპირისპირდება.

ლექსში ერთმანეთს ენაცვლება წუხილი და იმედიანი, ამაღლებული განწყობაც. დასაწყისში ჭარბობს დაკარგული ბავშვობისა და წარმავლობის სევდა, ბოლოს კი სიცოცხლის გაგრძელების რწმენა და დაბადების სიხარული იმარჯვებს.

კომენტარი: ამ კონტრასტების საშუალებით უფრო მკაფიოდ იკვეთება ლექსის მთავარი სათქმელი: წარმავლობისა და სიკვდილის განცდას პოეტი სიცოცხლის სიყვარულს, ვაჟკაცურ სულისკვეთებასა და სიცოცხლის უწყვეტობის რწმენას უპირისპირებს.

რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“

1. **ლექსში მონაცვლეობს ზმნის პირისა და დროის ფორმები, ასევე ნაცვალსახელები. პოეტი იწყებს მესამე პირით, წარსული დროით: ისინი - „იბადებოდნენ“, „წუხდნენ“, ბოლო ორ სტროფში კი მესამე პირს პირველი პირით ცვლის: იცვლება მოქმედების დროც. ჩვენ - „ჩვენი ბავშვობა“, „ჩვენ ... მოგვდევს“, „მოვკვდეთ“, „არ ვტოვებთ“, „გავჩნდით“.**

• თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს ლექსში პირებისა და დროის ამგვარ მონაცვლეობას?

კომენტარი: პირისა და დროის ფორმების მონაცვლეობას მნიშვნელოვანი მხატვრული დატვირთვა აქვს. ლექსის დასაწყისში პოეტი მესამე პირითა და წარსული დროის ფორმებით თითქოს წარსულ თაობებს იხსენებს. ბოლო ორ სტროფში კი თხრობა კოლექტიურ „ჩვენ“-ზე გადადის - პოეტი საკუთარ თავსა და მკითხველებსაც აერთიანებს იმ ხალხთან, ვისზეც თავდაპირველად მესამე პირში საუბრობდა. ამ ცვლილებით წარსულის გამოცდილება აწმყოს უკავშირდება და გამოიკვეთება თაობათა ერთიანობის, ეროვნული მემკვიდრეობისა და კოლექტიური მეხსიერების უწყვეტობის იდეა. ამასთან, „ჩვენ“-ზე გადასვლა ლექსის სათქმელს უფრო უშუალო, ემოციურ და მოწოდებით ხასიათს მატებს: ის, რაც თავდაპირველად სხვათა გამოცდილებად იყო წარმოდგენილი, ბოლოს თავად პოეტისა და მისი მკითხველების (თანამემამულეების) საერთო განცდად, ღირებულებად და რწმენად იქცევა.

2. **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები და ამოიცანით, რომელია არასწორი. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.**

ა) პოეტი შლის ზღვარს თავის თავსა და მკითხველს შორის, უახლოვდება მკითხველს;

ბ) პოეტი გამოკვეთს თავისი წინაპრების ვაჟკაცობასა და სულიერ სიმტკიცეს;

გ) პოეტი გვიჩვენებს, რომ ლექსის სათქმელი ყველას გვეხება - წარსული აწმყოსთან ერთიანდება;

დ) პოეტის საუბარი უფრო უშუალო ხდება, რაც აძლიერებს ემოციებს.

პასუხი: სწორი პასუხია ვარიანტი ბ.

კომენტარი: ბ ვარიანტში მოცემული აზრი ლექსის შინაარსს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება - პოეტი მართლაც უსვამს ხაზს წინაპართაგან გადმოცემულ ვაჟკაცურ სულისკვეთებას. თუმცა აქ საუბარი მხოლოდ პოეტის წინაპრებზე არ არის; კოლექტიური „ჩვენ“ მთელ ქართველ ხალხს და სხვადასხვა თაობის ქართველებს აერთიანებს.

2. ყურადღება მიაქციეთ ზმნას „ნავარდობს“. ავტორმა სიცოცხლის დასახასიათებლად სწორედ ეს სიტყვა შეარჩია. რისი თქმა უნდა ამით ავტორს? რას გახსენებთ, რა ასოციაციას იწვევს თქვენში ეს სიტყვა?

კომენტარი: ზმნა „ნავარდობს“ ნიშნავს: ლაღად, თავისუფლად მოძრაობს, დაფრინავს (ამგვარადაა ეს სიტყვა ახსნილი რუბრიკაში „სიტყვების განმარტება“). ამდენად, ეს ზმნა სიცოცხლეს სილაღის, აქტიურობის, თავისუფლების, მოძრაობისა და ენერგიის განცდას უკავშირებს. იგი შეიძლება გვახსენებდეს გაშლილ სივრცეში თავისუფლად მორბენალ ცხენს, ბავშვის ლაღ სირბილს ან ცაში თავისუფლად მფრინავ ფრინველს. ამგვარი ასოციაციებით

სიცოცხლე წარმოჩნდება როგორც ძლიერი, თავისუფალი და შეუჩერებელი ძალა, რომელიც სიკვდილს უპირისპირდება. ამდენად, სიტყვით „ნავარდობს“ პოეტი მხოლოდ სიცოცხლის არსებობას კი არ აღნიშნავს, არამედ ხატოვნად და ემოციურად წარმოაჩენს მის სილაღეს, ხალისსა და ენერგიას.

რუბრიკა „დისკუსია“

- **აქილევსმა ხანმოკლე, მაგრამ სახელოვანი სიცოცხლე აირჩია, რომელიც ომში გმირული სიკვდილით დასრულდა. შეიძლება თუ არა ყოველდღიურ პასუხისმგებლობათა ერთგულად შესრულება - ოჯახის, საზოგადოების, საყვარელი საქმის ხანგრძლივი და თავდადებული მსახურება - ისეთივე გმირობად ჩავთვალოთ, როგორიცაა საკუთარი სიცოცხლის გმირულად გაწირვა მაღალი მიზნისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?**

კომენტარი: აქილევსი უძველესი ეპოქის გმირია, რომლის სამყაროშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ვაჟკაცობას, ბრძოლაში სახელის მოხვეჭასა და გმირულ სიკვდილს ჰქონდა. თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესი და ღირებულებები ბევრ შემთხვევაში განსხვავებულია, ამიტომ გმირობის გაგებაც შეიძლება უფრო ფართო იყოს.

გმირობა ყოველთვის ერთჯერად თავგანწირვას არ ნიშნავს. ადამიანს შეიძლება დიდი სიმტკიცე, პასუხისმგებლობა და თავდადება დასჭირდეს იმისთვისაც, რომ წლების განმავლობაში ერთგულად ემსახუროს ოჯახს, საყვარელ საქმეს, საზოგადოებასა თუ ქვეყანას. ასეთი მსახურება ხშირად ყოველდღიურ შრომას, პირადი ინტერესების დათმობას, სირთულეების გადალახვასა და არჩეული მიზნისადმი ერთგულებას მოითხოვს. ამიტომ ხანგრძლივი და თავდადებული მსახურებაც შეიძლება გმირობის ერთ-ერთ ფორმად მივიჩნიოთ.

ასეთი ადამიანები გვხვდებიან როგორც ისტორიასა და ლიტერატურაში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათი მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ გმირობა შეიძლება გამოვლინდეს როგორც მაღალი მიზნისთვის სიცოცხლის გაწირვაში, ისე ამავე მიზნისთვის ხანგრძლივ, ღირსეულად და თავდადებით მსახურებაში.

- **აქილევსისთვის უმთავრესი ფასეულობა მარადიული დიდებისა და გმირული სახელის მოპოვება იყო. თქვენი აზრით, არის თუ არა შენარჩუნებული ეს ფასეულობა თანამედროვე ეპოქაში? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.**

კომენტარი: მარადიული დიდებისა და გმირული სახელის მოპოვების აქილევსისეული იდეალი თანამედროვე სამყაროში არ გამქრალა, თუმცა მისი გაგება მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამას ეპოქის განსხვავებული რეალობა და ღირებულებებიც განაპირობებს. თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის ღირსება და წარმატება მხოლოდ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობით აღარ განისაზღვრება; მნიშვნელოვანი ფასეულობებია განათლება, შრომა, პიროვნული განვითარება, პასუხისმგებლობა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის ზრუნვაც.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის პოზიცია. XIX საუკუნეში იგი წერდა, რომ ხმლით ბრძოლის დრო შრომით ბრძოლას უნდა შეეცვალა — ქვეყნის სამსახური მხოლოდ იარაღით ბრძოლას კი აღარ ნიშნავდა, არამედ ცოდნას, შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობასაც. ამ აზრის გასამყარებლად იგი ხალხურ სიბრძნესაც იმოწმებდა: „ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო“. ამგვარად, გმირული სახელის მოპოვება

შეიძლება დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ ერთჯერად თავგანწირვასთან, არამედ ხანგრძლივ, თავდადებულ შრომასა და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობასთან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვაჟკაცობის, სიმამაცისა და თავგანწირვის ფასეულობები თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელობას კარგავს. განსაკუთრებულ ვითარებაში ადამიანს შეიძლება კვლავ მოუწიოს საკუთარი ქვეყნისა და სხვების დასაცავად დიდი პასუხისმგებლობის აღება. ყველა ეპოქას ჰყავს ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ სიმტკიცესა და თავგანწირვას ავლენენ. ამის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ 2008 წლის ომის გმირი გიორგი ანწუხელიძე, „შინდისის გმირები“, რომელთა სახელებიც თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივ მეხსიერებაში სიმამაცისა და სამშობლოსადმი ერთგულების სიმბოლოდ დარჩა.

ამდენად, აქილევსისეული სწრაფვა სახელისა და დიდებისკენ თანამედროვე ეპოქაშიც შეიძლება არსებობდეს, თუმცა გმირობის გაგება გაფართოებულია: ღირსეული სახელი ადამიანს შეუძლია მოიპოვოს როგორც განსაკუთრებული სიმამაცითა და თავგანწირვით, ისე ხანგრძლივი შრომით, ცოდნით, პასუხისმგებლობითა და საზოგადოების მსახურებით.

რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“

1. წარმოიდგინეთ, რომ ემზადებით ლადო ასათიანის ლექსის გამომეტყველებით წასაკითხად და გსურთ შეარჩიოთ მელოდია მუსიკალური გაფორმებისთვის. გაეცანით ცხრილს, რომელშიც მოცემულია მუსიკის მახასიათებლების ჩამონათვალი, შემდეგ კი ისაუბრეთ, როგორ მუსიკას შეურჩევდით ამ ლექსს. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით. სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ მოამზადოთ თქვენ მიერ წაკითხული ლექსის აუდიოჩანაწერი შესაბამისი მუსიკალური გაფორმებით და წარადგინოთ კლასის წინაშე.

განწყობა	- ნათელი, მხიარული, ენერგიული, ოპტიმისტური (იმედიანი); - სევდიანი, ნაზი, იდუმალი, მშვიდი.
რიტმი	- ნელი; - ზომიერი; - სწრაფი; - ცვალებადი: იწყება სწრაფი ტემპით, შემდეგ ნელდება, ან პირიქით - იწყება ნელი ტემპით, შემდეგ ჩქარდება.
ბგერის სიძლიერე	- ხმამაღალი; - ზომიერი; - სუსტი, ჩუმი; - ცვალებადი: იწყება ჩუმად, შემდეგ ძლიერდება, ან პირიქით - იწყება ხმამაღლა, შემდეგ სუსტდება.

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის:

1. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ლექსის მუსიკალური გაფორმებისთვის ერთი „სწორი“ მელოდია არ არსებობს. მნიშვნელოვანია, მათ შეძლონ შერჩეული მუსიკის განწყობის, რიტმისა და დინამიკის დაკავშირება ლექსის ემოციურ განვითარებასთან და საკუთარი არჩევანის ტექსტზე დაყრდნობით დასაბუთება.

2. ლექსის დასაწყისში ჭარბობს ბავშვობისა და სილამაზის მონატრებით გამოწვეული სევდა, რომელიც თანდათან იცვლება ვაჟკაცური, იმედიანი და სიცოცხლის დამამტკიცებელი

განწყობით. შესაბამისად, მუსიკალური ფონისთვის შეიძლება შეირჩეს ნაწარმოები ან მისი მონაკვეთი, რომელიც თავდაპირველად მშვიდი, ნაზი ან სევდიანია, შემდეგ კი თანდათან ძლიერდება, უფრო ენერგიული ხდება. აუცილებელი არ არის, ეს ცვლილება მხოლოდ ტემპის აჩქარებით გამოიხატოს - განწყობის ცვლილება შეიძლება შეიქმნას ბგერის სიძლიერის, ჟღერადობის, რიტმისა თუ მუსიკალური დაძაბულობის თანდათანობითი ზრდით.

3. სასურველია უპირატესობა მიენიჭოს ინსტრუმენტულ მუსიკას, რათა სიტყვიერმა ტექსტმა ხელი არ შეუშალოს ლექსის აღქმას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია არა მთელი ნაწარმოების, არამედ ისეთი მონაკვეთის შერჩევა, რომელიც ლექსის ემოციურ დინამიკას ყველაზე უკეთ შეესაბამება.

4. შესაძლო მუსიკალური ნაწარმოებები:

- დავით თორაძე — „რონდო-ტოკატა“ ბალეტიდან „გორდა“;
- კვინტეტი „ურმული“ — „ფიქრი“, „ნარნარი“;
- ვაჟა აზარაშვილი — „სენტიმენტალური ტანგო“, „ესპანური სუიტა“;
- ანტონიო ვივალდი — „ზამთარი“ („წელიწადის დროებიდან“) — შესაბამისი მონაკვეთი;
- Ludovico Einaudi — Experience;
- Hans Zimmer — Time;
- Omar Akram — A Day with You, Dancing with the Wind;
- Song from a Secret Garden — შესაბამისი ინსტრუმენტული შესრულება.

შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებები მხოლოდ შესაძლო მაგალითებია. მოსწავლეს შეუძლია შეარჩიოს ნებისმიერი სხვა მელოდია და ახსნას, როგორ უკავშირდება მისი ჟღერადობა ლექსის განწყობას, ემოციურ ცვლილებასა და მთავარ სათქმელს.

2. **„სიცოცხლის ჰიმნი“: დაწერეთ სამი-ოთხი მიზეზი, თუ რატომ არის „ბედნიერი ის დღე“, როცა თქვენ ამ ქვეყანაზე დაიბადეთ.**

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის:
1. დავალების შესრულებამდე ყურადღება გაამახვილეთ ლექსის ბოლო სტროფზე და მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ, რას ნიშნავს პოეტისთვის „ბედნიერი დღე“ — დაბადებისა და სიცოცხლის სიხარული, ცხოვრების შესაძლებლობების დაფასება, ადამიანებთან კავშირი, საკუთარი ადგილი ოჯახსა და საზოგადოებაში.

2. აუხსენით მოსწავლეებს, რომ პასუხები შეიძლება განსხვავებული იყოს და ერთი „სწორი“ ვარიანტი არ არსებობს. მათ შეუძლიათ დაასახელონ ისეთი მიზეზები, რომლებიც მათთვის პირადად მნიშვნელოვანია, მაგალითად: ოჯახი და საყვარელი ადამიანები, მეგობრობა, სწავლისა და აღმოჩენის შესაძლებლობა, საყვარელი საქმე, ბუნება, ოცნებები და სამომავლო მიზნები, სხვებისთვის სიკეთის გაკეთების შესაძლებლობა. სასურველია თითოეული მიზეზი მოკლედ ახსნან და კონკრეტული მაგალითებიც მოიყვანონ.

3. ყურადღება მიაქციეთ, რომ დავალება არ გადაიქცეს მხოლოდ ზოგადი ფრაზების ჩამონათვალად („ცხოვრება კარგია“, „ბედნიერი ვარ“). წაახალისეთ მოსწავლეები, დაფიქრდნენ, კონკრეტულად რა ანიჭებს მათ ცხოვრებას მნიშვნელობას, სიხარულს ან

ღირებულებას.

5. მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა გააფორმონ თავიანთი ნამუშევარი, თუკი ამის სურვილი ექნებათ. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, შესაბამისი ნახატი, სიმბოლო, დეკორატიული ელემენტები, ფერებით გამოყოფილი მნიშვნელოვანი სიტყვები, სათაურის ორიგინალური დიზაინი და მისთ. ბონუს-ქულა ნამუშევარს ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ გაფორმება შინაარსთან არის დაკავშირებული, გააზრებულია და ხელს უწყობს მოსწავლის იდეების უკეთ წარმოჩენას.

4. გაითვალისწინეთ: რადგან დავალება პირად გამოცდილებას ეხება, მოსწავლეებს არ უნდა მოვთხოვოთ ისეთი ინფორმაციის წარმოდგენა, რომლის გაზიარებაც არ სურთ. სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ პასუხი უფრო ზოგადი ფორმით ჩამოაყალიბონ: მაგალითად, იმსჯელონ, რატომ შეიძლება იყოს ადამიანის დაბადების დღე „ბედნიერი დღე“ და რა შესაძლებლობებს აძლევს ადამიანს სიცოცხლე.

დავალების მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა ლექსის სიცოცხლის განმადიდებელი განწყობა საკუთარ გამოცდილებასა და ღირებულებებს დაუკავშირონ და შეძლონ პირადი მოსაზრების კონკრეტულად, გააზრებულად და დასაბუთებულად გადმოცემა.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	პირობა სრულად არის შესრულებული: დასახელებულია 3–4 შესაბამისი მიზეზი.	მაღალი
	დავალების პირობა ძირითადად შესრულებულია, თუმცა ერთ-ერთი მიზეზი ნაკლებად კონკრეტულია ან არასაკმარისადაა განვითარებული.	საშუალო
	წარმოდგენილია მხოლოდ 1–2 მიზეზი ან ნამუშევარი ნაწილობრივ შეესაბამება პირობას.	საბაზისო
	პირობა არასწორად არის გააზრებული.	საწყისი
II კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე	მიზეზები კონკრეტული, გააზრებული და პიროვნულად მნიშვნელოვანი შინაარსისაა; თითოეული მათგანის მნიშვნელობა ნათლად არის ახსნილი; მკაფიოდ იკვეთება კავშირი ლექსის პოზიტიურ განწყობასთან, დაბადებისა და სიცოცხლის მნიშვნელობის დაფასებასთან.	მაღალი
	მიზეზები ძირითადად გასაგები და შესაბამისია, თუმცა ზოგი მათგანი ზოგადად არის ჩამოყალიბებული ან მეტ ახსნას საჭიროებს; კავშირი ლექსის განწყობასთან ჩანს, თუმცა სრულად არ არის გამოკვეთილი.	საშუალო
	მიზეზები მეტწილად ზოგადია ან ჩამონათვალის სახითაა წარმოდგენილი და ნაკლებად არის ახსნილი; ლექსთან კავშირი სუსტად იკვეთება.	საბაზისო
	სათქმელი ბუნდოვანია; მიზეზების მნიშვნელობა არ არის ახსნილი; ლექსთან კავშირი სუსტად იკვეთება.	საწყისი
III კრიტერიუმი. სტრუქტურა-ორგანიზება	სტრუქტურა თანმიმდევრული და გამართულია; აზრები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული.	მაღალი
	სტრუქტურა ძირითადად გამართულია, თუმცა ზოგ ადგილას აზრის განვითარება ან აზრებს შორის კავშირი კარგად არ იკვეთება.	საშუალო
	ნამუშევარი ფრაგმენტულია ან გვხვდება აზრის ხშირი გამეორება.	საბაზისო
	აზრის გაგება ჭირს არათანმიმდევრულობის გამო.	საწყისი
IV რიტერიუმი.	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი

V კრიტერიუმი. ენობრივი მხარე	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი
ბონუს-კრიტერიუმი. ნამუშევრის გაფორმება	ვიზუალური გაფორმება დაკავშირებულია ნამუშევრის შინაარსთან, ეხმიანება ძირითად სათქმელს და ხელს უწყობს იდეების უკეთ, უფრო თვალსაჩინოდ და ეფექტურად წარმოჩენას.	ბონუს-ქულა შეიძლება დაემატოს ძირითად შეფასებას, თუმცა მისი არქონა მოსწავლეს ქულას არ აკლებს.

რუბრიკა „წერითი დავალება“

დაწერეთ თხრობითი ტექსტი: „ბავშვობის ერთი მოგონება“, რომელშიც გაიხსენებთ ბავშვობასთან დაკავშირებულ ერთ სასიამოვნო ეპიზოდს (მაგ.: დაბადების დღეს, საოჯახო დღესასწაულს, საინტერესო მოგზაურობას, პირველ შეხვედრას საუკეთესო მეგობართან). გადმოეცით კონკრეტული დეტალები: როგორ დაიწყო ამბავი, ვისთან ერთად იყავით, რით გაგრძელდა და დასრულდა ამბავი, რას გრძნობდით. ბოლოს შეაჯამეთ, რითია ეს მოგონება გამორჩეული და დღემდე მნიშვნელოვანი თქვენთვის.

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

1) წერის დაწყებამდე შეგიძლიათ მოსწავლეებს წაუკითხოთ რომელიმე ცნობილი მწერლის მოკლე, ემოციური საბავშვო მოგონების ნაწყვეტი, რათა დაინახონ, როგორ აცოცხლებს ავტორი დეტალებს.

2) დავალების შესრულებამდე მოსწავლეებს შეახსენეთ, რომ თხრობით ტექსტში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ **რა მოხდა,** არამედ ისიც, **როგორ მოხდა:** როგორ განვითარდა ამბავი, ვინ მონაწილეობდა მასში, რა დეტალები დაამახსოვრდათ და რას გრძნობდნენ. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათ არ მოეთხოვებათ განსაკუთრებული ან უჩვეულო ამბის გახსენება: საინტერესო ტექსტი შეიძლება შეიქმნას ძალიან მარტივი ყოველდღიური მოგონების საფუძველზეც, თუ მოსწავლე კონკრეტულ დეტალებს, ემოციებსა და პირად დამოკიდებულებას გადმოსცემს. ამდენად, ნამუშევრის ხარისხი დამოკიდებულია არა მოგონების „განსაკუთრებულობაზე“, არამედ მის გააზრებულ და ცოცხალ გადმოცემაზე.

3) გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ამბის დროით თანმიმდევრობაზე: დასაწყისი - ამბის განვითარება - დასასრული.

4) დავალება პირად გამოცდილებას უკავშირდება და, ამდენად, მოსწავლეს შესაძლებელია არ სურდეს მასზე საუბარი. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია რეალურ გამოცდილებაზე

დაფუძნებული გამოგონილი ეპიზოდის დაწერა.

5) **ურთიერთშეფასების ელემენტი** - წერის დასრულების შემდეგ შეგიძლიათ დააწყვილოთ მოსწავლეები და სთხოვოთ წაუკითხონ ერთმანეთს შავი ვერსიები. მეწყვილეებს მიეცით კონკრეტული დავალება, მაგალითად: *„მოძებნეთ მეწყვილის ნამუშევარში ერთი ყველაზე ძლიერი წინადადება ტექსტში და მიეცით ერთი რჩევა, რა შეცვალოს ან დაამატოს“.*

რეკომენდაციები დიფერენცირებული სწავლებისთვის

I. დიფერენცირება მოსწავლეთა მზაობის დონის მიხედვით:

1) **დამხმარე კითხვები** - მოსწავლეებს, რომლებსაც ტექსტის დაგეგმვა უჭირთ, შესთავაზეთ დამხმარე კითხვები, მაგალითად:

- სად და როდის მოხდა ეს ამბავი?
- ვინ იყო თქვენთან ერთად?
- როგორ დაიწყო ყველაფერი?
- რა მოხდა შემდეგ?
- რომელი მომენტი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?
- რას გრძნობდით იმ დროს?
- როგორ დასრულდა ამბავი?
- რატომ გახსოვთ ეს ამბავი დღემდე?

2) **წინადადებათა დასაწყისები** - მოსწავლეებს, რომლებსაც აზრით წერილობით გადმოცემაში მხარდაჭერა ესაჭიროებათ, შესთავაზეთ დაუსრულებელი წინადადებები, მაგალითად: „ერთხელ, როცა ცხრა წლის ვიყავი...“; „ყველაზე კარგად მახსოვს...“; „უცებ...“; „იმ წუთას ვიგრძენი...“; „ბოლოს...“; „ეს მოგონება ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან...“; „ამის შემდეგ...“; „მახსოვს ის დღე, როცა პირველად...“; „იმ დილით ძალიან ვღელავდი, რადგან...“; „როცა ამ ამბავს ვიხსენებ, მაშინვე თვალწინ მიდგება...“; „თავიდან ცოტა შემეშინდა, მაგრამ მერე...“; „ისე გამიხარდა, რომ მზად ვიყავი...“; „ამ დღის შემდეგ მივხვდი, რომ...“; „ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ...“ და მისთ.

3) **მარტივი გეგმა** - ამავე ჯგუფის მოსწავლეებს შეგიძლიათ შესთავაზოთ მარტივი გეგმა ნამუშევრის დასაწერად, მაგალითად:

- ✓ სად და როდის მოხდა ამბავი;
- ✓ როგორ დაიწყო;
- ✓ რა იყო მთავარი მოვლენა;
- ✓ რას გრძნობდით;
- ✓ როგორ დასრულდა ამბავი;
- ✓ რატომ არის ეს მოგონება თქვენთვის მნიშვნელოვანი.

4) **გრაფიკული მაორგანიზებელი** - წერის დაწყებამდე შეიძლება გამოიყენოთ მარტივი გრაფიკული მაორგანიზებელი:

როდის/სად? → ვინ? → როგორ დაიწყო? → რა მოხდა? → რას ვგრძნობდი? → როგორ დასრულდა? → რატომ მახსოვს?

ასეთი საყრდენი განსაკუთრებით დაეხმარება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აზრების თანმიმდევრულად დალაგებაში დახმარება ესაჭიროებათ.

5) მაღალი მზაობის მოსწავლეებს შეგიძლიათ შესთავაზოთ:

- **დეტალების ჩართვა** - ტექსტის გამდიდრება დამატებითი დეტალებით, როგორებიცაა, მაგალითად:

✓ დიალოგის ჩართვა;

✓ გარემოსა და პერსონაჟების კონკრეტული დეტალების აღწერა;

✓ შეგრძნებების გადმოცემა - რას ხედავდნენ, ესმოდათ, გრძნობდნენ;

✓ ამბის კულმინაციური მომენტის გამოკვეთა;

✓ დღევანდელი თვალით შეფასება - რატომ აღიქვამენ ამ მოგონებას ახლა განსხვავებულად ან რატომ ინარჩუნებს ეს მოგონება განსაკუთრებულ მნიშვნელობას დღემდე.

- **ხედვის პერსპექტივის შეცვლა**

✓ **„ერთი მოგონება - ორი ხედვა“** - მოსწავლეებს შეგიძლიათ შესთავაზოთ ჯერ გადმოსცენ ეპიზოდი ისე, როგორც ბავშვობაში აღიქვამდნენ, შემდეგ კი იგივე მოვლენა დღევანდელი თვალით შეაფასონ: რას ვერ ხვდებოდნენ მაშინ, რას ამჩნევენ ახლა; შეიცვალა თუ არა მათთვის ამ მოგონების მნიშვნელობა და რატომ.

✓ **„უჩვეულო მთხრობელი“** - მოსწავლეებს შეგიძლიათ შესთავაზოთ გადმოსცენ მოგონება/შერჩეული ცხოვრებისეული ეპიზოდი იმ ნივთის ან ცხოველის თვალით, რომელიც აღწერილ მოვლენაში „მონაწილეობდა“. მაგალითად: როგორ „გაიხსენებდა“ მათს დაბადების დღეს სანთლებით მორთული საზეიმო ტორტი ან შინაური ცხოველი, *ან* როგორ „გაიხსენებდა“ წვიმიან დღეს პარკში გასეირნებას მათი ველოსიპედი და მისთ.

II. დიფერენცირება მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით

- **მოგზაურობითა და ბუნებით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის** - გაიხსენონ მოგზაურობა, ექსკურსია, ლაშქრობა, ზღვაზე ან სოფელში გატარებული დღე, ბუნებაში აღმოჩენილი რაიმე საინტერესო ადგილი; შინაურ ცხოველთან პირველი შეხვედრა, მასთან დაკავშირებული სახალისო ან ემოციური ეპიზოდი.
- **სპორტით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის** - გაიხსენონ პირველი შეჯიბრება, მნიშვნელოვანი გამარჯვება ან მარცხი, გუნდთან ერთად გატარებული დღე; რომელიმე სპორტულ აქტივობასთან დაკავშირებული ეპიზოდი;
- **ხელოვნებით, მუსიკით ან თეატრით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის** - გაიხსენონ პირველი კონცერტი, სპექტაკლი, გამოფენა, სცენაზე გამოსვლა;

- **ოჯახურ თუ მეგობრულ ურთიერთობებზე ორიენტირებული მოსწავლეებისთვის** - გაიხსენონ დაბადების დღე, საოჯახო დღესასწაული; საუკეთესო მეგობართან პირველი შეხვედრა, საერთო თავგადასავალი, სასკოლო ან ეზოს თამაში, მეგობრის დახმარებასთან დაკავშირებული შემთხვევა; პირველი სასკოლო დღე, ახალი კლასის გაცნობა და სხვ.

III. დიფერენცირება საბოლოო პროდუქტის/ნამუშევრის მიხედვით

შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ სხვა ფორმატის ნამუშევრის შექმნა. ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლე მუშაობს ერთსა და იმავე თემაზე - „ბავშვობის ერთი მოგონება“, მაგრამ შეუძლიათ იგი განსხვავებული ფორმით წარმოადგინონ, მაგალითად:

- **წერილი საკუთარ თავს პატარაობისას**- მისწერონ წერილი საკუთარ თავს იმ ასაკში, როცა ეს ამბავი მოხდა: გაიხსენონ ეპიზოდი და დღევანდელი გადასახედიდან უთხრან, რატომ არის ეს დღე მათთვის მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი.
- **დღიური** - დაწერონ მოგონება დღიურის ჩანაწერის ფორმით: მიუთითონ დღე/წელი, დრო და ადგილი, აღწერონ მომხდარი, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ საკუთარ განცდებსა და შთაბეჭდილებებზე.
- **ფოტოისტორია / ილუსტრირებული მოგონება/ვიზუალური ესე** - შექმნან 4-5 ფოტოსგან/ნახატისგან შემდგარი ვიზუალური ისტორია და თითოეულ გამოსახულებას დაურთონ მოკლე ტექსტი, რომელიც აჩვენებს ამბის განვითარებას, მათ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს.
- **ვიდეოესე** - ჩაწერონ მოკლე ვიდეო (2-3 წუთი), რომელშიც საკუთარ მოგონებაზე ისაუბრებენ. მათ შეუძლიათ კადრში თავად მოჰყვნენ ამბავს და ახსნან, თუ როგორ განვითარდა მოვლენები და რატომ არის ეს დღე მათთვის გამორჩეული. ხმოვან ტექსტთან ერთად შეუძლიათ გამოიყენონ ფონური ვიზუალური და ხმოვანი მასალა (ძველი ფოტოები, ნახატები, შესაბამისი მუსიკა).
- **აუდიოჩანაწერი / მინიპოდკასტი** - მოამზადონ 2-4-წუთიანი ხმოვანი ჩანაწერი, რომელშიც ისაუბრებენ ამ მოგონებაზე ისე, თითქოს რადიოგადაცემის ან პოდკასტის წამყვანები/სტუმრები არიან. ტექსტთან ერთად შეუძლიათ გამოიყენონ ხმოვანი ეფექტებიც (მაგალითად, ბუნების ან ქუჩის ხმაური) გარემოს გასაცოცხლებლად ან/და შეარჩიონ მუსიკალური ფონი შესაბამისი განწყობის შესაქმნელად.

მუშაობა შეიძლება წარიმართოს წყვილებში ამგვარი სცენარით: ერთი მოსწავლე მოირგებს ჟურნალისტის როლს, მეორე - სტუმრის როლს; „ჟურნალისტი“ შეკითხვებს სვამს, „სტუმარი“ უპასუხებს. ამის შემდეგ მეწყვილეები როლებს გაცვლიან.

სურვილის შემთხვევაში მოსწავლეებს შეუძლიათ მოამზადონ ვიდეოპოდკასტი.

- **კომიქსი** - წარმოადგინონ მოგონება კომიქსის სახით. შექმნან 4-6 კადრისგან შემდგარი ისტორია. გამოიყენონ „დიალოგის ბუშტები“ დიალოგებისთვის, რათა ნათლად გამოჩნდეს ამბის განვითარება (დასაწყისი, გაგრძელება, დასასრული), კონკრეტული დეტალები, მოქმედ პირთა ემოციები.

- **სოციალური ქსელის პოსტი ან ბლოგი** - შექმნან იმიტირებული ბლოგპოსტი ან სოციალური ქსელის პუბლიკაცია. დაურთონ ფოტოები/ილუსტრაციები და დაწერონ ტექსტი, რომელშიც მკითხველს გაუზიარებენ თავიანთ ამბავსა და ემოციებს.

შენიშვნა: დღიურის, ვიზუალური ესეს, ვიდეოესეს, პოდკასტისა და ბლოგის შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია ქვეთავში „დიფერენცირებული დავალებების შეფასების რუბრიკები“ ქვემოთ, § 6).

შეფასების რუბრიკები

ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და სიღრმისეულად არის გააზრებული.	მაღალი
	დავალების პირობა ძირითადად შესრულებულია, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის გათვალისწინებული.	საშუალო
	დავალების მოთხოვნები ნაწილობრივ არის შესრულებული, აკლია რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გააზრებული; ნამუშევარი არ შეესაბამება პირობას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ამბავი თანმიმდევრულად ვითარდება; მკაფიოდ იკვეთება დასაწყისი, მოვლენათა განვითარება და დასასრული; ეპიზოდები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული; აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	მაღალი
	ამბავი ძირითადად თანმიმდევრულად ვითარდება, თუმცა ზოგჯერ მოვლენებს შორის კავშირი ან მათი განვითარება ნაკლებად მკაფიოა; აბზაცები ყოველთვის სწორად არ არის გამოყოფილი.	საშუალო
	ამბავი ნაწილობრივ ფრაგმენტულია; მოვლენათა თანმიმდევრობა ზოგჯერ ირღვევა ან ცალკეული ეპიზოდები არასაკმარისად არის განვითარებული; ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	მოვლენათა თანმიმდევრობა დარღვეულია, ტექსტი ფრაგმენტული და დაუკავშირებელია; აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი.	საწყისი

III კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე და შემოქმედებითობა.	გამოყენებულია კონკრეტული და შთამბეჭდავი დეტალები, რომლებიც ამბავს ცოცხალსა და თვალსაჩინოს ხდის; მკაფიოდ და ბუნებრივად არის გამოხატული ავტორის ემოციები და განცდები; დასასრულში მკაფიოდ და დამაჯერებლად არის ახსნილი, რატომ არის ეს მოგონება დღემდე მნიშვნელოვანი ავტორისთვის.	მაღალი
	გამოყენებულია შესაბამისი დეტალები და აღწერილია განცდებიც, თუმცა ზოგი მათგანი ზოგადად არის გადმოცემული და მეტ დაკონკრეტებას საჭიროებს; მოგონების მნიშვნელობა ზოგადად არის ახსნილი.	საშუალო
	კონკრეტული დეტალები მწირია; განცდები მხოლოდ დასახელებულია; მოგონების მნიშვნელობა მხოლოდ მოკლედ არის დასახელებული და ნაკლებად არის ახსნილი.	საბაზისო
	ტექსტში თითქმის არ გვხვდება კონკრეტული დეტალები; ავტორის განცდები არ იკვეთება ან ბუნდოვნად არის გადმოცემული; არ არის ახსნილი, რატომ არის ეს მოგონება ავტორისთვის მნიშვნელოვანი.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია; მცირე ხარვეზები აზრის გაგებას არ აფერხებს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური ან პუნქტუაციური შეცდომა, თუმცა ტექსტი გასაგებია.	საშუალო
	შეცდომები ხშირია და ზოგჯერ ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	შეცდომების სიმრავლე მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

ბ) თვითშეფასების რუბრიკა

ინსტრუქცია მოსწავლეებისთვის:

ნამუშევრის წარდგენამდე გადაიკითხეთ თქვენი დაწერილი ტექსტი და თითოეულ კითხვაზე მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. თუკი მონიშნული გაქვთ „ნაწილობრივ“ ან „კიდევ უნდა ვცადო“, დაუბრუნდით ტექსტს და სცადეთ შესაბამისი მონაკვეთის უფრო ვრცლად ან მკაფიოდ ჩამოყალიბება.

საკითხი	**შევძელი**	**ნაწილობრივ შევძელი**	**კიდევ უნდა ვცადო**
ბავშვობის პერიოდიდან შევარჩიე ერთი კონკრეტული და სასიამოვნო მოგონება.			
ნათლად გადმოვეცი, სად და როდის მოხდა ამბავი, ვინ იყო ჩემთან ერთად.			
ამბავი თანმიმდევრულად გადმოვეცი: გამოვკვეთე, როგორ დაიწყო, როგორ განვითარდა და როგორ დასრულდა.			
გამოვიყენე კონკრეტული დეტალები, რომლებმაც ჩემი მონათხრობი უფრო ცოცხალი და საინტერესო გახადა.			
გადმოვეცი, რას ვგრძნობდი ამ დროს.			
ავხსენი, რატომ არის ეს მოგონება ჩემთვის გამორჩეული და დღემდე მნიშვნელოვანი.			
აზრები ლოგიკურად დავუკავშირე ერთმანეთს.			
სწორად გამოვყავი აბზაცები.			
შევარჩიე თხრობითი ტექსტისთვის შესაფერისი და მრავალფეროვანი სიტყვები.			
არ მაქვს დაშვებული ენობრივი და პუნქტუაციური შეცდომები.			

შენიშვნა: შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ მცირე კითხვარი ნამუშევარზე რეფლექსიისთვის. ამ ტიპის კითხვარის მეშვეობით თვითშეფასება მხოლოდ „დიახ/არა“ პასუხების მონიშვნით აღარ შემოიფარგლება და მოსწავლეს საკუთარი ნამუშევრის უფრო ღრმად გააზრებისა და გაუმჯობესებისკენ უბიძგებს.

კითხვარის ნიმუში:

1. ჩემი ნამუშევრის ყველაზე ძლიერი მხარეა:

2. ყველაზე მეტად გასაუმჯობესებელი მაქვს:

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლებისთვის

ნიკა აგიაშვილი, „ ჭაბუკები დარჩნენ მარად“, თბილისი, 1971;
შალვა აფხაიძე, კრიტიკული წერილები, თბილისი, 1959.

4. ილია ჭავჭავაძე - ბაზალეთის ტბა

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი)

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები

1. სამიზნე ცნება „ტექსტი“

მხატვრული ტექსტი - ლექსი.

შინაარსობრივი მხარე - თემა, მთავარი იდეა; ემოციები; განწყობილება.

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, სტროფი.

ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები: სიმბოლო; ნაწარმოებში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები.

არამხატვრული ტექსტი- მსჯელობითი ესე, შემოქმედებითი ესე.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური რეალიები; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (ფასეულობები, შეხედულებები, პრობლემატიკა).

ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“

მსგავსი ელემენტები - თემა, მთავარი იდეა, ალუზია, მოარული სიუჟეტი.

მოსალოდნელი შედეგები
მოსწავლე: • ურთიერთდაკავშირებულად აანალიზებს ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს; • ქმნის ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებულ არამხატვრულ ტექსტებს; • ამოიცნობს კონცეპტუალურ და ქვეტექსტურ ინფორმაციას ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; • ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • გამოხატავს პირად დამოკიდებულებას/მოსაზრებას ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და ხსნის/ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს; • ურთიერთდაკავშირებულად იყენებს შინაარსობრივ და სტრუქტურულ ელემენტებს ნამუშევრის შედგენისას; • ხსნის ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულებას ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; • მსჯელობს მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, ხსნის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციას; • ნამუშევრის შექმნისას მიზნობრივად იყენებს ფუნქციური კონტექსტის შესაბამის ლექსიკას, სტილს, ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს; • იცავს მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესებს; • აკავშირებს ტექსტს კონტექსტურ ფაქტორებთან და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; • ხსნის, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის; • ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილ თემატიკას/პრობლემატიკას, ფასეულობათა სისტემას. მსჯელობს მათ მსგავსება-განსხვავებაზე და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; • ადარებს ტექსტებს მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; ხსნის, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; • ამოიცნობს ინტერტექსტობრივ მიმართებას (ალუზიას); ხსნის, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს.

ბიოგრაფიული ცნობა ავტორის შესახებ

ცნობილია, რომ 1864 წელს ილია ჭავჭავაძე საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა დუშეთის მაზრაში, ხოლო სასამართლო რეფორმის შემდეგ, 1868-1873 წლებში, ილია უკვე დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ განაგრძობს მუშაობას.

ბაზალეთის ტბა, როგორც ჩანს, დუშეთში ყოფნის დროს გახდა შთამაგონებელი ილიასთვის. მართალია, ლექსი 1883 წელს დაიწერა, როცა ის უკვე ათი წლის წამოსული იყო დუშეთიდან, მაგრამ ბაზალეთის იდუმალი ტბის ხატება პოეტის მეხსიერებაში არ გაფერმკრთალებულა. არსებობს მოგონებები, რომელთა თანახმად, ილიას დუშელებისთვის უკითხავს ამ ტბის

უჩვეულო ადგილას გაჩენის შესახებ და ადგილობრივი მკვიდრის, დათა პაპიაშვილისგან, მოუსმენია ლეგენდა. დროთა განმავლობაში ლეგენდები არ იკარგება, მხოლოდ სახეს იცვლის. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი მდიდარი ფანტაზიით ამბავს ახალ დეტალებს მატებს, ძველი გადმოცემების მთავარი აზრი და ძირითადი ამბავი მაინც იგივე რჩება.

ბაზალეთის ტბის ლეგენდა (ლეგენდა ორი ვერსიითაა ცნობილი)

ვერსია პირველი: ლეგენდის თანახმად, ამ ადგილებში ცხოვრობდა ქალი, რომელსაც შვილი არ უჩნდებოდა. ის დიდხანს ოცნებობდა დედობაზე. მოხდა სასწაული და უფალმა ქალი ოქროსქოჩრიანი, ულამაზესი ვაჟიშვილით დაასაჩუქრა. ბავშვი ახლად დაბადებული იყო, როცა სოფელს თავს საშინელი გვალვა დაატყდა. სასოწარკვეთილმა ხალხმა არ იცოდა, როგორ გადაერჩინა სოფელი. ერთ შემაწუხებელ გვალვიან ღამეს ქალმა სიზმარი ნახა და ზეციური ძალებისგან ეუწყა, რომ, თუ ის ნანატრ ვაჟიშვილს სოფლიდან მოშორებით, მთაში დატოვებდა, გვალვა დასრულდებოდა. დედამ ამის შესახებ ოჯახის წევრებს უამბო, თუმცა შვილის მსხვერპლად შეწირვა არც უფიქრია. ოჯახმა გადაწყვეტილება მის გარეშე მიიღო და ბავშვი მთაში წაიყვანეს. დილით იმ ადგილას, სადაც აკვანი იდგა, გაჩნდა კამკამა ტბა. სოფელი გვალვას გადაურჩა, მაგრამ დამწუხრებულ დედას იქ ცხოვრება აღარ შეეძლო, გული მთისკენ, ახლად გაჩენილი ტბისკენ მიუწევდა. დედა ყოველდღე ადიოდა მთაზე და დასტიროდა საყვარელ შვილს, დედის ცრემლებით ტბა ივსებოდა. სოფლელები ამბობდნენ, რომ ბიჭი იზრდებოდა და მშვენდებოდა, მასთან ერთად კი ტბაც ლამაზდებოდა. ყველა ელოდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ბიჭი აკვნიდან ამოვიდოდა და მხსნელად მოევლინებოდა ქვეყანას.

ვერსია მეორე: ლეგენდის თანახმად, ბაზალეთის ტბის ადგილას ადრე სოფელი ყოფილა. ერთგან მაღალი კოშკი მდგარა, სადაც პატარძალს უცხოვრია. მას შესძენია ოქროსქოჩრიანი ვაჟი, რომელიც დედას ოქროს აკვანში ჩაუწვენია. კოშკის სიახლოვეს თავდახურული ჭა ყოფილა და ყველამ იცოდა, რომ, თუ წყლის ამოღების შემდეგ ჭას თავზე არ დაახურავდნენ, წყალი გადმოვიდოდა და სოფელს დატბორავდა. ერთხელ პატარძალს ჭიდან წყალი ამოუღია და თავზე დაფარება დავიწყებია. უძირო ჭიდან წყალი გადმოსულა და სოფელი დაუტბორავს. ოქროს აკვანში მწოლიარე ოქროსქოჩრიანი ბიჭიც ტბის ფსკერზე მოქცეულა და მის სახელს უკავშირდება ერის იმედი, რომ ბიჭი მესია-გმირად გაიზრდება და მხსნელად მოევლინება დაჩაგრულ ხალხსა და სამშობლოს.

ილია ჭავჭავაძემ შექმნა ახალი, პოეტური ვერსია, რომელმაც სრულიად სხვაგვარი მნიშვნელობა და შესძინა ძველ ლეგენდას.

ნაწარმოების შესახებ

ლექსის თემა: „ბაზალეთის ტბის“ მთავარი თემაა უძველესი ლეგენდის ახლებურად გაცოცხლება. პოეტის მიზანია, ხალხს შეახსენოს, რომ ბაზალეთის ტბის ძირას თამარ დედოფალს ჩაუდგამს ოქროს აკვანი, რომელშიც უცნობი ყრმა წევს. მას სირინოზები ზრდიან, უმღერიან და თავს დასტრიალებენ. ამ აკვნისთვის ერს ზედ ტბად თავისი ცრემლი დაუდენია. პოეტი შენატრის იმ სახელოვან ვაჟკაცს, რომელიც ამ აკვანში მწოლიარე ყრმას სამზეოზე გამოიყვანს, და დედას, რომელიც თავის „მადლით ცხებულ“ (კურთხეულ) ძუძუს აწოვებს ერის იმედად მოვლენილ მესიას.

ლექსის იდეა (მთავარი სათქმელი): ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება განმსჭვალულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეებითა და იდეალებით. ამ მოძრაობის უპირველესი ლიდერი, მეთაური და იდეური მედროშე თავად ილია გახლდათ, რომელიც თავისი შემოქმედებით ხალხში ეროვნული თვითშეგნების

მაცოცხლებელ იდეებს ავრცელებდა. „ბაზალეთის ტბაზე“ როცა ვსაუბრობთ, უთუოდ უნდა გავიაზროთ ის ისტორიულ-ლიტერატურული კონტექსტი, ეპოქის პარადიგმები, რომლებმაც შვა ილიას ესა თუ სხვა ნაწარმოებები. როგორია ისტორიული მოცემულობა ქვეყანაში? საქართველო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში რუსეთის კოლონიად არის ქცეული, სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი უკვე წარსულს ბარდება, მიმდინარეობს რუსიფიკაციისა და ასიმილაციის აგრესიული პოლიტიკა, ძალზე სუსტია განათლების კერები და საყოველთაო განათლება უდაბლეს დონეზეა, მწვავე ეროვნულ ჩაგვრას ემატება სოციალური პრობლემები, უუფლებო და ღატაკი გლეხობის ტანჯული ყოფა, უსამართლო და ბნელი გარემო, სამართლის ინსტიტუციების არარსებობა, თეატრი, პრესა, წიგნების გამოცემა ყოველმხრივ შეზღუდულია რუსული ცენზურით. ამგვარ რეალობაში საზოგადოებას სრულიად აქვს დაკარგული მომავლის იმედი და ცარიზმის პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით დემორალიზებულია. ილიასა და სხვა განმანათლებლების, მისი თანამებრძოლი „თერგდალეულების“ მიზანი იყო ხალხის გამოფხიზლება, იმედისა და სამომავლო იდეების მიცემა, ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება.

მხატვრულ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს. ილია ახლებურად აცოცხლებს ბაზალეთის ტბის ლეგენდას და ამ ლექსით შთააგონებს ქართველებს, რომ თამარის დროინდელი ძლიერი ქართული სახელმწიფოს აღდგენა-დაბრუნების იმედი არ ჩამკვდარა. როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა: „წარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის / ველოდებით შეხორცებას! / მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს / და ვეძლევით აღტაცებას“ (პოემა „თორნიკე ერისთავი“).

„ბაზალეთის ტბა“ მთლიანად სიმბოლურ-ალეგორიული ნაწარმოებია. ლექსის იდეები ასე უნდა გავიაზროთ: თამარის მიერ ტბაში ჩადგმული ოქროს აკვანი და მასში მწოლიარე ყრმა ქართული სახელმწიფოს იდეაა, რომელიც უკვდავია, ისევ ცოცხლობს და საჭიროა სახელოვანი ვაჟკაცები და ღვთით კურთხეული დედები, რომ ამ იდეას ხელი ჩაავლონ, ცრემლები შეუშრონ ერს, „ამოიყვანონ ტბიდან“ ქვეყნის იმედი და მომავალი, გაზარდონ ეროვნული იდეალებით და ყველა გაერთიანდეს ამ მაცოცხლებელი საქვეყნო იდეის გარშემო.

მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაში გმირის ძიების თემა ძალზე აქტუალურია - ჯერ კიდევ რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებაში. გრიგოლ ორბელიანი თავისი მეგობრის, იარალი შანშიაშვილისადმი, მიძღვნილ ლექსში „იარალის“ წერდა: „ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი / ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს? / რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით / უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?“

ილია ჯერ კიდევ 1859 წელს დაწერილ ლირიკულ პოემა „აჩრდილში“ (პირველი რედაქცია. მეორე რედაქციის სახით 1872 წელს პოეტმა გადაამუშავა პოემა და საბოლოო სახე მისცა) ასე მიმართავდა ქართველობას:

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,

რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი?

იგი აღარ გყავთ... მის მოედანი

ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა,

გმირის დამბადი დიდი საგანი

თქვენში სპობილა და წარწყმედილა“...

გმირის ძიების თემა აქტუალური იყო ასევე აკაკის შემოქმედებაში. 1886 წელს შექმნილ ლექსში („ჭაღარა“) აკაკი წერდა: „არა! აყვავდეს იმედი!... / გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა! /

გმირებს უძახის... უყივის / ჩემი დაფი და ნაღარა!..“

„ბაზალეთის ტბაც“ სწორედ გმირის ძიების იდეის გამოძახილია. ილია, როგორც მშვიდობიანი ეროვნული მოძრაობის ლიდერი, სამეფო ტახტწართმეული, სახელმწიფოებრიობაწართმეული ქვეყნის აღსადგენად ყველგან ეძებს გმირებს: სასულიერო პირებში, ახალგაზრდებში, ხელოვანებში, ქალებში, რომლებიც საზოგადო ასპარეზს იმ ეპოქაში სრულიად ჩამოშორებულნი იყვნენ, გლეხობაში, თავადაზნაურობაში.

ლექსის მთავარი იდეა უკავშირდება ასევე ბოლო ორ სტროფში გახმოვანებულ სიტყვებს, როცა პოეტი შენატრის იმ ვაჟკაცს, მამას, რომელიც ამ აკვანში მწოლიარე ყრმას ტბიდან ამოიყვანს, და დედას, რომელიც მას ძუძუს აწოვებს, აღზრდის. ამ სიტყვების მიხედვით, ავტორი გვეუბნება, რომ ყოველი ქართველი კაცისა და ქალის ვალია ეძებოს ქვეყნის ხსნის გზები, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა დაკარგული სახელმწიფოს დაბრუნებისთვის ბრძოლაში. დიახ, ილია ჭავჭავაძე თავად ედგა სათავეში ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ ერთი და ორი ადამიანის ძალისხმევა საკმარისი არ იყო და იგი ყველას მოუწოდებდა, აფხიზლებდა საზოგადოების ყველა ფენას, რომ გამოსულიყვნენ საზოგადო ასპარეზზე. ერთობით უფრო ადვილი მოსაპოვებელი იქნებოდა დაკარგული თავისუფლება.

სახეობრივი ანალიზი: ლექსში გვხვდება რამდენიმე მხატვრული სახე/ლირიკული გმირი: ბაზალეთის ტბა და მისი წყალქვეშა წალკოტი, ოქროს აკვანი და მასში მწოლიარე ყრმა, ყრმაზე მზრუნველი სირინოზები, თამარ დედოფალი, საოცნებო ვაჟკაცი და დედა, რომლებიც იზრუნებენ ყრმის ტბიდან ამოყვანასა და გაზრდაზე.

<u>ბაზალეთის ტბა</u> სიმბოლურ-ალეგორიულად განახლების, აღდგომა-ამაღლების იდეას განასახიერებს, მის წიაღში რომ **<u>უცხო წალკოტი</u>** ყვავის, ეს მინიშნებაა, რომ ტბის სამყარო, სადაც მთავარი გმირი, ყრმა, იმყოფება, მშვენიერია, მისი იდეა ამაღლებულია და ამაღლებულის ესთეტიკურ იდეალს ქმნის. **<u>სირინოზები,</u>** ზღაპრული არსებები, ასევე განასახიერებენ ტბის მშვენიერ სამყაროს. სირინოზები, იგივე სირენები, ძველ ბერძნულ მითოსში იყვნენ ზღვის ფანტასტიკური არსებები, რომელთაც ნახევრად ქალისა და ნახევრად ფრინველის ან თევზის ფორმები ჰქონდათ. ისინი ღვთაებრივი ხმით აჯადოებდნენ ყველას, მეზღვაურებს ხიბლავდნენ, სახიფათო კლდეებისკენ გაიტყუებდნენ და გემებს ღუპავდნენ. მოგვიანებით მათმა გარეგნობამ მითებში ტრანსფორმაცია განიცადა და თევზისკუდიან ქალთევზებად წარმოიდგენდნენ. სირინოზები გვხვდებიან ჰომეროსის „ოდისეაში“. ოდისევსმა მათ კუნძულს გვერდი აუარა, ხოლო მეზღვაურებს ყურები ცვილით დაუცო, რათა სირინოზების სიმღერა არ მოესმინათ. მითში სირინოზებს ხვდებიან არგონავტებიც, რომლებიც ორფევსმა გადაარჩინა თავისი ღვთაებრივი დაკვრითა და სიმღერით, როცა სირინოზების ხმები გადაფარა. ილიას ლექსის სირინოზები არ არიან ასეთი საბედისწერო არსებები, ისინი სიკეთის იდეას ემსახურებიან, „მხოლოდ იგინი გრძნეულნი დასტრფიან და დამღერიან“ ოქროს აკვანს.

<u>ოქროს აკვანი</u>, როგორც ჩანს, სიმბოლურ-ალეგორიულად განასახიერებს თამარის დროინდელ ოქროს ხანას, ქართველთათვის ძალიან ძვირფასს, ასევე მომავალი ძლიერი სახელმწიფოს იდეასაც (აკვანი ხომ ახალი სიცოცხლის, ახალი იდეის საწყისია) რომლის განსახორციელებლად უნდა იმოქმედოს ქართველობამ.

<u>ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმა, სავარაუდოდ,</u> განასახიერებს თავისუფლების იდეას, რომელიც უკვდავია. ამ ინტერპრეტაციას ამყარებს ილიას სიტყვები: „ვისიც არ ითქმის სახელი“. რა თქმა უნდა, თავისუფლების ხსენება ილიას დროს, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. თუმცა არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ ის მხსნელი გმირია, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის წინამძღოლი.

<u>თამარ მეფე</u> ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ხშირად ჩნდება, როგორც მხსნელი, უკვდავი არსი, იმედი, ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ვაჟა-ფშაველას ლექსი „დიდი თამარი“, ანა კალანდაძის „შორია თამარ“. ილიამ „ბაზალეთის ტბაში“ ახალი მითი შექმნა, როცა ტბაში აკვნის ჩადგმა თამარის სახელს დაუკავშირა.

<u>სახელოვანი ვაჟკაცი და სახელდებული დედა</u> - ეს ლირიკული გმირები ილიას თანამედროვე, პოეტის საოცნებო ახალი ქართველები არიან, რომლებმაც უნდა დაძლიონ შიში და უმოქმედობა, იბრძოლონ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის, ღირსებისთვის, შვილების მომავლისთვის.

სტილური ანალიზი: „ბაზალეთის ტბა“ თანამედროვე ქართული ენით დაწერილი, ნათელი და ემოციური ტექსტია. თითქოს ბალადასავით არის, მოგვითხრობს ტბის, ყრმისა და თამარის ამბავს, თუმცა ლირიკული ტონებით და არა - მშრალი თხრობის სახით. ავტორს მკითხველი მთლიანად შეჰყავს ლექსის მისტიკურ სამყაროში, მხატვრული დრო-სივრცე (ქრონოტოპი) მთლიანად მითოლოგიზებულია, ამბავი ზედროულია.

ლექსი საოცრად ევფონიური, ტკბილხმოვანი, რითმული და რიტმულია.

ლექსი მდიდარია ტროპული ხერხებით. მისი ლირიკული სამყარო მთლიანად ალეგორიულია. ალეგორიულია ყველა მხატვრული სახე და ამბავიც. გამოყენებულია ჰიპერბოლა („ვერ ერჩის, თურმე, მის მწვანეს ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი“...), მეტაფორა („და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით ტბა კარვად ზედ გადუხურავს“), ასევე უხვად არის გამოყენებული ეპითეტები: „უცხო“, „მზიანი“, „გრძნეულნი“, „სახელოვანი“, „სახელდებული“, „მადლით ცხებული“.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- რომელ ლეგენდებს ანდა თქმულებებს იცნობთ? მათგან რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად?
- ვინ შეიძლება იყოს ლეგენდის ანდა თქმულების მთავარი გმირი- ადამიანი, ღვთაება, ცხოველი, ბუნების ძალა? მოიყვანეთ მაგალითები თქვენთვის ნაცნობი ლეგენდებიდან და თქმულებებიდან.
- თქვენი აზრით, რით განსხვავდება ლეგენდა ზღაპრისგან - რომელში უფრო მეტია სიმართლის მარცვალი, რომელში - გამონაგონი?
- გახსოვთ თუ არა ლეგენდა, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ პირზე ან მოვლენაზეა შექმნილი? არსებობს თუ არა თქვენს სოფელში/რაიონში/ქალაქში რაიმე ადგილი, რომელზეც ლეგენდაა შექმნილი? დაასახელეთ.
- თქვენი აზრით, რატომ ქმნიდა ხალხი ლეგენდებსა და თქმულებებს? / როგორ ფიქრობთ, რა როლს ასრულებდა ლეგენდები და თქმულებები ხალხის ცხოვრებაში - მათი მიზანი მხოლოდ მსმენელების გართობა იყო თუ სხვა დანიშნულებაც ჰქონდა (მაგ.: გამოჩენილი ისტორიული პირის ღვაწლის ან/და ისტორიის არდავიწყება, ზნეობრივი მაგალითის ჩვენება). პასუხი დაასაბუთეთ კონკრეტული მაგალითის მოყვანით.

შენიშვნა: მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს შეკითხვები, მოახდინოს მათი მოდიფიცირება ან დასვას განსხვავებული შეკითხვები.

რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“

1. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, როგორ აღწერს პოეტი ტბის ფსკერზე არსებულ წალკოტს.
პასუხი: ბაზალეთის ტბის ძირას მარადმწვანე, უმშვენიერესი წალკოტი ყვავის, მის სილამაზეს ვერაფერი ჩრდილავს, ვერც სიცხე და ვერც ზამთარი, იქ მარადიული გაზაფხულია, ხოლო ამ თვალწარმტაც წალკოტში ოქროს აკვანი დგას. მასთან მიახლოებას ვერავინ ბედავს.
2. თქვენი აზრით, რატომ არ ემორჩილება წალკოტი „დროთა ტრიალს“?
კომენტარი: წალკოტი „დროთა ტრიალს“ იმიტომ არ ემორჩილება, რომ ის ზღაპრული სამყაროა, მას ზებუნებრივი ძალები მფარველობენ და დრო მას ვერაფერს უშავებს, რადგან მასში ინახება თავისუფლების უკვდავი იდეა.
3. პოეტის თქმით, როგორ შეიქმნა ტბა? რა საუნჯეს იცავს ის?
პასუხი: ტბა ერს თავისი ცრემლებით შეუქმნია, რათა თამარ მეფის მიერ ჩადგმული ოქროს აკვანი, ეროვნული საუნჯე, დაეცვა. ხალხმა კარვად დაახურა თავისი ცრემლები თამარის მიერ ჩადგმულ აკვანს.
4. თქვენი აზრით, რატომ იცავენ გრძნეული სირინოზები აკვანს?
კომენტარი: გრძნეული სირინოზები აკვანს უმღერიან და ესიყვარულებიან, იცავენ და ელოლიავებიან, რადგან ის თამარის მემკვიდრეობაა, ქართველი ერის იმედი და ხსნაა, ყველაზე ძვირფასია, რაც კი რამ ქართველ ხალხს გააჩნია.
5. ილია პირდაპირ არ ამბობს ყრმის სახელს. თქვენი ვარაუდით, ვინ შეიძლება იყოს ის, ვისაც ასე ელოდება ერი? როგორი თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს იგი?
კომენტარი: ილია არ ასახელებს აკვანში მწოლიარე ყრმის სახელს, მაგრამ ის არც უნდა იყოს ადამიანი, რადგან საუკუნეებია ტბის ფსკერზე წევს და ელოდება მხსნელს, რომელიც მას იქიდან ამოიყვანს. ის უფრო იდეაა, ვიდრე ხორცშესხმული ადამიანი. თუკი ის ზღაპრული გმირია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი ხალხის საოცნებო მხსნელია - მესია, რომელიც, ქართველთა რწმენით, თამარივით ყოვლისშემძლე იქნება და ძლიერ ქართულ სახელმწიფოს ააღორძინებს.
რუბრიკა „დააკვირდით“

1. ლეგენდაში ერთადერთი ისტორიული პიროვნებაა დასახელებული - თამარ დედოფალი. თქვენი აზრით, რატომ აკავშირებს ხალხური თქმულება ოქროს აკვანს თამარ დედოფალთან?

კომენტარი: ვინაიდან თამარ მეფე საქართველოს ისტორიოგრაფიაში „ოქროს ხანად“ წოდებული ეპოქის შემოქმედია, მის სახელთან არის დაკავშირებული ოქროს აკვანიც, როგორც ძლიერი სახელმწიფოს იდეის სახე-სიმბოლო.

2. როგორ ფიქრობთ, რატომ „ნატრულობს“ ყრმის მოსვლას ქართველი „ჩუმი ნატვრით“? პასუხის გასაცემად გაიხსენეთ, საქართველოს ისტორიის რომელ პერიოდში მოღვაწეობდა ილია.

კომენტარი: ილია მოღვაწეობდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საქართველო რუსეთის კოლონია იყო, მწვავე ეროვნული და სოციალური ჩაგვრის, უთანასწორობის ეპოქაში, და ქართველი ხალხი ნატრობდა თავისუფლებას, აგრეთვე გმირებს, ლიდერებს, რომლებიც ქვეყანას მკვდრეთით აღადგენდნენ. „ჩუმი ნატვრა“ აქ იმიტომ არის ნახსენები, რომ მეფის რუსეთის იმპერიის მანქანა კრძალავდა ეროვნული თავისუფლების თემაზე ნებისმიერ თვითგამოხატვას, ამგვარი იდეები და მოწოდებები იკრძალებოდა და ისჯებოდა რუსული ცენზურისგან.

3. **ავტორი ლექსის ბოლოს ყრმის დედას ახსენებს. როგორ ფიქრობთ, რატომ არის დედის როლი ისეთივე მნიშვნელოვანი ქვეყნის გადარჩენისთვის, როგორიც მებრძოლი, ვაჟკაცი მამისა?**

კომენტარი: ქალები მეცხრამეტე საუკუნეში ჯერ კიდევ მოწყვეტილნი იყვნენ საზოგადო ასპარეზს არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ ცივილიზებულ ევროპაშიც კი. ჩვენში ერთ-ერთი პირველი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ქალთა როლი ახლებურად გაიაზრა და ეს იდეა ხალხს მიაწოდა. მან შექმნა ხატი ოთარაანთ ქვრივისა, რომლის სახეც ეროვნული და სოციალური ჩაგვრის რეალობაში გამორჩეული იყო ჩვენი ქვეყნისთვის. ილიამ ქალები უფლებრივად გაუთანაბრა კაცებს და უამრავ ნაწარმოებში, ასევე პუბლიცისტურ წერილებში წერდა ქალთა შესაძლებლობებზე. ლექსში „ქართვლის დედას“ ის მოუწოდებდა დედებს: „დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება: / ისე აღზარდე შენ შვილის სული, / რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, / უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“ . ვინაიდან დედა არის ყველას მშობელი და აღმზრდელი, მას სწორედ ისევე შეუძლია ქვეყნის ხსნაში მონაწილეობა, როგორც მამებს, მეომარ ვაჟკაცებს და ეს სჭირდება ქვეყანას სასიცოცხლოდ.

4. **მეცნიერი გეოგრაფისთვის ბაზალეთი მხოლოდ ტბაა, ისტორიკოსისთვის - ბრძოლის ან სხვა მოვლენის ადგილი, ტურისტისთვის კი - დასასვენებელი სივრცე. ისაუბრეთ: ლექსის წაკითხვის შემდეგ ტბის სიღრმეში რა „საიდუმლო ამოიკითხეთ“, რაც არც ფოტოებსა და რუკებზე ჩანს და არც ისტორიულ წყაროებში წერია? რა ახალი ემოცია ან დამოკიდებულება გაგიჩნდათ ამ ადგილის მიმართ?**

კომენტარი: ილიამ ბაზალეთის ტბა ამ ლექსით მისტიკურ, იდუმალ, საოცნებო ადგილად აქცია და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, როგორც თამარისეული სახელმწიფოებრიობის იდეის სავანეს. ლექსში ცოცხლდება ზღაპრული რეალობა, თითქოს იქ სირინოზები ზრდიან მომავალ გმირს. ამ მოცემულობით ტბა ხდება ყველა ეპოქის ქართველისთვის სასურველი და საოცნებო ადგილი. ალბათ, იშვიათია ქართველი, რომლის აზროვნებაშიც ბაზალეთის ტბა ილიას ამ ლექსის ლირიკულ სამყაროსთან და ილიასეულ ხსნის იდეებთან არ ასოცირდება.

<u>რუბრიკა „იმსჯელეთ“</u>

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ორ მოსაზრებას, შემდეგ იმსჯელეთ, რომელს იზიარებთ და რატომ.

ა) ყრმა - „ვისიც არ ითქმის სახელი“ - საქართველოს თავისუფლებაა, „ვაჟკაცი სახელოვანი“ კი ისაა, ვინც ამ თავისუფლებას მოუპოვებს თავის ქვეყანას.

ბ) ყრმა - „ვისიც არ ითქმის სახელი“ - თავადაა სამშობლოს გამათავისუფლებელი გმირი.

კომენტარი: „ბაზალეთის ტბის“ მსგავს ალეგორიულ ლექსებში მხატვრული სახეები მრავალშრიანია და მათი აღქმა-გააზრება სხვადასხვა კუთხიდან შეიძლება. სავარაუდოდ, ლექსის მთავარი ლირიკული გმირი - ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმაც - ასეთივე მრავალმნიშვნელოვანი მხატვრული სახეა. მასში ალბათ უფრო საქართველოს თავისუფლების იდეა უნდა დავინახოთ, ხოლო სახელოვან ვაჟკაცში - რიგითი ქართველი, რომელსაც ქვეყნის გასათავისუფლებლად ბრძოლის ძალა შესწევს. თუმცა არც ისაა ლოგიკას მოკლებული, რომ ყრმაში ვიგულისხმოთ სამშობლოს მსხნელი გმირი, თუ ყრმა ისაა, „ვისიც არ ითქმის სახელი და ვისაც დღე და ღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“, ალბათ, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საუკუნეების განმავლობაში ტბის ძირას აკვანში ყოფნა და სირინოზებით გარშემორტყმული ბავშვის სახე სიმბოლურ-ალეგორიულია და განასახიერებს გმირებს,

რომლებიც მზად არიან თავი დადონ მამულის მკვდრეთით აღსადგენად. მხატვრულ ტექსტში დასაშვებია ყველაფერი, რაც რეალურ ცხოვრებაში შეუძლებელია.

რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“

ტექსტში ნათლად იკვეთება ამბის ლეგენდური ხასიათი. ზმნები: „არისო“, „ჰყვავისო“ - გვიჩვენებს, რომ მწერალი სხვათა ნათქვამს, სხვის მოყოლილ ამბავს გადმოგვცემს.

• ამოიწერეთ ლექსიდან სხვა სიტყვები, რომლებიც ადასტურებს, რომ ეს ამბავი პოეტს სხვათაგან აქვს მოსმენილი.

პასუხი: იმას, რომ პოეტს ეს ამბავი სხვათაგან აქვს მოსმენილი, გარდა სხვათა სიტყვის ნაწილაკ „ო“-ს გამოყენებით გადმოცემული ზმნებისა („არისო“, „ჰყვავისო“), გვიდასტურებს ასევე „თურმე“ ნაწილაკის გამოყენებით აგებული პოეტური ფრაზები: „არასდროს თურმე არ სჭკნება“, „ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს“... . ასევე ამის დამადასტურებელია ფრაზები: „ამბობენ, თამარ დედოფალს ის აკვანი იქ ჩაუდგამს“, „ამას კი აღარ ამბობენ“... ზმნა „ამბობენ“ ხალხში გავრცელებულ ისტორიებს გვიყვება.

2. მოძებნეთ ლექსის პირველ და მესამე სტროფებში ეპითეტები, დააკვირდით და ისაუბრეთ, რა დააკლდებოდა მათ გარეშე ლექსს.

კომენტარი: ლექსის პირველ და მესამე სტროფებში გამოყენებული ეპითეტები: „უცხო“ და „მზიანი“ ემოციურად და მხატვრულად წარმოგვიჩენს ბაზალეთის ტბის ჯადოსნურ გარემოს. მათ გარეშე ლექსს დააკლდებოდა მკითხველზე ემოციური ზემოქმედების ძალა.

რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“

დავალება 1. ლეგენდის მიხედვით, ბაზალეთის ტბის სიღრმეში სირინოზების ჯადოსნური ხმები ისმის. წარმოიდგინეთ, რას უმღერიან ეს ზღაპრული არსებები ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმას და დაწერეთ მცირე ზომის ტექსტი: „ბაზალეთის ტბის ჯადოსნური სიმღერა“. ტექსტში გადმოეცით სირინოზების სიმღერის შინაარსი (მაგ.: რას უამბობენ ყრმას სამშობლოზე, რა თვისებებს დაანათლავენ მას ან რა დიადი საქმის კეთებისკენ მოუწოდებენ).

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის:

სასურველია მოსწავლეებს აუხსნათ, რომ სირინოზების სიმღერა შემოქმედებითი დავალებაა და მოითხოვს ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარებს. მოსწავლემ სასურველია გაითვალისწინოს ეპოქის რეალობა და მწერლის მთავარ სათქმელთან დააკავშიროს თავისი ნააზრევი. ყრმა, სავარაუდოდ, განასახიერებს საქართველოს თავისუფლების იდეას, რადგან ის აკვანში ძლიერი ქართული სახელმწიფოს შემოქმედმა თამარ მეფემ ჩააწვინა და თავშესაფარი ბაზალეთის ტბის ზღაპრულ სამყაროში მიუჩინა. დაეხმარეთ მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში, რომ თავისუფლების იდეა თავისთავად არ იბადება, ის კონკრეტული ქვეყნის (საქართველოს) წარსულიდან და ხალხის სულიდან იბადება.

სიმღერის შინაარსი სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება გაიშალოს, მაგალითად:

- ✓ **საუბარი სამშობლოზე** - სირინოზები ყრმას უმღერიან საქართველოზე: მის სილამაზეზე, ხალხზე, წარსულსა და ტრადიციებზე; თამარ დედოფალზე, რომელმაც აკვანი ჩადგა ტბის სიღრმეში;
- ✓ **სასურველი თვისებების „დანათვლა“** - მაგ.: სიმამაცე, სიბრძნე, სამართლიანობა,

ერთგულება, პასუხისმგებლობა, კეთილშობილება, გამძლეობა;

- ✓ **ხალხის მსახურებისკენ მოწოდება** - მოუწოდებენ, იზრუნოს ადამიანებზე, დაიცვას სუსტი, დაეხმაროს გაჭირვებულს; აღადგინოს თამარის დროინდელი ძლიერი სახელმწიფო;
- ✓ **ქვეყნის დაცვა და მსახურება** - მოუწოდებენ, საჭიროების შემთხვევაში დაიცვას სამშობლო და პასუხისმგებლობა აიღოს მის მომავალზე და ა.შ.

შენიშვნა: დავალების პირობაში ფრჩხილებში მოცემული მაგალითები, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებები მხოლოდ საორიენტაციო ხასიათისაა. მოსწავლეს არ მოეთხოვება, აუცილებლად შეეხოს ყველა ამ საკითხს ან ზუსტად გაიმეოროს მითითებული შინაარსი. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა არ შეზღუდოს მოსწავლის ფანტაზია და მისცეს შესაძლებლობა, გადმოსცეს სირინოზების სიმღერის შინაარსი საკუთარი წარმოსახვისა და შემოქმედებითი ხედვის შესაბამისად, თუკი მისი ნააზრევი დავალების პირობას უკავშირდება.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა ადეკვატურად და სიღრმისეულად არის გააზრებული.	მაღალი
	მოსწავლე ადეკვატურად იგებს და სწვდება დავალების პირობას, თუმცა პირობის გაგება ყოველთვის სიღრმისეული არ არის.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შეიმჩნევა თემიდან მცირედი გადახვევის ზოგიერთი შემთხვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გააზრებული; ნამუშევარი არ შეესაბამება პირობას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	მაღალი
	სტრუქტურა და ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია, თუმცა აბზაცები ყოველთვის სწორად არ არის გამოყოფილი.	საშუალო
	სტრუქტურა ნაწილობრივ გამართულია, ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.	საწყისი

III კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე და შემოქმედებითობა.	სირინოზების სიმღერის შინაარსი საინტერესოდ და დამაჯერებლად არის წარმოსახული; იკვეთება მოსწავლის დამოუკიდებელი ხედვა და ფანტაზია; სიმღერა მკაფიოდ უკავშირდება ლექსის მხატვრულ სამყაროს, ყრმის სახესა და ნაწარმოების ძირითად სათქმელს.	მაღალი
	სიმღერის შინაარსი გასაგებად არის წარმოდგენილი; ჩანს შემოქმედებითი მიდგომა, თუმცა ზოგჯერ აზრი ზოგადია ან ნაკლებად განვითარებული; ტექსტთან კავშირი აშკარაა, თუმცა ზოგიერთ იდეას აკლია განვითარება.	საშუალო
	წარმოდგენილია შესაბამისი იდეა, მაგრამ მწირად განვითარებული; შემოქმედებითი ელემენტები ნაკლებად იკვეთება. ნაწარმოებთან კავშირი მხოლოდ ერთი-ორი დეტალით შემოიფარგლება.	საბაზისო
	სათქმელი ბუნდოვანი ან ფრაგმენტულია; შემოქმედებითი ჩანაფიქრი თითქმის ან არ იკვეთება; ნაწარმოებთან კავშირი თითქმის არ ჩანს.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

2. შეარჩიეთ მელოდია, რომელიც, თქვენი აზრით, ზღაპრული სირინოზების ჯადოსნურ გალობას ჰგავს. ახსენით თქვენი არჩევანი.

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:

1. აუხსენით მოსწავლეებს, რომ დავალებას ერთი სწორი პასუხი არ აქვს. მათ შეუძლიათ შეარჩიონ ნებისმიერი მელოდია - კლასიკური, კინომუსიკა, ხალხური, ინსტრუმენტული ან სხვა - თუ შეძლებენ არგუმენტირებულად ახსნან, რატომ აგონებთ იგი სირინოზების ჯადოსნურ გალობას. ყურადღება გაამახვილეთ მუსიკის ისეთ მახასიათებლებზე, როგორებიცაა ტემპი, ჟღერადობა, რიტმი, ხმის სიმაღლე და შექმნილი განწყობა. მთავარია, მოსწავლეებმა შეძლონ ლექსის მხატვრული სამყაროსგან მიღებული ემოციური შთაბეჭდილების სიტყვიერად გადმოცემა, ასოციაციური აზროვნება და საკუთარი არჩევანის დასაბუთება.

დამატებითი შეკითხვებით შეგიძლიათ დაეხმაროთ მოსწავლეებს არჩევანის დასაბუთებაში, მაგალითად: რა განწყობას ქმნის მელოდია? რომელი მონაკვეთი გეჩვენება განსაკუთრებით იდუმალი ან ზღაპრული? რას წარმოიდგენ ამ მუსიკის მოსმენისას? როგორ შეიძლება ეს ჟღერადობა დაუკავშირო სირინოზების გალობას?

2. ამ დავალების შეფასება შეგიძლიათ განმავითარებელი კომენტარით, რომელიც მოსწავლეს მკაფიოდ მიანიშნებს, რამდენად ეფექტურად შეძლო მან მუსიკალური ნაწარმოების დაკავშირება პოეტურ ტექსტთან. უკუკავშირის მიცემისას ყურადღება გაამახვილეთ შემდეგზე:

- ✓ **კავშირი ლექსის მხატვრულ სამყაროსთან -** რამდენად შეესაბამება შერჩეული მელოდია ლექსის განწყობასა და სირინოზების ზღაპრულ სახეს.
- ✓ **ემოციური შთაბეჭდილების გადმოცემა** - რამდენად ნათლად გადმოსცემს მოსწავლე სიტყვიერად მელოდიისგან მიღებულ განცდებსა და ასოციაციებს.
- ✓ **არჩევანის დასაბუთება** - რამდენად დამაჯერებლად ხსნის მოსწავლე, რატომ შეარჩია კონკრეტული მელოდია და რა მუსიკალური ნიშნებით უკავშირებს მას სირინოზების გალობას.
- ✓ **აზრის მკაფიოდ გადმოცემა** - არის თუ არა პასუხი გასაგები, თანმიმდევრული და კონკრეტული.

რუბრიკა „მოგზაურობა ციფრულ სამყაროში“

დავალება 1. მოისმინეთ „ბაზალეთის ტბის“ აუდიოჩანაწერი. დააკვირდით, რომელ სიტყვებს გამოკვეთს მსახიობი წაკითხვისას და რატომ. გამოთქვით თქვენი მოსაზრება.

კომენტარი: შეთავაზებულ აუდიოჩანაწერში ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბას“ კითხულობს ცნობილი მსახიობი და მხატვრული კითხვის აღიარებული ოსტატი გურამ საღარაძე. ლექსის დასაწყისს მსახიობს მშვიდი კილო აქვს, თითქოს რაღაც ამბავს მოგვითხრობს, მაგრამ შემდგომში მისი ხმის დინამიკა მატულობს და უფრო და უფრო ემოციური ხდება. მსახიობი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს შემდეგ სიტყვებზე:

- „ოქროს აკვანი არისო“ - გამოკვეთს ლექსის მთავარ მოტივს, სათქმელს - ოქროს აკვანი დაკავშირებულია საქართველოს ნათელი მომავლის მოლოდინთან;
- „უცხო წალკოტი ჰყვავისო. მწვანეა“ - წარმოაჩენს ტბის ფსკერზე არსებული სამყაროს ჯადოსნურობას, უპირისპირებს ზედაპირზე არსებულ რეალობას.
- „გაზაფხული არის“ - გამოხატავს სიცოცხლეს, მუდმივ განახლებას. ეს უპირისპირდება

ხმელეთზე არსებულ ზამთარს, სიცივეს, უძრაობას.

- „მარტო იგინი გრძნეულნი“ - ხაზს უსვამს, რომ ჩეულებრივი ადამიანისთვის წალკოტის ჯადოსნური სამყარო მიუწვდომელია.
- „თამარ დედოფალს“ - გამოხატავს საქართველოს დიდებულ წარსულს, უწყვეტ კავშირს წარსულთან, ყრმის მნიშვნელობას - მან უდიდესი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის ცხოვრებაში.
- „დღე და ღამ ნატრულობს ჩუმი ნატვრითა ქართველი“ - გამოხატავს ხალხის სანუკვარ ოცნებას, გმირის მოლოდინს.
- „ვაჟკაცსა სახელოვანსა“ - გამოხატავს აღტაცებას ყრმის აღმზრდელი მამის მიმართ.
- „დედასა სახელდებულსა“ - გამოხატავს აღტაცებას ყრმის აღმზრდელი დედის მიმართ.

შეჯამება: მიზანია მთავარი სახეების/სიმბოლოების გამოკვეთა, კონტრასტის წარმოჩენა, ემოციური ზემოქმედება მკითხველზე.

დავალება 2. მოიძიეთ სხვა ლეგენდები ბაზალეთის ტბის შესახებ. შეადარეთ, რით განსხვავდება ისინი ილიას ლექსში გადმოცემული ლეგენდისგან.

პასუხი: ბაზალეთის ტბის ინვარიანტული ლეგენდის ორი ვერსია ზემოთ არის მოყვანილი (იხ. გვ 98). მოცემული ლეგენდები იმით განსხვავდება ილიას ვერსიისგან, რომ იქ არ ფიგურირებს თამარ დედოფალი. ერთ ლეგენდაში ყრმა სოფლის ხსნის იდეას შეეწირა, როცა გვალვისგან თავდასახსნელად მთაში წაიყვანეს უმწეო ჩვილი, ხოლო მეორე ვერსიით ყრმა დედის უგულისყურობას შეეწირა. აქ შეგვიძლია მოსწავლეებს შევთავაზოთ სხვადასხვა ტიპის კოგნიტური სქემები, მაგალითად: ვენის დიაგრამა ან შევქმნათ რამდენიმესვეტიანი სქემა, რომელშიც ჩაწერენ ლეგენდების ფაბულებს და მათ საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებს.

ლეგენდა გვალვის დროს მთაში გახიზნული ჩვილის შესახებ	ლეგენდა თავმოხდილი ჭისა და მწუხარე დედის შესახებ	ილიასეული ლეგენდა	ლეგენდების საერთო მახასიათებლები	ლეგენდების განმასხვავებელი მახასიათებლები

რუბრიკა „წერითი დავალება“

დაწერეთ თხზულება: „როგორი უნდა იყოს ლიდერი“. ნაშრომში გადმოეცით, როგორ გესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა, როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს ლიდერს და რატომ.

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის

წერის პროცესი

1. წერის დაწყებამდე

ა) განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ აუცილებელი არ არის, ლიდერში ქვეყნის მმართველი ან/და ისტორიული გმირი (მაგ.: მეფე, მხედართმთავარი) მოიაზრონ. ლიდერი შეიძლება იყოს მათთვის ნაცნობი გარემოდან ადამიანი, რომელიც ინიციატივას იჩენს, საერთო საქმის ორგანიზატორია, აერთიანებს სხვებს, მაგალითად: სპორტული გუნდის კაპიტანი, კლასის

აქტიური წევრი (ვინც იცავს თანაკლასელების ინტერესებს, ეხმარება სწავლაში, კონფლიქტების მოგვარებაში და მისთ.), ჯგუფური სამუშაოს/პროექტის ხელმძღვანელი, სასკოლო კლუბის/წრის ხელმძღვანელი და ა.შ. ეს დაეხმარება მოსწავლეებს დაეყრდნონ პირად გამოცდილებას და მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები თავიანთი ყოველდღიურობიდან, რის შედეგადაც ნამუშევარს ზოგადი ხასიათი არ ექნება.

ბ) გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება იმაზე, რომ დავალების პირობაში ლაპარაკია ლიდერის თვისებებზე (მრავლობით რიცხვში), ეს კი გულისხმობს, რომ მათ უნდა დაასახელონ მინიმუმ ორი თვისება.

გ) შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მოსაზრებები უნდა გაამყარონ შესაბამისი არგუმენტებითა და კონკრეტული მაგალითებით მაგ.: ლიდერის თვისებების დასახელებისას უნდა აჩვენონ, რატომაა მნიშვნელოვანი ეს თვისება და მოიყვანონ შესაბამისი მაგალითი (მაგალითები), რომელიც დაადასტურებს მათ მოსაზრებას.

დ) ურჩიეთ მოსწავლეებს მოერიდონ ზოგად, ბანალურ ფრაზებს (მაგ.: „ლიდერი კეთილი ადამიანია“, „ლიდერი ყველას უნდა დაეხმაროს“).

2. წერის დროს

შესთავაზეთ მოსწავლეებს მარტივი სამნაწილიანი გეგმა, რომელსაც ისინი ნამუშევრის წერის დროს გამოიყენებენ. ეს მათ აზრის სტრუქტურირებულად ჩამოყალიბებაში დაეხმარებათ.

ნამუშევრის გეგმის შესაძლო ვარიანტი

შესავალი

- მიიპყარით მკითხველის ყურადღება - დაიწყეთ საინტერესო კითხვით, ფრაზით, ციტატით;
- თქვენი სიტყვებით მოკლედ ჩამოაყალიბეთ, ვინ არის კარგი ლიდერი და რა როლს ასრულებს იგი.

ძირითადი ნაწილი

- დაასახელეთ თვისებები, რომლებიც უნდა ჰქონდეს ლიდერს;
- ახსენით, რატომ არის ეს თვისებები მნიშვნელოვანი;
- თითოეულ თვისებასთან დაკავშირებით მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითი (თქვენი ცხოვრებიდან, ისტორიიდან, ნანახი ფილმიდან, წაკითხული წიგნიდან) ან აღწერეთ შესაძლო სიტუაცია, რათა დაასაბუთოთ მისი მნიშვნელობა.

დასკვნა

- შეაჯამეთ: რატომ ენდობიან ადამიანები ლიდერს და რატომ სურთ მის გვერდით ყოფნა.

შენიშვნა: საწყის ფრაზად შეიძლება გამოყენებული იყოს დამაფიქრებელი/საინტერესო შეკითხვა, ფრაზა, გამონათქვამი, ციტატა ან ხალხური სიბრძნე, მაგალითად:

- ✓ „ოდესმე გიფიქრიათ, რატომ მიჰყვებიან ადამიანები ერთ კონკრეტულ პირს რთულ სიტუაციაში?“,
- ✓ „რთულ ვითარებაში ზოგი იბნევა, ზოგი კი გამოსავალს პოულობს და სხვებსაც გზას

უჩვენებს“;

- ✓ „ავი წინამძღოლი გზას მოსდრეკს, კარგი კი გაასწორებს“ (ქართული ხალხური ანდაზა);
- ✓ „უმჯობესია სხვებს აყენებდე წინ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამარჯვებას და კარგ მოვლენებს ზეიმობ. მაგრამ საფრთხის დროს პირველ ხაზზე უნდა დადგე. სწორედ მაშინ დააფასებს ხალხი შენს ლიდერობას“ (ნელსონ მანდელა).

3. წერის შემდგომ

სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ თვალი გადაავლონ ნამუშევარს და გაასწორონ შემჩნეული ხარვეზები. ამ მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემებიც.

რეკომენდაციები დიფერენცირებული სწავლებისთვის

ა) დიფერენცირება მოსწავლეთა მზაობის დონის მიხედვით

- **წინადადებათა დასაწყისები** - შესთავაზეთ წინასწარ გამზადებული შაბლონები - წინადადებათა დასაწყისები (დაუსრულებელი წინადადებები) მათ, ვინც დახმარებას საჭიროებს აზრის ფორმულირების კუთხით, მაგალითად: „ჩემი აზრით, ნამდვილი ლიდერი არის ის, ვინც...“, „ეს თვისება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ...“; „შემიძლია გავიხსენო შემთხვევა, როდესაც...“; „მაგალითად, ლიდერმა უნდა..“, „ამიტომ ვფიქრობ, რომ კარგი ლიდერი...“ და მისთ.
- **ლექსიკური მარაგი** - შეგიძლიათ შესთავაზოთ ლიდერის თვისებების აღმნიშვნელი სიტყვების ბანკიც. მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვათა ბანკიდან შეარჩიონ ის თვისებები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ლიდერისთვის (წინასწარ დარწმუნდით, რომ მათ ყველა სიტყვის მნიშვნელობა ესმით).

სიტყვათა ბანკის ნიმუში

(შეგიძლიათ მისი მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით).

პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, გამბედაობა, პატივისცემა, თავდაჯერებულობა, გულწრფელობა, მიზანდასახულობა, თანამშრომლობის უნარი, სიმტკიცე, გადაწყვეტილების მიღების უნარი, სხვისი აზრის მოსმენის უნარი...

- **გრაფიკული მაორგანიზებელი** - შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ რომელიმე გრაფიკული მაორგანიზებელი (მაგ.: T-სქემა, „ობობას ქსელი“, „ჰამბურგერი“ ან სხვ.), რომელშიც წინასწარ ჩამოწერენ ლიდერის ორ-სამ თვისებას და თითოეულისთვის მოიფიქრებენ, სულ მცირე, ერთ კონკრეტულ მაგალითს ან შესაძლო სიტუაციას.

მაღალი მზაობის მოსწავლეებს შეგიძლიათ შესთავაზოთ დამატებითი საკითხი, რომელიც უფრო ღრმა მსჯელობას მოითხოვს, მაგალითად (შეარჩიეთ ერთ-ერთი):

- ✓ შეიძლება თუ არა კარგი ლიდერი შეცდეს;
- ✓ რა არის უფრო მნიშვნელოვანი ლიდერისთვის - თავდაჯერებულობა თუ სხვისი მოსმენის უნარი;

- ✓ როგორ უნდა მოიპოვოს ლიდერმა სხვების ნდობა და როგორ შეიძლება დაკარგოს იგი;
- ✓ როგორ უნდა მოიქცეს ლიდერი, როდესაც მისი სურვილი და ჯგუფის ინტერესი ერთმანეთს არ ემთხვევა;
- ✓ არის თუ არა პოპულარული ადამიანი ყოველთვის კარგი ლიდერი? რატომ?
- ✓ თქვენი აზრით, ლიდერებად იბადებიან თუ ლიდერობა შეიძლება ისწავლოს ადამიანმა? რატომ ფიქრობთ ასე?

ბ) დიფერენცირება მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით

· შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ ფოკუსირება ერთ რომელიმე სფეროზე, რომელსაც თავად შეარჩევენ, მაგალითად:

- ✓ ლიტერატურით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის - აირჩიონ რომელიმე პერსონაჟი და მის მაგალითზე დაყრდნობით იმსჯელონ ლიდერის თვისებებზე;
- ✓ ისტორიით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის - აირჩიონ რომელიმე ისტორიული პირი და მის მაგალითზე დაყრდნობით იმსჯელონ ლიდერის თვისებებზე;
- ✓ სპორტით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის - აირჩიონ რომელიმე სპორტული გუნდის კაპიტანი და მის მაგალითზე დაყრდნობით იმსჯელონ ლიდერის თვისებებზე და ა.შ.

გ) დიფერენცირება საბოლოო პროდუქტის/ნამუშევრის მიხედვით

საბოლოო პროდუქტის/ნამუშევრის მიხედვით დიფერენცირებისას მოსწავლეები ერთსა და იმავე საკითხზე - **„როგორი უნდა იყოს ლიდერი“** - მუშაობენ, მაგრამ თავიანთ მოსაზრებებს განსხვავებული ფორმით წარმოადგენენ, მაგალითად:

- ✓ **ლიდერის პორტრეტი** - შექმნან „იდეალური ლიდერის პორტრეტი“: გამოყონ 2-3 მნიშვნელოვანი თვისება და თითოეულს დაურთონ მოკლე განმარტება - როგორ ვლინდება ეს თვისება ქცევაში.
- ✓ **პოსტერი** - მოამზადონ ვიზუალური ნამუშევარი სათაურით „კარგი ლიდერის მთავარი თვისებები“. თითოეულ თვისებას დაურთონ მოკლე განმარტება ან კონკრეტული მაგალითი.
- ✓ **გზამკვლევი** - შექმნან „დამწყები ლიდერის გზამკვლევი“: ჩამოაყალიბონ რჩევები, მაგალითად: როგორ მიიღოს ლიდერმა გადაწყვეტილება, როგორ მოუსმინოს სხვებს, როგორ მოაგვაროს უთანხმოება, როგორ იკისროს პასუხისმგებლობა.
- ✓ **ინტერვიუ ლიდერთან** - მოიფიქრონ 6-8 კითხვა კარგი ლიდერისთვის და თავადვე დაწერონ სავარაუდო პასუხები. კითხვებმა უნდა გამოავლინოს ლიდერის შეხედულებები პასუხისმგებლობაზე, სამართლიანობაზე, თანამშრომლობაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე.
- ✓ **სიტყვით გამოსვლა** - მოამზადონ 2-3-წუთიანი გამოსვლა თემაზე „როგორი ლიდერი

ვიქნებოდი“, რომელშიც ისაუბრებენ, რა პრინციპებით იხელმძღვანელებდნენ და როგორ მოიქცეოდნენ გუნდის წევრებთან.

- ✓ **პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა** - შესთავაზეთ სიტუაცია: „ჯგუფის წევრები ერთმანეთს არ ეთანხმებიან და დავალების შესრულება ფერხდება“. მოსწავლემ წერილობით უნდა გადმოსცეს, როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს კარგი ლიდერი და რატომ.

შენიშვნა: არჩეული ფორმის მიუხედავად, თითოეულ ნამუშევარში უნდა:

- გამოიკვეთოს, როგორ ესმის მოსწავლეს ლიდერობა;
- დასახელდეს ლიდერის, სულ მცირე, ორი მნიშვნელოვანი თვისება;
- აიხსნას, რატომ არის ეს თვისებები მნიშვნელოვანი;
- გამოყენებული იყოს შესაბამისი მაგალითი ან შესაძლო სიტუაცია;
- გამოიკვეთოს მოსწავლის პოზიცია.

შეფასების რუბრიკები

ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	პირობა სრულად და სიღრმისეულად არის გააზრებული.	მაღალი
	პირობა ძირითადად სწორად არის გააზრებული, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის გათვალისწინებული.	საშუალო
	პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; რამდენიმე მნიშვნელოვანი მოთხოვნა გამოტოვებულია	საბაზისო
	პირობა მთლიანად არაადეკვატურადაა გააზრებული, ნამუშევარი აცდენილია თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	მაღალი
	სტრუქტურა და ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია, თუმცა აბზაცები ერთ-ორ შემთხვევაში სწორად არ არის გამოყოფილი.	საშუალო
	სტრუქტურა ნაწილობრივ გამართულია, ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.	საწყისი

III კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე	ლიდერის ცნება სიღრმისეულად არის გააზრებული; სათქმელი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული; იკვეთება ინდივიდუალური/დამოუკიდებელი ხედვა; დასახელებულია ლიდერის თვისებები, მოყვანილია კარგად შერჩეული არგუმენტები და კონკრეტული მაგალითები/შესაძლო სიტუაციები, რომლებიც დამაჯერებლად და სრულყოფილად ასაბუთებს მოსაზრებებს და ამყარებს მსჯელობას.	მაღალი
	ლიდერის ცნება კარგად არის გააზრებული, სათქმელი გასაგებად არის გადმოცემული, თუმცა მსჯელობა ზოგჯერ ზოგადია; ნაკლებად ჩანს ინდივიდუალური ხედვა; დასახელებულია ლიდერის თვისებები, მოყვანილი არგუმენტები და მაგალითები ზოგჯერ არასაკმარისია მოსაზრებების დასასაბუთებლად.	საშუალო
	ლიდერის ცნება ნაწილობრივ არის გააზრებული. სათქმელი იკვეთება, მაგრამ აზრი ხშირად მეორდება. დასახელებულია ერთი თვისება, მოყვანილი არგუმენტები თუ მაგალითები მწირია, არადამაჯერებელია ან ნაკლებად უკავშირდება შესაბამის მოსაზრებას.	საბაზისო
	სათქმელი ბუნდოვანია; მსჯელობა კონკრეტული მაგალითებისა და არგუმენტების გარეშეა.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლისა და არაადეკვატური ლექსიკის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

ბ) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	დავალების პირობა ადეკვატურად არის გააზრებული.	1
	დავალების პირობა მთლიანად არაადეკვატურადაა გააზრებული.	0
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
	სტრუქტურა და ლოგიკური თანმიმდევრობა ძირითადად დაცულია, ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	1
	სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.	0
III კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე	ლიდერის ცნება სიღრმისეულად არის გააზრებული; სათქმელი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული; იკვეთება ინდივიდუალური, საინტერესო ხედვა; დასახელებულია ლიდერის თვისებები, მოყვანილია კარგად შერჩეული არგუმენტები და კონკრეტული მაგალითები, რომლებიც დამაჯერებლად და სრულყოფილად ასაბუთებს მოსაზრებებს და ამყარებს მსჯელობას.	3
	ლიდერის ცნება კარგად არის გააზრებული, სათქმელი გასაგებად არის გადმოცემული, თუმცა მსჯელობა ზოგჯერ ზოგადია; ნაკლებად ჩანს ინდივიდუალური ხედვა; დასახელებულია ლიდერის თვისებები, მოყვანილი არგუმენტები და მაგალითები ზოგჯერ არასაკმარისია მოსაზრებების დასასაბუთებლად.	2
	ლიდერის ცნება ნაწილობრივ არის გააზრებული. სათქმელი იკვეთება, მაგრამ აზრი ხშირად მეორდება. დასახელებულია ერთი თვისება, მოყვანილი არგუმენტები თუ მაგალითები მწირია, არადამაჯერებელია ან ნაკლებად უკავშირდება შესაბამის მოსაზრებას.	1
	მსჯელობა კონკრეტული მაგალითებისა და არგუმენტების გარეშეა.	0

IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	2
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	1
	ლექსიკა მწირია ან არაადეკვატური, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	0
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია; მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან გვხვდება მცირე რაოდენობით და ისინი აზრის გაგებას არ აფერხებს.	2
	ტექსტში შედარებით ხშირად გვხვდება ენობრივი შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	1
	ტექსტში მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს აზრის გაგებას.	0

გ) თვითშეფასების რუბრიკა

ინსტრუქცია მოსწავლეებისთვის:

ნამუშევრის წარდგენამდე გადაიკითხეთ თქვენი დაწერილი ტექსტი და თითოეულ კითხვაზე მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. თუკი მონიშნული გაქვთ „ნაწილობრივ“ ან „კიდევ უნდა ვცადო“, დაუბრუნდით ტექსტს და სცადეთ შესაბამისი მონაკვეთის უფრო ვრცლად ან მკაფიოდ ჩამოყალიბება.

საკითხი	**შევძელი**	**ნაწილობრივ შევძელი**	**კიდევ უნდა ვცადო**
ავხსენი, როგორ მესმის სიტყვა „ლიდერის“ მნიშვნელობა.			
დავასახელე ლიდერის თვისებები.			
ავხსენი, რატომ არის ლიდერისთვის მნიშვნელოვანი თითოეული დასახელებული თვისება.			
ჩემი მოსაზრებები დავასაბუთე, მოვიყვანე კონკრეტული მაგალითები ან აღვწერე შესაფერისი სიტუაცია.			
თხზულებას აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.			

აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად დავუკავშირე ერთმანეთს.			
აბზაცები სწორად გამოვყავი.			
შევარჩიე შესაბამისი სიტყვები და სტილი.			
დავიცავი ენობრივი ნორმები და პუქტუაციის წესები.			

ჩემი ნამუშევრის ყველაზე ძლიერი მხარეა:

_____

ყველაზე მეტად გასაუმჯობესებელი მაქვს:

_____

დ) ურთიერთშეფასების რუბრიკა
ინსტრუქცია მოსწავლეებისთვის

გაცვალეთ ნამუშევრები მეწყვილესთან. ყურადღებით წაიკითხეთ მისი ტექსტი და თითოეულ კრიტერიუმთან მონიშნეთ შესაბამისი პასუხი. ბოლოს მიუთითეთ ნამუშევრის ერთი ძლიერი მხარე და მიეცით ავტორს ერთი კონკრეტული რჩევა გაუმჯობესებისთვის.

საკითხი	**არის**	**ნაწილობრივ**	**გასაუმჯობესებელია**
ავტორმა ნათლად ახსნა, როგორ ესმის სიტყვა „ლიდერის“ მნიშვნელობა.			
დაასახელა ლიდერის თვისებები.			
ახსნილია, რატომ არის ლიდერისთვის მნიშვნელოვანი თითოეული დასახელებული თვისება.			
მოსაზრებები დასაბუთებულია, მოყვანილია კონკრეტული მაგალითები ან აღწერილია შესაფერისი სიტუაცია.			
თხზულებას აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.			
აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად უკავშირდება ერთმანეთს.			
აბზაცები სწორადადაა გამოყოფილი.			
შერჩეულია შესაბამისი სიტყვები და სტილი.			
დაცულია ენობრივი ნორმები და პუქტუაციის წესები.			

1. ნამუშევრის ყველაზე ძლიერი მხარეა:

_____

2. ყველაზე მეტად გასაუმჯობესებელია:

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:

1. მაია ჯალიაშვილი (თანაავტორი), ილია ჭავჭავაძე, კრებული 2 ნაწილად, ლექსები, პოემები და მოთხრობები კითხვებით, დავალებებითა და ანალიზით, ქართველ მოღვაწეთა გამოხმაურებები ილიას მკვლელობის შესახებ, თბილისი, საქართველოს მაცნე, 2007
2. ილია ჭავჭავაძის წერილი „პატარა საუბარი“, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 (ან ნებისმიერი სხვა გამოცემა)

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:

ილია ჭავჭავაძე, ამბავად გაგონილნი

5. **აკაკი წერეთელი - ხატის წინ**

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი)

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ მხატვრული ტექსტი - ლექსი შინაარსობრივი მხარე - თემა, მთავარი იდეა; მონოლოგი; განწყობილება. სტრუქტურა-აგებულება - სათაური, სტროფი. ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები: ალეგორია, გაპიროვნება; ნაწარმოებში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/ თავისებურებები. არამხატვრული ტექსტი - პუბლიცისტური წერილი, მსჯელობითი ესე, შემოქმედებითი ესე. **2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“** კონტექსტური ფაქტორები ისტორიული და სოციალურ-კულტურული - თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა). ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები. **3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“** მსგავსი ელემენტები - თემა, მთავარი იდეა.

მოსალოდნელი შედეგები
მოსწავლე: - ურთიერთდაკავშირებულად აანალიზებს ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს; - ქმნის ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებულ არამხატვრულ ტექსტებს; - ამოიცნობს კონცეპტუალურ და ქვეტექსტურ ინფორმაციას ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; - ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; - გამოხატავს პირად დამოკიდებულებას/მოსაზრებას ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და ხსნის/ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს; - ურთიერთდაკავშირებულად იყენებს შინაარსობრივ და სტრუქტურულ ელემენტებს ნამუშევრის შედგენისას; - ხსნის ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულებას ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; - მსჯელობს მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, ხსნის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციას; - ნამუშევრის შექმნისას მიზნობრივად იყენებს ფუნქციური კონტექსტის შესაბამის ლექსიკას, სტილს, ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს; - იცავს მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესებს; - აკავშირებს ტექსტს კონტექსტურ ფაქტორებთან და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; - ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილ თემატიკას/პრობლემატიკას, ფასეულობათა სისტემას. მსჯელობს მათ მსგავსება-განსხვავებაზე და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; - აღარებს ტექსტებს მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; ხსნის, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.

ნაწარმოების შესახებ

თემა: აკაკი წერეთლის ლექსის „ხატის წინ“ თემაა ადამიანის ცხოვრების დანიშნულება, მისი სულიერი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა. ამ საკითხის გასააზრებლად პოეტი იყენებს ხატის წინ ანთებული სანთლის სახეს: სანთელი იწვის, დნება და თავისი ნათლით სიბნელეს ფანტავს. მისი არსებობა თავგანწირვასთან, მსახურებასთან და სხვებისთვის სინათლის მოტანასთან ასოცირდება.

მთავარი იდეა (მთავარი სათქმელი): ქართული რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი აკაკი წერეთელი, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წევრი, თავის შემოქმედებაში ხშირად ახმოვანებდა ამ მოძრაობის იდეებს, ყურადღებას ამახვილებდა ისეთ თემებსა და იდეებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდა მწვავე ეროვნული და სოციალური ჩაგვრისგან დაბეჩავებულ საზოგადოებას პატრიოტული სულისკვეთებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში. აკაკი საკუთარ თავს „გარემოების საყვირად“ მოიხსენიებს (ლექსი „პოეტი“), საკუთარ გულს - სარკედ, რომელიც „მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია“.

ლექსის ლირიკული გმირია პოეტი, რომელიც ანთებულ სანთელს შეჰყურებს და ფიქრობს საკუთარ მისიაზე. მისთვის წმინდა სანთელი ამაღლებული სიმბოლოა, ის „საიდუმლო პარპალით ბნელს ჰფანტავს“. ლექსი ალეგორიულია. გამეფებულ წყვდიადში შეიძლება ვიგულისხმოთ იმ ეპოქის გარემო, ეროვნული და სოციალური ჩაგვრისგან დეგრადირებული საზოგადოება, ხალხში გამეფებული უიმედობა, რწმენისა და პატრიოტული ძალისხმევის ნაკლებობა. სანთელი აქ იმედის, ხსნის, ამ სიბნელის გარღვევის სიმბოლოა. ამ სახეში ერთმანეთს უკავშირდება სინათლე, თავგანწირვა და მსახურება. სანთელი თავს მსხვერპლად სწირავს, „რომ მადლით გაასპეტაკოს თვალუწვდომელი წყვდიადი“. მთავარი ლირიკული გმირი იხიბლება სანთლის ამგვარი მსხვერპლშეწირვით და თითქოს მისი გავლენის ქვეშ ექცევა თავადაც. სანთლის ყურება ბიძგს აძლევს გმირის თვითშემეცნების პროცესს: პირველ ოთხ სტროფში იგი მხოლოდ აკვირდება დნობასა და ნათებას, შემდეგ კი „უცნაურ ერთობას“ გრძნობს სანთელსა და საკუთარ თავს შორის. ბოლოს ეს „უცნაური ერთობის“ გრძნობა მკაფიო აზრად ყალიბდება:

- სანთელი - ადამიანის სხეული;
- პატრუქი - მისი ხანმოკლე სიცოცხლე;
- ნათელი - ჭკუა-გონება, სულიერი და ინტელექტუალური ძალა.

ამგვარად, სანთელი ადამიანის ცხოვრების ალეგორიულ სახედ იქცევა. სიცოცხლე ხანმოკლეა, მაგრამ ადამიანს შეუძლია საკუთარი ცოდნა, გონება და ენერგია სხვების საკეთილდღეოდ გამოიყენოს. ლირიკულმა გმირმა იპოვა პასუხები ზოგადადამიანურ, ეგზისტენციალურ კითხვებზე: ვინ ვარ მე? რისთვის მოვევლინე ქვეყანას - რა მისია მაკისრია ამ სამყაროში?

ლექსის მთავარი იდეა იკვეთება სიტყვებში: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“. სამშობლო ლირიკული გმირისთვის უმაღლეს ფასეულობად წარმოჩნდება, თუმცა მისი სიყვარული ფართო, ჰუმანისტურ მნიშვნელობასაც იძენს: სამშობლოს მსახურება სამყაროსა და ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვასაც გულისხმობს, მის ნაწილს წარმოადგენს.

ლექსის ფინალური სტროფი თითქოს პესიმისტურია: არ ჩანს მნათე - მომავლის მოციქული, რომელიც მერცხლის ჭიკჭიკა ხმით ახალი ეპოქის დადგომას, საუკუნო ძილიდან გამოღვიძებას და ახალი გზების ძიებას ამცნობს ხალხს. მნათე შეიძლება გავიაზროთ როგორც ადამიანის შინაგანი ძალების აღმძვრელი, ახალი იდეის მომტანი, საზოგადოების გამომაფხიზლებელი პიროვნება (ან იდეა, სულიერი იმპულსი). XIX საუკუნის ისტორიულ კონტექსტში მას ეროვნული გამოღვიძებისა და საზოგადოებრივი წინსვლის წინამძღოლის მნიშვნელობაც შეიძლება მივანიჭოთ.

ამ პესიმიზმსა და უკმარისობის განცდას ერწყმის მომავლის იმედიც: მნათე ჯერ არ ჩანს, მაგრამ მთავარია, რომ თავად გმირი უკვე შეიცვალა - სულიერი განახლება განიცადა, შეიმეცნა თავისი დანიშნულება (მისია), უკვე მზადაა ქვეყნის სამსახურისთვის და მნათის სახით ელოდება ლიდერს. პიროვნული პასუხისმგებლობა და თავგანწირვის მზაობა კი საერთო კეთილდღეობისა და ქვეყნის წინსვლის საფუძველია: სწორედ „გამოღვიძებული“ ხალხის წიაღშია შესაძლებელი იშვას „ის ყრმა“, რომელზეც ილია მოგვითხრობდა „ბაზალეთის ტბაში“.

ლექსის მთავარი სათქმელი შესაძლებელია ამგვარად ჩამოყალიბდეს: ადამიანი საკუთარი სიცოცხლის, გონების, ცოდნისა და შესაძლებლობების გამოყენებით უნდა ემსახურებოდეს სამშობლოს.

მხატვრული სახეები: ლექსის მხატვრული სისტემის საფუძველია ალეგორია და სიმბოლიკა. ლირიკული გმირია პოეტის „მეორე მე“ („ალტერ ეგო“), რომელიც სანთლის ხილვით საკუთარ ცხოვრებასა და დანიშნულებაზე ფიქრს იწყებს, არ სურს ფუჭად და ამაოდ ცხოვრება. იგი საზოგადოების აქტიური წევრია, რომელიც დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს ღვთისა და ერის წინაშე და მზად არის მსხვერპლის გასაღებად. სიტყვებში - „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“ - იკვეთება, რომ მისთვის სამშობლოს მსახურება გაიგება, როგორც მოღვაწეობა კაცობრიობის კეთილდღეობისთვის (ამავე თვალსაზრისს ავითარებდა ვაჟა-ფშაველა თავის ცნობილ ესეში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“). ამდენად, ლირიკული გმირის შინაგანი მდგომარეობა ვითარდება დაკვირვებიდან განცდამდე, განცდიდან - თვითშემეცნებამდე, თვითშემეცნებიდან კი - სამოქალაქო მზადყოფნამდე.

ლექსში ასევე ვხვდებით სანთლის, წყვდიადის, მნათის, ხატისა და სახატის მხატვრულ სახეებს.

<u>სანთელი</u> - ლექსის მთავარი ალეგორიული სახეა. სანთელი თავად იწვის და დნება, რითაც სხვებს წყვდიადს უფანტავს. იგი განასახიერებს ადამიანს, რომელიც საკუთარი არსებობით სხვებს გზას უნათებს, განმანათლებელი და „სიკეთისა ხელის მხდელია“ (როგორც ავთანდილი „ვეფხისტყაოსანში“). ეს ქვეყნისთვის თავგანწირვის, თავდადებული მსახურებისა და სიკეთის ქმნის მნიშვნელობას იძენს.

<u>წყვდიადი</u> - ნათლის საპირისპირო სახეა. შეიძლება გავიზაროთ, როგორ აკაკის დროინდელი ეპოქის გარემო - ეროვნული და სოციალური პრობლემები, საზოგადოების უმოქმედობა.

<u>ხატი</u> - სამშობლოს სიმბოლოა. მისი ხატად წარმოჩენა გამოკვეთს სამშობლოსადმი ლირიკული გმირის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას - სამშობლოს მისთვის საკრალური მნიშვნელობა აქვს.

<u>სახატე</u> - მთელი ქვეყანა, მრავალფეროვანი სამყარო, კაცობრიობა. ამ სიმბოლურ-ალეგორიული სახის მეშვეობით სამშობლოს სიყვარული უფრო ფართო, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს.

<u>მნათე</u> - გამომაფხიზლებელი, სიკეთისკენ ბიძგის მიმცემი ძალის სიმბოლოა. იგი შეიძლება გავიაზროთ როგორც ადამიანი, რომელიც სხვებში მოქმედების სურვილსა და პასუხისმგებლობის განცდას აღვიძებს.

ლექსში მრავლადაა მეტაფორული სახეები: „სანთელი ჩემი ხორცია“, „სიცოცხლე - მოკლე პატრუქი“, „ნათელი - ჭკუა-გონება“, „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“. მათი საშუალებით კონკრეტული საგნები - სანთელი, პატრუქი, ხატი - ადამიანის ცხოვრებისა და მოქალაქეობრივი დანიშნულების გამომხატველ სახეებად გარდაიქმნება.

ლექსის გამომსახველობას აძლიერებს შედარება - „დნება, ვით მსხვერპლი დიადი“, რომელიც სანთლის წვას თავგანწირვის მნიშვნელობას ანიჭებს; ასევე ეპითეტური და მეტაფორული გამოთქმებიც: „საიდუმლო პარპალი“, „თვალუწვდომელი წყვდიადი“, „მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული“, „ცის სვეტად გაქვავებული“.

ლექსის სტილური ანალიზი: „ხატის წინ“ ემოციური და მედიტაციური ლექსია. მასში განწყობა თანდათან იცვლება - თავდაპირველი მშვიდი დაკვირვება შინაგან მღელვარებასა და თვითშემეცნებაში გადაიზრდება, ფინალში კი - მომავლის მოლოდინში.

ლექსის ენა აკაკისეული ტკბილხმოვანებითა და სიმსუბუქით გამოირჩევა. გამოყენებულია აკაკის პოეტური მეტყველებისთვის დამახასიათებელი სალექსო საზომი: დაბალი შაირისთვის დამახასიათებელი რვამარცვლიანი ტაეპი, რომელიც ორ მუხლად იყოფა წყობით 5/3.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- დააკვირდით ლექსის სათაურს - „ხატის წინ“. თქვენი აზრით, როგორი განწყობა შეიძლება ჰქონდეს ადამიანს ხატის წინ ყოფნისას? რაზე შეიძლება ფიქრობდეს ან რას შეიძლება განიცდიდეს იგი?
- თქვენი აზრით, რას შეიძლება გამოხატავდეს ხატის წინ ანთებული სანთელი - თხოვნა-ვედრებას, იმედს, ხსოვნას, მადლიერებას, სურვილს თუ სხვა რამეს? ახსენით თქვენი პასუხი.
- გაიხსენეთ, ფიზიკურად რა მოსდის ანთებულ სანთელს: რას გასცემს იგი და რას „კარგავს“ თავად?
- რა ასოციაციებს იწვევს თქვენში სინათლე? რას უკავშირებთ სიბნელეს/წყვდიადს? შეიძლება თუ არა ამ სიტყვებს (სინათლე, წყვდიადი), პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდეს - მაგალითად, რას შეიძლება ნიშნავდეს „გონების სიბნელე“ ან „სულის სინათლე“?
- როგორ გესმით გამოთქმა „სხვებისთვის გზის განათება“? აუცილებელია თუ არა აქ რეალურ სინათლეზე იყოს საუბარი? რას შეიძლება ნიშნავდეს ეს გამოთქმა ადამიანის ცხოვრებასა და ქცევასთან მიმართებით?
- რა პატარა საქციელით შეგიძლიათ „გაუნათოთ გზა“ სხვას - ოჯახის წევრს, კლასელს, მეგობარს? მოიყვანეთ მაგალითები.
- რატომ ადარებენ ზოგიერთი ადამიანის ცხოვრებას ანთებულ სანთელს? შეგიძლიათ გაიხსენოთ რეალური ადამიანი ან პერსონაჟი, რომელიც საკუთარ ცოდნას, დროს ან ძალას სხვების დასახმარებლად იყენებს (სხვებისთვის „დნება“)?
- აკაკი წერეთლის რომელი ნაწარმოებები გახსოვთ? რაზეა (რა თემებზეა) ეს ნაწარმოებები?

შენიშვნა: მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს შეკითხვები, მოახდინოს მათი მოდიფიცირება ან დასვას განსხვავებული შეკითხვები.

რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“

1. ახსენით, როგორ გესმით სიტყვები „წმინდა სანთელი“. რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს პოეტი ამ შემთხვევაში?

პასუხი: „წმინდა“ ეპითეტია (გრამატიკულად - ზედსართავი სახელი), რომელიც ერთვის არსებით სახელს „სანთელი“. ეპითეტი გამოკვეთს სანთლის განსაკუთრებულ, ამაღლებულ მნიშვნელობას.

კომენტარი: ეპითეტი „წმინდა“ სანთელს ჩვეულებრივი საგნიდან საკრალური მნიშვნელობის მატარებელ სახედ აქცევს. იგი დასაწყისშივე გამოკვეთს სანთლის რელიგიურ-საკრალურ დანიშნულებას და ამზადებს ნიადაგს ამ სიტყვის შემდგომი სიმბოლური გააზრებისთვის. ეს სახე მთელი ლექსის ალეგორიულ-სიმბოლური სისტემის საფუძველს წარმოადგენს.

ერთი მხრივ, ეპითეტი „წმინდა“ უკავშირდება სანთლის რელიგიურ, საკულტო მნიშვნელობას: ხატის წინ დანთებული სანთელი ლოცვასთან, რწმენასა და სიწმინდესთან ასოცირდება. ეს

კონტექსტი უკვე ლექსის დასაწყისშივე ქმნის, ამაღლებულ განწყობას.

მეორე, მხრივ, ეპითეტი სანთელს უფრო ღრმა „თვისებრივ მახასიათებელსაც“ ანიჭებს - სანთელი წმინდაა - სუფთაა, უანგაროა, უმანკოა თავისი მსახურებით. იგი იწვის, დნება და საკუთარ თავს „მსხვერპლად“ სწირავს, რათა სინათლე მოჰფინოს ირგვლივ და წყვდიადი გაფანტოს. სწორედ ამიტომ სანთელი თანდათან უანგარო მსახურებისა და თავგანწირვის სიმბოლოდ იქცევა. შემდგომში ლირიკული გმირი თავის თავს სანთელს ადარებს და მზად არის საკუთარი ძალა და სიცოცხლე სამშობლოს მოახმაროს.

2. რატომ უწოდებს პოეტი სანთლის დნობას „დიად მსხვერპლს“? რას ეწირება სანთელი?

პასუხი: პოეტი სანთლის დნობას „დიად მსხვერპლს“ უწოდებს, რადგან სანთელი ნათლის გასავრცელებლად და „თვალუწვდომელი წყვდიადის“ გასაფანტად თვითონ ილევა - დნება და იწვის. იგი საკუთარ თავს - თავის არსებობას - სწირავს სხვებისთვის სინათლის მიცემას. ამიტომ მისი დნობა უანგარო მსახურებისა და თავგანწირვის სახედ წარმოგვიდგება. სწორედ ეს უანგარო თავგანწირვა ანიჭებს მის მსხვერპლს „დიად“ მნიშვნელობას.

3. პოეტის როგორ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს მისი „მწარ-ტკბილად“ ჩაფიქრება?

კომენტარი: პოეტის „მწარ-ტკბილად“ ჩაფიქრება მის რთულ, ურთიერთსაპირისპირო განცდებს გამოხატავს. სანთლის ნათელი მასში აღტაცებასა და იმედს აღძრავს, ხოლო მისი დნობა და თავგანწირვა - სევდასა და ტკივილს. ამ განცდას კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ პოეტი სანთელთან სულიერ სიახლოვეს გრძნობს და თანდათან მასში საკუთარ თავსაც ხედავს. ძლიერი შთაბეჭდილებისგან იგი თითქოს დადუმებული და გაქვავებულია.

4. რასთან აიგივებს პოეტი სამშობლოს? ქვეყნიერებას? რა კავშირია მათ შორის?

პასუხი: პოეტი სამშობლოს სალოცავ ხატთან აიგივებს, ხოლო ქვეყნიერებას - სახატესთან.

კომენტარი: ხატისა და სახატის ურთიერთმიმართებით პოეტი სამშობლოს განსაკუთრებულ ღირებულებას გამოკვეთს. როგორც ხატია სახატეში დაცული მთავარი სათაყვანო სიწმინდე, ასევე ლირიკული გმირისთვის სამშობლო მთელი ქვეყნიერების სივრცეში ყველაზე ძვირფასი და წმინდა ფასეულობაა. ამ მეტაფორული სახით სამშობლოს სიყვარული რელიგიური თაყვანისცემის სიმაღლემდეა აყვანილი. თუმცა, იმავდროულად, იმასაც უსვამს ხაზს, რომ სამშობლოს სიყვარული სამყაროს (მთელი ქვეყნიერების, კაცობრიობის) სიყვარულს კი არ გამორიცხავს, არამედ მისი ორგანული ნაწილია.

5. თქვენი აზრით, რას გვეუბნება აკაკის სიტყვები იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება სამშობლოსა და ქვეყნიერების მიმართ?

კომენტარი: აკაკი ამ ლექსით აყალიბებს პატრიოტიზმის უმაღლეს იდეალს - ქმედითსა და თავგანწირულ სიყვარულს. აკაკი გვეუბნება, რომ ჩვენი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ სანთლის სიმბოლოში გამოხატულ იდეალს უნდა ეხმიანებოდეს. როგორც სანთელი იწვის და დნება, რათა სხვებს სინათლე მისცეს და წყვდიადი გაფანტოს, ასევე ადამიანმაც საკუთარი ძალა, ცოდნა და შესაძლებლობები მნიშვნელოვანი საქმისა და საერთო კეთილდღეობის სამსახურს უნდა მოახმაროს. „წვისა“ და „დნობის“ სახეები მიგვანიშნებს, რომ ნამდვილი მსახურება მხოლოდ გრძნობით არ შემოიფარგლება - იგი ძალისხმევას, პასუხისმგებლობასა და, საჭიროების შემთხვევაში, პირად ინტერესებზე უარის თქმასაც მოითხოვს.

„ხატისა“ და „სახატის“ სახეები სამშობლოს განსაკუთრებულ სიწმინდესა და ღირებულებას გამოხატავს: ლირიკული გმირისთვის სამშობლო „ხატია“, მთელი ქვეყნიერება კი - „სახატე“ - ის ფართო სივრცე, რომელშიც ეს სიწმინდე არსებობს. ამ სახის უფრო ღრმა გააზრებით შეიძლება ითქვას, რომ სამშობლოს სიყვარული არ არის სამყაროსგან გამიჯნული, ჩაკეტილი გრძნობა; იგი შეიძლება თანაარსებობდეს მთელი ქვეყნიერების, კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობასთან. ამგვარად, სამშობლოს ერთგულება და სიყვარული არ ეწინააღმდეგება უფრო ფართო, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, არამედ

მათი ნაწილია და საწყისია - ადამიანი, რომელიც საკუთარ ქვეყანას უანგაროდ ემსახურება, ამით მთელ სამყაროსაც ემსახურება.

ეს იდეა დღესაც აქტუალურია: აკაკის სიტყვები გვახსენებს, რომ პატრიოტიზმი არ არის მხოლოდ სიტყვით გამოსახატავი გრძნობა ან სამშობლოთი სიამაყე, არამედ ყოველდღიური, კონკრეტული საქმით გამოხატული პასუხისმგებლობაა - სწავლა, შრომა, საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის ზრუნვა ჩვენი დროის „სანთლის დნობაცაა“.

6. ვის მოსვლას ელის პოეტი?

პასუხი: პოეტი ელის მნათეს, ცეცხლის მომტანს, მომავლისკენ გზის გამკვალავს, მერცხალივით გაზაფხულის, სიახლის, აღორძინების, გამოცოცხლების მაცნეს.

7. აქვს თუ არა პოეტს მომავლის იმედი?

კომენტარი: პოეტს მომავლის იმედი აქვს, თუმცა ეს იმედი ლექსში მოლოდინსა და სევდასთან არის შერწყმული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო სტროფი, რომლებშიც ორი განწყობა იკვეთება:

აწმყოს სევდა და მოლოდინი - ლირიკული გმირი მზად არის სანთელივით „იწვოდეს“ და „დნებოდეს“ სამშობლოს სამსახურში, მაგრამ ამბობს, რომ „მნათე არსად ჩანს“, რომელიც მას მოქმედებისათვის საჭირო „ცეცხლს“ მოუტანს.

მომავლისა და განახლების იმედი - მიუხედავად ამისა, პოეტი ამ ძალის გამოჩენას მოელის. ამას მიგვანიშნებს სიტყვები - „მოციქული მომავლის“ და მისი შედარება „ჭიკჭიკა მერცხალთან“. მერცხალი ტრადიციულად გაზაფხულის, განახლებისა და ახალი სიცოცხლის მაუწყებელია. ამიტომ მისი სახე ლექსში მომავლის იმედს, განახლებისა და უკეთესი დროის მოლოდინს უკავშირდება.

ამდენად, პოეტის დამოკიდებულება მომავლისადმი ერთმნიშვნელოვნად ოპტიმისტური არ არის: იგი განიცდის „მნათეს“ არარსებობას აწმყოში, მაგრამ, ამავე დროს, არ კარგავს რწმენას, რომ გამოჩნდება „მოციქული მომავლისა“, რომელიც ადამიანებში მსახურებისა და მოქმედების ცეცხლს გააღვივებს. ამიტომ ლექსის ფინალში სევდა და მოლოდინი იმედთან თანაარსებობს.

8. ამ ლექსის რომელი სტრიქონებია გამოყენებული საქართველოს სახელმწიფო ჰიმნში?

პასუხი: საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტში გამოყენებულია ამ ლექსის მეექვსე სტროფის პირველი ორი სტრიქონი: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“...

9. როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა ეს სტრიქონები ქვეყნის „მთავარი“ სიმღერის, სახელმწიფო ჰიმნის, ნაწილი - რა მნიშვნელობასა თუ ემოციას მატებს ისინი ჰიმნის ტექსტს?

კომენტარი: აკაკის ეს სტრიქონები სახელმწიფო ჰიმნის ტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან სამშობლოს სიყვარულს ამაღლებულ, წმინდა, თითქმის საკრალურ განცდად წარმოაჩენს. სიტყვებში - „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“ - სამშობლო „ხატთან“, ანუ უძვირფასეს და სათაყვანო სიწმინდესთან არის გაიგივებული, მთელი ქვეყნიერება კი იმ ფართო სივრცედ გვევლინება, რომლის ნაწილიცაა ეს სიწმინდე.

ჰიმნში ამ სტრიქონების შეტანა სამშობლოს ერთგულებას მხოლოდ ემოციურ სიყვარულად არ ტოვებს - მას პასუხისმგებლობისა და მსახურების მნიშვნელობასაც სძენს. აკაკის ლექსის კონტექსტში „ხატის“ სახე სანთლის სიმბოლოს უკავშირდება: ადამიანი მზად უნდა იყოს, საკუთარი ძალა და შესაძლებლობები სამშობლოს კეთილდღეობას მოახმაროს. ამიტომ ეს სიტყვები ჰიმნში აძლიერებს მოქალაქეობრივი ერთგულების, თავდადებისა და საერთო პასუხისმგებლობის განცდას.

მნიშვნელოვანია „სახატის“ - მთელი ქვეყნიერების - ხსენებაც. იგი მიგვანიშნებს, რომ სამშობლოს სიყვარული სამყაროსგან გამიჯვნას არ ნიშნავს და მას ფართო ზოგადსაკაცობრიო მასშტაბს ანიჭებს. ამგვარად, აკაკის სტრიქონები ჰიმნის ტექსტს მატებს სიწმინდის, სიამაყის,

ერთგულების, პასუხისმგებლობისა და ამაღლებული ემოციის განცდას და სამშობლოს სიყვარულს პირადი გრძნობიდან საერთო ეროვნულ ღირებულებად გარდაქმნის, რომელიც უფრო ფართო, ზოგასაკაცობრიო ფასეულობებთან თანაარსებობს.

რუბრიკა „დააკვირდით“

- **სანთელი, როგორც მსხვერპლი, „უხმოდ და უძრავად“ დნება. ის არ „ყვირის“ თავის ღვაწლზე. რისი თქმა უნდა ამით პოეტს?**

კომენტარი: სანთლის „უხმოდ და უძრავად“ დნობა მიგვანიშნებს, რომ ჭეშმარიტი მსახურება და თავგანწირვა არ საჭიროებს ხმაურს, საკუთარი ღვაწლის წარმოჩენას ან მადლობის მოთხოვნას. ვინაიდან სანთელი ალეგორიულად სამშობლოსა და სხვათა კეთილდღეობისთვის თავდადებულ ადამიანს განასახიერებს, მისი ჩუმი წვა თავმდაბლობისა და უანგარობის სიმბოლოდ შეიძლება გავიაზროთ. პოეტი გვაფიქრებინებს, რომ ადამიანი კეთილ საქმეს უნდა აკეთებდეს უხმაუროდ, დაუყვედრებლად და სანაცვლოს მოლოდინის გარეშე. სანთელი იწვის და ქრება, ხოლო ხატი მუდმივია, უცვლელი - თაობები მოდიან და მიდიან, ღირებულებები კი რჩება.

- **მოძებნეთ სტროფი, რომელშიც პოეტი სანთელს ადარებს თავის თავს. ისაუბრეთ, მსგავსების რომელ დეტალებზე ამახვილებს ის ყურადღებას.**

პასუხი: პოეტი სანთელთან მსგავსებაზე ლაპარაკობს მეოთხე-მეხუთე სტროფებში.

სანთლის სხეული მის „ხორცს“, ანუ ფიზიკურ არსებობას განასახიერებს; მოკლე პატრუქი - ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლეს; სანთლისგან გამოსული ნათელი კი - ჭკუა-გონებას, ცოდნასა და სულიერ ძალას. ამ შედარებით პოეტი მიგვანიშნებს, რომ როგორც სანთელი იწვის და ილევა ნათლის გასაცემად, ასევე ადამიანმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე და გონებრივი ძალა მნიშვნელოვანი მიზნის სამსახურს უნდა მოახმაროს.

- **როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს პოეტი სამშობლოსა და ქვეყნიერების მიმართ? რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ამ დამოკიდებულებათა შორის?**

კომენტარი: პოეტი სამშობლოსა და მთელი ქვეყნიერების მიმართ სიყვარულს, პატივისცემასა და მსახურების სურვილს გამოხატავს. როცა ამბობს, რომ სამშობლო მისი „ხატია“, ხოლო მთელი ქვეყნიერება - „სახატე“, ამით მიგვანიშნებს, რომ მისთვის სამშობლო განსაკუთრებული, უძვირფასესი სიწმინდეა, ქვეყნიერება კი ის ფართო სივრცეა, რომელშიც ეს სიწმინდე არსებობს.

მსგავსება ისაა, რომ პოეტი როგორც სამშობლოს, ისე მთელ ქვეყნიერებას სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეკიდება და მზად არის თავისი ძალა და შესაძლებლობები მათ კეთილდღეობას მოახმაროს. განსხვავება კი ისაა, რომ სამშობლოს მიმართ მისი დამოკიდებულება განსაკუთრებით პირადი და ემოციურია: იგი მისთვის გამორჩეული, უსაყვარლესი „ხატია“, რომლის კეთილდღეობაც უპირველეს საზრუნავად მიაჩნია. ამგვარად, სამშობლოს სიყვარული ქვეყნიერებისადმი კეთილგანწყობილ და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას არ ეწინააღმდეგება, არამედ მასთან თანაარსებობს.

- **მერცხალი გაზაფხულისა და განახლების მომასწავებელია. თქვენი აზრით, რა დანიშნულება აქვს მის ხსენებას ლექსის ფინალში?**

კომენტარი: ლექსის ფინალში მერცხლის ხსენება მომავლის იმედსა და განახლების მოლოდინს გამოხატავს. მერცხალი გაზაფხულისა და ახალი სიცოცხლის მაცნეა, ამიტომ პოეტი მას „მომავლის მოციქულს“ ადარებს — იმ ადამიანს ან ძალას, რომელიც ახალი

დროის მოახლოებას ამცნობს და ადამიანებში მოქმედების სურვილს გააღვივებს. „მნათემ“ ლირიკულ გმირს უნდა მოუტანოს ის „ცეცხლი“, რომელიც მას სანთელივით აანთებს და სამშობლოს სამსახურის ძალას მისცემს. ამგვარად, მერცხლის სახე ლექსის ფინალს იმედის, გამოღვიძებისა და უკეთესი მომავლის მოლოდინის განცდას სძენს.

რუბრიკა „დისკუსია“

გაეცანით შეკითხვებს და წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.

1. სანთელს აქვს ნათების უნარი, მაგრამ თავისით ვერ აინთება - საჭიროა ვიღაც, ვინც მას ცეცხლს მოუკიდებს. ადამიანებსაც აქვთ სიკეთის ქმნის, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების კეთების პოტენციალი (ძალა), მაგრამ, აკაკის თქმით, ეს საკმარისი არ არის - საჭიროა „ცეცხლის მომტანი“.

- **როგორ ფიქრობთ, ვის ან რას გულისხმობს პოეტი „ცეცხლის მომტან“ მნათეზე საუბრისას?**

ამისთვის წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები. შემდეგ ისაუბრეთ, თქვენი აზრით, რომელი გამოხატავს ყველაზე უკეთ აკაკის აზრს. თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

გაითვალისწინეთ: შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, შეგიძლიათ მოიფიქროთ და წარმოადგინოთ ახალი, განსხვავებული ვარიანტიც.

მნათეში იგულისხმება:

- ✓ ლიდერი - ერის წინამძღოლი, რომელიც ხალხის ძალას სწორ მიმართულებას მისცემს;
- ✓ იდეა, რომელიც ხალხს ქვეყნის საკეთილდღეოდ მოქმედებისკენ უბიძგებს;
- ✓ განათლება, რომელიც ხალხს დაეხმარება სწორი არჩევანის გაკეთებაში.

კომენტარი: „ცეცხლის მომტან“ მნათეში შეიძლება ვიგულისხმოთ ადამიანი - წინამძღოლი, რომელსაც შეუძლია სხვებში გააღვივოს სამშობლოსთვის მსახურების სურვილი და მათი ძალა საერთო მიზნისკენ წარმართოს. ამაზე მიგვანიშნებს სიტყვებიც - „ის მოციქული მომავლის“, რადგან პოეტი თითქოს ელოდება ვინმეს, ვინც ახალი დროისა და ცვლილების მაცნე გახდება.

თუმცა „მნათე“ შეიძლება უფრო ფართოდაც გავიგოთ: ეს შეიძლება იყოს ძლიერი იდეა, განათლება ან ცოდნა, რომელიც ადამიანს მოქმედებისკენ უბიძგებს. როგორც სანთელს სჭირდება ცეცხლი, რომ თავისი ნათების უნარი გამოავლინოს, ასევე ადამიანს ზოგჯერ სჭირდება ბიძგი, მიზანი ან მაგალითი, რათა საკუთარი ძალა და შესაძლებლობები ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენოს. ამიტომ „ცეცხლის მომტანი“ შეიძლება მივიჩნიოთ იმ ადამიანად, იდეად ან სულიერ ძალად, რომელიც ადამიანებში მოქმედების სურვილს აღვიძებს და მათ შესაძლებლობებს რეალურ საქმედ აქცევს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელსაც მოსწავლე ლოგიკურად და დამაჯერებლად დაასაბუთებს ტექსტზე დაყრდნობით.

2. **ისაუბრეთ, ხომ არ გქონიათ შემთხვევა, როდესაც სხვა ადამიანი დაგეხმარათ რაიმეს კეთების უნარის ან ახალი ძალის აღმოჩენაში - გამხნევებით, მაგალითის ჩვენებითა თუ რჩევის მოცემით. დაწერეთ, ვინ იყო ეს ადამიანი, რომელმაც თქვენ „ცეცხლი მოგიტანათ“, როგორ და რა სიტუაციაში მოხდა ეს ამბავი, რა იგრძენით ამ დროს, რა გასწავლათ ამ შემთხვევამ.**

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის: დავალება მოსწავლის პირად გამოცდილებას

ააქტიურებს და ეხმარება, ლექსის სიმბოლო - „ცეცხლის მომტანი“ - საკუთარ ცხოვრებას დაუკავშიროს. დაეხმარეთ მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ აუცილებელი/საჭირო არ არის ძალიან პირადი ან ემოციურად რთული შემთხვევის გახსენება. საკმარისი იქნება ყოველდღიური გამოცდილების გაზიარებაც - მაგალითად, როცა მასწავლებელმა, ოჯახის წევრმა, მეგობარმა, მწვრთნელმა ან სხვა ადამიანმა გაამხნევა, რჩევა მისცა, მაგალითი აჩვენა ან საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნა.

თუ მოსწავლეს შესაბამისი შემთხვევის გახსენება უჭირს, შეგიძლიათ დაუსვათ დამატებითი კითხვები, მაგალითად:

- ხომ არ ყოფილა შემთხვევა, როცა ფიქრობდით, რომ რაღაც არ გამოგივიდოდათ, მაგრამ ვიღაცამ დაგარწმუნათ, რომ შეგეძლოთ?
- ვინ დაგეხმარათ ახალი უნარის აღმოჩენაში სწავლაში, სპორტში, ხელოვნებაში, ურთიერთობაში ან სხვა საქმიანობაში?
- ვინ მოგცათ ისეთი რჩევა, რომელმაც თქვენი მოქმედება ან დამოკიდებულება შეცვალა?
- ხომ არ ყოფილა ადამიანი, რომლის მაგალითმაც გაგიჩინათ სურვილი, თავადაც გეცადათ რაიმე ახალი?
- კონკრეტულად რა თქვა ან რა გააკეთა ამ ადამიანმა?
- რა შეიცვალა ამის შემდეგ თქვენს ქცევაში ან დამოკიდებულებაში?
- რა იგრძენით ამ დროს - სიხარული, გამბედაობა, თავდაჯერება, მადლიერება?
- რა აღმოაჩინეთ საკუთარ თავში ამ შემთხვევის წყალობით?
- რატომ შეიძლება ამ ადამიანს თქვენი ცხოვრების „ცეცხლის მომტანი“ უწოდოთ?
- თქვენ თუ ყოფილხართ ოდესმე სხვისთვის ასეთი „ცეცხლის მომტანი“ - ვინმესთვის თუ მიგიციათ იმედი, გაგიმხნევებიათ ან მოქმედების სურვილი გაგიჩენიათ მისთვის?

შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ მარტივი თანმიმდევრობა, რომელიც მათ დაეხმარება პასუხის ორგანიზებაში:

ვინ? → რა სიტუაცია იყო? → როგორ დამეხმარა? → რა ვიგრძენი? → რა შეიცვალა ჩემში? → რა ვისწავლე?

სასურველია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ აქ მთავარი არ არის „დიდი“ ან განსაკუთრებული ამბის მოყოლა. ხშირად „ცეცხლის მომტანი“ შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი, რომელმაც მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა, დროულად გაამხნევა მოსწავლე ან საკუთარი მაგალითით დაანახვა, რომ რაღაცის გაკეთება შესაძლებელია. სწორედ ასეთი მიდგომა დაეხმარება მოსწავლეს, რომ ლექსის მეტაფორა პირად გამოცდილებას ბუნებრივად დაუკავშიროს.

რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“

1. გაიხსენეთ მხატვრული ხერხი ალეგორია.

ალეგორია არის მხატვრული ხერხი, რომლის საშუალებითაც ერთი საგნის ან მოვლენის აღწერით სხვა, უფრო მნიშვნელოვანი აზრი იგულისხმება. ალეგორიის ხერხი ფართოდ

გამოიყენება იგავ-არაკებში.

2. აკაკის ლექსში ნახსენები საგნები დააკავშირეთ მათ ალეგორიულ მნიშვნელობებთან.

ტექსტში მოცემული საგანი და მისი ალეგორიული მნიშვნელობა	**რა საერთო თვისება აქვთ?**
1. სანთელი - ადამიანის სხეული	ა) სათაყვანებელია, წმინდაა, სულიერი საყრდენია.
2. პატრუქი - სიცოცხლე	ბ) გზას გვიჩვენებს, გვიკვალავს.
3. ნათელი - ჭკუა-გონება	გ) ილევა, დნება, ფიზიკურია.
4. ხატი - სამშობლო	დ) მალე მთავრდება, ცოტა დრო აქვს.

პასუხი: 1 - გ; 2 - დ; 3 - ბ; 4 - ა.

3**. მოიფიქრეთ ალეგორია**

ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან აირჩიეთ ნებისმიერი სამი ან ოთხი და დაწერეთ, თუ

რა მნიშვნელოვანი აზრის გადმოსაცემად გამოიყენებდით მას. წერისას იხელმძღვანელეთ ნიმუშით.

კომპასი, წყვდიადი, ცეცხლი, მერცხალი, მზე, ხიდი.

ნიმუში. კომპასი შეიძლება იყოს სინდისის ალეგორია, რომელიც ყოველთვის მართებულ გზას გვიჩვენებს.

რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:

დავალების შესრულებამდე, სასურველია, მოსწავლეებს შეახსენოთ, რომ ალეგორიის შექმნისას კონკრეტულ საგანსა თუ მოვლენას გადატანითი მნიშვნელობა ენიჭება და ის შეიძლება გამოხატავდეს ადამიანის თვისებას, მდგომარეობას, იდეას ან ცხოვრებისეულ ღირებულებას.

თუ მოსწავლეებს უჭირთ სიტყვის ალეგორიული მნიშვნელობის მოფიქრება, დაეხმარეთ დამატებითი კითხვებით, მაგალითად:

- ✓ რას გახსენებთ ეს სიტყვა? რა თვისება აქვს? რას აკეთებს? რას შეიძლება ნიშნავდეს ეს თვისება ადამიანის ცხოვრებაში?
- ✓ დაფიქრდით: თუ ხიდი ორ ნაპირს აკავშირებს, რისი ალეგორია შეიძლება იყოს იგი ადამიანურ ურთიერთობებში? თუ მზე ათბობს და ანათებს, რა დადებითი ძალა შეიძლება გამოხატოს? თუ წყვდიადი ხედვას გვირთულებს, რასთან შეიძლება დავაკავშიროთ იგი ადამიანის სულიერ ან გონებრივ მდგომარეობაში?

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა არ იფიქრონ, რომ თითოეულ სიტყვას მხოლოდ ერთი „სწორი“ ალეგორიული მნიშვნელობა აქვს. დაეხმარეთ იმის გაცნობიერებაში, რომ ერთი და

იგივე სახე შეიძლება სხვადასხვა იდეის გამოსახატავად გამოიყენონ, თუკი საკუთარი არჩევანის ახსნას შეძლებენ. მაგალითად, ხიდი შეიძლება იყოს მეგობრობის, შერიგების ან ადამიანებს შორის ურთიერთგაგების ალეგორია; მერცხალი - იმედის, ახალი დასაწყისის ან სასიხარულო ცვლილებისა; ცეცხლი - ცოდნის, შთაგონების, ძალის ან მოქმედების სურვილისა.

საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შესთავაზეთ მარტივი საყრდენი ფორმულა:

„..... შეიძლება იყოს ...-ის ალეგორია, რადგან ....” თავდაპირველად შეიძლება ზეპირად მოიფიქრონ რამდენიმე ვარიანტი, შემდეგ კი მათგან სამი-ოთხი წერილობით ჩამოაყალიბონ.

შეფასებისას ყურადღება გაამახვილეთ არა მხოლოდ ალეგორიის ორიგინალურობაზე, არამედ იმაზეც, რამდენად გასაგებია კავშირი არჩეულ სახესა და გადმოსაცემ აზრს შორის და რამდენად დამაჯერებლად ხსნის მოსწავლე ამ კავშირს.

4. მოძებნეთ ლექსში ეპითეტები. ისაუბრეთ, რა ემოციურ განწყობილებას ქმნიან ისინი, რა ნიშნით გვიხასიათებენ საგანს ან მოვლენას.

პასუხი: ლექსში „ხატის წინ“ გვხვდება შემდეგი ეპითეტები: „წმინდა“, „საიდუმლო“, „მყუდრო“, „უხმო“, „უძრავი“, „თვალუწვდომელი“, „ჩაფიქრებული“, „უსიტყვო“, „გაქვავებული“.

კომენტარი: ლექსში გამოყენებული ეპითეტები მხატვრულ სახეებს უფრო მკაფიოსა და ემოციურს ხდის და ხელს უწყობს ამაღლებული, ჩაფიქრებული და „მწარ-ტკბილი“ განწყობის შექმნას. მათი საშუალებით პოეტი განსაკუთრებული ნიშნებით ახასიათებს როგორც სანთელს, ისე საკუთარ სულიერ მდგომარეობას. მაგალითად, ეპითეტი „წმინდა“ სანთლის სიწმინდესა და ამაღლებულ მნიშვნელობას გამოკვეთს, „დიადი“ მის მსხვერპლს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს, ხოლო „მწარ-ტკბილი“ ლირიკული გმირის რთულ, ურთიერთსაპირისპირო განცდებს გამოხატავს. ამგვარად, ეპითეტები მკითხველს ეხმარება არა მხოლოდ საგნისა თუ მოვლენის თვისების დანახვაში, არამედ იმ ემოციური და სიმბოლური მნიშვნელობის გააზრებაშიც, რომელსაც პოეტი მათ ანიჭებს.

რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება ან დავალებები, შემდეგ წარადგინეთ კლასის წინაშე:

1. ლექსში გვხვდება სიტყვები, რომლებიც სინათლესთანაა დაკავშირებული. ამოიწერეთ ეს „მანათობელი“ სიტყვები და იმსჯელეთ, რა განწყობილებას ქმნის ისინი.

პასუხი: ლექსში გვხვდება შემდეგი ფრაზები: „ანთია წმინდა სანთელი“, „საიდუმლო პარპალი“, „ბნელს ფანტავს მისი ნათელი“, „გაასპეტაკოს წყვდიადი“, „ნათელი“, „გამონაშუქი“, „ცეცხლი“.

კომენტარი: „წმინდა სანთელი“ და „საიდუმლო პარპალი“ ლექსის დასაწყისშივე ქმნის ამაღლებულ, იდუმალ და მისტიკურ განწყობილებას. ეპითეტი „წმინდა“ სანთელს სიწმინდისა და სულიერი მნიშვნელობის ნიშნით წარმოაჩენს, ხოლო „საიდუმლო“ მის ნათებას იდუმალ, ბოლომდე შეუცნობელ ძალასთან აკავშირებს.

ამ განწყობას კიდევ უფრო აძლიერებს სინათლესთან დაკავშირებული სიტყვები და სახეები — „ნათელი“, „გამონაშუქი“, „ცეცხლი“, „ბნელს ფანტავს“, „გაასპეტაკოს წყვდიადი“. ისინი ქმნის სიბნელესა და სინათლეს შორის დაპირისპირებას. წყვდიადი უკავშირდება სიბნელეს, უმოქმედობას, გაურკვევლობასა და დაბრკოლებას, ხოლო ნათელი და ცეცხლი - ცოდნას,

სულიერ ძალას, იმედს, მოქმედებასა და განახლებას.

მნიშვნელოვანია გამოთქმა „გაასპეტაკოს წყვდიადი“: სინათლე აქ მხოლოდ სიბნელეს კი არ ფანტავს, არამედ თითქოს განწმენდს და გარდაქმნის მას. ამიტომ ლექსში იქმნება ერთდროულად სერიოზული, ამაღლებული, იდუმალი და იმედიანი განწყობა - სევდასა და წყვდიადთან ერთად მუდმივად იგრძნობა ნათლის, განახლებისა და უკეთესი მომავლის შესაძლებლობაც.

2. ისაუბრეთ, რომელ ფერებს გამოიყენებდით, თუკი ნახატს შექმნიდით ამ ლექსის მიხედვით, თქვენი არჩევანი ახსენით ტექსტზე დაყრდნობით. სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ ნახატის შექმნაც.

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის:

1, დავალების მიზანია, მოსწავლემ ლექსის ემოციური და სიმბოლური სამყარო ფერთან დააკავშიროს და საკუთარი არჩევანი ტექსტზე დაყრდნობით ახსნას. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება იმაზე, რომ არ არსებობს ფერთა ერთადერთი „სწორი“ კომბინაცია. მთავარია, მოსწავლემ შეძლოს არჩეული ფერის დაკავშირება კონკრეტულ სიტყვებთან, მხატვრულ სახეებთან ან ლექსის განწყობასთან. ასევე შეგიძლიათ შესთავაზოთ დაფიქრდნენ, ლექსის რომელ მონაკვეთებში ჭარბობს სიბნელის განცდა და სად ჩნდება ნათელი, ცეცხლი და იმედი.
2. თუ მოსწავლეებს არჩევანის გაკეთება უჭირთ, შეგიძლიათ დაუსვათ დამხმარე შეკითხვები, მაგალითად:

- ✓ **თქვენი აზრით, რომელი ფერი შეეფერებოდა სანთლის ნათელს? წყვდიადს? ხატის წინ შექმნილ გარემოს? „მწარ-ტკბილ“ ჩაფიქრებას? მომავლის იმედს?**

3. შეგიძლიათ მოსწავლეებს მიუთითოთ, რომ ფერს არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, მუქი ფერები შესაძლოა უკავშირდებოდეს წყვდიადს, სევდას ან გაურკვევლობას, ნათელი და თბილი ფერები კი - სანთლის შუქს, იმედს, სულიერ ძალასა და განახლებას.

გაითვალისწინეთ: ფერთა სიმბოლიკაზე მითითება მოსწავლეებს შესთავაზეთ **მხოლოდ** შესაძლო მიმართულების სახით. აუცილებელია მოსწავლეს **საკუთარი ინტერპრეტაციის თავისუფლება** დაუტოვოთ.

4. თუ მოსწავლე ნახატსაც შექმნის, გაამახვილეთ ყურადღება არა იმდენად ტექნიკურ ოსტატობაზე, არამედ იმაზე, რამდენად გააზრებულად არის შერჩეული ფერები და რამდენად უკავშირდება ვიზუალური გადაწყვეტა ვიზუალური გადაწყვეტა ლექსს, განწყობასა და სიმბოლოებს. სასურველია, ნახატის დასრულების შემდეგ მოსწავლემ მოკლედ განმარტოს თავისი არჩევანი: რომელი ფერი რას აღნიშნავს, რომელი სტრიქონით არის შთაგონებული და რა განცდის გადმოცემა სურდა.

- ✓ **თქვენი საყვარელი მელოდიებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უკეთ შეესატყვისება აკაკის ამ ლექსს, და მის ფონზე წაიკითხეთ ეს ტექსტი.**

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის:

1. დავალების მიზანია, მოსწავლემ ლექსის ემოციური განწყობა მუსიკალური ნაწარმოების განწყობასთან დააკავშიროს და საკუთარი არჩევანი დაასაბუთოს. სასურველია, წინასწარ აუხსნათ მოსწავლეებს, რომ მნიშვნელობა არა კონკრეტული მელოდიის „სისწორეს“, არამედ იმას ენიჭება, რამდენად შეესაბამება მისი ტემპი, დინამიკა, ჟღერადობა და ემოციური ხასიათი

ლექსის განწყობასა და შინაარსს.

2. თუ მოსწავლეებს მუსიკალური ნაწარმოების შერჩევა უჭირთ, შეგიძლიათ დაეხმაროთ დამხმარე შეკითხვებით:

- ✓ როგორი განწყობილება ჭარბობს ლექსში - სევდიანი, ამაღლებული, იდუმალი, იმედიანი თუ დაძაბული?
- ✓ როგორი ტემპი მოუხდებოდა ტექსტს - ნელი, ზომიერი თუ სწრაფი? რომელ სტროფში?
- ✓ უფრო მშვიდი და ჩუმი ჟღერადობა შეეფერება თუ ძლიერი და საზეიმო? რომელ სტროფში?
- ✓ იცვლება თუ არა ლექსის განწყობა ფინალისკენ და უნდა აისახოს თუ არა ეს მუსიკაშიც?

3. მნიშვნელოვანია, მოსწავლემ არჩევანი ტექსტზე დაყრდნობით ახსნას. მან მელოდიის ხასიათი უნდა დაუკავშიროს ლექსში არსებულ კონკრეტულ სიტყვებსა და სახეებს (მაგალითად: „წმინდა სანთელი“, „საიდუმლო პარპალი“, „მოციქული მომავლის“). ვინაიდან ლექსში ერთდროულად არის სევდა, ჩაფიქრებულობა, ამაღლებულობა და მომავლის იმედი, შეიძლება შეირჩეს ისეთი მელოდია, რომელშიც ეს ემოციური ცვლილებებიც იგრძნობა.

4. ლექსის მუსიკის ფონზე წაკითხვისას ყურადღება მიაქციეთ, რომ მუსიკამ ტექსტი არ გადაფაროს. სასურველია, ჟღერადობა იყოს ზომიერი და მოსწავლემ თავადაც მოარგოს კითხვის ტემპი, პაუზები, ინტონაცია და ხმის ძალა ლექსის შინაარსს.

შეფასებისას ყურადღება გაამახვილეთ არა მუსიკალურ გემოვნებაზე, არამედ სამ საკითხზე: რამდენად შეესაბამება შერჩეული მელოდია ლექსის განწყობას; რამდენად არგუმენტირებულად ხსნის მოსწავლე არჩევანს ტექსტზე დაყრდნობით; რამდენად მიზნობრივად იყენებს მუსიკას ლექსის გამომსახველობითი კითხვისთვის.

- ✓ **წარმოიდგინეთ, რას შეიძლება გრძნობდეს ან ფიქრობდეს ანთებული სანთელი და დაწერეთ „სანთლის მონოლოგი“ - „აალაპარაკეთ“ სანთელი პირველ პირში გაპიროვნების ხერხის გამოყენებით (მაგ.: სად ანთია, მარტოა თუ არა, რისი ეშინია, რა სურს, რა უყვარს ან უხარია, რა აწუხებს და ა.შ.).**

შეფასების რუბრიკები

ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა ადეკვატურად და სიღრმისეულად არის გააზრებული.	მაღალი
	მოსწავლე ადეკვატურად იგებს და სწვდება დავალების პირობას, თუმცა პირობის გაგება ყოველთვის სიღრმისეული არ არის.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შეიმჩნევა თემიდან მცირედი გადახვევის ზოგიერთი შემთხვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გააზრებული; ნამუშევარი არ შეესაბამება პირობას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	მონოლოგს აქვს გამოკვეთილი დასაწყისი, განვითარება და დასასრული; აზრები ლოგიკურად და ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	მაღალი
	მონოლოგი ძირითადად თანმიმდევრული და გამართულია; მცირე ხარვეზები არ აფერხებს აზრის გაგებას; აბზაცები ყოველთვის სწორად არ არის გამოყოფილი.	საშუალო
	ტექსტის ნაწილებს შორის კავშირი ზოგჯერ სუსტია; აზრები ნაწილობრივ ფრაგმენტულია; მათ შორის ლოგიკური კავშირი ზოგჯერ არ იკვეთება.	საბაზისო
	ტექსტი არათანმიმდევრულია, აზრებს შორის კავშირი არ ჩანს.	საწყისი

III კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე და შემოქმედებითობა.	გაპიროვნება სიღრმისეულად არის გამოყენებული: სანთელი თანმიმდევრულად საუბრობს პირველ პირში, გამოხატავს საკუთარ ფიქრებს, გრძნობებსა და სურვილებს; ჩანს ორიგინალური იდეები, საინტერესო დეტალები და ინდივიდუალური ხედვა.	მაღალი
	გაპიროვნების ხერხი ძირითადად ადეკვატურად არის გამოყენებული. ტექსტში არის რამდენიმე საინტერესო და შემოქმედებითი დეტალი.	საშუალო
	გაპიროვნება ნაწილობრივ ჩანს; მონათხრობი ზოგჯერ მესამე პირში გადადის ან სანთლის „გაცოცხლება“ ნაკლებად დამაჯერებელია; ფიქრები და განცდები მწირად ან ზოგადად არის წარმოდგენილი, წარმოსახვითი დეტალები თითქმის არ ჩანს.	საბაზისო
	გაპიროვნების ხერხი არ არის გამოყენებული; არ ჩანს სანთლის მონოლოგი, მისი აზრები და მდგომარეობა.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი

V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

შენიშვნა: მოცემული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოდიფიცირდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკად.

ბ) თვითშეფასების რუბრიკა

საკითხი	**შევძელი**	**ნაწილობრივ შევძელი**	**კიდევ უნდა ვცადო**
დავალების პირობა სრულად მაქვს დაკმაყოფილებული.			
გაპიროვნების გამოყენებით „გავაცოცხლე“ სანთელი: პირველ პირში გადმოვეცი მისი ფიქრები, აზრები და გრძნობები.			
მოვიფიქრე ორიგინალური ამბავი და საინტერესო დეტალები.			
მონოლოგს აქვს გამოკვეთილი დასაწყისი, განვითარება და დასასრული; აზრები ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება.			
გამოვიყენე მრავალფეროვანი და ემოციების გამომხატველი სიტყვები.			
დავიცავი ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.			

შენიშვნა: მოცემული თვითშეფასების რუბრიკა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოდიფიცირდეს ურთიერთშეფასების რუბრიკად.

რუბრიკა „იმსჯელეთ“

- **თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ერთ ქვეყანაში გაკეთებული კონკრეტული საქმე - მაგ.: წიგნის დაწერა, მეცნიერული აღმოჩენა, ტექნიკური გამოგონება,**

სატრანსპორტო ქსელის გაყვანა - სხვა ქვეყნებისთვისაც იყოს სასარგებლო? თქვენი მოსაზრება ახსენით.

კომენტარი: ერთ ქვეყანაში შექმნილი მნიშვნელოვანი საქმე ხშირად სხვა ქვეყნებისთვისაც სასარგებლო ხდება. წიგნი, მეცნიერული აღმოჩენა, ტექნიკური გამოგონება თუ ახალი ინფრასტრუქტურული გადაწყვეტა შეიძლება კონკრეტულ ადგილას შეიქმნას, მაგრამ მისი შედეგი ბევრად უფრო ფართოდ გავრცელდეს და სხვადასხვა ქვეყნის ადამიანების ცხოვრებაზე მოახდინოს გავლენა.

ცალკეული ადამიანები და ქვეყნები ქმნიან ცოდნას, გამოცდილებასა და ახალ შესაძლებლობებს, რომლებსაც შემდეგ სხვებიც იზიარებენ, იყენებენ და ავითარებენ. მაგალითად, ერთ ქვეყანაში გაკეთებულმა სამეცნიერო აღმოჩენამ შეიძლება სხვა ქვეყნებში მედიცინის, ტექნოლოგიის ან განათლების განვითარებას შეუწყოს ხელი; წიგნი შეიძლება ითარგმნოს და სხვადასხვა კულტურის ადამიანებს ახალი იდეები გააცნოს; ტექნიკური გამოგონება კი მთელ მსოფლიოში გავრცელდეს და ყოველდღიური ცხოვრება გაამარტივოს.

ამგვარად, მნიშვნელოვანი სიახლე ხშირად ერთგან იბადება, მაგრამ გაზიარებისა და გავრცელების შედეგად საერთო, საკაცობრიო სიკეთედ იქცევა. კაცობრიობის განვითარებაც დიდწილად სწორედ ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზეა დაფუძნებული - ქვეყნები და ხალხები ერთმანეთისგან სწავლობენ, ერთმანეთის მიღწევებს ავითარებენ და ამ გზით საერთო წინსვლას უწყობენ ხელს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ტრანსპორტი

- ✓ პირველი საზოგადოებრივი სარკინიგზო ხაზები XIX საუკუნეში ინგლისში განვითარდა. მოგვიანებით რკინიგზა თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ადამიანებისა და ტვირთის გადაადგილების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იქცა.
- ✓ კარლ ბენცმა XIX საუკუნის ბოლოს გერმანიაში შექმნა ერთ-ერთი პირველი პრაქტიკული ავტომობილი. დღეს ავტომობილი მთელ მსოფლიოში გამოიყენება.

ტექნიკური გამოგონება

- ✓ QR-კოდი - შეიქმნა იაპონიაში 1994 წელს კომპანია Denso Wave-ში. თავდაპირველად ავტომობილების წარმოებაში დეტალების აღრიცხვისთვის გამოიყენებოდა, დღეს კი მთელ მსოფლიოში გვხვდება - გადახდებში, ბილეთებზე, მენიუებში, ვებგვერდებზე გადასასვლელად და სხვ.
- ✓ Bluetooth - ტექნოლოგიის განვითარება დაიწყო შვედეთში, კომპანია Ericsson-ში, 1990-იან წლებში. დღეს მას თითქმის მთელ მსოფლიოში იყენებენ ტელეფონების, ყურსასმენების, საათების, ავტომობილებისა და სხვა მოწყობილობების ერთმანეთთან უსადენოდ დასაკავშირებლად.
- ✓ GPS - თანამგზავრული ადგილმდებარეობის განსაზღვრის სისტემა - შეიქმნა აშშ-ში და თავდაპირველად სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. დღეს მას მთელ მსოფლიოში იყენებენ ტელეფონებში, ავტომობილებში, თვითმფრინავებში, გემებსა და რუკების აპლიკაციებში.

სატრანსპორტო ქსელი

- ✓ საქართველოში გადის საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალი: ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი. იგი საქართველოს გავლით სხვადასხვა ქვეყნის სატრანსპორტო ნაკადს ემსახურება: ამ გზით გადაადგილდებიან მგზავრები და გადაიზიდება საერთაშორისო ტვირთები. ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე აშენებული და გაუმჯობესებული გზის მონაკვეთები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნებსაც ემსახურება. ყველაზე უშუალოდ ის აკავშირებს აზერბაიჯანს, სომხეთს, საქართველოსა და თურქეთს, მაგრამ ამ დერეფნის საშუალებით კავშირი აქვთ ასევე ცენტრალური აზიისა და ევროპის ქვეყნებსაც.

მეცნიერული აღმოჩენა

- ✓ გენეტიკის კვლევები - ინგლისელმა ექიმმა არჩიბალდ გაროდმა მე-20 საუკუნეში გენეტიკის ცოდნა ადამიანის ჯანმრთელობის შესასწავლად გამოიყენა და აჩვენა, რომ ზოგიერთი დაავადება მემკვიდრეობით გადაეცემა. ამ კვლევებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სამედიცინო გენეტიკის განვითარებას.

- ✓ დაავადებებისადმი გამძლე მცენარეების შექმნა - გენეტიკის ცოდნის გამოყენებით მეცნიერები ქმნიან ან არჩევენ ისეთ ჯიშებს, რომლებიც უკეთ უძლებენ ვირუსებს, სოკოვან დაავადებებსა და სხვა მავნე ფაქტორებს. ეს ეხმარება ფერმერებს მოსავლის დაცვაში.

წიგნები

- ✓ „ვეფხისტყაოსანი“ (ავტორი: შოთა რუსთაველი), „დონ კიხოტი“ (ავტორი: ესპანელი მიგელ დე სერვანტესი), „პატარა უფლისწული“ (ავტორი: ფრანგი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი), „რომეო და ჯულიეტა“ (ავტორი: ბრიტანელი უილიამ შექსპირი) - ეს წიგნები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი და მათ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები კითხულობენ.

- **ვაჟა-ფშაველა ასახელებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებმაც სამსახური გაუწიეს თავიანთ ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოს. კიდევ რომელი ქართველი ან უცხოელი მოღვაწეების დასახელება შეგიძლიათ ვაჟა-ფშაველას მოსაზრების გასამყარებლად? დაფიქრდით და მოიყვანეთ, სულ მცირე, ერთი დამატებითი მაგალითი.**

კომენტარი: ჩვენს თანამემამულეებს შორის მრავლად არიან მეცნიერები, ხელოვანები, და სხვა პროფესიის ადამიანები, რომელთა მემკვიდრეობასაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, მაგალითად:

1. **შოთა რუსთაველი** - „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის გამორჩეული ნაწარმოებია და მრავალ ენაზეა თარგმნილი;
2. **ნიკო ფიროსმანი** - მისი ფერწერა ქართული ხელოვნების ფარგლებს გასცდა და მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა;
3. **ილია ვეკუა** - გამოჩენილი მათემატიკოსი, რომლის ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათემატიკური ფიზიკისა და დიფერენციული განტოლებების განვითარებაში;
4. **ნიკო მუსხელიშვილი** - მსოფლიო მნიშვნელობის მათემატიკოსი და მექანიკოსი,

რომლის კვლევები გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება ინჟინერიასა და ტექნიკურ მეცნიერებებში;

5. **გიორგი ჩიტაია** - ქართველი ეთნოგრაფი, რომლის კვლევებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული და კავკასიური კულტურის მეცნიერულ შესწავლაში;
6. **გიორგი (ჯორჯ) ბალანჩინი** - ქართული წარმოშობის ქორეოგრაფი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე ბალეტის განვითარებაზე და ამერიკული ბალეტის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება;
7. **გია ყანჩელი** - ქართველი კომპოზიტორი, რომლის მუსიკალური ნაწარმოებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სრულდება;
8. **ოთარ იოსელიანი** - ქართველი კინორეჟისორი, რომლის ფილმებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.
9. **ალექსანდრე ქართველი (ქართველიშვილი),** რომელიც გახლდათ ავიამშენებლობის პიონერი აშშ-ში, რეაქტიული ავიაციის მამა. მან შექმნა ლეგენდარული სამხედრო თვითმფრინავები. მისი შემუშავებული ჰაერმიმღები სისტემები და ფრთის კონსტრუქციები საფუძვლად დაედო თანამედროვე ზებგერით ავიაციას.
10. **ალექსანდრე ნადირაძე -** მობილური კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების შემქმნელი. მან მსოფლიოში პირველმა შექმნა მობილურ შასიზე (სატვირთო მანქანაზე) ბაზირებული მყარსაწვავიანი კონტინენტთაშორისი რაკეტა. ამ გამოგონებამ სრულიად შეცვალა გლობალური სამხედრო სტრატეგია და სარაკეტო ინჟინერია.
11. **გიორგი ნიკოლაძე** - პირველი ელექტრონული გამომთვლელი მანქანის ერთ-ერთი წინამორბედი გამოგონების ავტორი. მან პარიზში მოღვაწეობისას, 1920-იან წლებში, მსოფლიოში პირველმა შექმნა ელექტრომექანიკური საანგარიშო აპარატი, რომელიც პირდაპირი გამრავლების პრინციპზე მუშაობდა. ეს იყო გარდამტეხი ნაბიჯი თანამედროვე კომპიუტერების შექმნამდე.
12. **მაიკლ გრეგორი (მიხეილ გრიგორაშვილი)** - აეროდინამიკური პროპელერების ინოვატორი. ამ ადამიანმა კანადასა და აშშ-ში მოღვაწეობისას შექმნა ცვლადი ბიჯის მქონე პროპელერები და დააარსა ერთ-ერთი პირველი კომპანია, რომელიც თვითმფრინავის ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილებს აწარმოებდა, რამაც საავიაციო ფრენების ეფექტურობა მკვეთრად გაზარდა.
13. **ჯონ მალხაზ შალიკაშვილი** - სამხედრო-ჰუმანიტარული სტრატეგიის ახალი მოდელის შემქმნელი. ის გახლდათ აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე. ერაყში შეიმუშავა და განახორციელა ოპერაცია „Provide Comfort“. ეს იყო მსოფლიო ისტორიაში პირველი პრეცედენტი, როცა სამხედრო ძალა მასშტაბური ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად და ლტოლვილთა დასაცავად გამოიყენეს.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გავააზრებინოთ, რა წვლილი შეიტანა საქართველომ მსოფლიო კულტურის საგანძურში, არ შემოიფარგლოთ მხოლოდ პიროვნებათა ხსენებით. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა:

- ✓ ქვევრში ღვინის დაყენების კულტურა;
- ✓ ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა;
- ✓ ხორბლის კულტურა;
- ✓ თაფლის კულტურა;
- ✓ მრავალხმიანობის/პოლიფონიის კულტურა;

- ✓ ქორეოგრაფიის კულტურა და მისთ.

- **იზიარებთ თუ არა ვაჟას მოსაზრებას? რატომ?**

რეკომენდაცია: დავალების მიზანია, მოსწავლემ არა მხოლოდ გაიხსენოს ვაჟას მოსაზრება, არამედ გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება მის მიმართ და არგუმენტირებულად იმსჯელოს. გაამახვილეთ მოსწავლეების ყურადღება იმაზე, რომ მათ შეუძლიათ როგორც დაეთანხმონ ავტორს, ისე ნაწილობრივ ან არ გაიზიარონ მისი პოზიცია - მთავარია, საკუთარი აზრი დამაჯერებლად დაასაბუთონ.

- ✓ თუ მოსწავლეს მსჯელობის დაწყება უჭირს, შეგიძლიათ დაუსვათ დამხმარე კითხვები: კონკრეტულად რას ამბობს მწერალი?
- ✓ რა არის მისი მთავარი აზრი?
- ✓ რა არგუმენტი გეჩვენებათ ყველაზე დამაჯერებლად?
- ✓ შეგიძლიათ გაიხსენოთ შემთხვევა ცხოვრებიდან, ისტორიიდან ან ლიტერატურიდან, რომელიც ამ მოსაზრებას ადასტურებს?
- ✓ არსებობს თუ არა სიტუაცია, როდესაც ვაჟას აზრი ყოველთვის არ მართლდება? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

შეფასებისას ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რამდენად სწორად აქვს გააზრებული მოსწავლეს ვაჟას სათქმელი, რამდენად ნათლად აყალიბებს საკუთარ პოზიციას და რამდენად ლოგიკურად ასაბუთებს მას შესაბამისი არგუმენტებითა და მაგალითებით.

- **თქვენი აზრით, რა კავშირია აკაკი წერეთლის სიტყვებს: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“ - და ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისს შორის?**

კომენტარი: აკაკი წერეთლის სიტყვებს - „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“ - და ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისს საერთო იდეა აერთიანებს: სამშობლოს განსაკუთრებული სიყვარული არ გამორიცხავს მთელი ქვეყნიერებისა და კაცობრიობის მიმართ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას.

აკაკისთვის სამშობლო „ხატია“ - განსაკუთრებით ძვირფასი და წმინდა ფასეულობა, ხოლო მთელი ქვეყნიერება - „სახატე“, ვრცელი სივრცე, რომლის ნაწილიც მისი სამშობლოა. ამ მეტაფორით პოეტი ერთდროულად გამოხატავს სამშობლოს მიმართ განსაკუთრებულ ერთგულებას და მის კავშირს მთელ ქვეყნიერებასთან.

მსგავს აზრს ავითარებს ვაჟა-ფშაველაც: საკუთარი ერის სიყვარული არ უნდა გადაიქცეს სხვა ხალხების უარყოფად. პირიქით, ადამიანი შეიძლება ღრმად იყოს დაკავშირებული საკუთარ სამშობლოსთან და, ამავე დროს, პატივს სცემდეს სხვა ერებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

განსხვავება ძირითადად აზრის გამოხატვის საშუალებებსა და ფორმაშია: აკაკი ლირიკულ ლექსში სათქმელს სიმბოლური სახეებით - „ხატისა“ და „სახატის“ მეტაფორებით - გადმოსცემს, ვაჟა კი პუბლიცისტურ წერილში ამავე საკითხზე პირდაპირ და არგუმენტირებულად მსჯელობს. ეს განსხვავება ბუნებრივია, თუკი გავითვალისწინებთ ამ ორი ჟანრის - ლირიკული პოეზიისა და პუბლიცისტიკის - თავისებურებებს. ამის მიუხედავად, ორივე შემთხვევაში სამშობლოს სიყვარული წარმოჩენილია არა როგორც ჩაკეტილი და სხვებისგან გამმიჯნავი გრძნობა, არამედ

როგორც ღირებულება, რომელიც ზოგადსაკაცობრიო პასუხისმგებლობასთან თანაარსებობს.

რუბრიკა „წერითი დავალება“

დაწერეთ, როგორ გესმით აკაკის სტრიქონები: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“. ახსენით, პოეტის როგორი დამოკიდებულება იკვეთება მათში ქვეყნისა და დანარჩენი მსოფლიოს მიმართ, როგორ წარმოაჩენს აკაკი სამშობლოს ადგილს დიდ სამყაროში. გადმოეცით, იზიარებთ თუ არა მოსაზრებას, რომ შეიძლება იყო ქვეყნის პატრიოტი და, იმავდროულად, დიდი მსოფლიო ოჯახის ღირსეული წევრი. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისი.

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის:

დავალების შესრულებამდე სასურველია მოსწავლეებს შეახსენოთ აკაკის სტრიქონებში გამოყენებული „ხატისა“ და „სახატის“ მეტაფორული მნიშვნელობა და მისცეთ საშუალება, ჯერ ზეპირად ჩამოაყალიბონ მთავარი აზრი. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ წერითი ნამუშევარი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ციტატის ახსნით - მოსწავლემ უნდა იმსჯელოს სამშობლოსა და დანარჩენი მსოფლიოს მიმართ პოეტის დამოკიდებულებაზე და საკუთარი პოზიციაც გამოკვეთოს.

რეკომენდაციები დიფერენცირებული სწავლებისთვის

I. დიფერენცირება მოსწავლეთა მზაობის დონის მიხედვით

1) **დამხმარე შეკითხვები** - იმ მოსწავლეებს, რომლებსაც პრობლემა აქვთ მსჯელობის განვითარების თვალსაზრისით, შეგიძლიათ შესთავაზოთ დამხმარე კითხვები:

როგორ შეიძლება გავიგოთ სიტყვები, რომ სამშობლო „ხატია“? რატომ უწოდებს პოეტი მთელ ქვეყნიერებას (მსოფლიოს) „სახატეს“? რა ადგილი უჭირავს სამშობლოს ამ დიდ სამყაროში? გამორიცხავს თუ არა საკუთარი ქვეყნის განსაკუთრებული სიყვარული სხვა ხალხებისა და ქვეყნების პატივისცემას? როგორ შეიძლება ადამიანი ერთდროულად იყოს თავისი ქვეყნის ერთგული და პასუხისმგებლიანი მსოფლიო მოქალაქე? რა მაგალითი შეგიძლიათ მოიყვანოთ ამ აზრის დასადასტურებლად?

2) **ნამუშევრის გეგმა** - იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აზრის სტრუქტურირებულად ჩამოყალიბებაში დახმარება სჭირდებათ, შესთავაზეთ ნამუშევრის გეგმა, მაგალითად:

შესავალი - გადმოეცით:

- ✓ როგორ გესმით აკაკის სიტყვები: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“;
- ✓ როგორ იკვეთება ამ ფრაზაში ავტორის დამოკიდებულება თავისი ქვეყნის მიმართ.

ძირითადი ნაწილი - იმსჯელეთ:

- ✓ იზიარებთ თუ არა მოსაზრებას, რომ ადამიანი შეიძლება იყოს საკუთარი ქვეყნის პატრიოტი და ამავდროულად მსოფლიო საზოგადოების ღირსეული წევრი, რომელიც პატივს სცემს საერთო ადამიანურ ფასეულობებს;
- ✓ თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები (რეალური ცხოვრებიდან, ისტორიიდან, მეცნიერებიდან, კულტურიდან ან ლიტერატურიდან).

სურვილის შემთხვევაში - გადმოეცით:

- ✓ რა მსგავსებაა აკაკისა და ვაჟას შეხედულებებს შორის;
- ✓ როგორ ამყარებს ვაჟას მოსაზრება თქვენს მსჯელობას.

დასკვნა - მოკლედ ჩამოაყალიბეთ:

- ✓ რატომ არის მნიშვნელოვანი სამშობლოს სიყვარულისა და სხვა ხალხების, დანარჩენი მსოფლიოს პატივისცემის ერთმანეთთან შეთავსება.

შენიშვნა: მოსწავლეები ეყრდნობიან გეგმას, მაგრამ თავად შეარჩევენ არგუმენტებსა და მაგალითებს.

3) **სიტყვათა ბანკი** - იმ მოსწავლეებს, რომლებსაც პრობლემა აქვთ ლექსიკური მარაგის თვალსაზრისით, შეიძლება შესთავაზოთ სიტყვათა ჩამონათვალი, მაგალითად: სამშობლო, ერთგულება, პატრიოტიზმი, პასუხისმგებლობა, სიწმინდე, ქვეყნიერება, კაცობრიობა, საერთო სიკეთე, პატივისცემა, თანამშრომლობა, ფასეულობა. წინასწარ დარწმუნდით, რომ მათ ესმით ამ სიტყვების მნიშვნელობა (შეახსენეთ ან გააცანით).

4) **წინადადებათა დასაწყისები** - იმ მოსწავლებს, რომლებსაც მსჯელობის დაწყება უჭირთ, შეგიძლიათ შესთავაზოთ წინადადებათა დასაწყისები, მაგალითად:

- ✓ აკაკის ლექსში სიტყვა „ხატი“ ჩემთვის ნიშნავს...
- ✓ პოეტი სამშობლოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან...
- ✓ სიტყვები: „სახატე - მთელი ქვეყანა“ მიგვანიშნებს, რომ...
- ✓ ჩემი აზრით, სამშობლოს სიყვარული და სხვა ხალხების პატივისცემა...
- ✓ ამ მოსაზრებას ვეთანხმები / ნაწილობრივ ვეთანხმები, რადგან...
- ✓ ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ...

5) მაღალი მზაობის მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ:

- ✓ აკაკისა და ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისების შედარება;
- ✓ მსჯელობა იმაზე, შეიძლება თუ არა პატრიოტიზმი ზოგჯერ გადაიქცეს სხვების მიმართ შეუწყნარებელ დამოკიდებულებად;
- ✓ ორი განსხვავებული მაგალითის გამოყენება: 1. ერთ - ქართული, მეორე - მსოფლიო გამოცდილებიდან“.

II. დიფერენცირება მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით

მოსწავლეებს შესაძლებელია შესთავაზოთ, თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად აირჩიონ მაგალითები მათთვის საინტერესო სფეროდან:

- ✓ **ლიტერატურით დაინტერესებულებმა** - ქართველი ან უცხოელი მწერლის/ნაწარმოების მაგალითი;
- ✓ **ისტორიით დაინტერესებულებმა** - ისტორიული პიროვნება ან მოვლენა საქართველოს ან საზღვარგარეთის ისტორიიდან;

- ✓ **მეცნიერებით დაინტერესებულებმა** - ქართველი ან უცხოელი მეცნიერის აღმოჩენა, რომელმაც სხვა ქვეყნებსაც მოუტანა სარგებლობა;
- ✓ **ტექნოლოგიით დაინტერესებულებმა** - ქართველი ან უცხოელი ავტორის გამოგონება ან ტექნოლოგია, რომელიც ერთ ქვეყანაში შეიქმნა და მსოფლიოში გავრცელდა;
- ✓ **სპორტით დაინტერესებულებმა** - ქართველი ან უცხოელი სპორტსმენი, რომელიც საკუთარ ქვეყანას წარმოადგენს, მაგრამ საერთაშორისო თანამშრომლობისა და პატივისცემის მაგალითსაც იძლევა;
- ✓ **ხელოვნებით დაინტერესებულებმა** - ქართველი ან უცხოელი მხატვრის, კომპოზიტორის, რეჟისორის ან მოცეკვავის შემოქმედება, რომელიც მსოფლიო კულტურის ნაწილად იქცა.

III. დიფერენცირება საბოლოო პროდუქტის/ნამუშევრის მიხედვით

მოსწავლეებს შეგიძლიათ მისცეთ ნამუშევრის ფორმატის არჩევის თავისუფლება. მაგალითად, მათ შეუძლიათ:

- ✓ მოამზადონ 2–3-წუთიანი სიტყვით გამოსვლა თემაზე „მე - ჩემი ქვეყნისა და დიდი მსოფლიოს წევრი“;
- ✓ შექმნან პოსტერი - „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“, რომელსაც დაურთავენ მოკლე განმარტებებსა და მაგალითებს;
- ✓ შექმნან ცნებათა რუკა, რომელშიც დააკავშირებენ ცნებებს: სამშობლო - პატრიოტიზმი - პასუხისმგებლობა - მსოფლიო - ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები;
- ✓ დაწერონ მოკლე მიმართვა / მოამზადონ მოკლე ვიდეომიმართვა თანატოლებისადმი, როგორ შეიძლება იყო კარგი მოქალაქე საკუთარი ქვეყნისთვის და, ამავე დროს, პატივს სცემდე სხვა ხალხებს.

შენიშვნა: დიფერენცირების მიუხედავად, უცვლელი რჩება დავალების მიზანი - აკაკის იდეის გააზრება, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და არგუმენტირებული მსჯელობა, თუმცა მოსწავლეები ამ მიზნამდე სხვადასხვაგვარი გზით მიდიან.

შეფასების რუბრიკები

ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; ნამუშევარი უპასუხებს ყველა ძირითად მოთხოვნას და მსჯელობა მთლიანად თემის ფარგლებში ვითარდება.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ძირითადი მოთხოვნები შესრულებულია, თუმცა რომელიმე საკითხი შესაძლოა ნაკლებად სრულად იყოს განხილული.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან მცირედი გადახვევა	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ტექსტს აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება, ტექსტის ნაწილები ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	მაღალი
	ტექსტი ძირითადად ორგანიზებული და თანმიმდევრულია; მცირე სტრუქტურული ხარვეზები მთლიანობას არ არღვევს; ზოგ შემთხვევაში აბზაცებად დაყოფა დასახვეწია.	საშუალო
	ტექსტის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში დარღვეულია აზრების ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაწილებს შორის კავშირი ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	ტექსტი ფრაგმენტულია; არ იკვეთება მკაფიო სტრუქტურა, აზრების თანმიმდევრობა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირი.	საწყისი

III კრიტერიუმი. შინაარსი და არგუმენტაცია	ზუსტად და სიღრმისეულად განმარტავს აკაკის სიტყვებს; მკაფიოდ წარმოაჩენს სამშობლოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ურთიერთკავშირს; ნათლად აყალიბებს თავის პოზიციას პატრიოტიზმის შესახებ და ამყარებს მას ლოგიკური არგუმენტებითა და შესაბამისი მაგალითებით. **ვაჟა-ფშაველას ნააზრევის გამოყენების შემთხვევაში**, გააზრებულად აკავშირებს მის თვალსაზრისს აკაკის სათქმელთან და იყენებს ამ კავშირს საკუთარი მსჯელობის გასაღრმავებლად.	მაღალი
	სწორად განმარტავს აკაკის სიტყვებს და ძირითადად წარმოაჩენს სამშობლოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის კავშირს; პირადი პოზიცია ნათელია და შესაბამისი არგუმენტებითა და მაგალითებით არის დასაბუთებული, თუმცა მსჯელობა ყოველთვის სიღრმისეული არ არის. **ვაჟა-ფშაველას ნააზრევის გამოყენების შემთხვევაში**, სწორად უკავშირებს მის მოსაზრებას აკაკის სათქმელს, თუმცა შედარება ნაკლებად არის განვითარებული.	საშუალო
	ძირითადად სწორად გაიაზრებს აკაკის სიტყვებს, თუმცა მათი მნიშვნელობა სრულად არ არის ახსნილი; სამშობლოსა და ქვეყნიერებას შორის კავშირი არასაკმარისად არის წარმოჩენილი; პირადი პოზიცია იკვეთება, მაგრამ არასრულად ან ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული; არგუმენტები ზოგადია ან მაგალითებთან კავშირი სუსტია. **ვაჟა-ფშაველას ნააზრევის გამოყენების შემთხვევაში**, ვაჟას მოსაზრება მოხსენიებულია, მაგრამ აკაკის სათქმელთან კავშირი მხოლოდ ნაწილობრივ არის ახსნილი.	საბაზისო
	აკაკის სიტყვების გადატანითი მნიშვნელობა არ არის გააზრებული ან არაზუსტად არის ახსნილი; არ ჩანს სამშობლოსა და ქვეყნიერებას შორის კავშირის გააზრება; პირადი პოზიცია არ იკვეთება ან დაუსაბუთებელია. **ვაჟა-ფშაველას ნააზრევის გამოყენების შემთხვევაში**, მისი მოსაზრება გამოყენებულია არაზუსტად, ფორმალურად ან არ უკავშირდება მსჯელობის ძირითად აზრს.	საწყისი

IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი ხარვეზი, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შეცდომები შედარებით ხშირია; ზოგ შემთხვევაში არღვევს წინადადების გამართულობას ან აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

შენიშვნა: ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისის გამოყენება დავალების სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს. შესაბამისად, მისი გამოუყენებლობა მოსწავლის შეფასებაზე არ უნდა აისახოს. თუ მოსწავლე ვაჟას მოსაზრებას მოიხმობს, ფასდება ის, თუ რამდენად ზუსტად და მიზნობრივად აკავშირებს მას აკაკის სათქმელთან და რამდენად ამდიდრებს ეს შედარება მის მსჯელობას. არაზუსტი, ფორმალური ან თემასთან სუსტად დაკავშირებული გამოყენება დამატებით უპირატესობას არ იძლევა.

ბ) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; ნამუშევარი უპასუხებს ყველა ძირითად მოთხოვნას და მსჯელობა მთლიანად თემის ფარგლებში ვითარდება.	1
	დავალების პირობა ძირითადად სწორად არის გააზრებული, თუმცა რომელიმე მნიშვნელოვანი მოთხოვნა არასრულად არის შესრულებული ან შეინიშნება მცირე გადახვევა თემიდან.	0, 5
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	0
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ტექსტს აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება, ტექსტის ნაწილები ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	1
	ტექსტი ძირითადად ორგანიზებული და თანმიმდევრულია; მცირე სტრუქტურული ხარვეზები მთლიანობას არ არღვევს; ზოგ შემთხვევაში აბზაცებად დაყოფა დასახვეწია.	0, 5
	ტექსტი ფრაგმენტულია; არ აქვს მკაფიო სტრუქტურა, დარღვეულია აზრების თანმიმდევრობა, არ ჩანს კავშირი ტექსტის ნაწილებს შორის.	0

III კრიტერიუმი. შინაარსი და არგუმენტაცია	ზუსტად და სიღრმისეულად განმარტავს აკაკის სიტყვებს; მკაფიოდ წარმოაჩენს სამშობლოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ურთიერთკავშირს; ნათლად აყალიბებს საკუთარ პოზიციას პატრიოტიზმისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ურთიერთმიმართების შესახებ; მსჯელობას ამყარებს შესაბამისი, დამაჯერებელი არგუმენტებითა და მაგალითებით. **ვაჟა-ფშაველას ნააზრევის გამოყენების შემთხვევაში**, ზუსტად და გააზრებულად აკავშირებს მას აკაკის სათქმელთან და იყენებს შედარებას საკუთარი მსჯელობის გასაღრმავებლად.	5
	სწორად განმარტავს აკაკის სიტყვებს; წარმოაჩენს სამშობლოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის კავშირს; საკუთარი პოზიცია ნათელია და ძირითადად დასაბუთებულია შესაბამისი არგუმენტებითა და მაგალითებით, თუმცა მსჯელობა ყოველთვის სიღრმისეული არ არის. **ვაჟა-ფშაველას ნააზრევის გამოყენების შემთხვევაში**, სწორად უკავშირებს მის მოსაზრებას აკაკის სათქმელს, თუმცა კავშირი ნაკლებად არის განვითარებული.	**4**
	ძირითადად სწორად განმარტავს აკაკის სიტყვებს და აყალიბებს საკუთარ პოზიციას; სამშობლოსა და ქვეყნიერებას შორის ურთიერთკავშირი ან არგუმენტაცია გარკვეულწილად დასახვეწია; მაგალითები შესაბამისია, თუმცა ყოველთვის საკმარისად განვითარებული არ არის. **ვაჟა-ფშაველას ნააზრევის გამოყენების შემთხვევაში**, კავშირი ძირითადად სწორად არის გააზრებული, მაგრამ ზოგადადაა ახსნილი.	3
	აკაკის სიტყვების მნიშვნელობა ნაწილობრივ არის გააზრებული; სამშობლოსა და ქვეყნიერებას შორის კავშირი არასაკმარისადაა ახსნილი; საკუთარი პოზიცია ბუნდოვანი ან არასრულად ჩამოყალიბებულია; არგუმენტები ზოგადია, სუსტია ან მაგალითებთან მათი კავშირი მკაფიო არ არის. **ვაჟა-ფშაველას ნააზრევის გამოყენების შემთხვევაში**, მისი მოსაზრება მხოლოდ მოხსენიებულია ან აკაკის სათქმელთან კავშირი სუსტადაა ახსნილი.	2
	აკაკის სიტყვების მნიშვნელობა ფრაგმენტულად ან ზედაპირულად არის გააზრებული; პირადი პიზიცია თითქმის არ იკვეთება, მსჯელობა უმეტესწილად დაუსაბუთებელია. **ვაჟა-ფშაველას ნააზრევის გამოყენების შემთხვევაში**, მისი მოსაზრება არაზუსტად ან ფორმალურადაა გამოყენებული.	1
	აკაკის სტრიქონების გადატანითი მნიშვნელობა არ არის გააზრებული; არ ჩანს სამშობლოსა და ქვეყნიერებას შორის კავშირის გააზრება; საკუთარი პოზიცია და არგუმენტირებული მსჯელობა არ იკვეთება.	0

IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დავალებისა და მსჯელობითი ტექსტის შესაბამისი სტილი; ლექსიკა მდიდარი, ზუსტი და მრავალფეროვანია; დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება; აზრი მკაფიოდ და ზუსტად არის გადმოცემული; სტილისტური ხარვეზები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა.	1
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	0, 5
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	0
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	2
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	1
	შეცდომები შედარებით ხშირია; ზოგ შემთხვევაში არღვევს წინადადების გამართულობას ან აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	0, 5
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	0

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:
მურად მთვარელიძე, წერილი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე „რაც გულმა გიჩურჩულოს“ .

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის
აკაკი წერეთელი, მოთხრობები: „პატრიოტის აღსარება“, „ყვითელი სანთელი“.

6. ანა კალანდაძე - საქართველოო ლამაზო

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი)

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები

1. სამიზნე ცნება „ტექსტი“

მხატვრული ტექსტი - ლექსი

შინაარსობრივი მხარე - თემა, მთავარი იდეა; განწყობილება.

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, სტროფი, რეფრენი; რითმა - ზუსტი და არაზუსტი.
ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები: გაპიროვნება; ნაწარმოებში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები.

არამხატვრული ტექსტი - მსჯელობითი (შედარებითი) ესე; თხრობითი ესე.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები.

3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“

ალუზია, ციტატა; მიმართებები ლექსსა და მასზე შექმნილ სიმღერას შორის.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეს შეუძლია:
• კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება;
• ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით;
• ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.
• საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
• ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
• მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;
• იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას;
• ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა;
• მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- საქართველოს რომელი კუთხე ან ბუნების რომელი ადგილი გიყვართ განსაკუთრებით და რატომ - რითია ის გამორჩეული?
- წარმოიდგინეთ, რომ ადამიანს, რომელსაც საქართველო არასოდეს უნახავს, მისი ბუნება უნდა აღუწეროთ. რომელ სამ-ოთხ დეტალს დაასახელებდით?
- აქამდე რომელი ლექსი ან სიმღერა წაგიკითხავთ/მოგისმენიათ საქართველოზე, რომელიც განსაკუთრებით დაგამახსოვრდათ? რა განწყობა დაგიტოვათ მან და რა იყო თქვენთვის ყველაზე შთამბეჭდავი?
- ჩვენ ახლა გავეცნობით ანა კალანდაძის ლექსს „საქართველოო ლამაზო“. სათაურის მიხედვით, როგორ ფიქრობთ, რაზე იქნება ეს ლექსი - მხოლოდ საქართველოს ბუნებაზე თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც - მაგალითად, ადამიანებზე, ლიტერატურაზე, წარსულზე? რატომ ფიქრობთ ასე?
- ანა კალანდაძის ლექსში რამდენჯერმე მეორდება ფრაზა: „სხვა საქართველო სად არი?“. როგორ გესმით ეს ფრაზა?
- როგორ გესმით სიტყვები: „ქარი მღერის“, „ხე ზღაპარს გვიამბობს“, „ჩიტები მზეს უმღერიან“? თქვენი აზრით, რატომ შეიძლება მიაწეროს პოეტმა ბუნებას ადამიანის მოქმედებები და თვისებები? რას მატებს ასეთი აღწერა ბუნების სურათს?

შენიშვნა: მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს შეკითხვები, მოახდინოს მათი მოდიფიცირება ან დასვას განსხვავებული შეკითხვები.

რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“

1. ვის მიმართავს პოეტი ლექსის დასაწყისში?

პასუხი: პოეტი ლექსის დასაწყისში საქართველოს მიმართავს.

2. მოძებნეთ გაპიროვნების მაგალითები და იმსჯელეთ, რა განცდა შემოაქვს თითოეულ მათგანს ლექსში?

პასუხი: ლექსში გაპიროვნების არაერთ ნიმუშს ვხვდებით: „ქარი გიმღერის ნანასა“, „ზღაპარს გიამბობს ჭადარი“, „ძეწნამ ალერსით ამავსო“, „მზეს უმღერიან ჩიტები“, „გორში იტირებს ატამი“, „მთათ ორბის ფრთები მოისხეს“.

კომენტარი: გაპიროვნების მეშვეობით პოეტი საქართველოს ბუნებას ადამიანურ თვისებებს ანიჭებს, წარმოგვიჩენს მას არა უსულო პეიზაჟად, არამედ ცოცხალ არსებად, რომელიც გრძნობს, განიცდის, სიყვარულითაა სავსე და ადამიანს ესაუბრება. თითოეულ გაპიროვნებას ლექსში განსხვავებული განცდა შემოაქვს:

- ✓ „**ქარი გიმღერის ნანასა**“ - ქარი აქ თითქოს დედობრივ სინაზეს იძენს და იავნანას უმღერის საქართველოს. ეს სახე სითბოს, სიახლოვის, სიმყუდროვისა და მშობლიური ალერსის განცდას ბადებს. სამშობლო წარმოჩნდება, როგორც განსაკუთრებით ახლობელი, ძვირფასი და სიყვარულით მოცული სივრცე.
- ✓ „**ზღაპარს გიამბობს ჭადარი**“ - ხე წარმოგვიდგება მთხრობლად, რომელიც თითქოს

წარსულის მოგონებებს, ძველ ამბებსა და გადმოცემებს ინახავს. ეს სახე წარსულთან სიახლოვის, ცოცხალი კავშირის განცდას ბადებს. ბუნება აქ თითქოს ქვეყნის წარსულის, მის სიძველეთა მცველად გვევლინება.

- ✓ „**ძეწნამ ალერსით ამავსო ეჭვებით ნაავადარი**“ - ძეწნა ადამიანივით ეალერსება ეჭვებითა და შინაგანი შფოთვით შეწუხებულ ლირიკულ გმირს, რაც სიმშვიდისა და დაცულობის განცდას ბადებს. აქ შეიძლება გავიხსენოთ აკაკის „განთიადიც“, როდესაც პოეტი სამშობლოს სნეულების განმკურნავ, ამაღორძინებელ ძალას მიაწერს („სნეული დავბრუნებულვარ, / მკურნალად შემეყარეო“). ორივე შემთხვევაში სამშობლო ადამიანის სულის მკურნალად წარმოგვიდგება, რომელიც თავის შვილებს შინაგან ძალას, სიმშვიდესა და ნუგეშს ანიჭებს.

- ✓ „**მზეს უმღერიან ჩიტები**“ – სიხარულის, სილაღისა და უშფოთველობის განცდას ბადებს: ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება აქ თითქოს ერთმანეთს ეხმიანება და შეჰხარის - ყველაფერი ერთმანეთთან ჰარმონიაშია და ერთმანეთით ტკბება. ესაა იდილიური, სამოთხის მაგვარი სურათი.

- ✓ „**გორში იტირებს ატამი**“ - ატამს ადამიანის უნარი - ტირილი - მიეწერება (ეს შეიძლება მზისგან დამსკდარი, წვენდადენილი ნაყოფის პოეტურ სახედაც გავიაზროთ), შესაძლოა, მსუბუქი სევდის განცდას იწვევდეს, თუმცა ამ სახემ ილიასეული, სიხარულით ატირებული ვაზიც შეიძლება გაგვახსენოს („ბაღში ვაზი ობოლი / მეტის ლხენითა ტირის“). კონტექსტის გათვალისწინებით, დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ტირილი აქაც მწუხარებაზე კი არა, ძლიერ სიხარულზე, აღტაცებაზე, გრძნობათა მეტისმეტ სიჭარბეზე მიგვანიშნებს.

- ✓ „**მთათ ორბის ფრთები მოისხეს**“ - მთები ცოცხალ არსებებად წარმოგვიდგება, რომლებიც თითქოს მაღლა, ცისკენ მიისწრაფვიან, თავისუფლდებიან დედამიწის სიმძიმისგან. ეს სახე სიმაღლის, სიდიადის, სილაღისა და თავისუფლების განცდას ბადებს.

გაპიროვნება ლექსში პოეტის მთავარი სათქმელის გამოკვეთას ემსახურება. ბუნება მღერის, გვიამბობს, ეალერსება, ტირის, ანუგეშებს ადამიანს და ზეცისკენ მიისწრაფვის. საქართველო წარმოჩნდება, როგორც ცოცხალი, ჰარმონიული, სიყვარულითა და მშვენიერებით სავსე სრულიად განსაკუთრებული სამყარო. მისი გამორჩეულობის განცდას კიდევ უფრო აძლიერებს ლექსის რეფრენიც - გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებიდან მოხმობილი რიტორიკული შეკითხვა: „სხვა საქართველო სად არი?“.

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის:

აქ შეგიძლიათ მოსწავლეებს შეახსენოთ გაპიროვნების მაგალითები ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებიდან „ლიტერატურული საღამო“ (ეს ტექსტი მათ პირველი თავის დასაწყისში შეისწავლეს). გაამახვილეთ მათი ყურადღება იმაზე, თუ რა ადამიანური თვისებები ენიჭება ბუნებას ორივე ტექსტში და როგორ გამოხატავენ მწერლები გაპიროვნების მეშვეობით თავიანთ განცდებსა და დამოკიდებულებას სამშობლოს მიმართ. ასეთი შედარება მოსწავლეებს დაეხმარება გააცნობიერონ, რომ გაპიროვნება მხოლოდ ენობრივი „სამკაული“ კი არა, მხატვრული აზროვნების ხერხია, რომლის საშუალებითაც მწერალი ქმნის ემოციურ განწყობას, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, გამოკვეთს მთავარ სათქმელს.

3. როგორ შეიძლება გავიგოთ სიტყვები: „ეჭვებით ნაავადარი“? თქვენი აზრით, რა „ეჭვები“

შეიძლება ღრღნიდეს პოეტის გულს?

რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის:

1. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება იმაზე, რომ ამ შეკითხვაზე არ არსებობს „სწორი“ პასუხი - ეს მთლიანად მოსწავლის, როგორც მკითხველის, ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. მთავარია, მოსწავლეებმა გამოთქმულ მოსაზრებებს შესაბამისი ახსნა მოუძებნონ ნაწარმოებზე დაყრდნობით: დაუკავშირონ ისინი ტექსტის ამ თუ იმ კონკრეტულ ელემენტს ან ელემენტებს (მაგ.: სიტყვების არჩევანს, კონტექსტს, ლექსის ემოციურ განწყობასა და მისთ.).

2. წინასწარ დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს ესმით ამ სიტყვების - „ეჭვებით ნაავადარი“ - მნიშვნელობა. გაამახვილეთ მათი ყურადღება სიტყვაზე „ნაავადარი“ (მისი მნიშვნელობა ახსნილია რუბრიკაში „სიტყვების განმარტება“). შეახსენეთ, რომ „ნაავადარი“ აღნიშნავს ადამიანს, რომელმაც იავადმყოფა, რომელსაც ავადმყოფობა ახალი გამოვლილი აქვს. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ ლირიკული გმირის სულიერი შფოთვა („ეჭვები“) წარსულს უკავშირდება - მას უკვე განვლილი აქვს ეს პერიოდი (სამშობლოს განმაკურნებელი ზემოქმედების წყალობით).

3. წაახალისეთ ტექსტზე დაყრდნობით ახსნილი ნებისმიერი ინტერპრეტაცია, როგორი განსხვავებულიც უნდა იყოს ისინი, მაგალითად: „ეჭვებში“ შეიძლება იგულისხმებოდეს: 1. ცხოვრების სირთულეებით დაღლილი ადამიანის შინაგანი წუხილი; 2. შემოქმედი, ხელოვანი ადამიანის სულიერი შფოთვა - გაურკვევლობა/დაურწმუნებლობა, დაკავშირებული მის შემოქმედებით გზასთან/მოწოდებასთან/შემოქმედებით ძიებებთან; 3. დარდი/ წუხილი სამშობლოს მომავალზე და ა.შ. 4. საუბრის დასრულებისას ჰკითხეთ მოსწავლეებს: თქვენი აზრით, სხვადასხვაგვარი გაგება სიტყვებისა, რომლებიც მოვისმინეთ, ერთმანეთს გამორიცხავს თუ ავსებს? რატომ ფიქრობთ ასე?

ეს დაეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ, რომ პოეტური სახე ხშირად ერთზე მეტ მნიშვნელობას იტევს და სწორედ ეს ანიჭებს სიღრმესა და ემოციურ ძალას.

4. როგორ ხატავს პოეტი სამშობლოს? რომელ დეტალებს გამოკვეთს საქართველოს სიტყვიერ პეიზაჟში?

პასუხი: გამოკვეთს საქართველოს ბუნებას: მთასა და ბარს, მინდვრებს, ქედებს, ფლორასა და ფაუნას, მიწასა და ზეცას; ასევე - ქართული ლიტერატურის გმირებს.

5. ბალახი, რა თქმა უნდა, მწვანეა. რატომ შემოაქვს პოეტს ბალახის მსაზღვრელად ლურჯი? რა განცდას ბადებს მკითხველში ფერის ასეთი შეცვლა?

კომენტარი: ანა კალანდაძე ბალახს თავისი პოეტური ხედვით გვიხატავს და არა - რეალისტურად. „ლურჯის“ გამოყენება „მწვანის“ ნაცვლად პეიზაჟს უჩვეულო, ზღაპრულ იერს სძენს. ეს, შესაძლოა, მკითხველში იწვევდეს სიზმრისეული, ჯადოსნური სამყაროს განცდას.

6. პოეტი ლექსში რამდენჯერმე იმეორებს სტრიქონებს, ასევე, ლექსის დასასრულს მეორდება დასაწყისი სტროფი. თქვენი აზრით, რა დანიშნულებით იყენებს ასეთ გამეორებებს ლექსში? რატომაა ერთნაირი ლექსის დასაწყისი და დასასრული?

კომენტარი: გამეორების მხატვრული ფუნქცია მრავალმხრივია: ის იპყრობს მკითხველის ყურადღებას, გამოკვეთს მთავარ სათქმელსა და რიტმს. ამას გარდა, გამეორება ლექსს მატებს ემოციურ დაძაბულობას, სიღრმეს, და კომპოზიციურად კრავს ტექსტს. საწყისი და ბოლო სტროფების გამეორება, ე.წ. რგოლური/წრიული კომპოზიცია, ლექსს დასრულებულობის, მთლიანობის განცდას მატებს და გამოკვეთს, რომ ყველა „შუალედური სურათი“ ამ ერთი აზრის - „სხვა საქართველო სად არი?“ - დადასტურებას წარმოადგენს. ლექსის ბოლოს მკითხველი კითხულობს იმავე სტრიქონებს, მაგრამ ახალი სიღრმით - იმ გამოცდილებით, რომელიც მან კითხვისას შეიძინა. ამდენად, სტრიქონები იგივეა, მაგრამ თავად მკითხველია უკვე შეცვლილი.

<u>წერითი დავალების პირობა:</u>

დაწერეთ თხზულება „სიტყვით დახატული საქართველო“. შეარჩიეთ ამ თავში შესწავლილი ორი-სამი ნაწარმოები და იმსჯელეთ, როგორ წარმოგვიჩენენ მათი ავტორები ჩვენს ქვეყანას. ნამუშევარში:

- დაასახელეთ თქვენ მიერ შერჩეული ნაწარმოებები და ახსენით, რით არის სამშობლო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მწერლებისთვის;
- ისაუბრეთ, რაზე ამახვილებენ მწერლები ყურადღებას: მაგ.: ადამიანებზე, ბუნებაზე, კულტურაზე, პასუხისმგებლობაზე; წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე;
- გამოკვეთეთ, რა საერთო სათქმელი აქვთ მწერლებს, რა მსგავსება-განსხვავებაა მწერლების დამოკიდებულებაში სამშობლოს მიმართ;
- აღნიშნეთ, რა მხატვრული ხერხებით გადმოსცემენ მწერლები თავიანთ სათქმელს;
- აღნიშნეთ, თქვენზე რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება და რატომ;
- თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი ადგილები ნაწარმოებებიდან.
- წერისას გამოკვეთეთ სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; დაყავით ტექსტი აბზაცებად, დაიცავით მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

შეფასების რუბრიკები

ა) განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის/ნაწილობრივ არის შესრულებული.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან მცირედი გადახვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ტექსტს აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება, ტექსტის ნაწილები ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	მაღალი
	ტექსტი ძირითადად ორგანიზებული და თანმიმდევრულია; მცირე სტრუქტურული ხარვეზები მთლიანობას არ არღვევს; ზოგ შემთხვევაში აბზაცებად დაყოფა დასახვეწია.	საშუალო
	ტექსტის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში დარღვეულია აზრების ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაწილებს შორის კავშირი ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	ტექსტი ფრაგმენტულია; არ იკვეთება მკაფიო სტრუქტურა, აზრების თანმიმდევრობა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირი.	საწყისი
III კრიტერიუმი. შერჩეული ნაწარმოებების გააზრება და თემასთან დაკავშირება	ასახელებს 2–3 შესაბამის ნაწარმოებს და დამაჯერებლად ხსნის, რით არის სამშობლო მნიშვნელოვანი ავტორებისთვის.	მაღალი
	ასახელებს შესაბამის ნაწარმოებებს, მაგრამ ყველასთან მიმართებით სიღრმისეულად ვერ ხსნის, რით არის სამშობლო მნიშვნელოვანი ავტორებისთვის.	საშუალო
	ასახელებს ნაწარმოებებს, მაგრამ ახსნა ზოგადი ხასიათისაა ან ნაწილობრივაა ახსნილი.	საბაზისო
	ასახელებს ერთ ნაწარმოებს; ვერ ან ძალიან ზოგადად/სქემატურად ხსნის, რით არის სამშობლო მნიშვნელოვანი ავტორებისთვის.	საწყისი

IV კრიტერიუმი. მსჯელობა და არგუმენტაცია	სიღრმისეულად აანალიზებს, როგორ წარმოჩნდება საქართველო შერჩეულ ნაწარმოებებში; გამოკვეთს ავტორთა საერთო სათქმელს, მსგავსებასა და განსხვავებას; ხსნის მხატვრული ხერხების ფუნქციას; მოსაზრებებს ამყარებს ზუსტად შერჩეული ციტატებითა და ტექსტის დეტალებით და განმარტავს, როგორ ადასტურებს ისინი მის მსჯელობას	მაღალი
	ძირითადად სწორად აანალიზებს ნაწარმოებებს, გამოყოფს მნიშვნელოვან მსგავსება-განსხვავებებსა და მხატვრულ ხერხებს, თუმცა მსჯელობა ზოგჯერ ზოგადია ან ნაკლებადაა განვითარებული; მოსაზრებებს უმეტწილად შესაბამისი მაგალითებით ასაბუთებს	საშუალო
	ნაწარმოებების შესახებ გამოთქვამს ძირითად მოსაზრებებს, მაგრამ ანალიზს ხშირად პერიფრაზის სახე აქვს; მსგავსება-განსხვავებებსა და მხატვრულ ხერხებს ნაწილობრივ განიხილავს; ტექსტიდან მოყვანილი მაგალითები ყოველთვის არ არის სათანადოდ დაკავშირებული მსჯელობასთან.	საბაზისო
	ძირითადად შემოიფარგლება ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემით; უჭირს მათი გაანალიზება, შედარება და მხატვრული ხერხების ფუნქციის ახსნა. მოსაზრებებს შესაბამისი მაგალითებით იშვიათად ან ვერ ასაბუთებს.	საწყისი
V კრიტერიუმი. პირადი დამოკიდებულება	მკაფიოდ გამოკვეთს, რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება და ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთებსა თუ დეტალებზე დაყრდნობით ხსნის თავის არჩევანს.	მაღალი
	ასახელებს, რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება და ძირითადად ხსნის თავის არჩევანს; ეყრდნობა ტექსტის შესაბამის მონაკვეთს ან დეტალს, თუმცა ყოველთვის მკაფიოდ ვერ განმარტავს, როგორ ამყარებს ეს მაგალითი მის არჩევანს.	საშუალო
	ასახელებს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ ნაწარმოებს და ზოგადად განმარტავს არჩევანის მიზეზს, თუმცა ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთებსა თუ დეტალებს იშვიათად იყენებს ან მათთან კავშირი მკაფიო არ არის.	საბაზისო
	ასახელებს ნაწარმოებს, რომელმაც მასზე შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ არჩევანის მიზეზს ვერ ხსნის ან მხოლოდ ძალიან ზოგადად აღნიშნავს; ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთებსა თუ დეტალებს არ ეყრდნობა.	საწყისი

VI კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
VII კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

ბ) თვითშეფასების რუბრიკა

საკითხი	**შევძელი**	**ნაწილობრივ შევძელი**	**კიდევ უნდა ვცადო**
დავასახელე, რომელი ნაწარმოებები შევარჩიე.			
ავხსენი, რითაა სამშობლო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მათი ავტორებისთვის.			
ვისაუბრე, რაზე ამახვილებენ მწერლები ყურადღებას.			
გამოკვეთე, რა საერთო სათქმელი აქვთ მწერლებს			

გამოვკვეთე, რა მსგავსება-განსხვავებაა მწერლების დამოკიდებულებაში სამშობლოს მიმართ.			
აღვნიშნე, რა მხატვრული ხერხებით გადმოსცემენ მწერლები სათქმელს.			
აღვნიშნე, რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება და რატომ.			
მოსაზრებების დასასაბუთებლად დავიმოწმე შესაბამისი ადგილები ნაწარმოებებიდან.			
გამოვკვეთე სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.			
ტექსტი დავყავი აბზაცებად.			
დავიცავი მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.			

§ 6. დიფერენცირებული დავალებების შეფასების რუბრიკები

ქვემოთ წარმოდგენილია ზოგიერთი იმ დავალების შეფასების რუბრიკა, რომლებიც შეთავაზებულია დიფერენცირებული სწავლებისთვის გამიზნული რეკომენდაციების ნაწილში. გაითვალისწინეთ: დავალებები მოწოდებულია ანბანური რიგის დაცვით.

ა) დღიური - ჩანაწერი ბავშვობის ერთი მოგონების შესახებ

კრიტერიუმი	**აღწერილობა**	**დონე**
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	ნამუშევარი სრულად უპასუხებს დავალების მოთხოვნებს; მოგონება წარმოდგენილია დღიურის ჩანაწერის ფორმით: მითითებულია დღე/წელი, დრო და ადგილი.	მაღალი
	ნამუშევარი ძირითადად უპასუხებს მოთხოვნებს; დღიურის ფორმა დაცულია, თუმცა ერთი ფორმალური ელემენტი - დღე/წელი, დრო ან ადგილი გამოტოვებულია ან არასრულადაა მითითებული.	საშუალო
	შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი; დღიურის ფორმა ნაწილობრივ იკვეთება; რამდენიმე ელემენტი გამოტოვებულია.	საბაზისო
	ნამუშევარი მხოლოდ მცირედ უპასუხებს დავალების პირობას; დღიურის ფორმა თითქმის არ იკვეთება, აუცილებელი ელემენტების უმეტესობა არ არის წარმოდგენილი.	საწყისი

II კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე	მოგონება თანმიმდევრულად და გასაგებადაა გადმოცემული; გამოყენებულია კონკრეტული, ცოცხალი დეტალები; ნათლად ჩანს გარემო, მოქმედებები, მონაწილეები და მათი შთაბეჭდილებები/ემოციები; ნათლადაა გამოკვეთილი, რითაა ეს მოგონება მნიშვნელოვანი.	მაღალი
	მოგონება ძირითადად თანმიმდევრულად და გასაგებადაა გადმოცემული; გამოყენებულია კონკრეტული დეტალები, თუმცა ზოგი მათგანი ნაკლებადაა გაშლილი; გარემო, მოქმედებები, მონაწილეები და მათი შთაბეჭდილებები/ემოციები ძირითადად წარმოჩენილია; მოგონების მნიშვნელობა გამოკვეთილია, თუმცა ზოგადად	საშუალო
	მოგონების გადმოცემაში თანმიმდევრობა ნაწილობრივაა დაცული; დეტალები მწირია ან ზოგადი; გარემო, მოქმედებები, მონაწილეები და მათი შთაბეჭდილებები/ემოციები მხოლოდ ნაწილობრივაა წარმოჩენილი; მოგონების მნიშვნელობა სქემატურად ან ბუნდოვნადაა აღნიშნული.	საბაზისო
	მოგონება ფრაგმენტულად ან არათანმიმდევრულადაა გადმოცემული; კონკრეტული დეტალები თითქმის არ არის; გარემო, მოქმედებები, მონაწილეები და მათი შთაბეჭდილებები/ემოციები ბუნდოვნადაა ან საერთოდ არ არის წარმოჩენილი; მოგონების მნიშვნელობა არ არის გამოკვეთილი.	საწყისი
III კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია, სტილი - ბუნებრივი, უშუალო და შეესაბამება დღიურის ჩანაწერის ფორმას; მკაფიოდ იკვეთება ავტორის ინდივიდუალური ხმა და დამოკიდებულება.	მაღალი
	ლექსიკა ადეკვატურია, სტილი - საკმაოდ ბუნებრივი, უშუალო და ძირითადად შეესაბამება დღიურის ჩანაწერის ფორმას; შესამჩნევად იკვეთება ავტორის ინდივიდუალური ხმა და დამოკიდებულება.	საშუალო
	ლექსიკა შედარებით მწირია და ხშირად მეორდება; სტილი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დღიურის ჩანაწერის ფორმას; ავტორის ინდივიდუალური ხმა და დამოკიდებულება სუსტად იკვეთება.	საბაზისო
	ლექსიკა ძალზე მწირი და ერთფეროვანია; სტილი ნაკლებად ან საერთოდ არ შეესაბამება დღიურის ჩანაწერის ფორმას; ავტორის ინდივიდუალური ხმა და დამოკიდებულება არ იკვეთება.	საწყისი

IV კრიტერიუმი. ენობრივი მხარე	სათქმელი გამართულადაა ჩამოყალიბებული: ენობრივი ხარვეზები არ არის ან უმნიშვნელოა და აზრის გაგებას არ აფერხებს.	მაღალი
	სათქმელი ძირითადად გამართულადაა ჩამოყალიბებული: ცალკეული ენობრივი ხარვეზები აზრის გაგებას არსებითად არ უშლის ხელს.	საშუალო
	ენობრივი ხარვეზები ზოგჯერ ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ხშირი ენობრივი ხარვეზები მნიშვნელოვნად ართულებს სათქმელის გაგებას.	საწყისი

ბ) ვიზუალური ესე „ბავშვობის ერთი მოგონება“

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე	ამბავი თანმიმდევრულად ვითარდება დასაწყისიდან ბოლომდე; კარგად ჩანს როგორც თავად მოვლენა, ისე მოსწავლის ემოციები და შთაბეჭდილებები. შინაარსი სრულად უპასუხებს დავალების პირობას.	მაღალი
	ჩანს ამბის განვითარება, თუმცა ზოგიერთი ეპიზოდი შედარებით ზოგადია. ემოციები და შთაბეჭდილებები ზოგჯერ ზოგჯერ სქემატურადაა გადმოცემული.	საშუალო
	ამბავი ნაწილობრივ გასაგებია. მოვლენების თანმიმდევრობა ზოგჯერ დარღვეულია; ემოციები ან შთაბეჭდილებები სუსტად იკვეთება.	საბაზისო
	ამბის განვითარება და მოვლენათა თანმიმდევრობა არ ჩანს; ემოციები და შთაბეჭდილებები გამოხატული არ არის.	საწყისი
II კრიტერიუმი. ვიზუალური მხარე	ფოტოები/ნახატები და მათზე დართული ტექსტი საუკეთესოდ ავსებს ერთმანეთს. გამოსახულებები და ტექსტი ამდიდრებენ და ავსებენ ერთმანეთს, რაც ქმნის ერთიან, ემოციურ ვიზუალურ ისტორიას.	მაღალი
	ფოტოები/ნახატები და ტექსტი ძირითადად შეესაბამება ერთმანეთს, თუმცა ზოგჯერ მათი ურთიერთკავშირი ნათლად არ იკვეთება.	საშუალო
	გამოსახულებებსა და ტექსტს შორის კავშირი ზოგჯერ ბუნდოვანია. ფოტოები/ნახატები ყოველთვის არ ასახავს იმას, რაც ტექსტში წერია.	საბაზისო
	ვიზუალური მასალა და ტექსტი ერთმანეთს არ უკავშირდება ან მხოლოდ ერთი-ორი ილუსტრაციაა წარმოდგენილი.	საწყისი

III კრიტერიუმი. ენობრივი გამართულობა	ტექსტები სათანადო მოცულობისაა; ენა გამომსახველობითია, გამოყენებულია მრავალფეროვანი ლექსიკა, შერჩეულია სათანადო სტილი; დაცულია ენობრივი ნორმები; აზრი ნათლად არის ჩამოყალიბებული.	მაღალი
	ტექსტები გასაგებია, ლექსიკა საკმაოდ მრავალფეროვანია; გვხვდება მცირე ენობრივი ხარვეზები, რომლებიც ხელს არ უშლის შინაარსის აღქმას.	საშუალო
	ლექსიკა საკმაოდ მწირია, სიტყვები ხშირად მეორდება; გვხვდება ენობრივი შეცდომები, რაც ზოგჯერ ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია. ენობრივი შეცდომების სიმრავლის გამო აზრის გაგება უმეტესწილად ვერ ხერხდება.	საწყისი

გ) ვიდეოესე „ბავშვობის ერთი მოგონება“

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	ნამუშევარი სრულად უპასუხებს დავალების მოთხოვნებს: გადმოცემულია ბავშვობის ერთი კონკრეტული მოგონება; დაცულია დროითი ფორმატი; გამოყენებულია ხმოვანი თხრობა და თემატური კადრები.	მაღალი
	ნამუშევარი ძირითადად უპასუხებს პირობას, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის დაცული.	საშუალო
	შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი; რამდენიმე კომპონენტი არასრულადაა წარმოდგენილი.	საბაზისო
	ნამუშევარი მნიშვნელოვნად სცდება დავალების პირობას ან მხოლოდ მცირედ უპასუხებს მას.	საწყისი

II კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე	თხრობა თანმიმდევრულია; მკაფიოდ ჩანს აწმყოდან წარსულში გადასვლა და ბოლოს კვლავ დღევანდელობაზე დაბრუნება; გამოყენებულია კონკრეტული ცოცხალი დეტალები; ნათლად ჩანს გარემო, მოქმედებები, მონაწილეები და მათი ემოციები; გამოკვეთილია მოგონების მნიშვნელობა.	მაღალი
	თხრობა ძირითადად თანმიმდევრულია; აწმყოდან წარსულში გადასვლა და ბოლოს დღევანდელობაზე დაბრუნება ჩანს, თუმცა ერთი მონაკვეთი ნაკლებად მკაფიოა; გამოყენებულია კონკრეტული დეტალები; გარემო, მოქმედებები, მონაწილეები და მათი ემოციები ძირითადად წარმოჩენილია; მოგონების მნიშვნელობა გამოკვეთილია, თუმცა ზოგადად.	საშუალო
	ნაწილობრივ დაცულია თანმიმდევრობა; აწმყოსა და წარსულს შორის გადასვლა ბუნდოვანია; კონკრეტული დეტალები მწირია ან ზოგადი; გარემო, მოქმედებები, მონაწილეები და მათი ემოციები ნაწილობრივაა წარმოჩენილი; მოგონების მნიშვნელობა ძალზე სქემატურადაა აღნიშნული.	საბაზისო
	თხრობა ფრაგმენტული ან არათანმიმდევრულია; აწმყოსა და წარსულს შორის გადასვლა არ იკვეთება; კონკრეტული დეტალები თითქმის არ არის; გარემო, მოქმედებები, მონაწილეები და მათი ემოციები ბუნდოვნადაა ან საერთოდ არ არის წარმოჩენილი; მოგონების მნიშვნელობა არ არის გამოკვეთილი.	საწყისი
III რიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე	კადრები მიზნობრივადაა შერჩეული, უკავშირდება სათქმელს; ხელს უწყობს დროის, გარემოს, ემოციებისა და განწყობის აღქმას და ამდიდრებს თხრობას.	მაღალი
	კადრები უკავშირდება სათქმელს; ძირითადად მიზნობრივადაა შერჩეული და უმეტესწილად ხელს უწყობს დროის, გარემოსა და განწყობის აღქმას, თუმცა ზოგიერთი მათგანი ნაკლებად ეფექტიანად ამდიდრებს თხრობას.	საშუალო
	კადრების შერჩევა ყოველთვის მიზნობრივი არ არის, მხოლოდ ნაწილი უკავშირდება სათქმელს; მხოლოდ ზოგიერთი მათგანი უწყობს ხელს დროის, გარემოს ან განწყობის აღქმას, თხრობას ნაკლებად ამდიდრებს.	საბაზისო
	კადრები უმეტესწილად შემთხვევით ან შეუსაბამოდ არის შერჩეული; ნაკლებად ან არ უკავშირდება სათქმელს; ნაკლებად ან არ უწყობს ხელს დროის, გარემოსა და განწყობის აღქმას; ძალზე ნაკლებად ან არ ამდიდრებს თხრობას.	საწყისი

IV კრიტერიუმი. ენობრივი მხარე	სათქმელი ჩამოყალიბებულია გამართულად და გასაგებად; სიტყვები და წინადადებები ზუსტად და ბუნებრივადაა შერჩეული; ენობრივი ხარვეზები არ არის ან უმნიშვნელოა და არ აფერხებს აზრის გაგებას.	მაღალი
	სათქმელი ძირითადად გამართულად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული; გვხვდება ცალკეული ენობრივი ხარვეზები ან არაზუსტი ფორმულირებები, თუმცა ისინი აზრის გაგებას არსებითად არ უშლის ხელს.	საშუალო
	სათქმელი ზოგჯერ არაზუსტად ან გაუგებრადაა ჩამოყალიბებული; ენობრივი ხარვეზები ზოგჯერ ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	სათქმელი ხშირად გაუმართავად ან ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული; ხშირი ენობრივი ხარვეზები მნიშვნელოვნად აფერხებს აზრის გაგებას.	საწყისი

დ) კომიქსი „ბავშვობის ერთი მოგონება“

კრიტერიუმი	**აღწერილობა**	**დონე**
I კრიტერიუმი. დავალების პირობა და შინაარსი	კომიქსი სრულად უპასუხებს დავალების პირობას: წარმოდგენილია ბავშვობის ერთი სასიამოვნო მოგონება; ჩანს, როგორ დაიწყო, განვითარდა და დასრულდა ამბავი, ვისთან ერთად იყო პერსონაჟი; მკაფიოდ იკვეთება, რატომ არის ეს მოგონება გამორჩეული და მნიშვნელოვანი ავტორისთვის.	მაღალი
	კომიქსი უპასუხებს დავალების ძირითად მოთხოვნებს, მაგრამ ერთი კომპონენტი სრულად არ არის წარმოდგენილი; მოგონების მნიშვნელობა გადმოცემულია, თუმცა სქემატურად.	საშუალო
	დავალების მოთხოვნების მხოლოდ ნაწილია შესრულებული; აკლია დეტალები; მოგონების მნიშვნელობაზე მხოლოდ ზოგადი მინიშნებაა.	საბაზისო
	კომიქსი მხოლოდ ნაწილობრივ უკავშირდება დავალებას; ამბის შინაარსის გაგება ჭირს; არ ჩანს, რატომ არის ეს მოგონება ავტორისთვის მნიშვნელოვანი.	საწყისი

II კრიტერიუმი. ვიზუალური მხარე	კადრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად გადმოსცემს ამბის დასაწყისს, განვითარებასა და დასასრულს; კადრებს შორის კავშირი მკაფიოა; გამოსახულებები და ტექსტი ერთმანეთს ავსებს; ვიზუალური დეტალები ხელს უწყობს მოქმედებისა და მონაწილეების განცდების გაგებას.	მაღალი
	ამბის ძირითადი თანმიმდევრობა დაცულია, თუმცა ზოგიერთ კადრს შორის კავშირი ნაკლებად ჩანს; გამოსახულებები ძირითადად შეესაბამება ტექსტს და ეხმარება ამბის გაგებას, თუმცა 1-2 კადრში მათი კავშირი ნაკლებად იკვეთება.	საშუალო
	ამბის თანმიმდევრობა ზოგჯერ ირღვევა; ტექსტსა და გამოსახულებებს შორის კავშირი ნაწილობრივ იკვეთება; ზოგი გამოსახულება ამბის გაგებას ნაკლებად უწყობს ხელს.	საბაზისო
	კადრებს შორის კავშირი სუსტია და ამბის თანმიმდევრობის აღქმა ჭირს; სუსტია კავშირი გამოსახულებებსა და ტექსტს შორის ან ვიზუალური მასალა ვერ ეხმარება მკითხველს ამბის გაგებაში.	საწყისი
III კრიტერიუმი. დიალოგის „ბუშტები“ და ენობრივი მხარე	დიალოგები მიზნობრივადაა გამოყენებული; რეპლიკები ბუნებრივია, შეესაბამება სიტუაციას, გადმოსცემს პერსონაჟების ემოციებსა და შთაბეჭდილებებს; ტექსტი ენობრივად გამართული და გასაგებია.	მაღალი
	დიალოგები ძირითადად შეესაბამება სიტუაციას და ხელს უწყობს ამბის გაგებას; გვხვდება მცირე ენობრივი ხარვეზები.	საშუალო
	დიალოგები მწირია ან ზოგჯერ ნაკლებად შეესაბამება სიტუაციას; ენობრივი ხარვეზები ზოგ შემთხვევაში ართულებს ტექსტის აღქმას.	საბაზისო
	დიალოგები თითქმის არ არის გამოყენებული ან არ უკავშირდება სიტუაციას; ხშირი ენობრივი ხარვეზები ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

შენიშვნა: ვინაიდან კომიქსი აქ თხრობითი ტექსტის ალტერნატიული ფორმაა, მისი შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა იმდენად ხატვის ტექნიკურ ოსტატობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად მიზნობრივად იყენებს მოსწავლე კადრებსა და დიალოგის „ბუშტებს“ ამბის, კონკრეტული დეტალებისა და ემოციების გადმოსაცემად.

ე) პოდკასტი „ბავშვობის ერთი მოგონება“

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. შინაარსი და ამბის აგებულება	მოსწავლე ამბავს გადმოსცემს საინტერსოდ, ცოცხალი დეტალების წარმოჩენით; ამბავი საინტერესოდაა გადმოცემული; ნათლად ჩანს დასაწყისი, განვითარება და დასასრული; ბოლოს ნათლად არის შეჯამებული მოგონების მნიშვნელობა.	მაღალი
	ამბავი გადმოცემულია ძირითადი დეტალებით, თუმცა ზოგიერთი მათგანი სქემატურია; სტრუქტურა დაცულია, დასკვნა ლოგიკურია.	საშუალო
	ამბავი გადმოცემულია, თუმცა აკლია მნიშვნელოვანი დეტალები, რის გამოც შინაარსი ზოგჯერ ბუნდოვანია; მოვლენების თანმიმდევრობა ზოგჯერ ირღვევა ან შეჯამება ბუნდოვანია.	საბაზისო
	ამბის შინაარსი ბუნდოვანია. არ ჩანს სტრუქტურა. ამბავი სქემატურია, არ ჩანს დეტალები ან თანმიმდევრობა დარღვეულია.	საწყისი
II კრიტერიუმი. ფორმატი, როლი და დროის ლიმიტი	მოსწავლე ბუნებრივად ირგებს პოდკასტის წამყვანის/ სტუმრის როლს. საუბრის მანერა უშუალო და თავისუფალია. დაცულია დროის ლიმიტი.	მაღალი
	მოსწავლე ცდილობს მოერგოს ფორმატს, თუმცა ზოგჯერ საუბარი ტექსტის კითხვას ჰგავს. დროის ლიმიტი მცირედით არის დარღვეული.	საშუალო
	პოდკასტის ფორმატი სუსტად იგრძნობა. წამყვანის/ სტუმრის როლი ნაკლებად ჩანს. დროის ლიმიტი საგრძნობლადაა დარღვეული.	საბაზისო
	პოდკასტის ფორმატი არ არის დაცული. დროის ლიმიტი არ არის გათვალისწინებული.	საწყისი
III კრიტერიუმი. ლექსიკა, მეტყველება	მოსწავლე საუბრობს მკაფიოდ და გასაგებად, სათანადო ტემპით, შესაბამისი ძალის ხმით; ლექსიკა მდიდარია, იყენებს ემოციების გამომხატველ სიტყვებს; მეტყველების სტილი სწორად არის შერჩეული; იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს; ინტონაცია ზუსტად გადმოსცემს სასიამოვნო განწყობას.	მაღალი
	მოსწავლე საუბრობს გასაგებად; ლექსიკა ადეკვატურია, თუმცა ნაკლებად იყენებს ემოციების გამომხატველ სიტყვებს; გვხვდება მცირე ენობრივი ხარვეზები; ინტონაცია ძირითადად შეესაბამება განწყობას.	საშუალო
	მოსწავლე ხშირად არღვევს ენობრივ ნორმებს; ემოციების გამომხატველ სიტყვებს მხოლოდ ერთ-ორ შემთხვევაში იყენებს; ლექსიკა შეზღუდულია - ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს; მეტყველება მონოტონურია, ტემპი ზოგჯერ ზედმეტად სწრაფია ან შენელებული.	საბაზისო

	ენობრივი ხარვეზების სიმრავლე ართულებს აზრის გაგებას; ლექსიკა უკიდურესად მწირია; სტილი შეუსაბამოა, თხრობა ძალზე სქემატურია.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ხმოვანი გაფორმება	გამოყენებულია შესაბამისი მუსიკალური ფონი ან/და ხმოვანი ეფექტები, რაც საინტერესოდ აცოცხლებს გარემოს ან/და ქმნის შესაბამის ემოციურ განწყობას.	მაღალი
	ხმოვანი ეფექტები/ მუსიკა გამოყენებულია, მაგრამ ზოგჯერ ოდნავ ფარავს ხმას ან ზოგჯერ არ შეესაბამება ამბის შინაარსს.	საშუალო
	ხმოვანი ეფექტები/ მუსიკა არ არის გამოყენებული ან მეტწილად არ შეესაბამება ამბის შინაარსს.	საბაზისო
	ფონური ხმები არ არის გამოყენებული ან ძალიან უშლის ხელს ნათქვამის გაგებას.	საწყისი

ვ) სამოგზაურო ბლოგი „ჩემი მშობლიური კუთხე“

კრიტერიუმი	**აღწერილობა**	**დონე**
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	პირობა სრულად და ზუსტადაა გააზრებული; ადგილი/ადგილები მიზნობრივადაა შერჩეული.	მაღალი
	პირობა სწორადაა გააზრებული; ნამუშევარი უპასუხებს ძირითად მოთხოვნებს, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის შესრულებული.	საშუალო
	პირობა ნაწილობრივაა გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან/სამოგზაურო ბლოგის ფორმიდან მცირედი გადახვევა.	საბაზისო
	პირობა არასრულადაა გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მცირე ნაწილი ან ნამუშევარი მნიშვნელოვნად სცდება თემას/სამოგზაურო ბლოგის ფორმატს.	საწყისი
II კრიტერიუმი. სტრუქტურა-ორგანიზება	ტექსტი მკაფიოდ და ლოგიკურადაა ორგანიზებული; ინფორმაცია და შთაბეჭდილებები თანმიმდევრულადაა გადმოცემული; ნაწილები ერთმანეთთან ბუნებრივადაა დაკავშირებული; აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	მაღალი
	ტექსტი ძირითადად ლოგიკურადაა ორგანიზებული; ინფორმაცია უმეტესად თანმიმდევრულადაა გადმოცემული, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთს შორის კავშირი ნაკლებად მკაფიოა; აბზაცები უმეტესწილად სწორადაა გამოყოფილი.	საშუალო
	ტექსტის ორგანიზება მხოლოდ ნაწილობრივაა გამართული; ინფორმაცია ზოგჯერ არათანმიმდევრულადაა განლაგებული და მონაკვეთებს შორის კავშირი სუსტია.	საბაზისო
	ტექსტი ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია; მონაკვეთებს შორის ლოგიკური კავშირი თითქმის ან საერთოდ არ იკვეთება.	საწყისი

III კრიტერიუმი. ინაარსობრივი მხარე	ნათლად არის წარმოჩენილი, როგორია შერჩეული ადგილი და რითია ღირსშესანიშნავი; გამოყენებულია კონკრეტული, მნიშვნელოვანი/შთამბეჭდავი დეტალები და ავტორის პირადი შთაბეჭდილებები; ტექსტი მკითხველს უქმნის მკაფიო წარმოდგენას ადგილის შესახებ და ინტერესს აღუძრავს მის მიმართ.	მაღალი
	ძირითადად ნათლადაა წარმოჩენილი ადგილი და მისი ღირსშესანიშნაობები; გამოყენებულია კონკრეტული დეტალები და პირადი შთაბეჭდილებები, თუმცა ზოგიერთი მონაკვეთი შედარებით ზოგადია.	საშუალო
	ინფორმაცია არასრულია ან ზოგადადაა გადმოცემული; ადგილის თავისებურებები და ღირსშესანიშნაობები არასრულადაა წარმოჩენილი; კონკრეტული დეტალები და პირადი შთაბეჭდილებები მწირია.	საბაზისო
	ინფორმაცია უკიდურესად მწირი ან ბუნდოვანია; თითქმის არ იკვეთება, როგორია ადგილი და რითია ღირსშესანიშნავი; კონკრეტული დეტალები და პირადი შთაბეჭდილებები თითქმის არ ჩანს.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ვიზუალური მხარე	ვიზუალური მასალა მიზნობრივადაა შერჩეული და განთავსებული; უკავშირდება ტექსტს, ამდიდრებს მას და ეხმარება მკითხველს ადგილის უკეთ წარმოდგენაში.	მაღალი
	ვიზუალური მასალა ძირითადად მიზნობრივადაა შერჩეული და უკავშირდება ტექსტს; უმეტესად ხელს უწყობს ადგილის წარმოჩენას, თუმცა ზოგი ელემენტი ნაკლებად ეფექტიანია.	საშუალო
	ვიზუალური მასალის მხოლოდ ნაწილი უკავშირდება ტექსტს; მისი შერჩევა ან განთავსება ყოველთვის მიზნობრივი არ არის და შინაარსს ნაკლებად ამდიდრებს.	საბაზისო
	ვიზუალური მასალა უკიდურესად მწირია, შემთხვევით ან შეუსაბამოდ არის შერჩეული; ნაკლებად ან საერთოდ არ უკავშირდება ტექსტს და არ ეხმარება მკითხველს ადგილის წარმოდგენაში.	საწყისი
V კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია; გამოყენებულია სულ მცირე ორი მიზნობრივად შერჩეული ეპითეტი, რომლებიც ამდიდრებს აღწერას; სტილი ცოცხალი, ბუნებრივი და სამოგზაურო ბლოგისთვის შესაფერისია; მკაფიოდ იკვეთება ავტორის პირადი დამოკიდებულება.	მაღალი
	ლექსიკა ძირითადად მრავალფეროვანი და შესაფერისია; გამოყენებულია სულ მცირე ორი ეპითეტი, თუმცა ერთი ეფექტიანად არ არის შერჩეული; სტილი ძირითადად შეესაბამება სამოგზაურო ბლოგს; ავტორის დამოკიდებულება ბოლომდე მკაფიოდ არ იკვეთება	საშუალო
	ლექსიკა შედარებით მწირი და ერთფეროვანია; ეპითეტები არასაკმარისია ან არ ამდიდრებს ტექსტს; სტილი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სამოგზაურო ბლოგის ფორმას; ავტორის დამოკიდებულება სუსტადაა წარმოჩენილი.	საბაზისო

	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია; ეპითეტები არ არის გამოყენებული ან შეუსაბამოდაა შერჩეული; სტილი არ შეესაბამება სამოგზაურო ბლოგის ფორმას; ავტორის პირადი დამოკიდებულება არ იკვეთება.	საწყისი
VI კრიტერიუმი. ენობრივი გამართულობა	ტექსტი ენობრივად გამართულია; წინადადებები სწორადაა აგებული; დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის ძირითადი წესები; მცირე ხარვეზები აზრის აღქმას არ აფერხებს.	მაღალი
	ტექსტი ძირითადად გამართულია; გვხვდება ცალკეული ხარვეზები, თუმცა ისინი აზრის აღქმას არ აფერხებს.	საშუალო
	ტექსტში საკმაოდ ხშირად გვხვდება ენობრივი, მართლწერისა და პუნქტუაციის ხარვეზები, რომლებიც ზოგჯერ ართულებს აზრის აღქმას.	საბაზისო
	ხშირი ენობრივი ხარვეზები მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

ზ) ტურისტული გზამკვლევი (ბროშურა)

კრიტერიუმი	**აღწერილობა**	**დონე**
I კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე	ინფორმაცია ზუსტია, მრავალფეროვანი და მიზნობრივადაა შერჩეული; გამოკვეთილია, რითაა გამორჩეული კუთხის/სოფლის/ქალაქის მახასიათებლები, ღირსშესანიშნაობები; მნიშვნელოვანი ადგილები ან სხვა საინტერესო დეტალები; გამოყენებულია ორი ან მეტი მიზნობრივად შერჩეული ეპითეტი, რომლებიც ტექსტს მატებს გამომსახველობასა და ემოციურობას.	მაღალი
	ინფორმაცია ძირითადად მიზნობრივადაა შერჩეული და უმეტესად ზუსტია, შესაძლოა გვხვდებოდეს ერთი უმნიშვნელო ფაქტობრივი უზუსტობა. წარმოდგენილია ადგილის მნიშვნელოვანი თავისებურებები და ღირსშესანიშნაობები, თუმცა ზოგი მათგანი მოკლედ ან სქემატურადაა აღწერილი; გამოყენებულია მინიმუმ 2 ეპითეტი, რომლებიც შეესაბამება კონტექსტს, მაგრამ ყოველთვის ვერ მატებს ტექსტს გამომსახველობას.	საშუალო
	წარმოდგენილია რამდენიმე შესაბამისი ინფორმაცია, თუმცა შერჩევა არასაკმარისი ან არათანმიმდევრულია; გვხვდება რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობა. მკითხველი მხოლოდ ნაწილობრივ იგებს, რით გამოირჩევა ეს ადგილი; გამოყენებულია 1 ან 2 ეპითეტი, რომლებიც არამიზნობრივადაა შერჩეული და ტექსტის გამომსახველობას ვერ აძლიერებს.	საბაზისო
	ინფორმაცია ძალზე მწირია და ზოგადი, თემასთან ნაკლებად დაკავშირებული ან მეტწილად არაზუსტი; არ იკვეთება, როგორია და რითაა გამორჩეული აღწერილი კუთხე/სოფელი/ქალაქი; ეპითეტები ან კონტექსტს არ შესაბამება, ან არ არის გამოყენებული.	საწყისი

II კრიტერიუმი. ვიზუალური მხარე	ფოტოები/ნახატები მიზნობრივადაა შერჩეული, უშუალოდ უკავშირდება და ამდიდრებს ტექსტს, ხელს უწყობს ინფორმაციის აღქმას; ტექსტი და ვიზუალური მასალა ლოგიკურადა განლაგებული და ქმნის მთლიან, ორგანულ და მიმზიდველ სურათს.	მაღალი
	ფოტოები/ნახატები ძირითადად შეესაბამება ტექსტს და ხელს უწყობს ინფორმაციის აღქმას. ტექსტისა და ვიზუალური მხარის ერთიანობა უმეტესწილად ორგანულია, თუმცა 1-2 შემთხვევაში მათ შორის კავშირი ნაკლებად იკვეთება ან განლაგება ყოველთვის ლოგიკური არ არის.	საშუალო
	ვიზუალური მასალის მხოლოდ ნაწილი უკავშირდება უშუალოდ ტექსტს; ზოგი ფოტო/ნახატი შემთხვევითაა შერჩეული ან განლაგებული; გაფორმება მხოლოდ ნაწილობრივ ეხმარება მკითხველს ინფორმაციის აღქმაში.	საბაზისო
	ფოტოები/ნახატები მწირია, შემთხვევითაა შერჩეული ან არ უკავშირდება ტექსტს; გაფორმება ართულებს ინფორმაციის აღქმას ან ტექსტი და ვიზუალური მასალა ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაა წარმოდგენილი.	საწყისი
III კრიტერიუმი. სტრუქტურა-ორგანიზება	სრულადაა დაცული ტურისტული გზამკვლევის/ბროშურის ფორმატი: გამოყოფილია სათაური, წარმოდგენილია რუბრიკები და მოკლე, ინფორმაციული ტექსტები. ინფორმაცია ლოგიკურადაა ორგანიზებული და ადვილად აღსაქმელია მკითხველისათვის.	მაღალი
	ძირითადად დაცულია ტურისტული გზამკვლევის/ ბროშურის ფორმატი: გამოყოფილია სათაური და რუბრიკები; ინფორმაცია უმეტესად მოწესრიგებულია, თუმცა ზოგი ტექსტი ზედმეტად ვრცელია ან ნაკლებად მკაფიოდაა ორგანიზებული.	საშუალო
	ფორმატი ნაწილობრივაა დაცული: ზოგი რუბრიკა გამოყოფილია, თუმცა ინფორმაციის განაწილება ყოველთვის ლოგიკური არ არის; ტექსტები ზოგჯერ ვრცელი და თხრობითი ხასიათისაა.	საბაზისო
	ბროშურის ფორმატი პრაქტიკულად არ ჩანს: რუბრიკები არ არის ან ინფორმაცია არ არის ნაწილებად ორგანიზებული; ნამუშევარს უფრო ტრადიციული თხზულების ფორმა აქვს.	საწყისი

IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	ლექსიკა და სტილი მიზნობრივადაა შერჩეული: გამოყენებულია მკაფიო, ცოცხალი, ინფორმაციული და მკითხველისთვის საინტერესო ენა; სიტყვები ზუსტადაა შერჩეული; დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება.	მაღალი
	ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება ტურისტულ გზამკვლევს; ენა გასაგები და უმეტესწილად საინტერესოა, თუმცა ზოგჯერ სიტყვათა არჩევანი არაზუსტია, ან სტილისტური ერთგვაროვნება ზოგჯერ დაცული არ არის.	საშუალო
	ლექსიკა და სტილი მხოლოდ ნაწილობრივ შეეფერება ტურისტულ გზამკვლევს; სიტყვათა მარაგი საკმაოდ შეზღუდულია; გვხვდება არაზუსტი ან განმეორებადი ფორმულირებები; სტილი არაერთგვაროვანია.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირი ან ხშირად არაზუსტია; ენა ნაკლებად შეეფერება ტურისტული გზამკვლევის მიზანს, სტილი არაერთგვაროვანია, რაც ხშირად ართულებს ტექსტის აღქმას.	საწყისი
V კრიტერიუმი. ენობრივი გამართულობა	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

თავი II - ცოდნის გზაზე

(II თემატური ბლოკი. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება)

1. დავით გურამიშვილი - სწავლა მოსწავლეთა

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი)

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ მხატვრული ტექსტი - **ლექსი** შინაარსობრივი მხარე - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; ლირიკული გმირი, ხედვის კუთხე/პერსპექტივა. სტრუქტურა-აგებულება - სათაური, რითმა (რითმა ადგილმდებარეობის მიხედვით; რითმა ბგერითი შედგენილობის მიხედვით); რიტმი/საზომი, სტროფი, ტაეპი. ენა -*მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები* (მაგ.: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, ალეგორია, სიმბოლო, თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. **2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“** კონტექსტური ფაქტორები *ისტორიული და სოციალურ-კულტურული* - ტექსტის შექმნის კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ.: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა). *ბიოგრაფიული* - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი გამოცდილება. **3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“** მსგავსი ელემენტები - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მოტივი, სახე-სიმბოლო, ალუზია
მოსალოდნელი შედეგები
მოსწავლეს შეუძლია: • კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;

- შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას.
- ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
- მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;
- იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას;
- ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
- ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.
- სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

ნაწარმოების შესახებ:

ნაწარმოების თემა: დავით გურამიშვილის ლექსის „სწავლა მოსწავლეთა“ თემაა ადამიანის ცხოვრებაში სწავლა-განათლების დიდი მნიშვნელობის გამოკვეთა, განათლებისა და გაუნათლებლობის დაპირისპირება, სწავლის უპირატესობა, უსწავლელი ადამიანის ცხოვრებისეული სირთულეები და სწავლა-განათლების, როგორც თვითშემეცნების შეუცვლელი გზის, დანიშნულება. (სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია, რომ ამ ლექსში „დავითიანის“ სხვადასხვა თავიდანაა სტროფები შეტანილი.)

ნაწარმოების იდეა (მთავარი სათქმელი): დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ ამ ავტორის ერთადერთი პოეტური კრებულის, „დავითიანის“, გამორჩეული ლექსია. ავტორი, როგორც მეთვრამეტე საუკუნის აღორძინების ხანის დიდი განმანათლებელი და დიდაქტიკოსი, ამ ნაწარმოებით მიმართავს ქართველ ახალგაზრდობას და უხსნის სწავლა-განათლების უდიდეს მნიშვნელობას. „დავითიანში“ ავტორი მკითხველს გულწრფელად უზიარებს თავის გამოცდილებას. მისი შემოქმედება ნათელი დასტურია იმისა, რომ დავითს საუკეთესო შინაური განათლება ჰქონდა მიღებული, თუმცა ის ხშირად თავმდაბლურად ამბობს, რომ თავად მოკლებული იყო განათლების შესაძლებლობას და ქართველ ბავშვებს ცოდნის მნიშვნელობაზე მრავალ დასამახსოვრებელ მოსაზრებას უზიარებს. მწერლის მიერ ამ ლექსში ნათქვამი ფრაზები აფორიზმებად - ბრძნულ გამონათქვამებად - გავრცელდა საქართველოში.

დავით გურამიშვილი მიიჩნევს, რომ სწავლის პროცესი რთული და დამღლელია, მაგრამ აჯობებს ადამიანმა ეს გზა გაიაროს, დაბრკოლებები გადალახოს, რათა მომავალში გაუიოლდეს ცხოვრება. ცოდნა ერთადერთი ხელშეუხებელი საუნჯეა - ადამიანმა შეიძლება დაკარგოს ყველაფერი, მაგრამ ცოდნას ვერავინ წაგვართმევს ვერც მალულად, ვერც ძალით. ცხოვრება განათლების გარეშე მახეა, რადგან გაუნათლებელმა ადამიანმა არ იცის, როგორ უნდა შეეჭიდოს სირთულეებს. აქ გვახსენდება ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ ეპიზოდი, როცა მოძღვარი პეტრეს უხსნის განათლების მნიშვნელობას.

პოეტის აზრით, ცოდნა არის განძი, რომლის ძალითაც ადამიანს შეუძლია „სოფელში ყოფნა ნებისა“, „ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა,“ - აცხადებს იგი. ე.ი. ცოდნა, განათლება, გურამიშვილის სიტყვით, პიროვნული თავისუფლებისა და ღირსეული ცხოვრების მოპოვების პირობაა.მას მიაჩნია, რომ „ჭკუვა“ ანუ თანდაყოლილი აზროვნების უნარი, ტალანტი ყველას ეძლევა უფლისგან, მაგრამ, ვინც მას ცოდნის მიღებით არ გაამდიდრებს და არ განავითარებს, ბრიყვად რჩება, ნიჭი მხოლოდ ცოდნით შეიძლება მოიხმაროს ადამიანმა. აქ გვახსენდება მათეს სახარების 25-ე თავიდან ტალანტების იგავი. გავიხსენოთ, როგორ ჯილდოვდება ის, ვინც პატრონის (უფლის ალეგორია) მიერ ბოძებულ ტალანტებს გაამრავლებს, და როგორ ისჯება მონა, რომელიც უფლისგან ბოძებულ ტალანტს მარხავს: „რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს“; შრომისმოყვარესა და გამრჯეს ხალისით აძლევენ ყველაფერს, ამიტომაც მათ ყოველივე უხვად აქვთ, ხოლო „რომელსა არა აქუნდეს, და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან.“ ის, რაც მოუქნელი და ზარმაცი ადამიანის ხელში გამოუყენებელი და უფუნქციოა, მუყაით და გამრჯე ადამიანთა კუთვნილებად იქცევა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: „და უხმარი ეგე მონაი განხადეთ ბნელსა მას გარესკნელსა“, ჩააგდეთ ყველაზე ღრმა და ბნელ საპყრობილეში: „მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთაი“ - დაე, იქ მთელი თავისი ცხოვრება უნუგეშობაში მყოფმა იტიროს და აუტანელ მწუხარებათა გამო კბილები აკრაჭუნოს!...

„ტირილი და ღრჭენა კბილთა“, - აი, ეს არის სასჯელი, სახარების მიხედვით, უქმი და უმოქმედო ადამიანისა. ამასვე გვეუბნება დავით გურამიშვილიც. ბრიყვთა (უსწავლელთა) მთავარი უბედურება ისაა, რომ ავისა და კარგის გარჩევას ვერ ახერხებენ და ემსგავსებიან უხორთუმო სპილოს, უიარაღო მეომარსა და უკლანჭო ვეფხვს, ანუ კარგავენ ცხოვრების მთავარ ძალასა და იარაღს. სამაგიეროდ, საოცნებოა ბრძენის ყოფა, ის არასდროს არის უქონელი, რადგან ყველგან მიაქვს თავისი ცოდნა, რომლითაც თავის რჩენა შეუძლია და სარჩოსთვის დამცირების ატანა არ მოუწევს.

ავტორი ახალგაზრდებს აჩვენებს ცხოვრების რამდენიმე გზასა და არჩევანს: ოსტატი ხელობით ირჩენს თავს, ხუცესი - წირვით, ვაჭარი - საქონლის შორ გზაზე გადაზიდვით, მეომარი - სისხლის ღვრით, მხვნელი - ცხელი ოფლით, გლახა - კარდაკარ მათხოვრობით, ხოლო ბრძენი - სიტყვით. ყველას შეუძლია არჩევანის გაკეთება, თუმცა ცხადია ბრძენის უპირატესობა. ბრძენში განათლებული ადამიანი იგულისხმება, ინტელექტუალი, თორემ სიბრძნე, ჭკუისა და გონიერების შინაარსით, ყველა პროფესიის წარმომადგენლისთვის მნიშვნელოვანი თვისებაა. სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე შემაჯამებელია პოეტის მოსაზრება, რომ ადამიანი განათლებას იღებს, უპირველესად, საკუთარი თავის შესაცნობად, საკუთარი ადამიანური მისიის გასააზრებლად, უფლის სამსახურში კეთილი საქმეების საკეთებლად და საიმისოდ, რომ არ ჩავარდეს „ხნარცვში“, ანუ მცდარი და უკეთური გზა არ აირჩიოს. ცოდნა, მეტაფორულად, ლაგამი და სადავეა, ანუ აღვირი. აღვირით, როგორც ვიცით, მხედარი მართავს ცხენს, მართებული გზით ატარებს, ასევეა ცოდნა - ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, რომ ცხოვრების გზა ღირსეულად გაიაროს, ზნეობრივ საფრთხეებს აარიდოს თავი. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ქართული სიტყვა „აღვირახსნილი“, რომელიც გულისხმობს ყოველგვარი მორალური პრინციპისაგან „თავისუფალ“ კაცს. ასეთ მოჩვენებით თავისუფლებას კი, გურამიშვილის შეხედულებით, ხელს უწყობს სწორედ უცოდინრობა, რომელიც საბოლოოდ ღუპავს ადამიანს.

„სწავლა მოსწავლეთას“ მოცემული ნაწყვეტი გაგვააზრებინებს ცოდნის ძალას, ცხოვრების გზის არჩევანსა და საკუთარი თავის შეცნობაზე გვაფიქრებს.

სტილური ანალიზი: „სწავლა მოსწავლეთა“ დავით გურამიშვილის გამორჩეული პოეტური ენითა და დიდი ოსტატობით შექმნილი ტექსტია. ეს არის დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ნაწარმოები, რომელშიც მრავლადაა ბრძნული შეგონებები განათლების მნიშვნელობაზე.

ლექსის ტროპული სამყარო ძალზე მდიდარია. გამოყენებულია შემდეგი მხატვრული ხერხები: ალეგორია („ჯერ მწარე ჭამე, კვლავ - ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“, „სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი“, „აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების“), შედარება („ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია“, მეხუთე სტროფში ნიჭიერი უსწავლელი („ჭკვიანი ბრიყვი“) შედარებულია უიარაღო მეომარსა და უკლანჭო ვეფხვთან, ასევე შედარებაა „ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა“, მერვე სტროფში გამოყენებული შედარება გვეუბნება, რომ უსწავლელი კაცი ლაგამ-სადავის გარეშე დარჩენილ და ორმოში ჩავარდნილ გაუხედნავ ცხენს შეიძლება დაემსგავსოს), მერვე სტროფის ფრაზა „ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო?“ ტროპულად მრავალშრიანია. აქ გამოყენებულია მეტაფორაც, ალეგორიაც, ბიბლიური ალუზიაც. ღმერთმა თიხისგან გამოძერწილ ადამიანს უკვდავი სული შთაბერა, ამიტომ ადამიანს ევალება, რომ იაზროვნოს, ისწავლოს, შეიმეცნოს საკუთარი თავი და სამყარო, ეს იქნება ღვთისთვის მადლიერების გამოხატვა - „ხელფასის“ გადახდა.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- ყველას გვსმენია ფრაზა „სწავლა სინათლეა“. პირადად თქვენთვის, რას ნიშნავს ეს „სინათლე“ ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- გაიხსენეთ შემთხვევა, როცა რაიმეს სწავლა ძალიან გაგიჭირდათ, მაგრამ ბოლოს მაინც გამოგივიდათ. რა იგრძენით ამ დროს?
- ილია ჭავჭავაძე ცოდნას ანთებულ სანთელს ადარებდა, თქვენ რა საგანს ან მოვლენას შეადარებდით მას და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, სწავლის პროცესი უფრო ტკბილია და სასიამოვნო, თუ რთული და მწარე? რატომ?

რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“

1. ვის მიმართავს პოეტი დარიგებით ლექსის დასაწყისში?

კომენტარი: პოეტი დასაწყისში მიმართავს „სწავლის მძებნელებს“, ანუ ახალ თაობას, განათლების მიღების მსურველ ახალგაზრდებს.

2. როგორ შეიძლება გავიგოთ დავითის შეგონება: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ - ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“? რის შესახებ აფრთხილებს სწავლის მძებნელს ამ სიტყვებით პოეტი?

კომენტარი: ეს შეგონება აფრთხილებს ახალგაზრდებს, რომ სწავლის პროცესი მარტივი არ არის, ბევრ შრომას მოითხოვს, ზოგჯერ შეიძლება რთულად მოგვეჩვენოს,

რადგან ხშირად მოგვიწევს სურვილებზე უარის თქმა, „მინდასა“ და „საჭიროას“ შორის არჩევანის გაკეთება სწორედ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მაგრამ ამის გარეშე ცხოვრების ტკბილ ნაყოფს ვერ მოიმკის ადამიანი, ზრდასრულობისას ვერ ჩასწვდება სიცოცხლის აზრსა და მიზანს.

3. **კიდევ რომელი სიტყვები ამყარებს იმ აზრს, რომ ჯერ მწარისა და შემდგომ ტკბილის ჭამაა სწორი არჩევანი?**

კომენტარი: ამ მოსაზრებას ამყარებს სიტყვები: „ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა“, ასევე „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“. ამ სიტყვებით ავტორი აფრთხილებს ახალგაზრდებს, რომ განსწავლის პროცესი დიდი გამოწვევა და სირთულეა, მაგრამ მომავალში ლხინის გარანტიაა და, როცა ადამიანი დაბრკოლებას გადალახავს და სასურველს მიაღწევს, გამოვლილ განსაცდელს ივიწყებს. „ვეფხისტყაოსანში“ ამ მოსაზრებას რუსთველი ასე გვეუბნება: „კაცს რა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, მისი პოვნა, მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა“.

4. როგორ გვისაბუთებს პოეტი სწავლის მნიშვნელობას მე-2 და მე-3 სტროფების მიხედვით?

კომენტარი: მეორე და მესამე სტროფებში გურამიშვილი გვეუბნება, რომ სწავლა მუდამ აძლიერებს და სულიერად განამტკიცებს ადამიანს, ეს არის განძი, რომელსაც ვერასდროს ვერავინ წაგვართმევს, ხოლო უსწავლელ ადამიანს ცხოვრება მრავალ მახეს დაუგებს და მას არ ეცოდინება, როგორ დააღწიოს თავი საფრთხეებს. მესამე სტროფის მთავარი სათქმელია, რომ ცოდნა ხელუხლებელი განძია, ხოლო ჭკუა, ანუ აზროვნების თანდაყოლილი ნიჭი, გამოუსადეგარია, თუკი მას ადამიანი ცოდნის მიღებით არ გაამდიდრებს და არ განავითარებს.

5. გურამიშვილის თქმით, სწავლა „უხილავი საუნჯეა“. რით განსხვავდება ეს ჩვეულებრივი სიმდიდრისგან? მოიყვანეთ, სულ მცირე, ორი განსხვავება ტექსტზე დაყრდნობით.

კომენტარი: ჩვეულებრივი მატერიალური სიმდიდრე შეიძლება დაკარგოს ადამიანმა, განადგურდეს, მოჰპარონ, წაართვან, ხოლო ცოდნა ის უხილავი განძია, რომელსაც ხელს ვერავინ ახლებს, და ის არის გარანტია იმისა, რომ ადამიანმა ღირსეულად იცხოვროს. მცოდნე ადამიანს შეუძლია ცარიელი ხელებით, არაფრიდან დაიწყოს ცხოვრება და საზრდო ადვილად გაიჩინოს („ბრძენი სიტყვითა დარჩების“...)

6. **რას ადარებს დავით გურამიშვილი უსწავლელ ადამიანს?**

კომენტარი: გურამიშვილი უსწავლელ ადამიანს ადარებს უხორთუმო სპილოს, უაიარაღო მეომარსა და უკლანჭო ვეფხვს. ამგვარი დახასიათებით ყოველ მათგანს აკლია ის მთავარი საჭირო ნაწილი, რომლის გარეშეც არ შეუძლია ცხოვრება, თავდაცვა და გადარჩენა.

7. ახსენით, როგორ შეიძლება, რომ ჭკვიანი კაცი, იმავდროულად, ბრიყვი (სულელი, უმეცარი) იყოს? რას უნდა ნიშნავდეს დავით გურამიშვილის ლექსში ჭკვიანი და რას - ბრიყვი?

კომენტარი: დავით გურამიშვილი „ჭკუვას“ განსხვავებული შინაარსით, თანდაყოლილი აზროვნების ნიჭის მნიშვნელობით იყენებს. ჭკვიანი ანუ აზროვნების უნარის მქონე, ტალანტით დაჯილდოებული შეიძლება იყოს ადამიანი, მაგრამ იგი ბრიყვად დარჩება, თუკი აზროვნების უნარს შეძენილი ცოდნით არ გაამდიდრებს და გაამყარებს. ბრიყვია უსწავლელი კაცი, რომელსაც ჰქონდა საშუალება, რომ უფლისგან ბოძებული ნიჭით საკუთარი თავი გაეძლიერებინა, მაგრამ უსწავლელობით ეს შესაძლებლობა დაკარგა.

8. მე-5 სტროფის მიხედვით, რომელი ცხოვრებისეული შედარებებით ასაბუთებს პოეტი, რომ ცოდნა მიზნის მისაღწევად აუცილებელია?

კომენტარი: ჭკვიანი უწვრთელი“, ანუ აზროვნების უნარის მქონე უვიცი, ისევე ვერ მიხვდება ცხოვრების საზრისს და ვერ მიაღწევს წარმატებას, როგორც უიარაღო მეომარი ომში და უკლანჭო ვეფხვი ორთაბრძოლაში უძლურებით დაიტანჯებიან.

9. ლექსის მე-8 სტროფის მიხედვით, რას შეიძლება ნიშნავდეს ლაგამი და სადავე? პოეტის თქმით, რა ელის მას, ვისაც ასეთი „აღვირი არ აქვს“?

კომენტარი: ლაგამი და სადავე არის საიმისოდ, რომ მხედარმა ცხენს სწორი გზა და გეზი აჩვენოს, საფრთხის დროს შეაჩეროს. ლაგამი და სადავე აქ ცოდნის ალეგორიაა. ცოდნა ისეთივე „აღვირი“ და გზის მაჩვენებელია ადამიანისთვის, როგორიც ცხენისთვის - ლაგამ-სადავე.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“</u>

• დავით გურამიშვილი ცხადად გვაჩვენებს, თუ რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს ადამიანის ცხოვრებაში ცოდნას, როგორი საუნჯეა ის. დააკვირდით მე-6 სტროფს და ახსენით, პოეტის თქმით, რა უპირატესობა აქვს ბრძენს, მცოდნე ადამიანს.

კომენტარი: მეექვსე სტროფში დავითი გვეუბნება, რომ სწავლაზე უკეთესი ამქვეყნად არაფერია, რადგან „ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში ყოფნა ნებისა“... ეს სიტყვები ბრძენის, მცოდნე, განათლებული ადამიანის უპირატესობაზე მიგვანიშნებს, მას აქვს უფლება, რომ თავის ნებაზე იცხოვროს, ანუ იყოს თავისუფალი. პიროვნული თავისუფლება, როგორც სანუკვარი საუნჯე ადამიანისთვის, უპირველესად განათლებით მოიპოვება. განათლებული ადამიანი იმსახურებს საზოგადოებაში პატივისცემას, მას უსმენენ, გამოარჩევენ, თავის ადგილს ის იოლად პოულობს, რადგან ყველგან სასურველია.

• დავით გურამიშვილი „უხორთუმო სპილოს“ ადარებს უსწავლელ ადამიანს. ახსენით, როგორ გესმით პოეტის მიერ მოხმობილი შედარება - რით უკავშირდება ეს სახე ადამიანს, რომელსაც აქვს ბუნებრივი ნიჭი, მაგრამ არ აქვს განათლება?

კომენტარი: სპილოსთვის ხორთუმი მთავარი ორგანოა, მისი საშუალებით მოიპოვებს წყალს, საკვებს, უმკლავდება საფრთხეს, საარსებოდ უპირველესი იარაღია. ასეთივე მნიშვნელობისაა ადამიანისთვის განათლება. თანდაყოლილი ნიჭი ყველას აქვს, ზოგს - მეტი და ზოგს - ნაკლები, მაგრამ კარგი განათლებით წარმატების მიღწევა ყველას შეუძლია, ხოლო უსწავლელი ადამიანი უძლური იქნება ცხოვრების სირთულეების წინაშე.

• დააკვირდით მე-8 სტროფს და ისაუბრეთ: პრაქტიკული დანიშნულების - სარჩოს შოვნის - გარდა, კიდევ რას მიიჩნევს დავით გურამიშვილი ცოდნის ღირებულებად?

კომენტარი: მერვე სტროფში დავით გურამიშვილი აჯამებს სწავლა-განათლების როლსა და მნიშვნელობას და გვიხსნის, რომ განათლება საკუთარი თავის ძიების, თვითშემეცნების, უფლის, სამყაროს შემეცნების მთავარი იარაღია. პოპულარული ინგლისური სენტენციაა: „Knowledge is power“ (ცოდნა ძალაა). ეს ფრაზა მიეწერება მეთექვსმეტე საკუნის ინგლისელ ფილოსოფოსს, ფრენსის ბეკონს, რომელმაც 1597 წელს თავის ნაშრომში დაწერა მისი ლათინური ვერსია: „Scientia potentia est“.

საკუთარი თავის შეცნობას სხვაგვარად „თვითშემეცნებას“ უწოდებენ. ეს ნიშნავს საკუთარი „მეს“ აღმოჩენას - იმის დადგენას, თუ ვინ ვართ სინამდვილეში, როგორია ჩვენი შინაგანი სამყარო.

სავარჯიშო. კონკრეტულად, რას გულისხმობს საკუთარი „მეს“ აღმოჩენა, თქვენი აზრით?

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები და დაასახელეთ, რომელია არასწორი. პასუხი დაასაბუთეთ.

ეს გულისხმობს:

ა) პირადი სურვილების, ინტერესებისა და სამომავლო მიზნების განსაზღვრას;

ბ) საკუთარი თავის სხვებისთვის უკეთ გაცნობას პოპულარობის მოსაპოვებლად;

გ) საკუთარი შესაძლებლობების, ძლიერი და სუსტი მხარეების გააზრებას;

დ) საკუთარი პიროვნული თვისებების (მაგ.: გულწრფელობის, სიმამაცის) ამოცნობას;

ე) საკუთარ ემოციებში გარკვევას (მაგ.: რა გვახარებს, რა გვასევდიანებს).

კომენტარი: აქ არამართებულ პასუხად უნდა ჩავთვალოთ ბ) საკუთარი თავის სხვებისთვის უკეთ გაცნობა პოპულარობის მოსაპოვებლად. გონიერი ადამიანისთვის საყოველთაო აღიარების მოპოვება არ არის თვითმიზანი. სახელს თავისთავად გაითქვამს, როცა პიროვნება საკუთარი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით საქვეყნო და საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეს აკეთებს. ხოლო, თუკი პოპულარობის მიღწევა გამხდარა მთავარი მიზანი — განათლებისა და ღირებული საქმეების გარეშე, გამომწვევი საქციელით ყურადღების ცენტრში მოქცევა ადამიანს არამცთუ ვერ აამაღლებს საზოგადოების თვალში, არამედ, პირიქით, მის დაკნინებას უფრო გამოიწვევს.“

<u>რუბრიკა „დისკუსია“</u>
მოაწყვეთ კლასში დისკუსია შემდეგ საკითხებზე:

1. თქვენი სწავლის პროცესში რა არის ამჟამად „მწარე“ - რა გესახებათ ყველაზე დიდ პრობლემად?

კომენტარი: სავარაუდოდ, ბავშვები მიიჩნევენ, რომ ყველაზე „მწარე“ არის ყოველდღიური გონებრივი შრომა, რომელსაც ხარისხიანი განათლების მიღების პროცესი უსათუოდ ითხოვს. სასურველია, საუბარი წარვმართოთ იმ მიმართულებით, თუ როგორ უნდა აქციოს გონიერმა ადამიანმა სწავლის დამღლელი პროცესი სიამოვნებისა და სიხარულის წყაროდ.

2. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი „ტკბილი კენწერო“ (როგორ ფიქრობთ, რას მიაღწევთ ბეჯითი შრომის შედეგად)?

კომენტარი: ხშირად ადამიანები გურამიშვილის ამ სიტყვებს ერთგვარი იუმორით ხსნიან და ამბობენ, რომ ყველა ასაკსა და ცხოვრების ეტაპს ახლავს თავისი სირთულეები და „ტკბილი კენწეროს“ ჟამი არასდროს დგება. თუმცა ამ თვალსაზრისს შეიძლება დავუპირისპიროთ ის პოზიცია, რომ, მართალია, ცხოვრებისეული სირთულეები ახლავს ყველა ეტაპს, თუმცა სწავლა-განათლება ამ სირთულეების გაიოლების შესაძლებლობას გვაძლევს. განათლების გარეშე ყველაფერი კიდევ უფრო რთული იქნებოდა.

3. გურამიშვილი ამბობს: „ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში ყოფნა ნებისა“.

• მწერლის აზრით, ბრძენი საკუთარი ნების პატრონია, თავის თავს თვითონ განაგებს და თავისუფალია. ნიშნავს თუ არა ეს, რომ გაუნათლებელი ადამიანი მუდამ სხვებზეა დამოკიდებული?

კომენტარი: დიახ, ბრძენის თავისუფლების ხაზგასმა სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ გაუნათლებელი ადამიანი სხვებზეა დამოკიდებული, რადგან მას არა აქვს ცოდნა, რომ თავად დაგეგმოს თავისი საქმიანობა, სწორად წარმართოს ის და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს.

• შეიძლება თუ არა ადამიანი ნამდვილად თავისუფალი იყოს ცოდნის გარეშე, თუკი მას არ გააჩნია ცოდნა სხვადასხვა გზის დასანახად, გააზრებული არჩევანის გასაკეთებლად? დასასაბუთებლად დაიმოწმეთ კონკრეტული მაგალითი ლიტერატურიდან ან ცხოვრებიდან.

კომენტარი: ცოდნის გარეშე პიროვნული თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია. პიროვნული თავისუფლებისთვის მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი, მაგრამ ის მთავარი იარაღია. ლიტერატურა ხშირად გვაჩვენებს საამისო მაგალითებს. განათლება ადამიანს უყალიბებს ჯანსაღ ღირებულებებს. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის უკვდავი გმირი ლუარსაბ თათქარიძე, რომელსაც გაუნათლებლობა აზროვნებაში, სამყაროზე, გარემოზე მართებული წარმოდგენის შექმნაში ხელს ძალიან უშლიდა, დამოკიდებული იყო თავის ცოლზე, მოურავზე, შინაყმებზე, არ შეეძლო თავისი ცხოვრების საინტერესოდ წარმართვა. საინტერესო მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟი ლეონი, უფლისწულის აღმზრდელი, რომელსაც საკუთარი განათლება დაეხმარა, რომ სამეფო კარის ინტრიგებისგან დაეცვა თავი და ყველა დაერწმუნებინა თავის სიმართლეში.

• როგორ ეხმარება ცოდნა ადამიანს, რომ არ იყოს სხვებზე დამოკიდებული? პასუხის დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითები.

კომენტარი: მცოდნე ადამიანი ყველა დარგში სჭირდებათ, მას იოლად შეუძლია დასაქმება და ღირსეული გასამრჯელოს მიღება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ავთანდილი ფილოსოფოსი, პოეტი, მუსიკოსი და მოაზროვნე ადამიანია. მართალია, როსტევან მეფის ყმა გახლდათ, მაგრამ იმხელა შინაგანი თავისუფლება ჰქონდა, არ დაემორჩილა როსტევან მეფის ნებას, ჩუმად წავიდა მეგობრის დასახმარებლად და მეფეს თამამად მისწერა ანდერძში: „სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა“. ეს სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: სადაც უნდა ვიყო, ჩემი არჩევანი ჩემს თავისუფალ ნებას უნდა ემთხვეოდეს. მეფე ვერ ელეოდა ავთანდილს და შეეძლო ურჩ ყმაზე გაბრაზებულიყო, მაგრამ მის თავისუფალ ნებას პატივი სცა.

4. პოეტის აზრით, სწავლის პროცესი მწარეა, შედეგი კი - ტკბილი.

• როგორ ფიქრობთ, მისაღებია თუ არა ეს აზრი 21-ე საუკუნეში? შეიძლება თუ არა სწავლა თავიდანვე „ტკბილი“ (ადვილი და სახალისო) იყოს, თუ გარკვეული „სიმწარე“ (შრომა, გარჯა) მაინც აუცილებელია წარმატებისთვის? თქვენი მოსაზრება ახსენით.

კომენტარი: დღესაც სწავლის პროცესი ბევრისთვის შეიძლება მწარე იყოს, რადგან ის მოითხოვს სიბეჯითეს, დისციპლინას, გართობაზე უარის თქმას, პირად სურვილზე მაღლა მოვალეობის დაყენებას. განსაკუთრებით დამაბრკოლებელი სიზარმაცეა. ზოგს ეზარება სწავლა, ვერ ხედავს მის მნიშვნელობას. ამიტომაც დღესაც ისევე საჭიროა შრომა, მოთმინება, ნებისყოფა, როგორც წინათ, რათა გადალახო დაბრკოლებები და სწავლის შედეგით „დატკბე“. 21-ე საუკუნის ადამიანს იმხელა კომფორტი და შესაძლებლობები აქვს, რომ უკვე სწავლა ტანჯვად და სიმწარედ აღარ აღიქმება. გასული საუკუნეების ადამიანს არ ჰქონდა თანასწორობა, განათლების მიღების შესაძლებლობა, არ ჰქონდა სასწავლო რესურსები და გარემო, რომ სწავლის პროცესით დამტკბარიყო. ცნობილი ამბავია ვაჟა-ფშაველას დუხჭირი ყოფა მეცხრამეტე საუკუნის მთის სოფელში. ის იძულებული იყო, რომ მძიმე ფიზიკური, გლეხური შრომით ერჩინა მრავალრიცხოვანი ოჯახი, არ იყო განათება და ზოგჯერ ჭრაქისთვის ნავთიც კი სანატრელი ყოფილა. ვაჟა თავის ნაწარმოებებს ღამით ცეცხლის შუქზე წერდა. თანამედროვე ადამიანს კი შეუძლია ყოველმხრივ უზრუნველყოფილ სივრცეში, სახლშიც და სასწავლო დაწესებულებაში ხალისითა და ინტერესით მოეკიდოს სწავლას.

5. ბრძენი და მხვნელი, მოლაშქრე, ვაჭარი: მე-7 სტროფში პოეტი ჩამოთვლის პროფესიებს და მათი სარჩოს (შემოსავლის) წყაროებს.

- **დღეს, ტექნოლოგიების ეპოქაში, რომელი უფრო მნიშვნელოვანია: „ოსტატობა“ (პრაქტიკული უნარი) თუ „ბრძნული სიტყვა“ (თეორიული ცოდნა)? შესაძლებელია თუ არა მათი გამიჯვნა? ახსენით.**

კომენტარი: ოსტატობა და თეორიული ცოდნა სხვადასხვა რამ არის და ორივე საჭიროა საზოგადოებისთვის. ოსტატობა დღეს ძალიან ფასობს, ესეც ერთგვარი ცოდნაა, მატერიალურად რაღაცის კეთება, შექმნა ასევე მოითხოვს ცოდნას და მისი საჭიროება ყოველთვის არსებობს, ამიტომ ოსტატს დღეს შეუძლია თავისი ნახელავით ღირსეული ცხოვრების ყველა გარანტია მოიპოვოს. გარშემო ამის უამრავი მაგალითია. ადამიანები სწავლობენ ხელობას, ამთავრებენ პროფესიულ კოლეჯებს და შრომით ბაზარზე მათზე მოთხოვნა ძალიან მაღალია. მათ შეუძლიათ იყვნენ მაღალანაზღაურებადი კადრები, თუკი თავიანთ საქმეში კომპეტენტურები და პასუხისმგებლობით გამორჩეულნი იქნებიან. თეორიული ცოდნა ასევე დიდი ღირებულებაა, რომლის მეშვეობითაც მეცნიერს, მოაზროვნეს, მწერალს და ა.შ. შეუძლია შექმნას უნიკალური მემკვიდრეობა, გაითქვას სახელი და ღირსეულად იცხოვროს. ადამიანმა ნებისმიერი საქმე გააზრებულად უნდა გააკეთოს, ამიტომ დღესაც თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი უმნიშვნელოვანესია.

6. გურამიშვილი განათლების გარეშე დარჩენილ ახალგაზრდას ადარებს უაღვირო, უმართავ ცხენს, რომელიც ადვილად შეიძლება „ხნარცვში“ (ორმოში, უფსკრულში) გადაიჩეხოს. აქ ლაგამი და სადავე ცოდნასა და თვითდისციპლინას გულისხმობს.

- **როგორ ფიქრობთ, რატომ ადარებს ავტორი უსწავლელ ადამიანს მაინცდამაინც „ულაგმო და უსადაო“ ცხენს? რა არის ის „ხნარცვი“ (ორმო), რომლისგანაც სწავლამ უნდა დაგვიცვას? მოიყვანეთ მაგალითები თანამედროვე ცხოვრებიდან.**

კომენტარი: ეს ძალზე მოხდენილი შედარებაა. მხედარი ცხენს ლაგამითა და სადავით სწორ გზას აჩვენებს, მართავს მის ინსტინქტებს, იმორჩილებს და ადამიანთა სასიკეთოდ იყენებს, უსწავლელი ადამიანი „ულაგმო-უსადაო“ ცხენს ემსგავსება და შეიძლება ორმოში გადაიჩეხოს. აქ ორმო მეტაფორულ-ალეგორიულია და ნიშნავს ნებისმიერი ტიპის საფრთხეს, ადამიანის საზოგადოებისგან განაპირებას, გარიყვას, მრავალგვარ გამოწვევას, სიღარიბეს, სხვადასხვა ტიპის სოციალურ პრობლემებს.

<u>რუბრიკა „იმსჯელეთ“</u>

1. დავით გურამიშვილის აზრით, სწავლამ ადამიანი უნდა დააფიქროს მნიშვნელოვან მარადიულ კითხვებზე: ვინ არის? საიდან მოვიდა? სად არის? საით მიდის? ავტორის აზრით, სწორედ ამ კითხვებზე პასუხის ძიებაა სწავლის მთავარი მიზანი.

- **იმსჯელეთ, რატომ მიიჩნევს დავით გურამიშვილი, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ სწავლით არის შესაძლებელი და როგორ ეხმარება ადამიანს ცოდნა საკუთარი „მეს“ პოვნაში? პასუხი ახსენით.**

კომენტარი: ადამიანს ცოდნა ეხმარება, რომ გაიგოს საკუთარი ვინაობა, შეისწავლოს ერის ისტორია, კულტურა, გაიაზროს ის გარემო, რომელშიც ცხოვრობს და წარმოიდგინოს მომავალი, დასახოს განვითარების გზები. მიუხედავად კაცობრიობის მიერ დაგროვილი ძალიან დიდი მეცნიერული ცოდნისა, სამყარო ჯერ კიდევ შეუცნობელი საიდუმლოა. მხოლოდ განათლებულ ადამიანს შეუძლია, რომ ეს უზარმაზარი სამყარო შეიცნოს გარკვეულ დონეზე და საკუთარი თავი დაინახოს სამყაროს ფონზე, სწორად გაიაზროს საკუთარი ადამიანური მისია, იშრომოს და იცხოვროს ღირსეულად. ჰუმანიტარული დარგების ცოდნა ადამიანს თვითშემეცნებას უმაღლებს, მორალს ასწავლის, ხოლო ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ასწავლის გარემოსთან დამოკიდებულებას, თავდაცვას, ფიზიკური და მატერიალური რესურსების განვითარებას.

2. **გურამიშვილის თქმით, სწავლის უმნიშვნელოვანესი მიზანი საკუთარი თავის შეცნობაა. თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა, რომ ადამიანმა ერთხელ და სამუდამოდ შეიმეცნოს საკუთარი თავი, თუ ეს პროცესი მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება? მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად დაფიქრდით:**

- **ხართ თუ არა პიროვნულად ზუსტად ისეთივე, როგორიც იყავით პირველ კლასში? რა შეიცვალა თქვენში? მაგ.: ინტერესები, შეხედულებები.**

კომენტარი: ცნობილი ქართული შეგონებაა - „სწავლა სიბერემდეო“. საკუთარი თავის შეცნობის პროცესი პატარა ასაკიდანვე იწყება და მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება. ადამიანს ყოველთვის შეუძლია ახალი ცოდნით გაამდიდროს თავისი შინაგანი სამყარო, იპოვოს ახალ-ახალი გზები თვითრეალიზაციისთვის, შეასრულოს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია და მისი ცხოვრება-საქმიანობა იყოს სასარგებლო საზოგადოებისთვის. პირველი კლასიდან მეშვიდემდე მოსწავლე დიდძალ ცოდნას იღებს, ვითარდება, არჩევს ავსა და კარგს, გეგმავს, აზროვნებს, ქმნის, ყოველდღიურად ვითარდება. სასკოლო დისციპლინები, გარემო, მასწავლებლები, კლასელები მას ასწავლიან უამრავ სიახლეს.

- **რა არის ამ ცვლილებების მიზეზი? მაგ.: ახალი ცოდნა, გამოცდილება, განსხვავებული გარემო.**

კომენტარი: ამ ცვლილების მიზეზია ახალი ცოდნა სხვადასხვა საგანში, ახლად შეძენილი უნარები, დაგროვილი გამოცდილება, გარემო, რომელიც ყოველთვის იცვლება

და ერთფეროვანი არასდროს არის, ადამიანები, რომელთაგანაც ყოველთვის შეგვიძლია ვისწავლოთ.

• როგორ ფიქრობთ, იქნებით თუ არა ზუსტად ისეთივე პიროვნება, როგორიც ახლა ხართ, 5 წლის შემდეგ, მე-11 კლასში?

კომენტარი: რა თქმა უნდა, პიროვნება დროთა განმავლობაში იცვლება, უჩნდება ახალი ინტერესები, შეხედულებები, მეგობრები და სხვა. მეთერთმეტე კლასი უკვე საშუალო საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და ამ დროს მოსწავლე აღჭურვილია ბევრად მეტი მოცულობის ცოდნით, ვიდრე იყო მეშვიდე კლასში. იგი უკვე რთულ კატეგორიებში ერკვევა, აზროვნებს უფრო ღრმად, აანალიზებს მოვლენებს, ამყარებს საინტერესო ურთიერთობებს.

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“</u>

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

„ჩემი უხილავი საუნჯე“ - ჩამოწერეთ ოთხი-ხუთი რამ, რაც უკვე ისწავლეთ სკოლასა თუ ცხოვრებაში და რასაც ვერავინ ვერანაირი ძალით ვერ წაგართმევთ.

კომენტარი: ამ კითხვას ყველა განსხვავებულად და თავისებურად უპასუხებს, ზოგმა შეიძლება სკოლაში მიღებული ცოდნის მაგალითები მოიყვანოს, ზოგმა კი - ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. მთავარია, რომ მოსწავლეები იმსჯელებენ შეძენილი ცოდნის მნიშვნელობასა და ღირებულებაზე. აღნიშნავენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის წერა-კითხვა, ანგარიში, ლიტერატურულ ტექსტში ავტორის ჩანაფიქრის, იდეის ამოცნობა, მთავარი და არამთავარი საკითხების გამოყოფა, ზეპირი გამოსვლა მსმენელების წინაშე, წერილობით აზრის ჩამოყალიბება, მაგალითად, ესეს წერა, ფანტაზიით მხატვრული ტექსტის შექმნა და ა.შ. ეს ყველაფერი უნარებია, რომლებიც ცოდნის შეძენის გზით ყალიბდება.

2. „გურამიშვილის გაკვეთილები“ - მოიხმეთ შესაბამისი აფორიზმები (ციტატები) ლექსიდან, რათა გააბათილოთ შემდეგი დებულებები:

ა) მეგობარი გეუბნებათ: „რად გინდა ამდენი სწავლა, მაინც დაგავიწყდება, წამოდი, გავერთოთ“.

კომენტარი: ამ მოწოდების გასაბათილებლად გამოდგება ლექსის პირველი სტროფის სიტყვები: „სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი”...

ან: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა!

თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა; -

ჭირს მყოფი ლხინში შესული შვებად მიითვლი ვნებასა!“

ბ) გეუბნებიან, რომ სიმდიდრე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მისი დანახვა შეიძლება, ცოდნა კი უხილავია.

კომენტარი: ამ მოწოდებას აბათილებს პოეტის შემდეგი სიტყვები:

„ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,

აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების“...

3. „ჩემი ცოდნის ხე“ - გურამიშვილი წერს: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“. ყველა ხე ფესვებიდან იზრდება, ტანს იყრის, ტოტებს შლის და კენწეროთი გვირგვინდება. ამას დიდი დრო სჭირდება. სწავლაც ასეთივე ხანგრძლივი პროცესია.

დახატეთ თქვენი პირადი „ცოდნის ხე“ და შეავსეთ ყველა ნაწილი.

ფესვები

გაიხსენეთ და დაწერეთ, საიდან მოდის თქვენი ცოდნა: რა ისწავლეთ ოჯახში, დაწყებით სკოლაში (ცოდნა, ღირებულებები, ჩვევები), რა გასწავლათ პირადმა გამოცდილებამ (წარმატებამ, წარუმატებლობამ).

კომენტარი: ცოდნის გზაზე პირველი ნაბიჯები, ანუ ცხოვრების ხის ფესვების გადგმა, იწყება ოჯახში, მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების გვერდით, ისინი გვასწავლიან ყველაფრის რაობას, დამოკიდებულებას გარემოსადმი, ადამიანებთან ურთიერთობას, შემდეგ ეს პროცესი გრძელდება საბავშვო ბაღში, სადაც მასწავლებლებისა და თანატოლებისგან ვსწავლობთ კომუნიკაციას, სოციალიზაციას, ვეზიარებით ხელოვნებას, გამართულად მეტყველებას, ხოლო სკოლის დაწყებით საფეხურზე ხის ფესვები უფრო და უფრო ღონიერდება, ვამრავალფეროვნებთ ცოდნას, ვსწავლობთ წერა-კითხვას მშობლიურ და უცხო ენებზე, გამოვიმუშავებთ, ვსწავლობთ ღირებულებებს, ჰარმონიულ ურთიერთობებს ვამყარებთ მასწავლებლებსა და კლასელებთან, ვიჩენთ მეგობრებს.

ხის ტანი (ზრო)

დაწერეთ, როგორი ხართ ახლა: რა პრობლემებს ხვდებით, რა გაინტერესებთ ყველაზე მეტად, რა თვისებები გეხმარებათ სწავლაში.

კომენტარი: სკოლის საბაზო საფეხურზე ვსწავლობთ დამოუკიდებლობას, დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, პიროვნულ თავისუფლებას, ქცევის ეთიკასა და მორალის კანონებს უფრო ჩაღრმავებით, გვიჩნდება ინტერესები, გატაცება, საყვარელი საქმე, ვარჩევთ საყვარელ სფეროებს, ჟანრებს, თემებს, იდეებს, ვაკვირდებით და ვაანალიზებთ საინტერესო მოვლენებს.

ტოტები და კენწერო

დაწერეთ, რას გინდათ მიაღწიოთ ხუთ წელიწადში, რომელ პროფესიას აირჩევთ; რა „ნაყოფის“ მოტანა გსურთ თქვენთვის, ოჯახისთვის, საზოგადოებისთვის. გახსოვდეთ: თქვენი „ცოდნის ხე“ თქვენთან ერთად იზრდება.

კომენტარი: ყველა მოსწავლე განსხვავებულად და თავისებურად უპასუხებს. მთავარია, რომ თავისი არჩევანი დაასაბუთოს. საშუალო საფეხურზე მოსწავლეს შეუძლია აქტივობები საკუთარი ინტერესების მიხედვით წარმართოს, აირჩიოს პროფესია და სასურველი პროფილით თვითგანვითარებას ეცადოს, უკვე შეეძლოს არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ოჯახისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობები დაგეგმოს, იყოს კრიტიკულად და საღად მოაზროვნე პიროვნება, რომელიც

სრულწლოვანების მოლოდინში სულ უფრო და უფრო იხვეწება და ვითარდება ფიზიკურად, გონებრივად და სულიერად.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“</u>

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

დავალება 1. დაწერეთ თხზულება თემაზე: „სწავლა - გზა საკუთარი თავისაკენ“, რომელშიც გააანალიზებთ დავით გურამიშვილის სიტყვებს:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:

ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“.

თხზულებაში გამოკვეთეთ სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

შესავალში:

• ახსენით, რას ნიშნავს „საცნობლად თავისადაო“ - რატომ მიიჩნევს გურამიშვილი, რომ სწავლის მთავარი მიზანი საკუთარი თავის შეცნობაა - როგორ ეხმარება ცოდნა ადამიანს საკუთარი ვინაობის გაგებაში.

ძირითად ნაწილში:

• ახსენით, როგორ გესმით საკუთარი თავის შეცნობა („სად არის“);

• ისაუბრეთ, რატომაა მნიშვნელოვანი ვიცოდეთ ჩვენი ისტორია, წინაპრები, „ფესვები“ - ის, თუ საიდან მოვდივართ, როგორ გვეხმარება ეს დღევანდელ ცხოვრებაში („სიდამ მოსულა“);

• დაფიქრდით, როგორ განსაზღვრავს განათლება თქვენს სამომავლო გზას, რა კვალის დატოვება გსურთ („წავა სადაო“).

• მსჯელობისას მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები თქვენი ცხოვრებიდან, წიგნებიდან ან ფილმებიდან (როგორ დაგეხმარათ რაიმე ახლის სწავლა თქვენ ან პერსონაჟს საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში).

დასკვნაში:

• შეაჯამეთ: რა კავშირია ცოდნასა და საკუთარი თავის შეცნობას შორის, გრძელდება თუ არა საკუთარი თავის შეცნობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და რატომ.

დავალება 2. დაწერეთ თხზულება თემაზე: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“. გამოკვეთეთ სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

შესავალში:

• სწავლისას ყველა ადამიანს განუცდია სირთულეები (მაგ.: რაღაცის ვერგაგება, ახლიდან დაწყება, ნელი პროგრესი).

აირჩიეთ ერთი პრობლემა და ახსენით, რატომ გეჩვენებათ ის ყველაზე რთულად.

ძირითად ნაწილში:

• მოიყვანეთ მაგალითი ან მაგალითები პირადი გამოცდილებიდან, როდესაც რაღაცის სწავლა გაგიჭირდათ (მაგ.: რთული თემა ქართულში, უცხოურ ენაში, ილეთი სპორტში). გადმოეცით: კონკრეტულად რა გაგიძნელდათ, რამდენჯერ სცადეთ, როდის შეამჩნიეთ პროგრესი - თუნდაც მცირე.

დასკვნაში:

• გადმოეცით, რას გრძნობდით, როდესაც შედეგს მიაღწიეთ; ეთანხმებით თუ არა გურამიშვილს, რომ „სიმწარის“ გარეშე „სიტკბოს“ ვერ მოიპოვებ; რა გაიგეთ საკუთარ თავზე ამ გამოცდილებიდან.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მოდიფიცირება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებად)

დავალება 1.

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის/ნაწილობრივ არის შესრულებული.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების	საბაზისო

	მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან მცირედი გადახვევა.	
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ტექსტს აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება, ტექსტის ნაწილები ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	მაღალი
	ტექსტი ძირითადად ორგანიზებული და თანმიმდევრულია; მცირე სტრუქტურული ხარვეზები მთლიანობას არ არღვევს; ზოგ შემთხვევაში აბზაცებად დაყოფა დასახვეწია.	საშუალო
	ტექსტის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში დარღვეულია აზრების ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაწილებს შორის კავშირი ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	ტექსტი ფრაგმენტულია; არ იკვეთება მკაფიო სტრუქტურა, აზრების თანმიმდევრობა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირი.	საწყისი
III კრიტერიუმი. გურამიშვილის სიტყვების გააზრება და ინტერპრეტაცია.	ნათლადაა ახსნილი, რას ნიშნავს „საცნობლად თავისადაო“. მოსწავლე გააზრებულად მსჯელობს, რატომ უკავშირებს გურამიშვილი სწავლას ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობას.	მაღალი
	გურამიშვილის სიტყვების ძირითადი აზრი სწორადაა ახსნილი, თუმცა განმარტება ბოლომდე სრული არ არის, ან მოკლებულია კონკრეტულობას.	საშუალო
	გურამიშვილის სიტყვების მნიშვნელობა ნაწილობრივაა ახსნილი; ჩანს ძირითადი აზრი, მაგრამ ინტერპრეტაცია ზოგადია ან არასაკმარისად ჩამოყალიბებული.	საბაზისო
	გურამიშვილის სიტყვების მნიშვნელობა ბუნდოვნად ან არაზუსტადაა გადმოცემული; მათი კავშირი სწავლასა და თვითშემეცნებასთან თითქმის არ ჩანს.	საწყისი

IV კრიტერიუმი. მსჯელობა და არგუმენტაცია	მსჯელობა სრულად, თანმიმდევრულად და დამაჯერებლადაა განვითარებული; მოსწავლე გააზრებულად მსჯელობს საკუთარი თავის შეცნობაზე, წარსულისა და „ფესვების“ ცოდნის მნიშვნელობასა და განათლების როლზე მომავალი გზის განსაზღვრაში. მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი და კონკრეტული მაგალითებით პირადი გამოცდილებიდან, წიგნიდან ან ფილმიდან; ნათლადაა ახსნილი, როგორ უკავშირდება თითოეული მაგალითი გამოთქმულ აზრს.	მაღალი
	მსჯელობა ძირითადად თანმიმდევრული და დასაბუთებულია, თუმცა ზოგიერთი მოსაზრება ნაკლებადაა განვითარებული. მოყვანილია შესაბამისი მაგალითი ან მაგალითები, მაგრამ მათი კავშირი გამოთქმულ აზრთან ზოგ შემთხვევაში არასაკმარისადაა ნაჩვენები.	საშუალო
	მსჯელობა ნაწილობრივაა განვითარებული; მოსაზრებები ზოგადი ან არასაკმარისად დასაბუთებულია. მაგალითი მოყვანილია, თუმცა მისი შესაბამისობა ან კავშირი გამოთქმულ აზრთან ყოველთვის მკაფიო არ არის.	საბაზისო
	მსჯელობა ფრაგმენტული ან ზედაპირულია; მოსაზრებები ძირითადად დაუსაბუთებელია. შესაბამისი მაგალითები არ არის მოყვანილი ან მოყვანილი მაგალითები არ უკავშირდება მსჯელობას.	საწყისი
V კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევებში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო

	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
VI კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

დავალება 2.

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის/ნაწილობრივ არის შესრულებული.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან მცირედი გადახვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	საწყისი

II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ტექსტს აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება, ტექსტის ნაწილები ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	მაღალი
	ტექსტი ძირითადად ორგანიზებული და თანმიმდევრულია; მცირე სტრუქტურული ხარვეზები მთლიანობას არ არღვევს; ზოგ შემთხვევაში აბზაცებად დაყოფა დასახვეწია.	საშუალო
	ტექსტის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში დარღვეულია აზრების ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაწილებს შორის კავშირი ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	ტექსტი ფრაგმენტულია; არ იკვეთება მკაფიო სტრუქტურა, აზრების თანმიმდევრობა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირი.	საწყისი
III კრიტერიუმი. სწავლის სირთულის გააზრება და პირადი გამოცდილების გადმოცემა	შერჩეულია სწავლასთან დაკავშირებული კონკრეტული მაგალითი და ნათლადაა ახსნილი, რატომ იყო ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა; პირადი გამოცდილება დეტალურად და თანმიმდევრულადაა გადმოცემული: ჩანს, კონკრეტულად რა გაუჭირდა მოსწავლეს, როგორ ცდილობდა სირთულის დაძლევას და როდის შეამჩნია პირველი, თუნდაც მცირე, პროგრესი; ნათლად აყალიბებს, რა გაიგო საკუთარ თავზე ამ გამოცდილებიდან.	მაღალი
	შერჩეულია სწავლასთან დაკავშირებული შესაბამისი მაგალითი და ახსნილია, რა სირთულეს წააწყდა მოსწავლე; პირადი გამოცდილება ძირითადად ნათლადაა გადმოცემული, თუმცა სირთულის დაძლევის მცდელობა ან მიღწეული პროგრესი შედარებით მოკლედ ან არასრულადაა ნაჩვენები; არაა შეფასებული მიღწეული შედეგი და გამოცდილების შედეგად მიღებული დასკვნა.	საშუალო
	მოყვანილია სწავლასთან დაკავშირებული მაგალითი, თუმცა სირთულე და მისი მიზეზი ზოგადადაა აღწერილი; პირადი გამოცდილების გადმოცემისას ნაწილობრივ	საბაზისო

	ჩანს, რა გაუჭირდა მოსწავლეს; სირთულის დაძლევის მცდელობა ან მიღწეული პროგრესი მკაფიოდ არ იკვეთება; მიღწეული შედეგის შეფასება და გამოცდილებიდან გამოტანილი დასკვნა სქემატურია.	
	სწავლასთან დაკავშირებული მაგალითი ბუნდოვანი, არასაკმარისად კონკრეტულია ან თემასთან სუსტადაა დაკავშირებული; არ ჩანს მკაფიოდ, რა გაუჭირდა მოსწავლეს, როგორ ცდილობდა სირთულის დაძლევას და მიაღწია თუ არა რაიმე პროგრესს; არ იკვეთება, რას ნიშნავდა მისთვის მიღწეული შედეგი ან რა გაიაზრა საკუთარი გამოცდილებიდან.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევებში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო

	ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

<u>დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

გია მურღულია - „დავითიანის მხატვრულ სახეთა სისტემა“ (1998)

გია მურღულია, გიორგი ალიბეგაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე - „საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე“ (1992)

ლალი დათაშვილი, „დავით გურამიშვილი - პოეტი და პიროვნება“, თბილისი, 2022;

სარგის ცაიშვილი, „დავით გურამიშვილი“, თბილისი, 1986;

სოლომონ ყუბანეიშვილი, „დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში“, თბილისი, 1955

გ. ლეონიძე, დავით გურამიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1966

კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1981

ელგუჯა მაღრაძე, „ცხოვრება დავით გურამიშვილისა“, თბილისი, 1976

დმიტრო კოსარიკ-კოვალენკო, მონოგრაფია „დავით გურამიშვილი უკრაინაში“, თბილისი, 1949 (უკრაინელი მწერალი და მკვლევარი, რომელმაც მიაკვლია დავით გურამიშვილის საფლავს 1938 წელს)

<u>დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:</u>

1946 წელს გადაღებული ქართული მხატვრული ფილმი „დავით გურამიშვილი“, რეჟისორები: ნიკოლოზ სანიშვილი და იოსებ თუმანიშვილი, სცენარის ავტორი - სიმონ ჩიქოვანი

ვაჟა-ფშაველა, „დავით გურამიშვილის ხსოვნას“

სიმონ ჩიქოვანი, ლექსი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“

2. ილია ჭავჭავაძე - სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი)

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები

1. სამიზნე ცნება „ტექსტი“

პუბლიცისტური წერილი - საჯარო გამოსვლის ტექსტი

შინაარსობრივი მხარე -თემა, ქვეთემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; ხედვის კუთხე/პერსპექტივა

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, აბზაცი.

ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები: ეპითეტი, შედარება.
რიტორიკული ხერხები (მაგ.: რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები: სანდოობა, ლოგიკა, ემოცია); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები:

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ.: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი გამოცდილება.

3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“

მსგავსი ელემენტები - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, ციტატა.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეს შეუძლია:

- კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება;
- სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის არსებული მიმართებების ახსნა;
- კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე;
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;

- შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას.
- ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა;
- ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
- ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით;
- იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.

ნაწარმოების შესახებ:

საქართველოს განვითარების მანიფესტი: განათლებისა და ეკონომიკის ახლებური ხედვა. სიტყვა წარმოითქვა ილიას მეგობრის, ილია წინამძღვრიშვილის, მიერ სოფელ წინამძღვრიანთკარში სამეურნეო სასწავლებლის გახსნაზე, 1883 წლის 4 სექტემბერს.

ილია ჭავჭავაძის საჯარო გამოსვლა „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნის მანიფესტს. ავტორი ძალიან კარგად, დამაჯერებლად, დასაბუთებულად აკავშირებს ერთმანეთთან ორ საყრდენს - პრაქტიკულ განათლებასა და ქვეყნის ეკონომიკურ თვითმყოფადობას - რომლებიც მას ქვეყნის გადარჩენისა და შემდგომი განვითარების გარანტად ესახება.

ილიას საგანმანათლებლო პრინციპები, შეხედულებები ამ წერილში იმდროინდელი იმპერიული, რეალობას მოწყვეტილი სასწავლო სისტემის წინააღმდეგაა მიმართული. იგი მკაფიოდ აცნობიერებს, რომ ახალ ეპოქაში, რომელშიც ფიზიკურ ძალასა და იარაღს გონებრივი შრომა ანაცვლებს, ქვეყანას სჭირდება რეალურ საქმეზე ორიენტირებული ცოდნა. ილია ხაზს უსვამს ეპოქალურ ცვლილებას და ამბობს: „ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“...

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა ილიასთვის არის არა უბრალოდ რიგითი სასწავლებელი, არამედ ინტელექტუალურ ღირებულებად ქცეული ფიზიკური შრომის კერა, სადაც ტრადიციული, პრიმიტიული მიწათმოქმედება თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს უნდა დაეყრდნოს. ილიას ხედვით, სწორედ ცოდნით აღჭურვილი გლეხობა შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვან რეალიზებას და პასუხისმგებლობას იკისრებს ქვეყნის მატერიალურ წინსვლაზე.

ეს პროგრესული საგანმანათლებლო მიდგომა ასაზრდოებს ილიასეულ ეკონომიკურ სტრატეგიას. ქვეყნის სუვერენიტეტი და კულტურული თვითმყოფადობა, მისი რწმენით, სრულიად წარმოუდგენელია მატერიალური დამოუკიდებლობისა და მყარი ფინანსური ბაზისის გარეშე. კონკურენტუნარიანი, ევროპული ტიპის სოფლის მეურნეობის განვითარებით ილიას სურს ქართველი ხალხის ეკონომიკური წინსვლა, რაც იქნება საფუძველი, რომ საქართველომ ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე,

ხალხმა შეძლოს შიდა რესურსების ოპტიმალური, გონივრული ათვისება. ცოდნა ამ კონტექსტში გვევლინება, როგორც უმთავრესი ეკონომიკური კაპიტალი, რომელიც ქმნის დოვლათს და იცავს ქვეყანას სიღარიბისაგან.

ილია თავის მსმენელს - სოფლის გლეხობას - უხსნის, რა შედეგის მომტანია ილია წინამძღვრიშვილის ეს დიდებული წამოწყება: „აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვანიშნებს - სად რა სიმდიდრე სძევს და რა-რიგის ხერხით, რა-რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ“.

ილია ჭავჭავაძის ეს გამოსვლა სცდება ვიწრო ლოკალურ კონტექსტს და გვთავაზობს გრძელვადიან სახელმწიფოებრივ ხედვას. მასში ნაჩვენებია, რომ განათლებული მუშახელი და მოდერნიზებული ეკონომიკა ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს საძირკველია. ილიას ეს საჯარო გამოსვლა იბეჭდება ესეს სახით და ძალზე პოპულარულია, ის დღესაც რჩება უმნიშვნელოვანეს გაკვეთილად, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ქვეყნის რეალური პროგრესი მხოლოდ განათლებისა და პრაქტიკული ეკონომიკური საქმიანობის სინთეზით მიიღწევა.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- თქვენი აზრით, რატომ არის დღეს განათლება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ფიზიკური ძალა ან მატერიალური სიმდიდრე, ქონება?
- წარმოიდგინეთ ორი ადამიანი: ერთი ძალიან ღონიერია, მეორემ კი კარგად იცის კომპიუტერი და ტექნოლოგიები. რომელს უფრო გაუადვილდება დღეს სამსახურის პოვნა და რატომ?
- როგორ წარმოგიდგენიათ თანამედროვე ფერმერი ან მიწათმოქმედი? სჭირდება თუ არა მას წიგნების კითხვა და სწავლა?
- რაში შეიძლება დაეხმაროს მეცნიერება (მაგ.: ბიოლოგია ან ქიმია) ადამიანს, რომელიც მიწას ამუშავებს ან ვენახს უვლის?
- გსმენიათ თუ არა წინამძღვრიანთკარის ან რომელიმე სხვა პროფესიული სასწავლებლის შესახებ? თქვენი აზრით, რას ასწავლიან იქ?
- რა იცით ილია ჭავჭავაძის შესახებ? თქვენი აზრით, წერა-კითხვის გავრცელების გარდა, კიდევ რა საქმეებით ცდილობდა ის საქართველოს დახმარებას?
- რატომ ზრუნავდა ილია ასე ძალიან იმაზე, რომ ქართველებს კარგი სკოლები ჰქონოდათ?
- თქვენთვის რომელი საგანია სკოლაში ყველაზე მეტად „პრაქტიკული“ (ანუ ისეთი, რომელსაც ცხოვრებაში ყოველდღე გამოიყენებთ)?

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“</u>

1. რა თემას ეხება ილიას სიტყვა: რის დასაბუთება სურს მას მსმენელისთვის?

კომენტარი: ილიას სიტყვა ეხება სასოფლო-სამეურნეო განათლების აქტუალობას. ამ მიმართულებით განათლების გავრცელება მას მიაჩნია ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის გზად. ხოლო სიღარიბის დაძლევა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელად მნიშვნელოვანი პირობაა.

1. ავტორის აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ ბუნებრივი სიმდიდრეებით უხვად დაჯილდოებული საქართველო ღარიბი ქვეყანაა?

კომენტარი: ქართველთა სიღარიბის მიზეზად ილია ცოდნის ნაკლებობას მიიჩნევს. აღნიშნავს, რომ არ გვაქვს ცოდნა იმისა, თუ საიდან და როგორ მოვიპოვოთ საზრდო ნაკლები ჯაფითა და ოსტატობით, რომ ნაშრომიც უხვი იყოს და გლეხის ოჯახი შემოსავლიანი გახდეს.

2. რაში ხედავს ილია სიღარიბიდან გამოსავალს?

კომენტარი: ილიას აზრით, სიღარიბის დასაძლევად მთავარი იარაღი ცოდნაა, ცოდნა ხერხი და სიმდიდრეა.

3. რა ნიშნით ამსგავსებს ილია ცოდნასა და სანთელს ერთმანეთს? რით განსხვავდებიან ისინი?

კომენტარი: ცოდნა სანთელს ჰგავს იმით, რომ, რაც უნდა სხვას გაუნაწილო, ათასი სანთელი აანთო, ამით სანთელს მხოლოდ სინათლე ემატება და არაფერი აკლდება, ცოდნაც სხვაზე გადაცემით ღრმავდება და განმტკიცდება. სხვაობა ცოდნასა და სანთელს შორის ისაა, რომ სანთელი როდესმე ჩაიწვება და ჩაქრება, ხოლო ერთხელ ანთებული ცოდნა არასოდეს გაქრება, თაობიდან თაობას გადაეცემა უფრო გაძლიერებული.

4. ილიას სიტყვით, რა თვისება უყალიბდება ადამიანს ცოდნის შეძენით?

კომენტარი: ადამიანს ცოდნის შეძენით შეუძლია, რომ დედამიწის წიაღში ჩაიხედოს, ნახოს, სად რა სიმდიდრე ძევს, და მოიფიქროს გზა, ხერხი, რომლის წყალობითაც ამ სიმდიდრეს გამოიყენებს თავის სასარგებლოდ.

5. გარდა პირადი კეთილდღეობისა, კიდევ ვისთვის მოაქვს სიკეთე ცოდნას? ვის და რის სამსახურში უნდა ჩააყენოს ადამიანმა შეძენილი ცოდნა, ილიას მიხედვით?

კომენტარი: „ცოდნით ფეხზე წამოყენებული“ ოჯახი არის „მამულის გამოკეთების“ გარანტია. ილიას აზრით, ყოველი ადამიანი ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე კი არა, ქვეყნის წინსვლაზე მზრუნველიც უნდა იყოს. ეს იდეა გასდევს ილიას მთელ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკას.

6. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს“, - ამბობს ილია. როგორ გესმით ეს სიტყვები?

კომენტარი: ეს სიტყვები უნდა გავიგოთ ასე: ხერხი არის იარაღი, რომელიც მოძრაობს როგორც წინ, ისე უკან („გააქვს და გამოაქვს“) და ყოველ მოძრაობაზე საქმეს აკეთებს, შედეგი მოაქვს. „ხერხად ყოფნა“ ნიშნავს იყო მოქნილი, გონიერი, შრომისმოყვარე, რომ ნებისმიერი სიტუაციიდან შეგეძლოს სარგებლის მიღება, საქმის წინ წაწევა და შედეგის მოტანა. ილია სწორედ ამას ამბობს: ძველი დრო, როცა მხოლოდ ფიზიკური ძალა („მედგარი მკლავი“) წყვეტდა ყველაფერს, წარსულს ჩაბარდა. ახლა ადამიანს სჭირდება გონებრივი „ხერხი“ (ცოდნა, განათლება, პროფესია), რათა ცხოვრებაში გზა გაიკაფოს და დოვლათი შექმნას, ხოლო „გატანა და გამოტანა“ ნიშნავს, რომ ცოდნა არ უნდა იყოს მკვდარი, ის მუდმივად უნდა მოქმედებდეს და ადამიანსაც და ქვეყანასაც მატერიალური თუ სულიერი სიმდიდრე უნდა შესძინოს.

7. როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა ყოფილიყო საჭირო სკოლის გახსნაზე შეკრებილი საზოგადოებისთვის ცოდნის მნიშვნელობაზე დასაბუთებული საუბარი?

კომენტარი: მეცხრამეტე საუკუნეში განათლების ხელმიუწვდომლობის გამო გლეხთა ცნობიერება ძალზე დაბალი იყო და მას სჭირდებოდა ილიასნაირი ლიდერი, რომელიც ხალხს დაარწმუნებდა განათლების მნიშვნელობაში.

8. რა ნაწილებისგან შედგება ილიას სიტყვა? დაასახელეთ, რომელია მიმართვა, რომელი - ძირითადი ნაწილი, რომელი - დასასრული. რა არის თითოეული მათგანის დანიშნულება?

კომენტარი: ილიას სიტყვა, ტრადიციულად, სამი ნაწილისაგან შედგება: მიმართვა (შესავალი), ძირითადი ნაწილი და დასკვნა-შეჯამება. მიმართვის ნაწილში ილია ყურადღებით მოსმენას სთხოვს დამსწრე საზოგადოებას და სვამს კითხვას: რატომ ვართ ქართველები ღარიბები ყველაფრით მდიდარ ქვეყანაში? ეს არის ყურადღების გამომწვევი, ინტერესის აღმძვრელი კითხვა. ძირითად ნაწილში ის ხსნის და ასაბუთებს სიღარიბის დაძლევის გზაზე პრაქტიკული ცოდნის მნიშვნელობას, ხოლო დასკვნაში აჯამებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მოვლენა შეიძლება იყოს ეს სამეურნეო სკოლა, და ლოცავს ყველას, ვინც ეს საქმე ითავა და ვინც მონაწილეობს ამ ყველაფერში.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“</u>

- **ილია ჭავჭავაძის საჯარო სიტყვას სხვადასხვა წრისა და მდგომარეობის ადამიანები უსმენდნენ. როგორ ფიქრობთ, ვინ იყო ილიასთვის „მთავარი“ მსმენელი, რომელსაც მწერალი ცოდნის შეძენის აუცილებლობაში არწმუნებდა? რატომ ფიქრობთ ასე? თქვენი მოსაზრება ახსენით.**

კომენტარი: ილიას მთავარი მსმენელი აქ იყო გლეხობა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდა სწავლა-განათლების მნიშვნელობას გაუნათლებლობის გამო. ინტელექტუალურ ადამიანებს, როგორიც იყო თვით სკოლის დამფუძნებელი ილია წინამძღვრიშვილი, კარგად ესმოდათ სამეურნეო სკოლის მნიშვნელობა, განათლების სიკეთეებისა სწამდათ, მხოლოდ გლეხობა უყურებდა ეჭვით და უნდობლად განათლებას, მიაჩნდათ, რომ გლეხს არ ჰქონდა ასპარეზი ცოდნის რეალიზებისთვის სოციალური უთანასწორობის გამო.

- **დააკვირდით მიმართვას: „ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ და, ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები“.**

თქვენი აზრით, როგორ გვიხასიათებს იგი ილიას (მაგ.: თავმომწონეა, გულკეთილია, თავმდაბალია, მკაცრია)? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

კომენტარი: ილია თავმდაბალი და გულისხმიერია, ხალხის ინტერესები და საფიქრალი კარგად ესმის, ხალხს შინაურულად, თბილად, სადად, მათ ენაზე ესაუბრება. შესავალშივე იგი მეგობრულად და იმედით, მადლიერებით მიმართავს საზოგადოებას, ხოლო დასასრულს ისევ ხალხის ჩვეულებას მოიხსენიებს, როგორ იციან ხოლმე სიმღერის დასრულებისას თქმა, „თქვენი გამარჯვებისა იყოსო“. ილიას თავმდაბლობასა და ხალხთან სიახლოვეს ასევე ადასტურებს ის, რომ მეორე პირში კი არ ესაუბრება გლეხებს, არამედ პირველ პირში, „ჩვენობითის“ ფორმით, თავს მათ ნაწილად თვლის და აგრძნობინებს, რომ საერთო საფიქრალი, საერთო პრობლემები აქვთ.

- **დააკვირდით ილიას მიერ გამოყენებულ ფრაზებს: „თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია“, „გულში მამა-პაპათაგან ანდერძად ჩაგვრჩენია“, „ჩვენი შვილები, თქვენი შვილები“, „თქვენებურად, ჩვენებურად“, „თქვენი გამარჯვებისა იყოს!“. თქვენი აზრით, ხალხის მიმართ როგორ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ილიას ნათქვამი?**

კომენტარი: ილიას ზოგადად ახასიათებდა პუბლიცისტურ წერილებში „ჩვენობითის“ ფორმით საუბარი. ის არასდროს ემიჯნებოდა საზოგადოების სუსტ მხარეებსა და მანკიერებებს. ამიტომ მისი შეგონებები და დიდაქტიკური ქვეტექსტები ხალხისთვის მისაღები, მშობლიური და დასამახსოვრებელი იყო.

- **როგორ ფიქრობთ, რა მიზნით იყენებს ილია ამ ფრაზებს?**

კომენტარი: ამ ფრაზებს ილია იყენებს, რათა ხალხის გულთან ახლოს მივიდეს და მათში სანდოობა, მიმღებლობა, თანამოაზრეობა გააღვივოს.

• **ილია ცოდნას ადარებს ფულს, ხმალსა და ზარბაზანს. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოიყენა ავტორმა მაინცდამაინც ეს სამი საგანი შესადარებლად? თქვენი აზრით, რისი სიმბოლოებია ისინი, რას გულისხმობს ამ სიტყვებში ავტორი?**

კომენტარი: ილიას სიტყვები: „ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“ - მეტყველებს ცოდნის უძლეველობაზე. ზოგადად, ბევრს ჰგონია, რომ ფულით, ხმლითა და ზარბაზნით ყველაფრის მოპოვებაა შესაძლებელი, რადგან სამივეს დიდი ძალა აქვს, მაგრამ ცოდნა, ილიას აზრით, მათზე წინ დგას, რადგან არნახულ ძალებს მატებს ადამიანს. ფული ძალაუფლების, შესაძლებლობების, გავლენის, რესურსების სიმბოლოა, ხმალი - ფიზიკური ძლიერებისა, თუმცა უკვე ძველი ეპოქის კუთვნილებაა, რადგან ახლა ხმლით არავინ იბრძვის, ხოლო ზარბაზანი ილიას თანამედროვე ეპოქის ძალისმიერი მეთოდების სიმბოლოა.

• **„ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია“, - ამბობს ილია. შეგვიძლია თუ არა, დღესაც გავიმეოროთ ეს სიტყვები? რატომ ფიქრობთ ასე?**

კომენტარი: ილიას ეს სიტყვები უკვდავია, რადგან ცოდნა ყველა დროში პრივილეგიაა ადამიანისთვის. ცოდნით ყველაფრის ნულიდან დაწყება და მოპოვებაა შესაძლებელი. ცოდნა არასდროს გვღალატობს, გვმატებს თავდაჯერებას, რწმენას, გვასწავლის უამრავ ხერხს ცხოვრების უკეთ მოსაწყობად.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“</u>

დაფიქრდით და ახსენით მნიშვნელობა სიტყვებისა: „საჯარო სკოლა“, „საჯარო ინფორმაცია“.

კომენტარი: სიტყვა „საჯარო“ ნიშნავს ყველასთვის ხელმისაწვდომს, ღიას, საერთოსა და სახელმწიფოებრივს, ხალხისთვის განკუთვნილს. საჯარო სკოლა არის სახელმწიფო სასწავლებელი, რომელიც ფინანსდება ქვეყნის ბიუჯეტიდან (ხალხის მიერ გადახდილი გადასახადებით) და ეკუთვნის სახელმწიფოს. იგი უფასო და ღიაა ნებისმიერი ბავშვისთვის, განურჩევლად მისი სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობისა. მისი საპირისპიროა კერძო სკოლა, რომელიც ცალკეული პირების ან კომპანიების საკუთრებაა და სადაც სწავლა ფასიანია. საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური მონაცემები ან დოკუმენტები, რომლებიც ინახება სახელმწიფო უწყებებში (მაგალითად, სამინისტროებში, მერიაში, პარლამენტში) და კანონით ღიაა ნებისმიერი მოქალაქისთვის. ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, მივიდეს სახელმწიფო დაწესებულებაში ან მისწეროს მას და მოითხოვოს ეს ინფორმაცია (მაგ.: რამდენია ბიუჯეტი, როგორ იხარჯება ფული, რა კანონები მიიღეს და სხვა). საჯარო ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას ან სხვის პირად ცხოვრებას. ანუ საჯარო ინფორმაცია ნიშნავს ხალხისთვის - ყველასთვის - ხელმისაწვდომ, განკუთვნილ ინფორმაციას.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „მჭევრმეტყველება“ განმარტებულია, როგორც „ენამზეობა“. დაფიქრდით და ახსენით, როგორ გესმით ეს სიტყვა.

კომენტარი: სიტყვა „ენამზეობა“ ქართული ენის ერთ-ერთი ულამაზესი და პოეტური კომპოზიტია, რომელიც ორ ცნებას - ენასა და მზეს - აერთიანებს. მეშვიდეკლასელებისთვის მისი მნიშვნელობის ასახსნელად შეგიძლიათ სიტყვა ნაწილებად დაშალოთ და შემდეგი შედარებები გამოიყენოთ: როგორც მზე - მზე ანათებს, ათბობს, სიცოცხლეს აძლევს ყველაფერს, აშორებს სიბნელეს და ადამიანებს გზას უნათებს. ენამზეობა (მჭევრმეტყველება) არის ნიჭი, როდესაც ადამიანის სიტყვა მზესავითაა - ნათელი, თბილი, სასიამოვნო მოსასმენი და დამაჯერებელი. ენამზე ადამიანის ლაპარაკი სხვებს გონებას უნათებს, აზრს უზუსტებს და გულს უთბობს. ენამზეობით გამორჩეული ადამიანი ლაპარაკობს გამართულად, მდიდარი ლექსიკითა და ლამაზი ქართულით, შეუძლია რთული აზრის სხვებისთვის მარტივად და გასაგებად ახსნა, თავისი სიტყვით შეუძლია ადამიანების დარწმუნება, დამშვიდება ან კეთილი საქმისთვის შთაგონება. ეს სიტყვა იდეალურად მიესადაგება თავად ილიას. მისი ეს საჯარო გამოსვლა სწორედ ენამზეობის ნიმუშია. მან თავისი ლამაზად, მოხდენილად საუბრით შეძლო ხალხისთვის დაენახვებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სკოლის გახსნა თითოეული იქ მყოფისა და, საერთოდ, ქვეყნის მომავლისთვის. ასევე გვაქვს ამ სიტყვის შესანიშნავი სინონიმი - ოქროპირი. ქრისტიანულ სამყაროში უდიდეს მოაზროვნესა და ეკლესიის მამას, იოანეს, სწორედ მისი საოცარი ქადაგებებისა და მჭევრმეტყველების გამო უწოდეს „ოქროპირი“ (ბერძნულად ხრიზოსტომოსი). ილია „მოძღვარში“ სწორედ ამ ფუძეს იყენებს, როცა მღვდლის მეტყველებას აღწერს: „ზოგი კიდევ სულგანაბული შესცქეროდა, თითქოს დაჯერებულია, იმის პირიდან ოქრო გადმოვარდება და შიშობს, ხელიდან არ წამივიდესო“.

<u>რუბრიკა „ლიტერატურული მეგზური“</u>

„დარწმუნების სამკუთხედის“ შესახებ:

„დარწმუნების სამკუთხედი“ არის კომუნიკაციის მოდელი, რომელიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რა კომპონენტებია საჭირო მსმენელის ან მკითხველის დასარწმუნებლად. იგი უკავშირდება ძველ ბერძენ ფილოსოფოს არისტოტელეს - ეფუძნება ბერძენი მოაზროვნის მიერ განსაზღვრულ დარწმუნების სამ რიტორიკულ საშუალებას: სანდოობას (ethos), ემოციას (pathos) და ლოგიკას/ლოგიკურ დასაბუთებას (logos)**.** აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად არისტოტელეს ნაშრომებში ეს სამი საშუალება სამკუთხედის სახით არ არის წარმოდგენილი. იგი მოგვიანებით შემუშავებული ვიზუალური სქემაა, რომელიც არისტოტელეს მიერ აღწერილ რიტორიკულ საშუალებებს თვალნათლივ წარმოგვიდგენს. „დარწმუნების სამკუთხედის“ გარდა, ეს ვიზუალური სქემა ცნობილია სხვა სახელებითაც, კერძოდ, როგორც „რიტორიკული სამკუთხედი“, „არისტოტელეს სამკუთხედი“, „არისტოტელეს რიტორიკული სამკუთხედი“ და სხვ.

დარწმუნების სამკუთხედი გვიჩვენებს, რომ ადამიანებზე ზემოქმედება, მათი დარწმუნება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი ისინი: ენდობიან მოსაუბრეს (ეთოსი), არწმუნებთ მისი არგუმენტები (ლოგოსი), მათზე ემოციურად მოქმედებს მოსაუბრის სიტყვები (პათოსი). უფრო კონკრეტულად:

1**. სანდოობა** - ნდობა ავტორის/მოსაუბრის მიმართ

ავტორი/მოსაუბრე ცდილობს დაგვარწმუნოს თავისი ცოდნის, გამოცდილების, ავტორიტეტის, კომპეტენტურობის წარმოჩენით.

საკვანძო შეკითხვა: რატომ უნდა ვენდოთ მას?

2**. ემოცია (ზემოქმედება გრძნობებზე)**

ავტორი/მოსაუბრე ცდილობს გამოიწვიოს ემოციები და განცდები, მაგალითად: თანაგრძნობა, სიხარული, შიში, აღტაცება, სიბრალული, იმედი.

საკვანძო შეკითხვა: რას გვაგრძნობინებს მისი სიტყვები?

3. ლოგიკა

ავტორი/მოსაუბრე იყენებს არგუმენტებს, ფაქტებს, მაგალითებს, მიზეზშედეგობრივ კავშირებს, მსჯელობს ლოგიკურად.

საკვანძო შეკითხვა: რით ასაბუთებს თავის პოზიციას?

დარწმუნების საშუალებათა აქტუალობა „დარწმუნების სამკუთხედზე“ წარმოდგენილი რიტორიკული საშუალებები - სანდოობა, ემოცია და ლოგიკა - ძალზე აქტუალურია თანამედროვე ცხოვრებაშიც. ადამიანები დღესაც გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ, რამდენად სანდოა ინფორმაციის წყარო, რა ემოციას იწვევს ნათქვამი/გზავნილი და რამდენად დამაჯერებელი ფაქტებითა და არგუმენტებითაა იგი გამყარებული. სწორედ ამიტომ დარწმუნების ამ საშუალებებს ფართოდ იყენებენ მარკეტინგში, პოლიტიკაში, მედიაში, სოციალურ ქსელებში, საჯარო გამოსვლებში, დებატებსა და საინფორმაციო კამპანიებში. მაგალითად:

- ✓ ცნობილი, ავტორიტეტული ადამიანის მონაწილეობა ან/და ავტორიტეტული წყაროების - მწერლების, ცნობილი ისტორიული პირების, მოაზროვნეების გამონათქვამების, ანდაზის, იგავის, პირადი გამოცდილების - დამოწმება სანდოობის შექმნას ემსახურება;
- ✓ ამაღელვებელი მუსიკა, შთამბეჭდავი გამოსახულება, განცდებით აღსავსე პირადი ისტორია - აუდიტორიის ემოციებზე ზემოქმედებს;
- ✓ მონაცემები, ფაქტები და არგუმენტები, მიზეზშედეგობრივი კავშირები - ლოგიკურ დასაბუთებას ქმნის.

ამ საშუალებათა გამოყენებას ყოველდღიურად ვხვდებით. ამის მაგალითებია: წამლის რეკლამაში ექიმის მოკლე ინტერვიუ ან/და რეკომენდაცია; სპორტული ფეხსაცმლის რეკლამაში - ცნობილი ფეხბურთელის კომენტარი; მინერალური წყლის რეკლამაში - საზოგადოებისთვის ფართოდ ცნობილი და პოპულარული პირის დასამახსოვრებელი ფრაზა; საჯარო გამოსვლაში - საკუთარი მიღწევების, ცოდნის, გამოცდილების წარმოჩენა (სანდოობა); მიუსაფარ ცხოველებზე შექმნილ სოციალურ რეკლამაში ამაღელვებელი ამბის, სენტიმენტალური მუსიკის, შთამბეჭდავი კადრების გამოყენება (ემოცია); ახალი სმარტფონის რეკლამაში ელემენტის მუშაობის ხანგრძლივობის, კამერის მეგაპიქსელების რაოდენობისა თუ ფასდაკლების პროცენტის გამოკვეთა (ლოგიკა).

დარწმუნების საშუალებათა ცოდნა მხოლოდ სხვა ადამიანების დარწმუნებაში კი არ გვეხმარება, არამედ სხვისი ნათქვამის/გზავნილის კრიტიკულად შეფასებაშიც. როდესაც მოსწავლეები უყურებენ რეკლამას, ვიდეოს, კითხულობენ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტს ან უსმენენ გამოსვლას, შეუძლიათ იკითხონ: ვინ ცდილობს ჩემს დარწმუნებას და რატომ უნდა ვენდო მას? რა ემოციის აღძვრას ცდილობს? რა ფაქტებსა და არგუმენტებს მთავაზობს?

ამდენად, „დარწმუნების სამკუთხედის“ ცოდნა მოსწავლეს დაეხმარება როგორც საკუთარი აზრის დასაბუთებულად და დამაჯერებლად გამოხატვაში, ისე სხვისი ნათქვამის

გააზრებასა და შეფასებაში. სწორედ ამიტომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **კრიტიკული აზროვნებისა და მედიაწიგნიერების** უნარების განვითარებისთვის.

ზეპირი ქვიზები

„დარწმუნების სამკუთხედის“ გაცნობის შემდეგ გაავარჯიშეთ მოსწავლეები, რათა დაეხმაროთ მიღებული ცოდნის განმტკიცებაში: წაუკითხეთ ქვემოთ მოცემული სამი ზეპირი ქვიზი და სთხოვეთ, უპასუხონ შეკითხვებს. ქვიზები მოსწავლეებს უნდა შესთავაზოთ <u>მანამდე</u>, სანამ ისინი შეასრულებენ სავარჯიშოს ილია ჭავჭავაძის ტექსტზე (აღნიშნული სავარჯიშო წარმოდგენილია მოსწავლის წიგნის 72-ე გვერდზე).

ქვიზი 1. ყურადღებით მოისმინეთ მოცემული მაგალითები და ისაუბრეთ, რომელ სფეროს უკავშირდება თითოეული მათგანი (პასუხი დაასაბუთეთ).

I. ბევრი დონატის ჭამა საზიანოა თქვენი ჯანმრთელობისთვის - ისინი მზადდება მარგარინზე და შეიცავს დიდი რაოდენობით შაქარს.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

სწორი პასუხი: ვარიანტი ბ.

II. სანამ ამ ნაბიჯს გადადგამ, ჯერ კარგად უნდა დაფიქრდე. ხომ გახსოვს ხალხური ანდაზა: „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო“.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

სწორი პასუხი: ვარიანტი ა.

III. თქვენ მიერ გაშვებული ერთი ზარი დაეხმარება მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, მხიარულად შეხვდნენ ახალი წლის ღამეს და მიიღონ საჩუქრები თოვლის პაპისაგან.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

სწორი პასუხი: ვარიანტი გ.

IV. ჩემზე უკეთ არავინ იცის ეს ამბავი - იქ ვიყავი და ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

სწორი პასუხი: ვარიანტი ა.

ქვიზი 2. ყურადღებით მოისმინეთ მოცემული მაგალითები და ისაუბრეთ, რომელი სფეროს გააქტიურებაა **<u>ყველაზე</u>** მიზანშეწონილი თითოეულ სიტუაციაში (პასუხი დაასაბუთეთ).

I. გამოდიხართ მოსწავლეთა ფიზიკის კონფერენციაზე, რათა წარმოადგინოთ თქვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები. თქვენი მსმენელები არიან კონფერენციის მონაწილე მოსწავლეები და მასწავლებლები.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

სწორი პასუხი: ვარიანტი გ.

II. ქუჩაში ხართ, აუცილებლად უნდა დარეკოთ მშობელთან. მობილური სახლში დაგრჩათ და იძულებული ხართ გამვლელებს სთხოვოთ დახმარება.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

სწორი პასუხი: ვარიანტი გ.

III. ექსკურსიაზე ხართ თქვენთვის კარგად ნაცნობ კუთხეში ან სოფელში. გსურთ დაარწმუნოთ მძღოლი, მასწავლებელი და თანაკლასელები, რომ ტრასაზე უკან დასაბრუნებლად არსებობს სხვა, უფრო მოკლე გზა.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

სწორი პასუხი: ვარიანტი ა.

ქვიზი 3. ყურადღებით მოისმინეთ დიალოგის ფრაგმენტი. მასში გააქტიურებულია „დარწმუნების სამკუთხედის“ სამივე სფერო. ისაუბრეთ, რომელი წინადადება რომელ სფეროსთანაა დაკავშირებული. პასუხი დაასაბუთეთ.

დიალოგი მშობლებთან

- რას იტყვით, „წიგნის კლუბში“ რომ ჩავეწერო? ბექა მასწავლებელი ატარებს იქ მეცადინეობებს და ხომ იცით, საუკეთესო პედაგოგად ითვლება ჩვენს სკოლაში. ყველა ჩემი მეგობარი მაგ კლუბში დადის. ამბობენ, ძალიან საინტერესოა ყველაფერი და კარგადაც ვერთობითო. თანაც, ვინც იქ დადის, ყველას მაღალი ნიშნები გამოჰყვა ლიტერატურაში.

<u>დიალოგის ტექსტი სწორი პასუხებით:</u> რას იტყვით, „წიგნის კლუბში“ რომ ჩავეწერო? ბექა მასწავლებელი ატარებს იქ მეცადინეობებს და ხომ იცით, საუკეთესო პედაგოგად ითვლება ჩვენს სკოლაში **(სანდოობა)**. ყველა ჩემი მეგობარი მაგ კლუბში დადის. ამბობენ, ძალიან საინტერესოა ყველაფერი და კარგადაც ვერთობითო **(ემოცია)**. თანაც, ვინც იქ დადის, ყველას მაღალი ნიშნები გამოჰყვა ლიტერატურაში (**ლოგიკა**).

დამატებითი დავალებები (საჭიროებისამებრ)

ქვემოთ მოცემულია ორი დამატებითი დავალება - ანალიტიკური და შემოქმედებითი, რომლებიც შეგიძლიათ შესთავაზოთ მოსწავლეებს მათი საჭიროებებისა თუ ინტერესების გათვალისწინებით (შესაძლებელია შეარჩიოთ ერთ-ერთი მათგანი). ორივე დავალება ფოკუსირებულია სარეკლამო ტექსტებზე შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1) რეკლამა, როგორც წესი, მცირე მოცულობის ან ქრონომეტრაჟისაა და მასში დარწმუნების საშუალებები მკაფიოდ იკვეთება. ეს კი მათ ამოცნობასა და გაანალიზებას ძალზე აადვილებს; 2) რეკლამა მოსწავლეთა ყოველდღიური მედიაგარემოს ნაწილია, ამიტომ მათ ამ ტიპის ტექსტებთან ურთიერთობის გამოცდილება უკვე აქვთ; 3) ამ ტიპის დავალებები ეფექტურია მედიაწიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის. შეგიძლიათ მოსწავლეებს აჩვენოთ რომელიმე სარეკლამო რგოლი და ერთობლივად გააანალიზოთ იგი.

დავალება 1. გაშიფრეთ რეკლამა

გაიხსენეთ რეკლამა, რომელიც მოგწონთ ან დაგამახსოვრდათ, შემდეგ ზეპირად გააანალიზეთ იგი „დარწმუნების სამკუთხედის“ მიხედვით. ანალიზისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი კითხვები:

- რა პროდუქტს ან მომსახურებას გვთავაზობს რეკლამა? სად ნახეთ?
- მონაწილეობს თუ არა რეკლამაში ცნობილი სახე ან ექსპერტი (მაგ.: ექიმი, სპორტსმენი)? კიდევ რით ცდილობს კომპანია თქვენი ნდობის მოპოვებას? **(სანდოობა)**
- რა გრძნობების გამოწვევას ცდილობს რეკლამა? (მაგ.: სიხარული, ოჯახური სითბო, მადის აღძვრა, სიამაყე, სიმშვიდე). როგორაა გამოყენებული ამისთვის გამოსახულებები, მუსიკა ან ფერები? **(ემოცია)**
- რა კონკრეტულ ინფორმაციას, ფაქტებს ან რიცხვებს გვაწვდის რეკლამა? (მაგ. „კლავს ბაქტერიებს“, „ფასდაკლება 50%“, „შეიცავს C ვიტამინს“) **(ლოგიკა)**

- არის თუ არა რეკლამაში დარწმუნების სამივე ხერხი გამოყენებული? თქვენი აზრით, სამი ხერხიდან რომელია ყველაზე მეტად გამოკვეთილი რეკლამაში და რატომ? ახსენით, რამ იმოქმედა თქვენზე ყველაზე მეტად და რატომ.

დავალება 2. დაარწმუნეთ თანატოლები - შექმენით რეკლამა

წარმოიდგინეთ, რომ მუშაობთ ცნობილი საერთაშორისო კომპანიის სარეკლამო დეპარტამენტში. კომპანიამ გამოუშვა ახალი, სრულიად გამორჩეული „ჭკვიანი“ ნივთი სკოლის მოსწავლეებისთვის.

თქვენი ამოცანაა, შექმნათ მოკლე და დასამახსოვრებელი რეკლამა, რომელიც დაარწმუნებს მოსწავლეებს, რომ ეს ნივთი მათთვის საჭირო და სასურველია. სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ მოიფიქროთ ამ ნივთის სახელწოდებაც.

რეკლამაში უნდა გამოიყენოთ დარწმუნების სამივე საშუალება: სანდოობა, ემოცია და ლოგიკა.

მოიფიქრეთ და დაწერეთ:

- რა არის ეს ნივთი და რა შეუძლია მას - მაგალითად: სასკოლო ზურგჩანთა, რომელიც თავად ანაწილებს ნივთებს ისე, რომ ხერხემალი არ გადაიტვირთოს; საწერი კალამი, რომელიც შეცდომით დაწერილ სიტყვაზე წითლად ინთება; წყლის ბოთლი, რომელიც ვიბრაციით გატყობინებთ, რომ დიდი ხანია წყალი არ დაგილევიათ, ან თქვენ მიერ მოფიქრებული სხვა „ჭკვიანი“ ნივთი;
- ვინ ურჩევს ამ ნივთის შეძენას სხვებს და რატომ უნდა ენდონ მას - მაგალითად, ექიმი, მასწავლებელი, მოსწავლე ან მშობელი **(სანდოობა);**
- რა უპირატესობები აქვს ამ ნივთს - მაგალითად: ფასი, ზომა, გამოყენების ხანგრძლივობა, ფასდაკლება **(ლოგიკა);**
- როგორ გააუმჯობესებს მოსწავლის ცხოვრებას ეს ნივთი - მაგალითად: შეუმცირებს დაძაბულობასა და სტრესს, შემატებს ენერგიას, გაუადვილებს სწავლას, გახდის უფრო თავდაჯერებულს **(ემოცია).**

სავარჯიშო 1. წაიკითხეთ ციტატები ილია ჭავჭავაძის საჯარო გამოსვლიდან და დაწერეთ, „დარწმუნების სამკუთხედზე“ გამოსახულ რომელ სფეროს მიეკუთვნება თითოეული მათგანი. თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

I. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის“.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

II. „გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

III. „ურმის - მკეთებელი უფრო მეტადა ღირს, ...ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ეს მუშა ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა“.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

IV. „ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედან, ამ სკოლიდან გამოსულ შვილს შეჰხაროდეთ“.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

V. „თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე ღმერთმა უხვების კალთა ამ ქვეყანაში დაიბღერტაო“.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

VI. „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა ... ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო“.

ა) სანდოობა;

ბ) ლოგიკა;

გ) ემოცია.

ქვიზის სწორი პასუხები:

I -------- ა, II ------- ა, III ------ ბ, IV ------ გ, V ------- ა, VI ------ ა

<u>რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“</u>

ილია ჭავჭავაძე თავის სიტყვაში ორ რიტორიკულ შეკითხვას სვამს:

1. „- მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? - მკითხავთ თქვენ“.

ილია თავადვე იგონებს კითხვას, რომელიც შეიძლება ხალხს გაუჩნდეს, თითქოს გამოიცნობს მათ გულისთქმას. ამით ილიას სურს, მსმენელები დაარწმუნოს, რომ მათი გასაჭირი კარგად ესმის. ეს კითხვა ერთგვარი „ხიდია“ პრობლემასა (სიღარიბეს) და გამოსავალს (ცოდნას) შორის. თუ ილია პირდაპირ იტყოდა: „ჩვენ ღარიბები ვართ, რადგან ცოდნა არ გვაქვს“ - ეს მოსაწყენ ლექციასავით იქნებოდა - კითხვა ყოველთვის უფრო მეტ ემოციას იწვევს, ვიდრე უბრალო მსჯელობა. რიტორიკული შეკითხვის დასმა კი აცოცხლებს ნათქვამს და გამომსვლელი დიალოგს ამყარებს მსმენელებთან. შეკითხვის დასმა დაგვაფიქრებს - სანამ პასუხს თავად გვეტყვის ავტორი, ჩვენს გონებაში უკვე იწყება ფიქრი გამოსავალზე.

• მოძებნეთ ილიას სიტყვაში მეორე რიტორიკული შეკითხვა და ისაუბრეთ: რა არის ამ შეკითხვის დანიშნულება? რის მოსასმენად ამზადებს ავტორი მკითხველს? თქვენი აზრით, რა ემოციას გამოიწვევდა ეს შეკითხვა მსმენელებში?

კომენტარი: ილია სვამს რიტორიკულ კითხვას: „როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს?“ ამ კითხვის მიზანია, რომ ახლად დაფუძნებული სამეურნეო სკოლის მიზნებზე დააფიქროს მსმენელი. ილია ამზადებს მსმენელს ამ პასუხის მოსასმენად: „გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო... ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი - აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს“... ამ შეკითხვით გამოწვეული ემოცია, რასაკვირველია, მიემართებოდა ადგილობრივი გლეხობის ფიქრს წინამძღვრიანთკარის სკოლაზე.

<u>რუბრიკა „შეადარეთ“</u>

გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“. მასში ვხვდებით საერთო ადგილებს ილიას საჯარო სიტყვასთან, რაც მიგვანიშნებს, რომ ის აფასებდა და იზიარებდა დავით გურამიშვილის შეხედულებებს.

• წაიკითხეთ ციტატები ილია ჭავჭავაძის საჯარო სიტყვიდან და მოძებნეთ მსგავსი შინაარსის ფრაზები დავით გურამიშვილის ლექსში.

1. „(ცოდნა) იმისთანა (სიმდიდრეა), რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ“.
2. „ვერცა ვინ მოჰპარავს (ცოდნას), ვერცა ვინ წინ გადუდგება“.
3. „კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია“.

კომენტარი:

1. „ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების, აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების“.
2. „[ცოდნა] არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების...“
3. „ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების!“

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“</u>

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. წერილი მეგობარს - წარმოიდგინეთ, რომ ესწრებით წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნას და ილიას სიტყვის ზეგავლენით გადაწყვიტეთ გახდეთ ამ სასწავლებლის მოსწავლე. მისწერეთ მეგობარს წერილი, რომელშიც შეატყობინებთ თქვენს გადაწყვეტილებას და აუხსნით მიზეზს. გადმოეცით, რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ილიას სიტყვაში და რატომ, რომელმა მაგალითმა დაგარწმუნათ ყველაზე მეტად იმაში, რომ აუცილებელია ცოდნის შეძენა. გამოკვეთეთ წერილის სამი ძირითადი ნაწილი (მიმართვა, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება).

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა ადეკვატურად და სიღრმისეულად არის გააზრებული.	მაღალი
	მოსწავლე ადეკვატურად იგებს და სწვდება დავალების პირობას, თუმცა პირობის გაგება ყოველთვის სიღრმისეული არ არის.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შეიმჩნევა თემიდან მცირედი გადახვევის ზოგიერთი შემთხვევა, ან: ერთ-ერთი მოთხოვნა ნაკლებად / არასრულად არის წარმოდგენილი.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გააზრებული; ნამუშევარი არ შეესაბამება პირობას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	დაცულია ლოგიკური თანმიმდევრობა; გამოკვეთილია წერილის ძირითადი ნაწილები: მიმართვა, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება; აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	მაღალი
	სტრუქტურა და ლოგიკური თანამიმდევრობა ძირითადად დაცულია, თუმცა აბზაცები ყოველთვის სწორად არ არის გამოყოფილი, ან რომელიმე ნაწილი ნაკლებადაა გამოკვეთილი.	საშუალო
	სტრუქტურა ნაწილობრივ გამართულია, ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი, ან აკლია რომელიმე ნაწილი.	საბაზისო
	სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, წერილის ფორმა თითქმის არ არის დაცული; აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.	საწყისი
	გამოყოფილია ილიას სიტყვიდან ყველაზე შთამბეჭდავი აზრი და მაგალითი; ნათლადაა	მაღალი

III კრიტერიუმი. ილიას სიტყვის გააზრება და გამოყენება	ახსნილი, რატომ მოახდინა სიტყვამ მოსწავლეზე გავლენა და როგორ დაუკავშირდა ეს ცოდნის მიღების სურვილს.	
	მოყვანილია შესაბამისი აზრი ან მაგალითი ილიას სიტყვიდან და ახსნილია მისი გავლენა, თუმცა მსჯელობა ზოგჯერ ნაკლებად კონკრეტულია.	საშუალო
	ჩანს ძირითადი ვითარება, თუმცა გადაწყვეტილება ან მისი მიზეზები ბუნდოვნადაა გადმოცემული; ტექსტი ზოგჯერ ჩვეულებრივ თხზულებას ემსგავსება.	საბაზისო
	ილიას სიტყვიდან კონკრეტული აზრი ან მაგალითი არ არის გამოყენებული, ან მისი კავშირი მოსწავლის გადაწყვეტილებასთან გაურკვეველია.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი - შეესაბამება მეგობრისადმი მიწერილ წერილს; ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევებში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო

	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

2. **როლური თამაში** - გაეცანით როლური თამაშის სცენარებს და ურთიერთშეფასების რუბრიკას. შემდეგ შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი სცენარი, გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ სიტუაცია კლასის წინაშე. შეეცადეთ გამოიყენოთ არგუმენტები „დარწმუნების სამკუთხედის“ სამივე სფეროდან.

სიტუაცია 1. დაარწმუნეთ მასწავლებელი, რომ ნიშნის გამოსასწორებლად მოგცეთ დამატებითი დავალება.

კომენტარი: მოსწავლეს შეუძლია, მაგალითად, მსგავსი ტექსტის მომზადება: „მასწავლებელო, ვფიქრობ, რომ ჩემი მიმდინარე შეფასება ჩემს რეალურ ცოდნასა და პოტენციალს არ ასახავს. მინდა დაგიმტკიცოთ, რომ მასალა კარგად ავითვისე, ამიტომ მზად ვარ, ნიშნის გამოსასწორებლად ნებისმიერი სირთულის დამატებითი დავალება ან პროექტი შევასრულო. ეს მეც დამეხმარება ცოდნის განმტკიცებაში და თქვენც დაგანახვებთ ჩემს შესაძლებლობას.“ ამ ნათქვამში პირველი წინადადება სანდოობის ელემენტებს შეიცავს, მეორე - ლოგიკის, ხოლო მესამე - ემოციისას.

სიტუაცია 2. დაარწმუნეთ მშობლები, გაგიშვან ღამისთევით მასწავლებლის მიერ დაგეგმილ ლაშქრობაზე, რომელიც შორ მანძილზე ეწყობა.

კომენტარი: შესთავაზეთ მოსწავლეებს, მაგალითად, ასეთი ტექსტი: „მესმის, რომ შორს და ღამისთევით ჩემი გაშვება განერვიულებთ, მაგრამ ეს ლაშქრობა ორგანიზებულია მასწავლებლის მიერ, რომელიც მთელ მარშრუტსა და უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი. ჩემთვის ეს საუკეთესო შესაძლებლობაა, ვისწავლო დამოუკიდებლობა, გუნდური მუშაობა და დავუახლოვდე კლასელებს. მუდმივად ხაზზე ვიქნები, მასწავლებლის ნომერსაც დაგიტოვებთ და, თუ გსურთ, თავად დაურეკეთ დეტალების დასაზუსტებლად.“ მასწავლებელმა დამაზუსტებელი კითხვებით მოსწავლე უნდა მიიყვანოს იქამდე, რომ ბავშვებმა ჩამოაყალიბონ, თუ რა შეიძლება იყოს მშობლისთვის დამაბრკოლებელი, რომ შვილს ლაშქრობაზე წასვლის ნებას არ რთავს? რა საშიშროება ახლავს ამგვარ ლაშქრობას? მოსწავლემ უნდა გამოიყენოს დარწმუნების ელემენტები.

სიტუაცია 3. დაარწმუნეთ თანაკლასელები, რომ კინოში წასვლას სადმე ერთად გასეირნება სჯობს.

კომენტარი: მოსწავლეს შეუძლია მოამზადოს, მაგალითად, ასეთი შინაარსის ტექსტი: „მეგობრებო, ფილმის ნახვა და შემდეგ მასზე მსჯელობა მეც ძალიან მიყვარს, თუმცა კინოში სხვა დროსაც შეგვიძლია წასვლა, ცუდ ამინდშიც. თან იქ ორ საათს სიბნელეში, ჩუმად გავატარებთ და ერთმანეთთან დალაპარაკებასაც ვერ მოვახერხებთ. დღეს კი ძალიან კარგი ამინდია, ამიტომ სადმე ერთად გასეირნება ბევრად სჯობს, რადგან შევძლებთ ნორმალურად ვისაუბროთ, ვიცინოთ, სამაგიდო თამაშები ვითამაშოთ და კარგად გავერთოთ, მოვილხინოთ. უფრო ნაკლები ხარჯიც გვექნება და ბევრი სასიამოვნო მოგონებაც დაგვრჩება!“

<u>რუბრიკა „მოგზაურობა ციფრულ სამყაროში“</u>

ისაუბრეთ:

- **რა არის გამომსვლელის მიზანი?**

კომენტარი: გამომსვლელის მიზანია, რომ ისაუბროს საკუთარ, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მისიაზე და მისადმი ხალხის საპასუხო დამოკიდებულებაზე.

- **რა ტიპის მაგალითები მოჰყავს ივანე ჯავახიშვილს თავისი მოღვაწეობის შეფასებისას - „დარწმუნების სამკუთხედის“ რომელ სფეროებს უკავშირდება ისინი?**

კომენტარი: ივანე ჯავახიშვილს მოჰყავს ჭიანჭველისა და ფუტკრის მაგალითები. ჭიანჭველა ეპოტინება დიდ მარცვალს და მიაქვს. ერთ ფუტკარს შეუძლია შრომა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, ხოლო ფუტკრის სკას ერთობლივი ძალისხმევით ძალუძს თაფლით გაახაროს არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ სხვებიც.

- **როგორ დაახასიათებდით გამომსვლელს (მაგ.: თავმომწონეა, მკაცრია, თავმდაბალია)? საიდან ჩანს ეს?**

კომენტარი: გამომსვლელი თავმდაბალი და მოკრძალებულია, რადგან საუბრობს იმაზე, რომ მარტო ვერ შეძლებდა იმ სამუშაოს გაწევას, რომელსაც ემსახურებოდა. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, თუ თავის მოღვაწეობაში ნაყოფიერი შედეგი მიიღო, ბედნიერი იყო, რომ გვერდს უმშვენებდნენ საუკეთესო მუშაკები, საერთო მიზნებით გაერთიანებული ადამიანები.

- **იყენებს თუ არა ქართველი მეცნიერი ისეთ სიტყვებს ან ფრაზებს, რომლებსაც დღეს აქტიურად აღარ ვხმარობთ? დაასახელეთ ისინი.**

კომენტარი: მეცნიერი იყენებს თანამედროვე ქართული ენისთვის არააქტუალურ, არადამახასიათებელ ფორმებს, როგორებიცაა: „გამარტოებული მუშაობა“...„სიყვარულის გამოხატულება, რომელიც თქვენ ინებეთ“, “აუცილებლივ აუცილებლობის შესახებ“, „ეს არც საკადრისია ჩემს მხრივ“... ამგვარი სიტყვები და ფრაზები მეცნიერის მეტყველებას განსხვავებულ ელფერს აძლევს და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე.

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვები“;

ვახტანგ გურული, მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძე“, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“; 2014

თამაზ ჯოლოგუა, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2013;

გურამ შარაძე, „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბილისი, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1990;

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:</u>

დოკუმენტური ფილმი „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან“, პირველი არხი, 1986;

გიორგი შენგელაიას დოკუმენტური ფილმი „ილია“;

3. დავით კლდიაშვილი - ჩემი ცხოვრების გზაზე

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი)

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ მხატვრული ტექსტი - **მემუარი (ავტობიოგრაფიული, მოგონებები)** შინაარსობრივი მხარე - თემა, ქვეთემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი (რეალური, წარმოსახვით-ფანტასტიკური); პერსონაჟი (მაგ.: მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება); დიალოგი და მისი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ავტორისეული დახასიათება; ავტორისეული პლანი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; ეპიზოდი; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი, გარეგანი); სტრუქტურა-აგებულება - სათაური, ქვესათაური, თავი, ქვეთავი, აბზაცი; ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: ეპითეტი, შედარება, ირონია); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. ტექსტების სახეობები - თხრობითი. **2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“** კონტექსტური ფაქტორები ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ.: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა). ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი გამოცდილება.
მოსალოდნელი შედეგები
მოსწავლეს შეუძლია: • კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

- ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე;
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;
- შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას.
- ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
- მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;
- ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
- ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში/კულტურულ არეალში შექმნილ ტექსტებში მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით;
- იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.

ნაწარმოების შესახებ:

დავით კლდიაშვილი მწერალიც იყო და საზოგადო მოღვაწეც, რომელმაც მთელი ცხოვრება და შემოქმედება სამშობლოს ხსნასა და განვითარებას მიუძღვნა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში ყოფნა უწევდა, იგი მუდამ ქართულ საქმეს აკეთებდა. ის გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი ყველაზე თავდადებული და აქტიური წევრი. ამ საზოგადოების საქმიანობა კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელ საქართველოში.

დავით კლდიაშვილმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა აჭარაში სამხედრო სამსახურის დროს ადგილობრივი ქართული სკოლების გახსნასა და შენარჩუნებაში. ის პირადად ზრუნავდა რეგიონებში ქართული წიგნებისა და სახელმძღვანელოების ჩატანასა და გავრცელებაზე, ბათუმში ყოფნისას (სადაც ვიცე-პოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა), კლდიაშვილი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან მოახერხა ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი სიყვარულისა და ნდობის მოპოვება, იცავდა მათ ინტერესებს იმპერიის მოხელეთა თვითნებობისგან.

დავით კლდიაშვილი იყო ბათუმის ქართული დრამატული წრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და რეჟისორი. თავად დგამდა სპექტაკლებს და მართავდა საღამოებს, ხოლო შემოსული თანხა მთლიანად ღარიბი მოსწავლეების განათლებასა და საზოგადოებრივ საჭიროებებს ხმარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან რუსულ ყაიდაზე

ზრდიდნენ, მან შეინარჩუნა მტკიცე ეროვნული იდენტობა. 1905 წლის რევოლუციის დროს, ქართველი მუშებისა და გლეხობის მხარდაჭერისა და პროგრესული იდეების გამო, მეფის მთავრობამ იგი „არასაიმედო“ მოხელედ მიიჩნია და იძულებით დაითხოვა სამხედრო სამსახურიდან პენსიის გარეშე. დავით კლდიაშვილის ეროვნული მოღვაწეობა იყო ილია ჭავჭავაძის გზის გაგრძელება - უხმაურო და თავდაუზოგავი შრომა ხალხის გამოსაფხიზლებლად.

დავით კლდიაშვილის მემუარული თხზულება „ჩემი ცხოვრების გზაზე“ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს უმძიმეს სოციალურ-პოლიტიკურ რეალობას ასახავს. ავტორი საკუთარი ბავშვობის მაგალითზე აშიშვლებს რუსეთის იმპერიის ასიმილაციის პოლიტიკას, რომელიც ქართველი თავადაზნაურობის შვილების „გარუსებასა“ და მშობლიური ფესვებიდან მოწყვეტას ისახავდა მიზნად. უფასო სამხედრო განათლების სანაცვლოდ, ქართველი მოზარდები კარგავდნენ ენას, ზნესა და ეროვნულ ვინაობას.

სახელმძღვანელოში მოცემული ფრაგმენტის ყველაზე დრამატული და ემოციური კულმინაცია დედისა და შვილის შეხვედრის სცენაა. სამი წლის განშორების შემდეგ რუსეთიდან დაბრუნებულ დავითს საკუთარ დედასთან საუბრისას თარჯიმანი სჭირდება. ეს ეპიზოდი არა მხოლოდ ერთი ოჯახის, არამედ მთელი იმდროინდელი საზოგადოების ტრაგედიაა, უფსკრული, რომელიც განათლების არასწორმა, იმპერიულმა სისტემამ მშობლებსა და შვილებს შორის გააჩინა. ხალხის მწარე იუმორი და ფრაზა: „დასამუნჯებლად რაღა რუსეთში აგზავნიდით“ - ნათლად აჩვენებს, რომ მშობლიური ენის დაკარგვა საზოგადოებისთვის ადამიანურობისა და მეტყველების უნარის დაკარგვასთან არის გაიგივებული.

მიუხედავად ასეთი ძლიერი ზეწოლისა, ტექსტის ფინალი მაინც იმედიანია და გარდატეხის მომენტს ასახავს. უცხოურ გარემოში მყოფ მოზარდში უცხოელი მასწავლებლისა და რუსულენოვანი ენციკლოპედიის დახმარებით იღვიძებს ინტერესი საკუთარი ისტორიის მიმართ. დავითი თავადვე ადგენს საქართველოს მოკლე ისტორიას, რითაც უპირისპირდება გარემოს გულგრილობას და იწყებს გზას ეროვნული თვითშეგნების დაბრუნებისკენ.

ეს ავტობიოგრაფიული ნაწარმოები საუკეთესო სახელმძღვანელოა მოსწავლეებისთვის იმის გასააზრებლად, რომ ენა და ისტორიული მეხსიერება არის ის უმთავრესი განძი, რომლის გარეშეც ადამიანი, თუნდაც უმაღლესი განათლებით, საკუთარ სამშობლოში უცხოდ რჩება.

ეპიზოდის მთავარი სათქმელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის ეროვნული იდენტობის შენარჩუნება და რამდენად ტრაგიკული შეიძლება იყოს მცირე ასაკში მშობლიური ფესვებიდან მოწყვეტა.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- თქვენი აზრით, რატომ ცდილობდა რუსეთის იმპერია მეცხრამეტე საუკუნეში სხვა ქვეყნის შვილების თავის კულტურაზე გადაყვანას? იცით თუ არა, რას ნიშნავს „ასიმილაცია“?
- ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნეში რუსულ სამხედრო სკოლებში სასწავლებლად მხოლოდ თავადაზნაურთა შვილები მიჰყავდათ. თქვენი აზრით, რატომ არ იყო გლეხისთვის ხელმისაწვდომი განათლების მიღება?
- წარმოიდგინეთ, რომ ხართ მეცხრამეტე საუკუნის მშობელი. თქვენ წინაშეა არჩევანი: მისცეთ შვილს უმაღლესი განათლება, მაგრამ მან დაკარგოს ენა და ეროვნება, ან დატოვოთ სახლში, სადაც განათლების პირობები არ არის. რას მოიმოქმედებდით და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რა აქცევს ადამიანს თავისი ქვეყნის შვილად - მხოლოდ გვარი თუ ენა, ტრადიციები და ცნობიერება, აზროვნების სტილი?
- როგორ ფიქრობთ, დღეს, როცა ახალგაზრდები სხვა ქვეყნებში მიდიან სასწავლებლად ან საცხოვრებლად, ემუქრებათ თუ არა მათ მშობლიური ენის დავიწყების საფრთხე? რა ეხმარებათ მათ ენის შენარჩუნებაში?
- რა ელის სრულიად უცხო გარემოში მოხვედრილ ცხრა-ათი წლის მოზარდს, რომელსაც მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც კი აღარავისგან ესმის?
- თქვენი აზრით, ინანებენ თუ არა ქართველი მშობლები, რომ მცირე ასაკში შვილს განათლება უცხო ქვეყანაში უცხო ენაზე მიაღებინეს? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რამდენად საინტერესოა უცხო ქვეყანაში უცხო ენაზე სწავლის პროცესში ქართველისთვის საქართველოს ისტორია?
- როცა ჩვენს ინტერესს მეგობრები გულგრილად ხვდებიან, ეს ხშირად გულს გვიტეხს ხოლმე. თქვენ რომ რამე ჩანაწერები ან ხელნაწერი წიგნი შექმნათ და სცადოთ მეგობრების დაინტერესება, მათ კი გულგრილობით გიპასუხონ, გააგრძელებდით თუ არა ამ საქმის სრულყოფას?

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“</u>

1. რა მიზნით მიჰყავდა მთავრობას ქართველი ბავშვები რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში? როგორ ახასიათებს რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას ამგვარი განზრახვა?

კომენტარი: მთავრობის მთავარი მიზანი იყო ქართველი მოზარდების გარუსება (ასიმილაცია) და მათი ჩამოყალიბება იმპერიის ერთგულ, მორჩილ ქვეშევრდომებად. რუსეთის ხელისუფლება ამ მიზანს წარმატებით აღწევდა, რადგან მშობლიურ გარემოსა და სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვები ივიწყებდნენ მშობლიურ ენას, ტრადიციებსა და ზნეს. ისინი საქართველოში ბრუნდებოდნენ მხოლოდ ქართული გვარით, მაგრამ მენტალურად და კულტურულად „თავიდან-ფეხებამდე გარუსებულნი“, რაც იმპერიას ადგილზე თავისი პოლიტიკის გატარებას უადვილებდა. ეს განზრახვა რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას ახასიათებს, როგორც ვერაგ და დაუნდობელ ძალას, რომელიც დაპყრობილი ხალხების დასამორჩილებლად უხეშ ძალაზე მეტად კულტურულ იარაღს იყენებდა. იმპერია იყენებდა ქართველი თავადაზნაურობის ეკონომიკურ სიდუხჭირეს და მათ „უფასო, სახელმწიფო ხარჯზე სწავლებას“ სთავაზობდა. ეს იყო სატყუარა, რომლითაც მშობლებს შვილების საკუთარი ნებით დათმობას აიძულებდნენ. ცარისტულ ხელისუფლებას კარგად

ჰქონდა გააზრებული, რომ ქვეყნის დასამორჩილებლად საუკეთესო გზა მისი მომავალი ინტელექტუალური ფენისთვის ეროვნული ცნობიერების წაშლა და მათი მეშვეობით ეროვნული მეხსიერების განადგურებაა.

2. რატომ სთანხმდებოდნენ მშობლები შვილების შორს გაგზავნას, მიუხედავად იმისა, რომ მათი „გარუსების“ საფრთხე არსებობდა? რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?

კომენტარი: მშობლები ამ გადაწყვეტილებას ძირითადად ეკონომიკური გაჭირვების გამო იღებდნენ. რუსეთის იმპერიული მთავრობა ბავშვებს თავის ხარჯზე ზრდიდა და მშობლებს ფინანსური ტვირთისგან ათავისუფლებდა. იმდროინდელი გაღატაკებული ქართველი თავადაზნაურობისთვის ეს იყო ერთადერთი ხელმისაწვდომი გზა, რომ შვილებისთვის განათლება მიეცათ და მათი მომავალი უზრუნველეყოთ, თუნდაც ამას უმძიმესი ეროვნული ფასი ჰქონოდა. იმდროინდელი ქართველი საზოგადოება ისეთ უკიდურეს სიდუხჭირეში იმყოფებოდა, რომ იძულებული ხდებოდა, მატერიალური შეღავათის გამო ასეთი მსხვერპლი გაეღო. მშობლების ნაწილს სათანადოდ არც ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა მასშტაბის კატასტროფა იყო შვილისთვის მშობლიური ენისა და იდენტობის დაკარგვა. მათთვის ყოფითი გადარჩენა და სოციალური სტატუსი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ეროვნული ფესვების შენარჩუნება. ამასთან, ქართველ საზოგადოებას არ ჰქონდა სხვა არჩევანი - ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღება შეუძლებელი იყო, არ არსებობდა ასეთი სასწავლებლები, რის გამოც იგი სრულად იყო დამოკიდებული დამპყრობლის ნებაზე.

3. რა ხერხს მიმართავდნენ ქართველი ბავშვები რუსეთში ყოფნისას, რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდათ?

კომენტარი: რუსეთში მყოფი ქართველი ბავშვები ენის დავიწყების ასაცილებლად ერთად იკრიბებოდნენ ხოლმე და სპეციალურად ვარჯიშობდნენ - ყვებოდნენ ქართულ ზღაპრებს და კითხულობდნენ წიგნებს, რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდათ. თუმცა, მიუხედავად ამ მცდელობისა, გარემო იმდენად ძლიერ გავლენას ახდენდა მათზე, რომ დროთა განმავლობაში მშობლიურ ენაზე ლაპარაკი მაინც უფრო და უფრო უძნელდებოდათ.

4. თქვენი აზრით, რას განიცდიდნენ ისინი - რა მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვებისთვის ქართულად საუბარს?

კომენტარი: ტექსტში აღწერილი რეალობიდან გამომდინარე, რუსეთში მყოფი ქართველი ბავშვებისთვის მშობლიურად საუბარს უდიდესი ფსიქოლოგიური და ემოციური მნიშვნელობა ჰქონდა. ოჯახსა და ქვეყანას მოწყვეტილ პატარა ბავშვებს უცხო, ცივ და მკაცრ სამხედრო გარემოში მუდმივ სტრესში მყოფთ, მშობლიური გარემო ენატრებოდათ და ნოსტალგიას განიცდიდნენ. ქართული ენა მათთვის სახლთან ერთადერთი დამაკავშირებელი ხიდი იყო. ფრაზა: „ვატყობდით ჩვენს თავს, თუ როგორ გვავიწყდებოდა მშობლიური ენა“ - აჩვენებს, რომ ისინი აცნობიერებდნენ ამ დანაკარგს და შინაგანად ებრძოდნენ საკუთარი „მეს“, საკუთარი ფესვების წაშლას.

5. რამდენი წლის შემდეგ დაბრუნდა დავითი შინ პირველად და რა მდგომარეობაში დახვდა მას დედა?

კომენტარი: დავითი სახლში პირველად 3 წლის შემდეგ დაბრუნდა (ამ ხნის განმავლობაში მშობლები საერთოდ არ ენახა). იგი არდადეგებზე, გამოცდების დასრულების შემდეგ, გაზაფხულზე გამოემგზავრა. დედა მას სიხარულის ტირილით შეხვდა, თუმცა ფიზიკურად დაუძლურებული იყო იმ დიდი ჯავრისა და დარდის გამო, რომელიც შვილთან 3-წლიანმა განშორებამ მოუტანა.

6. ვინ გაუწია დავითს „თარჯიმნობა“ სოფელში, რატომ გახდა მისი დახმარება აუცილებელი?

კომენტარი: დავითს თარჯიმნობა გაუწია თანატოლმა ბიძაშვილმა, რომელიც მან საგანგებოდ წაიყვანა სოფელში დედასთან. ბიძაშვილის დახმარება იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ დედასა და შვილს შორის ენობრივი ბარიერი აღიმართა: დავითის დედამ რუსული ენა არ იცოდა, ხოლო თავად დავითს, რუსეთში სამწლიანი სწავლისა და იზოლაციის გამო, ქართული უკვე სრულიად დავიწყებული ჰქონდა. მათ, უბრალოდ, აღარ შეეძლოთ ერთმანეთის გაგება თარჯიმნის გარეშე.

7. კონკრეტულად, რისი წყალობით შეძლო დავითმა „საქართველოს მოკლე ისტორიის“ შედგენა? რა როლი შეასრულა ამაში შემთხვევამ და რა - დავითის პირადმა მონდომებამ და აქტიურობამ?

კომენტარი: გერმანული გვარის მქონე მასწავლებელმა, ბერენშლაბმა, თავად ჰკითხა დავითს, აინტერესებდა თუ არა საქართველოს ისტორია და დაჰპირდა, რომ თავის ბიბლიოთეკაში მოუძებნიდა სათანადო წიგნს. დავითი უცაბედად წააწყდა საქართველოს შესახებ ცნობებს ტოლის იმდროინდელ ენციკლოპედიურ სიტყვარში. შემთხვევითი აღმოჩენა არაფერი იქნებოდა, რომ არა თავად დავითის უდიდესი მონდომება, რაც რამდენიმე ქმედებაში გამოიხატა: ენციკლოპედიის პოვნის შემდეგ მან წიგნი „ხელიდან არ გააგდო“. საკუთარი ინიციატივით, ცალკე რვეულში სათითაოდ ამოიწერა ყველაფერი, რაც კი საქართველოს შესახებ ეწერა. მოზარდმა, ფაქტობრივად, პირველადი წყაროების დამუშავებით, სრულიად დამოუკიდებლად შექმნა თავისი პირველი ისტორიული ნაშრომი. მიუხედავად იმისა, რომ მისმა ამხანაგებმა ეს ნაშრომი გულგრილად მიიღეს, დავითს გული არ გასტეხია, პირიქით, უფრო მეტად აღეძრა სურვილი, გაეგო საკუთარი ქვეყნის წარსული.

შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია დაამატოს ამგვარი ინფორმაცია და კითხვა:

დავით კლდიაშვილს როცა მემუარების დაწერა შესთავაზა სერგო კლდიაშვილმა (შვილმა), უთქვამს: „დავწერ, თუ დავრწმუნდი, რომ მას ექნება საზოგადოებრივი მნიშვნელობაო“.

„მემუარებიდან“ აქ განხილული ეპიზოდის მიხედვით, რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ამ ნაწარმოებს?

<u>რუბრიკა „დააკვირდით“</u>

- **დავით კლდიაშვილი აღწერს, თუ როგორ ცდილობდნენ ბავშვები მშობლიური ენის შენარჩუნებას, მაგრამ საბოლოოდ ეს ვერ მოახერხეს. რატომ აღმოჩნდა ბავშვების მცდელობა (ზღაპრების მოყოლა) არასაკმარისი, რამ განაპირობა ენის საბოლოო დავიწყება?**

კომენტარი: ბავშვების მცდელობა იმიტომ აღმოჩნდა არასაკმარისი, რომ რამდენიმე მოზარდის ერთად შეკრება და ზღაპრების მოყოლა ვერ დაუპირისპირდა იმ მძლავრ იმპერიულ სისტემას, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ენის საბოლოო დავიწყება განაპირობა სამმა მთავარმა ფაქტორმა: 1. სრულმა იზოლაციამ მშობლიური გარემოდან (ბავშვები წლების განმავლობაში საერთოდ ვერ ხედავდნენ ოჯახის წევრებს და მოწყვეტილნი იყვნენ ცოცხალ ქართულენოვან საზოგადოებას); 2. უცხოენოვანი გარემოს სრულმა გავლენამ (მათი ყოველდღიური ყოფა - სწავლა, სამხედრო წვრთნები, ურთიერთობები და კომუნიკაცია - მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა); 3. მუდმივი პრაქტიკის ნაკლებობამ (ზღაპრების მოყოლა იყო ეპიზოდური ვარჯიში. ენის შესანარჩუნებლად საჭიროა მისი მუდმივი გამოყენება ცხოვრების ყველა სფეროში).

- **შეხვედრის სცენაში დედა-შვილი ერთმანეთთან თარჯიმნის დახმარებით ლაპარაკობს. რატომ არის თარჯიმნის დახმარება ამ შეხვედრაზე ტრაგიკული ფაქტი? თქვენი აზრით, რას გრძნობდა დედა, როცა საკუთარ შვილთან საუბარი სხვისი დახმარებით უწევდა?**

კომენტარი: ამ შეხვედრაზე თარჯიმნის დახმარება იმიტომ არის ტრაგიკული ფაქტი, რომ იგი ცხადად აჩვენებს ადამიანისთვის ყველაზე ახლო, სისხლისმიერი კავშირის გაწყვეტას. დედასა და შვილს შორის ურთიერთობის შეუძლებლობა ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ შეუძლია იმპერიულ საგანმანათლებლო სისტემას ადამიანს წაართვას არა მხოლოდ იდენტობა, არამედ საკუთარი ოჯახის წევრებთან სიახლოვის უნარიც კი. დედისთვის შვილის ფიზიკური დაბრუნება ვერ აქარწყლებდა იმ მწარე რეალობას, რომ მისი შვილი სულიერად და კულტურულად უცხო ადამიანად იქცა. შვილთან სასაუბროდ ნათესავის დახმარების საჭიროება დედისთვის უდიდესი მორალური დარტყმა იქნებოდა, რაც შვილის საბოლოო დაკარგვის განცდას უჩენდა.

- **რატომ არის თარჯიმანი ამ სცენაში „კედელი“ დედასა და შვილს შორის? როგორ ცვლის თარჯიმნის საჭიროება ოჯახურ გარემოს?**

კომენტარი: ამ სცენაში დედა-შვილს შორის კავშირს კედლად ეღობება ენობრივი გაუცხოება. სწორედ ენობრივი ბარიერის დასაძლევადაა აქ თარჯიმანი, თუმცა დედაშვილური ურთიერთობა იმდენად წმინდაა, რომ მათ შორის თუნდაც კეთილი მიზნით ჩამდგარი ნებისმიერი ვინმე ან რაიმე „კედლად“ იქცევა, რადგან ის აშორებს და ბლოკავს პირდაპირ, უშუალო ემოციურ კავშირს.

ოჯახური სიყვარული, ზრუნვა და განცდები, რომლებიც სპონტანურად, მშობლიური ენის ინტონაციებითა და ნიუანსებით უნდა გადაცემულიყო, ახლა მესამე პირის ცივ, მექანიკურ თარგმანზე ხდება დამოკიდებული. დედისა და შვილის სიტყვები ერთმანეთამდე მხოლოდ სხვისი გაფილტრული და გადამუშავებული სახით აღწევს. თარჯიმნის საჭიროება ოჯახურ გარემოს სრულიად ცვლის და მას ინტიმურობასა და ბუნებრიობას უკარგავს: დედასა და შვილს შორის არსებული ყველაზე სათუთი სივრცე საჯარო ხდება, რადგან მათ საუბარში მესამე პირი ერევა. თბილი, მყუდრო ოჯახური კერა უცებ გარდაიქმნება ოფიციალურ, ცივ გარემოდ, სადაც საკუთარ სახლში მყოფი შვილი სტუმრად, უცხოდ მოიაზრება.

შენიშვნა: შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ დავით გურამიშვილიც ათეული წლების განმავლობაში არაქართულ გარემოში ცხოვრობდა, მაგრამ ბრწყინვალე მოქართულე იყო სიცოცხლის ბოლომდე.

დასკვნა: ამ მხრივ ბავშვობის ასაკი არის სათუთი და სახიფათო (დ. კლდიაშვილის შემთხვევა ამას ადასტურებს).

<u>რუბრიკა „ლიტერატურული მეგზური“</u>

მოძებნეთ დავით კლდიაშვილის ტექსტში მაგალითები, რომლებიც ადასტურებს, რომ ეს ნაწარმოები მემუარების წიგნია.

კომენტარი: ტექსტში მკაფიოდ ჩანს რამდენიმე მთავარი ფაქტი და მხატვრული დეტალი, რომლებიც ადასტურებს, რომ ნაწარმოები სწორედ მემუარული (ავტობიოგრაფიული) ჟანრისაა:

ეს მახასიათებლებია:

- ✓ პირველ პირში თხრობა: მთელი ტექსტი მიმდინარეობს პირველ პირში („მე“ და „ჩვენ“ ფორმატში). ავტორი თავად არის მოვლენების მონაწილე და თვითმხილველი, რაც მემუარების მთავარი ნიშანია: „ერთ დღეს მამამ გამომიცხადა...“, „ვატყობდით ჩვენს თავს...“, „შევადგინე, ჩემთვის მოულოდნელად, საქართველოს მოკლე ისტორია“.
- ✓ კონკრეტული ავტობიოგრაფიული ფაქტები და რეალური პირები: ავტორი ასახელებს თავისი ცხოვრების ზუსტ ეტაპებს, რეალურ ადამიანებსა და ნათესავებს: „მეხუთე კლასში ვიყავი...“, „...მასწავლებელმა, გვარად ბერენშლაბმა, მკითხა...“, „...წავიყვანე თარჯიმნად ჩემი თანატოლი ბიძაშვილი...“.
- ✓ წარსული მოვლენების გახსენება (რეტროსპექტივა): ტექსტში პირდაპირ არის მინიშნებები იმაზე, რომ ავტორი ასაკიდან ან დროის გადასახედიდან იხსენებს თავის ბავშვობას: „მეხუთე კლასში ვიყავი, მახსოვს, იმ დროს...“.
- ✓ ზუსტი ქრონოლოგია და გეოგრაფიული ადგილები: ავტორი მიუთითებს კონკრეტულ ვადებსა და რეალურ ქალაქებს, რაც დოკუმენტურ სიზუსტეს მატებს თხრობას: „სამი წელიწადი ვიყავი ისე, რომ მშობლები არ მენახა“, „ორი კვირა ქუთაისში დავრჩი...“.

<u>რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“</u>

წაიკითხეთ წინადადება და ამოიცანით, რა არის მასში ირონიული: „თავადაზნაურობა დიდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას“ - რომელი მხარე იგებს და რომელი ზარალდება ამ „ხალისით“? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

კომენტარი: ამ წინადადებაში ირონიული არის ის, რომ თავადაზნაურობის „დიდი ხალისი“ რეალური მდგომარეობითა და სიღარიბით გამოწვეული ილუზიაა. მშობლებს უხარიათ მატერიალური ტვირთისგან გათავისუფლება, თუმცა ვერ აცნობიერებენ, რომ ამ „საჩუქრით“ საკუთარი შვილების იდენტობას ყიდიან. მოცემულ სიტუაციაში მოგებული რჩება ცარისტული რუსეთის ხელისუფლება, რომელიც მინიმალური ფინანსური დანახარჯით (სწავლისა და კვების დაფინანსებით) იღებს უდიდეს პოლიტიკურ მოგებას. იგი ზრდის ქართული ელიტის ახალ თაობას, რომელიც იქნება გარუსებული, იმპერიის ერთგული და საკუთარ სამშობლოში უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელი. დაზარალებულები რჩებიან მშობლები, რომლებიც იღებენ ფინანსურ შეღავათს, მაგრამ კარგავენ შვილებს. ზარალდებიან ყველაზე მეტად ბავშვები, რადგან კარგავენ მშობლიურ ენას, ზნესა და ოჯახთან უშუალო კავშირს. საბოლოო ჯამში, ზარალდება ქვეყანა, რადგან მისი მომავალი მამოძრავებელი ძალა, ნაცვლად სამშობლოს სამსახურისა, იმპერიის იარაღად იქცევა. ტექსტიდან ჩანს, რომ ეს „ხალისი“ ტრაგიკულად სრულდება: სამი წლის შემდეგ შინ დაბრუნებულ შვილს დედასთან საუბრისთვის თარჯიმანი სჭირდება, მეზობლები კი მწარედ ხუმრობენ ბავშვის „დასამუნჯებლად“ რუსეთში გაგზავნაზე. შესაბამისად, თავადაზნაურობის სიხარული ბრმაა — მათ ჰგონიათ, რომ შვილებს მომავალს უქმნიან, რეალურად კი მათ ვინაობას უკარგავენ.

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“</u>

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ დავით კლდიაშვილის ბიძაშვილი, რომელიც თარჯიმნობას უწევდა მას სოფელში. დაწერეთ დღიურის ჩანაწერი, რომელშიც აღწერთ

თქვენს განცდებს იმ საღამოს. შეეცადეთ გამოიყენოთ ემოციების გამომხატველი სიტყვები და გამოკვეთოთ დეტალები. გადმოეცით: რას გრძნობდით, როცა ხედავდით, დედასა და შვილს ერთმანეთისა რომ არ ესმოდათ; რა იკითხებოდა დედისა და შვილის თვალებში ამ დროს; რა დააკლდა დავითს რუსეთში გატარებული წლებით და რა შეიძინა მან; რა გაკვეთილი მიიღეთ თქვენ, როგორც თვითმხილველმა.

დავალების შეფასების სქემა:

კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
I - ჟანრული შესაბამისობა და სტრუქტურა	1 ქულა
ტექსტი დაწერილია დღიურის ფორმატით (მითითებულია თარიღი ან ემოციური მიმართვა დღიურისადმი). თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში, ბიძაშვილის (თარჯიმნის) პერსპექტივიდან.	
II - პირობის ადეკვატურობა	2 ქულა
მოსწავლე დედა-შვილის ურთიერთობას იაზრებს და კარგად გადმოსცემს თარჯიმნის როლში ყოფნის სიმძიმეს. აღწერს ემოციურ ფონს, როცა დედასა და შვილს ერთმანეთისა არ ესმოდათ.	
III- მხატვრული დეტალები და ემოციები	2 ქულა
ტექსტში გამოყენებულია ემოციების გამომხატველი სიტყვები. გამოკვეთილია კონკრეტული დეტალი: თუ რა იკითხებოდა დედისა და შვილის თვალებში შეხვედრის მომენტში.	
IV - ანალიზი	2 ქულა
დანაკარგი და შენაძენი - დღიურის ჩანაწერში პერსონაჟი მსჯელობს იმაზე, თუ რა დააკლდა დავითს რუსეთში (ენა, ოჯახი, ფესვები) და რა შეიძინა მან (განათლება, სამხედრო გამოცდილება).	
V - პერსონალური გაკვეთილი	1 ქულა
ტექსტის დასკვნაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ რა გაკვეთილი მიიღო თავად ბიძაშვილმა, როგორც ამ ტრაგიკული სცენის თვითმხილველმა (მაგ.: მშობლიური ენის ფასი).	
VI - ლექსიკა, სტილი და მხატვრული გამომსახველობა	1 ქულა
ლექსიკა არის მდიდარი და ემოციური. ტექსტი შეეფერება ეპოქის კონტექსტს, აზრები გადმოცემულია ლოგიკურად და მხატვრულად.	
VII - მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	1 ქულა

დაცულია მართლწერის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესები. ტექსტი აბზაცებადაა დაყოფილი და გამართულია ენობრივად.	

<u>რუბრიკა „დისკუსია“</u>

ისაუბრეთ შეკითხვებზე დაყრდნობით, თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

• რამდენად გამართლებულია ცოდნის მიღება იმის ფასად, რომ ადამიანს საკუთარ დედასთან საუბარი გაუჭირდეს? როგორ ფიქრობთ, რა არის უფრო მნიშვნელოვანი - დიპლომი და კარიერა თუ ფესვებთან კავშირი? რატომ?

კომენტარი: დედასთან ენობრივი ბარიერის გაჩენა მხოლოდ ურთიერთობის პრობლემა არ არის - ეს არის საკუთარ იდენტობაზე, ოჯახსა და მშობლიურ ფესვებზე უარის თქმა. კარიერა და დიპლომი ადამიანს აძლევს მატერიალურ კეთილდღეობასა და სოციალურ სტატუსს, თუმცა ენისა და კულტურული მეხსიერების დაკარგვით იგი სულიერად ღატაკდება. როდესაც ადამიანს საკუთარ დედასთან საუბარი უჭირს, ის კარგავს ყველაზე ინტიმურ, უსაფრთხო და ბუნებრივ გარემოს. შესაბამისად, ვერანაირი უცხოური დიპლომი ვერ აანაზღაურებს იმ შინაგან გაუცხოებას, რომელსაც ადამიანი საკუთარ სამშობლოსა და ოჯახში განიცდის. ცოდნა, რომელიც ადამიანს აშორებს თავის ფესვებთან, დამანგრეველია პიროვნებისთვის. მეორე მხრივ, დავით კლდიაშვილის ეპოქაში, გაღატაკებული თავადაზნაურობისთვის სამხედრო სასწავლებელში შვილის გაგზავნა ხშირად ფიზიკური და სოციალური გადარჩენის ერთადერთი გზა იყო. უმაღლესი განათლება, დიპლომი და კარიერა ადამიანს აძლევდა ძალაუფლებას, გავლენასა და რესურსებს, რომელთა დახმარებითაც მოგვიანებით მას უკეთ შეეძლო საკუთარი ქვეყნის დაცვა და მსახურება. თავად დავით კლდიაშვილის ცხოვრება ამის საუკეთესო მაგალითია: მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში ენა დროებით დაავიწყდა, მიღებულმა განათლებამ და სტატუსმა მას საშუალება მისცა, გამხდარიყო დიდი მწერალი და ებრძოლა წერა-კითხვის გავრცელებისთვის. განათლების გარეშე იგი ვერ შეძლებდა ამ მასშტაბის ეროვნულ მოღვაწეობას. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანმა უნდა იპოვოს ოქროს შუალედი. ყველაზე გამართლებული და მნიშვნელოვანია ამ ორი ფასეულობის სინთეზი. განათლების მიღება და კარიერული წინსვლა არ უნდა ხდებოდეს ფესვების უარყოფის ხარჯზე. ნამდვილი, სრულფასოვანი პროგრესი მაშინ მიიღწევა, როდესაც ადამიანი იღებს უმაღლეს მსოფლიო განათლებას (დიპლომს), მაგრამ მას იყენებს საკუთარი ენის, კულტურისა და ოჯახის გასაძლიერებლად. ცოდნა ინსტრუმენტია, ხოლო ფესვები - საყრდენი; საყრდენის გარეშე კი ყველაფერი აზრს კარგავს.

შენიშვნა: მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ სადისკუსიო კითხვას და, შესაბამისად, მასზე მსჯელობას შეიძლება დასჭირდეს დამაზუსტებელი კითხვებით გარკვეული მიმართულების მიცემა, რათა ეს აქტივობა ცალმხრივი დასკვნის საფუძვლად და „მრჩევლად“ არ იქცეს. დამაზუსტებელი კითხვა ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: განათლების მიღების რა ალტერნატივა არსებობს, თუ მიღებულ შესაძლებლობაზე უარს ვიტყვით? მსჯელობისას კი ასეთი კომენტარის ჩართვაც იქნება უპრიანი: რა თქმა უნდა, იდენტობის დაკარგვა კატეგორიულად მიუღებელია, თუმცა ასევე სრულიად მიუღებელია განათლების არმიღება და პროვინციული აზროვნების ჩარჩოებში ჩარჩენა. ქართველ სამოციანელთა მთელი თაობის ცხოვრება, მოღვაწეობა და ისტორიული მნიშვნელობა

ადასტურებს იმას, რომ იდენტობის შენარჩუნებასა და ეროვნულ განვითარებას ყველაზე მეტად სწორედ განათლების მაღალი ხარისხი უწყობს ხელს.

- **დღეს, როდესაც მსოფლიო ერთიან ციფრულ სივრცედ გადაიქცა, ზოგიერთი მოზარდი ინგლისურ ან სხვა უცხოურ ენას (ვიდეოთამაშებისა თუ სოციალური ქსელების გავლენით) უფრო თავისუფლად ფლობს, ვიდრე მშობლიურს. თქვენი აზრით, რით ჰგავს ეს დავით კლდიაშვილის მიერ აღწერილ პრობლემას? როგორ ფიქრობთ, უქმნის თუ არა საფრთხეს ადამიანს მშობლიური ენის „მეორე რიგში“ გადაწევა მაშინაც კი, თუ ამას არავინ აიძულებს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.**

კომენტარი: დღევანდელი სიტუაცია კლდიაშვილის მიერ მოთხრობილ მშობლიური ენის დავიწყების სატკივარს იმით ჰგავს, რომ ორივე შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ხელოვნურად შექმნილი გარემო იქნება თუ ცხოვრების მიერ წამოწეული საჭიროება, შედეგი ერთია - ადამიანს ავიწყდება მშობლიური ენა და ამით კარგავს ეროვნულ ვინაობას, სწყდება ფესვებს. როგორც სამხედრო სასწავლებელში ბავშვების ყოველდღიურობა (სწავლა, თამაშები, ურთიერთობები) მთლიანად რუსულად მიმდინარეობდა, დღეს მოზარდის ციფრული რეალობა (ვიდეოთამაშები, იუთუბი, სოციალური ქსელები) მთლიანად ინგლისურენოვანია. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთია - ენის ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენების შესუსტება. ბავშვები იწყებენ ფიქრს უცხოურ ენაზე, რის გამოც მშობლიურ ენაზე აზრების ჩამოყალიბება, კლდიაშვილის მსგავსად, მათაც „უძნელდებათ“. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ფიზიკური თარჯიმანი არავის სჭირდება, ხშირად ჩნდება „მენტალური თარჯიმნის“ საჭიროება - მოზარდებს უჭირთ მშობლებისთვის საკუთარი ემოციებისა და ინტერესების გაზიარება, რადგან მათი ლექსიკა უცხოურ ტერმინოლოგიაზეა აგებული. მშობლიური ენის მეორე რიგში გადაწევა იდენტობის დაკარგვის საფრთხეს უქმნის ადამიანს. ის ფაქტი, რომ ამას დღეს მოზარდს „არავინ აიძულებს“ (კლდიაშვილის ეპოქისგან განსხვავებით, სადაც იმპერიული პოლიტიკა არსებობდა), საფრთხეს კიდევ უფრო ვერაგს ხდის, რადგან წინააღმდეგობის გაწევის მექანიზმი გამორთულია.

ენა არ არის მხოლოდ ლექსიკური ნაკრები, ის არის აზროვნების წესი, მსოფლმხედველობა და ისტორიული მეხსიერება. მშობლიური ენის მეორე ადგილზე გადაწევით ადამიანი კარგავს კავშირს საკუთარი ქვეყნის კულტურასთან. მას საკუთარ სამშობლოში სრული გაუცხოება ელოდება. ადამიანი ყველაზე ღრმა, ინტიმურ და გულწრფელ ემოციებს სწორედ მშობლიურ ენაზე გამოხატავს. როდესაც ეს ენა ილახება, იზღუდება ადამიანის უნარი, სრულფასოვნად დაუკავშირდეს საკუთარ ოჯახს, წინაპრებსა და გარემოს. ადამიანი, რომელიც მყარად არ ეყრდნობა ეროვნულ კულტურას, კარგავს იდენტობას და გლობალურ სივრცეში სხვისი კულტურის უბრალო მომხმარებელი ხდება.

დავით კლდიაშვილის ტექსტი გვაფრთხილებს: გარემო, რომელიც მშობლიურ ენას ანაცვლებს, ადრე თუ გვიან გვართმევს იდენტობასაც. დღეს, ციფრულ ეპოქაში, უცხო ენების მაღალ დონეზე ცოდნა აუცილებელია კარიერისა და განვითარებისთვის, თუმცა ეს არ უნდა ხდებოდეს მშობლიური ენის დაკნინების ხარჯზე. სიძლიერე ისაა, რომ იცოდე მსოფლიო ენები, მაგრამ აზროვნებდე, გრძნობდე და ქმნიდე ქართულად. თანამედროვე განათლების პოლიტიკის გეზი მიმართულია იქითკენ, რომ ქვეყნის შიგნით მიიღოს ადამიანმა ხარისხიანი უმაღლესი განათლება, რაც ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის ფუნდამენტია. გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის მაგალითი: რატომ ჩამოჰყავს მას

გელათის აკადემიაში იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი? ამ ადამიანების მხრიდანაც რამდენად პატრიოტული ნაბიჯია უცხოეთში მოღვაწეობის შეწყვეტა და სამშობლოში დაბრუნება. ასევე გავიხსენოთ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ქართველთა მცდელობა, იმპერატორისთვის უმაღლესი სასწავლებლის საქართველოში დაარსება ეთხოვათ, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, სამხედრო იქნებოდა ის თუ საერო უნივერსიტეტი, ან შემდეგ, 1918 წელს, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისთვის უნივერსიტეტის გახსნას. ყველას კარგად გვესმის, რამდენად შეცვალა რეალობა ქართულმა უნივერსიტეტმა.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“</u>

ჩემი მემუარების ერთი ფურცელი - დაწერეთ თქვენი ცხოვრების ერთი ისეთი დღის მოგონება, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო - სკოლაში პირველი მისვლა, სადმე მოგზაურობა ან სხვა. გამოიყენეთ სიტყვები: „მახსოვს“, „მაშინ ვგრძნობდი“, „ახლა რომ ვფიქრობ“. შეეცადეთ, გამოიყენოთ ირონია (მაგალითად: როგორ „გვიხაროდა“ შემაჯამებელი წერის გაკვეთილი).

<u>დავალების მახასიათებლების შეფასების სქემა:</u>

კრიტერიუმი	აღწერილობა	მაქსიმალური ქულა
I - ჟანრული შესაბამისობა და სტრუქტურა	ტექსტი დაწერილია მემუარული ჟანრის დაცვით (პირველ პირში თხრობა, რეალური დღისა თუ მოვლენის გახსენება). გამოკვეთილია თხრობის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.	1 ქულა
II - სავალდებულო ფრაზების გამოყენება	მოსწავლეს ტექსტში ბუნებრივად და ლოგიკურად აქვს ჩაქსოვილი სამივე სავალდებულო ფრაზა ან მათი ვარიაციები: „მახსოვს“, „მაშინ ვგრძნობდი“ და „ახლა რომ ვფიქრობ“.	3 ქულა
III - რეტროსპექტივა (დროთა კავშირი)	ნაჩვენებია დროის გადასახედიდან მოვლენების შეფასება - ანუ სხვაობა იმას შორის, თუ რას განიცდიდა მოზარდი მაშინ (წარსულში) და როგორ აფასებს ამ ამბავს ახლა (აწმყოში).	2 ქულა
IV - ირონიის გამოყენება	მოსწავლე წარმატებით იყენებს მხატვრულ ხერხს - ირონიას (ან თვითირონიას) ტექსტის რომელიმე ეპიზოდში (მაგალითად, პირობაში მოცემული ან მსგავსი ირონიული კონტექსტით).	2 ქულა

V - ლექსიკა, სტილი და ემოციური აღმქმელობა	ნაწერი არის ემოციური და გულწრფელი; გამოყენებულია მდიდარი ლექსიკა, აზრები გადმოცემულია ნათლად, გასაგებად და საინტერესოდ.	**1 ქულა**
VI - მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ტექსტი დაწერილია გრამატიკულად გამართულად, დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის ელემენტარული წესები, ნაწერი დაყოფილია აბზაცებად.	**1 ქულა**

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

გრიგოლ რობაქიძე, „დავით კლდიაშვილი“;

კიტა აბაშიძე, „დავით კლდიაშვილი“;

მაკა ჯოხაძე, „ჩემი დავით კლდიაშვილი“, გამომცემლობა „არტანუჯი“. 2012.

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის</u>

დავით კლდიაშვილის ვიდეოჩანაწერი საქართველოს ეროვნული არქივის ფონდიდან.

4. მიხეილ ჯავახიშვილი - 10 მცნება

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 2 აკადემიური საათი)

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>ტექსტი</u> **- შეგონება/მცნებები** <u>შინაარსობრივი მხარე</u> - მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი, ხედვის კუთხე/პერსპექტივა. <u>სტრუქტურა-აგებულება</u> - სათაური <u>ენა</u> - რიტორიკული ხერხები (მაგ.: რიტორიკული მიმართვა, რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები: სანდოობა, ლოგიკა, ემოცია); **2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“** <u>კონტექსტური ფაქტორები</u> <u>ისტორიული და სოციალურ-კულტურული</u> - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ.: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი გამოცდილება.
მოსალოდნელი შედეგები
მოსწავლეს შეუძლია: • კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას. • ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა. • ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის

ნაწარმოების შესახებ

მიხეილ ჯავახიშვილმა ეს „მცნებები“ თავის გოგონას დაუწერა, თუმცა ის დღესაც ყველა მოზარდისთვის მნიშვნელოვანია. მწერალი რამდენიმე მნიშვნელოვან რჩევას აძლევს შვილს: უყვარდეს სამშობლო, იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, მართოს საკუთარი სურვილები, თავდაუზოგავად იშრომოს.

ჯავახიშვილის მცნებებზე ფიქრისას, უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია მისი მოწოდება შრომისა და სიბეჯითისკენ. მწერალი მწვავედ უპირისპირდება ქართულ სენს - „მედღეხვალიობასა“ და ფუჭმეტყველებას, როცა ცარიელი სიტყვები ხშირად ცვლის რეალურ მოქმედებას. დღევანდელ რეალობაში, როდესაც სოციალური ქსელები ქმნის ილუზიას, თითქოს პოსტის დაწერით ან ვირტუალური აქტივობით საქმე კეთდება, ჯავახიშვილის შეგონება გვახსენებს: ქვეყანას აშენებს არა ბევრი და უქმი ლაპარაკი, არამედ ჩუმი, ორგანიზებული და სისტემური შრომა.

მწერლის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სათქმელი საკუთარი თავის იმედად ყოფნაა. ისტორიულად, ქართველ საზოგადოებას ხშირად ახასიათებდა გარე ძალების, მესიებისა თუ სხვა ქვეყნების მოლოდინი. ჯავახიშვილი კი მკაცრად მიგვითითებს, რომ ერი, რომელიც მუდამ სხვისგან ელის შველას, განწირულია ასიმილაციისა და მონობისთვის. ეს შეგონება პირდაპირ კავშირშია იდენტობის შენარჩუნებასთან - მხოლოდ საკუთარ ნიჭზე, განათლებასა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე დაყრდნობით არის შესაძლებელი თავისუფლების მოპოვება და შენარჩუნება.

გარდა ამისა, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დროის ფასსა და ევროპულ ყაიდაზე გადაწყობას. გლობალიზაციის ეპოქაში დრო უმთავრეს ვალუტად იქცა. ჯავახიშვილისეული „დროის სწორად მართვა“ დღეს ნიშნავს არა მხოლოდ საათზე ყურებას, არამედ თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ცოდნის მუდმივ შეძენას, რათა არ ჩამოვრჩეთ მსოფლიო პროგრესს.

საბოლოო ჯამში, „ჩვენი დროის 10 მცნება“ არის ახალგაზრდობისთვის მოწოდება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისკენ. მწერალი გვიჩვენებს, რომ პატრიოტიზმი არ არის წარსულის დიდებით ტკბობა, არამედ აწმყოში საკუთარი ნაკლოვანებების აღიარება და მათი გამოსწორებისთვის ყოველდღიური ბრძოლაა. სანამ ეს მცნებები თითოეული ჩვენგანის ცხოვრების წესად არ იქცევა, მანამდე დავით კლდიაშვილის მიერ აღწერილი გაუცხოების ან ილია ჭავჭავაძის მიერ დაგმობილი უვიცობის საფრთხეები მუდამ შეგვაწუხებს და განაპირობებს ჩვენს ჩამორჩენას, წარუმატებლობას. ჯავახიშვილის შეგონებები არის გზამკვლევი, რომელიც გვაიძულებს გავიზარდოთ, ავიღოთ პასუხისმგებლობა საკუთარ მომავალზე და გავხდეთ ჩვენივე ქვეყნის ნამდვილი მშენებლები.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- თქვენი აზრით, რა ემართება ქვეყანას, რომლის შვილებიც სწავლასა და შრომას ივიწყებენ?
- რას ნიშნავს სიტყვა „მცნება“? გაგიგიათ ეს სიტყვა? გაიხსენეთ, რასთან დაკავშირებით.
- რატომ შეიძლება უწოდოს მწერალმა თავის რჩევებს „ჩვენი დროის მცნებები“? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ წესების შესრულება ერისთვის სასიცოცხლოდ სავალდებულოა?
- თქვენი დაკვირვებით, რა უფრო უშლის ხელს ადამიანს ან ქვეყანას წარმატების მიღწევაში - სიზარმაცე, საქმის ხვალისთვის გადადება თუ ერთმანეთის გაუტანლობა? რატომ?
- როგორ გესმით გამოთქმა: „სხვისი იმედით ცხოვრება“? რატომ არის საშიში, როდესაც ადამიანი ან მთელი ერი მუდამ სხვისგან ელოდება თავისი პრობლემების მოგვარებას?
- როგორ ფიქრობთ, თუ ადამიანი მიმზიდველად ლაპარაკობს, მაგრამ მის ნათქვამს არ ახლავს საქმე, როგორ აისახება ეს მის ცხოვრებაზე? ქვეყნის ცხოვრებაზე?
- მიხეილ ჯავახიშვილი მეოცე საუკუნის დასაწყისში მოუწოდებდა ქართველებს დროის ფასის გაგებისა და ევროპული ყაიდის შრომისკენ. დღეს რას ნიშნავს თქვენთვის „დროის სწორად მართვა“ და „თანამედროვე ცოდნის ფლობა“?

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“</u>

1. თქვენი აზრით, რა არის ის „ყოველივე“, რასაც სამშობლო გასცემს ჩვენთვის (მე-4 მცნება)?

კომენტარი: მიხეილ ჯავახიშვილის მე-4 მცნებაში („სამშობლო ყოველივეს გაძლევს, შენც ყოველივე უნდა მისცე მას“) სიტყვა „ყოველივე“ მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე უხილავ, სულიერ საყრდენს, რომლის გარეშეც ადამიანი სრულფასოვან პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება. სამშობლო გვჩუქნის მშობლიურ ენას, ისტორიას, კულტურასა და

ტრადიციებს. ეს არის ის სულიერი ნიადაგი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ვინაობას, ეროვნულ იდენტობას და გვიცავს გლობალურ სამყაროში ასიმილაციისგან. ეს არის გეოგრაფიული გარემო, სახლი და კერა, სადაც ადამიანი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, აქვს თავისუფლებისა და დაცულობის განცდა. საუკუნეების განმავლობაში წინა თაობების მიერ ბრძოლითა და შრომით მოპოვებულ თავისუფლებას, სახელმწიფოებრიობას, მეცნიერულ თუ კულტურულ მიღწევებს, რომლებსაც ჩვენ მზამზარეულად ვიღებთ. სამშობლო გვაძლევს დიდ ცხოვრებისეულ მიზანს - ვიყოთ ერთი მთლიანი ერის ნაწილი, ვიზრუნოთ მასზე და დავტოვოთ ჩვენი კვალი ისტორიაში. ჯავახიშვილის ლოგიკით, რადგან ადამიანი ამ უძვირფასეს განძს ყოველგვარი პირადი დამსახურების გარეშე, საჩუქრად იღებს სამშობლოსგან, მას უჩნდება მორალური ვალდებულება, რომ თავისი შრომით, ნიჭითა და ერთგულებით უკლებლივ ყველაფერი დაუბრუნოს მას სიცოცხლის განმავლობაში.

2. მწერლის აზრით, რა თვისებებია დამღუპველი ადამიანისთვის (მე-7 მცნება)?

კომენტარი: მიხეილ ჯავახიშვილის მე-7 მცნების მიხედვით, ადამიანისა და ერისთვის ყველაზე დამღუპველი თვისებებია სიზარმაცე და უნიათობა. მწერალი ამ მცნებაში მწვავედ აკრიტიკებს იმ მანკიერებებს, რომლებიც პიროვნებასა და საზოგადოებას შინაგანად შლის. დამღუპველია მუდმივად სხვის ხარჯზე, სხვისი ნაშრომითა და ნაამაგარით ცხოვრების სურვილი, როდესაც ადამიანი გაურბის პირად პასუხისმგებლობასა და შრომას, მაგრამ, ამავე დროს, სხვებისგან ითხოვს დახმარებას ან მზამზარეულ კეთილდღეობას; იმის მოლოდინი, რომ პრობლემები თავისთავად, შრომისა და გარჯის გარეშე მოგვარდება. ჯავახიშვილის მთავარი სათქმელი ამ მცნებაში არის ის, რომ, ვინც არ შრომობს, ის კარგავს ადამიანის სახეს. სიზარმაცე და უსაქმურობა ადამიანს ართმევს ღირსებას, ხოლო ერს - დამოუკიდებლობასა და მომავალს.

3. რატომ ურჩევს მამა შვილს, რომ „საკუთარ ჭკუას და გულის ზრახვას“ მანამ არ აჰყვეს, სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარა (მე-8 მცნება)?

კომენტარი: მიხეილ ჯავახიშვილის მე-8 მცნებაში მამა შვილს რჩევას პიროვნული სიმწიფის მიღწევის მიზნით აძლევს. მწერლის ლოგიკით, ამ შეგონებას რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მიზეზი აქვს: სანამ ახალგაზრდა „საკუთარ ფეხზე დადგება“ (ანუ ფინანსურად და მენტალურად დამოუკიდებელი გახდება), მისი „ჭკუა და გულის ზრახვები“ ხშირად ემოციებზე, ჟინსა და გამოუცდელობაზეა აგებული. ასეთ დროს მხოლოდ საკუთარ სურვილებზე მინდობა ადამიანს ხშირად მცდარი გადაწყვეტილებებისკენ უბიძგებს. სანამ მოზარდი თავად არ იგემებს ცხოვრების სირთულეებს, მან უნდა უსმინოს მშობლებს, მასწავლებლებს და დაეყრდნოს მათ ცოდნას. ეს იცავს მას გზის აბნევისგან. საკუთარი ნების აყოლა ნიშნავს საკუთარ შეცდომებზე სრული პასუხისმგებლობის აღებას. თუ ადამიანი ჯერ კიდევ სხვის კმაყოფაზე ცხოვრობს, მას არ აქვს მორალური უფლება, მხოლოდ საკუთარი ახირებებით იმოქმედოს. მწერალი მიგვითითებს, რომ ნამდვილი თავისუფლება ქაოსი და ჟინიანობა კი არ არის, არამედ დისციპლინაა. ჯერ უნდა შეიძინო განათლება, პროფესია და მყარი საყრდენი და მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა შენი „გულის ზრახვები“ რეალურ საქმედ. მოკლედ რომ ვთქვათ, მამა შვილს ურჩევს, ჯერ ისწავლოს ცხოვრების წესები, მოიპოვოს დამოუკიდებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ ენდოს საკუთარ ინტუიციასა და ამბიციებს.

4. მე-9 მცნებაში ნახსენებია „თავმოყვარეობა“ და „გაამაყება“, იგივე, ამპარტავნობა. ამპარტავნობა ნიშნავს საკუთარი თავის გადამეტებულ შეფასებას, მედიდურობას, სხვების დამცირებას საკუთარი თავის წარმოსაჩენად. თქვენი აზრით, სად გადის ზღვარი საკუთარი თავის ფასის ცოდნასა და სხვებზე მაღლა დადგომის სურვილს შორის?

კომენტარი: ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული კითხვა, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის მე-9 მცნებიდან გამომდინარეობს. ზღვარი ჯანსაღ თავმოყვარეობასა და ამპარტავნობას შორის გადის სხვებისადმი დამოკიდებულებასა და შინაგან თავდაჯერებულობაზე. ადამიანი საკუთარ თავს ადარებს მხოლოდ თავისსავე წარსულს. მისი მიზანია დღეს იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე გუშინ იყო. მას არ სჭირდება სხვების დამარცხება საკუთარი ღირსების დასამტკიცებლად. ამპარტავანი ადამიანის თვითშეფასება მთლიანად სხვების დათრგუნვაზეა დამოკიდებული. ის თავს ფასეულად გრძნობს მხოლოდ მაშინ, როცა ვინმეზე მდიდარია, ძლიერია, ნიჭიერია ან წარმატებულია. ვინც საკუთარი თავის ფასი იცის, მას სხვისი დაფასებაც შეუძლია. მას აქვს მყარი შინაგანი ღირსება, არავის აძლევს მისი დამცირების უფლებას, მაგრამ თავადაც არასდროს იკადრებს სხვის ფეხქვეშ გათელვას. მედიდური ადამიანი მიიჩნევს, რომ მისი წარმატება სხვების უნიათობის ბრალია. ის სხვების ნაკლს იყენებს საკუთარი უპირატესობის საჩვენებლად და გარშემო მყოფებს ზემოდან უყურებს. თავმოყვარე და არაამპარტავანმა ადამიანმა კი იცის თავისი ძლიერი მხარეები, მაგრამ ხედავს საკუთარ შეცდომებსაც. მას არ ეშინია კრიტიკის, აღიარებს, როცა რაღაც არ იცის, მზად არის ისწავლოს, ხოლო ამპარტავანი ადამიანი ყრუა კრიტიკის მიმართ. საკუთარი თავის გადამეტებული შეფასების გამო მას ჰგონია, რომ ყველაფერი იცის, არასდროს ცდება და დანაშაულს მუდამ სხვებს აბრალებს. ისევ და ისევ ოქროს შუალედზე უნდა ვიფიქროთ: ის ღირსებასა და თავმდაბლობაშია. მწერალი გვაფრთხილებს - „გაამაყება“ დამღუპველია, ამპარტავნობა აბრმავებს ადამიანს, უსპობს განვითარების გზას და საბოლოოდ მარტოობისა და მარცხისთვის წირავს.

5. ტექსტის დასასრულს (მე-10 მცნება) ავტორი სამჯერ იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვას - „შრომა“. იზიარებთ თუ არა მწერლის შეხედულებას, რომ შრომა „ყოველივეს სჯობია“? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე?

კომენტარი: სიტყვა „შრომის“ სამჯერ გამეორება შემთხვევითი არ არის - ეს არის ნაწარმოების მთავარი იდეა. მწერლის შეხედულება, რომ შრომა „ყოველივეს სჯობია“, არ არის უბრალო მორალისტური მოწოდება, არამედ გადარჩენის ერთადერთი ფორმულაა. მხოლოდ ბუნებრივი ნიჭი ან მიღებული თეორიული ცოდნა უმოქმედოდ არაფერს ნიშნავს. ნიჭი და განათლება ჰგავს უქმ განძს, რომელიც მხოლოდ მიზანმიმართული, ყოველდღიური დაუღალავი შრომით გარდაიქმნება რეალურ სიკეთედ. შრომის გარეშე ყველაზე დიდი პოტენციალიც კი ქრება. როგორც ჯავახიშვილის წინა მცნებებში ვნახეთ, მუქთახორობა და სხვისი იმედით ცხოვრება ადამიანსაც და ერსაც მონობისთვის წირავს. მხოლოდ საკუთარი შრომით მოპოვებული კეთილდღეობა აძლევს პიროვნებას (და ქვეყანას) ნამდვილ ეკონომიკურ და სულიერ თავისუფლებას. შრომა არის იარაღი, რომლითაც ადამიანი თავად ხდება საკუთარი ბედის განმკარგველი. შრომის პროცესი ადამიანს აიძულებს მუდმივად ისწავლოს, განვითარდეს, გადალახოს დაბრკოლებები და გაძლიერდეს. ის არ აძლევს პიროვნებას გადაგვარების, სიზარმაცისა და ამპარტავნობის საშუალებას, საქმის კეთებისას მიღებული შედეგი კი უდიდეს შინაგან კმაყოფილებასა და

საკუთარი თავის რწმენას ანიჭებს. ჯავახიშვილი ახალ თაობებს მიმართავს, მას ესმის, რომ ქვეყანას აშენებს არა ხმამაღალი პატრიოტული სადღეგრძელოები, არამედ თითოეული მოქალაქის ჩუმი და კეთილსინდისიერი შრომა. სიტყვის სამჯერ გამეორებით მწერალი ხაზს უსვამს, რომ ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც საქართველომ უნდა დაძლიოს წარსულის ჩამორჩენილობა და დაიმკვიდროს ადგილი განვითარებულ სამყაროში.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“</u>

ავტორი თავის დარიგებებს შემთხვევით არ უწოდებს „მცნებებს“. შეიძლება გავიხსენოთ ბიბლიური „10 მცნებაც“ - ათი უმთავრესი კანონი (წესი), რომლებიც, ბიბლიის მიხედვით, თავად ღმერთმა მისცა მოსე წინასწარმეტყველს და რომელთა დარღვევაც არ შეიძლებოდა. თქვენი აზრით, რატომ დაასათაურა მწერალმა ტექსტი ასე - რა მნიშვნელობას ანიჭებს ამით თავის დარიგებებს?

კომენტარი: მიხეილ ჯავახიშვილმა თავის პუბლიცისტურ წერილს შეგნებულად დაარქვა „ჩვენი დროის 10 მცნება“, რითაც თავის დარიგებებს სასიცოცხლო მნიშვნელობა მიანიჭა. მწერალმა ეს სათაური ორი მთავარი მიზეზის გამო შეარჩია: 1. ბიბლიური მცნებები არ არის უბრალო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც სურვილისამებრ შეიძლება - ისინი ურყევი კანონებია, რომელთა დარღვევაც დანაშაულია. 2. სათაურში სიტყვა „მცნების“ შემოტანით, ჯავახიშვილი მკითხველს ეუბნება, რომ მისი შეგონებები (შრომა, განათლება, დისციპლინა, ერთობა) არაა მხოლოდ კეთილი სურვილები. ეს არის წესები, რომელთა შესრულებაც ყოველი ქართველისთვის სავალდებულოა, თუკი მას სურს, რომ მისი ქვეყანა გადარჩეს და განვითარდეს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ, როგორც ძველ დროში სჭირდებოდა კაცობრიობას რელიგიური მცნებები სულიერი გადარჩენისთვის, ისე თანამედროვე ეპოქაში სჭირდება საქართველოს მცნებები გადარჩენისთვის. მან რელიგიური ტერმინი გადმოიტანა საზოგადოებრივ სივრცეში, რათა ხალხს გაეცნობიერებინა, რომ სიზარმაცისა და ამაოდმეტყველების დაძლევა ისეთივე წმინდა მოვალეობაა, როგორიც რელიგიური მცნებების დაცვა.

- **დააკვირდით, როგორ იწყება ტექსტი. პირველსავე პუნქტებში ადამიანი გააზრებულია, როგორც ქვეყნის „განუყრელი ნაწილი“. თქვენი აზრით, რა პასუხისმგებლობას აკისრებს ეს ადამიანს?**

კომენტარი: პირველსავე პუნქტებში ადამიანის გააზრება ქვეყნის „განუყრელ ნაწილად“ მას აკისრებს უპირველეს ეროვნულ და მორალურ პასუხისმგებლობას, რაც გამორიცხავს ეგოიზმსა და გულგრილობას. როდესაც შენ ქვეყნის განუყრელი ნაწილი ხარ, ეს ნიშნავს, რომ შენი ყოველი ნაბიჯი, წარმატება თუ წარუმატებლობა პირდაპირ აისახება მთელ სახელმწიფოზე. შენ აღარ გაქვს უფლება თქვა, რომ „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ჩემია“ - შენი გაძლიერებით ძლიერდება ქვეყანა, ხოლო შენი გაზარმაცებითა და გაუნათლებლობით მთელი ერი ზარალდება. ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი და დაცული დაცემულ საზოგადოებაში. ეს იდეა ადამიანს ავალდებულებს, გვერდზე გადადოს პირადი ამბიციები და იშრომოს საერთო ეროვნული მიზნებისთვის. თუ შენ ქვეყნის ნაწილი ხარ, ვალდებული ხარ იყო ამ სხეულის ჯანსაღი ელემენტი. ეს ნიშნავს მუდმივ სწავლას, შრომას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას. მწერლის მიზანია მოსპოს ილუზია, თითქოს სამშობლო რაღაც ჩვენგან შორს მყოფი, აბსტრაქტული ცნებაა. სამშობლო თავად თითოეული მოქალაქეა და მისი ბედი სწორედ მათ პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული.

• „ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი“, - წერს მე-5 მცნებაში მიხეილ ჯავახიშვილი. თქვენი აზრით, რისკენ მოგვიწოდებს ამ სიტყვებით მწერალი?

კომენტარი: ამ სიტყვებით მიხეილ ჯავახიშვილი მოგვიწოდებს სრული პიროვნული დამოუკიდებლობისა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებისკენ. მწერალი მწვავედ უპირისპირდება ქართველ საზოგადოებაში გავრცელებულ ორ მთავარ სენს: მუდმივად სხვისი იმედით ცხოვრებასა და საკუთარი წარუმატებლობის სხვებისთვის დაბრალებას. მწერალი გვაფრთხილებს, რომ არ ველოდოთ გარეშე ძალებს, მესიებს, იღბალს ან სხვა ქვეყნებს. ერი თუ ინდივიდი, რომელიც მუდამ სხვისგან ელის შველას, განწირულია. გადარჩენა მხოლოდ საკუთარ ნიჭში, განათლებასა და ყოველდღიურ შრომაში უნდა ვეძებოთ. ცხოვრებისეული მარცხის დროს ხელი სხვებისკენ არ გავიშვიროთ და არ ვიფიქროთ, თითქოს ვინმეს ჩვენი ვალი მართებს. ეს მცნება არის მორალური სიმწიფის ფორმულა: იყავი შენი თავის პატრონი, იშრომე ისე, თითქოს ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული და ნუ გახდი შენს ბედს სხვების ნება-სურვილის მძევლად.

• მწერალი მოუწოდებს შვილს, რომ მართოს თავისი „ჟინი“ და „კერპი გული“ (მე-6 მცნება). როგორ გესმით ეს სიტყვები? მაშ, რაში და როგორ შეიძლება წარმოჩნდეს ადამიანის თავისუფლება?

კომენტარი: მწერლის მოწოდება, რომ ადამიანმა მართოს თავისი „ჟინი“ და „კერპი გული“ ნიშნავს საკუთარი ბრმა ემოციების, წამიერი ახირებებისა და ჯიუტი, დაუფიქრებელი სურვილების გონებით დამორჩილებას, თვითკონტროლს. „კერპი გული“ და „ჟინი“ არის ეგოისტური მამოძრავებელი ძალა, რომელიც ადამიანს ხშირად უბიძგებს დაუფიქრებელი ქმედებებისკენ. ამ თვისებების მატარებელი ადამიანი რეალურად საკუთარი ვნებების მონაა და არა - თავისუფალი პიროვნება. ნამდვილი თავისუფლება წარმოჩნდება არა ქაოსში, არამედ პასუხისმგებლობასა და გააზრებულ არჩევანში. თავისუფლება ვლინდება მაშინ, როდესაც ადამიანი ნებაყოფლობით ირჩევს შრომის, განათლებისა და განვითარების გზას, მიუხედავად იმისა, რომ ეს გზა რთულია და მსხვერპლს მოითხოვს. როდესაც ადამიანი სცდება საკუთარი ეგოიზმის საზღვრებს და ესმის, რომ მისი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი, ის ხდება საზოგადოების სრულფასოვანი და შეგნებული წევრი. თავისუფლება ინსტრუმენტია დიდი და კეთილი საქმეების საკეთებლად.

<u>რუბრიკა „სიტყვების კიდობანი“</u>

სავარჯიშო. გადაიწერეთ წინადადებები რვეულში და გამოტოვებულ ადგილებზე ჩასვით შესაბამისი სიტყვა ფრჩხილებში მოცემული წყვილიდან:

1. დღეს ქართულის გაკვეთილზე შევისწავლეთ ახალი ... - სიუჟეტი (ცნება/მცნება).

სწორი პასუხია: ცნება.

2. ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „კეთილი ფარად უფარე შენთვის ბოროტის მდომსაო“ - არის ჩემთვის ერთ-ერთი უმთავრესი .... (ცნება/მცნება).

სწორი პასუხია: მცნება.

3. ეს სამშენებლო ... ნამდვილად ხარისხიან მასალებს იყენებს (კამპანია/კომპანია).

სწორი პასუხია: კომპანია.

4. მერობის კანდიდატმა წარმატებული საარჩევნო ... ჩაატარა (კამპანია/კომპანია).

სწორი პასუხია: კამპანია.

5. ჩვენი ... სამართლიანად მივიღეთ და საქმე დავასრულეთ (წვლილი/წილი).

სწორი პასუხია: წილი.

6. სკოლის გამარჯვებაში მცირე ... ჩვენმა კლასმაც შეიტანა (წვლილი/წილი).

სწორი პასუხია: წვლილი.

7. დღეს დიდი სიხარული ... თქვენი სტუმრობით (გვეწვია/გვეწია).

სწორი პასუხია: გვეწვია.

8. ეს რა დღე გაგვითენდა, რა ბედი ...(გვეწვია/გვეწია)!

სწორი პასუხია: გვეწია.

<u>რუბრიკა „იმსჯელეთ“</u>

„სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია“, - წერს მიხეილ ჯავახიშვილი. ყოველთვის ნიშნავს თუ არა ეს ფიზიკურ დაპირისპირებას, თუ შეიძლება, რომ მტრობა ქვეყნისთვის საზიანო საქციელშიც გამოიხატოს? თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.

- **შეადარეთ ერთმანეთს მე-7 და მე-10 მცნებები. რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის?**

კომენტარი: მიხეილ ჯავახიშვილის ეს შეგონება („სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია“) ღრმა, მრავალშრიანი ფრაზაა, რომელიც სცილდება მხოლოდ იარაღით ხელში ომის ფარგლებს. სამშობლოს მტრობა ყოველთვის არ ნიშნავს ფიზიკურ დაპირისპირებას ფრონტის ხაზზე; ხშირად ქვეყნისთვის ყველაზე საშიში მტრობა სწორედ შიგნიდან, ყოველდღიურ საზიანო საქციელში, გულგრილობასა და მორალურ დეგრადაციაში გამოიხატება. ქვეყნის მტრობაა საკუთარი კულტურული ფასეულობებისა და მშობლიური ენის დაკნინება და უგულებელყოფა. სამშობლოს მტრობაა, როდესაც მოქალაქე ან თანამდებობის პირი საერთო ეროვნულ სიკეთეს საკუთარ, ეგოისტურ კეთილდღეობას სწირავს. საზოგადოებრივი სახსრების მითვისება, კანონის უგულებელყოფა და პროფესიული გულგრილობა ქვეყნის საძირკველს შიგნიდან თხრის. უხარისხოდ

აშენებული გზა, გაჩეხილი ტყეები, პირადი ნაცნობობით არაკომპეტენტური კადრების დანიშვნა სტრატეგიულ პოზიციებზე - ეს ყოველივე არის ქვეყნისთვის საზიანო საქციელი. ასეთი ქმედებები სახელმწიფოს ასუსტებს, უკან ხევს და დაუცველს ტოვებს გარეშე საფრთხეების წინაშე. მე-10 მცნებიდან გამომდინარე, შრომა ქვეყნის შენების მთავარი იარაღია. შესაბამისად, სიზარმაცე, საქმის ზერელედ კეთება და პასუხისმგებლობისგან გაქცევა სამშობლოს წინაშე ჩადენილი დანაშაულია. როდესაც ექიმი, მასწავლებელი, ინჟინერი თუ ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანი თავის საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდება, ის აზიანებს თანამოქალაქეებს და აფერხებს ქვეყნის პროგრესს. ერი, რომელიც შინაგანად დაქსაქსულია, მუდმივად ქიშპობს და ვერ ახერხებს საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას, ადვილი დასამორჩილებელია ნებისმიერი გარეშე ძალისთვის. საქართველოს ისტორიიდან უამრავი მაგალითი გვახსოვს, როდესაც შინააშლილობისა და გაუტანლობის გამო ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა. ილია ჭავჭავაძეც მუდმივად წერდა, რომ ჩვენი უმთავრესი მტერი ჩვენივე თვისებები, შური და გაუტანლობაა. მიხეილ ჯავახიშვილის ფორმულა გვეუბნება, რომ სამშობლოს მტერია ყველა და ყოველივე, რაც ქვეყნის განვითარებას, მის სუვერენიტეტსა და სულიერ თუ მატერიალურ სიძლიერეს უქმნის საფრთხეს. მტრის წინააღმდეგ ბრძოლა არა მხოლოდ იარაღის ხელში აღება, არამედ ყოველდღიური კეთილსინდისიერი შრომა, ხარისხიანი განათლება, კულტურის დაცვა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა.

- **რომელი მცნება მიგაჩნიათ დღეისთვის ყველაზე აქტუალურად და რატომ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.**

კომენტარი: მიხეილ ჯავახიშვილის ათი მცნებიდან სადღეისოდ ყველაზე აქტუალურად, ალბათ, მეხუთე მცნება უნდა მივიჩნიოთ: „ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი“. ეს შეგონება დღეს ორი მიზეზის გამოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი: თანამედროვე სამყაროში გაჩნდა საშიში ილუზია, თითქოს პრობლემების მოგვარება სხვების (მთავრობის, საერთაშორისო პარტნიორების, ლიდერების) მოვალეობაა. ადამიანები ხშირად წერენ პოსტებს, გამოხატავენ უკმაყოფილებას, თუმცა თავად არაფერს აკეთებენ და ელიან, როდის შეცვლის ვინმე მათ რეალობას. ჯავახიშვილის მოწოდება: „არც მოვალე გყოლია“ დღეს ნიშნავს იმას, რომ თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეწყვიტოს წუწუნი, უარი თქვას სხვების დადანაშაულებაზე, აიღოს პირადი პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებაზე და დაიწყოს რეალური საქმის კეთება. ფრაზა: „არც მშველელი გყოლია“ დღეს განსაკუთრებით აქტუალურია გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. არცერთ ძლიერ სახელმწიფოს თუ გარეშე ძალას არ შეუძლია ჩვენი ქვეყნის აშენება, ჩვენი განათლების სისტემის გაუმჯობესება ან ჩვენი კულტურის დაცვა, თუკი ამას თავად არ გავაკეთებთ. სხვისი ხელის შემყურე ერი რეალურ სუვერენიტეტს ვერ განამტკიცებს. ნამდვილი დამოუკიდებლობა მხოლოდ საკუთარ ცოდნაზე, შრომასა და შინაგან რესურსებზე დაყრდნობით მიიღწევა. მეხუთე მცნება გვესახება ესოდენ საჭირო მენტალური რევოლუციის ფორმულად. ის გვასწავლის, რომ წარმატებისა და გადარჩენის ერთადერთი გარანტი საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. როდესაც საზოგადოება იწყებს ცხოვრებას ისე, თითქოს მისი ბედი მხოლოდ და მხოლოდ მისსავე ყოველდღიურ შრომაზეა დამოკიდებული, ქვეყანა სწრაფი ტემპით იწყებს განვითარებას.

რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“

„მე - 11 მცნება“ - წარმოიდგინეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი დღეს ცოცხალია და თქვენს რვეულში კიდევ ერთი - მე-11 მცნება უნდა ჩაწეროს, რომელიც ეხება 21-ე საუკუნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან თემას ან საკითხს. თქვენი აზრით, რომელი თემა ან საკითხი იქნებოდა შერჩეული და რატომ?

- წერილი მიხეილ ჯავახიშვილს - წარმოიდგინეთ, რომ შეგიძლიათ წერილი მისწეროთ ავტორს. წერილში გადმოეცით, რომელი მცნების შესრულებაა ყველაზე რთული დღეს, როდესაც ტექნოლოგიები ბევრ რამეს გვიადვილებს და ხშირად მზა პასუხების მიღება გვირჩევნია დაფიქრებასა და კვლევა-ძიებას. თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანეთ მაგალითები. წერისას გამოკვეთეთ წერილის სამი ნაწილი: მიმართვა, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება.

კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
I - **ჟანრული და სტილისტური შესაბამისობა:** ტექსტი სტრუქტურულად ჩამოყალიბებულია, როგორც მცნება (მოკლე, მჭრელი, იმპერატიული/მბრძანებლური ტონით, რომელიც ჯავახიშვილის სტილს შეეფერება). მოსწავლე კარგად ირგებს როლს.	**2 ქულა**
II - **თემის აქტუალობა და დაკავშირება თანამედროვეობასთან:** შერჩეული საკითხი ნამდვილად პასუხობს 21-ე საუკუნის უმთავრეს გამოწვევებს (მაგალითად: ციფრული დამოკიდებულება, ინფორმაციული ჰიგიენა/ფეიკ ნიუსები, ეკოლოგია, გლობალიზაციაში იდენტობის შენარჩუნება და სხვა).	**2 ქულა**
III - **არგუმენტირება და მსჯელობის დასაბუთება:** მოსწავლე ლოგიკურად და დამარწმუნებლად ხსნის, თუ რატომ შეარჩევდა ჯავახიშვილი დღეს მაინცდამაინც ამ თემას და რა ზიანი მოაქვს ამ პრობლემას თანამედროვე საზოგადოებისთვის.	**3 ქულა**
IV - **ტექსტის დამოწმება (კავშირი ორიგინალ ტექსტთან):** ნაშრომში იგრძნობა ჯავახიშვილის „10 მცნების“ საერთო სულისკვეთება (აქცენტი პასუხისმგებლობაზე, შრომაზე, განვითარებაზე ან ეროვნულ ფასეულობებზე).	**1 ქულა**
V - **ლექსიკა, სტილი და მხატვრული გამომსახველობა:** აზრები გადმოცემულია ნათლად და მკაფიოდ. გამოყენებულია მდიდარი ლექსიკა, პუბლიცისტური პათოსი და საინტერესო შედარებები/მეტაფორები.	**1 ქულა**

VI - მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი და პუნქტუაცია: დაცულია მართლწერის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ძირითადი წესები; ტექსტი აბზაცებადაა დაყოფილი და გრამატიკულად გამართულია.	1 ქულა

<u>რუბრიკა „დისკუსია“</u>

ისაუბრეთ შეკითხვებზე დაყრდნობით, თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

- **მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით“ (მე-7 მცნება). როგორ ფიქრობთ, შრომისა და პატიოსნების გარდა, არსებობს თუ არა სხვა წინაპირობაც გამარჯვების, წარმატების მისაღწევად (მაგ.: ნიჭი, იღბალი, საკუთარი თავის რწმენა, სხვების დახმარება, გამბედაობა, არჩეული საქმის სიყვარული, გამძლეობა). თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.**

კომენტარი: დიახ, მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დასახელებული საძირკვლის (შრომისა და პატიოსნების) გარდა, წარმატების მისაღწევად სხვა წინაპირობებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია. მხოლოდ შრომა, რომელსაც ინტერესისა და უნარის გარეშე ვასრულებთ, რობოტულ ქმედებად იქცევა. საქმის სიყვარული ბადებს შინაგან მოტივაციას, ხოლო ნიჭი ადამიანს კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს. გზის გაკვლევა არასდროსაა მარტივი. წარმატებისკენ მიმავალ გზაზე ადამიანი აუცილებლად წააწყდება მარცხს. სწორედ გამძლეობა და საკუთარი ძალების რწმენა ეხმარება მას, რომ ფარ-ხმალი არ დაყაროს და ბოლომდე იბრძოლოს. ხშირად გამარჯვებისთვის საჭიროა რისკზე წასვლა, ახალი გზების ძიება და კომფორტის ზონიდან გამოსვლა, რასაც მხოლოდ შრომისმოყვარეობა ვერ უზრუნველყოფს. შრომა და პატიოსნება არის მორალური და ფიზიკური ბაზისი, თუმცა ნამდვილი გამარჯვება ამ ბაზისისა და პიროვნული თვისებების - სიყვარულის, გამბედაობისა და გამძლეობის - სინთეზით მიიღწევა.

- **არსებობს ასეთი გამონათქვამი: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. როგორ ფიქრობთ, თუკი ადამიანის მიზანი სხვების დახმარებაა, შეიძლება თუ არა ამ კეთილი მიზნის მისაღწევად უსამართლო საქციელი ჩაიდინოს? მოიყვანეთ მაგალითი (რეალური ცხოვრებიდან, ლიტერატურიდან ან ისტორიიდან) და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.**

კომენტარი: არა, კეთილი მიზანი ვერ ამართლებს უსამართლო საშუალებას. როდესაც სიკეთის მისაღწევად უსამართლობას ვიყენებთ, თავად მიზნის არსი ილახება და გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოებას უფრო მეტი ზიანი ადგება, ვიდრე სარგებელი. ამის კლასიკური მაგალითია რობინ ჰუდის მითი, ან ჩვენი არსენა მარაბდელის ამბავი. ეს ორი ადამიანი მდიდრებს ართმევდა, რათა ღარიბებს დახმარებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მიზანი (გაჭირვებულთა დახმარება) კეთილი იყო, საშუალება (ქურდობა და კანონის დარღვევა) მაინც უსამართლობად რჩებოდა. როდესაც ინდივიდი თავს უფლებას აძლევს, სხვების დასახმარებლად უსამართლობა ჩაიდინოს, ის ანგრევს საზოგადოებრივ ნდობას და სამართლიანობის პრინციპს. საბოლოოდ, ასეთი მიდგომა ანარქიამდე მიდის, რადგან ყველა თავად იწყებს იმის განსაზღვრას, თუ რომელი

უსამართლობაა „გამართლებული“ კეთილი განზრახვით. მიხეილ ჯავახიშვილისეული ლოგიკითაც, გამარჯვება და მიზნის მიღწევა მხოლოდ შრომითა და პატიოსნებით არის შესაძლებელი.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“</u>

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. „ყველაზე მნიშვნელოვანი მცნება“ - აირჩიეთ მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთი „მცნება“, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ და დაწერეთ, რით არის ის თქვენთვის გამორჩეული.

კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
I - დავალების პირობის ადეკვატური გაგება და თემის გამოკვეთა: მოსწავლეს მკაფიოდ აქვს შერჩეული ათიდან ერთი კონკრეტული მცნება. ტექსტის დასაწყისშივე ნათლად აყალიბებს თავის ძირითად სათქმელს (თეზისს).	2
II - არგუმენტირება და სიღრმისეული მსჯელობის დასაბუთება: მოსწავლე დამარწმუნებლად და ლოგიკურად ასაბუთებს, თუ რით არის გამორჩეული ეს მცნება. მოჰყავს მინიმუმ ორი მყარი არგუმენტი თავისი პოზიციის დასაცავად.	3
III - კავშირი რეალობასთან/პირად გამოცდილებასთან: შერჩეული მცნების მნიშვნელობა დანახული და გააზრებულია კონკრეტული, ცხოვრებისეული მაგალითების კონტექსტში (როგორ ეხმარება ეს წესი ადამიანს ან საზოგადოებას დღეს).	2
IV - ნაშრომის ორგანიზება და ლოგიკური თანმიმდევრულობა: ნაშრომს აქვს მკაფიო სტრუქტურა: შესავალი (არჩევანი), ძირითადი ნაწილი (მსჯელობა, არგუმენტები) და დასკვნა. აზრები გადმოცემულია თანმიმდევრულად.	1
V - სტილი და ლექსიკური მრავალფეროვნება: აზრები ფორმულირებულია ნათლად და გამართულად. მოსწავლე იყენებს მდიდარ ლექსიკას და მსჯელობისთვის შესაფერის სტილს.	1
VI - მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი და პუნქტუაცია: ტექსტი დაყოფილია აბზაცებად. დაცულია მართლწერის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ძირითადი წესები (არ არის დაშვებული უხეში შეცდომები).	1

2. „ჩემი მცნებები“ - ჩამოწერეთ 3-5 პირადი წესი („მცნება“), რომლებიც უნდა დაიცვათ ყოველდღიურ ცხოვრებაში იმისთვის, რომ ახლობლებთან - მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან -გქონდეთ სასიამოვნო, გულწრფელი, სამართლიანი და მყარი ურთიერთობა.

კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
I - დავალების პირობის ადეკვატური გაგება და მითითების დაცვა: მოსწავლეს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული პირობით მოთხოვნილი 3-5 პირადი წესი („მცნება“). წესები წარმოდგენილია სტრუქტურირებული სიის სახით.	2
II - თემატური შესაბამისობა: ჩამოწერილი წესები პირდაპირ უკავშირდება ახლობლებთან (ოჯახი, მეგობრები) სასიამოვნო, გულწრფელი, სამართლიანი და მყარი ურთიერთობების შენარჩუნებას.	2
III - არგუმენტირება და მსჯელობის დასაბუთება: თითოეულ მცნებას ახლავს მოკლე, მაგრამ საფუძვლიანი ახსნა: რატომ არის ეს წესი მნიშვნელოვანი და როგორ ეხმარება მას ყოველდღიურ ცხოვრებაში ურთიერთობების გაუმჯობესებაში.	3
IV - ორიგინალურობა და პიროვნული რეფლექსია: წესები არ არის ზოგადი, შაბლონური ფრაზები. იგრძნობა მოსწავლის პირადი დამოკიდებულება, ემპათია და თვითკრიტიკა (საკუთარ ქცევაზე დაფიქრება).	1
V - სტილი და ლექსიკური მრავალფეროვნება: აზრები ფორმულირებულია ნათლად და გამართულად. მოსწავლე იყენებს მდიდარ ლექსიკას და მსჯელობისთვის შესაფერის სტილს.	1
VI - მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი და პუნქტუაცია: ტექსტი დაყოფილია აბზაცებად. დაცულია მართლწერის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ძირითადი წესები (არ არის დაშვებული უხეში შეცდომები).	1

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

ბონდო არველაძე, „მიხეილ ჯავახიშვილი - სასწორზე შეგდებული სიცოცხლე“;

მიხეილ ჯავახიშვილი, მოთხრობები, წერილები, გამომცემლობა „პალიტრა L“, 2023 ;

ქეთევან ჯავახიშვილი - „მამაჩემი მიხეილ ჯავახიშვილი“, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1984;

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:</u>

მიხეილ ჯავახიშვილი, მოთხრობები: „ჩანჩურა“, „პაპა დიმო“ და „მართალი აბდულაჰ“.

5. გურამ დოჩანაშვილი - პირველი კონცერტი

(საათების საორიენტაციო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი)

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>მხატვრული ტექსტი</u> - **მოთხრობა** <u>შინაარსობრივი მხარე</u> - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი; პერსონაჟი (მაგ.: მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება); დიალოგი და მისი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ავტორისეული დახასიათება; ავტორისეული პლანი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა; სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; ეპიზოდი; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი). <u>სტრუქტურა-აგებულება</u> - სათაური, თავი, აბზაცი; <u>ენა</u> - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. **2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“** <u>კონტექსტური ფაქტორები</u> <u>ისტორიული და სოციალურ-კულტურული</u> - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ.: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა). **3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“** <u>მსგავსი ელემენტები</u> -
მოსალოდნელი შედეგები
მოსწავლეს შეუძლია: • კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

- ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით;
- ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.
- ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;
- ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
- მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;
- იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას;
- ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

ნაწარმოების შესახებ:

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „პირველი კონცერტი“ ქართული მცირე პროზის გამორჩეული ნიმუშია, რომელიც ბავშვობის სამყაროს, პიროვნულ ფორმირებასა და ხელოვნების დაბადებას იშვიათი ემოციური სიზუსტით ასახავს. ბავშვური გულუბრყვილობა, ოჯახური სითბო და ის უხილავი, ხშირად მტკივნეული გზა, რომელსაც ადამიანი ჭეშმარიტ ხელოვანად ჩამოყალიბებამდე გადის, - მოთხრობის ეს თემები პირველ პირში თხრობის საოცრად ფაქიზი მანერით შთამბეჭდავი და დაუვიწყარი ხდება მკითხველისთვის. დოჩანაშვილი უბადლოდ ახერხებს პატარა მუსიკოსის შინაგანი სამყაროს გახსნას და აჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნება ცხოვრებისეული ტკივილი ხელოვნებად.

ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ღერძი ეფუძნება ხელოვნების (ამ შემთხვევაში, მუსიკის) ჭეშმარიტ დანიშნულებასა და ბავშვის ფსიქოლოგიის ურთულეს ხვეულებს. დოჩანაშვილი გვიჩვენებს, რომ დიდი შემოქმედება არ იბადება მხოლოდ მშრალი ტექნიკით ან ზედაპირული ნიჭით. მუსიკა საჭიროებს ემპათიის, სხვისი ტკივილის გათავისებისა და შინაგანი განცდის უნარს. მოთხრობაში უმნიშვნელოვანესია ივანე ტურგენევის „მუმუს“ ეპიზოდი. პატარა ნუგზარის მიერ ძაღლის ტრაგედიის გულთან მიტანა, მისი აცრემლებული თვალები და უდიდესი მწუხარება არის იმის გარანტი, რომ მომავალში მისი ვიოლონჩელი უბრალო ბგერებს კი არ გამოსცემს, არამედ ადამიანის უმშვენიერეს სულს აამეტყველებს. ავტორის მთავარი იდეაა, რომ ნამდვილი ხელოვანი, პირველ რიგში, დიდი თანაგანცდის მქონე ადამიანი უნდა იყოს, ხელოვნება კი - ამ ემპათიის გამოხატულებაა. მოთხრობის მთავარი აქცენტები ასევე ეხება მოზარდის აღზრდის პროცესის სიფაქიზეს. მშობლის (მეურვის) ჰუმანური დამოკიდებულება, სიყვარულის ძალა, მოზარდის ცხოვრებისა და კარიერის გონივრულად დაგეგმვა გადამწყვეტია ჰარმონიული ადამიანის აღზრდის საქმეში. ამ გამოწვევას შესანიშნავად ართმევს თავს ნუგზარის ბებია, გულთმისანივით მიხვედრილი, გამგები, მზრუნველი,

კეთილშობილი ქალბატონი, რომელმაც შვილიშვილის სულსა და გულში ადამიანურ სიქველეთა მარცვლები გააღივა.

სახეობრივ სისტემაში ცენტრალურ ადგილს იკავებს ნუგზარისა და ბებიას საოცრად თბილი პორტრეტები. ნუგზარი ტიპური ბავშვური სახეა: სათვალიანი, მაგრამ ცელქი, რომელსაც ეზოში თამაში ურჩევნია მძიმე ვიოლონჩელთან საათობით ჯდომას. მასში თანაარსებობს ბავშვური შიში (სცენის ელდა) და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც მას ძალიან რეალურ პერსონაჟად აქცევს. ბებიას სახე კი ქართულ ლიტერატურაში თავდადებული, მზრუნველი და შორსმჭვრეტელი აღმზრდელის სიმბოლოა. იგი ფიზიკურადაც ატარებს მძიმე ინსტრუმენტს, იყენებს „კეთილ იძულებას“ შვილიშვილის ნიჭის გადასარჩენად და, რაც მთავარია, იცავს ბავშვის სათუთ ფსიქიკას. არ აგრძნობინებს შვილიშვილს მშობლებისგან მოშორებით ყოფნის ტკივილს. ბებიას მიერ „მუმუს“ ფინალის შეცვლა და „კეთილი ტყუილი“ მისი სიყვარულის უმაღლესი გამოვლინებაა. მან დაინახა, რომ ბავშვის გული მოთხრობის მწარე რეალობას ვერ გაუძლებდა, და დროებით ემოციური ფარი აღუმართა. თავად ვიოლონჩელიც მოთხრობაში ცალკე სახე-სიმბოლოა. თავდაპირველად მძიმე, უცხო ნივთი, რომელიც ბოლოს პერსონაჟის შინაგან ხმად უნდა იქცეს. ის გაპიროვნების ხერხით იხატება. თავიდან ნუგზარისთვის ვიოლონჩელი „ბოროტი კაცი“ იყო, „ბოხი, ჩახრინწული ხმა ჰქონდა და მთვრალი კაცივით უსმენოდ მღეროდა“, ხოლო, როცა ბიჭმა ის შეიყვარა ბებიას სწორი მიდგომების წყალობით, უკვე ნუგზარს შეუძლია თქვას: „დღეს საღამოს ჩემს კეთილ, მგრძნობიარე კაცს მუხლებშუა დავიყენებ, თავს მხარზე მივადებინებ, მარცხენა ხელის თითებს კისერზე შემოვაჭდობ და ავამღერებ. ავამღერებ სუფთა, ხავერდოვანი ხმით“.

სტილური თვალსაზრისით, მოთხრობა დაწერილია პირველ პირში, რაც თხრობას მაქსიმალურ გულწრფელობასა და ემოციურობას სძენს. მკითხველი მოვლენებს უშუალოდ ბავშვის თვალით ხედავს, რაც აქრობს ყოველგვარ დისტანციას და გვაიძულებს, მასთან ერთად განვიცადოთ სცენის ელდა. დოჩანაშვილის სტილი გადმოიცემა დახვეწილი ფსიქოლოგიზმითა და ენობრივი ნიუანსებით. ამის საუკეთესო მაგალითია სიტყვა „ჩეემის“ გრძლად წარმოთქმა. ეს მცირე ფონეტიკური დეტალი სიტყვებზე უკეთ გადმოსცემს ბებიას უსაზღვრო სითბოს, მფარველობასა და მუსიკალურ ინტონაციას. ავტორი ოსტატურად იყენებს კონტრასტს: კულისების პირქუშ, საშიშ ატმოსფეროს უპირისპირებს ბებიას მკლავების სიმშვიდეს, ხოლო ტურგენევისეულ სევდას - ოჯახურ იუმორსა და სიცოცხლის სიყვარულს. მისი თხრობა დინამიკურია, პოეტური და, ამავდროულად, სადა, რაც ადვილად აღქმადს ხდის ღრმა ფილოსოფიურ სათქმელს.

გურამ დოჩანაშვილის „პირველი კონცერტი“ არის ღრმა ფსიქოლოგიური და მხატვრული პრეზენტაცია იმისა, თუ როგორ ყალიბდება პიროვნება და როგორ იბადება ხელოვნება სიყვარულით გამთბარ გარემოში. მესამე პირის ნაცვლად პირველი პირის გამოყენებით ავტორმა შექმნა დაუვიწყარი, ინტიმური გარემო, სადაც მკითხველი თავადაც ბავშვობის სცენაზე დგება. ნაწარმოები გვახსენებს, რომ ნებისმიერი დიდი წარმატების მიღმა, ყოველგვარი ზედაპირული იარლიყების მიღმა ცოცხალი ადამიანი, დაუღალავი შრომა და უანგარო, თავდადებული სიყვარული დგას. ეს არის ჰიმნი ბავშვობის, მზრუნველობისა და იმ პირველი მუსიკალური აკორდებისა, რომლებიც ადამიანის მომავალ ცხოვრებას განსაზღვრავენ. ნუგზარისა და მისი ბებიას ურთიერთობა ადამიანური ურთიერთგაგების, ნდობის, სიფაქიზის, სიწრფელის ნიმუშია. ეს მოთხრობა ამის წყალობით განსაკუთრებით ხიბლავს მკითხველს.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

(შესაძლო ვარიანტები)

- გქონიათ თუ არა გამოცდილება, როდესაც სცენაზე ან ბევრი ადამიანის წინაშე უნდა გამოსულიყავით? (მაგ.: სასკოლო ზეიმი, სპორტული შეჯიბრება, პროექტის პრეზენტაცია). რა გრძნობა გქონდათ გამოსვლის წინ და როგორ დაძლიეთ მღელვარება?
- თქვენი აზრით, რა განსხვავებაა უბრალოდ ნიჭსა და მძიმე, ყოველდღიურ შრომას შორის? შესაძლებელია თუ არა წარმატების მიღწევა მხოლოდ ნიჭის ხარჯზე, შრომის გარეშე?
- თუ დაკავებულხართ ხელოვნებით (ხატვა, მუსიკა, ცეკვა), რა ემოციებს გამოხატავთ ხოლმე ამ აქტივობით? შეუძლია თუ არა მუსიკას ადამიანის ხასიათის ან განწყობის შეცვლა?
- ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც მშობლები ან ბებია-ბაბუა გაიძულებდნენ ისეთი რამის კეთებას, რაც იმ მომენტში გეზარებოდათ ან გიჭირდათ? (მაგ.: მეცადინეობა, ოთახის დალაგება, წიგნის წაკითხვა). როგორ ფიქრობთ, რატომ გთხოვდნენ ამას და მოგიტანათ თუ არა ამან რაიმე სარგებელი მოგვიანებით?
- როგორ გესმით გამოთქმა „კეთილი ტყუილი“? თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სიტუაცია, როდესაც ადამიანის სიმშვიდის ან ფსიქიკის დასაცავად სიმართლის დამალვა გამართლებულია?
- დაასახელეთ თქვენი ოჯახის წევრებისთვის დამახასიათებელი თბილი სიტყვები, მიმართვის ფორმები ან ჟესტები, რომლებიც თქვენში ყოველთვის უსაფრთხოებისა და სიყვარულის განცდას იწვევს.
- როგორ გესმით სხვისი ტკივილისა და განცდების საკუთარივით აღქმა? ყოფილა შემთხვევა, როდესაც წიგნის ან ფილმის პერსონაჟის გამო გიტირიათ ან დიდხანს გიფიქრიათ მის ბედზე?

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“</u>

1. რით იწყება მოთხრობა და რა იწვევს პერსონაჟის მღელვარებას?

კომენტარი: მოთხრობა იწყება პირველი სოლო კონცერტის წინ ნუგზარის მღელვარების აღწერით. პერსონაჟის დიდ მღელვარებას იწვევს საპასუხისმგებლო გამოსვლა და დარბაზში შეკრებილი უამრავი მსმენელი, განსაკუთრებით კი, იმის გაცნობიერება, რომ მის დაკვრას აფასებენ უცხო ადამიანები. სცენის შიში, პირველი სერიოზული შეხვედრა მსმენელთან და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის სურვილი მასში უდიდეს ემოციურ დაძაბულობას იწვევს.

2. როგორია სურათზე გამოსახული ბავშვის გარეგნობა?

კომენტარი: სურათზე გამოსახული ბიჭი საინტერესო ადამიანი ჩანს: კაფანდარა, ენერგიული, მოძრავი, მეტყველი თვალებითა და გამჭოლი მზერით. სათვალე მის სახეს ინტელექტუალურ იერს აძლევს. ის დაკვირვებული, გონიერი და მოაზროვნე ჩანს. ფეხებზე გადახვეული ჭრილობები მის მოუსვენრობასა და განსაკუთრებულ სიცელქეზე მეტყველებს, ხოლო სპორტული ფეხსაცმელი, მზერა ბურთისკენ და ხელში იძულებით ამოჩრილი ნოტების რვეული - მის ინტერესებზე. ბიჭს მუსიკოსად (ინსტრუმენტალისტად) ყოფნას სტადიონზე ბურთის თამაში და სირბილი ურჩევნია.

3. როგორ გესმით სიტყვები: „ჭერს თვალებით ვბურღავ“?

კომენტარი: ბიჭი ტახტზე წამოწოლილა, დაძაბულია და ზემოთ იყურება. მისი მახვილი და დაჟინებული მზერა მის გონიერებასა და მტკიცე ნებისყოფაზე მეტყველებს.

4. დაახასიათეთ პატარა ნუგზარი. თქვენი აზრით, რატომ იყო ის „ახირებული“ ბავშვი?

კომენტარი: ნუგზარი მოუსვენარი, ცელქი და ჰიპერაქტიური ბავშვი იყო, მაგრამ გამოირჩეოდა გონიერებით, მაძიებელი ბუნებით, მაღალი ემოციური ინტელექტით. მას მხატვრული ლიტერატურის კითხვა და მოსმენა უყვარდა, მოსმენილს ემოციურად იღებდა. გულთბილი და მგრძნობიარე ადამიანი იყო. როცა ივანე ტურგენევის „მუმუ“ წაუკითხა ბებომ, მოთხრობის ტრაგიკულ ფინალზე, საყვარელი ლეკვის დახრჩობაზე, გულმდუღარედ იტირა და ბებია აიძულა, რომ ბედნიერი დასასრული მოეგონებინა აღელვებული შვილიშვილისთვის.

5. რატომ გადაწყვიტა ბებიამ, რომ ნუგზარს ვიოლონჩელზე დაკვრა შეესწავლა?

კომენტარი: როცა ნუგზარი სკოლაში შეიყვანეს და სწავლით იყო დაკავებული, ბებიამ გადაწყვიტა რომელიმე საკრავზე დაკვრაც ესწავლებინა, მუსიკის სამყაროც შეეყვარებინა, რათა ბიჭისთვის ქუჩაში ყოფნის დრო კიდევ უფრო შეემცირებინა.

6. რატომ აღიქვამდა ნუგზარი ვიოლონჩელს, როგორც „ბოროტ კაცს“? თქვენი აზრით, რატომ ჰქონდა ინსტრუმენტს „ბოხი და ჩახრინწული ხმა“?

კომენტარი: ნუგზარისთვის ვიოლონჩელი „ბოროტი კაცი“ იყო, რადგან მისი წყალობით ეზოში თამაშს ვეღარ ახერხებდა, ბებია სახლში უხმობდა და აიძულებდა, რომ დაეკრა. ინსტრუმენტს ბოხი და ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, რადგან ნუგზარი ოსტატურად ვერ უკრავდა, დაოსტატება სჭირდებოდა, გამოუცდელი ინსტრუმენტალისტი იყო, დაკვრას ჯერ კიდევ სწავლობდა.

7. როგორი იყო ბებიასა და შვილიშვილის ურთიერთობა? მოიყვანეთ ორი-სამი მაგალითი ტექსტიდან.

კომენტარი: ნუგზარსა და ბებიას საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ - თბილი, სიყვარულითა და კეთილგანწყობით გასხივოსნებული. ბებია ყოველთვის შვილიშვილზე ზრუნავდა და ბიჭსაც უსაზღვროდ უყვარდა ის. მართალია, მოხუცი ქალისთვის ადვილი არ იყო ცელქი მოზარდის მოვლა, მაგრამ მათ ერთმანეთის ძალიან კარგად ესმოდათ. ჩანს რამდენად ღრმა და ძლიერი იყო მათი სულიერი კავშირი. ბებია იყო ბიჭისთვის ცხოვრების მეგზური და გზის გამნათებელი. ბებია ზომიერად მკაცრი იყო. ბიჭი უჯერებდა მოხუცს. მათი განსაკუთრებული ურთიერთნდობა და სიყვარული ჩანს შემდეგ ეპიზოდებში: როცა, მაგალითად, ბებია „მუმუს“ წაკითხვის შემდეგ აღელვებულ შვილიშვილს დასამშვიდებლად ტყუილს ეუბნება, ეფერება და მისი მკლავები ბავშვისთვის ყველაზე უსაფრთხო თავშესაფარია. ბებია შვილიშვილს განსაკუთრებული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ტონით მიმართავს. ავტორი აღნიშნავს, რომ ბებია ყოველთვის სიტყვას აგრძელებდა და მოფერებით „ჩეემის“ ამბობდა. „მე კიდევ უფრო ვპატარავდებოდი მის მკლავებში“, - ბიჭის ეს ფრაზა კარგად აჩვენებს, რომ ბებიას გვერდით ბიჭუნა თავს აბსოლუტურად დაცულად და მშვიდად გრძნობს. ბიჭი ძალიან განიცდიდა ბებიას ავადმყოფობას. ასევე ნდობის გამოხატულებაა, როცა ნუგზარი ჰპირდება ბებიას, რომ, როცა შეყვარებულს გაიჩენს, მას აუცილებლად გააცნობს. ნუგზარის პირველ კონცერტს, სამწუხაროდ, ბებია ვერ მოესწრო, მაგრამ ბიჭი საოცარი სენტიმენტებით, ცხელი ცრემლებით, სინაზითა და სიფაქიზით იხსენებდა მას. ბებიას ხსოვნა სათუთად ჰქონდა გულში შენახული.

8. ვინ ჰყვება ამბავს, რომელ პირშია თხრობა? რას მატებს ეს არჩევანი თხრობას?

კომენტარი: ამბავს პირველ პირში ჰყვება ნუგზარი. მკითხველი მოვლენებს ბავშვის თვალით ხედავს. ჩვენ უშუალოდ, ყოველგვარი ფილტრის გარეშე განვიცდით მის შიშს, სცენის ელდას, სევდას „მუმუს“ გამო და ბებიას მიმართ უდიდეს სიყვარულს. პირველ პირში თხრობა აქრობს დისტანციას მკითხველსა და პერსონაჟს შორის. ჩვენ ვხდებით მისი შინაგანი სამყაროს თანამონაწილენი, რაც ამბავს ბევრად უფრო ახლობელსა და დასამახსოვრებელს ხდის. ავტორი შესანიშნავად გადმოსცემს იმას, თუ როგორ აღიქვამს პატარა ბიჭი დიდების სამყაროს, კონცერტის პასუხისმგებლობასა და ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

9. თქვენი აზრით, როგორ გაგრძელდება ამბავი - რამდენად და როგორ შეძლებს ნუგზარი ვიოლონჩელთან „დამეგობრებას“? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

კომენტარი: პერსონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, ნუგზარი ნამდვილად შეძლებს ვიოლონჩელთან „დამეგობრებას“, თუმცა ეს მეგობრობა არ იქნება მარტივი, იგი დაეფუძნება მუსიკის, როგორც საკუთარი განცდებისა და ემოციების გამოხატვის მთავარი საშუალების, აღმოჩენას. ნუგზარი საოცრად მგრძნობიარე და ემპათიური ბავშვია. ტურგენევის „მუმუს“ წაკითხვის შემდეგ იგი იმდენად განიცდის ძაღლის ტრაგედიას, რომ დიდხანს ვერ მშვიდდება. როდესაც ბავშვი გაიზრდება, ის აღმოაჩენს, რომ ვიოლონჩელი თავისი ღრმა, ხავერდოვანი და სევდიანი ჟღერადობით იდეალური ინსტრუმენტია სწორედ ასეთი გულწრფელი ემოციების გამოსახატავად. ინსტრუმენტი მისთვის გახდება „მეორე ენა“, რომლითაც იმის თქმას შეძლებს, რასაც სიტყვებით ვერ გამოხატავს. ბებია მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ის არა მხოლოდ დაატარებს მძიმე ვიოლონჩელს, არამედ ბავშვის ფსიქიკასაც უფრთხილდება (მაგალითად, მუმუზე ტყუილის თქმით). ნუგზარისთვის ვიოლონჩელზე დაკვრა ყოველთვის ასოცირებული იქნება ბებიას სითბოსთან, მის გაწეულ ამაგსა და იმ უსაფრთხო გარემოსთან, რომელსაც ბებია უქმნიდა. ეს პოზიტიური ემოციური კავშირი მას ინსტრუმენტის შეყვარებაში დაეხმარება. მიუხედავად უდიდესი მღელვარებისა, სცენის შიშისა და დაძაბულობისა, ნუგზარი მაინც გადის სცენაზე და უკრავს. ეს ნიშნავს, რომ მას აქვს მტკიცე ხასიათი და პასუხისმგებლობის გრძნობა. პირველი სოლო კონცერტის ბარიერის გადალახვა მას მუსიკოსის, ინსტრუმენტალისტის, თავდაჯერებას შესძენს.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“</u>

- **ბებია ატყუებს პატარა ნუგზარს - ცვლის მოთხრობა „მუმუს“ დასასრულს და ეუბნება, რომ ძაღლი გადარჩა. თქვენი აზრით, რატომ მოიქცა ბებია ასე? შეიძლება თუ არა მის სიცრუეს „კეთილი ტყუილი“ ვუწოდოთ? თქვენი მოსაზრება ახსენით.**

კომენტარი: ბებიას საქციელი ამ ეპიზოდში კარგად წარმოაჩენს მის უსაზღვრო მზრუნველობასა და ფსიქოლოგიურ ალღოს. ბებიამ „მუმუს“ დასასრული იმიტომ შეცვალა, რომ ნუგზარი საოცრად მგრძნობიარე, სათუთი და ემპათიური ბავშვი იყო. ის იმდენად ღრმად განიცდიდა წაკითხულს, რომ ტრაგიკულ ფინალს, მეგობარი ძაღლის დახრჩობას, მისი ფსიქიკა უბრალოდ ვერ გაუძლებდა. ბებიამ დაინახა, რომ ბავშვი ემოციურად განადგურებული იყო და რეალური სიმართლე მას დიდ სულიერ ტრავმას მიაყენებდა. დიახ, ბებიას ამ ნაბიჯს ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ „კეთილი ტყუილი“, რადგან მას

საფუძვლად უდევს არა ეგოისტური მიზნები, არამედ არსებობს სიმართლე, რომლისთვისაც ბავშვის გონება ჯერ კიდევ არ არის მზად. ბებიას ტყუილი ერთგვარი ფარია, რომელმაც პატარა ნუგზარი სამყაროს მკაცრი და სასტიკი რეალობისგან დაიცვა. ეს ტყუილი არ არის სამუდამო. ბებიამ იცის, რომ, ნუგზარი როცა გაიზრდება, თავად გადაიკითხავს წიგნს და გაიგებს სიმართლეს, თუმცა მაშინ ის უკვე ემოციურად მზად იქნება და ამ ტრაგედიის გადატანას შეძლებს. ბებიასთვის იმ მომენტში ბავშვის სიმშვიდე და ფსიქიკური ჯანმრთელობა ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ლიტერატურული ნაწარმოების სიზუსტე.

- **„ჩემი კარგი ბიჭი“ - ასე მიმართავს ბებია ნუგზარს მოფერებით. ხმამაღლა წარმოთქვით ეს სიტყვები. თქვენი აზრით, ბებიას როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს გრძლად წარმოთქმული ორი ხმოვანი - „ჩემი“?**

კომენტარი: გრძლად წარმოთქმული ორი ხმოვანი სიტყვაში „ჩემი“ ბებიას მხრიდან უსაზღვრო, მომთმენ, თბილ და თავდადებულ სიყვარულს გამოხატავს. როდესაც ამ სიტყვებს ხმამაღლა წარმოთქვამთ, თავადვე იგრძნობთ, რომ ეს არ არის უბრალო მიმართვა. ეს გრძელი ხმოვანი სიტყვაში რამდენიმე მნიშვნელოვან დამოკიდებულებას იტევს: ხმოვნის გაწელვა თითქოს აჩერებს დროს და ქმნის სიმშვიდის განცდას. ბებია ამით შვილიშვილს აგრძნობინებს, რომ მისი სიყვარული უსასრულოა, არსად ეჩქარება და მთელი მისი ყურადღება იმ წამს მხოლოდ ნუგზარს ეკუთვნის. სიტყვა „ჩემი“ ხაზს უსვამს კავშირს, ხოლო „ჩემი“ - ამ კავშირის განსაკუთრებულ სიღრმეს. ბებია ამით ამბობს: „შენ მხოლოდ ჩემი სათაყვანებელი, ჩემი გაზრდილი და ჩემი დასაცავი ბიჭი ხარ“. ეს არის მფარველის ხმა, რომელიც ბავშვს უსაფრთხოების გარანტიას აძლევს. მოთხრობის კონტექსტში, როდესაც ნუგზარი შეშინებული ან აფორიაქებულია, ეს გრძელი „ჩემი“ მუსიკალური ჰანგივით ჟღერს და მშობლებს მოწყვეტილ ბიჭს ამშვიდებს.

- **ბებია ნუგზარს, ფაქტობრივად, აიძულებს სწავლას - ნუგზარს თამაში უნდა, ბებია კი სამეცადინოდ ეძახის. როგორ ფიქრობთ, მიაღწევდა თუ არა ნუგზარი წარმატებას, ბებიას რომ არ დაეძალებინა დაკვრა?**

კომენტარი: თუ გავაანალიზებთ მოთხრობის კონტექსტს და, ზოგადად, მუსიკალური განათლების სპეციფიკას, ნუგზარი ბებიას ამ „დაძალების“ გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევდა. ნუგზარი პატარაა, მას, ბუნებრივია, თამაში და ეზოში სირბილი ურჩევნია მძიმე ინსტრუმენტთან საათობით ჯდომას. ბავშვებს არ აქვთ იმის გაცნობიერების უნარი, თუ რა შედეგს მოუტანთ დღევანდელი შრომა მომავალში. ბებიას სიმკაცრე აქ მოქმედებს, როგორც მტკიცე ნება, რომელიც ბავშვს ეხმარება სიზარმაცისა და ცდუნებების დაძლევაში. ვიოლონჩელზე ან ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტზე დაკვრა მოითხოვს ყოველდღიურ, მოსაწყენ ვარჯიშს. ამ რუტინას თავისი ნებით არცერთი ბავშვი არ შეასრულებს. ბებიას რომ არ დაეძალებინა, ნუგზარი უბრალოდ ვერ გამოიმუშავებდა იმ საბაზისო ტექნიკურ უნარებს, რომლებიც სცენაზე გასასვლელად და პირველი კონცერტის ჩასატარებლად იყო საჭირო. ბებიას იძულება აქ არ არის ტირანია; ეს არის მზრუნველობითი დისციპლინა. ბებიამ იცის შვილიშვილის ნიჭის ფასი და ისიც ესმის, რომ უშრომლად ეს ნიჭი დაიკარგება. სწორედ ეს ორგანიზებული, თუნდაც ძალდატანებითი შრომა ხდება საფუძველი იმისა, რომ ნუგზარი საბოლოოდ დგება სცენაზე და იღებს პირველ დიდ მუსიკალურ გამოცდილებას.

<u>რუბრიკა „იმსჯელეთ“</u>

ნუგზარი თავად ჰყვება ამბავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი. იმსჯელეთ, რას მატებს ეს ნაწარმოებს. ამისთვის ჩაატარეთ პატარა ექსპერიმენტი:

• დააკვირდით მოთხრობის დასაწყისს, სადაც ნუგზარის მღელვარებაა აღწერილი. შემდეგ გადმოწერეთ ეს მონაკვეთი მესამე პირში - წარმოიდგინეთ, რომ ამბავს გარეშე მაყურებელი ჰყვება. გამოიყენეთ ფორმები: „ნუგზარი ღელავდა“, „ის ფიქრობდა“.

კომენტარი: ნიმუშის სახით შეგვიძლია მივცეთ ასეთი მოკლე ტექსტი: ნუგზარი საშინლად ღელავდა კულისებში დგომისას, ხმები და განათება მასში შიშს იწვევდა. ის ფიქრობდა სცენაზე გასვლასა და მაყურებლის წინაშე დაკვრაზე, რაც მისთვის დიდი გამოცდა იყო.

• შეადარეთ თქვენი ვარიანტი მოთხრობის ტექსტს: რა შეიცვალა მესამე პირში გადმოცემისას? დაიკარგა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი, განცდა თუ ემოცია? რომელია უფრო უშუალო - რომელში იკვეთება უფრო დამაჯერებლად, რა ხდება პერსონაჟის გულში? პასუხი დაასაბუთეთ.

კომენტარი: ტექსტის მესამე პირში გადატანისას მოთხრობის ემოციური ქსოვილი მკვეთრად შეიცვალა. პირველ და მესამე პირს შორის არსებული განსხვავებები რამდენიმე მთავარ ასპექტში ვლინდება: მესამე პირში თხრობისას გაჩნდა დისტანცია მკითხველსა და პერსონაჟს შორის. გარეშე მაყურებელი მხოლოდ ფაქტებს ამჩნევს („ღელავდა“, „ფიქრობდა“), რაც ტექსტს უფრო მშრალს, რეპორტაჟულსა და ინფორმაციულს ხდის. ამ დროს დაიკარგა ბავშვური განცდების პირველწყარო - ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეგრძნებები, რომლებსაც ნუგზარი სცენის მიღმა საკუთარ სხეულზე გრძნობდა (მაგალითად, გულისცემის აჩქარება, მუხლების კანკალი თუ ვიოლონჩელის სიმძიმე). გარეშე თვალი ვერ ხედავს პერსონაჟის ქვეცნობიერ შიშებსა და იმ ნიუანსებს, რომლებსაც ბავშვი მხოლოდ საკუთარ თავს უმხელს. დოჩანაშვილის ორიგინალური ვარიანტი (პირველ პირში თხრობა) შეუდარებლად უფრო უშუალო და დამაჯერებელია. პირველი პირი ავტორს საშუალებას აძლევს, სრული სიზუსტით გადმოსცეს შინაგანი მონოლოგი. სცენის შიში ბევრად უფრო ცოცხალია, როცა მას თავად ბავშვი თავისი სიტყვებითა და ინტონაციით გვიყვება. მესამე პირში თხრობამ ამბავს ემოციური სიღრმე დააკლო. პირველი პირის გამოყენება იყო სწორედ ის იარაღი, რომელმაც პატარა ნუგზარის შინაგანი სამყარო მკითხველისთვის ასე ახლობელი გახადა.

2. დაფიქრდით და იმსჯელეთ: არის თუ არა ისეთი რამ, რის კეთებას ან სწავლას მშობლები გთხოვენ, თქვენ კი გიჭირთ. იქნებით თუ არა მომავალში ამისთვის მადლობელი? თქვენი პასუხი ახსენით.

კომენტარი (მასწავლებლის რეკომენდაცია მოსწავლისთვის): ამ დავალებაზე მუშაობისას ყველაზე მნიშვნელოვანია პირადი გამოცდილების გააზრება და მისი დაკავშირება მოთხრობის მთავარ სათქმელთან. ვინაიდან კითხვა პირად რეფლექსიას მოითხოვს, პასუხი უნდა იყოს გულწრფელი, არგუმენტირებული და სტრუქტურირებული. ურჩიეთ მოსწავლეს, რომ მსჯელობა ლოგიკურად მიჰყვეს კითხვის ორსავე პუნქტს: 1. რა

არის ის კონკრეტული საქმე/აქტივობა, რომელსაც მშობლები სთხოვენ და რატომ უჭირს მისი კეთება (მაგ.: უცხო ენის სწავლა, მათემატიკის ამოცანები, სპორტზე ან მუსიკაზე სიარული, დილას ადრე გაღვიძება, წიგნების კითხვა). 2. შეძლებს თუ არა წლების შემდეგ ამ იძულების ფასეულობის დანახვას და იქნება თუ არა მადლობელი. კარგი იქნება, თუკი მოსწავლე თავს შეადარებს მოთხრობის გმირს. მოსწავლეს ზოგჯერ უჭირს ჩაღრმავებით მიზეზების ახსნა. შეგვიძლია დავეხმაროთ ამგვარი რჩევით: „ახსენი, რომ მშობლებს მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. ისინი დღეს გაიძულებენ იმის კეთებას, რაც მომავალში შენს პიროვნულ ზრდას, პროფესიულ წარმატებას ან ჯანმრთელობას (სპორტის შემთხვევაში) სჭირდება. მადლიერება სწორედ იმის გაცნობიერებაა, რომ ეს იძულება დღეს შენს სასიკეთოდ ხდება.“ შეინარჩუნე გულწრფელობა“, „ნუ შეგეშინდება იმის აღიარება, რომ ეს პროცესი ახლა გეძნელება, გადმოეცი გულწრფელი ემოციები (მაგ.: „ვიღლები ხოლმე, მაგრამ ვიცი, რომ“....) ურჩიეთ მოსწავლეს, გამოიყენოს გარდამავალი ფრაზები მსჯელობის გასამდიდრებლად: „ნუგზარის მსგავსად, ჩემს ცხოვრებაშიც არის მომენტები, როცა...“ „მიუხედავად იმისა, რომ ახლა ეს საქმე დიდ ძალისხმევას მოითხოვს და მიმძიმს...“ „მომავალში, როცა დიდ მიზნებს მივაღწევ, დარწმუნებული ვარ, მადლობელი ვიქნები, რადგან...“

3. „სათვალიანი და ასეთი ცელქი?!“ - ხშირად უკვირს ბებიას. თქვენი აზრით, რა „უხილავ კავშირს“ ხედავს ბებია სათვალესა და ხასიათს შორის - რატომ ჰგონია მას, რომ სათვალე და სიცელქე ერთმანეთს არ შეესაბამება?

კომენტარი: ბებიას ეს გაკვირვება ეყრდნობა საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც სათვალე სიმშვიდის, წიგნიერებისა და სერიოზულობის სიმბოლოა. ტრადიციულად, სათვალიანი ბავშვი ასოცირდება წყნარ, ბეჯით, ბევრის მკითხველ და გულჩათხრობილ პერსონასთან, რომელიც დროს ძირითადად მეცადინეობასა და წიგნებთან ატარებს. სიცელქე და ეზოში სირბილი კი ამ პორტრეტს საერთოდ არ შეესაბამება. სათვალე სათუთი ნივთია, რომელიც აქტიური თამაშის, სირბილისა და ცელქობის დროს შეიძლება მარტივად გატყდეს ან დაიკარგოს. როდესაც ადამიანს ვაფასებთ მხოლოდ ერთი ნიშნით - მაგალითად, სათვალით, ჩაცმულობით ან ვარცხნილობით - ჩვენ ვქმნით იარლიყს (წინასწარ შემუშავებულ აზრს).

თქვენი აზრით, რატომ შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი ჩვენი მოლოდინი, როდესაც ადამიანზე დასკვნას მხოლოდ ერთი დეტალით ვაკეთებთ? დაფიქრდით და იმსჯელეთ: ყოველდღიურ ცხოვრებაში გავრცელებული კიდევ რა იარლიყების დასახელება შეგიძლიათ და რატომაა მცდარი ასეთი შეფასება?

კომენტარი: ადამიანის შეფასება მხოლოდ ერთი გარეგნული ნიშნით (იარლიყით) ხშირად მცდარია, რადგან გარეგნობა არასოდეს ასახავს პიროვნების შინაგან სამყაროს, ხასიათის სირთულესა და უნიკალურობას. ადამიანები ბევრად უფრო მრავალფეროვანნი ვართ, ვიდრე ერთი კონკრეტული დეტალი, ჩაცმულობა, ვარცხნილობა თუ სათვალე. როდესაც დასკვნას მხოლოდ ერთ შტრიხზე აგებ, შენ ხედავ ზედაპირს და კარგავ მთავარს _ ადამიანის რეალურ ბუნებას, ნიჭსა და ინტერესებს, ზუსტად ისე, როგორც ბებიას უკვირდა სათვალიანი ნუგზარის სიცელქე. ზოგჯერ სპორტულად ჩაცმულ ადამიანებს შეცდომით მიიჩნევენ არასერიოზულებად, ხულიგნებად ან ნაკლებად განათლებულებად. სინამდვილეში, ეს მხოლოდ კომფორტის არჩევანია - ამ სამოსის მიღმა შეიძლება იმალებოდეს უნიჭიერესი პროგრამისტი, მეცნიერი ან ხელოვანი. საზოგადოების ნაწილს

დღესაც ჰგონია, რომ უცნაური ვარცხნილობის ან სხეულის მოხატულობის მქონე ადამიანი აგრესიული, ურჩი ან არასაიმედოა. რეალურად, ეს თვითგამოხატვის ფორმაა და არანაირ კავშირში არ არის ადამიანის სიკეთესთან, პასუხისმგებლობის გრძნობასთან ან პროფესიონალიზმთან. თუ ადამიანი სოფლიდან ან რეგიონიდანაა და თავისი კუთხისთვის დამახასიათებელი აქცენტით საუბრობს, ზოგჯერ მას შეცდომით „გაუნათლებლის“ იარლიყს აკრავენ. ეს უდიდესი შეცდომაა, რადგან აქცენტი კულტურული იდენტობის ნაწილია და არა - ინტელექტის საზომი. სკოლაში ფიქრობენ, რომ, თუ ბავშვი კარგ ნიშნებს იღებს, ის აუცილებლად უინტერესოა. მსგავსი სტიგმები მცდარია, რადგან იარლიყების გამოყენებით ჩვენ ადამიანს ვათავსებთ ხელოვნურ ჩარჩოში, შედეგად კი ხშირად ვკარგავთ შესაძლებლობას, შევიძინოთ კარგი მეგობრები, აღმოვაჩინოთ საინტერესო პიროვნებები და დავინახოთ სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

<u>მოთხრობის მეორე თავი</u>

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“</u>

1. რა გარდატეხა მოხდა ნუგზარის ცხოვრებაში, რამაც მას საკრავი შეაყვარა?

კომენტარი: ნუგზარმა ვიოლონჩელი მაშინ შეიყვარა, როცა ავადმყოფმა ბებიამ სთხოვა, რომ საყვარელი ნაწარმოები, სენ სანსის „მომაკვდავი გედი“, შეესრულებინა. ბიჭმა ბებიასთვის განსაკუთრებული სინაზით დაუკრა, ბებიას ძალიან მოეწონა ეს შესრულება და მადლიერების ნიშნად მოეფერა, გულში ჩაიკრა, თვალებში აკოცა. ცოტა ხანში კი მეზობელი ბუღალტერი შემოვიდა და ნუგზარს სთხოვა, რომ კიდევ დაეკრა, რადგან ეს მუსიკა ასვენებდა. ეს დღე გარდამტეხი აღმოჩნდა ნუგზარისთვის. მან დაინახა, რომ ადამიანებს აბედნიერებდა თავისი ხელოვნებით, ხოლო ვიოლონჩელის დახმარებით შეეძლო აეჟღერებინა სულში ჩამწვდომი მუსიკა ბედნიერებაზე, სიხარულსა თუ სევდაზე.

2. როგორი იყო მეზობლების დამოკიდებულება ნუგზარის დაკვრის მიმართ - როდის შეიცვალა მათი გაღიზიანება ნუგზარის აღიარებით? რაში გამოიხატებოდა მეზობლების აღიარება?

კომენტარი: მას შემდეგ, რაც ნუგზარმა ბებია და მეზობელი ბუღალტერი გაახარა დაკვრით, ის უკვე სიყვარულითა და სიხარულით უკრავდა, დაძალება აღარ სჭირდებოდა და ნელ-ნელა მეზობლებმაც დაიწყეს მისი ოსტატობის აღიარება - ხან მეწაღე სერიოჟა სთხოვდა, რომ დაეკრა, ხან - ბუღალტერი... ვიოლონჩელი უკვე „ბოროტი კაციდან“ „სათნო კაცად“ გარდაიქმნა, ბიჭს ყველა სიამოვნებით უსმენდა.

3. თქვენი აზრით, რატომ უნდოდა ბებიას, რომ ნუგზარის რჩეული - „ის“ - შვილიშვილის სოლო კონცერტზე გაეცნო?

კომენტარი: ბებიას ალბათ იმიტომ სურდა შვილიშვილის რჩეულის მის სოლო კონცერტზე გაცნობა, რომ ეს დღე განსაკუთრებული იქნებოდა ყველასთვის - ბებოსთვის, ნუგზარისთვის, მისი სატრფოსთვის... იქნებოდა ბევრი ოვაცია და ემოცია, ნუგზარი გაიბრწყინებდა სცენაზე, ყველას მოხიბლავდა და ამ ფონზე მისი შყვარებულის გაცნობა ბებოსთვის ბევრად უფრო სასიამოვნო და დაუვიწყარი იქნებოდა.

4. როგორ ემზადებიან მეზობლები ნუგზარის სოლო კონცერტისთვის? დაიმოწმეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილი.

კომენტარი: ნუგზარის სოლო კონცერტისთვის ყველა სიხარულითა და სიამაყით ემზადება. ნუგზარი ფიქრობს: „დღეს, ალბათ, ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. ვიცი, მეზობლები გვირგვინს მიმზადებენ ჩუმად. ბევრი ხალხი იქნება. ისიც იქნება“... როგორც ჩანს, მეზობლები განსაკუთრებით ამაყობენ თავიანთი ნიჭიერი მეზობლით.

5. თქვენი აზრით, რისი მიმანიშნებელია ნუგზარის ცრემლები - უიმედობის, შიშის თუ დაძაბულობისგან გათავისუფლების? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

კომენტარი: ნუგზარის ცრემლები დაძაბულობისგან გათავისუფლების, შვების, იმედის ცრემლებია. მას ცრემლებს გვრის გარდაცვლილი უსაყვარლესი ბებიას მოგონება. მისი მუსიკოსად ქცევა ბებოს დამსახურებაა, ის ოცნებობდა ნუგზარის სოლო კონცერტზე, მაგრამ ამ დღეს ვერ მოესწრო, რაც ნუგზარს ტკივილიანი ემოციებით ავსებს. მის ფიქრებში ირეკლება ეს ტკბილ-მწარე განცდები: „ცრემლი ნაოჭში ყოვნდება, მერე ჩარბის ქვევით, ტუჩის კუთხესთან, მერე ნიკაპთან ჩერდება და მკერდზე მეცემა. მეორე წვეთი პირველის ნაკვალევზე უფრო სწრაფად მიგორავს და ისიც მკერდზე მეცემა. ბებო, ჩემო ბებო, როგორ გინდოდა ჩემი სოლო კონცერტის მოსმენა! თვალებს ვიმშრალებ. საოცრად აწყნარებს ადამიანს თურმე ტირილი“...

6. ვის უძღვნის მუსიკოსი თავის პირველ სოლო კონცერტს და რატომ ამბობს „ჩემი სათნო კაცი“ ნაცვლად იმისა, რომ თქვას „ჩემი ვიოლონჩელი“?

კომენტარი: „ბებო, შენს ხსოვნას მიუძღვნის ჩემი სათნო კაცი თავის სევდიან სიმღერას“, - ამბობს მოთხრობის ფინალში ნუგზარი. მის მუსიკალურ შესრულებაში იმდენი ემოცია, სიყვარული, ტკბილი მოგონებები, სითბო და ჟრუანტელია, ბუნებრივია, რომ ვიოლონჩელი „სათნო კაცია“ და არა - უბრალოდ საკრავი.

7. როგორ ფიქრობთ, წარმატებით ჩაივლის თუ არა ნუგზარის კონცერტი? რატომ ფიქრობთ ასე? პასუხის გასაცემად მოძებნეთ შესაბამისი ადგილი ტექსტიდან.

კომენტარი: მოთხრობის კონტექსტები და ქვეტექსტები გვაფიქრებინებს, რომ ნუგზარის კონცერტი ტრიუმფით ჩაივლის, რადგან მუსიკოსი იმდენად არის ემოციურად დამუხტული გარდაცვლილი მოამაგე ბებიას სიყვარულით, სატრფოსადმი გრძნობებით, მეზობლებისადმი კეთილგანწყობითა და მადლიერებით, რომ ეს ყველაფერი მას სულიერ ძალებს მისცემს უთუოდ, რომ გრძნობით და გამომსახველად დაუკრას. დიდ ხელოვნებას ქმნიან განსაკუთრებული ემოციური ინტელექტით გამორჩეული ადამიანები. „შემეშლება? არა, არ შემეშლება!“ - ურყევი თავდაჯერებით ამბობს მოთხრობის ფინალში ემოციების ზღვაში ჩაფლული, აღელვებული ნუგზარი.

8. რა სირთულეები ჰქონდა ნუგზარს ცოდნის შეძენის გზაზე? როგორ გადალახა ისინი?

კომენტარი: ნუგზარი აქტიური და მოუსვენარი ბიჭი იყო, უყვარდა ეზოში ბავშვებთან თამაში, ფეხბურთი, კარგი მეკარე იყო და სულ თამაში უნდოდა, მაგრამ ბებიამ ზომიერი სიმკაცრით, დისციპლინისა და ორგანიზებულობის შთაგონებით მოახერხა, რომ ნუგზარს კარგად ესწავლა და პარალელურად კარგი მუსიკოსიც დამდგარიყო. ბებია ატყობდა ბიჭს, რომ ის ნიჭით დაჯილდოებული, გონიერი, მოაზროვნე ადამიანი იყო და ყველანაირად შეუწყო ხელი თვითგანვითარებაში.

9. თქვენი აზრით, შეძლებდა თუ არა ნუგზარი წარმატების მიღწევას მხარდაჭერის გარეშე? ვინ იყვნენ მისი მხარდამჭერები? რატომ ფიქრობთ ასე? პასუხის გასაცემად მოძებნეთ შესაბამისი ადგილი ტექსტიდან.

კომენტარი: ნუგზარი იმდენად გონიერი და ინტელექტუალური ადამიანი იყო, ალბათ თავადაც მოახერხებდა კარგი განათლების მიღებასა და თვითრეალიზებას, რადგან მას ჰქონდა ინტერესი, უყვარდა მხატვრული ლიტერატურის კითხვა, ამბების მოსმენა, ემოციურად აღიქვამდა ტექსტებს. მაგრამ მის წარმატებაში ლომის წილი ბებიას მიუძღვის - მან გონივრულად, ფრთხილად, ზომიერი სიმკაცრითა და კონტროლით, სწორი ზედამხედველობით განავითარა ბიჭის ნიჭი და შედეგიც საუკეთესო დადგა. ასევე ნუგზარის დიდი მხარდამჭერები იყვნენ მისი მეზობლები, ბიჭს ჰარმონიული

ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან - მეწაღე, ბუღალტერი, ყველა მისი მეგობარი და თანამგრძნობი იყო.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“</u>

მოთხრობაში საკრავი - ვიოლონჩელი - ცოცხალ არსებასავითაა აღწერილი. თავიდან ასეა დახასიათებული: „ბოროტი კაცი“, „ჩახრინწული ხმა“, „მთვრალი კაცივით უსმენოდ მღეროდა“. ბოლოს კი ასე: „კეთილი, მგრძნობიარე კაცი“, „სუფთა, ხავერდოვანი ხმა“. იმსჯელეთ, რა შეიცვალა - თავად საკრავი თუ ნუგზარის დამოკიდებულება მის მიმართ? როგორ უკავშირდება ეს ცვლილება „ცოდნის გზას“?

კომენტარი: ვიოლონჩელი უსულო საკრავია და ის ვერ შეიცვლებოდა. შეიცვალა ნუგზარის დამოკიდებულება მის მიმართ. ბიჭს ეზარებოდა ვარჯიში, მოსაწყენი ყოველდღიური რუტინა, მაგრამ ბებიას სწორმა დამოკიდებულებამ განაპირობა მისი ორგანიზებულობა, განვითარება, წარმატების გზაზე დადგომა. ნუგზარი ნიჭიერი და ცოდნას მოწყურებული ადამიანი იყო, კარგად სწავლობდა, თავიდან ვიოლონჩელთან დამეგობრება გაუჭირდა, მაგრამ სიყვარულმა, მძაფრმა ემოციებმა მას საკრავი შეაყვარა. ცოდნის გამდიდრება ყველანაირად ზრდის და წვრთნის ადამიანს.

- **ნუგზარი იხსენებს, რომ აღარ ტეხდა სათვალეებს და ეუხერხულებოდა მოკლე შარვლის ჩაცმა. ბავშვში მომხდარ რა ცვლილებაზე მიგვითითებს ეს?**

კომენტარი: ნუგზარი მოუსვენარი, დაუდეგარი, ხიფათა ბიჭიდან გონიერ, მოაზროვნე, ინტელექტუალურ ადამიანად იქცა, ამიტომაც დადგა ცვლილებების ხანა მის ცხოვრებაში. თუ პატარაობაში ბევრ რამეს ვერ იაზრებდა და ქაოსს არჩევდა, ასაკის მატებასთან ერთად, ბიჭისთვის ყველაფერი დალაგდა, წესრიგის, დისციპლინის, თვითგანვითარების მოყვარული გახდა.

- **მოთხრობის ბოლოს ნუგზარი ამბობს, რომ საკრავი მას ყველაფერს უსრულებს, რასაც სთხოვს. გახადა თუ არა მიღებულმა ცოდნამ ის უფრო თავისუფალი და ძლიერი - როგორ ვლინდება ნუგზარის შინაგანი თავისუფლება? მოიყვანეთ შესაბამისი ადგილი ტექსტიდან.**

კომენტარი: ნუგზარი ოსტატურად უკრავდა, ვირტუოზულად, ემოციურად, ისე, რომ ყველას მოსწონდა მისი შესრულება. მას ესმოდა საკრავისა და ვიოლონჩელიც კარგ პარტნიორობას უწევდა, მშვენიერი მუსიკით ატკბობდა ყველას. ცოდნა, რასაკვირველია, ადამიანს შინაგანი თავისუფლების ხარისხის ამაღლებაში ყოველთვის ეხმარება. ტექსტში ნუგზარის შინაგანი თავისუფლება ვლინდება მაშინ, როცა ის ბებიას აღარ ერიდება და უმხელს თავისი სიყვარულის ამბავს, ხოლო ფინალში მთელი გულით სწამს, რომ მისი შესრულება იქნება საუკეთესო.

- **გაიხსენეთ, როგორ იწყება მოთხრობა: „რომ შემეშალოს?.. არა! არ შემეშლება. არ უნდა შემეშალოს, მაგრამ... რა ვქნა, როგორ დავწყნარდე?“, დასასრულს კი ვკითხულობთ: „შემეშლება? არა, არ შემეშლება!“. რა ეხმარება ნუგზარს იმაში, რომ ირწმუნოს საკუთარი თავისა?**

კომენტარი: მოთხრობის დასაწყისში ნუგზარის მღელვარებას ცვლის ფინალში მისი თავდაჯერება და რწმენა საკუთარი ძალებისადმი. ამ ყველაფერს ადამიანს ანიჭებს ბევრი რამ: საყვარელი ადამიანების მხარდაჭერა და ნდობა, ვარჯიში, საკუთარი ძალების წვრთნა და განვითარება, ცოდნით გამდიდრება, სიყვარულის უნარი, ჰუმანიზმი და სურვილი იმისა, რომ საზოგადოებრივი სიკეთის წყაროდ იქცეს.

• მოთხრობის უდიდესი ნაწილი ნუგზარის ბავშვობის მოგონებებს ეთმობა. ამისდა მიუხედავად, ნაწარმოებს „პირველი კონცერტი“ ჰქვია - მოვლენა, რომელიც ზრდასრული მუსიკოსის ცხოვრებაში უნდა მოხდეს. თქვენი აზრით, რატომ შეარჩია მწერალმა ეს სათაური?

კომენტარი: როგორც წესი, მწერლები ბევრს ფიქრობენ სათაურის პოეტიკაზე. სათაურში უნდა წარმოჩნდეს ნაწარმოების მთავარი იდეური აქცენტი. სათაურში გამოხატულ ინტრიგას უნდა უპასუხებდეს სიუჟეტის განვითარების ყოველი ეტაპი: შესავალი - ექსპოზიცია - კვანძის შეკვრა - კულმინაცია - კვანძის გახსნა - ფინალი. მართალია, მოთხრობაში სიუჟეტის მეტი წილი ნუგზარის ბავშვობის ამბების მოგონებაა, მაგრამ მთავარი აქცენტი არის ის, თუ როგორ მიჰყავს ბავშვობაში სწორად დაგეგმილ გზებსა და აქტივობებს ადამიანი ცხოვრების მწვერვალამდე, რამდენად არის ბავშვობაში ჩარგული ნერგი გადამწყვეტი ადამიანის კარიერული და შემოქმედებითი წინსვლისთვის. პირველი კონცერტი ნუგზარის ცხოვრების კულმინაციაა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ბებიას მიერ წარმართულმა სწორმა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პოლიტიკამ.

<u>რუბრიკა „დისკუსია“</u>

ისაუბრეთ შეკითხვებზე დაყრდნობით, თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

• შეცდომის დაშვების შიში მხოლოდ დამაბრკოლებელია, თუ შეიძლება სასარგებლოც იყოს? როგორ ფიქრობთ, სად გადის ზღვარი „სასარგებლო“ მღელვარებასა და დამაბრკოლებელ შიშს შორის?

კომენტარი: შეცდომის დაშვების შიში ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური მოვლენა არ არის, ის შეიძლება იყოს ძალიან სასარგებლოც, რადგან მოქმედებს, როგორც თვითგადარჩენისა და პასუხისმგებლობის მექანიზმი. ჯანსაღი შიში და მღელვარება გვაიძულებს, უკეთ მოვემზადოთ, მეტი ვიშრომოთ, ყურადღება მოვიკრიბოთ და დეტალებს დავაკვირდეთ (ზუსტად ისე, როგორც ნუგზარს წინასაკონცერტო მღელვარება დაეხმარა მობილიზებაში). ის გვიცავს ზედაპირულობისა და გულგრილობისგან. ზღვარი „სასარგებლო“ მღელვარებასა და დამაბრკოლებელ შიშს შორის მოქმედების უნარზე გადის. სასარგებლოა მღელვარება, რომელიც ადამიანს ენერგიით მუხტავს, გულს გვიჩქარებს, მაგრამ მაინც გვიბიძგებს წინ, სცენაზე გასვლისა და საქმის კეთებისკენ. დამაბრკოლებელია შიში, რომელიც ადამიანს ფსიქოლოგიურად თუ ფიზიკურად აძაბუნებს, ფიტავს, აშეშებს, აკარგვინებს ხმას, რწმენას და აიძულებს, საერთოდ უარი თქვას მცდელობაზე. სანამ შიში მობილიზაციაში გვეხმარება, ის ჩვენი მოკავშირეა; როგორც კი ის წინსვლის უნარს გვართმევს, იგი ბარიერად იქცევა.

• ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას: „ნამდვილ ცოდნას მხოლოდ მაშინ შეიძენ, როცა სირთულეებს გადალახავ, უშრომლად ვერაფერს მიაღწევ“. ნათქვამის

დასასაბუთებლად არგუმენტები და მაგალითები მოიყვანეთ როგორც მოცემული მოთხრობიდან, ასევე სხვა ნაწარმოებებიდან, ისტორიიდან, ფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან.

კომენტარი: ეს მოსაზრება უდავოდ გასაზიარებელია. საფუძვლიანი ცოდნა და წარმატება არასოდეს მოდის იოლად; ის ყოველთვის არის პირადი დისციპლინის, დაბრკოლებების გადალახვისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგი. უშრომლად მიღებული სიკეთეები ზედაპირულია და ადამიანს პიროვნულად ვერ ზრდის. გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებში პატარა ნუგზარის წარმატება სწორედ სირთულეების გადალახვისა და მძიმე რუტინის შედეგია. მას, როგორც ყველა ბავშვს, ეზოში თამაში უნდა, თუმცა ბებიას „კეთილი იძულებითა“ და ყოველდღიური მეცადინეობით ის სძლევს სიზარმაცეს. თავდაპირველად მეზობლები მისი დაკვრის გამო წუხდებიან, თუმცა ამ მტკივნეული გზის გავლის შემდეგ ის აღწევს სრულყოფილებას. მეზობლების მქუხარე ტაში და აღიარება სწორედ იმ უზარმაზარი შრომის დასტურია, რომელიც ნუგზარმა ვიოლონჩელთან გაატარა. კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მეცნიერები და გამომგონებლები მხოლოდ უდიდესი შრომის ფასად აღწევდნენ მიზანს. მაგალითად, თომას ედისონმა ელექტრონული ნათურის შექმნისას ათასობით წარუმატებელი ცდა ჩაატარა. როდესაც ჰკითხეს, თუ რატომ არ დანებდა ამდენი მარცხის შემდეგ, მან უპასუხა, რომ ეს იყო არა მარცხი, არამედ იმ ათასობით გზის აღმოჩენა, რომელიც არ მუშაობდა. მისი ცოდნა და წარმატება სწორედ ამ უმძიმესი შრომითი პროცესის შედეგი იყო.

პირველი ქართველი მფრინავი ბესარიონ ქებურია ავიაციის განვითარების გარიჟრაჟზე, მეოცე საუკუნის დასაწყისში, წლების განმავლობაში საცდელ ფრენებს ატარებდა მონოპლანით, რათა გამოეცადა კონსტრუქციები და დაეხვეწა ფრენის ტექნიკა. ის ხშირად ჩამოვარდნილა ციდან თავისი აპარატით, ერთხელ მტკვარშიც ჩავარდა, მაგრამ თავისი საქმის ძლიერმა სიყვარულმა ბევრი რამ ასწავლა და საბოლოოდ მან შეძლო წარმატებული ფრენების განხორციელება. პარიზში ცნობილი ავიატორის, ლუი ბლერიოს, სკოლაში მიიღო სათანადო განათლება და იქიდანვე ჩამოიტანა თავისი მონოპლანი. მშობლებს დაჰპირდა, რომ მშობლიურ ჩხოროწყუში საკუთარი ვერტმფრენით ჩამოფრინდებოდა. მშობლებს ბიჭი გიჟი და მატყუარა ეგონათ, მაგრამ ორივე მათგანი მოესწრო, თუ როგორ დაფრინდა საკუთარი სახლის წინ თავისი ხელით გაკეთებულ მინიაეროდრომზე ბესარიონი.

შრომა და სირთულეები არის ერთგვარი ფილტრი, რომელიც ნამდვილ ცოდნას აცალკევებს დროებითი გატაცებისგან. მხოლოდ მაშინ, როცა საქმეში დებ ენერგიას და გადალახავ დაბრკოლებებს, ხდები საკუთარი საქმის პროფესიონალი და ჭეშმარიტად აფასებ მიღწეულ შედეგს.

<u>რუბრიკა „შეადარეთ“</u>

- **მოთხრობაში ბებიას საყვარელი ნაწარმოებია სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“ (ციკლიდან „ცხოველთა კარნავალი“). მოუსმინეთ ამ ნაწარმოებს და ისაუბრეთ, როგორ ეხმიანება მუსიკის ხასიათი (სევდა, სინაზე, დიდებულება) მოთხრობის ამ ეპიზოდს?**

კომენტარი: კამილ სენ-სანსის „მომაკვდავი გედის“ სევდიანი და სათუთი მელოდია იდეალურად ეხმიანება მოთხრობის ამ ეპიზოდს. ვიოლონჩელის ღრმა, ხავერდოვანი ჟღერადობა ზუსტად გადმოსცემს ბებიას ხასიათს, მის დიდებულ, თავდადებულ სულსა და იმ ნაღვლიან სინაზეს, რომლითაც ის ნუგზარს ზრდის. ამ ნაწარმოების ტრაგიზმი ეხმიანება ტურგენევის „მუმუს“ სევდას, რომელიც ბავშვმა ასე მწვავედ განიცადა. საბოლოოდ, ეს მელოდია ხდება სიმბოლო თავად ბებიას ამაგისა და იმ დიდი, გულწრფელი ემოციებისა, რომლებიც ნუგზარმა საკუთარ თავში უნდა აღმოაჩინოს, რათა ნამდვილ მუსიკოსად ჩამოყალიბდეს.

- **გურამიშვილის თქმით, სწავლა მწარეა, მისი ბოლო კი - ტკბილი („სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“). როგორ ეხმიანება გურამიშვილის ეს ცნობილი აზრი ნუგზარის თავგადასავალს? რა იყო ნუგზარისთვის „მწარე ძირი“ და რა აღმოჩნდა „ტკბილი ნაყოფი“?**

კომენტარი: დავით გურამიშვილის ეს ცნობილი აზრი ზუსტად ასახავს ნუგზარის მუსიკალურ გზას. „მწარე ძირი“ ნუგზარისთვის იყო ვიოლონჩელზე დაკვრის სწავლის დამღლელი პროცესი, ბავშვური სურვილების დათმობა, ეზოში თამაშის ნაცვლად საათობით დამქანცველი ვარჯიში, მეზობლების გაღიზიანება და სცენაზე გასვლის წინა საშინელი მღელვარება. „ტკბილი ნაყოფი“ კი მისთვის იქნებოდა პირველი წარმატებული კონცერტის შემდგომი ტრიუმფი, საკრავის შეყვარება, შეყვარებულის სიამაყე, მეზობლების მიერ კონცერტზე მირთმეული გვირგვინი, ეზოში დაბრუნებისას მეზობლების მხრიდან ფეხზე წამოდგომითა და მქუხარე ტაშით გამოხატული საყოველთაო აღიარება.

- **გაიხსენეთ დავით გურამიშვილის სიტყვები ბრძენის შესახებ: „...ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში ყოფნა ნებისა; ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა...“ შეადარეთ ეს სტრიქონები დოჩანაშვილის მოთხრობის დასასრულს და იმსჯელეთ, როგორ აღწევენ თავისუფლებას გურამიშვილის ბრძენი და ნუგზარი, რა არის მათი თავისუფლების საფუძველი?**

კომენტარი: დავით გურამიშვილის ბრძენი და გურამ დოჩანაშვილის ნუგზარი შინაგან თავისუფლებას საკუთარი სულიერი საუნჯის (ცოდნისა და ნიჭის) აღმოჩენით აღწევენ. გურამიშვილის ბრძენის საუნჯე მისი გონება და სიბრძნეა, რომელიც მას მატერიალური სამყაროსგან დამოუკიდებელს ხდის, ის ყველგან თავისუფალია, რადგან მისი სიმდიდრე შიგნიდან მოდის. ნუგზარის საუნჯე კი მისი მუსიკალური ნიჭი, ემპათია და ვიოლონჩელის ხმაა. როდესაც ნუგზარი სირთულეებს სძლევს და საკრავს შეიყვარებს, მუსიკა მისი შინაგანი სამყაროს გამოსახატავ უდიდეს ძალად, ანუ მის პირად საუნჯედ იქცევა. ბრძენი წუთისოფელში სრულიად დამოუკიდებელია. ნუგზარიც მოთხრობის ფინალში აღწევს ამ მდგომარეობას. მან შრომითა და ნიჭით მოიპოვა აღიარება, ხოლო საკუთარი ხელოვნებით - სრული შინაგანი დამოუკიდებლობა. ორივე პერსონაჟისთვის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ შენი მთავარი სიმდიდრე მუდამ თან გაქვს, მას ვერავინ წაგართმევს და ის ნებისმიერ გარემოში საკუთარი თავის ბატონ-პატრონად გაქცევს.

- **გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც“. ისაუბრეთ, როგორ ასახავს ილიას სიტყვები ნუგზარისა და მისი მეზობლების**

ურთიერთობას, რა გავლენას ახდენს ნუგზარის „სანთელი” (მისი ოსტატობა) მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

კომენტარი: ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ზუსტად ასახავს იმ ტრანსფორმაციას, რომელიც ნუგზარისა და მისი მეზობლების ურთიერთობაში მოხდა, და წარმოაჩენს, თუ როგორ შეუძლია ერთ „ანთებულ სანთელს“ (ხელოვნებასა და ოსტატობას) მთელი გარემოს გათბობა და შეცვლა. თავდაპირველად ნუგზარის დაკვრა მეზობლებისთვის მხოლოდ ხმაური და გაღიზიანების წყარო იყო. ბავშვის ნიჭი ჯერ კიდევ ჩამქრალ სანთელს ჰგავდა, რომელიც გარშემომყოფთათვის უხილავი იყო. თუმცა, თავდაუზოგავი შრომისა და პირველი წარმატებული კონცერტის წყალობით, ეს სანთელი აინთო. ნუგზარის ოსტატობამ სინათლე შემოიტანა არა მხოლოდ მის, არამედ მთელი ეზოს ცხოვრებაში. საბოლოოდ, ნუგზარის ხელოვნებამ დაადასტურა ილიას სიტყვები: მისი წარმატებით ეზოს არაფერი დაჰკლებია, პირიქით, საერთო სიხარულმა, სიამაყემ და სითბომ მთელ მათ პატარა სოციუმში მკვეთრად იმატა.

- **გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის მე-7 და მე-8 მცნებები. ისაუბრეთ, როგორ ვლინდება „პირველ კონცერტში“ პასუხისმგებლობა, შრომა, უფროსების რჩევების გათვალისწინება და რა შედეგს აღწევს ამით ნუგზარი.**

კომენტარი: მიხეილ ჯავახიშვილის მიერ თავისი ქალიშვილისთვის მიწერილ ცნობილ მცნებებში, მე-7 მცნება - შრომასა და პატიოსნებას, ხოლო მე-8 მცნება მშობლებისა და უფროსების დაჯერებას ეხება. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „პირველი კონცერტი“ სწორედ ამ მცნებების იდეალურ, პრაქტიკულ ილუსტრაციას წარმოადგენს. პატარა ნუგზარი, როგორც ყველა ბავშვი, თავდაპირველად თავის „ჟინსა და გულის ზრახვას“ მიჰყვება, მას ეზოში თამაში და სიცელქე ურჩევნია. თუმცა, ის ავლენს უდიდეს მორჩილებასა და უფროსების პატივისცემას. მიუხედავად იმისა, რომ დაკვრა ეძნელება, უსიტყვოდ უჯერებს ბებიასა და მასწავლებელს. ნუგზარი აცნობიერებს, რომ ბებიას მისი წვალება კი არა, მისთვის „მხოლოდ სიკეთე უნდა“. ნუგზარი არ ირჩევს „ზარმაცობასა და ცუღლუტობას“. ჯავახიშვილის სიტყვები, რომ „გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით“, ნუგზარის ცხოვრებაში სრული ტრიუმფით გვირგვინდება: ის ნამდვილად აიძულებს საკუთარ თავს, გაუგოს ინსტრუმენტს, შედეგად კი ვიოლონჩელი უზომოდ შეუყვარდება. მისი შრომის „ტკბილი ნაყოფი“ ხდება სოლო კონცერტი და მეზობლების დიდი გულშემატკივრობა.

<u>რუბრიკა „ლიტერატურული მეგზური“</u>

- **გაიხსენეთ მოთხრობა ან ზღაპარი, რომელიც დროითი თანამიმდევრობის დაცვითაა გადმოცემული. დაასახელეთ, რომელია საწყისი მოვლენა, რომელი მოვლენები აგრძელებს მას, რომელია ბოლო მოვლენა.**

ქვემოთ დასახელებულია ცალკეული ადგილები გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან. წაიკითხეთ და დაწერეთ, ჩარჩო-თხრობის რომელ ნაწილს მიეკუთვნება თითოეული მათგანი, თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

1) ნუგზარის გადაწყვეტილება, რომ კონცერტი ბებიას ხსოვნას მიუძღვნას (ეს მოთხრობის ბოლო, ფინალური მოვლენაა);

2) ბებიას „კეთილი“ ტყუილი (მომდევნო მოვლენების ჯაჭვს მიეკუთვნება);

3) საუბარი სტუმრებთან (მომდევნო მოვლენების ჯაჭვს მიეკუთვნება);

4) ბავშვობის ფოტოსურათზე დაკვირვება (საწყისი მოვლენის ნაწილია);

5) ფეხბურთის თამაში ეზოში (მომდევნო მოვლენების სერიიდან არის);

6) მოგონებებით გამოწვეული ცრემლები (ბოლო, ფინალური მოვლენა);

7) მეზობლების უკმაყოფილება (მომდევნო მოვლენების სერიიდან არის).

- **წარმოიდგინეთ, რომ მოთხრობაში გადმოცემული ამბავი დროითი თანამიმდევრობის დაცვით უნდა გადმოსცეთ. რომელი იქნებოდა საწყისი მოვლენა, რომელი - ბოლო?**

კომენტარი: საწყისი მოვლენა იქნებოდა, თუ როგორ დარჩა ბებიასთან ნუგზარი პატარაობაში, როცა მისი მშობლები სხვა ქალაქში გადავიდნენ სამუშაოდ. ხოლო ბოლო მოვლენა იქნებოდა კონცერტის ტრიუმფით დამთავრება.

შენიშვნა: ეს კითხვა შესაძლებლობას იძლევა, მოსწავლეებს სიუჟეტის ბუნებასა და რაგვარობაზე ვესაუბროთ; მაგალითად: სწორხაზოვანი სიუჟეტი, ე.წ. „დატეხილი“ სიუჟეტი და ა.შ.

- **დაფიქრდით და ისაუბრეთ: თქვენი აზრით, რა შთაბეჭდილებას ახდენს ამბის ასე აგება მკითხველზე? რისთვის გამოიყენა ავტორმა თხრობის ეს გზა?**

კომენტარი: ამბის ამგვარი თხრობა მკითხველს პერსონაჟის ცხოვრების გზებზე ამოგზაურებს, აღვივებს ინტერესს სიუჟეტისადმი, თხრობას მატებს ინტრიგას, ახლავს მოულოდნელობის ეფექტები და ა.შ.

- **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები და ამოიცანით, რომელია არასწორი. პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.**

ა) პერსონაჟის ცვლილების ცხადად საჩვენებლად - ეს გვეხმარება გავიგოთ, როგორ იქცა პატარა ბიჭი დიდ მუსიკოსად, რომ აწმყოს საფუძველი წარსულშია;

კომენტარი: სწორია. მოთხრობა „პირველი კონცერტი“ აგებულია სწორედ რეტროსპექტივაზე, აწმყოში უკვე შემდგარი, ზრდასრული მუსიკოსი იხსენებს თავის წარსულს (ბავშვობას, პირველ ნაბიჯებს, სცენის შიშსა და ბებიას). ეს მხატვრული ხერხი ზუსტად ემსახურება იმ იდეას, რომ ნიჭიერი მუსიკოსის, ხელოვანის „აწმყოს საფუძველი

მის წარსულშია“ - მის ბავშვურ ემპათიაში, ტურგენევის „მუმუს“ განცდაში, ბებიას „ჩეემის“ ინტონაციაში, შრომასა და იმ პირველ ნერვიულობაში.

ბ) მთავარი სათქმელის უკეთ გამოსაკვეთად - სხვადასხვა ეპიზოდი (მაგ.: თამაში, მეცადინეობა) ერთიანდება მთავარი თემის გარშემო;

კომენტარი: სწორია. მოთხრობაში „პირველი კონცერტი“ ავტორი სხვადასხვა, ერთი შეხედვით განსხვავებულ ეპიზოდებს, როგორიცაა ნუგზარის ეზოში თამაში, სიცელქე, ბებიას მკაცრი მოთხოვნით მეცადინეობა, ტურგენევის „მუმუს“ წაკითხვა და სცენის შიში, ხელოვნურად კი არ განაცალკევებს, არამედ აერთიანებს მათ მთავარი თემის (პიროვნების ჩამოყალიბებისა და ხელოვნების დაბადების) გარშემო.

გ) არამთავარის უგულებელსაყოფად - ბავშვობის ამბები ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია ზრდასრული პერსონაჟის წარმატებული კარიერის ჩვენება;

კომენტარი: არასწორია. მოთხრობაში ბავშვობის ამბები და ეპიზოდები ნაკლებად მნიშვნელოვანი კი არ არის, არამედ გადამწყვეტი და უმთავრესია. მთელი ნაწარმოები სწორედ პატარა ნუგზარის ბავშვობის განცდებზე, შიშებზე, ბებიას ამაგსა და „მუმუს“ გამო გამოწვეულ სევდაზეა ფოკუსირებული.

დ) ინტერესის გასაძლიერებლად - იწყება ყველაზე დაძაბული მომენტით, მკითხველს აინტერესებს, რატომ ღელავს ასე პერსონაჟი.

კომენტარი: მოთხრობა იწყება ყველაზე დაძაბული, კულმინაციური მომენტით და მკითხველს აინტრიგებს, თუ რატომ ღელავს ასე მთავარი გმირი? რა არის მოსალოდნელი ან რა მოვლენები უძღოდა წინ ამ მშფოთვარე ეპიზოდს?

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“</u>

ნუგზარისთვის ბავშვობასთანაა დაკავშირებული ორი საგანი: სათვალე და მოკლე შარვალი. დაფიქრდით, რომელი საგანი მიგაჩნიათ თქვენი ბავშვობის ყველაზე კარგ გამოხატულებად - მაგ.: გაცვეთილი ბურთი, პატარა ველოსიპედი, ბავშვობისდროინდელი ფოტო, რომელიმე სათამაშო ან სხვა ნივთი. გადმოეცით, სად ნახეთ ეს ნივთი, როგორ გამოიყურება იგი, ბავშვობის რომელ ტკბილ მოგონებას გახსენებთ, რატომ ინახავთ - რა ემოციებს იწვევს ეს ნივთი თქვენში.

შეეცადეთ გამოიყენოთ ჩარჩო-თხრობის ხერხი: აწმყო - წარსული - აწმყო. შეგიძლიათ გამოიყენოთ ფრაზები: „დღეს შემთხვევით წავაწყდი...“, „ამ ნივთს რომ ვუყურებ, მახსენდება...“, „ახლა, როდესაც ამ საგანს ვინახავ...“.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის/ნაწილობრივ არის შესრულებული.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან მცირედი გადახვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ტექსტს აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება, ტექსტის ნაწილები ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	მაღალი
	ტექსტი ძირითადად ორგანიზებული და თანმიმდევრულია; მცირე სტრუქტურული ხარვეზები მთლიანობას არ არღვევს; ზოგ შემთხვევაში აბზაცებად დაყოფა დასახვეწია.	საშუალო
	ტექსტის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში დარღვეულია აზრების ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაწილებს შორის კავშირი ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	ტექსტი ფრაგმენტულია; არ იკვეთება მკაფიო სტრუქტურა, აზრების თანმიმდევრობა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირი.	საწყისი
III კრიტერიუმი. მოგონებისა და პირადი დამოკიდებულების გადმოცემა	შერჩეული ნივთი კონკრეტულად და თვალსაჩინოდ არის აღწერილი; ნათლადაა გადმოცემული, სად და როგორ ნახა მოსწავლემ იგი, ბავშვობის რომელ მოგონებას უკავშირდება და რატომ არის მისთვის მნიშვნელოვანი. მოგონება კონკრეტული	მაღალი

	დეტალებითაა გაცოცხლებული; ბუნებრივადაა გადმოცემული ნივთთან დაკავშირებული ემოციები და ახსნილია, რატომ ინახავს მას მოსწავლე.	
	შერჩეული ნივთი და მასთან დაკავშირებული მოგონება ძირითადად ნათლადაა გადმოცემული; აღწერილია ნივთი და მისი მნიშვნელობა, თუმცა ზოგიერთი დეტალი, მოგონება ან ემოციური დამოკიდებულება შედარებით მოკლედ ან არასრულადაა წარმოდგენილი.	საშუალო
	ნივთი და მასთან დაკავშირებული მოგონება წარმოდგენილია, თუმცა აღწერა სქემატური და ნაკლებად კონკრეტულია; ნაწილობრივ ჩანს, რატომ არის ნივთი მოსწავლისთვის მნიშვნელოვანი, რა ემოციებს იწვევს იგი.	საბაზისო
	მოსწავლე მხოლოდ ასახელებს ნივთს, მაგრამ ძალზე სქემატურად აღწერს მას და ვერც ბავშვობის მოგონებას უკავშირებს.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ჩარჩო-თხრობის სქემის გამოყენება	ჩარჩო-თხრობის სქემა — **აწმყო** → **წარსული** → **აწმყო** — მკაფიოდ და ბუნებრივადაა გამოკვეთილი; აწმყოში ნივთის ნახვა ან მასზე ფიქრი იწვევს ბავშვობის მოგონებას, ხოლო დასასრულს თხრობა კვლავ აწმყოს უბრუნდება. დროით მონაკვეთებს შორის გადასვლები ბუნებრივი და თანმიმდევრულია.	მაღალი
	ჩარჩო-თხრობის სქემა ძირითადად დაცულია: წარმოდგენილია აწმყო, წარსული და აწმყოში დაბრუნება, თუმცა რომელიმე გადასვლა ხელოვნური ან არასრულად განვითარებულია.	საშუალო
	ტექსტში ჩანს აწმყოსა და წარსულის მონაკვეთები, თუმცა მათი თანმიმდევრობა ან ურთიერთკავშირი ზოგჯერ ბუნდოვანია; ჩარჩო-თხრობის ერთი-ორი ნაწილი სუსტადაა გამოკვეთილი.	საბაზისო
	ჩარჩო-თხრობის ხერხი დარღვეულია. ნაშრომი წარმოადგენს მოგონების ქაოტურ გადმოცემას.	საწყისი

V კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევებში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
VI კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

<u>რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“</u>

1. მოთხრობაში ხშირად ვხვდებით დიალოგებს - მწერალი იყენებს დიალოგებს, რათა პერსონაჟთა ხასიათები ცოცხლად წარმოაჩინოს.

მაგალითად, ეს დიალოგი გამოხატავს ბებიას სითბოსა და ნუგზარის ბავშვურ გულუბრყვილობას:

„- ბებო! შენ ხომ დიდი ხარ?

- კი, - მოგვიანებით მპასუხობდა ბებია. სტუმრებს უხერხულად გაეღიმებოდათ და ლაპარაკს იწყებდნენ, მაგრამ მე არ ვაცლიდი.

- ბებო, მე რატომ ვარ პატარა და შენ - დიდი? - ბებია ბრაზდებოდა.

- ი-მი-ტომ! - მეუბნებოდა ნერვიულად“.

მოძებნეთ სხვა დიალოგები და იმსჯელეთ, რის წარმოსაჩენად გამოიყენა მწერალმა.

კომენტარი: შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ეპიზოდი: 1. ტურგენევის „მუმუს“ კითხვის ეპიზოდში ბებიასა და ნუგზარის დიალოგი, რომელიც გამოხატავს ნუგზარის განსაკუთრებით მგრძნობიარე, ემოციურ ბუნებას და ბებიას მოხერხებულობას, ფსიქოლოგიურ ხრიკებს, რომელთა მეშვეობითაც ბებიამ პატარა სტრესისგან დაიცვა. 2. სტუმრებთან პატარა ნუგზარის დიალოგი, რომელიც წარმოაჩენს პერსონაჟის ბუნებას, მის სისხარტეს, სიცელქეს, ადამიანურ თვისებებს. 3. ბებიასა და ნუგზარის დიალოგი, როცა ბებია ბიჭს აიძულებს, რომ შეწყვიტოს ეზოში თამაში და ვიოლონჩელზე დაკვრაში იმეცადინოს. აქ იკვეთება ბებიას სააღმზრდელო მეთოდების მართებულობა და ბიჭის კეთილშობილი ბუნება. მას უჭირს დავალების შესრულება, მაგრამ ბებიას თავაზიანად ემორჩილება, რაც მის კეთილშობილებაზე მეტყველებს.

2. მწერლის თხრობა დინამიკურია - მოქმედებები სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს. მაგალითად: „ვდგები და დავდივარ... კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შევაცქერდი... ვუღიმი. ეს ხომ მე ვარ“.

• მოიყვანეთ მოთხრობიდან დინამიკური თხრობის სხვა მაგალითი.

კომენტარი: დინამიკური თხრობის მაგალითია, თუ როგორ ჰყვება მოთხრობის პირველი თავის ფინალში ნუგზარი ბოროტ კაცად წარმოდგენილ ინსტრუმენტზე დაკვრის ამბებს. ასევე დინამიკური თხრობის ხერხია გამოყენებული ეზოში ფეხბურთის თამაშის ეპიზოდში. ამგვარი თხრობის მაგალითია ასევე მოცემულ ნაწყვეტში: „დრო გადიოდა - ხან მდორე მდინარესავით მიიზლაზნებოდა, ხან მთის ნაკადივით მიისწრაფოდა. დრო შეუმჩნევლად მაშინ გადიოდა, როდესაც ვუკრავდი. აღარ ვიყავი პატარა ბიჭი - ბებია მხრებამდე ძლივს მწვდებოდა. კონსერვატორიის სტუდენტი გავხდი“...

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“</u>

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

დავალება 1. მეზობლების დიალოგი

მოთხრობიდან ვიგებთ, რომ მეზობლებიც ემზადებიან ნუგზარის სოლო კონცერტისთვის - გვირგვინს ამზადებენ მისთვის. წარმოიდგინეთ თქვენი თავი მწერლის ადგილზე და მოიფიქრეთ, რა დიალოგი შეიძლებოდა ჰქონოდათ მეზობლებს სოლო კონცერტის დღეს. შეარჩიეთ ორი პერსონაჟი ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან და დაწერეთ მათი დიალოგი, რომელშიც ნახსენები იქნება კონკრეტული ამბავი ნუგზარის ბავშვობიდან (მაგ.: სათვალეების დამტვრევა, ფეხბურთის თამაში, ვიოლონჩელზე

დაკვრის პირველი ნაბიჯები, ბებიას მზრუნველობა). პერსონაჟები: ფეხბურთის გუნდის კაპიტანი; მეწაღე სეროჟა; ბუღალტერი; ბებიას ნაცნობი ქალი, რომელიც ფანჯრიდან იყურებოდა. წერისას დაიცავით დიალოგის მართლწერის წესები: პერსონაჟის ნათქვამის წინ დაწერეთ ტირე; ყოველი ახალი ნათქვამი დაიწყეთ ახალი სტრიქონიდან; თუკი პერსონაჟის ნათქვამს მოსდევს ავტორის სიტყვები, მათ შორის დაწერეთ ტირე.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	**აღწერილობა**	**დონე**
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; შერჩეულია ორი პერსონაჟი მოცემული ჩამონათვალიდან; დიალოგი ვითარდება ნუგზარის სოლო კონცერტის დღეს და უპასუხებს ყველა მოთხოვნას.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული; ძირითადი მოთხოვნები შესრულებულია, თუმცა ერთი მოთხოვნა ნაწილობრივ ან არასრულად არის წარმოდგენილი.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან მცირედი გადახვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არასწორად ან არასრულად არის გააზრებული; ნამუშევარი არ უპასუხებს ძირითად მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. დიალოგის შინაარსი და პერსონაჟების წარმოჩენა	დიალოგი ბუნებრივი, თანმიმდევრული და შინაარსობრივად გამართულია; ორივე პერსონაჟის დამოკიდებულება ნუგზარისადმი მკაფიოდ იკვეთება. საუბარში ბუნებრივად არის ჩართული ნუგზარის ბავშვობიდან კონკრეტული ამბავი, რომელიც უკავშირდება მის გზას სოლო კონცერტამდე. რეპლიკები ერთმანეთს ლოგიკურად ეხმიანება და დიალოგს აქვს დასრულებული სახე.	მაღალი
	დიალოგი ძირითადად ბუნებრივი და თანმიმდევრულია; პერსონაჟების დამოკიდებულება ნუგზარისადმი ჩანს. ბავშვობის კონკრეტული ამბავი გამოყენებულია, თუმცა მისი კავშირი საუბართან სრულად განვითარებული არ არის.	საშუალო

	დიალოგის ძირითადი შინაარსი გასაგებია, თუმცა ნუგზარის ბავშვობის ამბავი სქემატურად არის ნახსენები ან საუბართან სუსტად არის დაკავშირებული; რეპლიკებს შორის კავშირი ზოგჯერ დარღვეულია.	საბაზისო
	დიალოგი ფრაგმენტული ან არაბუნებრივია; პერსონაჟების დამოკიდებულება თითქმის არ იკვეთება. ნუგზარის ბავშვობის კონკრეტული ამბავი არ არის გამოყენებული ან თემასთან დაუკავშირებელია.	საწყისი
III კრიტერიუმი. დიალოგის ფორმა და მართლწერა	დიალოგის ფორმა და მართლწერის წესები დაცულია.	მაღალი
	დიალოგის ფორმა და მართლწერის წესები ძირითადად დაცულია; გვხვდება მხოლოდ რამდენიმე მცირე ხარვეზი, რომლებიც ტექსტის აღქმას არ აფერხებს.	საშუალო
	დიალოგის ფორმა და მართლწერის წესები ნაწილობრივ არის დაცული; ხარვეზები ზოგჯერ შიძლება აფერხებდეს ტექსტის აღქმას.	საბაზისო
	დიალოგის ფორმა და მართლწერის წესები უმეტესად დარღვეულია, რაც აფერხებს ტექსტის აღქმას.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი და ენობრივი გამართულობა	ლექსიკა მრავალფეროვანი და სიტუაციის შესაბამისია; პერსონაჟების მეტყველება ბუნებრივია; წინადადებები გამართულია; ენობრივი შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა.	მაღალი
	ლექსიკა ძირითადად შესაბამისია; ტექსტი გასაგები და გამართულია, თუმცა გვხვდება ცალკეული სტილისტური, ენობრივი ან პუნქტუაციური ხარვეზები, რომლებიც აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	ლექსიკა შედარებით მწირი ან ერთფეროვანია; გვხვდება ენობრივი და სტილისტური შეცდომები, რომლებიც ზოგჯერ ართულებს აზრის აღქმას.	საბაზისო
	ლექსიკა ძალიან მწირია; მრავლადაა სტილისტური და ენობრივი შეცდომები,	საწყისი

	რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	

დავალება 2. ინტერვიუ მუსიკოსთან

წარმოიდგინეთ, რომ ჟურნალისტი ხართ და ექსკლუზიურ ინტერვიუს ართმევთ ნუგზარს - მას მერე, რაც კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. დაწერეთ ოთხი-ხუთი კითხვა ნუგზარის მიმართ და სავარაუდო პასუხები. კითხვები დაუკავშირეთ ნუგზარის აწმყოს (მაგ.: ფიქრები და ემოციები წარმატების შემდეგ), წარსულს (პირველი ნაბიჯები მუსიკაში), მიღებულ გამოცდილებასა და მომავალს (რჩევები დამწყები მუსიკოსებისთვის, ნუგზარის სამომავლო გეგმები). წერისას გამოკვეთეთ ინტერვიუს შემადგენელი ნაწილები:

1) შესავალი (ინფორმაცია კონცერტზე, ნუგზარზე); 2) დიალოგი ნუგზართან (კითხვა-პასუხი); 3) დასკვნა (მაგ.: თქვენი შთაბეჭდილება, დამშვიდობება ნუგზართან). ინტერვიუს შეურჩიეთ ისეთი სათაური, რომელიც მკითხველის ყურადღებას მიიზიდავს.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; შედგენილია 4–5 კითხვა და შესაბამისი სავარაუდო პასუხი. ინტერვიუში სრულადაა წარმოდგენილი ნუგზარის აწმყო, წარსული, მიღებული გამოცდილება და სამომავლო გეგმები.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული; ძირითადი მოთხოვნები შესრულებულია, თუმცა ერთ-ერთი მიმართულება - აწმყო, წარსული, გამოცდილება ან მომავალი არასრულადაა წარმოდგენილი.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; კითხვები მხოლოდ რამდენიმე მოთხოვნილ საკითხს ეხება ან მათი ნაწილი ზოგადია და ნუგზარის ისტორიას ნაკლებად უკავშირდება.	საბაზისო
	დავალების ძირითადი მოთხოვნები უმეტესწილად შეუსრულებელია; კითხვები და პასუხები თემას სუსტად უკავშირდება ან ინტერვიუს შინაარსი მნიშვნელოვნად სცდება ნუგზარის ისტორიას.	საწყისი

II კრიტერიუმი. შინაარსობრივი მხარე	კითხვები მრავალფეროვანი, კონკრეტული და მიზნობრივია; ისინი ნუგზარს საშუალებას აძლევს, ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, მუსიკაში პირველ ნაბიჯებზე, მიღებულ გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებზე. პასუხები დამაჯერებელი, შინაარსიანი და და შეესაბამება ნუგზარის გამოცდილებას, რომელიც მოთხრობაშია წარმოდგენილი; შერჩეული სათაური საინტერესოა და მკითხველის ყურადღებას იპყრობს.	მაღალი
	კითხვები ძირითადად კონკრეტული და შესაბამისია; პასუხები გასაგები და თემასთან დაკავშირებულია, თუმცა ზოგიერთი კითხვა ან პასუხი შედარებით ზოგადი ან ნაკლებად განვითარებულია; სათაური ნაკლებად გამომსახველია.	საშუალო
	კითხვები და პასუხები ძირითადად თემას შეესაბამება, თუმცა ხშირად სქემატურია; ნუგზარის გამოცდილება და დამოკიდებულებები მხოლოდ ნაწილობრივ იკვეთება; სათაური ძალზე ზოგადია.	საბაზისო
	კითხვები ზედაპირული, ერთმანეთის მსგავსი ან თემასთან სუსტად დაკავშირებულია; პასუხები ძალიან მოკლე, ბუნდოვანია ან არ შეესაბამება ნუგზარის გამოცდილებას; სათაური არ არის ან ინტერვიუს შინაარსს არ შეესაბამება.	საწყისი
III კრიტერიუმი. სტრუქტურა - ორგანიზება	ინტერვიუს აქვს მკაფიო და ბუნებრივად დაკავშირებული სამი ნაწილი: შესავალი, კითხვა-პასუხი და დასკვნა. შესავალში მოცემულია საჭირო ინფორმაცია კონცერტისა და ნუგზარის შესახებ; დასკვნა ბუნებრივად ასრულებს ინტერვიუს.	მაღალი
	ინტერვიუს სამი ნაწილი ძირითადად გამოკვეთილია; თუმცა რომელიმე ნაწილი საკმარისად განვითარებული არ არის.	საშუალო
	ინტერვიუს სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება; შესავალი ან დასკვნა ძალიან მოკლეა ან არასრულადაა ჩამოყალიბებული;	საბაზისო
	ინტერვიუს ძირითადი ნაწილები მკაფიოდ არ გამოიყოფა; კითხვა-პასუხები	საწყისი

	ერთმანეთთან არ არის ან ერთმანეთთან ძალზე სუსტადაა დაკავშირებული.	
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი და ენობრივი გამართულობა	ლექსიკა მრავალფეროვანი და ინტერვიუს ჟანრის შესაბამისია; ჟურნალისტის კითხვები და ნუგზარის პასუხები ბუნებრივად ჟღერს; აზრი მკაფიოდ და გამართულადაა გადმოცემული. ენობრივი და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა.	მაღალი
	ლექსიკა ძირითადად შესაბამისია; ტექსტი გასაგები და გამართულია, თუმცა გვხვდება ცალკეული სტილისტური, ენობრივი ან პუნქტუაციური ხარვეზები, რომლებიც აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	ლექსიკა შედარებით მწირი ან ერთფეროვანია; კითხვებისა და პასუხების ფორმულირება ზოგჯერ მოუქნელია; ენობრივი შეცდომები ნაწილობრივ ართულებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	ლექსიკა ძალიან მწირია; კითხვები და პასუხები ხშირად არაბუნებრივად ან გაუმართავადაა ჩამოყალიბებული; მრავალრიცხოვანი ენობრივი და პუნქტუაციური შეცდომა მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“</u>

დაწერეთ თხზულება სათაურით „გზა პირველი კონცერტისკენ“, რომელშიც გააანალიზებთ: როგორ შეიცვალა ნუგზარის დამოკიდებულება ვიოლონჩელის მიმართ - „ბოროტი კაციდან“ „სათნო კაცამდე“; ვინ იყვნენ მისი მხარდამჭერები და როგორ გამოიხატა მათი მხარდაჭერა; რა წვლილი აქვს ბებიას ნუგზარის მუსიკოსად ჩამოყალიბებაში.

რეკომენდაცია: გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება იმაზე, რომ დავალება მოითხოვს მსჯელობითი ხასიათის ტექსტის შექმნას - მოსწავლემ უნდა ახსნას, როგორ და რატომ იცვლება ნუგზარი და რა როლი აქვთ მის განვითარებაში სხვა პერსონაჟებს; მოთხრობის შინაარსის გადმოცემას დავალება არ გულისხმობს.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, ნამუშევარი უპასუხებს ყველა მოთხოვნას, თუმცა ერთი მოთხოვნა სრულად არ არის/ნაწილობრივ არის შესრულებული.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი ან შეინიშნება თემიდან მცირედი გადახვევა.	საბაზისო
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად სცდება თემას.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ტექსტს აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება, ტექსტის ნაწილები ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები სწორად არის გამოყოფილი.	მაღალი
	ტექსტი ძირითადად ორგანიზებული და თანმიმდევრულია; მცირე სტრუქტურული ხარვეზები მთლიანობას არ არღვევს; ზოგ შემთხვევაში აბზაცებად დაყოფა დასახვეწია.	საშუალო
	ტექსტის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში დარღვეულია აზრების ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაწილებს შორის კავშირი ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	საბაზისო
	ტექსტი ფრაგმენტულია; არ იკვეთება მკაფიო სტრუქტურა, აზრების თანმიმდევრობა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირი.	საწყისი
III კრიტერიუმი. ნუგზარის განვითარების გზა და მხარდამჭერთა როლი	ნათლად და თანმიმდევრულადაა გაანალიზებული, როგორ იცვლება ნუგზარის დამოკიდებულება ვიოლონჩელის მიმართ — „ბოროტი კაციდან“ „სათნო კაცამდე“; კონკრეტული ეპიზოდების საფუძველზე ახსნილია, რა იწვევს ამ ცვლილებას.	მაღალი

	დასახელებულია მისი მნიშვნელოვანი მხარდამჭერები და გაანალიზებულია, როგორ გამოიხატა მათი დახმარება; მკაფიოდაა გამოკვეთილი ბებიას წვლილი ნუგზარის მუსიკოსად ჩამოყალიბებაში.	
	ნუგზარის დამოკიდებულების ცვლილება და მხარდამჭერთა როლი სწორადაა წარმოჩენილი; ბებიას წვლილიც გააზრებულია, თუმცა ზოგიერთი საკითხი არასრულად ან ნაკლებად კონკრეტულადაა განხილული	საშუალო
	ნუგზარის ცვლილება, მხარდამჭერები და ბებიას როლი ძირითადად დასახელებულია, თუმცა მათი მნიშვნელობა ზოგადადაა ახსნილი; ანალიზს ხშირად ენაცვლება მოთხრობის შინაარსის გადმოცემა.	საბაზისო
	ნუგზარის დამოკიდებულების ცვლილება და მხარდამჭერთა როლი ბუნდოვნად ან არაზუსტადაა წარმოდგენილი; ბებიას წვლილი თითქმის არ იკვეთება ან მისი მნიშვნელობა ახსნილი არ არის.	საწყისი
IV კრიტერიუმი. მსჯელობა და არგუმენტაცია	მსჯელობა თანმიმდევრული და დამაჯერებელია; მოსაზრებები გამყარებულია მოთხრობის შესაბამისი ეპიზოდებითა და კონკრეტული დეტალებით. მაგალითები მიზნობრივადაა შერჩეული და ნათლადაა ახსნილი, როგორ ადასტურებს თითოეული მათგანი გამოთქმულ აზრს.	მაღალი
	მსჯელობა ძირითადად დასაბუთებულია და გამოყენებულია შესაბამისი მაგალითები ტექსტიდან, თუმცა ზოგიერთი მოსაზრება ან მაგალითთან მისი კავშირი უფრო სრულ განმარტებას საჭიროებს.	საშუალო
	მსჯელობა ნაწილობრივაა განვითარებული; მოსაზრებები ზოგადია ან არასაკმარისადაა დასაბუთებული; ტექსტის მაგალითები მწირია ან მათი კავშირი გამოთქმულ აზრთან ყოველთვის მკაფიო არ არის.	საბაზისო
	მსჯელობა ფრაგმენტული ან სქემატურია; მოსაზრებები ტექსტიდან შესაბამისი მაგალითებით თითქმის არ არის გამყარებული.	საწყისი

V კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	მაღალი
	ლექსიკა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევებში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება, რაც არ აფერხებს აზრის გაგებას.	საშუალო
	ლექსიკა მწირი და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	საბაზისო
	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	საწყისი
VI კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	მაღალი
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	საბაზისო
	მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	საწყისი

რუბრიკა „შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება“

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება.

დავალება 1. საჯარო სიტყვა

წარმოიდგინეთ, რომ თქვენს სკოლაში ტარდება „ღია კარის დღე“ სკოლის მომავალი მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის. თქვენ გთხოვეს სიტყვით გამოსვლა სტუმრების წინაშე სკოლის მოსწავლეთა სახელით. მოამზადეთ 5-6-წუთიანი საჯარო სიტყვა, რომლითაც დაარწმუნებთ მსმენელებს, რომ თქვენი სკოლა საუკეთესოდ შეუწყობს ხელს ბავშვების განვითარებას. ისაუბრეთ, ასევე, იმ სირთულეებზეც, რომელთა გადალახვაც მოგიხდათ თქვენს სასკოლო ცხოვრებაში. მოჰყევით, როგორ დაგეხმარათ ამაში სკოლა: მასწავლებელი, დირექცია, მოსწავლეები. გაითვალისწინეთ: მსმენელების წინაშე წარდგომამდე გაიარეთ რეპეტიცია სარკის წინ. ეს დაგეხმარებათ დაინახოთ, რამდენად ბუნებრივია თქვენი გამომეტყველება და ჟესტები.

სიტყვის წარმოთქმისას:

• ისაუბრეთ, რით არის თქვენი სკოლა სხვებისგან გამორჩეული - მაგ.: მოსწავლეთა დაინტერესების, გაკვეთილების ჩატარების, მოსწავლეთა შეფასების, მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობის, ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით;

• გამოკვეთეთ, რა ფასეულობებს, ცოდნასა და უნარებს გადასცემს თქვენი სკოლა მოსწავლეებს, რითია ისინი მნიშვნელოვანი 21-ე საუკუნეში;

• გამოიყენეთ შესაბამისი ციტატა ან ციტატები ნასწავლი ტექსტებიდან;

• გამოიყენეთ არგუმენტები დარწმუნების სამკუთხედის, სულ მცირე, ორი სფეროდან;

• გამოკვეთეთ სამი ნაწილი: მიმართვა, ძირითადი ნაწილი, დასასრული;

• აუდიტორიისა და მიზნის გათვალისწინებით, შეარჩიეთ შესაბამისი სიტყვები, მიმართვის ფორმები;

• დაიცავით დროის ლიმიტი, იმეტყველეთ სათანადო ტემპით, გამართულად და გასაგებად, შეინარჩუნეთ მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება.	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული; სიტყვაში წარმოჩენილია სკოლის გამორჩეული მხარეები, ფასეულობები, ცოდნა და უნარები, რომლებსაც იგი მოსწავლეებს აძლევს. გადმოცემულია კონკრეტული სირთულე ან სირთულეები სასკოლო ცხოვრებიდან და ნათლადაა ახსნილი, როგორ დაეხმარა მოსწავლეს მათ გადალახვაში სკოლა - მასწავლებელი, დირექცია ან თანაკლასელები.	მაღალი
	დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და ძირითადი საკითხები წარმოდგენილია, თუმცა რომელიმე მათგანი არასაკმარისადაა გადმოცემული.	საშუალო
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; გადმოცემულია მოთხოვნილი საკითხების მხოლოდ ნაწილი ან მსჯელობა ძირითადად ზოგადია და ნაკლებად ეფუძნება კონკრეტულ გამოცდილებას.	საბაზისო
	სიტყვა მხოლოდ ნაწილობრივ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს; სკოლის უპირატესობები, პირადი გამოცდილება ან სკოლის მხარდაჭერის როლი ბუნდოვნადაა წარმოჩენილი.	საწყისი
II კრიტერიუმი. სიტყვის სტრუქტურა-ორგანიზება	სიტყვას მკაფიოდ აქვს გამოკვეთილი სამი ნაწილი — მიმართვა, ძირითადი ნაწილი და დასასრული. აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება. სიტყვები, მიმართვის ფორმები და ტონი მიზნისა და აუდიტორიის - მომავალი მოსწავლეებისა და მათი მშობლების - შესაბამისადაა შერჩეული; დასასრული ეფექტურად აჯამებს მთავარ სათქმელს.	მაღალი
	სიტყვის სტრუქტურა ძირითადად გამართულია და აუდიტორია გათვალისწინებულია, თუმცა რომელიმე ნაწილი ნაკლებად მკაფიოა ან მიმართვის ფორმები და ტონი ზოგ შემთხვევაში დასახვეწია.	საშუალო
	სიტყვის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება; აზრთა თანმიმდევრობა ზოგჯერ ირღვევა; აუდიტორია და მიზანი მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული.	საბაზისო
	სიტყვას მკაფიო სტრუქტურა არ აქვს; აზრები ფრაგმენტულია, ქაოსურადაა გადმოცემული; მეტყველების ფორმა და ტონი აუდიტორიასა და მიზანს ნაკლებად შეესაბამება	საწყისი

III კრიტერიუმი. არგუმენტაცია და დარწმუნების საშუალებების გამოყენება	მოსაზრებები გამყარებულია კონკრეტული და დამაჯერებელი არგუმენტებითა და მაგალითებით. მიზნობრივადაა გამოყენებული დარწმუნების სამკუთხედის სულ მცირე ორი სფერო; ნათლად ჩანს, როგორ ემსახურება არჩეული საშუალებები აუდიტორიის დარწმუნებას. შესაბამის კონტექსტშია გამოყენებული ნასწავლი ტექსტიდან შერჩეული ციტატა ან ციტატები.	მაღალი
	მოსაზრებები ძირითადად დასაბუთებულია; გამოყენებულია დარწმუნების სამკუთხედის ორი სფერო და შესაბამისი ციტატა, თუმცა ზოგიერთი არგუმენტი ან დარწმუნების საშუალება სრულად არ არის განვითარებული.	საშუალო
	მოყვანილია რამდენიმე არგუმენტი ან მაგალითი, თუმცა ისინი ნაკლებად დამაჯერებელია; დარწმუნების სამკუთხედის სფეროები ნაწილობრივ ან სქემატურადაა გამოყენებული; ციტატის კავშირი სათქმელთან ყოველთვის მკაფიო არ არის.	საბაზისო
	მოსაზრებები ძირითადად დაუსაბუთებელია; დარწმუნების სამკუთხედის საშუალებები არ იკვეთება ან არამიზნობრივადაა გამოყენებული; შესაბამისი ციტატა არ არის გამოყენებული ან არ უკავშირდება სათქმელს.	საწყისი
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი და ენობრივი გამართულობა	ლექსიკა მრავალფეროვანი, ზუსტი და საკომუნიკაციო სიტუაციისთვის შესაფერისია; აზრი მკაფიოდ და ბუნებრივადაა ჩამოყალიბებული; დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, ენობრივი ნორმები, მართლმეტყველების წესები.	მაღალი
	ლექსიკა ძირითადად მრავალფეროვანი და საკომუნიკაციო სიტუაციისთვის შესაფერისია; აზრი უმეტესად მკაფიოდ და ბუნებრივადაა ჩამოყალიბებული; გვხვდება ცალკეული სტილისტური, ენობრივი ან მართლმეტყველების ხარვეზები, რომლებიც სათქმელის გაგებას არ აფერხებს.	საშუალო
	ლექსიკა შედარებით მწირი ან ერთფეროვანია; აზრი ზოგ შემთხვევაში ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული; ხშირად გვხვდება სტილისტური, ენობრივი ან მართლმეტყველების ხარვეზები, რომლებიც ნაწილობრივ ართულებს სათქმელის აღქმას.	საბაზისო
	ლექსიკა ძალიან მწირია და ხშირად არ შეესაბამება საკომუნიკაციო სიტუაციას; აზრი ხშირად ბუნდოვნად და არაბუნებრივადაა ჩამოყალიბებული; მრავლადაა სტილისტური, ენობრივი და	საწყისი

	მართლმეტყველების ხარვეზები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს სათქმელის გაგებას.	
V კრიტერიუმი. მეტყველება და აუდიტორიასთან კონტაქტი	მოსწავლე საუბრობს მკაფიოდ, გამართულად და სათანადო ხმის ძალითა და ტემპით; ხმის ტემბრი, ინტონაცია, პაუზები, გამომეტყველება და ჟესტები ბუნებრივია და სათქმელს შეესაბამება. ინარჩუნებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან და იცავს განსაზღვრულ დროის ლიმიტს.	მაღალი
	მოსწავლე ძირითადად საუბრობს მკაფიოდ და გამართულად, სათანადო ხმის ძალითა და ტემპით; ინტონაცია, პაუზები, გამომეტყველება და ჟესტები უმეტესად შეესაბამება სათქმელს. ძირითადად ინარჩუნებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან და იცავს დროის ლიმიტს, თუმცა გვხვდება ცალკეული ხარვეზები.	საშუალო
	მოსწავლის მეტყველება ზოგჯერ არ არის საკმარისად მკაფიო ან გამართული; ხმის ძალა და ტემპი ყოველთვის სათანადოდ არ არის შერჩეული; ინტონაცია, პაუზები, გამომეტყველება და ჟესტები ნაწილობრივ შეესაბამება სათქმელს. მხედველობითი კონტაქტი არათანმიმდევრულია; დროის ლიმიტი ნაწილობრივაა დაცული.	საბაზისო
	მოსწავლის მეტყველება ხშირად გაურკვეველი ან ძნელად აღსაქმელია; ხმის ძალა და ტემპი შეუსაბამოა; ინტონაცია, პაუზები, გამომეტყველება და ჟესტები ნაკლებად შეესაბამება სათქმელს ან თითქმის არ გამოიყენება. მოსწავლე იშვიათად ამყარებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან და მნიშვნელოვნად არღვევს დროის ლიმიტს.	საწყისი

რეკომენდაცია მასწავლებლისთვის:

- **დარწმუნების სამკუთხედის შემოწმება:** ყურადღება მიაქციეთ, იყენებს თუ არა მოსწავლე **ეთოსს** (საკუთარი ავტორიტეტი/სკოლის რეპუტაცია), **პათოსს** (ემოციური ისტორია სირთულეების დაძლევაზე) ან **ლოგოსს** (სტატისტიკა, ფაქტები სკოლის აღჭურვილობაზე).
- **თვითშეფასების კომპონენტი:** გამოსვლის შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეს, როგორ დაეხმარა მას სარკის წინ რეპეტიცია და რა შეიცვალა მის ჟესტებში ამის შედეგად.

დავალება 2. ჯგუფური პრეზენტაცია „ცოდნის გაკვეთილები“.

დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ 7-10-წუთიანი პრეზენტაცია: „ცოდნის გაკვეთილები“ (ამ თავში ნასწავლი ნაწარმოების საფუძველზე). პრეზენტაცია მოამზადეთ ციფრულ ფორმატში, წარადგინეთ კლასში და უპასუხეთ შეკითხვებს.

პრეზენტაციაში:

• წარმოაჩინეთ, რა არის ამ თავში შესწავლილი ნაწარმოებების ავტორთა მთავარი სათქმელი;

• იმსჯელეთ, როგორი დამოკიდებულება იკვეთება სწავლის მიმართ სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ამ თხზულებებში - რა არის საერთო (მუდმივი) და რა - განსხვავებული (ცვალებადი);

• გადმოეცით, რამდენად მნიშვნელოვანი და აქტუალურია ეს დამოკიდებულებები 21-ე საუკუნეში, რითია ისინი ღირებული დღევანდელი მოსწავლეებისთვის;

• გამოიყენეთ შესაბამისი ვიზუალური მასალა (მაგ.: ფოტოები, ნახატები, სქემები), შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ მუსიკა სათანადო განწყობის შესაქმნელად - მუსიკალური ფონის სახით.

გადასადგმელი ნაბიჯები პრეზენტაციის მომზადებისას:

- ✓ დაიყავით ჯგუფებად (თითოეულში 4-5 მოსწავლე);
- ✓ წინასწარ გაინაწილეთ ჯგუფში სამუშაო, მაგ.: ზოგიერთი წევრი იმუშავებს მასალების მოძიება-შერჩევაზე, ზოგი - ვიზუალურ მხარეზე, ზოგი - მუსიკალურ გაფორმებაზე, ზოგი - ტექნიკურ მხარეზე;
- ✓ ნამუშევრის წარსადგენად შეარჩიეთ 2-3 პრეზენტატორი.

პრეზენტაციის წარდგენისას:

- ✓ პრეზენტატორებმა წარადგინეთ ჯგუფური ნამუშევარი - თითოეულმა ერთი რომელიმე ნაწილი - და უპასუხეთ შინაარსობრივ შეკითხვებს;
- ✓ ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა უპასუხეთ შეკითხვებს თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, მაგ.: ვიზუალურ მხარესთან, ტექნიკურ მხარესა თუ მუსიკალურ გაფორმებასთან დაკავშირებით;
- ✓ შეაჯამეთ სამუშაო პროცესი: ვინ რაზე იმუშავეთ, როგორ იმუშავეთ, რა დასკვნები გამოიტანეთ.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I კრიტერიუმი. ნაწარმოებების მთავარი სათქმელის	ადეკვატურად და სრულადაა წარმოჩენილი შესწავლილი ნაწარმოებების ავტორთა მთავარი სათქმელი; გააზრებულადაა შედარებული სხვადასხვა ეპოქაში სწავლის მიმართ გამოხატული დამოკიდებულებები; ნათლადაა გამოკვეთილი, რა არის მათში საერთო, მუდმივი და რა - განსხვავებული,	მაღალი

გააზრება და შედარება	ცვალებადი. მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით ნაწარმოებებიდან.	
	ნაწარმოებების მთავარი სათქმელი და სწავლის მიმართ დამოკიდებულებები ძირითადად სწორადაა წარმოჩენილი; საერთო და განსხვავებული ნიშნები გამოკვეთილია, თუმცა ზოგიერთი საკითხი შედარებით მოკლედ ან არასრულადაა განხილული; მაგალითები ძირითადად შესაბამისია.	საშუალო
	ნაწარმოებების მთავარი სათქმელი ნაწილობრივაა გააზრებული; მსგავსება და განსხვავება ძირითადად დასახელებულია, მაგრამ ნაკლებადაა ახსნილი; მოსაზრებები ზოგადია და შესაბამისი მაგალითები მწირია.	საბაზისო
	ნაწარმოებების მთავარი სათქმელი ბუნდოვანი ან არაზუსტია; სხვადასხვა ეპოქის დამოკიდებულებათა შედარება თითქმის არ იკვეთება; მოსაზრებები შესაბამისი მაგალითებით არ არის/ თითქმის არ არის გამყარებული.	საწყისი
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა და ვიზუალური მხარე	პრეზენტაცია ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა აგებული; ინფორმაცია მკაფიოდ და ზომიერადაა განაწილებული სლაიდებზე. ვიზუალური მასალა - ფოტოები, ნახატები, სქემები და სხვა - მიზნობრივადაა შერჩეული, შეესაბამება შინაარსს და ხელს უწყობს მის უკეთ აღქმას. გამოყენებული მუსიკალური გაფორმება (თუ გამოყენებულია) შეესაბამება თემასა და განწყობას და არ ფარავს სათქმელს.	მაღალი
	პრეზენტაცია ძირითადად ორგანიზებული და თანმიმდევრულია; ვიზუალური მასალა შინაარსს შეესაბამება, თუმცა ზოგიერთ სლაიდზე ინფორმაციის განაწილება ან ვიზუალური გაფორმება დასახვეწია. მუსიკალური გაფორმება, თუ გამოყენებულია, ძირითადად მიზნობრივია.	საშუალო
	პრეზენტაციის სტრუქტურა ნაწილობრივ იკვეთება; ზოგიერთი სლაიდი გადატვირთული, მწირი ან ნაკლებად ორგანიზებულია; ვიზუალური მასალის ნაწილი მხოლოდ დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს ან შინაარსთან სუსტადაა დაკავშირებული.	საბაზისო
	პრეზენტაცია ფრაგმენტულია და მისი სტრუქტურა მკაფიოდ არ იკვეთება; ვიზუალური მასალა ძალიან მწირია, შემთხვევითაა შერჩეული ან შინაარსს არ შეესაბამება.	საწყისი
III კრიტერიუმი.	მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ახსნილი, რამდენად აქტუალურია ნაწარმოებებში გამოხატული დამოკიდებულებები სწავლისადმი XXI საუკუნეში;	მაღალი

მსჯელობა და არგუმენტაცია	ნათლადაა წარმოჩენილი, რით არის ეს იდეები ღირებული დღევანდელი მოსწავლისთვის. მოსაზრებები დასაბუთებულია კონკრეტული და შესაბამისი მაგალითებით.	
	საკითხის თანამედროვეობასთან კავშირი სწორადაა წარმოჩენილი და ძირითადად დასაბუთებული, თუმცა ზოგიერთი მოსაზრება უფრო სრულ განმარტებას ან კონკრეტულ მაგალითს საჭიროებს.	საშუალო
	თანამედროვეობასთან კავშირი დასახელებულია, თუმცა მსჯელობა ზოგადი ან ზედაპირულია; ნაკლებად ჩანს, კონკრეტულად რატომ არის ეს იდეები მნიშვნელოვანი დღევანდელი მოსწავლისთვის.	საბაზისო
	საკითხის XXI საუკუნესთან კავშირი თითქმის არ იკვეთება ან არაადეკვატურად არის წარმოდგენილი; მოსაზრებები არ არის დასაბუთებული.	საწყისი
IV კრიტერიუმი. პრეზენტაციის წარდგენა და შეკითხვებზე პასუხი	ჯგუფის წევრებს შორის წარდგენის ნაწილები მიზნობრივადაა განაწილებული; დაცულია 7–10-წუთიანი დროის ლიმიტი. პრეზენტატორები ზუსტად და დასაბუთებულად პასუხობენ შინაარსობრივ შეკითხვებს, ხოლო ჯგუფის სხვა წევრები — მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ შეკითხვებს.	მაღალი
	წარდგენა ძირითადად მკაფიო და თანმიმდევრულია; დროის ლიმიტი ძირითადად დაცულია. შეკითხვების უმეტესობას ჯგუფი სწორად უპასუხებს, თუმცა ცალკეული პასუხები ნაკლებად სრული ან დასაბუთებულია.	საშუალო
	წარდგენისას ფუნქციების განაწილება ყოველთვის მკაფიო არ არის ან დროის ლიმიტი ნაწილობრივ ირღვევა; შეკითხვებზე პასუხები ზოგჯერ ზოგადი, მოკლე ან არასაკმარისად ზუსტია.	საბაზისო
	წარდგენა ფრაგმენტული და ძნელად აღსაქმელია; დროის ლიმიტი მნიშვნელოვნადაა დარღვეული. ჯგუფს უჭირს როგორც შინაარსობრივ, ისე შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.	საწყისი
V კრიტერიუმი. მეტყველება და აუდიტორიასთან კონტაქტი	მოსწავლე საუბრობს მკაფიოდ, გამართულად, სათანადო ხმის ძალითა და ტემპით; ინტონაცია და პაუზები ბუნებრივია და სათქმელს შეესაბამება. ლექსიკა ზუსტი და საკომუნიკაციო სიტუაციისთვის შესაფერისია; დაცულია ენობრივი ნორმები და მართლმეტყველების წესები. მოსწავლე ინარჩუნებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან, ბუნებრივად იყენებს ჟესტებსა და გამომეტყველებას	მაღალი

	და ნაკლებად არის დამოკიდებული ჩანაწერებსა თუ სლაიდებზე.	
	მოსწავლე ძირითადად საუბრობს მკაფიოდ და გამართულად; ხმის ძალა, ტემპი და ინტონაცია უმეტესად სათანადოა. ლექსიკა ძირითადად შესაბამისია; გვხვდება ცალკეული ენობრივი ან მართლმეტყველების ხარვეზები, რომლებიც სათქმელის გაგებას არ აფერხებს. აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტი ძირითადად შენარჩუნებულია, თუმცა მოსწავლე ზოგჯერ ზედმეტად ეყრდნობა ჩანაწერებს ან სლაიდებს.	საშუალო
	მეტყველება ზოგჯერ არ არის საკმარისად მკაფიო ან გამართული; ხმის ძალა, ტემპი და ინტონაცია ყოველთვის სათანადოდ არ არის შერჩეული. ლექსიკა შედარებით მწირი ან ერთფეროვანია; გვხვდება ენობრივი და მართლმეტყველების ხარვეზები, რომლებიც ზოგჯერ ართულებს სათქმელის აღქმას. მხედველობითი კონტაქტი არათანმიმდევრულია და მოსწავლე ხშირად კითხულობს ტექსტს ჩანაწერებიდან ან სლაიდებიდან.	საბაზისო
	მეტყველება ხშირად გაურკვეველი ან ძნელად აღსაქმელია; ხმის ძალა, ტემპი და ინტონაცია შეუსაბამოა. ლექსიკა მწირია; მრავლადაა ენობრივი და მართლმეტყველების ხარვეზები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს სათქმელის გაგებას. მოსწავლე იშვიათად ამყარებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან და ძირითადად კითხულობს ტექსტს ჩანაწერებიდან ან სლაიდებიდან.	საწყისი
VI კრიტერიუმი. ენობრივი გამართულობა	მეტყველებს უხარვეზოდ, იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს.	მაღალი
	ძირითადად იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს. შეიმჩნევა რამდენიმე უმნიშვნელო ხარვეზი.	საშუალო
	ხშირად არღვევს სალიტერატურო ენის ნორმებს.	საბაზისო
	მეტყველებს გაუმართავად.	საწყისი

ინსტრუმენტი მასწავლებლისთვის (როგორ დავწეროთ ქულა):

ვინაიდან დავალება ჯგუფურია, საბოლოო ქულა შეიძლება შედგებოდეს ორი ნაწილისგან:

1. **ჯგუფური ქულა (მაქს. 8 ქულა):** შინაარსი, მულტიმედია და ჯგუფური ორგანიზება (ყველას ეწერება ერთნაირი).
2. **ინდივიდუალური ქულა (მაქს. 2 ქულა):** როგორ წარადგინა პრეზენტატორმა თავისი ნაწილი ან როგორ უპასუხა კონკრეტულმა მოსწავლემ კითხვებს თავისი შესრულებული სამუშაოს (ვიზუალის, მუსიკის) შესახებ.

რეკომენდაცია მასწავლებლისთვის: გთავაზობთ კითხვების ბანკს, რომელიც სურვილისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ პრეზენტაციის დარულების შემდგომ:

1. კითხვები მკვლევრებისთვის (ეს კითხვები ამოწმებს, რამდენად ღრმად იმუშავა მოსწავლემ ტექსტებზე და თავად მოიძია თუ არა ინფორმაცია):

- „როდესაც სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებებს ადარებდით, ტექსტის რომელი კონკრეტული მონაკვეთი ან ციტატა დაგეხმარათ ყველაზე მეტად იმის გაგებაში, თუ რა იყო ავტორის მთავარი სათქმელი?“
- „ინფორმაციის მოძიების პროცესში, შეგხვდათ თუ არა ისეთი საინტერესო ფაქტი სწავლის/განათლების ისტორიიდან, რომელიც საბოლოოდ პრეზენტაციაში ვეღარ ჩაეტია? რატომ თქვით მასზე უარი?“
- „თქვენი ჯგუფის აზრით, რომელი ნაწარმოების დამოკიდებულებაა ყველაზე ახლოს 21-ე საუკუნის რეალობასთან და რატომ?“

2. კითხვები ვიზუალური მხარისა და დიზაინის ავტორებისთვის (ეს კითხვები ადგენს, რამდენად გააზრებულად შეირჩა ილუსტრაციები და სქემები)

- „პრეზენტაციაში გამოყენებული ფოტოებიდან/ნახატებიდან რომელი ასახავს ყველაზე ზუსტად იმ ეპოქის განწყობას, რომელზეც თქვენი ჯგუფი საუბრობდა?“
- „რა პრინციპით შეარჩიეთ სლაიდების დიზაინი (ფერები, განლაგება)? როგორ ეხმიანება ეს ვიზუალი თემას — ‚ცოდნის გაკვეთილები‘?“
- „იყო თუ არა რომელიმე სლაიდი, რომლის ვიზუალურ გაფორმებაზეც ჯგუფში აზრთა სხვადასხვაობა გქონდათ და როგორ შეთანხმდით საბოლოო ვარიანტზე?“

3. კითხვები მუსიკალური გაფორმების ავტორებისთვის (ეს კითხვები გვიჩვენებს, თუ რამდენად დაუკავშირა მოსწავლემ მუსიკა ლიტერატურულ კონტექსტს)

- „რატომ შეარჩიეთ სწორედ ეს კონკრეტული მუსიკალური ფონი და რა განწყობის შექმნა გინდოდათ მისი საშუალებით მსმენელისთვის?“
- „მუსიკის შერჩევისას თუ გაითვალისწინეთ ნაწარმოებების შექმნის ეპოქა (მაგ.: ძველი ეპოქისთვის თუ გამოიყენეთ კლასიკური ან უფრო ძველი მუსიკა)?“
- „როგორ აკონტროლებდით მუსიკის ხმას პრეზენტატორების გამოსვლისას, რომ მას ხელი არ შეეშალა მათი საუბრის აღქმისთვის?“

4. კითხვები ტექნიკური მხარის ასისტენტებისთვის (ეს კითხვები ამოწმებს ციფრული ხელსაწყოების ფლობასა და ორგანიზაციულ უნარებს)

- „რომელ ციფრულ პროგრამაში (მაგ.: PowerPoint, Canva, Prezi) ააწყვეთ პრეზენტაცია და რა ტექნიკური სირთულეების გადალახვა მოგიხდათ მუშაობის პროცესში?“
- „როგორ მოახერხეთ ტექსტის, ვიზუალური მასალისა და მუსიკის ერთმანეთთან ტექნიკურად სინქრონიზაცია, რომ სლაიდების გადასვლა გლუვი ყოფილიყო?“

5. კითხვები მთელი ჯგუფისთვის (სამუშაო პროცესის შეჯამება) (ეს კითხვები ავითარებს მეტაკოგნიტურ და თვითშეფასების უნარებს)

- „როგორ გადაანაწილეთ როლები ჯგუფში და, თქვენი აზრით, ყველამ თანაბრად გაართვა თუ არა თავი დაკისრებულ მოვალეობას?“
- „რა იყო ყველაზე დიდი სირთულე, რომელსაც ერთობლივი მუშაობისას წააწყდით და როგორ გადაჭერით ეს პრობლემა გუნდურად?“
- „თავიდან რომ იწყებდეთ ამ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას, რას შეცვლიდით თქვენს ორგანიზაციულ პროცესში ან თავად პრეზენტაციაში?“

რეკომენდაცია: პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეგიძლიათ კლასს დაასმევინოთ 1-2 კითხვა შინაარსის ირგვლივ, ხოლო ამ ბანკიდან შერჩეული კითხვები დაუსვათ კონკრეტულად იმ მოსწავლეებს, რომლებიც პრეზენტაციის დროს ჩრდილში იყვნენ, რათა მათაც მიეცეთ შეფასების გაუმჯობესების შესაძლებლობა.

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

მაკა ჯოხაძე, კრიტიკულ-ბიოგრაფიული ესე „დოჩანა“, ჟურნალი „კრიტიკა“, 2021 წ. N16.

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:</u>

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობები: „მუსიკოსი“, „მთის გადაღმა“, „ყველაზე კარგი პაპა“, „ჩვენს ეზოში წვიმა მოდის“, „მიხეილი და ალექსანდრე“.

თავი III - ადამიანის არჩევანი

სულხან-საბა ორბელიანის იგავი „იხვი და მყვარი“

საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 აკადემიური საათი

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები:

1. სამიზნე ცნება „ტექსტი“

მხატვრული ტექსტი **- იგავ-არაკი**

შინაარსობრივი მხარე - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი (რეალური, წარმოსახვით-ფანტასტიკური); პერსონაჟი (მაგ.: მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება);

დიალოგი და მისი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (მაგ.: ავტორის, პერსონაჟის); სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი, გარეგანი); ტონი, განწყობილება.

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, აბზაცი;

ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: ეპითეტი, გაპიროვნება, ალეგორია, ირონია); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. ტექსტის სახეობა - თხრობითი ტექსტი.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი გამოცდილება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსწავლეს შეუძლია:
- კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება;

- ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით;
- სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით;
- ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.
- ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;
- ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
- მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;
- ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა;
- ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
- ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.

<u>ნაწარმოების შესახებ:</u>

სულხან-საბა ორბელიანი გამორჩეულ როლს ასრულებს VXII-VXIII საუკუნეების მიჯნაზე ქართული ლიტერატურის ახალი პერიოდის დაწყებაში, რომელსაც აღორძინების ხანას ვეძახით. წინა საუკუნეებში „ვეფხისტყაოსნის“ მიმბაძველობამ და უნიჭო ინტერპოლაციებმა (ჩანართებმა) მნიშვნელოვნად დააზიანა ქართული მწერლობა, ხოლო აღორძინების ხანის ავტორებმა (სულხან-საბა ორბელიანმა, დავით გურამიშვილმა, ბესარიონ გაბაშვილმა) მრავალი საინტერესო სიახლე შემოიტანეს და გაამდიდრეს ჩვენი ლიტერატურა ორიგინალური ხელწერის ქმნილებებით. ამ დროს საქართველო პოლიტიკურად მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა, ეს კი ხშირად საზოგადოებრივი მანკიერებების გავრცელებას უწყობს ხელს. ლიტერატურაშიც ბუნებრივად გაჩნდა დაცემული საზოგადოების გაჯანსაღების, საღი ღირებულებების სწავლების, დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი მოტივების საჭიროება. სულხან-საბა ორბელიანი ჩვენი ქვეყნისთვის

მრავალმხრივ სასიკეთო საქმიანობას ეწეოდა. ის იყო ელჩი და დიპლომატი, ლექსიკოლოგი და ენის მკვლევარი, ჰიმნოგრაფი და პროზაიკოსი, რომელმაც მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ მოიცავს 150-მდე იგავ-არაკს, რომლებიც შეკრულია საერთო იდეურ-თემატური ფონით - მეფე ფინეზის კარის ამბებით. მწერალმა მოიფიქრა ამბავი, რომელიც მეფე ფინეზის კარზე ვითარდება. ავტორმა გააცოცხლა ხუთი მთავარი პერსონაჟი (მეფე, მისი ბრძენი ვეზირი სედრაქი, გულბოროტი, მაგრამ გონებამახვილი და მეფის ერთგული სეფეთუხუცესი რუქა, უფლისწული ჯუმბერი და მისი აღმზრდელი ლეონი), რომლებიც აქტუალური თემების გარშემო იგავებს ჰყვებიან. იგავ-არაკი „იხვი და მყვარი“ მეფე ფინეზმა მოგვითხრო მეფის კარზე ცხარე პაექრობის დასასრულს. მეფემ იგავს ასეთი შეგონება დააყოლა: - „რადგან რუქა აგრე ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა, თქვენ კი ნუ აჰყვებით, კარგი ქმენით და მაგას იმ მყვარსავით დაემართებაო“. ეს შეგონება გვაფიქრებინებს, რომ ავტორიცა და მისი პერსონაჟიც მყვარს უარყოფით კონტექსტში განიხილავენ.

ზოგადად, იგავური ენა მახვილი, ლაკონიური და შთამბეჭდავია. იგავი ყოველთვის შეიცავს მორალისტურ ქვეტექსტებს, დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ხასიათისაა და მკითხველს აფიქრებს ადამიანის არჩევანზე. იგავებში მთავარი მხატვრული ხერხია ალეგორია. ხშირად მოქმედებენ ცხოველები, ფრინველები, უსულო საგნები, მაგრამ მათში ყოველთვის ადამიანი იგულისხმება.

„იხვისა და მყვარის“ იგავში მყვარის სახის მეშვეობით ნაჩვენებია რეალობის არაადეკვატურად აღქმა, საკუთარი როლისა და მომავლის გაუაზრებლობა, ყოყლოჩინობა და საკუთარი შესაძლებლობების არასწორი, გადაჭარბებული შეფასება, რასაც უპირისპირდება იხვისეული გონებამახვილობა, მიხვედრილობა, ადეკვატურობა. ნაწარმოების მთავარი სათქმელი ისაა, რომ ფსევდოპატრიოტიზმი, ცრუ, ყალბი, მოჩვენებითი ღირებულებები და უპირატესობები ადამიანს მოლიპულ გზაზე აყენებს და მარცხისკენ უბიძგებს. საბა მკითხველს უჩვენებს, რომ ნამდვილი ნიჭი და შესაძლებლობა საქმით მტკიცდება და არა თავმომწონეობითა და ტრაბახით. ეს იგავი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რატომ არის მავნებელი ამპარტავნობა. იგავი გვასწავლის რეალობის საღად აღქმასა და თავმდაბლობას.

მყვარი (ბაყაყი) განასახიერებს უნიჭო, მაგრამ ამბიციურ, ქედმაღალ და ტრაბახა ადამიანს. ის ჭაობში ზის (რაც სიმბოლურად მის შეზღუდულ თვალსაწიერზე მიუთითებს), თუმცა თავს ყველაზე ძლიერად მიიჩნევს. იხვი განასახიერებს რეალური შესაძლებლობების მქონე, თავმდაბალ და პრაქტიკულ ადამიანს. მას შეუძლია ფრენაც, ცურვაც და მიწაზე სიარულიც, თუმცა ამით არ ტრაბახობს. იხვი საღად იაზრებს რეალობას, რთულ სიტუაციაში გამოსავალს პოულობს, არ აქვს აკვიატებული ყალბი ფასეულობები, შეუძლია თავის გადარჩენა. ის, ამასთან ერთად, გულისხმიერი, მეგობრული, გამტანი პერსონაჟია. მეგობარი არ დავიწყებია, მასზე დარდობდა და მოსანახულებლადაც წავიდა. როცა იხვმა გამხმარ გუბეში მკვდარი მყვარი ნახა, შეწუხდა, მაგრამ საკუთარი არჩევანის სისწორეში კიდევ უფრო დარწმუნდა, თქვა: „ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო“. იხვისა და მყვარის მაგალითი გვასწავლის, რომ ზოგჯერ ადამიანი ჭეშმარიტად ღირებულსა და ყალბს ერთმანეთისგან ვერ არჩევს. ეს კი მთავარი უნარია. დავით გურამიშვილი თავის ლექსში „სწავლა მოსწავლეთა“ წერდა: „ავი და კარგი გარჩევით ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია, /მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია“. ზოგჯერ ავისა და კარგის ერთმანეთისგან ვერგარჩევაში ადამიანს ხელს უშლის უცოდინრობა, ზოგჯერ გონიერებისა და მორალის ნაკლებობა, ზოგჯერ აზრსმოკლებული ამოჩემება და ცრუ წარმოდგენები საკუთარ თავზე, უნაყოფო ილუზიები.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები:

- გაიხსენეთ, რა არის იგავ-არაკი? რით განსხვავდება ის მოთხრობისგან?
- ქართველი თუ უცხოელი ავტორების რომელ ცნობილ იგავ-არაკებს იცნობთ?
- რას ნიშნავს ალეგორია? რატომ იყენებენ ავტორები ცხოველებს, ფრინველებს ან მცენარეებს ადამიანური თვისებების საჩვენებლად?
- რა როლი აქვს მორალს (შეგონებას) იგავში?
- სიტყვა „იხვის“ გაგონებაზე რა ასოციაცია გიჩნდებათ, როგორი ფრინველია ის? სად ცხოვრობს, რა შეუძლია? (მასწავლებელს: მიანიშნეთ, რომ იხვს შეუძლია ფრენაც, ცურვაც და მიწაზე სიარულიც).
- როდესაც გესმით „მყვარი“ (ბაყაყი), როგორ გარემოს წარმოიდგენთ? რა უნარები აქვს მას? სად არის მისი საცხოვრებელი გარემო?
- შეგხვედრიათ თუ არა ადამიანი, რომელიც ბევრს ტრაბახობს თავისი ღირსებებით, თუმცა რეალურად სხვებზე ბევრად ნაკლები შეუძლია?
- რა განსხვავებაა საკუთარი თავის რწმენასა და ამპარტავნობას (ტრაბახს) შორის? სად გადის ზღვარი?
- რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა „ჭაობი“ გადატანითი მნიშვნელობით? (მასწავლებელს: მაგ. ვიწრო თვალსაწიერი, განუვითარებლობა, ერთ ადგილზე გაყინვა).

რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“

1. როგორ ცხოვრობდნენ იხვი და მყვარი გუბეში?

კომენტარი: წვიმის შემდეგ გაჩენილი გუბე თავიდანვე იხვმა აღმოაჩინა, მყვარი შემდეგ მოვიდა და მას დაუძმობილდა. ისინი უშფოთველად და მეგობრულად ცხოვრობდნენ, „რაც გაეწყობოდა, შეექცეოდიან“, რაც მიგვანიშნებს მათ მეგობრულ თანაცხოვრებაზე. როგორც ჩანს, თანასწორად იყოფდნენ ლუკმას და ცხოვრება მშვიდად მიედინებოდა.

2. რატომ იკლო წყალმა და რა საფრთხე შეექმნათ ამით მეგობრებს?

კომენტარი: ზაფხულში „მზე გაცხარდა“ და წყალი დააშრო, რამაც გუბე იხვისა და მყვარისთვის სასიცოცხლო საფრთხის შემცველი და უსარგებლო გახადა.

3. რა განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღეს იხვმა და მყვარმა?

კომენტარი: იხვმა შესთავაზა მყვარს ახალი სამკვიდროს საძებნელად წასვლა, მაგრამ, უარი რომ მიიღო, მარტო წავიდა, იპოვა წყლიანი ადგილი და განაგრძო ცხოვრება.

4. რატომ არ გაჰყვა მყვარი იხვს?

კომენტარი: როცა იხვმა მყვარს გუბის დატოვება შესთავაზა, მყვარმა მეგობარი შეარცხვინა, „შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ“, ანუ მაწანწალა ხარ, სამკვიდროს სიყვარული არ შეგძლებია, მე კი შენზე მეტი შეგნება მაქვს და სამკვიდროს ვერ დავტოვებო.

5. რატომ გაფრინდა იხვი სხვაგან?

კომენტარი: იხვი საზრიანი და შორსმჭვრეტელი იყო და მიხვდა, რომ უწყლოდ, გამხმარ გუბეში სიკვდილი ელოდა.

6. მყვარის რა თვისება იკვეთება სიტყვებში: „შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ“?

კომენტარი: მყვარის ეს სიტყვები მოწმობს მის ენამწარეობას, გესლიანობას, ამპარტავნობას, ცინიზმს, სხვისი დაცინვისა და დამუნათების (დაყვედრების) ჩვევას. ის მეგობარს ამცირებს და საკუთარი მორალური უპირატესობის წარმოჩენას ცდილობს, რაც უღირსი საქციელი და სულმდაბლობაა.

7. როგორ ახასიათებს იხვს თავისი ქმედებები?

კომენტარი: იხვი გონიერი, მიხვედრილი, შორსმჭვრეტელი ადამიანის ალეგორიული სახეა. ის მეგობარზეც ზრუნავს, მის გადარჩენასაც ცდილობს, არ არის გულგრილი, მამაცი და მაძიებელია. ახალი სამკვიდროს ძიება ხშირად ბევრ დაბრკოლებასა და საფრთხეს უკავშირდება, მაგრამ იხვი ამას არ შეუშინდა და თავის გადარჩენა მოახერხა.

8. როგორ ახასიათებს თითოეულ მეგობარს მათი არჩევანი?

კომენტარი: იხვი და მყვარი ურთიერთსაპირისპირო ხასიათის ტიპაჟები არიან. იხვი ადეკვატურია, ხოლო მყვარი თავისი არაადეკვატურობით, უაზრო ამოჩემებით იღუპავს თავს.

9. თქვენ რომლის არჩევანი მიგაჩნიათ მართებულად? რატომ?

კომენტარი: იხვის არჩევანი გონივრული და მოსაწონია. ცხოვრება მრავალ გამოწვევას გვთავაზობს და თვითგადარჩენის უნარი უნდა გვქონდეს, რათა გავუფრთხილდეთ ჩვენი და გარშემო მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, დავიცვათ უსაფრთხოების სავალდებულო წესები. როცა საჭიროა, ადამიანმა ამაღლებული ღირებულებებისთვის თავგანწირვაც უნდა შეძლოს, მაგრამ არაფრის მომცემი აკვიატების გამო სიცოცხლის განადგურება გაუმართლებელია.

<u>რუბრიკა „ლიტერატურული მეგზური“</u>

მოძებნეთ იგავში შეგონება და გადაიკითხეთ იგი. რომელი პერსონაჟის პირით არის ის გადმოცემული?

კომენტარი: თავად სულხან-საბა ორბელიანი იგავ-არაკს „სიტყვით საჩვენებელ მაგალითს“ უწოდებდა. ამ ჟანრის ნაწარმოები ყოველთვის შეიცავს მორალისტურ შეგონებას, რომელიც მიგვახვედრებს, რომელი არჩევანი უფრო მართებულია. მოცემული იგავის შეგონებაა იხვის სიტყვები: „ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო“. ეს სიტყვები გვასწავლის, რომ არ ღირს ცრუ ღირებულებების ამოჩემება, ადამიანმა რთულ სიტუაციაში გამოსავალი უნდა იპოვოს და თავი გადაირჩინოს.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“</u>

• მწერალი ასე აღწერს გუბეს: „მომცრო“, „წვიმის მდგარი“.

თქვენი აზრით, რაზე მიგვანიშნებს ეს სიტყვები მყვარის არჩევანთან დაკავშირებით?

კომენტარი: გუბის ამგვარი აღწერა მიგვანიშნებს, რომ ეს გუბე დროებით და შემთხვევით წარმოქმნილი საარსებო სივრცე იყო იხვისა და მყვარისთვის და არა მათი სამშობლო, სამუდამო სამკვიდრო. მყვარი რომ იხვთან ამტკიცებდა, შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ და მე სამკვიდროს ვერ მივატოვებო, ეს მისი აკვიატება იყო და არა - გონივრული არჩევანი ან მშობლიური გარემოს ერთგულება.

• გაიხსენეთ, რას ნიშნავს „სამკვიდრო“ და ისაუბრეთ:

- ✓ რამდენად მართებულია ამ სიტყვის გამოყენება წვიმისგან დარჩენილი პატარა გუბის აღსანიშნავად;
- ✓ რას გვეუბნება ამ სიტყვის გამოყენება მყვარზე - როგორია მისი თვალსაწიერი, რამდენად სწორად აფასებს ის რეალობას;
- ✓ რამდენად განაპირობებს მყვარის მცდარი წარმოდგენა მის უმოქმედობასა და ტრაგიკულ აღსასრულს.

თქვენი მოსაზრებები ახსენით.

• „მე სამკვიდროს ვერ დავუტევებო!“ - ამბობს მყვარი. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს არგუმენტი? რას ნიშნავს და რას ემყარება მყვარის ერთგულება, თქვენი აზრით?

• იგავის დასასრული ტრაგიკულია: უკან დაბრუნებულმა იხვმა ნახა, რომ „გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო“. თქვენი აზრით, რისი თქმა უნდა მწერალს ამ დასასრულით მყვარის არჩევანის შესახებ, როგორ აფასებს მყვარის საქციელს?

საერთო კომენტარი: სამკვიდრო, მამული, მშობლიური მიწა სხვა ფენომენია და მკვეთრად განსხვავდება იხვისა და მყვარის წვიმისგან დროებით წარმოქმნილი გუბისგან. ეს გუბე წარმავალი და დროებით სასურველი ადგილი იყო იხვისა და მყვარისთვის, ხოლო ნამდვილი სამკვიდრო ადამიანისგან ბოლომდე ერთგულებას, მსახურებას, თავდადებას ითხოვს. მშობლიური მიწის დასაცავად ერები და ადამიანები ყოველთვის თავს წირავდნენ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ, რადგან მშობლიურ მიწასთან დაკავშირებულია მთელი ჩვენი ეროვნული თვითშეგნება, კულტურა, ტრადიციები, გემოვნება, მასთან გვაკავშირებს დიდი სიყვარულის ძალა, ხოლო ეს გუბე დროებითი სამყოფელი იყო. ორივეს უნდა სცოდნოდა, რომ ის მალევე გაქრებოდა და სხვა საარსებო სივრცე უნდა ეძებნათ. მყვარის თვალსაწიერი ვიწრო, შეზღუდული, რეალობას აცდენილი და არაადეკვატურია. ის საკუთარი ილუზიების, მცდარი წარმოდგენების ტყვეობაშია, რაც საღი განსჯის, მოვლენათა სწორად შეფასების, მომავლის განჭვრეტის უნარს უკარგავს და საბოლოოდ ამ ყველაფერს ტრაგიკულ დასასრულამდე მიჰყავს. მყვარის მოჩვენებითი ერთგულება („მე სამკვიდროს ვერ დავუტევებ!“) გამოწვეულია მისი უვიცობით, სიჯიუტით, სიკერპით, გაუთვითცნობიერებლობით. მყვარის ერთგულება მცდარ და ზედაპირულ წარმოდგენებს (სტერეოტიპებსა) და ილუზიებს ეფუძნება. როცა მეგობრის ბედით შეწუხებული, უკან დაბრუნებული იხვი ხედავს, რომ „გუბე გამხმარიყო, მყვარი

მომკვდარიყო“, ავტორი ამ სიტყვებით მიგვანიშნებს, თუ რა შედეგი მოჰყვება ადამიანის არაადეკვატურობას, ილუზიებში ცხოვრებას, ყალბი პათოსის (აღტყინების) აყოლას.

<u>რუბრიკა „დისკუსია“</u>

გაეცანით შეკითხვებს და წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები შესაბამისი დასაბუთებით.

• თქვენი აზრით, როგორ ადამიანს განასახიერებს პერსონაჟი იხვი?

პასუხის გასაცემად წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები და დაასახელეთ, რომელია არასწორი. პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

პერსონაჟი იხვი განასახიერებს ადამიანს, რომელიც:

ა) გონიერია - სწორად აფასებს რეალობას, არ ეშინია სიახლეებისა და ცვლილებებისა; (სწორია)

ბ) ეგოისტია - ზრუნავს მხოლოდ საკუთარ თავზე, არ ადარდებს მეგობრის ბედი; (არასწორია)

გ) შორსმჭვრეტელია - აქვს ფართო თვალსაწიერი, არ არის მიჯაჭვული ვიწრო, ჩაკეტილ გარემოზე; (სწორია)

დ) თავისუფალია - გამბედავია, მოქმედებს აქტიურად, თავად ეძებს და პოულობს გამოსავალს. (სწორია).

• თქვენი აზრით, როგორ ადამიანს განასახიერებს მყვარი, რა მახასიათებლები განასხვავებს მას იხვისგან?

• დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ცხრილს და პირველ სვეტში მოცემულ თითოეულ საგანს, ქმედებასა თუ მოვლენას მეორე სვეტიდან შეურჩიეთ შესაბამისი ალეგორიული მნიშვნელობა. შესაბამისობები ჩაიწერეთ რვეულში ნიმუშის მსგავსად.

ნიმუში. 1. მზე - ბ. რეალობა, რომელიც ანადგურებს მცდარ წარმოდგენას.

საგანი, მოვლენა, ქმედება	ალეგორიული მნიშვნელობა
1. მზე	ა) ნაცნობი კომფორტული გარემო
2. წყლის დაკლება გუბეში	ბ) რეალობა, რომელიც ანადგურებს მცდარ წარმოდგენას
3. წვიმის გუბე	გ) თავისუფლება, აქტიური და გონივრული ქმედება
4. იხვის „ხეტიალი”	დ) ახალი გარემო, ახალი ცხოვრებისეული ეტაპი
5. „დიდი წყალი“	ე) კრიზისული სიტუაცია

სწორი პასუხები:

2. წყლის დაკლება გუბეში - ე. კრიზისული სიტუაცია;

3. წვიმის გუბე - ა. ნაცნობი კომფორტული გარემო;

4. იხვის „ხეტიალი“ - გ. თავისუფლება, აქტიური და გონივრული ქმედება;

5. „დიდი წყალი“ - დ. ახალი გარემო, ახალი ცხოვრებისეული ეტაპი.

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“</u>

წარმოიდგინეთ, რომ ხართ იგავის პერსონაჟი იხვი. დაწერეთ 2-3 არგუმენტი, რომლებითაც შეეცდებით დაარწმუნოთ მყვარი, დატოვოს გუბე და გადაინაცვლოს „დიდ წყალზე“.

კომენტარი: იხვის არგუმენტები (სავარაუდო პასუხები):

1. ეს გუბე ჩვენი სამკვიდრო არ არის, დროებითი თავშესაფარია. ჩვენ აქ მოვედით, რადგან ვნახეთ, რომ წვიმამ გააჩინა ჩვენთვის კომფორტული ადგილი. ჩვენი აქ დარჩენა და თავგანწირვა აზრს მოკლებულია, რადგან ეს გუბე რეალურად ჩვენი სამშობლო არ არის, მხოლოდ დროებითი თავშესაფარია. იხვები და ბაყაყები სხვადასხვა ადგილას ეძებენ ასეთ სამყოფელს, ეს ჩვენი ტრადიცია და ჩვეულებაა, ესაა თვითგადარჩენის გზა;

2. ზაფხული დადგა და მცხუნვარე, მზიანი ამინდები ჩვენს გუბეში წყალს დააშრობს. ჩვენ უწყლოდ სიცოცხლე არ შეგვიძლია, დავიხოცებით, ამიტომ გონივრული იქნება, რომ ახალი თავშესაფარი ვეძებოთ;

3. გავახილოთ ფართოდ თვალები და ვნახავთ, რომ სამყარო გადასარჩენად უამრავ ახალ გზასა და კრიზისიდან გამოსავალს გვთავაზობს. დარწმუნებული ვარ, უამრავი დიდი წყალსაცავია გარშემო, სადაც შეგვიძლია ისევე მშვიდად და უშფოთველად გავატაროთ მომავალი ცხოვრება, როგორც აქ ვიყავით წვიმიან ამინდებში. შეიძლება ახალ სამყოფელში უფრო კომფორტულიც იყოს ცხოვრება, მეტი საკვები, უფრო სუფთა და ღრმა წყალი დაგვხვდეს, ან იქ ახალი კარგი მეგობრებიც გავიჩინოთ და უფრო მხიარულად ვიცხოვროთ. ამასთანავე, არ ვიქნებით მარტო და საფრთხისგან დაუცველები.

<u>დავალების შეფასების რუბრიკა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	8-10 ქულა	5-7 ქულა	1-4 ქულა
1. როლური პოზიციის დაცვა (პერსონაჟის პერსპექტივა)	მოსწავლე სრულად ირგებს **იხვის როლს**. ტექსტი დაწერილია პირველ პირში. გამოკვეთილია იხვისთვის დამახასიათებელი	მოსწავლე ცდილობს როლის მორგებას, თუმცა ზოგჯერ **არღვევს პირველი პირის პერსპექტივას** ან ტონი უფრო მეტად ჰგავს გარეშე დამკვირვებლის	ტექსტი **არ არის დაწერილი პერსონაჟის სახელით**. მოსწავლე უბრალოდ ჰყვება ან აფასებს

	პრაქტიკული, მზრუნველი და წინდახედული ტონი.	(მოსწავლის) მსჯელობას, ვიდრე თავად იხვისას.	სიტუაციას გვერდიდან.
2. არგუმენტაცია	მოყვანილია **2-3 მკაფიო, ლოგიკური და დამარწმუნებელი არგუმენტი**. მიზეზშედეგობრივი კავშირები (მაგ: სიცხე, გუბის დაშრობა, სიკვდილი) მყარია და ემსახურება მთავარ მიზანს - მყვარის დარწმუნებას.	მოყვანილია არგუმენტები, თუმცა ისინი **ნაწილობრივ გამეორებადია** ან აკლია ლოგიკური სიმყარე და დამარწმუნებლობა.	მოყვანილია მხოლოდ **ერთი არგუმენტი**, ან არსებული მსჯელობა არის მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.
3. კონტექსტის გააზრება (იგავის ცოდნა)	მსჯელობა ეყრდნობა **იგავის რეალურ კონტექსტს** და კარგად იაზრებს პერსონაჟების ბუნებას, გარემოს, სადაც ისინი იმყოფებიან.	კონტექსტი ნაწილობრივ გათვალისწინებულია, ჩანს **ზედაპირული ცოდნა**. მსჯელობა ზედმეტად ზოგადია და ნაკლებად უკავშირდება უშუალოდ „იხვისა და მყვარის“ გარემოს.	მოსწავლის მსჯელობა **სცდება იგავის კონტექსტს**, ან მოყვანილი ფაქტები ეწინააღმდეგება ნაწარმოების შინაარსს.
4. ენობრივ-სტილური გამართულობა	აზრი გადმოცემულია **ნათლად და გასაგებად**. წინადადებები სინტაქსურად გამართულია. ლექსიკა მდიდარია. დაცულია მართლწერის წესები.	ტექსტი გასაგებია, თუმცა გვხვდება **სტილისტური ხარვეზები** ან რამდენიმე ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური შეცდომა.	ტექსტი **გაუმართავია**, აზრის გაგება ჭირს სტილისტური აღრევისა და მრავალი ენობრივი ხარვეზის გამო.

<u>შენიშვნა: შესაძლოა ამ რუბრიკის გამოყენება განმავითარებელი შეფასებისთვისაც, შესაბამისად, დონეები იქნება: მაღალი, საშუალო, საწყისი.</u>

<u>რუბრიკა „იმსჯელეთ“</u>

1. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“. ლექსის ერთ სტროფში ვკითხულობთ: „ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა“. ეს ნიშნავს, რომ ბრძენი (მცოდნე ადამიანი) შინაგანად თავისუფალია, დამოუკიდებელია და თავად წყვეტს, როგორ იცხოვროს. დაუკავშირეთ ეს სიტყვები იგავის პერსონაჟ იხვს და იმსჯელეთ: შეიძლება თუ არა იხვი მივიჩნიოთ ბრძენის (გონიერი ადამიანის) განსახიერებად, რომელიც არ არის გარემოებებზე მიჯაჭვული, მოქმედებს თავისუფლად, აქვს მრავალმხრივი შესაძლებლობები და გონივრულად იყენებს მათ გამოსავლის ძიებისას.

თქვენი აზრით, ადამიანის რომელი თვისება ანდა მახასიათებელი უნდა მივიჩნიოთ „ფრთების“ ანალოგიად, რომელიც მას დამოუკიდებლობას მიანიჭებს?

რეკომენდაცია მასწავლებლისთვის: შეგიძლიათ მიმართოთ კლასს ამგვარი რეკომენდაციით: ეს დავალება გაძლევთ შემოქმედებითი აზროვნების, ფიქრის, ანალიზის, სინთეზის (ორი ტექსტის შედარების) შესაძლებლობას. დააკვირდით და იმსჯელეთ, რამდენად შეიძლება განვიხილოთ იხვი გურამიშვილის ლექსში ნახსენებ ბრძენად. შეეცადეთ, იხვი დაინახოთ არა უბრალო ფრინველად, არამედ **დამოუკიდებელ, თავისუფალ პიროვნებად**. იხვისგან განსხვავებით, მყვარი (ბაყაყი) მიჯაჭვულია თავის პატარა გუბეს, რადგან სხვა გარემოში ფიზიკურად ვერ წარმოუდგენია არსებობა. იხვს კი ფრთებიც აქვს, ცურვაც შეუძლია და სიარულიც - ის „თავისი თავის უფალია”. დაფიქრდით: რა შეიძლება იყოს ადამიანისთვის ის „ფრთები“, რაც მას ჭაობიდან (უცოდინრობიდან, სტერეოტიპებიდან) თავის დაღწევაში დაეხმარება? იქნება ეს **ცოდნა, ნიჭი, შინაგანი თავისუფლება, სიმამაცე, ბრძოლისუნარიანობა თუ სხვა რამ**? შეეცადეთ თქვენი მსჯელობა იყოს ორიგინალური, ჩაღრმავებული, არაშაბლონური!“ ვისაც სურვილი აქვს და დისკუსიის დროს ვერ მოახერხებს საკლასო აქტოვობებში ჩართვას, შეუძლია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრება.

<u>სადისკუსიო საკითხზე წერილობითი დავალების შეფასების რუბრიკა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	მაღალი (8-10 ქულა)	საშუალო (5-7 ქულა)	საწყისი (1-4 ქულა)
1. ინტერტექსტუალური კავშირების დამყარება (გურამიშვილი - ორბელიანი)	მოსწავლე **სიღრმისეულად აკავშირებს** დავით გურამიშვილის ციტატას („ბრძენსა აქვს თავის უფლება...“) სულხან-საბას იხვის პერსონაჟთან. ნათლად აჩვენებს, თუ რატომ არის იხვი „თავის უფალი“ (ბრძენი) და რით განსხვავდება ის გარემოებებზე მიჯაჭვული მყვარისგან.	მოსწავლე ხედავს კავშირს ორ ნაწარმოებს შორის, თუმცა **მსჯელობა ზედაპირულია**. პარალელები გადმოცემულია ზოგადად, აკლია ტექსტებზე დაყრდნობით მსჯელობა და კონკრეტული არგუმენტები.	მოსწავლე მხოლოდ ახსენებს ორივე ნაწარმოებს, მაგრამ **ვერ ამყარებს ლოგიკურ კავშირს** გურამიშვილისეულ ბრძენსა და იგავის იხვს შორის. თემები განხილულია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.
2. მეტაფორული აზროვნება და ანალოგიის შექმნა („ფრთები“)	მოსწავლე ორიგინალურად და არგუმენტირებულად ხსნის, თუ რა არის რეალურ ცხოვრებაში ადამიანის **„ფრთების“ ანალოგია** (მაგ: ცოდნა, განათლება, კრიტიკული აზროვნება, ნებისყოფა) და ასაბუთებს, როგორ ანიჭებს ეს თვისება ადამიანს დამოუკიდებლობას.	მოსწავლე ასახელებს ადამიანის თვისებას, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ „ფრთებად“, თუმცა **ვერ შლის ამ იდეას**. აკლია დასაბუთება, თუ კონკრეტულად როგორ ეხმარება ეს თვისება ადამიანს ცხოვრებისეული „გუბეებიდან“ თავის დაღწევაში.	მოსწავლე **გვერდს უვლის „ფრთების“ ანალოგიას**, ან მისი პასუხი ძალიან ბუნდოვანია და არ უპასუხებს დასმულ კითხვას.

3. მსჯელობის ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება	ნაშრომში მკაფიოდ ჩანს მოსწავლის **პოზიცია**. მსჯელობა მიმდინარეობს მიზეზშედეგობრივი კავშირების დაცვით. მოყვანილია დამარწმუნებელი არგუმენტები და გამოტანილია ლოგიკური დასკვნა.	პოზიცია გამოკვეთილია, თუმცა მსჯელობისას გვხვდება **ლოგიკური წყვეტა**. არგუმენტები ნაწილობრივ სუსტია ან მეორდება. დასკვნა ბუნდოვანია.	ტექსტი წარმოადგენს იგავის ან ლექსის შინაარსის **უბრალო პარაფრაზს**. არ ჩანს მოსწავლის აზრი და კრიტიკული ხედვა.
4. ენობრივ-სტილური გამართულობა	ნამუშევარი დაწერილია **მსჯელობითი ტექსტისთვის შესაფერისი სტილით**. აზრები გადმოცემულია თანმიმდევრულად, ლაკონიურად და გასაგებად. დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის ნორმები.	აზრი გასაგებია, თუმცა გვხვდება **სტილისტური ხარვეზები** (მაგ: ლექსიკური სიღარიბე, ერთგვაროვანი წინადადებები) და რამდენიმე ორთოგრაფიული, სინტაქსური და/ან პუნქტუაციური შეცდომა.	ტექსტი სტრუქტურულად **გაუმართავია**. აზრის გაგება ჭირს, დაშვებულია მრავალი მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა.

თუ გსურთ, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად მაღალ დონეს მიაღწიონ, დავალების ჩაბარებამდე მიაწოდეთ მათ **საკონტროლო კითხვები (ე.წ. ჩეკლისტი/Checklist)**, რათა თავად შეამოწმონ ნამუშევარი:

- ✓ დავუკავშირე თუ არა გურამიშვილის სიტყვები იგავის პერსონაჟ იხვს?
- ✓ ავხსენი თუ არა, რატომ არის იხვი თავისუფალი და მყვარი - შეზღუდული?
- ✓ დავწერე და დავასაბუთე თუ არა, რა არის ჩემი აზრით ადამიანის „ფრთები?“

2. იმსჯელეთ, რამდენად მართებულია შემდეგი მოსაზრება: „მყვარის უარი გუბის დატოვებაზე არის არა „სამკვიდროს“ ერთგულება, არამედ გაუაზრებელი სიჯიუტე, რომელიც დამღუპველია“. გაითვალისწინეთ, რომ გუბე დროებითია და არ არის „სამკვიდრო“, ანუ მუდმივი საცხოვრებელი. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

კომენტარი: მოცემული სადისკუსიო თემის ძირითადი მიზანია მოსწავლემ შეძლოს პერსონაჟის მოტივაციის კრიტიკული ანალიზი და გამიჯნოს ერთმანეთისგან **ფსევდო-პატრიოტიზმი (სიჯიუტე)** და **ნამდვილი პასუხისმგებლობა**. დავალება მეშვიდეკლასელს უბიძგებს ტექსტური რეალობის გააზრებისკენ: რადგან გუბე წვიმისგან გაჩენილი, დროებითი მოვლენაა, მასზე „სამკვიდროს“ იარლიყის მიწებება მყვარის მხრიდან არის არა თავდადება, არამედ საკუთარი ილუზიების ტყვეობა და ახალი რეალობის შიში. **დისკუსიის** დაწყებამდე სასურველია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს, დამაზუსტებელი კითხვების დასმით, ორი ცნება გაარჩევინოს: რა არის სამკვიდრო (ფესვები, მუდმივობა, სიცოცხლის წყარო) და რა არის დროებითი თავშესაფარი (შემთხვევითობა, ილუზია). საკითხი უკავშირდება სტერეოტიპების თემას. მყვარი მოქცეულია საკუთარი სტერეოტიპის ტყვეობაში, რაც მას უზღუდავს თვალსაწიერს და არ აძლევს საშუალებას, დაინახოს „დიდი წყლის“ (განვითარების, გადარჩენის) პერსპექტივა.

მსჯელობა შეიძლება წარიმართოს ორი მიმართულებით: 1. მოსწავლე, რომელიც ეთანხმება დებულებას, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ სიჯიუტე და გარემოსთან ბრძად შეგუება დამღუპველია. ის გამოკვეთს, რომ იხვი მყვარს განადგურებისგან (გუბის დაშრობისგან) იცავდა, მყვარმა კი შესაძლებლობა ვერ დაინახა. **2. ალტერნატიული ხედვა (თუ ასეთი გაჩნდა):** ზოგიერთმა მოსწავლემ შესაძლოა სცადოს მყვარის გამართლება და მისი ქცევა მიაწეროს „მშობლიური გარემოს“ სიყვარულს. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს ასეთი კრიტიკული ხედვაც, თუმცა მოსთხოვოს კონტექსტის გათვალისწინება (გუბის გარდაუვალი დაშრობა).

შეფასებისას განმავითარებელ კომენტარში სასურველია მასწავლებელმა გამოკვეთოს შესაბამისი ინდიკატორები:

- ✓ **ტექსტის სიღრმისეული გაგება:** რამდენად ითვალისწინებს მოსწავლე იმ ფაქტს, რომ გუბე წვიმამ გააჩინა და ის მალე დაშრება?
- ✓ **არგუმენტაციის ლოგიკა:** რამდენად მკაფიოდ ასაბუთებს, რატომ არის მყვარის ქცევა „გაუაზრებელი სიჯიუტე“ და არა გმირული თავდადება.
- ✓ **ცნებების (სამკვიდრო და დროებითი თავშესაფარი) გააზრება:** როგორ იყენებს მოსწავლე ამ ტერმინებს თავის მსჯელობაში.

დისკუსიის დაწყებამდე მასწავლებელს შეუძლია კლასში მოაწყოს მოკლე, 5-წუთიანი **„აზრთა ჭიდილი“/წინასწარი, მოსამზადებელი დებატები**. კლასი დაყავით ორ ნაწილად: „მყვარის ადვოკატები“ (რომლებიც ამტკიცებენ, რომ მყვარის არჩევანი მშობლიური გარემოს ერთგულებაა) და „იხვის მომხრეები“ (რომლებიც ამტკიცებენ, რომ მყვარის გაუაზრებელ სიჯიუტეს იხვის გონივრული არჩევანი ჯობნის). ეს აქტივობა მოსწავლეებს დაეხმარება, დისკუსიის დროს უფრო მყარი და მრავალმხრივი არგუმენტები მოიყვანონ.

<u>სულხან-საბა ორბელიანის იგავი „უგუნური მცურავი“</u>

საათების სავარაუდო რაოდენობა: 1 აკადემიური საათი

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები:
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>მხატვრული ტექსტი</u> **- იგავ-არაკი** <u>შინაარსობრივი მხარე</u> - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; <u>ენა</u> - თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. **2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“** <u>კონტექსტური ფაქტორები</u> <u>ისტორიული და სოციალურ-კულტურული</u> - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

მოსალოდნელი შედეგები:
• მოსწავლეს შეუძლია: • კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება; • ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები:

- როგორ გესმით სიტყვა **„დინება“** (მაგალითად, მდინარის დინება)? რას ნიშნავს, როდესაც ადამიანზე ამბობენ: „დინებას მიჰყვებაო“?
- წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც წყალში იძირება. საკმარისია თუ არა მხოლოდ შველის თხოვნა და ყვირილი გადასარჩენად? კიდევ რა არის აუცილებელი?
- რას ნიშნავს სიტყვა **„უგუნური“**? რით განსხვავდება უგუნური ადამიანი უბრალოდ უცოდინარი ადამიანისგან?
- როგორ გესმით ცნობილი ანდაზა: **„ხელი გაანძრიე და გეშველებაო“**?
- თქვენი აზრით, როდესაც ადამიანს რაიმე უჭირს (მაგალითად, გაკვეთილი აქვს სასწავლი ან რთული დავალება აქვს შესასრულებელი), მართებულია თუ არა, რომ მხოლოდ სასწაულის ან სხვისი დახმარების იმედად იყოს?
- როგორ ფიქრობთ, რა უფრო უფასდება ადამიანს - პრობლემის წინაშე უმოქმედოდ გაჩერება და დახმარების ლოდინი თუ ბრძოლა და გამოსავლის ძიება?

რეკომენდაცია:

სანამ უშუალოდ ამ 2-წინადადებიან იგავს წაიკითხავთ კლასში, შეგიძლიათ დაფაზე დაწეროთ მხოლოდ პირველი პერსონაჟის სიტყვები: „ღმერთო, მიშველე!“ და ჰკითხოთ კლასს: „თქვენ რომ წყალში ჩავარდნილი ადამიანის მეგობარი ყოფილიყავით, რას უპასუხებდით?“ მას შემდეგ, რაც ბავშვები თავიანთ ვერსიებს იტყვიან, წაუკითხეთ საბასეული ფინალი. ეს გააღვივებს მოსწავლეთა ინტერესს და მკვეთრად აამაღლებს მათ ჩართულობას იგავის იდეის ამოხსნის პროცესში.

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“:</u>

1. რატომ უწოდებს ავტორი მცურავს „უგუნურს“? განა ვინმესთვის დახმარების თხოვნა უგუნურებაა?

კომენტარი: ავტორი მცურავს „უგუნურს“ იმიტომ უწოდებს, რომ ის სრულიად პასიურია, თავად არაფერს აკეთებს გადასარჩენად და დახმარების მოლოდინში საკუთარ პასუხისმგებლობას მთლიანად ღმერთს აკისრებს. დახმარების თხოვნა უგუნურება არ არის, თუმცა უგუნურებაა, როდესაც ადამიანს თავად აქვს მოქმედების უნარი (ხელის გაქნევა შეუძლია), მაგრამ ძალისხმევას არ იჩენს და მხოლოდ სასწაულის იმედად რჩება. იგავის მთავარი სათქმელიც სწორედ ესაა: ადამიანმა ჯერ თავად უნდა გაანძრიოს ხელი, რომ ღვთისა ან სხვისგან დახმარება დაიმსახუროს.

2. თქვენი აზრით, რას ელოდა მცურავი, როდესაც შველას ითხოვდა, თავად კი არაფერს აკეთებდა?

კომენტარი: მცურავი ელოდა სასწაულებრივ გადარჩენას ან გარეშე ძალისგან დახმარებას, რომელიც მას წყლიდან ძალისხმევის გარეშე ამოიყვანდა. მას სჯეროდა, რომ მხოლოდ სიტყვიერი ვედრება საკმარისი იყო პრობლემის მოსაგვარებლად, რის გამოც საკუთარი პასუხისმგებლობა სრულად უგულებელყო.

3. როგორ გესმით ამხანაგის რჩევა: „ხელი გაიქნიე“?

კომენტარი: ამხანაგის რჩევა ნიშნავს საკუთარი ძალისხმევის ამოქმედებას, აქტიურ ბრძოლასა და შრომას პრობლემის დასაძლევად. ეს ფრაზა გვასწავლის, რომ ცხოვრებისეული „დინებიდან“ თავის დასაღწევად ადამიანმა უპირველესად პირადი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს და თავად გადადგას რეალური ნაბიჯები, ნაცვლად პასიური ლოდინისა.

4. თქვენი აზრით, რა არის ამ იგავ-არაკის მთავარი სათქმელი (მორალი)?

კომენტარი: ამ იგავ-არაკის მთავარი სათქმელი არის ის, რომ ადამიანმა პირადი პრობლემების გადასაჭრელად უპირველესად თავად უნდა იშრომოს და იბრძოლოს, არ დააკლოს მცდელობა, ნაცვლად ლოდინისა. მორალი საუკეთესოდ გამოიხატება ხალხური სიბრძნით: „ხელი გაანძრიე და გეშველებაო“ - ღვთისა თუ ადამიანების დახმარებას მხოლოდ ის იმსახურებს, ვინც თავად იჩენს ძალისხმევას და პასუხისმგებლობას არ გაურბის.

5. მწერლის თქმით, მცურავი „უგუნურია“. იზიარებთ თუ არა მის შეფასებას? რატომ?

კომენტარი: ავტორისეული შეფასება ნამდვილად ადეკვატურია. მცურავი „უგუნურია“, რადგან მისი ქცევა მოკლებულია საღ აზრსა და ელემენტარულ ლოგიკას. უგუნურება აქ ვლინდება ორ ძირითად მომენტში: 1. ილუზია ძალისხმევის გარეშე: მას ჰგონია, რომ მხოლოდ უფლის ვედრებითა და უქმი მოლოდინით შეძლებს რეალური, ფიზიკური საფრთხისგან თავის დაღწევას, მაშინ როცა გადარჩენის შესაძლებლობა თავადვე აქვს. 2. პასუხისმგებლობის სხვისკენ გადატანა: მას არ ესმის რწმენის არსი - ღმერთს სთხოვს იმის გაკეთებას, რაც თავადვე შეუძლია. სულხან-საბა ამ მკაცრი შეფასებით გვაჩვენებს, რომ

საკუთარი უმოქმედობის ღვთის იმედით ჩანაცვლება არის არა სიბრძნე ან რწმენა, არამედ სიზარმაცე და უკიდურესი უგუნურება.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“:</u>

იგავში ორი ტიპის ადამიანური ხასიათია ნაჩვენები: ერთი, რომელიც მხოლოდ სხვისი დახმარების იმედზეა, და მეორე, რომელიც გამოსავალს აქტიურობაში ხედავს. თქვენი აზრით, რატომ მიიჩნევს მეგობარი, რომ „ხელის გაქნევა“ (მოქმედება) გადარჩენის აუცილებელი პირობაა?

კომენტარი: მეგობარი მიიჩნევს, რომ „ხელის გაქნევა“ გადარჩენის აუცილებელი პირობაა, რადგან მხოლოდ აქტიურ მოქმედებასა და საკუთარ ძალისხმევას მოაქვს რეალური შედეგი. მას ესმის, რომ უმოქმედო ლოდინი დამღუპველია და გარეშე - თუნდაც ღვთიური - ძალის დახმარება მხოლოდ მას ეკუთვნის, ვინც თავად გადადგამს პირველ ნაბიჯს და იბრძოლებს საკუთარი თავის გადასარჩენად.

• ავტორი პერსონაჟს „მცურავს“ უწოდებს, რაც შეიძლება მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ მან ცურვა იცის. რა შეცვალა კრიტიკულმა ვითარებამ?

კომენტარი: კრიტიკულმა ვითარებამ შეცვალა პერსონაჟის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ის შიშმა, პასიურობამ ან უგუნურებამ პარალიზებული გახადა**.** მან დაკარგა საკუთარი ძალების რწმენა და რეალური მოქმედების (ცურვის) ნაცვლად, მთელი ენერგია უმოქმედო ვედრებასა და სასწაულის მოლოდინზე გადაიტანა, რითაც საკუთარი უნარები გამოუსადეგარი გახადა.

• „ნაშველები იქნები“, - ასე ეუბნება მეგობარი მდინარის მიერ წაღებულ კაცს. იგი არ ჰპირდება, რომ თავად გადაარჩენს. როგორ ფიქრობთ, რატომ არ უწვდის მეგობარი ხელს მცურავს? რატომ მოუწოდებს მას, რომ თვითონვე გადაირჩინოს თავი, გაცუროს ნაპირისკენ?

კომენტარი: მეგობარი მცურავს ხელს იმიტომ არ უწვდის, რომ საკუთარი ძალისხმევის გარეშე სხვისი დახმარება უშედეგოა - ადამიანმა გადარჩენის პირველი ნაბიჯი თავადვე უნდა გადადგას. მეგობარს ესმის, რომ, თუ მდინარისგან გატაცებული კაცი თავადვე არ ამოძრავდა („ხელი არ გაიქნია“), მისი წყლის ტალღებიდან ამოთრევა ფიზიკურად შეუძლებელი იქნება. ის მოუწოდებს მას დამოუკიდებელი მოქმედებისკენ, სიმხნევისკენ, საკუთარი ძალების რწმენისკენ, რათა მცურავმა გადარჩენა შეძლოს.

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“:</u>

1. წარმოიდგინეთ, რომ წერთ იგავის გაგრძელებას. თქვენი აზრით, დაუჯერებდა თუ არა მცურავი მეგობრის რჩევას, როგორ დასრულდებოდა ეს ამბავი? თქვენი პასუხი ახსენით.

რეკომენდაცია: მოცემული დავალება მიეკუთვნება ტრანსფერის ფაზას, როცა მოსწავლეებმა მიღებული ცოდნა ახალ, შემოქმედებით კონტექსტში უნდა გადაიტანონ. დავალების მთავარი მიზანია მოსწავლემ აჩვენოს, თუ რამდენად ღრმად გაიგო პერსონაჟის ხასიათი. მნიშვნელოვანია არა ის, თუ რომელი ფინალით დაასრულებს

მოსწავლე ამბავს, არამედ ის, თუ რამდენად ლოგიკურად დაასაბუთებს თავის არჩევანს. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს ორივე სავარაუდო მიდგომა, თუკი ისინი დასაბუთებული იქნება:

ოპტიმისტური სცენარი (მცურავმა დაუჯერა მეგობარს):

- **არგუმენტაცია:** მეგობრის სხარტმა და გამამხნევებელმა სიტყვებმა („ხელი გაიქნიე“) მცურავი შოკური მდგომარეობიდან გამოიყვანა და შიში დააძლევინა. მას გაახსენდა, რომ ცურვა იცის, გამოიყენა ეს ცოდნა და ნაპირზე გამოვიდა.
- **რეზიუმე/დასკვნა:** მცურავმა გააცნობიერა, რომ ღმერთი მას საკუთარი შრომის გარეშე არ უშველიდა და მადლობა გადაუხადა მეგობარს ჭკუის სასწავლებელი რჩევისთვის.

პესიმისტური სცენარი (მცურავმა არ დაუჯერა მეგობარს):

- **არგუმენტაცია:** ვინაიდან ავტორი მას თავიდანვე „უგუნურს“ უწოდებს, მისი ხასიათი ასე მარტივად არ შეიცვლებოდა. მან სიჯიუტე და პასიურობა ბოლომდე შეინარჩუნა, გააგრძელა ყვირილი და წყალმა უფრო ღრმად ჩაითრია.
- **რეზიუმე/დასკვნა:** ეს ვარიანტი უფრო ახლოსაა კლასიკური იგავის ჟანრთან, სადაც უგუნურება და უმოქმედობა ფატალური, სავალალო შედეგით სრულდება, რაც მკითხველისთვის მკაცრი გაკვეთილია.

შეფასებისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ მიმართულებებს:

- **პერსონაჟის ხასიათის თანმიმდევრულობა:** რამდენად ებმის მოსწავლის მიერ მოფიქრებული გაგრძელება სულხან-საბასეულ ორიგინალს? (მაგალითად, თუ უგუნური მცურავი უცებ მფრინავ გმირად იქცევა, ეს ლოგიკას მოკლებულია).
- **მორალური აქცენტის შენარჩუნება:** ინარჩუნებს თუ არა მოსწავლის მიერ დაწერილი ფინალი იგავის ძირითად სათქმელს (შრომისა და პასუხისმგებლობის აუცილებლობას)?
- **შემოქმედებითი ორიგინალურობა:** რამდენად საინტერესოდ, მხატვრულად და ემოციურად არის აღწერილი გადარჩენის ან მარცხის პროცესი

2. „გააცოცხლეთ“ იგავ-არაკი დღევანდელ რეალობაში ისე, რომ დედააზრი არ შეცვალოთ: ფანტაზიის გამოყენებით შექმენით წარმოსახვითი პერსონაჟი, რომელსაც უგუნური მცურავის მსგავსი შეცდომა მოსდის - სასწაულს ან სხვის დახმარებას ელოდება მაშინ, როცა წარმატების მისაღწევად აქტიურობა და შრომაა საჭირო. აღწერეთ სიტუაცია, რომელშიც თქვენი გმირი იმყოფება (მაგალითად, გამოცდის, კონცერტის, შემაჯამებელი წერის, სპორტული შეჯიბრების წინ) და მისი უმოქმედობა. მოიფიქრეთ, ვინ იქნება გონიერი მრჩეველი (მაგ.: მეგობარი, მშობელი, მასწავლებელი, მწვრთნელი), რას დაარიგებს იგი თქვენს გმირს, რით დასრულდება ამბავი. წერისას გამოკვეთეთ ამბის სამი ნაწილი: დასაწყისი, ძირითადი ნაწილი, დასასრული.

<u>დავალების შეფასების სქემა:</u>

კრიტერიუმები	აღწერილობა	მაქსიმალური ქულა
1. იგავის დედააზრის (მორალის) ტრანსფერი და შენარჩუნება	• **3 ქულა:** მოსწავლემ შესანიშნავად გადმოიტანა იგავის მორალი თანამედროვე რეალობაში. მკაფიოდ ჩანს მთავარი სათქმელი: წარმატება/გადარჩენა მხოლოდ პირადი შრომისა და აქტიურობის შედეგია და არა სასწაულის ან სხვისი დახმარების მოლოდინისა. • **2 ქულა:** იგავის დედააზრი შენარჩუნებულია, თუმცა თანამედროვე სიტუაციაში მისი კავშირი ნაწილობრივ ბუნდოვანია. მსჯელობა აქტიურობისა და პასიურობის ჭიდილზე ზედაპირულია. • **1 ქულა:** ნამუშევარში დაკარგულია იგავის პირვანდელი დედააზრი. დაწერილი ამბავი არ ატარებს სულხან-საბასეულ მორალს პასუხისმგებლობასა და შრომაზე. • **0 ქულა**: იგავის მორალი მთლიანად არაადეკვატურად არის გაგებული.	**3**
2. პერსონაჟთა სახეები: „უგუნური გმირი“ და „გონიერი მრჩეველი“	• **2 ქულა:** შექმნილია ორი ორიგინალური პერსონაჟი. მთავარი გმირი ლოგიკურად უშვებს „მცურავის მსგავს“ შეცდომას (ელოდება მზა დახმარებას), ხოლო მრჩევლის (მშობელი, მასწავლებელი, მწვრთნელი) დარიგება არის სხარტი, მართებული და დამაჯერებელი. • **1 ქულა:** პერსონაჟთა სახეები იქმნება, თუმცა მათი ხასიათები ან მოტივაცია ბუნდოვანია. მრჩევლის როლი ან მისი დარიგება სუსტად არის გამოკვეთილი. • **0 ქულა:** პერსონაჟები არ შეესაბამებიან დავალების პირობას ან საერთოდ არ ფიგურირებენ ტექსტში.	**2**
3. სიტუაციის აღწერა და ამბის განვითარება	**2 ქულა:** შერჩეული სიტუაცია (გამოცდა, შეჯიბრება, კონცერტი) აღწერილია საინტერესოდ, დინამიკურად და რეალისტურად. მკაფიოდ არის ნაჩვენები პერსონაჟის უმოქმედობის პროცესი და ამბის ლოგიკური, ჭკუის სასწავლებელი ფინალი. **1 ქულა:** სიტუაცია გამოკვეთილია, თუმცა ტექსტი მშრალია და აკლია მხატვრული დეტალები. ამბის ფინალი ნაჩქარევია ან ლოგიკურად არ უკავშირდება პერსონაჟის ქცევას. **0 ქულა:** სიტუაციის აღწერა თითქმის არ არის მოცემული. ამბავი ძალიან მოკლეა და არ ასახავს	**2**

	დავალების პირობაში მითითებულ კრიტიკულ მომენტს.	
4. ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურა	**1 ქულა:** ტექსტი სტრუქტურულად სრულყოფილია. მკაფიოდ და აბზაცებით გამოიყოფა სამივე სავალდებულო ნაწილი: **დასაწყისი** (სიტუაციისა და გმირის გაცნობა), **ძირითადი ნაწილი** (კრიზისი, მრჩევლის გამოჩენა) და **დასასრული** (შედეგი და ფინალი). **0 ქულა:** ტექსტი წარმოადგენს ერთიან, დაუნაწევრებელ მასალას, არ არის დაყოფილი აბზაცებად, ან რომელიმე კომპოზიციური ნაწილი საერთოდ გამოტოვებულია.	**1**
5. ენობრივ-სტილური გამართულობა	**1 ქულა:** ნამუშევარი დაწერილია მსჯელობით-თხრობითი ტექსტისთვის შესაფერისი, მდიდარი ლექსიკით. აზრები გადმოცემულია თანმიმდევრულად, ლოგიკურად და გასაგებად. შერჩეულია დახვეწილი, გამართული სტილი. **0 ქულა:** ტექსტი სტილისტურად გაუმართავია, აზრები მეორდება ან აზრის გაგება ჭირს არათანმიმდევრული თხრობის გამო.	**1**
6. მართლწერა და პუნქტუაცია	**1 ქულა:** ტექსტში მინიმალურადაა დაშვებული ორთოგრაფიული, გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომები (არაუმეტეს 2-3 უმნიშვნელო ხარვეზისა). **0 ქულა:** დაშვებულია მრავალი მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა, რაც ტექსტის გაგებას ართულებს.	**1**

3. **როლური თამაში:** გაინაწილეთ როლები, ერთი მოსწავლე სასოწარკვეთილი „მცურავი“ იყოს, რომელიც მხოლოდ დახმარებას ითხოვს, მეორე კი - გონიერი მეგობარი. „მცურავმა“ უნდა ახსნას, რატომ ელოდება ღმერთისგან დახმარებას და არ იყენებს თავის შესაძლებლობას, ხოლო ამხანაგმა - რატომ არის მოქმედება აუცილებელი.

მასწავლებლის რეკომენდაცია (შესაძლო ვარიანტი): მოცემული როლური თამაში გაძლევთ შესაძლებლობას, სულხან-საბას იგავის პერსონაჟები საკლასო ოთახში გააცოცხლოთ. თქვენი მიზანია, თამაშის დროს აჩვენოთ არა უბრალოდ ემოციები, არამედ მყარი ლოგიკა. იმისათვის, რომ თქვენი გამოსვლა წარმატებული და საინტერესო იყოს, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები როლების მიხედვით:

რეკომენდაციები „მცურავის“ როლის შემსრულებლისთვის:

- ნუ იქნები უბრალოდ შეშინებული: შენი მთავარი ამოცანაა, დაასაბუთო შენი პასიურობა. შენი არგუმენტები უნდა ეყრდნობოდეს რწმენას, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა და, თუ მას გულწრფელად სთხოვ, სასწაულს მოახდენს.

- გამოიყენე ფრაზები: „მე რომ ხელი გავაქნიო, ეს ნიშნავს, რომ ღვთის ძალაში ეჭვი მეპარება...“, „ღმერთმა გამომიგზავნა ეს განსაცდელი და მანვე უნდა მიხსნას...“, „შიშით პარალიზებული ვარ და ერთადერთი იმედი ლოცვაა...“
- ემოციური ფონი: აჩვენე სასოწარკვეთა, მაგრამ, ამავე დროს - რწმენა იმისა, რომ შენი მოქმედება საჭირო არ არის.

რეკომენდაციები „გონიერი მეგობრის“ როლის შემსრულებლისთვის:

- იყავი მტკიცე და შენი სიტყვა იყოს ლოგიკური: შენ არ უნდა ეჩხუბო მეგობარს, არამედ უნდა სცადო მისი გამოფხიზლება. შენი მიზანია აუხსნა მას, რომ ღმერთმა ადამიანს სიცოცხლის გადასარჩენად უკვე მისცა გონება, ძალა და უნარები (ამ შემთხვევაში - ცურვის ცოდნა) და ამ რესურსის არგამოყენებაა სწორედ უგუნურება და დანაშაული.
- გამოიყენე ფრაზები: „ღმერთი მათ ეხმარება, ვინც თავად შრომობს...“, „ხელების გაქნევა შენი მოვალეობაა, ნაპირზე გასვლა კი - შველა და ხსნა...“, „შენი პასიურობა რწმენა კი არა, სიზარმაცე და პასუხისმგებლობისგან გაქცევაა...“
- მთავარი აქცენტი: დაანახვე მცურავს, რომ შენ გვერდიდან ხელს იმიტომ არ უწვდი, რომ მას თავად აქვს გადარჩენის ძალა და შენი დახმარება უშედეგო იქნება, თუ თვითონაც არ ამოძრავდა.

საერთო რჩევები წყვილებისთვის:

- მოუსმინეთ ერთმანეთს: ეს არ არის წინასწარ დასწავლილი ტექსტის წარმოთქმა. ეს არის დიალოგი. უპასუხეთ უშუალოდ იმ არგუმენტს, რომელსაც თქვენი მეწყვილე წამოაყენებს.
- დროის ლიმიტი: შეეცადეთ, თქვენი პაექრობა იყოს სხარტი და დინამიკური (მაქსიმუმ 2-3 წუთი). კარგად გადაანაწილეთ დრო, რომ ორივე პოზიცია თანაბრად გამოიკვეთოს.
- ფინალი: მოიფიქრეთ, რით დასრულდება თქვენი დიალოგი - დაუჯერებს მცურავი მეგობარს და დაიწყებს ხელების ქნევას თუ თავის აზრზე დარჩება?

<u>როლური თამაშის სცენარის ნიმუში:</u>

მცურავი ნიკა წყალშია, დინებას მიაქვს, ხელს არ აქნევს და მხოლოდ ყვირის. მისი მეგობარი ლაშა ნაპირზე დგას, ღელავს მეგობარზე, მაგრამ სიმშვიდეს ინარჩუნებს, მტკიცე ხმით ცდილობს მეგობრის გამოფხიზლებას.

ნიკა (მცურავი): (სასოწარკვეთილი ხმით, ხელები ცისკენ აქვს აპყრობილი) ღმერთო, მიშველე! ტალღები მფარავს, დინებას მივყავარ! უფალო, მხოლოდ შენი სასწაულის იმედი მაქვს, არ დამღუპო! ლაშა, მიყურე, როგორ ვიძირები! ილოცე ჩემთვის, იქნებ სასწაული მოხდეს!

ლაშა (მეგობარი): (ნაპირიდან ხელებს უქნევს) ნიკა, გონს მოეგე! ცას ნუ უყურებ, წყალს შეხედე! ხელები გაიქნიე, გაცურე ნაპირისკენ და ნაშველები იქნები!

ნიკა (მცურავი): რას მეუბნები, ლაშა?! ხელების ქნევა რას მიშველის? ვიღუპები! უფალი თუ გადამარჩენს! ის მოწყალეა და ტალღებს დააწყნარებს! ილოცე ჩემთვის!

ლაშა (მეგობარი): სისულელეს ამბობ, მეგობარო! ღმერთმა ცურვის ცოდნა და ძლიერი ხელები სწორედ ასეთი წუთებისთვის მოგცა! შენი ხელების ქნევაა ნამდვილი რწმენა, უფალი ძალას მოგცემს, თუკი არ დანებდები და იბრძოლებ! თუ ხელს არ გაანძრევ, ლოცვა ვერ გიშველის!

ნიკა (მცურავი): რას უდგახარ?! თუ ჩემი მეგობარი ხარ, ხელს რატომ არ მიწვდი? ჩქარა გადმოხტი, ამომათრიე!

ლაშა (მეგობარი): მე რომ ახლა გადმოვხტე და ამოგათრიო, შენ ვერასოდეს ისწავლი წყალში თავის გადარჩენას და დიდ ტალღებში ყოველთვის ჩაიძირები. ხელს არ გამოგიწვდი, იცოდე, რადგან ვიცი, ცურვა იცი! ძალა შენშია, გაანძრიე ხელი და გამოდი ნაპირზე, მე აქ გელოდები!

ფინალი: ნიკა წამით ჩუმდება, მეგობრის სიტყვებზე ფიქრდება, უცებ მზერას იცვლის, ძალას იკრებს და ხელების სწრაფი ქნევით იწყებს ნაპირისკენ ცურვას. გახარებული ლაშა ყვირის: მიდი, ნიკაააა! მჯეროდა, რომ გამოცურავდი, ასე არ ჯობია?

<u>რუბრიკა „დისკუსია“:</u>

მოაწყვეთ კლასში დისკუსია თემაზე: „პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე თუ გარემოებათა იმედი?“

ისაუბრეთ შეკითხვებზე დაყრდნობით და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

• არის თუ არა „მცურავის“ საქციელი სიზარმაცის გამოვლინება?

კომენტარი: დიახ, „მცურავის“ საქციელი შეიძლება მივიჩნიოთ სულიერი და ფიზიკური სიზარმაცის გამოვლინებად. იგი გადარჩენას ელოდება და რწმენის საფარქვეშ მალავს საკუთარ უმოქმედობას. ნაცვლად იმისა, რომ რეალური მოქმედება სცადოს (ხელი გაიქნიოს), მას ურჩევნია მთელი პასუხისმგებლობა ღმერთს ან მეგობარს გადააბაროს, რაც უდავოდ სიზარმაცის გამოვლინებაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დახრჩობის საფრთხე, სიკვდილის შიში ადამიანს იმდენად ზარავს, რომ ნაკლებად საფიქრებელია ამ დროს სიზარმაცემ სძლიოს, გადარჩენისთვის ადამიანი ყველაფერს ეცდება, რადგან სიკვდილი არავის უნდა, მაგრამ გავითვალისწინოთ და განვაზოგადოთ, რომ, რადგან იგავი ალეგორიული ნაწარმოებია და აქ იგულისხმება არა მხოლოდ წყალში დახრჩობის სცენა, არამედ ზოგადად ცხოვრების გზა, რომელსაც ადამიანი გადის, ვგულისხმობთ სხვადასხვანაირ ყოფით სიტუაციას, როცა ადამიანი არ ცდილობს შრომითა და ბრძოლით დაბრკოლების დაძლევას, არამედ სხვისი ხელის შემყურეა.

• რა არის უგუნურება - დახმარების თხოვნა თუ საკუთარი შესაძლებლობების გამოუყენებლობა?

კომენტარი: უგუნურება საკუთარი შესაძლებლობების გამოუყენებლობაა და არა დახმარების თხოვნა. ვინმესთვის დახმარების თხოვნა გონივრული ნაბიჯია, როდესაც ადამიანს საკუთარი ძალები მართლაც არ ჰყოფნის. თუმცა, უგუნურებაა, როდესაც ადამიანს თავად აქვს პრობლემის მოგვარების უნარი და რესურსი (ამ შემთხვევაში -

ხელების გაქნევა შეუძლია), მაგრამ მას არ იყენებს და პასიურად ელოდება, რომ მის გასაკეთებელ საქმეს სხვები გააკეთებენ ან სასწაული მოხდება და უფალი იხსნის.

• სად გადის ზღვარი გონივრულ იმედსა და ფუჭ მოლოდინს შორის?

კომენტარი: ზღვარი გონივრულ იმედსა და ფუჭ მოლოდინს შორის ადამიანის პირად აქტივობასა და რეალურ შრომაზე გადის. გონივრული იმედი აქვს მას, ვინც თავად მაქსიმალურად იხარჯება, „ხელს იქნევს“, აკეთებს ყველაფერს მიზნის მისაღწევად და პარალელურად იმედოვნებს საუკეთესო შედეგს ან გარეშე ძალის თანადგომას. ფუჭი მოლოდინია, როდესაც ადამიანი სრულიად პასიურია, თავად არაფერს აკეთებს და ბრმად ელოდება, რომ მისი პრობლემები თავისთავად, სასწაულებრივად ან სხვისი ძალისხმევით მოგვარდება.

• რამდენად შესაძლებელია გადარჩეს, წარმატებას მიაღწიოს მან, ვინც თავად არ ცდილობს გამოსავლის პოვნას და სხვების დახმარების იმედზეა?

კომენტარი: ასეთი ადამიანის გადარჩენა ან წარმატების მიღწევა საბოლოოდ შეუძლებელია. თუნდაც ერთჯერადად სხვისი დახმარებით ან შემთხვევით გადარჩეს, ეს არ იქნება მისი პირადი წარმატება. ადამიანი, რომელიც თავად არ ცდილობს გამოსავლის პოვნას, კარგავს დამოუკიდებლობას, ხდება სხვებზე მიჯაჭვული და უმწეო. რეალური წარმატება მხოლოდ საკუთარი ძალისხმევის, შრომისა და პასუხისმგებლობის შედეგად მიიღწევა, პასიურობას კი ყოველთვის კრახამდე და მარცხამდე მიჰყავს ადამიანი.

რეკომენდაცია: გაკვთილის დასასრულს მასწავლებელს სურვილისამებრ შეუძლია შექმნას გაკვეთილის შემაჯამებელი აქტივობა - „გასასვლელი ბარათი“, რომელშიც მოსწავლეები წერილობით გამოხატავენ თავიანთ საბოლოო აზრს ამ საკითხზე. შეგახსენებთ, რომ „გასასვლელი ბარათი“ (ე.წ. Exit Tickit) არის მოკლე, სწრაფი და ეფექტური განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი, რომელსაც მასწავლებლები გაკვეთილის ბოლოს იყენებენ. ამ აქტივობის მთავარი მიზანია იმავე დღეს ნასწავლი მასალის გააზრების შემოწმება და მოსწავლეთა უკუკავშირის მიღება, სანამ ისინი საკლასო ოთახს დატოვებენ.

<u>რუბრიკა „შეადარეთ“:</u>

გაიხსენეთ იგავ-არაკი „იხვი და მყვარი“. იმსჯელეთ, რა მსგავსებაა მყვარსა და უგუნურ მცურავს შორის: როგორია მათი არჩევანი, რაში ხედავენ ისინი გამოსავალს საფრთხის დროს, როგორ იქცევიან, რისი იმედი აქვთ, იყენებენ თუ არა თავიანთ შესაძლებლობებს.

რეკომენდაცია: მოცემული დავალების მიზანი და საგანმანათლებლო ღირებულება გახლავთ ის, რომ მოსწავლემ შეძლოს ორი ლიტერატურული ტექსტის პარალელური ანალიზი, საერთო მახასიათებლების პოვნა და განზოგადება. მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ როგორც მყვარი, ისე უგუნური მცურავი განასახიერებენ პასიურობას, სიჯიუტეს, საკუთარი რესურსების უგულებელყოფასა და ფუჭ მოლოდინს, რაც ორივე შემთხვევაში კრახით (ან დამღუპველი შედეგით) სრულდება.

ძირითადი აქცენტები და შესადარებელი მიმართულებები (რას უნდა ველოდოთ მოსწავლისგან):

მასწავლებელმა ნაშრომების შეფასებისას ყურადღება უნდა მიაქციოს, თუ როგორ შლის მოსწავლე პირობაში მოცემულ პუნქტებს:

არჩევანი და ქცევა საფრთხის დროს:

- **მყვარი:** ირჩევს ილუზორულ თავდადებას, უარს ამბობს „დიდ წყალზე“ გადასვლაზე და ჯიუტად რჩება დასაშრობად განწირულ გუბეში.
- **მცურავი:** ირჩევს ფიზიკურ უმოქმედობას, წყალს მიაქვს და რეალური მოქმედების ნაცვლად მხოლოდ ყვირის და შველას ითხოვს.
- **მსგავსება:** ორივე პერსონაჟი კრიტიკულ სიტუაციაში არის აბსოლუტურად პასიური, არაადეკვატური და არ დგამს რაციონალურ ნაბიჯს გადასარჩენად.

რისი იმედი აქვთ და რაში ხედავენ გამოსავალს:

- **მყვარი:** იმედი აქვს თავისი „მყარი სამკვიდროსი“ (გუბის) და საკუთარი მოჩვენებითი უძლეველობისა.
- **მცურავი:** იმედი აქვს სასწაულებრივი გადარჩენისა და პასუხისმგებლობას მთლიანად ღმერთს აკისრებს.
- **მსგავსება:** ორივეს ხედვა არის ილუზორული, ფუჭი და რეალობას მოკლებული.

საკუთარი შესაძლებლობების გამოუყენებლობა:

- **მყვარი:** ბაყაყია, შეუძლია ხმელეთზეც იხტუნოს, გადაადგილდეს და ახალი წყალსაცავი იპოვოს, თუმცა ამ უნარს არ იყენებს.
- **მცურავი:** ავტორი მას „მცურავს“ უწოდებს, რაც ნიშნავს, რომ ცურვა იცის, თუმცა ხელებს არ აქნევს.
- **მსგავსება:** ორივე პერსონაჟი სცოდავს საკუთარი ბუნებრივი ნიჭისა და შესაძლებლობების უგულებელყოფით, რაც სულხან-საბას მიერ შეფასებულია, როგორც უგუნურება.

რას უნდა მიაქციოს ყურადღება მასწავლებელმა შეფასებისას (ინდიკატორები):

- **ტექსტების ცოდნა და ინტეგრაცია:** რამდენად კარგად ახსოვს მოსწავლეს წინა იგავის („იხვი და მყვარი“) დეტალები და რამდენად ოსტატურად აკავშირებს მათ ახალ ტექსტთან.
- **შედარების სტრუქტურა:** იყენებს თუ არა მოსწავლე შედარების ორგანიზებულ ფორმას (მაგალითად, მსჯელობს პარალელურად თითოეულ კრიტერიუმზე: ქცევა, იმედი, შესაძლებლობები) თუ უბრალოდ ცალ-ცალკე ახასიათებს მათ.
- **ზოგადი დასკვნა:** ახერხებს თუ არა მოსწავლე ფინალში იმ მთავარი იდეის გამოტანას, რომ სულხან-საბა ორივე პერსონაჟის მაგალითზე გმობს ადამიანის სიზარმაცეს, სიჯიუტესა და საკუთარ შესაძლებლობაზე უარის თქმას.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“:</u>

დაწერეთ თხზულება „წარმატების მთავარი გასაღები“, რომელშიც იმსჯელებთ, რას ნიშნავს წარმატება თქვენთვის და რა არის საჭირო მის მისაღწევად. თქვენი მოსაზრებების

დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითები სულხან-საბას იგავებიდან, სხვა თქვენთვის ცნობილი ნაწარმოებებიდან. შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები რეალური ცხოვრებიდანაც. წერისას გამოკვეთეთ სამი ნაწილი - შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

<u>წერითი დავალების შეფასების რუბრიკა:</u>

კრიტერიუმები	აღწერილობა	მაქსიმალური ქულა
1. დავალების პირობის ადეკვატური გაგება-გააზრება	• **2 ქულა:** მოსწავლეს კარგად ესმის თემის არსი. ნაშრომში მკაფიოდ და ორიგინალურად არის ჩამოყალიბებული, თუ რას ნიშნავს პიროვნულად მისთვის „წარმატება“ და რა მიაჩნია მის მთავარ გასაღებად. • **1 ქულა:** თემა გააზრებულია, თუმცა მსჯელობა არის ზედაპირული, შაბლონური ან ბუნდოვანია მოსწავლის პირადი ხედვა წარმატების ფენომენზე. • **0 ქულა:** მოსწავლე ვერ იგებს თემის არსს ან საერთოდ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას.	**2**
2. არგუმენტაცია და ლიტერატურული კონტექსტის გამოყენება	• **3 ქულა:** მოსწავლე საკუთარ აზრს აყალიბებს მყარი არგუმენტებით. **ზუსტად და ადეკვატურად იმოწმებს სულხან-საბას იგავებს** („უგუნური მცურავი“, „იხვი და მყვარი“ ან სხვ.) და პარალელს ავლებს სხვა ნაწარმოებებთან ან რეალურ ცხოვრებასთან. • **2 ქულა:** არგუმენტები მოყვანილია, თუმცა ლიტერატურული მაგალითები ზედაპირულია ან ნაწილობრივ არაზუსტად არის დაკავშირებული წარმატების/შრომის თემასთან. • **1 ქულა:** ნაშრომში მოყვანილია მხოლოდ ერთი მაგალითი (ლიტერატურიდან ან ცხოვრებიდან), მსჯელობას აკლია დამაჯერებლობა და ანალიზი. • **0 ქულა:** მსჯელობა მიმდინარეობს ყოველგვარი მაგალითებისა და არგუმენტების გარეშე.	**3**
3. ნაშრომის აგება	• **2 ქულა:** თხზულება სტრუქტურულად სრულყოფილია. მკაფიოდ გამოიყოფა და აბზაცებადაა დაყოფილი სამივე სავალდებულო ნაწილი: **შესავალი** (თემის აქტუალობა და თეზისი), **ძირითადი ნაწილი** (არგუმენტები და მაგ.:) და **დასკვნა** (შემაჯამებელი აზრი). • **1 ქულა:** ტექსტში ჩანს სტრუქტურის შექმნის მცდელობა, თუმცა ნაწილებს შორის გადასვლა ლოგიკური არ არის, ან რომელიმე ნაწილი (მაგ. შესავალი ან დასკვნა) უკიდურესად სუსტი და დაუსრულებელია.	**2**

	• **0 ქულა:** ტექსტი წარმოადგენს ერთიან, დაუნაწევრებელ მასალას, არ არის დაყოფილი აბზაცებად.	
4. ენობრივ-სტილური გამართულობა	• **2 ქულა:** მოსწავლის ლექსიკა არის მდიდარი და მრავალფეროვანი. აზრები გადმოცემულია ნათლად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად. • **1 ქულა:** აზრი გასაგებია, თუმცა ტექსტში გვხვდება სტილისტური ხარვეზები, სიტყვების ხშირი გამეორება (ტავტოლოგია) ან წინადადებების გაუმართავი კონსტრუქციები. • **0 ქულა:** თხზულება სტილისტურად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.	**2**
5. მართლწერა და პუნქტუაცია	• **1 ქულა:** ტექსტში დაცულია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ძირითადი ნორმები (დაშვებულია 2-3 უმნიშვნელო ხარვეზი, რომლებიც არ ცვლის ტექსტის შინაარსს). • **0 ქულა:** დაშვებულია მრავალი მოფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა.	**1**

<u>სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „მეფე და მხატვარი“</u>

<u>საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 აკადემიური საათი</u>

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები:
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>მხატვრული ტექსტი</u> - **იგავ-არაკი** <u>შინაარსობრივი მხარე</u> - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი (რეალური, წარმოსახვით-ფანტასტიკური); პერსონაჟი (მაგ.: მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება); დიალოგი და მისი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (მაგ.: ავტორის, პერსონაჟის); სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი, გარეგანი); ტონი, განწყობილება. <u>სტრუქტურა-აგებულება</u> - სათაური, აბზაცი; <u>ენა</u> - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: ეპითეტი, გაპიროვნება, ალეგორია, ირონია); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. ტექსტის სახეობა - თხრობითი ტექსტი.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი გამოცდილება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსწავლეს შეუძლია:
- კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება;
- ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით;
- სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით;
- ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.
- ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;
- ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
- მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;
- ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა;
- ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

- ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.

<u>ნაწარმოების შესახებ:</u>

იდეურ-მხატვრული მიმოხილვა: სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ ამბებს ჰყვებიან მეფე ფინეზის კარზე მყოფი ადამიანები. ხუთივე მთვარი პერსონაჟი (ფინეზი, სედრაქი, რუქა, ჯუმბერი და ლეონი) დაუვიწყარი სახეა, რადგან ავტორი დიდი ოსტატობით ძერწავს მათ პორტრეტებს. მათ სახეებში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორია ზოგადად ადამიანის ბუნება, რა ნაკლოვანებები და ღირსებები აქვთ მათ, როგორ უნდა შეხედოს ცხოვრების ავ-კარგს ადამიანმა, რა უნდა აირჩიოს, რა არის ზნეობრივი და რა - მიუღებელი. რეალურად მათი სახით ჩვენ ვუსმენთ ხუთ ბრძენს, „ფილოსოფოსს“, ისინი საკუთარი თავის შეცნობაში გვეხმარებიან.

იგავ-არაკს „მეფე და მხატვარი“ ჰყვება ლეონი, უფლისწულის აღმზრდელი, მეფის კარზე უფლის მიერ სასწაულის ნებით მოვლენილი, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული, რომ მეფესთან დაახლოებულ ადამიანს ბევრი საფრთხე ემუქრება, რადგან მას სხვა ადამიანები შეიძულებენ, მის მიმართ შური უკადრებელს აკადრებინებთ და სამეფო კარის ინტრიგებში გახვევენ. ლეონს არ სურს მემკვიდრის აღზრდის რთული მისიის შესრულება, რადგან მეფის განკარგულებაში ყოფნა და პასუხისმგებლობა ართმევს პიროვნულ თავისუფლებას. ის მარტოხელა მოგზაური, მწიგნობარი და მოაზროვნე იყო და პიროვნული თავისუფლება ძვირად უღირდა, მაგრამ, როცა მეფემ უთხრა, არა ჩემი, არამედ უფლის ნებით ხარ მოვლენილი ჩემი ერთადერთი ვაჟის აღმზრდელადო, დაემორჩილა ღვთის ნებას. ამ იგავით ლეონმა მსმენელებს გააგებინა, რომ მეფეს, აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მონარქს, აქვს განუზომელი ძალაუფლება და არავინ ჰყავს მაკონტროლებელი, ამიტომაც შეუძლია ისე მოექცეს ადამიანებს, როგორც თავად მოისურვებს, შეუძლია სამართალი გაამრუდოს და საკუთარ ნება-სურვილებს დაუმორჩილოს ყველა და ყველაფერი.

იგავის მთავარი აქცენტები სწორედ ამას ეხება: რა საფრთხე ემუქრება ხელოვანს, თავისუფალ ადამიანს უსამართლო მმართველობის/სისტემის პირობებში. ცალი თვალით ბრმა ლავდიკიის მეფე მხატვრის დასასჯელად მიზეზს ეძებდა და მას თავისი პორტრეტის შექმნა დაავალა. მხატვარი მიხვდა, რომ ეს დავალება საბედისწერო იყო მისთვის. თუკი მეფეს ცალთვალას დახატავდა, დაისჯებოდა თავხედობისთვის, ხოლო, თუკი მის ნაკლს არ გამოაჩენდა, დაისჯებოდა ფარისევლობისა და სიცრუისთვის. გამოუვალ სიტუაციაში გონიერმა შემოქმედმა ხერხს მიმართა: მეფე ირემზე ნადირობის პროცესში დახატა. ხელში თოფი მისცა და ბრმა თვალი დაუხუჭა. ეს სცენა ესთეტურად ლამაზი და მეფისთვის შესაფერისი იყო, ხოლო სადავოდ შარიან მეფეს ყველა გზა მოეჭრა და მხატვარი გადაურჩა ჩასაფრებული მონარქის რისხვას.

ცხოვრებიდან, წიგნებიდან თუ ფილმებიდან უამრავი მაგალითი ვიცით იმისა, თუ როგორ ახერხებდნენ გონიერი ადამიანები უსამართლო სისტემებში თავის გადარჩენას,

როგორ მიდიოდნენ გონივრულ კომპრომისზე ისე, რომ არც საკუთარი ღირსება შეელახათ და მოძალადესთან კონფლიქტიც თავიდან აეცილებინათ. ჩეხი მწერალი მილან კუნდერა წერდა, რომ საბჭოთა რეჟიმმა მწერლები აიძულა ალეგორიებითა და სხვა მრავალფეროვანი მხატვრული ხერხებით ისე შეფარვით, ოსტატურად გადმოეცათ თავიანთი სათქმელი, რომ მკითხველისთვისაც ნათელი ყოფილიყო ქვეტექსტები, ხოლო დიქტატორული რეჟიმი ვერ შესდავებოდა ხელოვანს. მსგავს სიტუაციაში იყვნენ ქართველი მწერლები მეცხრამეტე საუკუნეში მეფის რუსეთის იმპერიის ცენზურის პირობებში და მეოცე საუკუნეში უკვე საბჭოთა იმპერიის დროს, როცა თავისუფალი აზროვნება და თვითგამოხატვა აკრძალული იყო და ხელოვანი იძულებული იყო დამორჩილებოდა რეჟიმის ნებას.

მწერლის ენისა და სტილის შესახებ: სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „მეფე და მხატვარი“ მწერლის უმაღლესი ენობრივი ოსტატობისა და სხარტი სტილის ბრწყინვალე ნიმუშია. ავტორი მინიმალური სიტყვების რაოდენობით ახერხებს მაქსიმალური მხატვრული ეფექტის მიღწევას, რაც ძველი ქართული დიდაქტიკური მწერლობის უმთავრესი მახასიათებელია. ნაწარმოების ენა გამოირჩევა ლაკონიურობითა და დინამიკურობით. საბა არ კარგავს დროს გარემოსა თუ პერსონაჟთა გარეგნობის ვრცელ აღწერაზე. ის პირდაპირ მოქმედებაზე გადადის, რაც სიუჟეტს დაძაბულობას სძენს. მხატვრის შინაგანი მონოლოგი („აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისა...“) მკითხველს მყისიერად აგრძნობინებს სასიკვდილო საფრთხეს და პერსონაჟის ფსიქოლოგიურ დილემას. ავტორი ოსტატურად იყენებს კონტრასტს (ბრმა/ორთვალი) და ძველქართულ ფრაზეოლოგიას („მიზეზსა ეძებდა“, „მოიპოვა ესე ღონე“). მხატვრული ხერხებიდან უმთავრესია ალეგორია და თოფმომარჯვებული მეფის ირემზე ნადირობის სცენის მეტაფორა. სწორედ ამ კომპოზიციური შტრიხით საბა გვიჩვენებს, თუ როგორ ამარცხებს გონიერი ხელოვნება უზარმაზარ ძალაუფლებას. იგავის სტილი იარაღია, რომლითაც დიპლომატიაში გამოცდილი მწერალი სიმართლისა და დიპლომატიური ტაქტის უპირატესობას ამტკიცებს.

<u>წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები:</u>

- წარმოიდგინეთ, რომ მუშაობთ ისეთ ადამიანთან, რომელსაც ძალიან დიდი ძალაუფლება აქვს და, ამავდროულად, საგანგებოდ „მიზეზს ეძებს“ თქვენს დასასჯელად. როგორია ასეთ გარემოში მუშაობა? რა გრძნობა გეუფლებათ?
- თქვენი აზრით, რატომ ცდილობენ ხოლმე ძალაუფლების მქონე, ამპარტავანი ადამიანები სხვებში ნაკლის ან შეცდომის პოვნას?
- როგორ მოიქცევით იმ სიტუაციაში, როდესაც თქვენი ბედი დამოკიდებულია ძალაუფლების მქონე უსამართლო ადამიანზე, როგორ გადაირჩენთ თავს: ხისტად დაუპირისპირდებით თუ სხვა გზას აირჩევთ?
- როგორ გესმით გამოთქმა: „ჭკუამ მახვილს აჯობაო?” შეგხვედრიათ ცხოვრებაში, წიგნებში ან ფილმებში სიტუაცია, როცა ფიზიკურად (ან მდგომარეობით) სუსტმა ადამიანმა მხოლოდ გონების წყალობით აჯობა ძლიერ მოწინააღმდეგეს?

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“</u>

1. რატომ ეძებდა მეფე მხატვრის დასჯის მიზეზს? როგორ მეტყველებს ეს მის ხასიათზე?

კომენტარი: სავარაუდოდ, მეფეს სურდა თავისი ძალაუფლების დემონსტრირება და წინასწარ ქმნიდა ხაფანგს, რათა ხელოვანი უმწეო მდგომარეობაში ჩაეგდო. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ მეფე იყო ვერაგი, ბოროტი, კომპლექსებით სავსე და უსამართლო მმართველი. ნაცვლად იმისა, რომ დიდსულოვნება გამოეჩინა, ის ბოროტად იყენებდა აბსოლუტურ ძალაუფლებას და სიამოვნებას ჰგვრიდა სხვების შიშსა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება.

2. რა რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მხატვარი ?

კომენტარი: მხატვარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, გამოუვალი დილემის წინაშე აღმოჩნდა, რომელშიც ნებისმიერი აშკარა არჩევანი მის სიკვდილს ნიშნავდა: თუ მეფეს ბრმას დახატავდა (შიშველი სიმართლე), მეფე მას სიკვდილით დასჯიდა ნაკლის საჯაროდ ჩვენებისა და უპატივცემულობის გამო, ხოლო, თუ მეფეს ორთვალას დახატავდა (ლამაზი ტყუილი), მეფე მას მაინც მოკლავდა სიყალბის, პირფერობისა და პორტრეტის შეუსაბამობის გამო. ამგვარად, მხატვრის წინაშე იდგა ურთულესი პრობლემა - როგორ დაეხატა მეფის პორტრეტი ისე, რომ რეალობა არ დაემახინჯებინა და მეფის რისხვაც თავიდან აეცილებინა.

3. როგორ გადაირჩინა თავი მხატვარმა? მხატვრის რა თვისებაზე მეტყველებს მის მიერ მოძებნილი გამოსავალი?

კომენტარი: საზრიანმა მხატვარმა თავი ძალიან კარგი შემოქმედებითი ხერხითა და დიპლომატიური ტაქტით გადაირჩინა: მეფე ნადირობის პროცესში, ირემზე თოფმომარჯვებული დახატა. ამ დროს მეფეს მიზნში ამოსაღებად ბუნებრივად ჰქონდა ბრმა თვალი დახუჭული. ამ გზით მხატვარმა არც რეალობა დაამახინჯა და არც მეფის ნაკლი გამოაჩინა. მხატვრის მიერ მოძებნილი გამოსავალი მეტყველებს მის გამორჩეულ გონიერებაზე, საზრიანობაზე, კრიტიკულ აზროვნებასა და პროფესიულ ოსტატობაზე. მან დაამტკიცა, რომ ნამდვილი ხელოვანი მხოლოდ ფუნჯს კი არ ფლობს, არამედ აქვს უნარი, გამოსავალი ყველაზე უიმედო სიტუაციაშიც კი იპოვოს და გონების ძალით სძლიოს ბოროტებას.

4. რას გვასწავლის ეს იგავ-არაკი?

კომენტარი: ეს იგავ-არაკი რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ გაკვეთილს გვასწავლის:

- ✓ **გონიერებისა და საზრიანობის ძალას:** ნაწარმოები გვიჩვენებს, რომ ყველაზე კრიტიკული, უიმედო და სახიფათო სიტუაციიდანაც კი არსებობს გამოსავალი, თუ ადამიანი შიშს არ აჰყვება, გონებას დაძაბავს და შემოქმედებით მიდგომას („ღონეს“) მოიფიქრებს.
- ✓ **ტაქტისა და დიპლომატიის მნიშვნელობას:** საბა გვასწავლის, რომ სიმართლის თქმა ყოველთვის უხეში და პირდაპირი ფორმით არ არის გამართლებული. არსებობს მესამე გზა - დიპლომატიური ტაქტი, რომელიც

საშუალებას გვაძლევს არც ვიცრუოთ და, ამავე დროს, არც სხვისი განრისხება ან გულისტკენა გამოვიწვიოთ.

- ✓ **ხელოვნების უპირატესობას ტირანიაზე:** იგავი გვასწავლის, რომ გონებრივი და შემოქმედებითი ნიჭი ბევრად უფრო ძლიერი იარაღია, ვიდრე უსამართლო, ბრმა ძალაუფლება. ხელოვანმა თავისი ჭკუით სძლია ვერაგ მეფეს, რომელსაც მისი დასჯა წინასწარ ჰქონდა განზრახული.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“</u>

- „თქვა გულსა შინა მხატვარმან,“ - წერს სულხან-საბა. ეს პერსონაჟის ხმამაღალი ნათქვამია თუ ფიქრი?

კომენტარი: ფრაზა „გულსა შინა“ მიგვანიშნებს, რომ პერსონაჟი ფიქრობს, უჩუმრად, თავისთვის განსჯის, გამოსავალს ეძებს, საკუთარ თავს ესაუბრება. ეს პერსონაჟის შინაგანი მონოლოგია.

- მეფეს მხატვარი მაინც არ მოსწონს, მაგრამ „ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა“. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ შეძლო მეფემ მისი დასჯა?

კომენტარი: მართალია, უსამართლო მმართველები/ტირანები თავიანთ ძალაუფლებასა და ამორალურობაში შეუზღუდავები არიან და ნებისმიერი განაჩენის გამოტანა შეუძლიათ უდანაშაულო ადამიანებისთვის, მათ ზედამხედველი და მაკონტროლებელ-შემკავებებლი არავინ ჰყავთ, მაგრამ ხშირად ისინიც უფრთხილდებიან საკუთარ რეპუტაციას ხალხის თვალში. არ სურთ, რომ უსამართლო, დაუნდობელი, ვერაგი ადამიანის სახელი ჰქონდეთ, რადგან იციან, რომ ეს მათვე დააზიანებს, ხალხის რისხვა საშიშია. ამიტომ მოჩვენებითად მაინც ცდილობენ, რომ სამართლიანი ადამიანის ნიღაბს ამოეფარონ. მსგავს პრობლემას ეხება სულხან-საბა იგავში „უსამართლო შირვან-შაჰი“. როცა მრისხანე შაჰს მოხერხებულმა ვეზირმა ნართაულად (გადაკვრით) მიანიშნა, რომ ჭოტებიც კი შენს სისასტიკეზე საუბრობენო, მეფე შეწუხდა, დაფიქრდა და ზნე შეიცვალა.

<u>რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“</u>

- თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მწერალმა, რომ ეჩვენებინა არა მარტო პერსონაჟის სიტყვები და ქმედებები, არამედ ფიქრებიც?

კომენტარი: მწერალმა მხატვრის ფიქრების ჩვენება იმისათვის გადაწყვიტა, რომ მკითხველისთვის თვალსაჩინო გაეხადა პერსონაჟის შინაგანი კრიზისი და სასოწარკვეთა („აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო...“). მხატვრის ფიქრებში მკაფიოდ იკვეთება ის ერთი შეხედვით გადაულახავი დილემა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა. ეს ხერხი სიუჟეტს დაძაბულობას მატებს და გვეხმარება უფრო მეტად დავაფასოთ მისი შემდგომი მოქმედება: მკითხველი ხედავს, რომ გამოსავალი უცებ კი არ გაჩნდა, არამედ იყო დიდი შინაგანი დაძაბულობის, შიშის, ფიქრისა და გონებრივი შრომის შედეგი.

- თქვენი აზრით, რისთვის იყენებს მწერალი შეკითხვებს - მხატვრის განცდების წარმოსაჩენად თუ იმის ხაზგასასმელად, რომ ხატვა რთული საქმეა? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

კომენტარი: მწერალი ტექსტში კითხვით ფორმებს იყენებს მხატვრის მძაფრი განცდებისა და უიმედო ფსიქოლოგიური მდგომარეობის წარმოსაჩენად და არა იმის ხაზგასასმელად, რომ ხატვა, როგორც ტექნიკური პროცესი, რთული საქმეა. ტექსტში მხატვრის ფიქრი პირდაპირ იწყება სიტყვებით: „აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისა“. ამას მოსდევს კითხვითი ხასიათის მსჯელობა და დილემის გააზრება: „თუ

ბრმა დავხატო, მომკლავს, ვით მკადრეო, და თუცა ორთვალი, მომკლავს: ოდეს არს მსგავსი ჩემიო?“. აქედან ნათლად ჩანს, რომ მხატვარს აშინებს არა ხატვის ტექნიკური სირთულე (ის ხომ „ხელოვანი“, ანუ დიდი ოსტატია), არამედ საკუთარი ბედი. შეკითხვები ემსახურება იმის ჩვენებას, თუ როგორ განიცდის პერსონაჟი გამოუვალ მდგომარეობას, რომელშიც ნებისმიერი არჩევანი მის სიკვდილს გამოიწვევს. ეს კითხვები მკითხველში იწვევს ემპათიას, პერსონაჟის შიშისა და სასოწარკვეთის გათავისებაში გვეხმარება.

- თქვენი აზრით, რატომ ამახვილებს მწერალი ყურადღებას არა მხატვრის ოსტატობაზე (ხატვის პროცესზე), არამედ მის მოხერხებულობაზე („მოიგონა ესე ღონე“)? როგორ ეხმარება ეს მკითხველს მთავარი სათქმელის გააზრებაში? პასუხი ახსენით.

კომენტარი: მწერალი ყურადღებას მხატვრის მოხერხებულობაზე („მოიგონა ესე ღონე“) იმიტომ ამახვილებს, რომ იგავის კონფლიქტი არა პროფესიულ, არამედ ინტელექტუალურ და მორალურ ასპექტში ვითარდება. მხატვრის ნიჭიერება თავიდანვე მოცემულობაა, თუმცა ტირანიასთან დასაპირისპირებლად მხოლოდ ფუნჯის ფლობა საკმარისი არ აღმოჩნდა. ეს აქცენტი მკითხველს ეხმარება ნაწარმოების ორი მთავარი სათქმელის გააზრებაში: 1. ჭკუისა და გონიერების უპირატესობა ძალაზე: ავტორს სურს აჩვენოს, რომ კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალი ყოველთვის შემოქმედებით აზროვნებაში, საზრიანობასა და „ღონის“ ძიებაშია. მხოლოდ ხატვის პროცესის აღწერა იგავს დიდაქტიკურ, ჭკუის სასწავლებელ ფუნქციას დაუკარგავდა. 2. ტაქტისა და დიპლომატიის ფასი: ფრაზა „მოიგონა ესე ღონე“ წარმოაჩენს მესამე გზის არსებობას - როცა ადამიანს შეუძლია იპოვოს ისეთი გამოსავალი, რომ არც სიმართლეს უღალატოს და არც საფრთხეში ჩაიგდოს თავი. ამგვარად, აქცენტის გადატანით ხელოვნებაზე კი არა, მოხერხებულობაზე, სულხან-საბა მკითხველს ასწავლის, რომ გონება არის უმთავრესი იარაღი უსამართლო ძალაუფლების დასამარცხებლად.

- **თქვენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა თხრობის ტემპი, მწერალს რომ დაწვრილებით აღეწერა ხატვის პროცესი?**

კომენტარი: მწერალს დაწვრილებით რომ აღეწერა ხატვის პროცესი, თხრობის ტემპი მკვეთრად შენელდებოდა და ნაწარმოები დაკარგავდა თავის დინამიკურობასა და დრამატულ მუხტს. დეტალური აღწერები (მაგალითად, საღებავების მომზადება, ფუნჯის ყოველი მოსმა, ფერების შერჩევა) გამოიწვევდა შემდეგ ცვლილებებს: დაიკარგებოდა მოსალოდნელი საფრთხის განცდა. სიუჟეტი სწრაფად მიდის კულმინაციისკენ. ხატვის პროცესის გაჭიმვა გაფანტავდა იმ დაძაბულობას, რომელსაც მკითხველი პერსონაჟის შიშის გამო გრძნობს. აქცენტი გადავიდოდა მეორეხარისხოვან დეტალებზე: ნაწარმოების ჟანრი არის იგავ-არაკი, რომელშიც მთავარია მორალი და იდეა (ჭკუა, მოხერხებულობა) და არა - რეალობის დეტალური აღწერა. სულხან-საბამ შეგნებულად აირჩია სხარტი, ლაკონიური სტილი, რათა მკითხველის ყურადღება მთლიანად მიპყრობილი ყოფილიყო მთავარ კითხვაზე - რა ღონეს მოიფიქრებს მხატვარი თავის გადასარჩენად? ფრაზა: „დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა“ - ელვისებურად, ყოველგვარი შესავლის გარეშე გვაძლევს მოხდენილ პასუხს და ინარჩუნებს ტექსტის მაღალ ტემპს.

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“</u>

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. წარმოიდგინეთ, რომ იგავის პერსონაჟი მხატვარი ხართ. დაწერეთ „შინაგანი მონოლოგი“: რამდენიმე წინადადებით გადმოეცით, კიდევ რა ფიქრები შეიძლება გაგჩენოდათ იმ დროს, როცა მეფემ თავისი პორტრეტის დახატვა გიბრძანათ.

<u>მხატვრის „შინაგანი მონოლოგის“ შეფასების სქემა:</u>

კრიტერიუმი	აღწერილობა	მაქსიმალური ქულა
1. როლური პოზიციის დაცვა და ემპათია	• **3 ქულა:** მოსწავლე სრულად ახერხებს მხატვრის როლის მორგებას. ტექსტი დაწერილია პირველ პირში. ნაშრომში ძალიან კარგადაა გადმოცემული პერსონაჟის ემოციური მდგომარეობა (სასოწარკვეთა, შიში, პასუხისმგებლობა საკუთარ შემოქმედებაზე) და ტირანი მეფის წინაშე მდგარი ადამიანის განცდები. • **2 ქულა:** მოსწავლე ცდილობს როლის მორგებას, თუმცა ზოგჯერ არღვევს პირველი პირის პერსპექტივას, ან ტონი უფრო მეტად ჰგავს გარეშე დამკვირვებლის მსჯელობას, ვიდრე უშუალოდ სიკვდილის პირას მყოფი მხატვრის შინაგან ხმას. • **1 ქულა:** ტექსტი არ არის დაწერილი პერსონაჟის სახელით, ან ემოციური ფონი სრულიად ზედაპირულია და ვერ გადმოსცემს მხატვრის რეალურ მდგომარეობას.	**3**
2. იგავის კონტექსტისა და დილემის გააზრება	• **3 ქულა:** მონოლოგი ლოგიკურად ებმის იგავის სიუჟეტს. მოსწავლე ფანტაზიის გამოყენებით ქმნის პერსონაჟის ფიქრებს ძირითადი დილემის გარშემო (მაგ: ფიქრი ოჯახზე, ხელოვნების ძალაზე, იმაზე, თუ როგორ უსამართლოდ ექცევა მეფე; გამოსავლის ძიების ფსიქოლოგიური პროცესი). • **2 ქულა:** მონოლოგი ეყრდნობა ტექსტს, თუმცა ახალი ფიქრები დიდწილად იმეორებს სულხან-საბასეულ სიტყვებს და არ გვთავაზობს პერსონაჟის ხასიათის ახლებურ, შემოქმედებით განვითარებას. • **1 ქულა:** მსჯელობა სცდება იგავის კონტექსტს ან შემოთავაზებული ფიქრები შეუსაბამოა ნაწარმოების შინაარსთან.	**3**
3. ნაშრომის ორგანიზება	• **2 ქულა:** დაცულია დავალების მოთხოვნა - მონოლოგი შედგება რამდენიმე წინადადებისგან. აზრები გადმოცემულია თანმიმდევრულად, წყვეტილი ფიქრების სტილი (შინაგანი მონოლოგი) მხატვრულად გამართლებულია.	**2**

	• **1 ქულა:** ტექსტი ძალიან მოკლეა (1-2 წინადადება) ან პირიქით - დაუსაბუთებლად ვრცელი, რაც არღვევს შინაგანი მონოლოგის ფორმატს. • **0 ქულა:** ტექსტი სრულიად ქაოტურია და არ არის დაყოფილი აბზაცებად.	
4. ენობრივ-სტილური გამართულობა და მართლწერა	**2 ქულა:** ნამუშევარი დაწერილია მდიდარი, ემოციური ლექსიკით. დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის ნორმები (დასაშვებია ორიოდე უმნიშვნელო ხარვეზი). **1 ქულა:** აზრი გასაგებია, თუმცა გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან მცირე მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები. **0 ქულა:** ტექსტი ენობრივად და სტილისტურად გაუმართავია, აზრის გაგება ჭირს.	**2**

რეკომენდაცია მასწავლებლისთვის (როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს):

წერის დაწყებამდე მიეცით მოსწავლეებს მიმართულება, თუ რა კუთხით შეუძლიათ ფანტაზიის განვითარება:

- ✓ მხატვარი შეიძლება ფიქრობდეს თავის ხელოვნებაზე: „ნუთუ ჩემმა ფუნჯმა, რომელიც აქამდე მხოლოდ სილამაზეს ქმნიდა, დღეს ჩემი განაჩენი უნდა დაწეროს?“
- ✓ შეიძლება ფიქრობდეს მეფის ხასიათზე: „რა ვერაგია ეს კაცი, ხაფანგი დამიგო, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია”...

<u>მხატვრის შინაგანი მონოლოგის ნიმუში:</u>

აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისა... რა ვერაგია ეს კაცი! ჩემივე ხელოვნებით უნდა ჩემი განაჩენის გამოტანა. ნუთუ ჩემმა ფუნჯმა, რომელიც აქამდე მხოლოდ სილამაზეს ქმნიდა, დღეს ჩემი სისხლი უნდა დაღვაროს?

თუ სიმართლეს ვუერთგულებ და მას ბრმას დავხატავ, მის დაუძლეველ ამპარტავნობას შევეხები და სიკვდილი არ ამცდება. თუ მოვატყუებ და სრულყოფილს დავხატავ, ჩემს ოსტატობასაც დავაკნინებ და პირფერობისთვის მაინც ეშაფოტზე ამიყვანს ან სახრჩობელა არ ამცდება.

უფალო, ნუ წამართმევ გონიერებას! ჩემს სიცოცხლეზე მეტად იმაზე ვდარდობ, რომ ამ ტირანის ხელში ჩემი ხელოვნება არ დამარცხდეს. უნდა არსებობდეს მესამე გზა... ისეთი ხერხი უნდა მოვიფიქრო, რომლის წყალობითაც ჩემი ფუნჯიც მართალი დარჩება და მეფის მრისხანებასაც გააქარწყლებს.

თავო ჩემო, მოიფიქრე რამე ისეთი, მეფე რომ გაოცდეს და მიზეზი ვერ იპოვოს ჩემს დასასჯელად. დამაცადე, მეფეო, ჩემგან სიურპრიზი გელოდება!

2. შექმენით სიუჟეტური ნახატი იგავის ბოლო ეპიზოდისთვის, როდესაც მხატვარი მეფეს თავის ნამუშევარს მიართმევს. ამისათვის:

- ✓ შექმენით ნახატის ჩარჩო (კადრი); გამოსახეთ გარემო (სასახლის დარბაზი), მოქმედება; დაამატეთ საჭირო დეტალები;
- ✓ მეფისა და მხატვრის გარდა, გამოსახეთ სხვა პერსონაჟებიც (მაგ.: მეფის მრჩეველი, მსახური, მცველი);
- ✓ გამოიყენეთ დიალოგისა და ფიქრების „ბუშტები“, რომლებშიც ჩაწერთ, რას ამბობს, ფიქრობს თუ განიცდის პერსონაჟი. შეეცადეთ დაიცვათ სულხან-საბას სტილი - გამოიყენეთ ლაკონიური (მოკლე) და ზუსტი ფრაზები;
- ✓ გამოიყენეთ სხვადასხვა ფორმის „ბუშტი“: მაგალითად, შეარჩიეთ ოვალური „ბუშტი“ პირდაპირი ნათქვამისთვის (რას ამბობენ პერსონაჟები ხმამაღლა), ღრუბლისებური - მათი ფიქრებისა თუ ფარული ემოციებისთვის;
- ✓ სურვილის შემთხვევაში ნახატს შეიძლება შეურჩიოთ შესაფერისი მელოდიაც ეპიზოდის განწყობის გადმოსაცემად.

<u>იგავის ილუსტრაციის შეფასების სქემა:</u>

კრიტერიუმები	აღწერილობა	მაქს. ქულა
1. სიუჟეტისა და გარემოს ვიზუალური რეალიზაცია	• **2 ქულა:** ნახატში მკაფიოდ არის გადმოცემული იგავის ფინალური ეპიზოდი (ნამუშევრის მეფისთვის მირთმევა). შექმნილია ჩარჩო (კადრი), კარგად არის ასახული სასახლის დარბაზის გარემო, მოქმედება და ეპიზოდისთვის საჭირო მხატვრული დეტალები. • **1 ქულა:** ნახატი ასახავს ეპიზოდს, თუმცა გარემო (დარბაზი) ან მოქმედება ბუნდოვანია; აკლია საჭირო დეტალები ან კადრირების სტრუქტურა დარღვეულია. • **0 ქულა:** ნახატი არ შეესაბამება იგავის ფინალურ ეპიზოდს ან შესრულებულია ყოველგვარი გარემოსა და დეტალების გარეშე.	**2**
2. პერსონაჟთა მრავალფეროვნება და ემოციები	• **2 ქულა:** მეფისა და მხატვრის გარდა, ნახატზე გამოსახული არიან სხვა პერსონაჟებიც (მრჩეველი, მცველი, მსახური). მათი სხეულის ენითა და მიმიკებით კარგად იკვეთება დაძაბული განწყობა და ემოციები ნამუშევრის მიღების მომენტში. • **1 ქულა:** ნახატზე მხოლოდ მეფე და მხატვარი არიან გამოსახული, ან პერსონაჟები არიან სტატიკურები, მიმიკებისა და ემოციების გარეშე. • **0 ქულა:** პერსონაჟები საერთოდ ვერ აღიქმებიან ან არ შეესაბამებიან დავალების შინაარსს.	**2**
3. ტექსტური „ბუშტების“ ფუნქციური და	• **2 ქულა:** მოსწავლე ზუსტად იყენებს სხვადასხვა ფორმის „ბუშტებს“: ოვალურს - ხმამაღალი ნათქვამისთვის/დიალოგისთვის და ღრუბლისებურს - პერსონაჟთა ფარული ფიქრებისა თუ განცდების	**2**

მრავალფეროვანი გამოყენება	გადმოსაცემად (მაგ. მეფის გაკვირვება, მრჩევლის შიში). • **1 ქულა:** „ბუშტები“ გამოყენებულია, თუმცა მათი ფორმები ერთგვაროვანია (არ არის გამიჯნული ფიქრი და დიალოგი) ან ტექნიკურად არასწორადაა დაკავშირებული პერსონაჟებთან. • **0 ქულა:** ნამუშევარში საერთოდ არ არის გამოყენებული დიალოგისა თუ ფიქრების „ბუშტები“.	
4. ტექსტის სტილი და ლაკონიურობა	• **2 ქულა:** „ბუშტებში“ ჩაწერილი ფრაზები ესადაგება სულხან-საბას სტილს - არის ლაკონიური, გონებამახვილური და ემოციურად ზუსტი. დაცულია მართლწერის წესები. • **1 ქულა:** ფრაზები გადმოსცემს შინაარსს, თუმცა ზედმეტად ვრცელია, თანამედროვე ჟარგონითაა გაჯერებული ან დაკარგულია იგავისეული სხარტი სტილი. გვხვდება ორთოგრაფიული შეცდომები. • **0 ქულა:** ტექსტი გაუმართავია ან „ბუშტები“ ცარიელია.	**2**
5. შემოქმედებითი ორიგინალურობა და მუსიკალური გაფორმება	• **2 ქულა:** ნამუშევარი გამოირჩევა მაღალი შემოქმედებითი ფანტაზიით. მოსწავლემ შეურჩია შესაბამისი მელოდია/მუსიკა, რომელიც ადეკვატურად გადმოსცემს სასახლეში არსებულ დაძაბულ, დრამატულ, შემდეგ კი განმუხტულ განწყობას. • **1 ქულა:** ნამუშევარი საინტერესოა, თუმცა მუსიკალური გაფორმება გამორჩენილია (ან შერჩეული მელოდია აბსოლუტურად არ შეესაბამება ეპიზოდის განწყობას). • **0 ქულა:** ნამუშევარი შაბლონურია, ყოველგვარი შემოქმედებითი ინიციატივის გარეშე.	**2**

რეკომენდაცია: ეს დავალება მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, წარმოაჩინონ თავიანთი ნიჭი არა მხოლოდ წერაში, არამედ ხატვასა და მუსიკაშიც. ნამუშევრების პრეზენტაციის დროს მოაწყვეთ **„საკლასო გალერეა“** - გამოაკარით ნახატები დაფაზე, ჩართეთ მოსწავლეების მიერ შერჩეული მელოდიები და კლასს წააკითხეთ პერსონაჟების ფიქრები. ეს გაკვეთილს უფრო ეფექტურს გახდის.

<u>რუბრიკა „იმსჯელეთ“</u>

- იმსჯელეთ, მხატვრის საქციელი თვალთმაქცობა იყო თუ გონივრული თავდაცვა? როგორ გავარჩიოთ ტყუილი და შემოქმედებითი გადაწყვეტილება? რა ახასიათებს ერთს და რა - მეორეს? თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

კომენტარი: მხატვრის საქციელი იყო არა თვალთმაქცობა, არამედ გონივრული თავდაცვა და პრობლემის გადაწყვეტის შემოქმედებითი ხედვა. თვალთმაქცობა და ტყუილი რეალობის დამახინჯებას ემსახურება სარგებლის მისაღებად, ხოლო

შემოქმედებითი გადაწყვეტილება - სიმართლის შენარჩუნებას კრიტიკულ სიტუაციაში. მათი გარჩევა რამდენიმე ნიშნითაა შესაძლებელი: 1. ტყუილს ახასიათებს სიყალბე და პირფერობა. მხატვარს მეფე ორთვალიანი რომ დაეხატა, ეს იქნებოდა ტყუილი, რადგან შეგნებულად უარყოფდა რეალობას ტირანის საამებლად. 2. შემოქმედებით გადაწყვეტილებას ახასიათებს კულტურული თვითგამოხატვა. პერსონაჟმა მეფე მიზანში ამოღების მომენტში გამოსახა, რითაც მისი ფიზიკური ნაკლი ბუნებრივ მდგომარეობად აქცია. მხატვარს ბრმა თვალი არ გაუჯანსაღებია, მან ის უბრალოდ დახუჭული დახატა, არ მოიტყუა. ტყუილი სიმართლეს ჯაბნის, ხოლო შემოქმედებითი ხერხი სიმართლეს საინტერესოდ წარმოაჩენს. მხატვარმა გონების ძალით სძლია უსამართლო ძალაუფლებას და დაამტკიცა, რომ ხელოვნება ყოველთვის პოულობს გზას საფრთხისგან თავის დასაღწევად.

- იმსჯელეთ, რა პიროვნული თვისებები სჭირდება თანამედროვე ადამიანს, რომ კრიტიკულ სიტუაციაში თავი გადაირჩინოს? რა მსგავსება-განსხვავებაა ძველი დროისა და თანამედროვე ეპოქის სირთულეებს შორის?

კომენტარი: კრიტიკულ სიტუაციაში თავის გადარჩენა და სწორი გამოსავლის პოვნა ყველა ეპოქის ადამიანისთვის უმთავრესი გამოწვევაა. სულხან-საბას იგავის გმირის მსგავსად, თანამედროვე რეალობაც ჩვენგან განსაკუთრებულ უნარებს მოითხოვს. დღევანდელ, სწრაფად ცვალებად და ინფორმაციით გადატვირთულ სამყაროში, კრიტიკულ მომენტში გადასარჩენად ადამიანს რამდენიმე უმთავრესი თვისება სჭირდება:

- ✓ **ემოციური მდგრადობა და თვითკონტროლი** (განსაკუთრებით სტრესულ სიტუაციაში): საფრთხის დროს პირველი მტერი პანიკა და შიშია. იგავის გმირის მსგავსად, რომელმაც შიშს გონება არ დაუმორჩილა, თანამედროვე ადამიანსაც სჭირდება ცივი გონებით აზროვნების უნარი.
- ✓ **კრიტიკული და მოქნილი აზროვნება:** ეს არის უნარი, არ იმოქმედო შაბლონურად, დაინახო ალტერნატიული გზები და მყისიერად მოერგო ახალ მოცემულობას.
- ✓ **დიპლომატია და კომუნიკაციის ტაქტი:** ხშირად კრიტიკული სიტუაციები ადამიანებთან კონფლიქტს უკავშირდება. სწორი სიტყვების შერჩევა, სხვისი ფსიქოლოგიის გაგება და „მესამე გზის“ პოვნა დღესაც უმნიშვნელოვანესი იარაღია.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეფეები სიკვდილით აღარ გვემუქრებიან, თანამედროვე „ლავდიკიის მეფეები“ შეიძლება იყვნენ ჭირვეული უფროსები, კრიზისული სიტუაციები ან სოციალური წნეხი. სულხან-საბას მთავარი გაკვეთილი დღესაც აქტუალურია: ინტელექტი, შემოქმედებითი მიდგომა და ღირსების შენარჩუნება არის ადამიანის უპირატესობა ნებისმიერ ეპოქალურ სირთულესთან ბრძოლაში.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“</u>

დაწერეთ თხზულება: „მხატვრის რთული არჩევანი“. თხზულებაში გადმოეცით:

- რა არჩევანის წინაშე იდგა მხატვარი;
- რამ დააძლევინა შიში - როგორ გაიმარჯვა საკუთარ თავზე;
- როგორ შეინარჩუნა ღირსებაცა და სიცოცხლეც;
- რატომ იყო ეს გამარჯვება (ღონე) უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ხატვის ნიჭი.

წერისას დაიმოწმეთ შესაბამისი ადგილები ტექსტიდან.

წერითი დავალების შეფასების სქემა:

კრიტერიუმი	აღწერილობა	მაქს. ქულა
1. დავალების პირობის ადეკვატური გაგება	**2 ქულა:** მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის მხატვრის წინაშე მდგარი სასიცოცხლო არჩევანი. ნათლად და დამარწმუნებლად აყალიბებს საფრთხეს (შიშველი სიმართლე თუ ლამაზი ტყუილი). **1 ქულა:** არჩევანი აღწერილია, თუმცა მსჯელობა ზედაპირულია ან ნაწილობრივ ბუნდოვანია დილემის სიმწვავე. **0 ქულა:** მოსწავლე ვერ იაზრებს თემის არსს და არასწორად განიხილავს პერსონაჟის პრობლემას.	**2**
2. პერსონაჟის წინაშე მდგარი პრობლემების ადეკვატური გააზრება	**2 ქულა:** მოსწავლე საინტერესოდ მსჯელობს იმაზე, თუ რამ დააძლევინა მხატვარს შიში და როგორ მოახერხა მან როგორც სიცოცხლის, ისე პროფესიული და პიროვნული ღირსების გადარჩენა მაამებლობის გარეშე. **1 ქულა:** საკითხი განხილულია, თუმცა აკლია ფსიქოლოგიური სიღრმე. ღირსებისა და სიცოცხლის შენარჩუნების კავშირი სუსტადაა გამოკვეთილი. **0 ქულა:** თხზულებაში არ იკვეთება ლოგიკური მსჯელობა პერსონაჟის შინაგან განცდებსა და ღირსებაზე.	**2**
3. პერსონაჟის ღირსებების ადეკვატური გააზრება	**2 ქულა:** გაკეთებულია სწორი დასკვნები: მოსწავლე ასაბუთებს, რატომ არის კრიტიკულ სიტუაციაში მოხერხებულობა, გონიერება და ტაქტი უფრო მნიშვნელოვანი იარაღი, ვიდრე უბრალოდ ხატვის ნიჭი, ოსტატობა. **1 ქულა:** მოსწავლე ადარებს ნიჭსა და მოხერხებულობას, თუმცა მისი მსჯელობა არგუმენტების ნაკლებობის გამო არადამაჯერებელია. **0 ქულა:** საკითხი საერთოდ არ არის წამოჭრილი ნაშრომში.	**2**
4. ტექსტური მასალის დამოწმება (ციტირება/პარაფრაზირება)	**2 ქულა:** მოსწავლე მსჯელობის გასამყარებლად ზუსტად და ადეკვატურად იმოწმებს ადგილებს იგავიდან. **1 ქულა:** ტექსტი დამოწმებულია, თუმცა ციტატები/პარაფრაზები მოყვანილია მექანიკურად და არ არის ლოგიკურად ინტეგრირებული მოსწავლის პირად მსჯელობაში. **0 ქულა:** თხზულება დაწერილია უშუალოდ ტექსტზე დაყრდნობისა და ციტირების გარეშე.	**2**
5. ნაშრომის ორგანიზება	**1 ქულა:** ნაშრომი სტრუქტურულად სრულყოფილია: მკაფიოდ გამოიყოფა და აბზაცებითაა დაშორებული **შესავალი, ძირითადი**	**1**

	ნაწილი და დასკვნა. აზრები გადმოცემულია თანმიმდევრულად, მდიდარი ლექსიკით. **0 ქულა:** ტექსტი არ არის დაყოფილი აბზაცებად, ან სტილისტურად იმდენად გაუმართავია, რომ სათქმელის გაგება ჭირს.	
6. მართლწერა და პუნქტუაცია	**1 ქულა:** ტექსტში მინიმალურადაა დაშვებული ორთოგრაფიული და/ან პუნქტუაციური შეცდომები, რაც ხელს არ უშლის ტექსტის აღქმა-გაგებას. **0 ქულა:** დაშვებულია მრავალი მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა, რაც ტექსტის გაგებას ძალიან ართულებს.	**1**

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

ცაიშვილი სარგის, ქართული მწერლობა (წერილები, ნარკვევები, ესეები), თბილისი, 1990

ბარამიძე ალექსანდრე, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1959;

კეკელიძე კორნელი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბილისი, 1958;

ლოლაშვილი ივანე, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1713), თბილისი, 1959;

მენაბდე ლევან, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1953;

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:</u>

მუხრან მაჭავარიანი, ლირიკული ლექსი „საბა“

გიორგი ლეონიძე, ლირიკული ლექსი „საბას“

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები: „მოძღვარი მელი“, „ჯოჯოხეთში დაუტევნელი“, „მაოხრებელი მკვდარი“, „განშორებული და მარტვილი“

<u>აკაკი წერეთლის ზღაპარი „ღამურა“</u>

<u>საათების საორიენტაციო რაოდენობა: 2 აკადემიური საათი</u>

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები:
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>მხატვრული ტექსტი</u> - **ზღაპარი ლექსად** <u>შინაარსობრივი მხარე</u> - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი (რეალური, წარმოსახვით-ფანტასტიკური); პერსონაჟი (მაგ.:

მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება);

მონოლოგი და მისი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ავტორისეული დახასიათება; ავტორისეული პლანი; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (მაგ.: ავტორის, პერსონაჟის); სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი, გარეგანი);

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, რითმა (რითმა ადგილმდებარეობის მიხედვით; რითმა ბგერითი შედგენილობის მიხედვით); რიტმი/საზომი, სტროფი, ტაეპი.

ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, გაპიროვნება, ალეგორია, სიმბოლო, ირონია); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეს შეუძლია:

- კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება;
- ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.
- კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე;
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;
- ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
- მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;

- იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
- ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;

ნაწარმოების შესახებ:

ზღაპრის იდეურ-თემატური მიმოხილვა: აკაკი წერეთელი, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, თავის შემოქმედებაში ასახავდა თემებსა და იდეებს, რომლებიც ქართველი ხალხის მიძინებული ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას შეუწყობდა ხელს.

ალეგორიული ნაწარმოები „ღამურა“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული იგავური ხასიათის ლექსი-ზღაპარია, რომელშიც აკაკი წერეთელი სოციალურ, ზნეობრივ და ეროვნულ პრობლემებს ეხება. ნაწარმოების მთავარი იდეა საკუთარი ფესვების, წარმომავლობის, მშობლიური ენის უარყოფის საფრთხის ჩვენება და უპრინციპო, ორპირი, მოღალატე ადამიანების გაკიცხვაა**.** აკაკი წერეთელი მკაცრად უპირისპირდება მათ, ვინც პირადი გამორჩენისა ან ამპარტავნების გამო ივიწყებს საკუთარ იდენტობას და სხვად გადაქცევას ლამობს. ნაწარმოების ცენტრში დგას „უგნური თაგუნა“, რომელიც უკმაყოფილოა თავისი ბუნებით, თაგვობას თაკილობს. მისი ნატვრაა, გახდეს ფრინველი, რათა მიწას მოსწყდეს და მაღლა იფრინოს. თუმცა, როდესაც მისი სურვილი სრულდება და ფრთები ესხმება, იგი სრულფასოვანი ჩიტი მაინც ვერ ხდება. ღამურა განასახიერებს იმ კატეგორიის ადამიანებს (კონკრეტულად კი, ეროვნულობადაკარგულ ქართველებს), რომლებმაც საკუთარი ერი მოიძულეს, მაგრამ ვერც უცხო გარემომ მიიღო სრულფასოვნად. თაგვები და ჩიტები ალეგორიულად ორ განსხვავებულ საზოგადოებასა თუ ეროვნულ ჯგუფს წარმოადგენენ.

ღამურას ტრაგედია ისაა, რომ მას არცერთი მხარე არ აღიარებს თავისიანად. ჩიტები მასში მზვერავსა და უცხო რჯულის ცხოველს ხედავენ, ხოლო ძველ გარემოში დაბრუნებულს თაგვებიც ზიზღით იგერიებენ. ის არის კლასიკური განსახიერება უპრინციპო ადამიანისა, რომელიც საბოლოოდ სრულ იზოლაციაში, „ძველ ნანგრევსა“ და წყვდიადში საცხოვრებლად არის განწირული.

მხატვრული თავისებურებანი: მხატვრული თვალსაზრისით, ლექსი დაწერილია სხარტი, დინამიკური და მსუბუქი ენით, რაც დამახასიათებელია აკაკის შემოქმედებისთვის. ნაწარმოებში აქტიურადაა გამოყენებული დიალოგები და გაპიროვნების ხერხი – ცხოველები და ფრინველები ადამიანური ენითა და ლოგიკით მეტყველებენ, რაც მკითხველს უადვილებს ალეგორიის გაშიფვრას. ავტორი იყენებს კონტრასტის პრინციპს: თაგუნას თავდაპირველი ამპარტავნება და კუდის ბზეკა მკვეთრად უპირისპირდება ფინალში „თავლაფდასხმული“, გადაგვარებული და გაკიცხული პერსონაჟის ყოფას. ეპითეტები: „უგნური“, „გაკიცხული“, „თავლაფდასხმული“, „კრული“, „გამოსხლეტილი“ - პირდაპირ გამოხატავს პერსონაჟის მიმართ ავტორის დამოკიდებულებას. საინტერესო მეტაფორა და ალეგორიაა: „ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა“ და კარგად გამოხატავს საკუთარი ფესვების უარმყოფელი, გადაგვარებული

ადამიანის სახეს. ძალზე ექსპრესიულია/გამომსახველია ღამურად ქცეული თაგუნასადმი ჩიტების დამოკიდებულების ამსახველი სტროფი: „დაჰჭღივლეს, ჩაუნისკარტეს, / გაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭყალები, / სისხლი ადინეს ღამურას, / გამოუბნელეს თვალები!“ ამ ეფექტს პოეტი სემანტიკურად მდიდარი ზმნების დახმარებით აღწევს და მკითხველზე მძაფრ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. ლექსი დაწერილია აკაკის საყვარელი 8-მარცვლიანი სალექსო საზომით, რითმული და რიტმულია.

ამგვარად, აკაკი წერეთლის „ღამურა“ არის მრავლისმთქმელი ფილოსოფიურ-ზნეობრივი გაკვეთილი. ნაწარმოები გვასწავლის, რომ საკუთარი ფესვების ღალატს ყოველთვის თან სდევს პიროვნული კრახი და საზოგადოებისგან გარიყვა. პოეტის ეს სათქმელი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას, როგორც მუდმივი გაფრთხილება იდენტობის შენარჩუნების აუცილებლობაზე.

<u>წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები:</u>

- გაიხსენეთ, რა არის იგავ-არაკი? რით განსხვავდება ის ჩვეულებრივი მოთხრობისა ან ზღაპრისგან?
- თქვენი აზრით, რატომ იყენებენ ხშირად მწერლები ცხოველებსა და ფრინველებს პერსონაჟებად ადამიანების ნაცვლად?
- როგორ გესმით სიტყვა „მორალი“ ლიტერატურაში?
- რატომ არის ღამურა განსხვავებული და უცნაური არსება? რა თვისებები აქვს მას ისეთი, რომელიც ერთდროულად ფრინველსაც ამსგავსებს და ძუძუმწოვარ ცხოველსაც?
- რა ასოციაცია გიჩნდებათ სიტყვაზე „ღამურა“? თქვენი აზრით, რატომ ერიდება ეს არსება დღის სინათლეს და რატომ ცხოვრობს ნანგრევებსა ან ბნელ გამოქვაბულებში? რატომ ეშინიათ ადამიანებს ღამურას სახლში შემოფრენის?
- როგორ გესმით გამოთქმა: „საკუთარი თავის ერთგულება“? რატომ არის მნიშვნელოვანი, ადამიანს ჰქონდეს თავისი მყარი პოზიცია?
- რა შეიძლება დაემართოს ადამიანს, რომელიც ცდილობს, ხან ერთ კომპანიას/ჯგუფს მოაჩვენოს თავი მათიანად და ხან - მეორეს? თქვენი გამოცდილებით, როგორ უყურებს საზოგადოება ორპირ ადამიანებს?
- როგორ ფიქრობთ, რა მოსდის მას, ვისაც ეთაკილება თავისი წარმომავლობა (ეროვნება, მშობლიური ფესვები)?

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“:</u>

1. რა ინატრა უგუნურმა თაგუნამ და რატომ?

კომენტარი: თაგუნამ ფრინველად გადაქცევა და ფრთების გამოსხმა ინატრა. მიზეზი იყო მისი ამპარტავნება – მას სურდა, სხვებზე მაღლა დამდგარიყო, ამაღლებულიყო და დაეფასებინათ.

2. რატომ არ მოსწონდა თაგუნას თავისი მოდგმა? რას ელოდა ჩიტად გადაქცევით?

კომენტარი: მას თაგვობა დამამცირებლად მიაჩნდა. ჩიტად გადაქცევით ელოდა, რომ მოიპოვებდა დიდებას, აღფრთოვანებას, საყოველთაო პატივისცემას და შორს გაფრინდებოდა თავისი მშობლიური გარემოსგან.

3. რა შედეგი მიიღო თაგუნამ ფრთების გამოსხმით: როგორ მოექცნენ, ერთი მხრივ, ჩიტები და, მეორე მხრივ, თაგვები ღამურას? რა მდგომარეობაში აღმოჩნდა საბოლოოდ?

კომენტარი: ღამურად ქცეულმა თაგუნამ სრული კრახი განიცადა: ჩიტებმა მასში მზვერავი და უცხო არსება დაინახეს და გამოაძევეს, თაგვებმა ზიზღით უარყვეს, როგორც მოღალატე, საბოლოოდ იგი იქცა ღამურად, რომელიც იძულებულია მხოლოდ ღამით გამოვიდეს, დღის სინათლეს დაემალოს და ძველ ნანგრევებში მარტოობაში იცხოვროს.

4. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ადამიანის ნამდვილი წარმატება და განვითარება („მაღლა ფრენა“) შეუძლებელი მშობლიური ენის, ერის პატივისცემის გარეშე? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

კომენტარი: ენა და ფესვები ადამიანის იდენტობის საძირკველია. სხვისი კულტურის ბრმა მიბაძვით (სხვისი „ქურქის მოსხმით“) ადამიანი კარგავს საკუთარ თავს, თუმცა ვერც უცხო საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ხდება. ნამდვილი „მაღლა ფრენა“ და აღიარება მხოლოდ საკუთარ უნიკალურობასა და ღირებულებებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი.

5. რა დასკვნა გამოაქვს ავტორს თაგუნას ისტორიიდან? იპოვეთ შესაბამისი სტროფები ტექსტში.

კომენტარი: ავტორს გამოაქვს დასკვნა, რომ სხვისი იდენტობის მორგება დამღუპველია. ნაწარმოების ბოლო ორი სტროფი ყველაზე შთამბეჭდავად ამბობს გადაგვარებული თაგუნას თავგადასავლის მორალს:

„ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა,
და ნუ სცვლის თვისსა ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
ჩემსავით ცრემლთა დენასა!
გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!“

6. თქვენი აზრით, რა არის აკაკის მთავარი სათქმელი - რას გვიჩვენებს ლექსი? ჩამოაყალიბეთ თქვენი სიტყვებით.

კომენტარი: აკაკის მთავარი სათქმელია, რომ საკუთარი ეროვნების, ოჯახისა და ფესვების უარყოფა და სხვად თავის მოჩვენება ადამიანს სრულ იზოლაციამდე და დაღუპვამდე მიიყვანს. ნამდვილი ღირსება საკუთარი იდენტობის შენარჩუნებაშია და არა სხვისი ნიღბის მორგებაში.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“:</u>

- აკაკი თაგუნას დასაწყისშივე პირდაპირ ახასიათებს, „უგნურს“ უწოდებს. როგორ განაწყობს ავტორი პერსონაჟის მიმართ მკითხველს ამგვარი ხერხის გამოყენებით?

კომენტარი: მოცემულ ნაწარმოებში ავტორის პოზიცია მკვეთრია. ის დასაწყისშივე „უგნურს“ უწოდებს თავის გმირს, რაც მკითხველს მის მიმართ თავიდანვე უარყოფითად განაწყობს. ზოგადად, მხატვრულ ტექსტებში პერსონაჟისადმი ავტორის დამოკიდებულება ყოველთვის მკვეთრად არ არის გამოხატული, მწერალი ინტრიგას გვთავაზობს და მთლიანად მკითხველს მიანდობს პერსონაჟის შეფასებას, ჩვენ კი ხშირად ვკამათობთ, როგორ უნდა გავიგოთ ავტორის დამოკიდებულება, რომელიც ზოგჯერ ორაზროვანი გვეჩვენება.

- ლექსში განვითარებულ ამბავს თუ გავითვალისწინებთ, რატომ შეაფასა პოეტმა პერსონაჟი ამგვარად? რაში გამოიხატა თაგუნას უგუნურება: მოქმედებასა თუ ფიქრში, ოცნებაში?

კომენტარი: თაგუნას ფიქრებსა და ოცნებებში თითქოს არაფერი იყო დასაძრახი, მას ფრენა ენატრებოდა. ადამიანი უძველესი დროიდან ოცნებობდა ფრენაზე. სანამ საფრენი აპარატები გაჩნდებოდა, ზღაპრებში ჯერ მფრინავი ხალიჩები და ფრთიანი ადამიანები გაჩნდნენ. ამ ოცნების გამო თაგუნას ვერავინ დაძრახავდა, თუმცა უგუნურებაა მისი ფიქრი საკუთარი იდენტობის მიუღებლობაზე, მას თაგვობა ესირცხვილებოდა და ეძნელებოდა, მისი მოქმედებაც უგუნურება იყო, რადგან, როგორც კი ოცნება აუხდა და ფრთები გამოესხა, მან დაივიწყა თაგვობა და ჩიტად გარდასახვა სცადა. მას უნდა სცოდნოდა, რომ მშობლიურის უარყოფა კი არ გააბედნიერებდა, არამედ გააუბედურებდა.

- თაგუნა მარტო დარჩა, ყველასაგან უარყოფილი. რამ განაპირობა მისი ცხოვრების ასეთი სამწუხარო ფინალი?

კომენტარი: თაგუნას ასეთი სამწუხარო ფინალი განაპირობა საკუთარი ფესვების, ბუნებისა და მოდგმის უარყოფამ და სხვისი იდენტობის მორგების უგუნურმა მცდელობამ. მან უღალატა თავის წრეს, რის გამოც ძველმა მეგობრებმა (თაგვებმა) ზურგი აქციეს, ხოლო ახალმა საზოგადოებამ (ჩიტებმა) იგი უცხო სხეულად მიიჩნია და არ მიიღო. საბოლოოდ, მან დაკარგა საკუთარი თავიც და ორივე გარემოც, რამაც სრულ მარტოობამდე მიიყვანა.

- აკაკი ზღაპარს უწოდებს თავის ლექსს. რა არის ზღაპრული ლექსში?

კომენტარი: „ღამურა“ ლექსია, თუმცა არა ლირიკული, არამედ იგავური შინაარსის ამბავი, თავგადასავალი, ის ბალადასაც მოგვაგონებს, იგავსაც და ზღაპრულიც არის თავისი შინაარსით, რადგან ზღაპრის მახასიათებელია რეალურისა და ფანტასტიკურის შერწყმა. ლექსში ზღაპრულია თაგუნას ფრთების გამოსხმა და უცნაურ არსებად - ღამურად გადაქცევა.

- ლექსის ბოლოს ავტორი პირდაპირ მიმართავს მკითხველს: „ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა“. რატომ გადადის ავტორი თხრობიდან დარიგებაზე?

კომენტარი: ვინაიდან „ღამურა“ იგავ-არაკის, ზღაპრის, ბალადის ფორმის ნაწარმოებია, მას უთუოდ უნდა ახლდეს მორალისტური შეგონება, რაც ამ ჟანრის ნაწარმოებებისთვის არის დამახასიათებელი. სხვისი ქურქის მოსხმა მეტაფორულად და სიმბოლურ-ალეგორიულად განასახიერებს საკუთარ იდენტობაზე უარის მთქმელი, გადაგვარებული ადამიანის ყოფას. აკაკის მიზანი კი არის ის, რომ დაარწმუნოს თავისი მკითხველი ეროვნული იდენტობის შენარჩუნების აუცილებლობაში. საქართველოს მე-19 საუკუნეში რუსეთის ცარისტულ იმპერიასთან ასიმილაციის, გადაგვარების, გაქრობის სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა, რადგან სახელმწიფოებრიობა დაკარგული გვქონდა და ვითვლებოდით უზარმაზარი იმპერიის ნაწილად. საზოგადოებაც ნელ-ნელა ეგუებოდა ეროვნული თვითშეგნების დაკარგვის ნელ, მაგრამ მომაკვდინებელ პროცესს. ეს დარიგება დღესაც აქტუალურია. დღესაც ისეთივე მნიშვნელოვანია მშობლიურის ერთგულება და გაფრთხილება, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში.

- ავტორის მთავარი სათქმელი ზოგ ტექსტში პირდაპირ არის მოცემული, ზოგან მკითხველმა უნდა ამოიცნოს. როგორ არის პოეტის სათქმელი გადმოცემული ამ ლექსში?

კომენტარი: აკაკის „ღამურაში“ ავტორი სათქმელს შეუფარავად თავადვე გვეუბნება. ლექსის ბოლო ორ სტროფში პოეტი დაბეჯითებით მიგვითითებს, რომ სხვის ქურქში გახვეული, გადაგვარებული არსებები ბუნებისგან დაწყევლილები არიან, ისინი კარგავენ ღირსებას, განწირულები არიან გარიყვისა და მარტოსულობისთვის. დედა-ენის უარმყოფელის ადგილი არსად არ არის, არც მშობელ ხალხში და არც ახალ საზოგადოებაში, სადაც ის ყოველთვის უცხო იქნება.

- თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს „სხვისი ქურქი“ დღევანდელ ცხოვრებაში - არსებობენ თუ არა დღეს ადამიანები, რომლებიც ხელაღებით უარყოფენ საკუთარს (მაგ.: ენას, ტრადიციებს, ფასეულობებს) და ბრმად ბაძავენ სხვებს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

კომენტარი: აკაკის ლექსში დასმული პრობლემა ყველა ეპოქაში აქტუალურია. ღამურას სინდრომის მატარებელ ადამიანებს ყოველთვის შევხვდებით, უბრალოდ მათი ქცევა და გარემოებები არის განსხვავებული. დღევანდელ ცხოვრებაში „სხვისი ქურქი“ საკუთარი ეროვნული, კულტურული იდენტობისა და ფასეულობების უარყოფაა სხვა, უფრო „პრესტიჟულად“ მიჩნეული კულტურის ბრმა მიბაძვისა და უკრიტიკოდ მიღების ხარჯზე. ეს ვლინდება: მშობლიური ენის უგულებელყოფაში, როდესაც ადამიანი ყოველდღიურ მეტყველებაში სრულიად უადგილოდ ანაცვლებს ქართულ სიტყვებს უცხოური ბარბარიზმებით; საკუთარი ტრადიციებისა და ფასეულობების მიმართ გაუცხოებაში, როდესაც ყოველივე მშობლიური ჩამორჩენილობად აღიქმება, ხოლო უცხოური ტენდენციები – გაუაზრებლად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გადმოდის. განვითარება და სხვისგან სწავლა აუცილებელია, თუმცა როდესაც ადამიანი ამას საკუთარი ფესვების უარყოფის ხარჯზე აკეთებს, ის კარგავს უნიკალურობას. ბრმა მიბაძვა, ისევე როგორც ღამურას შემთხვევაში, პიროვნებას საეჭვო მდგომარეობაში აყენებს - ის ვეღარც საკუთარ კულტურას მიეკუთვნება სრულფასოვნად და ვერც სხვისთვის ხდება შინაური.

<u>რუბრიკა „სიტყვების კიდობანი“:</u>

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან ამოიწერეთ მხოლოდ ისინი, რომლებიც შინაარსით სიტყვა „თავლაფდასხმულის“ მსგავსია.

დაღონებული, შერცხვენილი, სევდიანი, განმარტოებული, გაწბილებული გაამაყებული, თავმოჭრილი, გაავებული, პატივცემული, დამცირებული.

პასუხი („თავლაფდასხმულის“ სინონიმური ფორმებია): შერცხვენილი, გაწბილებული, თავმოჭრილი, დამცირებული.

სავარჯიშო 2. გაეცანით ცხრილში მოცემულ ოთხ ფრაზეოლოგიზმს, მათ წარმომავლობას და უპასუხეთ კითხვებს. დაასახელეთ სწორი ვარიანტი და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

ფრაზეოლოგიზმი	**წარმომავლობა (საიდან მოდის?)**
ძაღლი პატრონს ვერ სცნობს.	ძაღლი ცნობილია პატრონისადმი თავისი ერთგულებით. ის ყოველთვის ცნობს, არასდროს ივიწყებს პატრონს.

როგორი ვითარებაა იქ, სადაც „ძაღლი პატრონს ვერ სცნობს“?

ა) ღრმა სიჩუმეა;
ბ) დიდი მხიარულებაა;
ბ) სრული სიბნელეა;
დ) დიდი არეულობაა.

სწორი პასუხი: დ) დიდი არეულობაა. ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილია პატრონისადმი ძაღლის ერთგულება და მზრუნველობა. თუკი ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, საქმე გვაქვს გაუგებარ ქაოსთან, ყველაფრის აღრევასთან.

ფრაზეოლოგიზმი	**წარმომავლობა (საიდან მოდის?)**
ადამის ხნისაა.	ბიბლიის თანახმად, ადამი იყო პირველი ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა.

როგორია „ადამის ხნის“ საგანი, მოვლენა ან ადამიანი?

ა) სრულიად უვარგისი;

ბ) ძალიან უჩვეულო;

გ) ძალიან დიდი ხნის;

დ) მდიდარი ისტორიის მქონე.

სწორი პასუხი: გ) ძალიან დიდი ხნის. ვინაიდან ბიბლიური ისტორიები უძველესი საუკუნეების კუთვნილებაა, ხოლო ადამი, ბიბლიის მიხედვით, დედამიწაზე პირველი ადამიანი იყო, მას მილიონობით წლის წინ უნდა ეცხოვრა. ამიტომაც ადამის ხნისა ძალზე ხანდაზმულს გულისხმობს.

ფრაზეოლოგიზმი	**წარმომავლობა (საიდან მოდის?)**
მიახუთშაბათა	ძველად პარასკევი ითვლებოდა ღვთისმსახურების დღედ, როცა ფიზიკური შრომა იკრძალებოდა. ყველა საქმე წინა დღეს, ხუთშაბათს, უნდა დამთავრებულიყო. ორი დღის საქმის გაკეთება ყოველთვის ვერ ესწრებოდა, ამიტომ ხუთშაბათს საქმეს ზოგჯერ ნაჩქარევად, ზერელედ აკეთებდნენ.

რისი გამოხატვა სურთ, როდესაც ადამიანზე ამბობენ, რომ საქმე „მიახუთშაბათა“? მან:

ა) ძალდატანებით იშრომა;
ბ) უხარისხოდ იშრომა;
გ) ბევრი იშრომა;
დ) კარგად იშრომა.

სწორი პასუხი: ბ) უხარისხოდ იშრომა. ფრაზეოლოგიზმის წარმომავლობა გვიჩვენებს, რომ ვინაიდან ძველად ადამიანები ცდილობდნენ პარასკევამდე, ღვთისმსახურების დღემდე, მოესწროთ ყველაფერი, ხუთშაბათს განსაკუთრებულად ჩქარობდნენ, ხოლო გადაჭარბებული სიჩქარე საქმის უხარისხოდ კეთების მიზეზი შეიძლება იყოს.

ფრაზეოლოგიზმი	**წარმომავლობა (საიდან მოდის?)**
მშვილდი ძირს დავდე	საომარ ველზე მშვილდის ძირს დადებით მებრძოლი მოწინააღმდეგეს ატყობინებდა, რომ ბრძოლას წყვეტდა.

რისი თქმა სურს ადამიანს, რომელიც ამ სიტყვებს ამბობს?

ა) გავიმარჯვე;
ბ) დავმორჩილდი;
გ) შევრცხვი;
დ) ვნანობ.

სწორი პასუხი: ბ) დავმორჩილდი. ძველად, როცა ადამიანები მშვილდ-ისრით ომობდნენ, სუსტი მოწინააღმდეგე სასიკვდილო საფრთხის თავიდან ასაცილებლად მტერს ნებდებოდა, რის ნიშნადაც იარაღს მიწაზე დებდა. ამით გამოიხატება ადამიანის მორჩილება, საკუთარი სისუსტისა და მოწინააღმდეგის უპირატესობის აღიარება, რაც ხშირად გონივრულია.

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“:</u>

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. პოსტერის შექმნა - შექმენით აკაკი წერეთლის „ღამურას“ მიხედვით პოსტერი, რომელზეც ასახული იქნება ლექსის დედააზრი შესაბამისი ვიზუალური გაფორმებით.

პოსტერზე:

- შეარჩიეთ და გამოსახეთ ერთი მოკლე ფრაზა, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უკეთ გამოხატავს ლექსის დედააზრს. შეგიძლიათ გამოიყენოთ ფრაზა ლექსიდან ან მოიფიქროთ თქვენ თვითონ (მაგ.: „საკუთარი თავის ღალატი ყველაზე დიდი მარცხია“);
- შეარჩიეთ და გამოიყენეთ ფერები, რომლებიც ეხმიანება ლექსის განწყობას (მაგ.: სირცხვილი, მარტოობა, სინანული);
- ვიზუალურად გამოსახეთ აკაკის ლექსიდან მონაკვეთი ან მონაკვეთები, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოგვიჩენს პოეტის სათქმელს.

<u>დავალების შეფასების რუბრიკა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	**აღწერილობა**	**მაქს. ქულა**
1. დედააზრის გამოხატვა (სლოგანი/ფრაზა)	პოსტერზე შერჩეული ან მოფიქრებული ფრაზა/სლოგანი არის მოკლე, ადვილად წასაკითხი და ზუსტად გადმოსცემს ლექსის მთავარ სათქმელს (ფესვების/საკუთარი თავის ღალატის დამღუპველობას).	**3**
2. განწყობის გადმოცემა ფერებით	შერჩეული ფერები და მათი კომბინაცია ემოციურად ზუსტად ეხმიანება ლექსის განწყობას (მაგ. ნაცრისფერი, შავი ან მუქი ტონები მარტოობის, სირცხვილისა და სინანულის გამოსახატად).	**2**
3. ვიზუალური კომპოზიცია (ილუსტრაცია)	პოსტერზე დახატული ან გამოსახული ელემენტები/მონაკვეთები (მაგ.: ფრთიანი თაგვი, ბნელი ნანგრევები, გარიყულობა) პირდაპირ უკავშირდება ტექსტს და ეფექტურად წარმოაჩენს ავტორის სათქმელს.	**3**
4. ორიგინალურობა და შესრულების ხარისხი	ნამუშევარი არის შემოქმედებითი, ორიგინალური, მასზე ნაფიქრია, არ არის შაბლონური. პოსტერი შესრულებულია სუფთად და ესთეტიკურად, დაცულია ბალანსი ტექსტსა და ნახატს შორის.	**2**

ქულების გზამკვლევი მასწავლებლისთვის (დონეების მიხედვით):

- **9-10 ქულა (უმაღლესი დონე):** პოსტერი მაღალი გემოვნებით არის შესრულებული. ფრაზა მრავლისმთქმელია, ვიზუალი და ფერები ნათლად გადმოსცემს ნაწარმოების განწყობას. ნამუშევარი შესრულებულია დიდი მონდომებითა და კრეატიულობით.
- **7-8 ქულა (მაღალი დონე):** პოსტერი აკმაყოფილებს ყველა პირობას. დედააზრი სწორადაა ნაპოვნი, ნახატიც თემას შეესაბამება, თუმცა ვიზუალური შესრულება ან ფერების შერჩევა შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო მეტად მიგნებული/მოხდენილი ან ტექსტი და ნახატი უკეთ დაკავშირებულიყო ერთმანეთთან.
- **5-6 ქულა (საბაზისო დონე):** პოსტერი ზედაპირულია. ფრაზა დაწერილია, მაგრამ ის უბრალოდ შინაარსს გადმოსცემს და არა იდეას. ნახატი მარტივია (მაგ. უბრალოდ ახატია ღამურა), ფერები კი ნაკლებად გამოხატავს ლექსის განწყობას.
- **3-4 ქულა (საწყისი დონე):** პოსტერი ნაწილობრივ უპასუხებს დავალების მითითებებს, ფრაზა აკლია, ან ნახატი არ შეესაბამება შინაარსს. მოსწავლეს გაუჭირდა ვიზუალურად აკაკის სათქმელის გადმოცემა. ნამუშევარი ქაოტურია.
- **1-2 ქულა (საწყისი დონე):** პოსტერზე მხოლოდ ფორმალური ელემენტებია დატანილი, დავალების მითითებები არ არის გათვალისწინებული.

2. ღამურას ამბის გაგრძელება - წარმოიდგინეთ, რომ ღამურა ნანგრევებში შეხვდა თაგვს, რომელსაც უნდა „სხვისი ქურქის“ მოსხმა საკუთარი ბუნების ღალატის ხარჯზე. დაწერეთ, რა რჩევას მისცემდა ღამურა თაგვს, დაუჯერებდა თუ არა თაგვი მის ნათქვამს.

<u>დავალების შეფასების სქემა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	აღწერილობა	მაქს. ქულა
1. დავალების პირობის ადეკვატური გაგება	ნამუშევარში რეალიზებულია მოცემული სიტუაცია: აღწერილია ღამურასა და თაგვის შეხვედრა ნანგრევებში.	**2**
2. იდეური კავშირი (ღამურას რჩევა)	ღამურას რჩევა ლოგიკურად ეფუძნება აკაკის ლექსის დედააზრს - ის საკუთარ მწარე გამოცდილებაზე დაყრდნობით აფრთხილებს თაგვს „სხვისი ქურქის“ მორგების დამღუპველ გზაზე.	**3**
3. პერსონაჟის რეაქცია (თაგვის არჩევანი)	მკაფიოდ და საინტერესოდაა ნაჩვენები თაგვის პოზიცია: დაუჯერა თუ არა მან ღამურას (მისი ფიქრები, არგუმენტები ან ემოციები).	**3**
4. ენობრივი გამართულობა და სტილი	ტექსტი დაწერილია მხატვრული სტილით (მოთხრობის ან დიალოგის ფორმით), აზრები თანმიმდევრულია და დაცულია მართლწერის წესები.	**2**

- **9-10 ქულა:** დავალება სრულყოფილადაა შესრულებული. დიალოგი ან თხრობა საინტერესოა, ღამურას რჩევა ემოციური და დამაჯერებელია (ჩანს პერსონაჟის

სინანული), ხოლო თაგვის რეაქცია (დაჯერება თუ გაჯიუტება) კარგადაა დასაბუთებული.

- **7-8 ქულა:** მოსწავლემ ყველა პირობა შეასრულა, თუმცა პერსონაჟების მსჯელობა ოდნავ ზედაპირულია ან ტექსტში გვხვდება მცირე სტილისტური ხარვეზები.
- **5-6 ქულა:** ნაწერის მოცულობა არ არის საკმარისი სათქმელის დამაჯერებლად გადმოსაცემად. ღამურას რჩევა ან თაგვის რეაქცია მხოლოდ ერთი მშრალი წინადადებითაა გადმოცემული. სჭარბობს უბრალო აღწერა და აკლია მხატვრული განვითარება.
- **3-4 ქულა:** დავალების პირობა ნაწილობრივ დარღვეულია (მაგალითად, ღამურა საერთოდ არ აძლევს რჩევას ან თაგვის პასუხი გამოტოვებულია). ხშირია ენობრივი ხარვეზები.
- **1-2 ქულა:** ნაწერი არ შეესაბამება დავალების მითითებებს.

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“ (ეზოპეს იგავ-არაკის „ფრინველები, მხეცები და ღამურა“ მიხედვით):</u>

თქვენი აზრით, რატომ ემხრობოდნენ ღამურები ხან ერთ, ხან მეორე მხარეს? რისი მიღწევა უნდოდათ ამით?

კომენტარი: ეზოპეს იგავ-არაკის მიხედვით, ღამურები ხან ერთ და ხან მეორე მხარეს იმიტომ ემხრობოდნენ, რომ ისინი იყვნენ მედროვეები და უპრინციპოები. ამ საქციელით მათ ორი ძირითადი მიზნის მიღწევა უნდოდათ: 1. საკუთარი ტყავის გადარჩენა - მათ არ სურდათ დამარცხებულის მხარეს აღმოჩენილიყვნენ და ომის მსხვერპლად ქცეულიყვნენ. როგორც კი რომელიმე მხარე დაწინაურდებოდა, უსაფრთხოების მიზნით მაშინვე მისკენ გადავიდოდნენ. 2. გამორჩენა - სარგებლობა სხვისი სიძლიერით. მათ სურდათ, ყოველგვარი რისკისა და თავგანწირვის გარეშე, მუდამ გამარჯვებულის მხარეს ყოფილიყვნენ, რათა ომის დასრულების შემდეგ გამარჯვებულის ტრიუმფითა და ნადავლით ესარგებლათ. საბოლოოდ, ამ ვერაგობამ და ორპირობამ მათ საპირისპირო შედეგი მოუტანა - ორივე მხარის ნდობა დაკარგეს და სამუდამო დევნილობით დაისაჯნენ. არსებობენ ამ ტიპის მედროვე ადამიანებიც. ეს თვისება დიდ სულმდაბლობად, უპრინციპობად და უღირსობად ითვლება.

<u>რუბრიკა „შეადარეთ“:</u>

1. შეადარეთ ერთმანეთს ეზოპეს იგავი და აკაკი წერეთლის ლექსი „ღამურა“. ყურადღება მიაქციეთ ორივე ტექსტის მთავარ სათქმელს და გამოკვეთეთ:

   - ✓ რა არის ეზოპეს იგავის მორალი?
   - ✓ რა არის აკაკის ლექსის დედააზრი?

იმსჯელეთ მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე (ყურადღება გაამახვილეთ ორივე ნაწარმოების დეტალებზე).

კომენტარი: ყურადღება მიაქციეთ ეზოპეს იგავისა და აკაკის ზღაპრის პერსონაჟების მსგავსება-განსხვავებებს და დააკვირდით, რამდენად ახერხებს მოსწავლე თავის

ნაშრომში ამ მსგავსება-განსხვავებების გამოკვეთასა და მათ შესახებ მსჯელობას. გთავაზობთ სინთეზის სავარაუდო სქემას, რომლის მსგავსი გზამკვლევის შექმნა მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად:

შესადარებელი კრიტერიუმი	ეზოპეს იგავის მიხედვით	აკაკის ზღაპრის მიხედვით
ტრანსფორმაციის მიზეზი	ღამურები დაიბადნენ ასეთებად (ანატომიური ორბუნებოვნება) და ამას იყენებენ მედროვეობისთვის.	თაგუნა თავად ინატრებს ფრთებს, რადგან საკუთარი მოდგმა ეზიზღება (ამპარტავნება).
კონტექსტი და სიუჟეტი	მოქმედება ხდება ომის ფონზე. ღამურები ხან ერთ მებრძოლ მხარეს ემხრობიან, ხან - მეორეს, იმისდა მიხედვით, ვინ იმარჯვებს, გადარჩენისა და გამორჩენის მიზნით.	მოქმედება ხდება მშვიდობიანობისას. თაგუნას ამოძრავებს შინაგანი კომპლექსი, სურს საზოგადოებრივი სტატუსის შეცვლა („მაღლა ფრენა“).
პერსონაჟთა მასშტაბი	საუბარია მთელ ღამურების ოჯახზე/მოდგმაზე, როგორც სოციალურ ჯგუფზე.	ფოკუსშია ერთი კონკრეტული პერსონაჟი („უგნური თაგვი“), მისი ინდივიდუალური არჩევანი და ფსიქოლოგია.
მთავარი აქცენტი	გაკრიტიკებულია პოლიტიკურ/სოციალური არასაიმედოობა (ღალატი გაჭირვების ჟამს).	გაკრიტიკებულია ეროვნული ნიჰილიზმი, ღალატი (ასიმილაცია, კოსმოპოლიტიზმი, მშობლიურის დაწუნება).

2. ეზოპესთან ღამურა „მოღალატეა“ (მედროვეა და ორპირობს ომის დროს), აკაკისთან კი ღამურა „გადაგვარების მოსურნეა“ (თავისიანებს იწუნებს). ისაუბრეთ:

- თქვენი აზრით, რომელი უფრო მძიმე დანაშაულია: მედროვეობა და ორპირობა (როგორც ეზოპესთან) თუ საკუთარი ფესვების დაგმობა (როგორც აკაკისთან)? რატომ ფიქრობთ ასე?

<u>დავალების შეფასების რუბრიკა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	აღწერილობა	მაქს. ქულა
1. იდეური არსის გააზრება	მოსწავლეს ზუსტად აქვს ჩამოყალიბებული ეზოპეს იგავის მორალი (მედროვეობა) და აკაკის ლექსის დედააზრი (ფესვების ღალატი).	**2**
2. მსგავსებების ჩვენება	ნაშრომში მკაფიოდ არის გამოკვეთილი საერთო დეტალები (ღამურას სახე, ფინალი, საზოგადოებისგან მოკვეთა).	**2**

3. განსხვავებების ანალიზი	მოსწავლე სწორად აანალიზებს განსხვავებულ დეტალებს (ომის კონტექსტი ეზოპესთან, ნატვრა/შერცხვენა აკაკისთან).	**2**
4. არგუმენტაცია და მსჯელობა	პოზიცია გამყარებულია ტექსტობრივი მაგალითებით ან ლოგიკური მსჯელობით (და არა უბრალო შინაარსის მოყოლით).	**2**
5. სტრუქტურა და ენობრივი ნორმები	ნაშრომი დაყოფილია აბზაცებად (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.	**2**

ქულების გზამკვლევი:

- **9-10 ქულა:** ყველა კრიტერიუმი სრულყოფილადაა შესრულებული, მსჯელობა სიღრმისეულია.
- **7-8 ქულა:** დავალება კარგადაა შესრულებული, თუმცა აკლია ტექსტიდან დეტალების გააზრება ან არის მცირე ენობრივი ხარვეზები.
- **5-6 ქულა:** ნაშრომი ზედაპირულია, მსგავსება-განსხვავებები მხოლოდ ზოგადად არის ნახსენები, სჭარბობს ტექსტის თხრობა.
- **3-4 ქულა:** მოსწავლე ვერ აყალიბებს დედააზრს, ტექსტების შედარება არ არის ლოგიკური, გვხვდება მრავალი ენობრივი ხარვეზი.
- **1-2 ქულა:** დავალება მხოლოდ ფორმალურადაა შესრულებული და არ პასუხობს მითითებებს.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“:</u>

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

დავალება 1. დაწერეთ თხზულება თემაზე: „თანამედროვე ღამურა“, რომელშიც წარმოაჩენთ, რა შეიძლება იყოს „სხვისი ქურქი“ ჩვენი დროის ადამიანის ცხოვრებაში.

- შესავალ ნაწილში ახსენით, რას ნიშნავს „ღამურობა“ (აკაკის ლექსზე დაყრდნობით);
- იმსჯელეთ, როგორები არიან დღევანდელი „ღამურები“ - როგორია მათი დამოკიდებულება მშობლიურ ენასთან, ტრადიციებთან. დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითები;
- ისაუბრეთ, რა შედეგი მოაქვს ადამიანისთვის ასეთ არჩევანს;
- გადმოეცით, როგორ შეიძლება ვისწავლოთ სხვისგან ისე, რომ განვვითარდეთ, წინ წავიდეთ, მაგრამ საკუთარი სახე შევინარჩუნოთ;
- დასკვნაში მოკლედ შეაჯამეთ მსჯელობა.

<u>წერითი დავალების შეფასების სქემა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	აღწერილობა	მაქს. ქულა

1. სტრუქტურა და აკაკის ლექსთან კავშირი (შესავალი და დასკვნა)	მოსწავლე შესავალში ზუსტად განმარტავს „ღამურობის“ არსს აკაკის ტექსტზე დაყრდნობით. თხზულება სტრუქტურულად გამართულია: აქვს მკაფიო შესავალი, ძირითადი ნაწილი და ლოგიკური დასკვნა.	**2**
2. თემის გააზრება (თანამედროვე კონტექსტი და მაგალითები)	მოსწავლე კარგად აანალიზებს, თუ რა არის „სხვისი ქურქი“ დღეს. საინტერესოდ მსჯელობს თანამედროვე „ღამურებზე“, მათ დამოკიდებულებაზე ენასა და ტრადიციებთან და მოჰყავს ადეკვატური, ცხოვრებისეული მაგალითები.	**3**
3. არჩევანის შედეგები	ნაშრომში მკაფიოდ და ლოგიკურადაა ნაჩვენები, თუ რა უარყოფითი შედეგები (პიროვნული კრახი, გარიყულობა, იდენტობის დაკარგვა) მოაქვს ადამიანისთვის საკუთარი ფესვების უარყოფას.	**2**
4. პრობლემის გადაჭრის გზა	მოსწავლე წარმოაჩენს საინტერესო თვალსაზრისს იმაზე, თუ როგორ შეიძლება სხვისგან სწავლა და განვითარება ისე, რომ ადამიანმა შეინარჩუნოს საკუთარი ეროვნული თუ პიროვნული სახე.	**1**
5. ენობრივი გამართულობა, სტილი და წერითი კულტურა	ნაშრომი დაწერილია შესაბამისი (მსჯელობითი) სტილით. აზრები გადმოცემულია თანმიმდევრულად, დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.	**2**

შეფასების გზამკვლევი მასწავლებლისთვის:

- **9-10 ქულა (უმაღლესი დონე):** თხზულება ორიგინალური და სიღრმისეულია. მოსწავლე არ შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით, მოჰყავს ზუსტი მაგალითები (მაგ. ბარბარიზმების ჭარბი გამოყენება, უცხოური მოდური ტენდენციების ბრმა მიბაძვა) და ავითარებს მკაფიო თვალსაზრისს ინდივიდუალიზმის შენარჩუნებაზე. ტექსტი ენობრივად უხარვეზოა.

- **7-8 ქულა (მაღალი დონე):** ნაშრომი უპასუხებს ყველა მოთხოვნას, მსჯელობა ლოგიკურია, სტრუქტურა დაცულია. თუმცა, მაგალითები შეიძლება იყოს ნაკლებად მრავალფეროვანი ან გვხვდებოდეს მცირე სტილისტური და პუნქტუაციური ხარვეზები.

- **5-6 ქულა (საბაზისო დონე):** თხზულება ზედაპირულია. მოსწავლე ძირითადად აკაკის ლექსის შინაარსს იმეორებს და უჭირს თანამედროვეობაზე ვრცლად მსჯელობა. სხვისგან სწავლისა და იდენტობის შენარჩუნების გზები ბუნდოვნადაა ნაჩვენები.

- **3-4 ქულა (საწყისი დონე):** სტრუქტურა დარღვეულია (მაგ. არ აქვს დასკვნა). რამდენიმე პუნქტი საერთოდ გამოტოვებულია (მაგ. არ არის საუბარი ენასა და ტრადიციებზე). ხშირია ენობრივი ხარვეზები.

- **1-2 ქულა (საწყისი დონე):** მოსწავლე შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტული წინადადებით, რომელებიც ვერ ქმნის ერთიან თხზულებას და არ უპასუხებს დავალების მითითებებს.

დავალება 2. დაწერეთ თხზულება: „გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია“.

იმსჯელეთ:

- ნიშნავს თუ არა საკუთარი წარმომავლობის ერთგულება იმას, რომ ადამიანს არ აქვს განვითარებისა და „მაღლა ფრენის“ უფლება;
- რა არის ის მთავარი, რაც ადამიანმა უნდა შეინარჩუნოს იმისთვის, რომ წინსვლა-განვითარების დროს საკუთარი ვინაობა არ დაკარგოს;
- თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითები (წიგნებიდან, ფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან).

<u>დავალების შეფასების სქემა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	აღწერილობა	მაქს. ქულა
1. დავალების პირობის ადეკვატური გააზრება და მთავარი სათქმელი	მოსწავლე ადეკვატურად განმარტავს სათაურის არსს. მსჯელობს იმაზე, რომ ფესვების ერთგულება არ ნიშნავს განვითარების აკრძალვას და უპასუხებს კითხვას: აქვს თუ არა ადამიანს „მაღლა ფრენის“ უფლება.	**2**
2. იდენტობის შენარჩუნების ფაქტორები	ნაშრომში მკაფიოდ და არგუმენტირებულადაა ნაჩვენები, თუ რა არის ის უმთავრესი ღირებულებები (მშობლიური ენა, ფასეულობები, ზნეობა, ისტორიული მეხსიერება), რომლებიც ადამიანმა წინსვლისას უნდა შეინარჩუნოს.	**2**
3. არგუმენტირება და კონტექსტუალური მაგალითები	მოსწავლის პოზიცია მყარია და დასაბუთებულია მრავალფეროვანი მაგალითებით (მხატვრული ლიტერატურიდან, ფილმებიდან ან რეალური ცხოვრებიდან/ისტორიიდან).	**3**
4. ნაშრომის სტრუქტურა და ლოგიკა	თხზულება სტრუქტურულად გამართულია: აქვს მკაფიო შესავალი, დაყოფილია აბზაცებად, გამოკვეთილია ძირითადი ნაწილი და შემაჯამებელი დასკვნა. აზრები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს.	**1**
5. ენობრივი ნორმები და სტილი	დაცულია ქართული ენის მორფოლოგიური, სინტაქსური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური წესები. ტექსტი დაწერილია შესაბამისი (მსჯელობითი) სტილით.	**2**

შეფასების გზამკვლევი ქულების დიფერენციაციისთვის:

- **9-10 ქულა (უმაღლესი დონე):** ნაშრომი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებით. მოსწავლე კარგად მიჯნავს ერთმანეთისგან „პროგრესულ განვითარებას“ და „ბრმა გადაგვარებას“. მოყვანილი მაგალითები ზუსტია და ორგანულად ერწყმის მსჯელობას. ტექსტი ენობრივად სრულყოფილია.
- **7-8 ქულა (მაღალი დონე):** თხზულება უპასუხებს ყველა კრიტერიუმს. პრობლემა გააზრებულია, მოყვანილია მაგალითებიც, თუმცა მსჯელობას აკლია მცირე

დამაჯერებლობა ან მაგალითები ზედაპირულადაა დაკავშირებული თემასთან. არის უმნიშვნელო ენობრივი ხარვეზები.

- **5-6 ქულა (საბაზისო დონე):** თხზულება ძირითადად ზოგად ფრაზებს ეყრდნობა. მოსწავლეს უჭირს იმის ჩამოყალიბება, თუ კონკრეტულად რა უნდა შეინარჩუნოს ადამიანმა ვინაობის გადასარჩენად. მაგალითები მწირია ან საერთოდ არ არის მოყვანილი.
- **3-4 ქულა (საწყისი დონე):** ნაშრომი არაპროპორციულია (მაგ. მთელი ტექსტი მხოლოდ რომელიმე ფილმის/წიგნის შინაარსის მოყოლაა და არ ჩანს ანალიზი). სტრუქტურა დარღვეულია, აზრები წყვეტილია, ბევრია ორთოგრაფიული შეცდომა.
- **1-2 ქულა (საწყისი დონე):** დაწერილია მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტული წინადადება, რომლებიც ვერ უპასუხებს დავალების პირობებს.

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

ბაქრაძე აკაკი, აკაკი წერეთელი: ტკბილი ოცნება და მწარე სინამდვილე, თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2015, ISBN 978-99940-28-99-3.

ინგოროყვა პავლე, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი - თბილისი, მერანი, 1983

ასათიანი გურამ, სათავეებთან, თბილისი, 1982;

ხინთიბიძე აკაკი, აკაკის ლექსი, თბილისი, 1972;

კოტეტიშვილი ვახტანგ, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბილისი, 1959;

ქიქოძე გერონტი, ნარკვევები, თბილისი, 1941. - გვ. 40-63.

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:</u>

აკაკი წერეთლის მოთხრობები: „კუდაბზიკეთი“, „მესარკე“, „პატრიოტის აღსარება“, „დათუნა გოცირიძე“.

<u>ჭაბუა ამირეჯიბის რომან „დათა თუთაშხიას“ფრაგმენტი „ანდრიევსკის ნაამბობი”</u>

<u>საათების საორიენტაციო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი</u>

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები:
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>მხატვრული ტექსტი</u> **- რომანი, რომანის ფრაგმენტი (ეპიზოდი)** <u>შინაარსობრივი მხარე</u> - თემა, ქვეთემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი (რეალური, წარმოსახვით-ფანტასტიკური); პერსონაჟი (მაგ.: მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და

არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება);

დიალოგი და მისი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ავტორისეული დახასიათება; ავტორისეული პლანი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (მაგ.: ავტორის, პერსონაჟის); სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; ეპიზოდი; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი, გარეგანი);

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, თავი, ქვეთავი, აბზაცი;

ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, სიმბოლო, ირონია); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. თხრობითი ტექსტის მახასიათებლები.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“

მსგავსი ელემენტი: მთავარი იდეა/დედააზრი, თემა, მოტივი, სიუჟეტი, სახე-სიმბოლო; პერსონაჟთა ტიპები, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი მსგავსი სახასიათო ნიშან-თვისებები (მაგ.: პერსონაჟი - შემოქმედი/გმირი/მედროვე/მეამბოხე).

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეს შეუძლია:

- კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება;
- ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით;
- სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით;
- ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.

- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;
- ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
- მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;
- იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას;
- ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
- ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.
- სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტების შედარება მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; იმის ახსნა, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

ნაწარმოების შესახებ:

პრობლემების მიმოხილვა: ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“ იდეურად მრავალშრიანი და ადამიანად ყოფნის ფილოსოფიაზე დამაფიქრებელი წიგნია. რომანი 1971-1972 წლებში ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდებოდა, ხოლო 1973 წელს წიგნად გამოიცა. 1978 წელს ამავე სახელწოდებით ეკრანებზე გამოვიდა 7 სერიისაგან შემდგარი მხატვრული ფილმი (რეჟისორები: გიგა ლორთქიფანიძე და გიზო გაბესკირია, კინოსცენარი თავად რომანის ავტორმა დაწერა, ხოლო მუსიკა ფილმისთვის შექმნეს ბიძინა კვერნაძემ და ჯანსუღ კახიძემ, ფილმში მონაწილეობენ ქართული კინოს აღიარებული ვარსკვლავები: ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე, სესილია თაყაიშვილი, დოდო აბაშიძე, იპოლიტე ხვიჩია, გივი ბერიკაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, გურამ ფირცხალავა, სოფიკო ჭიაურელი, ქეთევან კიკნაძე და სხვები). რომანიც და ფილმიც დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში, რადგან ეს ნაწარმოები გვასწავლის, თუ რა მორალური ორიენტირები და ადამიანური ღირებულებები არის ფასეული და რას უნდა ემსახუროს ადამიანი ცხოვრების გზაზე.

მოცემული ფრაგმენტი, რომელიც დასათაურებულია, როგორც „ანდრიევსკის ნაამბობი“, წარმოაჩენს ადამიანური ბუნებისა და საზოგადოებრივი მორალის კონფლიქტს. ერთი შეხედვით, მარტივი, ყოველდღიური ეპიზოდი - მგზავრობა და მაღაზიის რიგში დგომა - ავტორის ხელში იქცევა ზნეობრივი არჩევანისა და სოციალური

პასუხისმგებლობის სადისკუსიო ველად. ნაწარმოების მთავარი იდეა ბოროტებასთან (ამ შემთხვევაში - თავხედობასთან) ბრძოლის მეთოდების გააზრებაა. დათა თუთაშხიას ქცევა ორ უკიდურესობაზეა აგებული და პირველ ხანებში ანდრიევსკის, მასთან ერთად - მკითხველსაც, პარადოქსულად ეჩვენება: დათა ეტლიდან ჩამოდის, რათა სრულიად უცნობ, დაღლილ გლეხის ქალს დაუთმოს ადგილი და ქალაქამდე მიიყვანოს, მაგრამ მაღაზიაში ჯიუტად უღობავს გზას მასწავლებელ შაფათავას ლამაზ, თუმცა თავხედ ცოლს.

ამ კონტრასტით ავტორი აშიშვლებს უმნიშვნელოვანეს მორალურ პრობლემას: ვინ უწყობს ხელს თავხედებს საზოგადოებაში? თუთაშხიას ფილოსოფია ამომწურავ პასუხს იძლევა - თავხედებად კი არ იბადებიან, არამედ ჩვენ, „ხათრიანი და მორიდებული“ ადამიანები, ვაქცევთ ასეთებად, როდესაც მათ უზრდელობასა და ეგოიზმს მოკრძალება-მორიდების გამო გზას ვუთმობთ. დათას შეფასებით, შაფათავას ცოლის ქცევა მაღაზიაში, როცა ის რიგს არ იკავებს, ყველას ეჯაჯგურება და ცდილობს პირველი იყოს, არც არავისი მორიდება და სირცხვილის გრძნობა არ აქვს, ჰგავს ჭირვეული ბავშვის ქცევას - უმიზეზო ტირილს, რომელსაც თავად ასე ხსნის: „გამდის და ვტირიო“. საზოგადოებრივ მანკიერებათა შორის ეს ერთ-ერთია: დაუსჯელი თავხედობა, რომელიც მერე ჩვევად ექცევა ადამიანს და მას ურცხვ, მოძალადე, თავხედ პიროვნებად აქცევს. თუკი ყველა იფიქრებს, რა ჩემი საქმეა ამ ურცხვი ქალის შეჩერება, აჯობებს, თვალი დავხუჭო, მაინცდამაინც მე რატომ უნდა შემხვდეს უსიამოვნება მასთან დაპირისპირებითო, - სწორედ ამგვარი დამოკიდებულება იწვევს ამ ადამიანის უფრო და უფრო გათავხედებას. დათა ის კაცია, რომელიც ვერასდროს რჩება გულგრილი საზოგადოებაში ფესვმოკიდებული მანკიერებების მიმართ. მას სწამს, რომ, თუ არავინ იბრძოლა უზნეობის შესაჩერებლად, მომავალში ის შეიძლება ზვავივით დაატყდეს თავს საზოგადოების წევრებს.

მხატვრული თავისებურებანი: მხატვრული თვალსაზრისით, ფრაგმენტი აგებულია კონტრასტისა და ფსიქოლოგიური რეალიზმის პრინციპზე. ავტორი იყენებს ანდრიევსკის, როგორც ნეიტრალური დამკვირვებლის, პერსპექტივას, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, გარედან დაინახოს და შეაფასოს სიტუაცია. პერსონაჟთა დახასიათება სხარტი და ზუსტია: სიცივისგან გაცრეცილი გლეხის ქალი იწვევს თანაგრძნობას, ხოლო „შემოცქრიალებული“, „ცანცარა“ შაფათავას ცოლი განასახიერებს ურცხვობას, პრივილეგირებულ თავდაჯერებულობას. დათას დუმილი და შეუვალობა რიგში დგომისას მხატვრულად გადმოსცემს მის შინაგან სიმტკიცეს. ეპიზოდის გვირგვინია ფრაზა: „მისთვის მოვიქეცი ასე, ჩემთვის არ მოვქცეულვარ!“, რაც „თავზეხელაღებულ ალტრუიზმად“ აღიქვა დათას თანამგზავრმა. დათას ალტრუიზმი არ არის ტკბილი, მაამებლური და დამთმობი; ის არის მკაცრი, აღმზრდელობითი და მიმართულია ადამიანის გადარჩენისკენ. რომანის ძლიერი მხარეა პერსონაჟთა პორტრეტების ოსტატურად ძერწვა.

ამგვარად, ჭაბუა ამირეჯიბი ამ ეპიზოდით გვასწავლის, რომ ნამდვილი სიკეთე ხანდახან სიმკაცრეს მოითხოვს. ბრმად დათმობა და დანებება ბოროტების წინაშე სინამდვილეში ამავე ბოროტებაში თანამონაწილეობაა. საზოგადოების სიჯანსაღე დამოკიდებულია თითოეული ჩვენგანის აქტიურ პოზიციაზე - მივუთითოთ თავხედს თავხედობაზე, ვამხილოთ, რათა მას დაფიქრებისა და გამოსწორების შესაძლებლობა მივცეთ.

წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები:

- როგორ გესმით სიტყვა „ალტრუიზმი“? რა თვისებები აქვს ალტრუისტ ადამიანს?
- თქვენი აზრით, ყოველთვის ადვილია სიკეთის კეთება? მოითხოვს თუ არა ის ხანდახან პირადი კომფორტის დათმობას? (შეგიძლიათ მცირე მაგალითი გაიხსენოთ ცხოვრებიდან).
- უნდა იყოს თუ არა სიკეთე მუდამ რბილი და დამთმობი, თუ შეიძლება ის ზოგჯერ მკაცრიც აღმოჩნდეს?
- წარმოიდგინეთ სიტუაცია: დგახართ რიგში (მაღაზიაში, აფთიაქში, ბანკში) და ვინმე ცდილობს, ყველას გვერდი აუაროს და ურიგოდ გაძვრეს წინ. როგორია თქვენი რეაქცია? რას აკეთებს ხოლმე ამ დროს ხალხი?
- როგორ ფიქრობთ, რატომ ხდებიან ადამიანები თავხედები? ისინი ასეთებად იბადებიან, თუ გარემო და საზოგადოება აყალიბებს მათ?
- თუ თავხედ ადამიანს არ ვამხელთ, ამით მას ვეხმარებით თუ ვავნებთ? თქვენი აზრი დაასაბუთეთ.
- როგორ გესმით გამოთქმა „დათვური სამსახური“? შეიძლება თუ არა, რომ სხვისი შეცოდებით ან ხათრით, სინამდვილეში, ცუდი საქმე გავუკეთოთ მას?
- რას ნიშნავს, გქონდეს მყარი, პრინციპული პოზიცია ცხოვრებაში? რატომ არის მნიშვნელოვანი, არ დავხუჭოთ თვალი თუნდაც წვრილმან უსამართლობაზე?

რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“:

1. როგორ დაეხმარა დათა შუახნის ქალს? დათას რა თვისებაზე მეტყველებს მისი ქცევა?

კომენტარი: დათა თუთაშხია გზად მიმავალ, დაღლილ, დასველებულ და სიცივისგან გაცრეცილ შუახნის ქალს სიხარულით დაეხმარა - ის კედიას ორადგილიან ეტლში დასვა და მაზრაში ჩაიყვანა, თავად კი გზის დარჩენილი ნაწილი ფეხით გაიარა. დათას ეს ქცევა მის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს თვისებაზე მეტყველებს: **უანგარო სიკეთე და თანაგრძნობა**: მას შეუძლია სხვისი გაჭირვება (სიცივე, დაღლილობა) საკუთარივით განიცადოს და უცნობის დასახმარებლად წავიდეს. **რაინდობა და კეთილშობილება**: ის საკუთარ ფიზიკურ კომფორტზე წინ სხვის საჭიროებას აყენებს და არ თაკილობს იმას, რომ სხვისი გადარჩენის გამო თავად ფეხით მოუწიოს სიარული.

2. ტექსტზე დაყრდნობით ახსენით, რატომ უწოდებს ანდრიევსკი შაფათავას ცოლს „ცანცარას“?

კომენტარი: ანდრიევსკი შაფათავას ცოლს „ცანცარას“ უწოდებს მისი თავნებობის, სხვების მიმართ უპატივცემულობისა და არასერიოზული, ეგოისტური ქცევის გამო. მისი ეს თვისებები ეპიზოდში რამდენიმე კონკრეტულ დეტალში ვლინდება: 1. რიგისა და წესების იგნორირება: იგი მაღაზიაში უბრალოდ კი არ შემოდის, არამედ „შემოცქრიალდება“ და ყოველგვარი მორიდების გარეშე, „გასწი-გამოსწევს“ იქ მდგომ ხალხს, რათა რიგის გვერდის ავლით პირდაპირ დახლთან მივიდეს. 2. ჯიუტი და უტიფარი საქციელი:

მიუხედავად იმისა, რომ დათა თუთაშხია წინ გადაუდგა და გზას არ უთმობდა, ქალი მაინც „არ ცხრებოდა“, დაჟინებით ეჯაჯგურებოდა მას და ძალის გამოყენებით ცდილობდა მიზნის მიღწევას, რაც მის უკულტურობასა და ხასიათის სიმსუბუქეზე (ცანცარობაზე) მეტყველებს.

3. თქვენი აზრით, რატომ მოატანინა დათამ ნოქარს საქონელი რიგში უკან მდგომი ქალისთვის?

კომენტარი: დათამ ნოქარს საქონელი რიგში უკან მდგომი ქალისთვის იმიტომ მოატანინა, რომ საზოგადოებრივი სამართლიანობა ბოლომდე დაეცვა და წესის დამრღვევისთვის ყოველგვარი შესაძლებლობა წაერთმია. დათას ეს ქმედება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურებოდა. მას სურდა პოზიციის გამაგრება და უსამართლობის აღკვეთა. მას შემდეგ, რაც დათამ და ანდრიევსკიმ თავიანთი საქონელი იყიდეს, დათას ადგილი რომ დაეთმო, მისი წასვლისთანავე შაფათავას ცოლი მაინც ურიგოდ მივიდოდა ნოქართან. დათა დახლთან იდგა მანამ, სანამ მის ზურგს უკან მდგომმა ქალმა არ მიიღო კუთვნილი მომსახურება. ეს ასევე იყო დაჩაგრულის მხარდაჭერა. ამ ჟესტით თუთაშხიამ დაიცვა იმ ადამიანის უფლება, რომელიც კეთილსინდისიერად იდგა რიგში და თავისი მორიდებულობის გამო თავხედ ქალბატონს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. და ბოლოს: ეს გახლდათ აღმზრდელობითი გაკვეთილი შაფათავას თავხედი ცოლისთვის. დათამ ქალს დაანახვა, რომ წესების დარღვევით მიზანს ვერ მიაღწევდა და იძულებული იქნებოდა, დალოდებოდა ყველას, ვინც მასზე ადრე მოვიდა. ეს იყო თუთაშხიას „თავზეხელაღებული ალტრუიზმის“ გამოვლინება - ბრძოლა არა საკუთარი ინტერესების, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

4. რატომ გაუკვირდა ანდრიევსკის დათას უხეშობა თუ გაჯიუტება?

კომენტარი: ანდრიევსკი ხედავდა, როგორ ზრუნავდა დათა ადამიანებზე, როგორი დამთმობი იყო. თავად ფეხით იარა, რომ შუახნის დაღლილი ქალი ეტლით მიეყვანა მაზრამდე. ამიტომაც ანდრიევსი ვერ მიხვდა, რატომ კატეგორიულად არ დაუთმო რიგი მაღაზიაში დათამ შაფათავას ცოლს.

5. როგორ გესმით დათას ფრაზა: „მისთვის მოვიქეცი ასე, ჩემთვის არ მოვქცეულვარ!“? რატომ მიიჩნევს დათა, რომ გზის გადაღობვით ის ახალგაზრდა ქალს ეხმარებოდა?

კომენტარი: დათა არ არის პირად კეთილდღეობას გამოკიდებული ეგოისტი ადამიანი, მას აწუხებს საზოგადოების სატკივარი, აღელვებს ყოველი კონკრეტული ადამიანის ბედი. მისთვის არაფერს ნიშნავდა მაღაზიის რიგში დაკარგული რამდენიმე წუთი და შაფათავას ცოლის ურიგოდ გატარება, მაგრამ დაინახა ამ ადამიანის უდიდესი მორალური პრობლემა და გადაწყვიტა მას დახმარებოდა, შეეგნებინებინა, თუ რამდენად მიუღებელი იყო ამგვარი ქცევა. როგორც ჩანს, ამ ქალს ვერავინ უბედავდა შეჩერებას, ყველა ერიდებოდა თავხედ ადამიანთან დაპირისპირებას, მაგრამ დათა კეთილშობილი ადამიანი იყო და თავი შეიწუხა ამ ქალის სინდისის გამოსაღვიძებლად.

6. დათას აზრით, რა აყალიბებს ადამიანს თავხედად? რა პასუხისმგებლობა გვეკისრება სხვების „გათავხედებასა“ ან „გაკეთილშობილებაში“?

კომენტარი: დათას აზრით, ადამიანს თავხედად საზოგადოების მხრიდან მისი თავნებობის მოთმენა, დათმობა და „შერჩენა“ აყალიბებს. როდესაც კაცი ერთხელ ჩადენილ თავხედობაზე მორიდებული ადამიანებისგან წინააღმდეგობას ვერ ხედავს, ის ხვდება, რომ უზნეობა ცხოვრებას აადვილებს და ასე აგრძელებს თავხედობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვეკისრება მორალური პასუხისმგებლობა: სხვის თავხედობაზე თვალის დახუჭვით, უმოქმედობით, გულგრილობით, ჩვენ მის „გათავხედებას“ ვუწყობთ ხელს (ვუწევთ „დათვურ სამსახურს“), ხოლო მტკიცე წინააღმდეგობითა და უსამართლობის აღკვეთით ადამიანს ვაიძულებთ, უარი თქვას მანკიერებაზე, დაფიქრდეს და ზნეობრივად მოიქცეს.

7. იზიარებთ თუ არა დათას თვალსაზრისს? რატომ?

კომენტარი: დათა თუთაშხიას თვალსაზრისი გასაზიარებელია, რადგან საზოგადოებრივი მორალი სწორედ ურთიერთპასუხისმგებლობაზე დგას. ჩვენ შეგვიძლია აღვკვეთოთ და არ წავახალისოთ ბოროტება. დათმობა და ხათრი ყოველთვის სიკეთე არ არის. როდესაც საზოგადოება დუმს ან გზას უთმობს თავხედობას, ის უნებლიეთ ბოროტების თანამონაწილე ხდება. დაუსჯელობის სინდრომი ადამიანს უბიძგებს, მანკიერი ქცევა ნორმად აქციოს. უკომპრომისო წინააღმდეგობა თავხედს აიძულებს, დაინახოს სხვების უფლებები და ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ წესრიგს. ეს არის ერთადერთი გზა, რათა ადამიანმა გააცნობიეროს საკუთარი შეცდომები და შეიცვალოს. დათას პოზიცია გვაჩვენებს, რომ ნამდვილი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა არა უმოქმედობაში, არამედ სამართლიანობის აქტიურ დაცვაშია, რაც საბოლოოდ უსინდისო, თავხედი ადამიანის გაკეთილშობილებას ემსახურება.

8. როგორ შეიცვლებოდა თქვენი შთაბეჭდილება, ეს ამბავი თავად დათა თუთაშხიას რომ მოეყოლა და არა - ანდრიევსკის? კითხვაზე პასუხის გასაცემად დაფიქრდით: რა განსხვავებაა, როდესაც ადამიანი საკუთარ თავზე ჰყვება და როდესაც მასზე სხვა გვიყვება; რომელია უფრო სანდო და რატომ?

კომენტარი: ეს ამბავი თავად დათა თუთაშხიას რომ მოეთხრო, მკითხველის შთაბეჭდილება რადიკალურად შეიცვლებოდა და ნაწარმოები დაკარგავდა იმ სანდოობასა და ხიბლს, რომელიც მას ანდრიევსკის პერსპექტივამ შესძინა. როდესაც ადამიანი საკუთარ კეთილშობილურ ქმედებებზე (მაგალითად, გლეხის ქალის დახმარებაზე) თავადვე საუბრობს, ეს ხშირად ტრაბახად აღიქმება. დათასგან ამბის მოსმენა დააკნინებდა მისი, როგორც თავმდაბალი, ბუნებით რაინდი კაცის სახეს. ანდრიევსკის ნაამბობში ჩვენ ვხედავთ გარეშე თვალის გაოცებას. ის თავიდან ვერ ხვდება დათას მოტივს, აკრიტიკებს მას და სწორედ ეს გაუგებრობა ქმნის ინტრიგას. დათას თავად რომ აეხსნა თავისი მოქმედება, ტექსტი დაემსგავსებოდა გამაღიზიანებელ მორალისტობას ან ლექციას ზნეობაზე. სხვისი (ანდრიევსკის) მონათხრობი გაცილებით უფრო სანდოა. როდესაც პერსონაჟის სიკეთესა და პრინციპულობაზე ნეიტრალური, გარეშე დამკვირვებელი გვიამბობს, ჩვენ გვჯერა ამ ამბის, რადგან მთხრობელს არ აქვს პირადი ინტერესი, დათა

გმირად წარმოაჩინოს. ანდრიევსკის გაკვირვება და დაეჭვება („ამ თავზეხელაღებულმა ალტრუიზმმა დამაეჭვა“) მკითხველისთვის აბსოლუტურად რეალისტური და შთამბეჭდავია.

რუბრიკა „დააკვირდით“:

- დააკვირდით ფრაზას: „ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებსო? გამდის და ვტირიო!“. ამ ხალხური სიბრძნით დათა ხსნის, რომ თავხედობა მაშინ იჩენს თავს, როდესაც მას წინააღმდეგობა არ ხვდება. როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა „ხათრიანობასა“ და იმგვარ „მორიდებულობას“, თავშეკავებას შორის, რომელიც ადამიანებს თავხედობის გამოვლენის საშუალებას აძლევს? თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ არც ზრდილობა დაკარგოს და არც სხვისი უზნეობის ხელშემწყობი გახდეს?

კომენტარი: ფრაზა „გამდის და ვტირიო“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნებისმიერი მანკიერება (თუნდაც თავხედობა) საზოგადოებაში მხოლოდ იმიტომ იკიდებს ფეხს, რომ მას გარშემომყოფები მდუმარედ ეგუებიან. დათა თუთაშხიას ეს დაკვირვება გვაიძულებს, დავფიქრდეთ ჩვენს ყოველდღიურ არჩევანზე: სად გადის ზღვარი? როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა ჯანსაღ, პატივისცემაზე დაფუძნებულ „ხათრიანობასა“ და იმგვარ „მორიდებულობას“ (ან გულგრილობას) შორის, რომელიც სხვას უსამართლობის ჩადენას უადვილებს? ოქროს შუალედის პოვნა შესაძლებელია. როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი რეალურ ცხოვრებაში, რომ, ერთი მხრივ, არ დაკარგოს ზრდილობა და თავაზიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი დუმილით სხვისი უზნეობის ხელშემწყობი (თანამონაწილე) არ გახდეს? როცა ვატყობთ, რომ ადამიანის უზნეობა სცდება მისი პირადი სივრცის ფარგლებს და ხდება საზოგადოების სხვა წევრებისთვის დამაზიანებელი, უნდა გვეყოს პასუხისმგებლობა და გამბედაობა, რომ წინ აღვუდგეთ, ვამხილოთ, მივცეთ შენიშვნა, სხვებიც დავაფიქროთ ამ მოვლენის სიმახინჯეში და ავიყოლიოთ სხვებიც, რომ მათაც იბრძოლონ უზნეობის წინააღმდეგ. როცა საზოგადოება ფხიზელია და ჯანსაღი რეაქცია აქვს ბოროტების გამოვლინებაზე, ამით ის ხელს უწყობს მანკიერებების აღმოფხვრას.

- დააკვირდით დათას სიტყვებს: „თვითონ კი არ ხდებიან, ჩვენ ვაქცევთ თავხედებად“. როგორ ფიქრობთ, როდის ვართ ჩვენ დამნაშავეები სხვის ცუდ საქციელში?

კომენტარი: დათას სიტყვები უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ სიმართლეს აშიშვლებს: ჩვენ მაშინ ვართ დამნაშავეები სხვის ცუდ საქციელში, როდესაც ჩვენი დუმილით, გულგრილობით ან გადაჭარბებული ხათრიანობით უსამართლობასა და თავნებობას გზას ვუთმობთ. ბოროტება წახალისდება დუმილით: როდესაც ვხედავთ, რომ ვინმე წესებს არღვევს, სხვას ჩაგრავს ან უტიფრად იქცევა და ჩვენ ხმას არ ვიღებთ („თავმოყვარეობის“, „მშვიდობის შენარჩუნების“ ან „სხვის საქმეში ჩაურევლობის“ მოტივით), ამით უზნეო ადამიანს ვუდასტურებთ, რომ მისი ქცევა ნორმალური და მისაღებია. თავხედი ადამიანისთვის გზის დათმობა სინამდვილეში მისივე დაღუპვა,

„დათვური სამსახურის“ გაწევაა. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ, რომ დათმობით „კარგ საქციელს“ ჩავდივართ, სინამდვილეში ამით მას წავახალისებთ: *„თავხედობა ცხოვრებას აადვილებს“.* შესაბამისად, ჩვენ ვხდებით თანამონაწილე იმისა, რომ ეს ადამიანი „სიკვდილამდე თავხედი იქნება“. მაშინ ვართ დამნაშავეები, როდესაც დამნაშავეს არ ვამხელთ. უსამართლობისთვის წინააღმდეგობის გაუწევლობა მისივე წახალისების ტოლფასია.

- დააკვირდით დათა თუთაშხიას ორ განსხვავებულ საქციელს: ერთ შემთხვევაში, ის უცნობ ქალს საკუთარ ადგილს უთმობს ეტლში, მერე თავაზიანად ეხმარება საქონლის არჩევაში რიგში უკან მდგომ ქალს; მეორე შემთხვევაში კი, შაფათავას ცოლს რიგს არაფრით არ უთმობს. თქვენი აზრით, როგორ განასხვავებს დათა, ვის სჭირდება დახმარება და ვის - ჭკუის სწავლება? ახსენით ტექსტზე დაყრდნობით.

კომენტარი: დათა თუთაშხია ადამიანებსა და მათ ქცევას არა სოციალური სტატუსის, არამედ მათი შინაგანი კეთილსინდისიერებისა და მოტივაციის მიხედვით განასხვავებს. ის ზუსტად ხვდება, ვის სჭირდება თანაგრძნობა და ვის - ჭკუის სწავლება: დათა ეხმარება მათ, ვინც ბუნებრივად დაუცველია ან პატიოსნად იცავს საზოგადოებრივ წესებს. გზად მიმავალი შუახნის ქალი არის „დაღლილი, სველი, სიცივისგან გაცრეცილი“ - მისი მდგომარეობა რეალურ გაჭირვებაზე მეტყველებს და დათა ამიტომაც ეხმარება. მეორე შემთხვევაში, რიგში უკან მდგომი ქალი კეთილსინდისიერად ელოდება თავის ჯერს. დათა ხედავს, რომ ეს ქალი თავისი „ზნეობრივი მონაცემებიდან გამომდინარე“ ხათრიანია და თავხედობას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, ამიტომ მის უფლებებს თავად იცავს. დათა მკაცრია მათ მიმართ, ვისაც ამოძრავებს ეგოიზმი, პრივილეგირებულობის განცდა და სხვებისადმი უპატივცემულობა. შაფათავას ცოლი მაღაზიაში ხალხს „მოურიდებლად გასწი-გამოსწევს“ - ის არ არის გაჭირვებული, ის უბრალოდ „ტუტუცია“, თავხედია და ჰგონია, რომ სილამაზის ან სტატუსის გამო ყველაფერი ეპატიება. თუთაშხია სწორად მიჯნავს. ვინც წესებს ემორჩილება და მორიდებულია, მას დაცვა და ხელის შეწყობა სჭირდება, ხოლო ვინც წესებზე მაღლა აყენებს თავს და გარშემომყოფებს არაფრად აგდებს, მას მტკიცე კედელი უნდა დახვდეს, რათა მიხვდეს, რომ „თავხედობით ცხოვრების გაადვილების“ უფლებას არ მისცემენ.

რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“:

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. წარმოსახვითი სიტუაცია - წარმოიდგინეთ და წერილობით აღწერეთ სიტუაცია (მაგ.: ავტობუსში, სკოლის ბუფეტში), როდესაც ვინმე წესრიგს არღვევს. გადმოეცით: სად ხართ, როგორ მოიქცა წესის დამრღვევი; როგორია თქვენი რეაქცია - როგორ მოიქცევით? რას ეტყვით?

გაითვალისწინეთ: თქვენი უფლება და ღირსება უნდა დაიცვათ ისე, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენოთ სხვას, თუნდაც ის წესრიგს არღვევდეს, უსაქციელობას სჩადიოდეს.

დავალების შეფასების რუბრიკა:

შეფასების კრიტერიუმები	აღწერილობა	მაქს. ქულა
1. სიტუაციის აღწერა	ნაშრომში მკაფიოდ და რეალისტურადაა აღწერილი გარემო (ავტობუსი, ბუფეტი და სხვ.) და წესის დამრღვევის კონკრეტული ქმედება.	**2**
2. რეაგირება და აქტიური პოზიციის გამოხატვა	ნათლად არის ნაჩვენები კონკრეტული საპასუხო ქმედება და გამოხატულია პოზიცია.	**3**
3. ეთიკურობა და ღირსების დაცვა	მოსწავლე იცავს საკუთარ/სხვის უფლებებსა და ღირსებას ზრდილობის ფარგლებში; არ უპასუხებს აგრესიით, არ აყენებს შეურაცხყოფას წესის დამრღვევს.	**3**
4. ენობრივი გამართულობა და სტრუქტურა	ტექსტი სტრუქტურულად შეკრულია, აზრები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს და დაცულია მართლწერის წესები.	**2**

2. პერსონაჟის დღიური - დაწერეთ ჩანაწერი შაფათავას ცოლის დღიურისთვის, რომელშიც აღწერილი იქნება დათასთან შეხვედრა. გადმოეცით ამ პერსონაჟის პირით: როგორი განწყობით შეხვედით მაღაზიაში; რატომ გეგონათ, რომ რიგში არ უნდა ჩამდგარიყავით; რა იგრძენით: ბრაზი, წყენა თუ გაოცება, როდესაც უცნობმა კაცმა რიგი არ დაგითმოთ; რა დასკვნა გამოიტანეთ ამ შემთხვევიდან - უზრდელობა იყო ეს თუ მკაცრი გაკვეთილი; როგორ მოიქცევით მომავალში - შეიცვლით თუ არა ქცევას და რატომ.

<u>დავალების შეფასების რუბრიკა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	აღწერილობა	მაქს. ქულა
1. დავალების პირობის ადეკვატური გაგება (დღიურის ფორმატი)	ნამუშევარი დაწერილია პირველ პირში („მე“ პერსპექტივით). ტექსტს ახლავს დღიურის აუცილებელი ატრიბუტები (მაგ.: თარიღი/დრო და სხვ.).	**1 ქულა**
2. თავდაპირველი განწყობა და მოტივაცია	მკაფიოდ არის გადმოცემული პერსონაჟის შინაგანი მდგომარეობა მაღაზიაში შესვლისას (ამპარტავნება, სილამაზით გამოწვეული თავდაჯერებულობა) და დასაბუთებულია, თუ რატომ ეგონა, რომ რიგის დარღვევის უფლება ჰქონდა.	**2 ქულა**
3. ემოციური რეაქცია ინციდენტზე	ემოციურადაა აღწერილი შეხვედრა დათასთან; გადმოცემულია პერსონაჟის განცდები (ბრაზი, წყენა თუ გაოცება), როდესაც მის თავხედობას მტკიცე წინააღმდეგობა დახვდა.	**2 ქულა**
4. შემთხვევიდან გამოტანილი დასკვნა	პერსონაჟის პირით გაანალიზებულია მომხდარი ფაქტი - მიიჩნევს მას უბრალო უზრდელობად თუ ხვდება, რომ ეს იყო მკაცრი მორალური გაკვეთილი.	**2 ქულა**

5. მომავლის ხედვა და პიროვნული ტრანსფორმაცია	ნაჩვენებია პერსონაჟის სამომავლო გეგმა: შეიცვლის თუ არა ის ქცევას საზოგადოებაში და რატომ (მყარი არგუმენტაციით).	**2 ქულა**
6. ენობრივი გამართულობა და სტილი	დაცულია თხრობის ლოგიკური თანმიმდევრობა. ენა არის პერსონაჟის ხასიათის შესაფერისი (ემოციური, ინდივიდუალური). დაცულია მართლწერის წესები.	**1 ქულა**

<u>რუბრიკა „იმსჯელეთ“:</u>

- იმსჯელეთ, რატომ სჭირდება თავხედობას პასუხი. მოიყვანეთ მაგალითები ცხოვრებიდან, როცა ვინმე თავხედობისთვის არ დაისაჯა (არავინ მიუთითა) და ამან ის უფრო გაათამამა.

კომენტარი: თავხედობას პასუხი იმიტომ სჭირდება, რომ დაუსჯელობა და საზოგადოების დუმილი მანკიერ ქცევას ნორმად აქცევს. როდესაც უზნეობას წინააღმდეგობა არ ხვდება, ადამიანი რწმუნდება, რომ ეგოიზმითა და სხვების იგნორირებით ცხოვრებაში უფრო მარტივად მიაღწევს მიზანს, რაც საბოლოოდ მის სრულ გადაგვარებას იწვევს. როდესაც რომელიმე მოსწავლე კლასელს სისტემატურად აბულინგებს ან ნივთებს ართმევს, გარშემომყოფები კი ხათრის, შიშის ან გულგრილობის გამო ხმას არ იღებენ, ეს მას უფრო ათამამებს. ის ხედავს საკუთარ ძალაუფლებას და დროთა განმავლობაში მისი აგრესია უფრო სასტიკ ფორმებს იღებს. საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან სუპერმარკეტის სალაროსთან, როცა ახალგაზრდა, ფიზიკურად ძლიერი ადამიანი რიგს უტიფრად არღვევს ან მოხუცს ადგილს არ უთმობს და ხალხი დუმს, ეს მას უმყარებს განცდას, რომ წესები მასზე არ ვრცელდება. მომავალში ის კიდევ უფრო უხეშად დაარღვევს სხვების უფლებებს. თავხედობისთვის ჯანსაღი, ზრდილობიანი, მაგრამ მყარი საზღვრების დაწესება აუცილებელია არა მხოლოდ დაჩაგრულის დასაცავად, არამედ თავად დამრღვევის გამოსასწორებლად, რათა მან დროულად გააცნობიეროს თავისი ქმედების სიმახინჯე.

- როგორც უკვე იცით, ალტრუიზმი არის სხვისთვის სიკეთის კეთება ისე, რომ არაფერს ელი სამაგიეროდ. მოიყვანეთ ალტრუიზმის მაგალითები რეალური ცხოვრებიდან, წიგნებიდან, ფილმებიდან. იმსჯელეთ, რატომ მიგაჩნიათ ეს მაგალითები ალტრუიზმის გამოხატულებად. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

კომენტარი: ალტრუიზმი ნამდვილი, უანგარო სიკეთეა, რომლის დროსაც ადამიანი საკუთარ რესურსს, დროს, ან თუნდაც, სიცოცხლეს სხვების გადასარჩენად გასცემს და სანაცვლოდ არანაირ გამორჩენას არ ელის.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ახალგაზრდა ბრიტანელმა ბანკირმა ნიკოლას ვინტონმა საკუთარი სახსრებითა და სიცოცხლის რისკის ფასად, ნაცისტების მიერ ოკუპირებული ჩეხოსლოვაკიიდან მატარებლებით 669 ებრაელი ბავშვი გამოიყვანა და ბრიტანულ ოჯახებში უსაფრთხოდ დააბინავა. მან ამ გმირული საქმის შესახებ 50 წლის განმავლობაში საკუთარ ცოლსაც კი არაფერი უთხრა. ეს არის უბადლო ალტრუიზმი, რადგან ვინტონს ამ საქმით არც ფინანსური სარგებელი მიუღია და არც პოპულარობა

უძებნია (ათწლეულების განმავლობაში მალავდა ჩანაწერებს). მან უბრალოდ საფრთხეში ჩაიგდო თავი სრულიად უცნობი ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად.

ალტრუიზმის მაგალითია „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილისა და თინათინის თავდადება ტარიელის დასახმარებლად, რომ მან სატრფოს დაბრუნება შეძლოს. საამისოდ ავთანდილი კარგავს წლებს, ტოვებს სამეფოს, სატრფოს, უზრუნველ ცხოვრებას და სახიფათო თავგადასავლებისთვის წირავს თავს.

კინოფილმებიდან ალტრუიზმის საკულტო მაგალითს ვხვდებით სტივენ სპილბერგის ფილმში **„შინდლერის სია“,** რომელშიც ოსკარ შინდლერი მთელ თავის ქონებას, გავლენასა და უსაფრთხოებას სასწორზე დებს, რათა სიკვდილს გამოსტაცოს 1100-ზე მეტი ებრაელი.

- „თავზეხელაღებული ალტრუიზმი“ - ამგვარ შეფასებას აძლევს ანდრიევსკი დათას საქციელს. „თავზეხელაღებულს“ უწოდებენ ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს არ უფრთხილდება, რისკავს თამამად, არავისი არ ერიდება და არ ეშინია. იმსჯელეთ, როგორ შეიძლება გავიგოთ „თავზეხელაღებული ალტრუიზმი“ დათას შემთხვევაში. დაასაბუთეთ მოსაზრება ტექსტზე დაყრდნობით.

კომენტარი: ფრაზა „თავზეხელაღებული ალტრუიზმი“ დათა თუთაშხიას შემთხვევაში ნიშნავს უსაზღვრო სიკეთეს, რომელიც გმირის პირად ინტერესებზე მაღლა დგას. ეს მებრძოლი და აქტიური მიდგომა მიმართულია არა პასიური თანაგრძნობისკენ, არამედ ადამიანის მორალური გადარჩენისა და სამართლიანობის დაცვისკენ. შაფათავას თავხედი ცოლისადმი დათას დამოკიდებულება „თავზეხელაღებული ალტრუიზმია“ იმ გაგებით, რომ ის ცდილობს ამ თავნება ადამიანში გამოაღვიძოს სინდისი, გააზრებინოს საკუთარი მიუღებელი ქცევა. ის ამ დროს არ ფიქრობს საკუთარ თავზე, თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს მას.

- დათას მოსაზრებას ანდრიევსკი პარადოქსს უწოდებს. მისთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ სხვის მიმართ გამოჩენილი სიმკაცრე შეიძლება იმავე ადამიანისთვის სასიკეთო მიზანს ემსახურებოდეს. მოიყვანეთ მაგალითები შემთხვევებისა, როდესაც გარეგნული სიმკაცრის უკან სიკეთე შეიძლება დავინახოთ.

კომენტარი: დათას მოსაზრება იმიტომაა პარადოქსული, რომ ის არღვევს სტერეოტიპს, თითქოს სიკეთე ყოველთვის დამთმობი უნდა იყოს. რეალურ ცხოვრებაში არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც გარეგნული სიმკაცრე, აკრძალვები ან სიმტკიცე, სინამდვილეში, ადამიანის დასაცავად და მისივე კეთილდღეობისთვის გამოიყენება. როდესაც მშობელი პატარა ბავშვს მკაცრად უკრძალავს ფანჯრის რაფაზე ასვლას, დენის წყაროსთან თამაშს, გვიანობამდე გარეთ დარჩენას ან ტკბილეულის ჭარბად მიღებას, ეს ბავშვისთვის შეიძლება „ბოროტებად“ და აგრესიად აღიქმებოდეს. თუმცა, ამ გარეგნული სიმკაცრის უკან დგას სიყვარული და მზრუნველობა. მკაცრი, მომთხოვნი მასწავლებელი, რომელიც ყურადღებას აქცევს მოსწავლის გაცდენებს, არ წერს დაუმსახურებელ ნიშნებს, მკაცრად ითხოვს დავალების შესრულებას და აკონტროლებს დისციპლინას, მოსწავლეებს ხშირად არ მოსწონთ. თუმცა, ეს სიმკაცრე სიკეთეა, რადგან ის ბავშვს აჩვევს შრომას, პასუხისმგებლობას, უვითარებს ნებისყოფას და ამზადებს რეალური ცხოვრებისეული სირთულეებისთვის. ექიმი, რომელიც პაციენტს მკაცრ დიეტას უნიშნავს, უკრძალავს საყვარელი პროდუქტების მიღებას, მავნე ჩვევებს ან აიძულებს მტკივნეული სამედიცინო პროცედურების (ან ოპერაციის) ჩატარებას, გარეგნულად თითქოს ადამიანს ტანჯავს.

სინამდვილეში, ეს სიმკაცრე ერთადერთი გზაა პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად. როგორც დათას შემთხვევაში, ყველა ამ მაგალითში სიმკაცრე მიმართულია არა ადამიანის დასაზიანებლად, არამედ მისი გადარჩენისა და განვითარებისთვის. ხანდახან, როცა ადამიანს მავნე ინსტინქტები (ან თავხედობა) მართავს, რბილი საუბარი არ ჭრის და საჭირო ხდება მკაცრი, შეუვალი მხილება და კრიტიკა.

რუბრიკა „დისკუსია“:

მოაწყვეთ დისკუსია თემაზე: „პასიური სიკეთე თუ აქტიური სამართლიანობა?“

- სხვისთვის ჭკუის სწავლება რა შემთხვევაში ჩაითვლება სიკეთედ და რა შემთხვევაში - თავხედობად?
- რა მოხდებოდა, დათას ახალგაზრდა ქალისთვის შენიშვნა მხოლოდ სიტყვით რომ მიეცა და მოქმედებით არ გაეწია წინააღმდეგობა?
- რატომ მიიჩნევს ანდრიევსკი დათას თვალსაზრისს „ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების მკაფიო გამოვლინებად“?
- ზოგჯერ მშობლები ან მასწავლებლები მკაცრები არიან ჩვენ მიმართ. როგორ ახსნით მათ სიმკაცრეს?

რეკომენდაციები მასწავლებლისთვის: საკლასო დისკუსიის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ რთულ მორალურ პარადოქსებს, როგორსაც ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ გვთავაზობს, მასწავლებლისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების მართვა და დისკუსიის უსაფრთხო, ნაყოფიერ კალაპოტში შენარჩუნებაა.

1. შეეცადეთ გამოიყენოთ „იდეების, და არა პიროვნებების“ გამოწვევის პრინციპი.

დისკუსიის კითხვები (განსაკუთრებით პირველი და მეოთხე) მოსწავლეებში აუცილებლად გამოიწვევს აზრთა მკვეთრ სხვადასხვაობას. ზოგი მკაცრ მშობელს/მასწავლებელს გაამართლებს, ზოგი კი ამას უსამართლობად მიიჩნევს.

წინასწარ შეათანხმეთ კლასთან წესი: „ჩვენ ვუპირისპირდებით იდეებს და არა ადამიანებს“. თუ რომელიმე მოსწავლე იტყვის, რომ „სხვისთვის ჭკუის სწავლება ყოველთვის თავხედობაა“, მასწავლებელმა პირადად კი არ უნდა უარყოს ეს აზრი, არამედ კლასს უნდა დაუსვას კითხვა: „ხომ არ გაქვთ საპირისპირო არგუმენტი ტექსტიდან?“.

2. აარიდეთ თავი მორალისტობას და მიეცით მოსწავლეებს „მორალური ჭიდილის“ უფლება.

თუთაშხიას ფილოსოფია თავისი არსით პარადოქსულია (სიმკაცრე როგორც სიკეთე). თუ მასწავლებელი თავად დაიკავებს „ჭეშმარიტების მქადაგებლის“ როლს, დისკუსია ჩაიშლება და გადაიქცევა ლექციად.

მიეცით ბავშვებს უფლება, ბოლომდე არ დაეთანხმონ დათას. დასვით დამაზუსტებელი კითხვები: „თქვენი აზრით, ყოველთვის ამართლებს დათას მეთოდი რეალურ ცხოვრებაში? ყველა თავხედი გამოსწორდება მხილებით, სიმკაცრით?“ ეს მოსწავლეებს აიძულებს, დამოუკიდებლად აწონ-დაწონონ არჩევანის შედეგები.

3. გამოიყენეთ ინტერაქციის ტექნიკა. იმისათვის, რომ დისკუსიაში მხოლოდ 2-3 აქტიური მოსწავლე არ ჩაერთოს, საჭიროა ფიქრის წინასწარი ეტაპი.

სანამ კითხვებს მთელ კლასს დაუსვამთ, მიეცით მოსწავლეებს 3-5 წუთი, რათა წყვილებში ან მცირე ჯგუფებში განიხილონ კითხვარი და ჩამოწერონ თავიანთი ფიქრები, კითხვები და აღმოჩენები. ეს დაეხმარება მორცხვ მოსწავლეებს, თავდაჯერებულობა მოიპოვონ და ხმამაღლა გამოთქვან აზრი.

4. დაუკავშირეთ ლიტერატურა მოსწავლეთა ემოციურ გამოცდილებას.

მეოთხე კითხვა (მშობლებისა და მასწავლებლების სიმკაცრეზე) არის ხიდი წიგნიდან რეალურ ცხოვრებაში. გამოიჩინეთ მაქსიმალური ემპათია და ტაქტი. თუ მოსწავლე პირად წყენას ან ტკივილს გამოხატავს უფროსების სიმკაცრის გამო, არ გააუფასუროთ მისი ემოცია. დაეხმარეთ კლასს, ერთმანეთისგან გამიჯნონ „მზრუნველობითი სიმკაცრე“ (რომელიც დათას ჰქონდა) და „ემოციური/აგრესიული სიმკაცრე“, რომელიც ადამიანს აზიანებს.

5. დისკუსიის რეფლექსია (დღიურის მეთოდი).

დისკუსიის დასრულებისას ბევრ ბავშვს რჩება სათქმელი, რომლის ხმამაღლა გამოთქმაც ვერ მოასწრო ან მოერიდა. გაკვეთილის ბოლო 2 წუთი დაუთმეთ რეფლექსიას. სთხოვეთ მოსწავლეებს, თავიანთ რვეულებში დაწერონ ერთი წინადადება: „ამ დისკუსიის შემდეგ მე მივხვდი, რომ...“ ეს დაეხმარება მათ მიღებული მორალური გაკვეთილის გათავისებაში.

<u>რუბრიკა „მწერლის ენა და სტილი“</u>

მწერალი პერსონაჟთა სახეების დასახატავად სხვადასხვა ხერხს იყენებს.

1. „ხატვა“ ზმნებით - შაფათავას ცოლის სახეს მწერალი გვიხატავს ენერგიული მოძრაობების აღმნიშვნელი, დინამიკური ზმნებით. დინამიკური ზმნა მხოლოდ იმას კი არ გამოხატავს, თუ რა მოხდა, არამედ გამოკვეთს - როგორ მოხდა. ზმნები თითქოსდა თვალწინ გვიცოცხლებს ამ პერსონაჟის ბუნებასა და თვისებებს: სიმსუბუქეს, სისწრაფეს, მოუთმენლობასა და თავხედობას. დააკვირდით:

- ✓ „შემოცქრიალდა“ - ქალი მაღაზიაში კი არ შემოვიდა, არამედ „შემოცქრიალდა“. ეს სიტყვა მაშინვე გვიქმნის წარმოდგენას ქალზე, მის მსუბუქ, დაუფიქრებელ და ენერგიულ ხასიათზე. მის სურვილზე, რომ მოექცეს ყურადღების ცენტრში.
- ✓ „გასწი-გამოსწია“ - მთხრობელი ნათლად გვაჩვენებს ქალის თავხედურ ქცევას. ვხედავთ, რომ მისი მოქმედება აგრესიულია და სხვებს პატივს არ სცემს. ამდენად, ავტორს არ სჭირდება რომელიმე ზედსართავი სახელი (მაგალითად, „უზრდელი“, „თავხედი“ ან „ქარაფშუტა“), რადგან გამოყენებული ზმნები

პირდაპირ ამ თვისებებზე მიგვანიშნებს. მკითხველი ქალის ხასიათს მის მოქმედებებში ხედავს.

- მოძებნეთ ტექსტში შაფათავას ცოლის ქმედებებთან დაკავშირებული სხვა ზმნები და მიუთითეთ, პერსონაჟის რა თვისებებზე მიგვანიშნებენ ისინი.

კომენტარი: შემოცქრიალდა, გასწი-გამოსწია, დაუპირა, ეჯაჯგურებოდა, [დაჟინებით] ცდილობდა, ჩამოეცილებინა, მიეღწია, არ ცხრებოდა. ეს ზმნები მიგვანიშნებს შაფათავას ცოლის თავხედობაზე, თვითნებობაზე, სხვების მიმართ უპატივცემულობაზე, უსინდისობაზე.

2. სხვა პერსონაჟების შეფასება - „ცოტა ცანცარა“, „თავხედი“, „ტუტუცი“ - ასე ახასიათებენ მთხრობელი ანდრიევსკი და დათა შაფათავას ცოლს.

- როგორია თქვენი თვალით დანახული ეს პერსონაჟი - მართლაც „ტუტუცი“ და „თავხედია“, თუ, უბრალოდ, ზედმეტად მხიარული და ენერგიულია? თქვენი აზრის დასასაბუთებლად გამოიყენეთ ზმნებზე დაკვირვების შედეგები.

კომენტარი: შაფათავას ცოლის ქცევა გამაღიზიანებელი იქნება ნებისმიერი წესიერი, ზნეობრივი და კულტურული ადამიანისთვის. ის, რომ სილამაზეს საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად იყენებს, ამორალური საქციელია. მას არ აქვს სირცხვილის გრძნობა, ადამიანთან ჯაჯგური, ყველას გაწევ-გამოწევა, დაუცხრომელი ცდა, რომ სხვას გადაასწროს მეტყველებს მორალურ-ეთიკური ღირებულებების დეფიციტზე.

3. სიტყვები, რომლებიც ემოციას გვიჩენს - ტექსტში გვხვდება ეპითეტები, რომლებიც, მშრალი აღწერის ნაცვლად, ცოცხალ სურათებს გვიხატავს და მკითხველში ემოციას აღძრავს. სიცივისგან „გაცრეცილი“ ქალი - ეს ეპითეტი თითქოს მთელ ამბავს ჰყვება ამ პერსონაჟის გასაჭირზე. მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ესაა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანი და თანაუგრძნობს მას.

- ამოიწერეთ ტექსტიდან ეპითეტები და მიუთითეთ: როგორ გვიხასიათებენ ისინი პერსონაჟის მდგომარეობას ან ხასიათს? რა ემოციები გაგიჩნდათ მათი წაკითხვისას?

კომენტარი: დაღლილი, სველი, სიცივისგან გაცრეცილი, ლამაზი, ცანცარა, ჯიუტი, თავზეხელაღებული, თავხედი, ტუტუცი. მოცემული ეპითეტები მწერალს ეხმარება პერსონაჟის პორტრეტის უფრო შთამბეჭდავად, ემოციურად, გამომსახველად ხატვაში. შუახნის ქალზეც, შაფათავას ცოლზეც და დათაზეც ამ ეპითეტების მიხედვით გვექმნება უფრო ზუსტი წარმოდგენა.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“:</u>

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება

დავალება 1. დაწერეთ თხზულება: „სად გადის ზღვარი ზრდილობასა და საკუთარი ღირსების დაცვას შორის?“ განიხილეთ, არის თუ არა დათმობა ყოველთვის კარგი საქციელი.

დავალება 2. დაწერეთ თხზულება: „ხათრი - სიკეთე თუ დათვური სამსახური?“ განიხილეთ სიტუაცია, როცა ვინმეს რაღაცას „ხათრით“ ვაპატიებთ და ამით შემდგომშიც ცუდი საქციელისკენ ვუბიძგებთ.

წერითი დავალების შეფასების რუბრიკა:

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გაგება-გააზრება	დავალების პირობა ადეკვატურად არის გააზრებული.	1
	დავალების პირობა არაადეკვატურად არის გააზრებული; ნამუშევარი არ შეესაბამება პირობას.	0
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
	სტრუქტურა ძირითადად გამართულია, თუმცა ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	1
	სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.	0
III კრიტერიუმი. შინაარსი და არგუმენტირებული მსჯელობა	მოსწავლე ტექსტზე დაყრდნობით ჩაღრმავებულად მსჯელობს, აკავშირებს ტექსტში დასმულ პრობლემებს რეალურ ცხოვრებასთან, ღრმად იაზრებს პრობლემის არსს, მსჯელობის დასასაბუთებლად მოჰყავს ადეკვატური მაგალითები.	3
	მოსწავლე იაზრებს დასმულ პრობლემას და მსჯელობს ტექსტზე დაყრდნობით, აკავშირებს ტექსტის პრობლემებს რეალურ ცხოვრებასთან, თუმცა მსჯელობას აკლია სიღრმე და დეტალებზე დაკვირვება.	2
	მსჯელობა ზედაპირულია და არადამაჯერებელია.	1
	მსჯელობა აცდენილია ლოგიკას.	0
IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი	შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, ლექსიკა მდიდარია, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული; არ გვხვდება (ან დაშვებულია 1-2 უმნიშვნელო) სტილისტური ხარვეზი.	2
	ლექსიკა ადეკვატურია, შერჩეულია სათანადო სტილი; თუმცა ზოგ შემთხვევაში გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან დარღვეულია სტილისტური ერთგვაროვნება.	1

	ლექსიკა უკიდურესად მწირია, სტილი არაადეკვატურია, სტილისტური ხარვეზების სიმრავლის გამო აზრის გაგება ჭირს.	0
V კრიტერიუმი. მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია; მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან გვხვდება მცირე რაოდენობით და ისინი აზრის გაგებას არ აფერხებს.	2
	ტექსტში შედარებით ხშირად გვხვდება ენობრივი შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	1
	ტექსტში მრავლადაა მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს აზრის გაგებას.	0

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

ბაქრაძე აკაკი, სკოლას, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2014

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:</u>

ჭაბუა ამირეჯიბი, „ჩემი მეჯღანე ბიძა“ (მოთხრობების კრებული, თბილისი, 1963)

ჭაბუა ამირეჯიბი, „ხარის აღსარება“ (მოთხრობების კრებული, თბილისი, 1964)

„გოდერძი ჩოხელის „ცასწავალა“

<u>საათების სავარაუდო რაოდენობა - 3 აკადემიური საათი</u>

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები:
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>მხატვრული ტექსტი</u> - **ნოველა** <u>შინაარსობრივი მხარე</u> - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი (რეალური, წარმოსახვით-ფანტასტიკური); პერსონაჟი (მაგ.: მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები,

ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება);

მონოლოგი, დიალოგი და მათი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ავტორისეული დახასიათება; ავტორისეული პლანი; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (მაგ.: ავტორის, პერსონაჟის); სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; ეპიზოდი; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი, გარეგანი);

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, ეპილოგი, აბზაცი;

ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: მეტაფორა, ეპითეტი, გაპიროვნება, ალეგორია, სიმბოლო); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. თხრობითი სახეობის ტექსტი.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი გამოცდილება.

3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“

მსგავსი ელემენტები - მთავარი იდეა/დედააზრი, თემა, მოტივი, სიუჟეტი, სახე-სიმბოლო; პერსონაჟთა ტიპები, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი მსგავსი სახასიათო ნიშან-თვისებები (მაგ.: პერსონაჟი - შემოქმედი/გმირი/მედროვე/მეამბოხე). ტექსტებს შორის მიმართებების, მსგავსი/უნივერსალური ელემენტების ცოდნა დაგვეხმარება, რომ მრავალმხრივად, სხვადასხვა პერსპექტივიდან გავიაზროთ წაკითხული; უკეთ წარმოვიდგინოთ, რითაა მნიშვნელოვანი ან/და გამორჩეული ესა თუ ის ტექსტი; რა ადგილი უჭირავს მას ქართულ ლიტერატურაში. თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, სახე-სიმბოლო, ციტატა (პარალელები: ანტუან დე სენტ ეგზიუპერის “პატარა უფლისწულთან“, გურამ პეტრიაშვილის „პატარა დინოზავრთან“)

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეს შეუძლია:

- კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება;
- ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით;
- სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით;
- ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;
- ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
- მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;
- იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას;
- ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
- ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში/კულტურულ არეალში შექმნილ ტექსტებში მსგავსი თემების,
- იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით;
- იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.
- სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტების შედარება მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; იმის ახსნა, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ინტერტექსტობრივი მიმართებების (მაგ.: ალუზიის, ციტატის) ამოცნობა/წვდომა; იმის ახსნა, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს (მაგ.: თემის, მთავარი იდეის, პერსონაჟის სახის წარმოჩენის კუთხით).

ნაწარმოების შესახებ:

ნოველის თემატურ-იდეური მიმოხილვა: გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული ზღაპარი „ცასწავალა“ ქართული პროზის გამორჩეული და განსაკუთრებული ემოციებით დატვირთული ნაწარმოებია. ნოველა ალეგორიულია და მისი მოქმედი გმირები - პაწაწინა ჩიტი ცასწავალა და მასთან დაპირისპირებული სხვა ფრინველები განასახიერებენ ადამიანებს. ავტორი ეპიგრაფშივე გვიმხელს, რომ ანტუან დე სენტ ეგზიუპერის გმირს - პატარა უფლისწულს უძღვნის თავის ნაწარმოებს. ამით მან სათაურიდანვე დაგვაფიქრა და მიგვანიშნა, რომ ნოველა ეძღვნება მეოცნებე, მაღალი სულიერების, გაბედულ ადამიანებს, რომლებიც მუდამ სიახლის, განვითარებისა და სულიერი განწმენდის გზების ძიებაში არიან.

ცასწავალა მეოცნებე ჩიტია და ცდილობს სულ უფრო და უფრო მაღლა აიჭრას ცაში, მოსწყდეს მიწიერ მოსაწყენ ყოველდღიურობას, ზემოდან გადმოხედოს სამყაროს, დატკბეს მისი მშვენიერებით, შეიცნოს უფალი და საკუთარი თავი. ამის გამო მას ფრინველები უპირისპირდებიან და უშლიან მაღლა ფრენას, რადგან მიწიერ კეთილდღეობას დახარბებულ არსებებს უჭირთ მისი გაგება და მიღება, აღიზიანებთ მისი დაუცხრომელი ლტოლვა, მისი ხმა, მისი მტანჯველი განცდები იმის გამო, რომ ცასწავალა გარკვეულ ზღვარს ვერ სცდება, მისი შესაძლებლობები შეზღუდულია. ის კი წვრთნის საკუთარ თავს და ცდილობს, რომ გადააბიჯოს ზღვარს, დაძლიოს სირთულეები, ამაღლდეს, განვითარდეს. მიღწეული მას არ აკმაყოფილებს, მეოცნებეა და თითქოს ზეციურ საუფლოში უფალთან მიახლოებაზე ოცნებობს.

მთხრობელი, რომელიც გუდამაყრელ მწყემსად გვაცნობს თავს, აკვირდება ცასწავალას წვრთნებსა და ტანჯვას, ფრინველების დაპირისპირებას მასთან და გულშემატკივრობს პაწაწინა მამაც არსებას. ცასწავალას მხოლოდ ერთი გულშემატკივარი ჰყავს - მოლაღული, რომელიც იმედისმომცემი გმირია, რადგან ბედავს და მარტო დარჩენილ, გარიყულ მეგობარს თანაუგრძნობს, ეხმარება, რომ მძიმე ყოფა შეუმსუბუქოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მას საფრთხეს უქმნის, რადგან აგრესიულ ბრბოდ ქცეული უმრავლესობა საშიში და დაუნდობელია, ის ანადგურებს ყველას, ვინც მათგან განსხვავებულია. ზღაპრის მთავარი იდეური ხაზი დაკავშირებულია პიროვნებისა და უმრავლესობის დაპირისპირების მარადიულ პრობლემასთან. ამგვარი კონფლიქტი ნაცნობია და ხშირად გვხვდება ცხოვრებაშიც, წიგნებშიც, ფილმებშიც. ამ პრობლემას ქართველმა მწერლებმა მრავალი საინტერესო ქმნილება მიუძღვნეს (ვაჟა-ფშაველას პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველისმჭამელი“, მისივე ნოველა „ამოდის, ნათდება!“, ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“, გიორგი ლეონიძის „მარიტა“, გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები: „პატარა დინოზავრი“ და „თეთრსულელა“). მსოფლიო ლიტერატურიდან ჩოხელის მოთხრობის სამყაროს ყველაზე მეტად უკავშირდება ამერიკელი მწერლის, რიჩარდ ბახის მოთხრობა „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“.

ცასწავალასნაირ განსხვავებულ გმირს ყოველთვის გამოუჩნდება ხოლმე უმრავლესობაში ანტაგონისტი, რომელიც ცდილობს ყველა მის წინააღმდეგ დარაზმოს და ამით ის დააფრთხოს, დაიმორჩილოს, დაიმსგავსოს. მოცემულ ზღაპარში ასეთი გმირია მოსამართლე ყვავი, მორალისტი და მკაცრი მსაჯულია, ის გიორგი ლეონიძის „მარიტას“ გმირს - ციციკორეს - გვაგონებს. ყვავმა ცასწავალა გაასამართლა, დააპატიმრა და კანკეშის ღეროზე მიაბა. განაჩენი მკაცრი იყო: ცასწავალას სასტიკად ეკრძალებოდა საწვრთნელი ფრენები. თუმცა ასეთი ბრძოლისუნარიანი გმირები არასდროს ემორჩილებიან

კონიუნქტურას, დაწესებულ დოგმებსა და აკრძალვებს. როგორც კი გაათავისუფლეს, ცასწავალა მაშინათვე ისევ აფრინდა და იმ მიუღწეველი ზღვრის გადალახვაც შეძლო. მძაფრმა განცდებმა: თემთან დაპირისპირებამ, თანამოძმეთა აგრესიამ, ზღვრის გადალახვის უსაზღვრო სიხარულმა ცასწავალას გული გაუხეთქა. ის დიდი პატივით დაკრძალეს ფრინველებმა. ასე იციან მორალისტებმა. ჯერ შეიწირავენ განსხვავებულ ადამიანს და შემდეგ აღიარებენ მას. მსგავს პრობლემებზე გვესაუბრება რიჩარდ ბახის ამაღელვებელი მოთხრობა „არ არსებობს შორი ადგილი“ (გამოქვეყნდა 1976 წელს).

ნოველის მთავარი სათქმელია ის, რომ მეოცნებე, მაძიებელი ადამიანები მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან, მათი სოცოცხლე საფრთხეშია, მათ დევნიან, კიცხავენ, მაგრამ სიკვდილის შემთხვევაშიც კი მათი გამარჯვება ისაა, რომ უარი არ თქვან საკუთარ იდეებზე, განაგრძონ ბრძოლა და მათ აუცილებლად გამოუჩნდებათ მიმდევრები, როგორც ცასწავალას გამოუჩნდა მოლაღული, როგორც ალუდა ქეთელაურს - მინდია, როგორც იგის - პატარა ზუ, როგორც თოლია ჯონათანს - ფლეტჩერ ლინდი.

მხატვრული სახეები: „ცასწავალას“ მთავარი გმირები არიან: პატარა მეოცნებე ჩიტი, მისი მეგობარი მოლაღული, მოსამართლე ყვავი, მიმინოები და სხვა ფრინველები. მწყემსი განასახიერებს ავტორს, რომელიც დამკვირვებლის როლში გვევლინება. ცასწავალა მებრძოლი, ჰეროიკული სულისკვეთების ადამიანის ალეგორიული სახეა, ყვავი, მიმინოები და სხვა ფრინველები - აგრესიული უმრავლესობისა, რომელიც საღი განსჯის უნარს მოკლებულ, ჩასაფრებულ ბრბოდ იქცევა და მისი შეჩერება შეუძლებელია, როგორც „მარიტაში“ ცდილობდა მთხრობელი, რომ შეეჩერებინა მარიტას დასასჯელად დელგმად წამოსული სოფელი, მაგრამ მიხვდა, რომ „მათ ახლა ღმერთიც კი ვერ შეაჩერებდა“. იმედისმომცემი გმირია მოლაღული, რომელიც საკმაოდ გაბედული და ჰუმანური ადამიანის ალეგორიაა. თემში ის რჩება, როგორც ცასწავალას იდეების მიმდევარი და გამავრცელებელი. თუკი ახალ ამაღლებულ იდეას თუნდაც ერთი გულშემატკივარი გამოუჩნდა, ეს უკვე მიგვანიშნებს, რომ ამ იდეისთვის ბრძოლა გრძელდება.

ნოველის სტილური თავისებურებანი: „ცასწავალა“ ემოციური, მკითხველზე ძლიერი ზემოქმედების მომხდენი ტექსტია. გოდერძი ჩოხელისეული გულწრფელი თხრობის მანერა ხიბლავს და იზიდავს ყველას. მწერალი სადად და მშვიდად ჰყვება ამბავს. პერსონაჟებს ხატავს ძალზე დასამახსოვრებლად. ავტორის, პერსონაჟებისა და, შესაბამისად, მკითხველის განწყობა ხშირად იცვლება, მონაცვლეობს სევდა და სიამაყე, რისხვა აგრესიული უმრავლესობისადმი და აღფრთოვანება პაწაწინა ცასწავალას სიმამაცითა და ამაღლებისკენ დაუოკებელი ლტოლვით. ავტორი იყენებს მრავალ მხატვრულ ხერხს. მოთხრობის ენა ტროპულად მდიდარია. მთავარი ხერხებია გაპიროვნება (პერსონიფიკაცია) და ალეგორია. პერსონაჟები მორგებული ეპითეტებით იხატება. კომპოზიციურად ტექსტი დინამიკურია, მოკლე ტექსტში ერთმანეთს ცვლის დამაინტრიგებელი სცენები: ცასწავალას მოულოდნელი გამოჩენა, ფრინველების შეკრება და ცასწავალას სასამართლო, მისი პატიმრობა, გათავისუფლება და აფრენა, გმირის სიკვდილი და პომპეზური დაკრძალვა. ცასწავალასა და მოლაღულის, ცასწავალასა და მოსამართლე ყვავის დიალოგები ეფექტურად გადმოსცემს იდეურ ქვეტექსტებს.

<u>წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები:</u>

- ხშირად გვხვდება თუ არა ზღაპრებსა და იგავებში ფრინველები ან ცხოველები, რომლებიც ადამიანებივით იქცევიან? გაიხსენეთ ასეთი ნაწარმოებები

(მაგ.: სულხან-საბას იგავები). თქვენი აზრით, რატომ იყენებენ მწერლები ცხოველებსა და ფრინველებს ადამიანური თვისებების გადმოსაცემად?

- რასთან ასოცირდება თქვენთვის ზეცაში ფრენა და რა ემოციას გიჩენთ მიწაზე ყოფნა? ადამიანის რა თვისებები ან მიზნები შეიძლება გააიგივოთ ცასთან და რა - მიწასთან? შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს: „მიწა“ ყოველთვის არ ნიშნავს „დამდაბლებულს“ ან „მატერიალურს“.
- თქვენი აზრით, რისი სიმბოლო შეიძლება იყოს სახელი „ცასწავალა“? რას უნდა ასწავლიდეს ის სხვებს?
- წარმოიდგინეთ, რომ ჯგუფში ან კლასში ერთი ადამიანი სრულიად განსხვავებულად ფიქრობს, აცვია ან სხვანაირი ინტერესები აქვს. როგორ რეაგირებს ხოლმე უმრავლესობა განსხვავებულ ადამიანებზე? რატომ უჭირთ ხშირად ადამიანებს სხვისი განსხვავებულობის მიღება? მასწავლებელმა გააააზრებინოს მოსწავლეებს, რომ „განსხვავებული“ ყოველთვის არ უკავშირდება „ამაღლებულს“ და „უფრო მნიშვნელოვანს“.

- გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც ყველასგან განსხვავებული აზრი გქონიათ, მაგრამ უმრავლესობის შიშით ხმამაღლა არ გითქვამთ? რა უფრო ადვილია — იყო ისეთი, როგორიც ყველაა, თუ დაიცვა შენი საკუთარი, განსხვავებული აზრი?
- ყველა საზოგადოებასა თუ გარემოში არსებობს დაწერილი თუ დაუწერელი წესები. თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა, რომ წესებმა ადამიანს თავისუფლება შეუზღუდოს და მისი ნიჭის განვითარებას შეუშალოს ხელი? შეიძლება ამ წესებმა პერსონაჟის, ზოგადად - პიროვნების სულიერი სიმტკიცე, განვითარება და ამაღლება გამოიწვიოს?
- როგორ გესმით გამოთქმა: „ფრთების შეკვეცა“? ადამიანს (ან პერსონაჟს) რა შემთხვევაში შეიძლება „შეუკვეცონ ფრთები“ რეალურ ცხოვრებაში?

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“:</u>

1. რატომ იძახის ცასწავალა დაბლა დაშვებისას: „ვტყუი! ვტყუი!“? რას მალავდა ის ამ სიტყვებით?

კომენტარი: ცასწავალას ამ სიტყვების მიღმა რამდენიმე ფსიქოლოგიური და ალეგორიული მიზეზი იმალება: საკუთარი უძლურების შენიღბვა: ცასწავალას მთელი არსებით სურს, რომ სულ უფრო და უფრო მაღლა აფრინდეს ცაში. თუმცა, როდესაც ის მიაღწევს იმ უკიდურეს ზღვარს, რომლის იქითაც ფრენის ძალა და ღონე აღარ ყოფნის, იძულებულია მიწაზე დაბრუნდეს. ძახილით „ვტყუი! ვტყუი!“ ის სხვების თვალში აჩენს ილუზიას, თითქოს მაღლა ფრენა კი არ გაუჭირდა, არამედ უბრალოდ „მოიტყუა“ და თავისი ნებით გადაიფიქრა. მას არ უნდა, რომ სხვა ფრინველებმა მისი უმწეობა დაინახონ და დასცინონ. ამიტომ, საკუთარ უძლურებას სიცრუის აღიარებად ასაღებს.

2. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოიწვია ცასწავალას საქციელმა სხვა ფრინველების გაღიზიანება? რატომ ჩათვალეს მათ თავი მოტყუებულად?

კომენტარი: სხვა ფრინველების რეაქცია და მათი სასამართლო ცასწავალას მიმართ საზოგადოებისა და ინდივიდის დაპირისპირების ღრმა ალეგორიაა. ფრინველების გაღიზიანება რამდენიმე ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული: ფრინველთა საზოგადოება გარკვეულ მიწისზედა ჩარჩოებსა და კანონებს ემორჩილება. ცასწავალას მუდმივი სწრაფვა ზეცისკენ, რაც ჩვეულებრივი ფრინველებისთვის მიუწვდომელი და გაუგებარი იყო, მათ აღიქვეს როგორც ქედმაღლობა, გამოცალკევება და მათი დაკნინება. როდესაც ცასწავალა მიწიდან მაღლა იჭრებოდა, სხვა ფრინველები მას ინტერესითა და შურითაც კი აკვირდებოდნენ. თუმცა, როდესაც ის უკან ბრუნდებოდა ძახილით „ვტყუი! ვტყუი!“, მათ ჩათვალეს, რომ ჩიტმა მიზანმიმართულად გააცურა ისინი. ყვავის ხელმძღვანელობით გამართულ სასამართლოზე მას პირდაპირ წაუყენეს ბრალი: „მოქალაქე ცასწავალა, თქვენ ბრალად გედებათ აქ შეკრებილი საზოგადოების მოტყუება“. მათ ეგონათ, რომ ცასწავალა ცაში რამე განსაკუთრებულს მალავდა ან იგონებდა ილუზიას, რომელსაც სხვებს აჩვენებდა. ფრინველები ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ მათ გვერდით იყო არსება, რომელიც ბედავდა იმაზე მეტს, ვიდრე მათ შეეძლოთ. ცასწავალას ქცევა არღვევდა მათ მყუდროებას, ამიტომაც დასაჯეს. ფრინველებმა ვერ გაიგეს ცასწავალას შინაგანი ტრაგედია - ის, რომ ძახილი „ვტყუი!“ სინამდვილეში საკუთარი სისუსტის დასამალი სასოწარკვეთილი ყვირილი იყო. მათ ეს უბრალო საზოგადოებრივ პროვოკაციად და აბუჩად აგდებად მიიჩნიეს.

3. რატომ სთხოვს ყვავი ცასწავალას მიზეზს ცაში წასასვლელად? რატომ ჰგონია მას, რომ იქ აუცილებლად ვიღაცამ უნდა „დაგპატიჟოს“?

კომენტარი: ყვავის პერსონაჟი პრაგმატული, მიწაზე მყარად მდგარი და ბიუროკრატიული აზროვნების მასის სიმბოლოა. მისი კითხვები და გაოცება ცასწავალას მისამართით საზოგადოების იმ ნაწილის ფსიქოლოგიას ასახავს, რომელსაც არ გააჩნია შინაგანი, თავისუფალი სწრაფვა იდეალებისკენ. ყვავის ლოგიკით, ცაში უმიზეზოდ წასვლა შეუძლებელია და იქ აუცილებლად „დაპატიჟება“ საჭირო. ყვავისა და სხვა ფრინველებისთვის ყოველგვარ მოქმედებას პრაქტიკული, მატერიალური საფუძველი უნდა ჰქონდეს (საკვების ძებნა, ბუდის შენება, გადარჩენა). მათ არ ესმით „წმინდა სწრაფვა“ – ფრენა მხოლოდ იმიტომ, რომ ცა გიყვარს. ამიტომ, ყვავი ეძებს რაციონალურ მიზეზს: თუ მაღლა მიფრინავ, ესე იგი იქ საქმე გაქვს, ვინმე გელოდება ან საამისოდ ოფიციალური საბაბი გაქვს. მასას მიაჩნია, რომ სამყაროში ყველაფერი იერარქიასა და ნებართვებს ექვემდებარება. ყვავის აზრით, ცა არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი თავისუფალი სივრცე; ეს არის ადგილი, სადაც შესასვლელად „მიწვევა“ ან განსაკუთრებული სტატუსია საჭირო. მას არ შეუძლია დაუშვას, რომ პატარა, უმწეო ჩიტს აქვს უფლება, უბრალოდ საკუთარი ნებითა და შინაგანი ძახილით აიჭრას ზეცაში. თუ ცაში ასაფრენად „დაპატიჟებაა“ საჭირო, მაშინ ყვავსა და სხვა ფრინველებს აქვთ მყარი მორალური გამართლება, რატომ სხედან თავად მიწაზე და ბალახებში? ისინი ხომ არავის მიუწვევია? ცასწავალას ქცევა კი ამართლებს იმ აზრს, რომ ფრენა შინაგან ნებაზეა დამოკიდებული, რაც მასას საკუთარ უსუსურობასა და სიმდაბლეს აგრძნობინებს. ყვავის მოთხოვნა - დაასახელოს ცასწავალამ ცაში წასვლის მიზეზი - არის მცდელობა, ზეციური, იდეალისტური სწრაფვა მოაქციოს მიწისზედა, ბიუროკრატიულ ჩარჩოებში და გააუფასუროს ის სულიერი სიამე, რასაც თავისუფალი ფრენა ჰქვია.

4. რა როლს ასრულებს მოთხრობაში მოლაღული? როგორ გამოხატავს ის თანაგრძნობას ცასწავალას მიმართ?

კომენტარი: მოთხრობაში მოლაღული ერთადერთი პერსონაჟია, რომელიც გამოხატავს ნამდვილ თანაგრძნობას ცასწავალას მიმართ. ის უპირისპირდება ბრმა, გაბოროტებულ მასას და წარმოადგენს სიყვარულის სიმბოლოს, რომელსაც შეუძლია დაინახოს სხვისი სულის სილამაზე თუ ტრაგედია. როდესაც ყვავის ხელმძღვანელობით ფრინველები ცასწავალას ასამართლებენ და სიცრუეში სდებენ ბრალს, მოლაღური ერთადერთია, ვინც მას თანაუგრძნობს. როდესაც ცასწავალას სასჯელად ბალახზე დაბმას მიუსჯიან, მოლაღული მას არ ტოვებს. მოლაღული ხვდება იმას, რაც ყვავმა ვერაფრით გაიგო. მოლაღურის სახით გოდერძი ჩოხელმა აჩვენა, რომ თუნდაც ყველაზე სასტიკ და გაუცხოებულ გარემოშიც კი, ყოველთვის არსებობს ერთი ნათელი, მოსიყვარულე სული, რომელსაც ძალუძს დაინახოს და გაიზიაროს სხვისი სწრაფვა. სწორედ მოლაღული გვიჩენს იმედს, რომ ეს ფრინველთა თემში ცასწავლას გზის გამგრძელებელი იქნება საყვარელი მეგობრის სიკვდილის შემდეგ და მის იდეებს სხვებსაც გადასცემს.

5. აისრულა თუ არა ცასწავალამ ოცნება? საიდან ჩანს? მოძებნეთ შესაბამისი მონაკვეთი ტექსტში.

კომენტარი: დიახ, ცასწავალამ აისრულა თავისი უმთავრესი ოცნება - ის სამუდამოდ შეუერთდა ზეცას. მისი ოცნების ასრულება ნაწარმოებში ალეგორიულად არის ნაჩვენები: ცასწავალამ სიყვარულის ძალითა და სიმამაცით გადალახა თავისი ფიზიკური უძლურება, გასცდა იმ კრიტიკულ ზღვარს, რომლის იქითაც აქამდე ძალა არ ჰყოფნიდა. ის გახდა თავისუფალი და მიაღწია იმ იდეალს, რომლისკენაც მთელი არსებით მიისწრაფოდა. ეს ყველაფერი მკაფიოდ ჩანს მოთხრობის ფინალური მონაკვეთიდან. ტექსტის დასასრული ადასტურებს, რომ ჩიტმა დაძლია მიწას მიჯაჭვულობა (საზოგადოების წნეხი, ბიუროკრატიული ჩარჩოები, საკუთარი ფიზიკური სისუსტე) და საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი იქ, სადაც მისი სულიერი სამშობლო იყო - ცაში.

6. როგორ შეიცვალა ფრინველების დამოკიდებულება ცასწავალას მიმართ მისი სიკვდილის შემდეგ? როგორ ფიქრობთ, რატომ?

კომენტარი: მოთხრობაში ცასწავალას ზეცად ამაღლებისა და სიკვდილის შემდეგ ფრინველთა საზოგადოების დამოკიდებულება რადიკალურად იცვლება: აგრესია და დაცინვა სინანულმა, გაოცებამ და თავისებურმა „თაყვანისცემამ“ შეცვალა. ის დიდი პატივით დაკრძალეს. თვით ყვავმაც კი გულმდუღარე სიტყვა წარმოთქვა. ეს ცვლილება ადამიანური ბუნებისა და საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის გენიალური ალეგორიაა. სანამ ცასწავალა მათ გვერდით იყო და მიწაზე ეშვებოდა, ფრინველები მის ქცევას სიცრუედ და თავის მოტყუებად მიიჩნევდნენ. როდესაც ჩიტმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ზღვარს გადააბიჯა და სამუდამოდ გაუჩინარდა, მასამ დაინახა, რომ მისი სწრაფვა აბსოლუტურად რეალისტური და გულწრფელი იყო. მიხვდნენ, რომ უსამართლოდ დასაჯეს და შებოჭეს უდანაშაულო არსება. საზოგადოებას ხშირად უჭირს უნიკალური, განსხვავებული და თავისუფალი ინდივიდების ატანა, სანამ ისინი ცოცხლები არიან და მათ გვერდით ცხოვრობენ. მაგრამ როგორც კი ეს ინდივიდი იღუპება, მასა მას „წმინდანად“ ან „გმირად“ აქცევს. ცასწავალა მათთვის შორეულ, მიუღწეველ იდეალად იქცა.

7. თქვენი აზრით, როდის არიან ფრინველები გულწრფელნი - როდესაც ასამართლებენ ცასწავალას თუ როდესაც დასტირიან? რატომ ფიქრობთ ასე?

კომენტარი: ფრინველები ორივე სიტუაციაში აბსოლუტურად გულწრფელნი არიან, თუმცა ეს გულწრფელობა მათი ბუნების სრულიად სხვადასხვა მხარესა და ევოლუციას ასახავს. მათი ქცევის პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი (ან ამ შემთხვევაში, მასა) შეიძლება ერთნაირად მართალი იყოს საკუთარ სიბრმავეშიც და გვიან გაღვიძებულ სინანულშიც. როდესაც ასამართლებენ, ისინი გულწრფელნი არიან საკუთარ შიშსა და შეზღუდულობაში: სასამართლოს დროს მათი აგრესია ნამდვილია. ისინი თავს მართლაც შეურაცხყოფილად გრძნობენ, რადგან მათი გადმოსახედიდან ცასწავალა არღვევს ერთფეროვნების ჰარმონიას. მათ გულწრფელად სჯერათ, რომ წესრიგს იცავენ. ეს არის მასის ბრმა, ინსტინქტური და გულწრფელი თავდაცვა. ისინი გულწრფელნი არიან თავიანთ გვიან გაღვიძებულ სინდისსა და სულიერ შიმშილში. მას შემდეგ, რაც ცასწავალა მიუწვდომელი ხდება, ფრინველების რეაქცია კვლავ რეალურია, მაგრამ უკვე ტრანსფორმირებული. მისი სამუდამო გაუჩინარება ხდება ის „შოკი“, რომელიც ანგრევს მათ ყოფით ილუზიებს. ისინი გულწრფელად დასტირიან არა მხოლოდ ცასწავალას, არამედ საკუთარ თავსაც - იმ ფაქტს, რომ მათ გვერდით სასწაული ტრიალებდა, მათ კი ის ბალახზე დააბეს. თუ მაინც მოგვიწევს არჩევა, თუ რომელი მომენტია უფრო ღირებული და ღრმა, ეს უდავოდ მისი გაფრენის შემდგომი სინანულია. სასამართლოს დროს ფრინველები ცხოველური, ჯოგური ინსტინქტით მოქმედებენ, ხოლო როდესაც ზეცას უყურებენ და დასტირიან, ისინი უკვე ინდივიდუალურად, სულიერად იზრდებიან. სწორედ ამ მომენტში ხდებიან ისინი ნამდვილი ფრინველები, რომელთაც, მიწის გარდა, ცის დანახვაც შეუძლიათ.

8. ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს, რომ ცასწავალას სახელი და ოცნება უკვალოდ არ გამქრალა? ახსენით, გვიტოვებს თუ არა ეს ეპიზოდი იმედის განცდას და რატომ.

კომენტარი: მოთხრობის ფინალურ ნაწილში ნათლად ჩანს, რომ ცასწავალას სახელი და ოცნება უკვალოდ არ გამქრალა. მისი გაფრენისა და გაუჩინარების შემდეგ მისი იდეალები სხვა ფრინველთა გონებასა და ქცევაში გააგრძელებს სიცოცხლეს. ფრინველები, რომლებიც ადრე მხოლოდ მიწაზე და ბალახებში დაძვრებოდნენ, უთუოდ ინტერესით ახედავენ ზეცას. ცასწავალამ საკუთარი თავგანწირვით შეძლო ის, რაც სიცოცხლეში ვერ მოახერხა - მან სხვებშიც გააღვიძა ფრენისა და ცისკენ სწრაფვის სურვილი. მოთხრობის ფინალი ადასტურებს გოდერძი ჩოხელის მთავარ სათქმელს - ჭეშმარიტი იდეალი, თავისუფლება და სიყვარული არასოდეს კვდება. ინდივიდი შეიძლება წავიდეს, მაგრამ მისი დატოვებული სინათლე ცვლის გარემოს და შთააგონებს სხვებს.

9. ვინ ჰყვება ცასწავალას ამბავს? წაიკითხეთ მონაკვეთები, რომლებშიც მთხრობელი ჩანს.

კომენტარი: ნოველაში ამბავს ჰყვება მწყემსი, რომელიც პირველ პირში საუბრობს. ამბობს, რომ ცხვარს მწყემსავს გუდამაყრის ხეობაში, თუმცა მკითხველს აქვს განცდა, რომ ის თავად ავტორია. მისი მწყემსობა სიმბოლურ-ალეგორიულია. მწყემსი კეთილი განასახიერებს ამაღლებულ ადამიანს, სულიერ მამას, სხვათა სულების გადამრჩენელს. ის არის თვითმხილველი, რომელიც ბუნების წიაღში აკვირდება ფრინველთა სამყაროს, განიცდის მათ ამბებს და უშუალოდ მონაწილეობს მოვლენებში. ის აქტიური პერსონაჟია, ცასწავალასა და მისი თემის კონფლიქტს დიდი ინტერესითა და განცდებით აკვირდება. მთხრობლის პერსონაჟი ნოველას განსაკუთრებულ სიმყუდროვესა და უშუალობას სძენს - ის ადამიანის თვალით დანახული ბუნების საიდუმლოებათა მხატვარია.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“:</u>

- **მწერლის თქმით, ცაში წასვლის სურვილი მეტ-ნაკლებად ყველა ცოცხალ არსებას აქვს. ამ სიტყვებში ცა, უბრალოდ, ფიზიკური სივრცე როდია - ესაა შინაგანი თავისუფლების, მიუწვდომელი ოცნების გამოხატულება. ზეცაში ამაღლების სურვილი აერთიანებს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ არსებებს: პოეტებს, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ცდილობენ ამაღლებულ სამყაროსთან შეხებას, მიწაზე ფესვებით „დაბმულ“ ხეებს, რომლებიც ზეცას მოუხმობენ ხმამაღლა, და მშიერ მგლებს, რომლებიც თავიანთ ტკივილსა და მარტოობას ცას უზიარებენ. თუკი ადამიანებს, ხეებსა და მგლებსაც კი აქვთ ზეცაში ამაღლების სურვილი, მაშინ რატომ დასცინიან და სჯიან ცასწავალას ფრინველები, რომლებსაც ფრენა შეუძლიათ - ნიშნავს თუ არა ეს, რომ ზეცასთან სიახლოვეს ფრთების ქონა კი არა, სხვა რამ განსაზღვრავს? პასუხის გასაცემად დააკვირდით, როგორ იყენებენ ფრენის უნარს მოთხრობაში სხვა ფრინველები.**

კომენტარი: ფრინველების რეაქცია ცასწავალას მიმართ ზუსტად ასახავს ბრბოსა და გამორჩეული, შემოქმედი ინდივიდის მარადიულ დაპირისპირებას. სხვა ფრინველები ფრენის უნარს იყენებენ მხოლოდ არსებობისთვის ბრძოლის, საკვების მოპოვებისა და ყოფითი გადარჩენისთვის. მათთვის ცა უბრალოდ სამუშაო გარემოა. ისინი ვერ ხედავენ ცის სილამაზეს, მის საიდუმლოებასა და სულიერ განზომილებას. ცასწავალა არ დაფრინავს მატერიალური სარგებლისთვის (ჭიების ან მარცვლების საძებნელად). იგი დაფრინავს იმიტომ, რომ შეიცნოს ცა, შეეხოს მიუწვდომელს და დატკბეს შინაგანი თავისუფლებით. სხვა ფრინველებისთვის ეს გაუგებარი, უსარგებლო და, შესაბამისად, „გიჟური“ საქციელია. ნაწარმოებში ფრინველთა გუნდი წარმოადგენს კონფორმისტულ საზოგადოებას, რომელიც ვერ იტანს იმას, ვინც მათ ჩარჩოებში არ ჯდება. ცასწავალას სულიერი ამაღლება მათ საკუთარ სიმცირესა და მიწასთან მიჯაჭვულ მატერიალისტურ ბუნებას ახსენებს, რაც მათში აგრესიას იწვევს. მოთხრობა ნათლად აჩვენებს, რომ ზეცასთან სიახლოვეს განსაზღვრავს არა ფიზიკური ფრთები, არამედ სულის ფრენის უნარი. პოეტებს, ხეებსა და მგლებს არ აქვთ ფრთები, მაგრამ აქვთ ზეცის წყურვილი. ფრინველებს აქვთ ფრთები, მაგრამ აკლიათ მთავარი - სულიერება. ცასწავალას დევნა არის იმ ტრაგიკული რეალობის ასახვა, როცა მატერიალურ სამყაროში ჩაძირული საზოგადოება რიყავს და სჯის მას, ვინც მიწას მოსწყდა და სცადა სულიერი ამაღლება.

- **სასამართლოზე ყვავი ცასწავალას ეკითხება: „ვინა გყავს ცაში?“, „ვინ დაგპატიჟათ, რა მიზეზით?“. ეს „მიწიერი“ აზროვნების გამოხატულებაა, რომელიც მიიჩნევს, რომ ნებისმიერ ქცევას პრაქტიკული საჭიროება, სარგებელი ან ნებართვა უნდა განაპირობებდეს. ეს უპირისპირდება ცასწავალას „ზეციურ“ სამყაროს, სადაც მთავარი თავისუფლება და ოცნებაა.**

კომენტარი: მოცემული ეპიზოდი ზუსტად აშიშვლებს ნაწარმოების მთავარ იდეურ კონფლიქტს. ყვავის კითხვები ბიუროკრატიული, შეზღუდული და მატერიალისტური აზროვნების კლასიკური გამოვლინებაა. ამ ეპიზოდში ერთმანეთს ორი აბსოლუტურად სხვადასხვა სამყარო და ღირებულებათა სისტემა ეჯახება: ყვავის „მიწიერი“ ლოგიკა: ყვავისთვის (რომელიც აქ საზოგადოებრივი სასამართლოს, ანუ მასის ხმაა) სამყაროში ყველაფერი იერარქიული, ნებართვებზე დაფუძნებული და პრაგმატული უნდა იყოს. მისი გონება ვერ იტევს იდეას, რომ ცაში შეიძლება წახვიდე უბრალოდ იმიტომ, რომ გიყვარს, გინდა ან გიხმობს. მას სჭირდება „პატრონი“, „საბუთი“ ან „ოფიციალური მიზეზი“. ცასწავალას „ზეციური“ თავისუფლება: ცასწავალასთვის ცა არ არის კერძო საკუთრება ან

ადმინისტრაციული ერთეული, სადაც საშვია საჭირო. მისთვის ეს არის სულიერი სამშობლო. მას არავის ნებართვა არ სჭირდება, რადგან მისი მეგზური შინაგანი ოცნება და თავისუფლების წყურვილია. ეს სასამართლო აბსურდულია, რადგან მოსამართლეები იმ კატეგორიებით სჯიან ცასწავალას, რომლებიც მისთვის საერთოდ არ არსებობს. ისინი ცდილობენ, სულის თავისუფალი ფრენა მიწიერი ბორკილებით ყოფით ჩარჩოებში მოაქციონ.

- **თქვენი აზრით, გაუგებს თუ არა ოდესმე ყვავი ცასწავალას? რატომ ფიქრობთ ასე? ახსენით ტექსტზე დაყრდნობით.**

კომენტარი: სამყაროში ყველა და ყველაფერი შეიძლება იცვლებოდეს, მაგრამ, სავარაუდოდ, ყვავი ვერასოდეს გაუგებს ცასწავალას, რადგან მათი განსხვავებულობა არა დროებითი გაუგებრობა, არამედ ორი რადიკალურად დაპირისპირებული ბუნების, ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის კონფლიქტია. ტექსტზე დაყრდნობით, ამის რამდენიმე მთავარი მიზეზი არსებობს: ყვავი მოთხრობაში მიწას მიჯაჭვული, მატერიალური და პრაგმატული აზროვნების განსახიერებაა. მისი გონებრივი და სულიერი ჰორიზონტი მხოლოდ ლეშის, საკვების ძიებითა და გადარჩენის ინსტინქტით შემოიფარგლება. მას ფიზიკურად არ გააჩნია ის „ორგანო“ (სულიერი სიღრმე), რითაც შეიძლება მშვენიერება, ოცნება ან უანგარო სიყვარული აღიქვას. როგორც სასამართლოს ეპიზოდი აჩვენებს, ყვავის სამყარო დაყოფილია ნებართვებად, იერარქიებად და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებად („ვინა გყავს?“, „ვინ დაგპატიჟათ?“). მას არ შეუძლია დაუშვას ისეთი ფენომენის არსებობა, რომელიც ამ ჩარჩოებში არ ჯდება. ცასწავალას გაგება ყვავისთვის საკუთარი სამყაროს ნგრევას, საკუთარი ყოფიერების აბსურდულობის აღიარებას ნიშნავს, რასაც მასა არასოდეს გააკეთებს. ყვავისთვის ფრთები მხოლოდ იარაღია საკვების მოსაპოვებლად, ცასწავალასთვის კი - სულის გამოსახატავად. მათ შორის არსებობს თვისობრივი უფსკრული: ყვავი დაფრინავს იმიტომ, რომ ჭამოს, ხოლო ცასწავალა ჭამს (არსებობს) იმიტომ, რომ იფრინოს. გოდერძი ჩოხელი ამ ალეგორიით აჩვენებს, რომ ყვავისნაირები ვერასოდეს გაუგებენ ცასწავალასნაირებს. ყვავი ყოველთვის მიწაზე დარჩება, თუნდაც ფიზიკურად ღრუბლებამდე ავიდეს, ხოლო ცასწავალა ყოველთვის ზეცის ნაწილი იქნება, თუნდაც ფრთები დააჭრან.

- **მწერლის თქმით, ზეცაში წასვლის სურვილს „ზოგი ვამჟღავნებთ, ზოგი გულში ვიმარხავთ სამუდამოდ“. რომელი სჯობს? როგორი იქნებოდა ჩვენი სამყარო, ყველა რომ გულში სამუდამოდ მალავდეს თავის სურვილებსა და ოცნებებს?**

კომენტარი: გოდერძი ჩოხელის ამ სიტყვებზე დაფიქრებისას ნათლად ჩანს, რომ ზეცაში წასვლის სურვილისა და ოცნებების გამჟღავნება, მიუხედავად დიდი რისკისა, ყოველთვის სჯობს მათ გულში სამუდამოდ დამარხვას. ამ არჩევანის მიღმა ორი სხვადასხვა გზა და სამყაროს ორი სრულიად განსხვავებული მოდელი დგას. რომელი სჯობს და რატომ? ოცნებებისა და შინაგანი სიმაღლის გამჟღავნება სჯობს, რადგან მხოლოდ გამოხატულ სურვილს შეუძლია სამყაროს შეცვლა. ცასწავალას მაგალითი გვაჩვენებს, რომ საკუთარი „ზეციურობის“ ჩვენება სახიფათოა - მასას ეს აშინებს, რასაც დევნა და გაუცხოება მოჰყვება. თუმცა, სწორედ ეს გამბედაობა ხდის არსებობას ნამდვილს და აზრს სძენს მას. სურვილის გულში ჩაკვლა, ყვავების სამყაროსთან კონფორმიზმი და გარეგნული მორჩილება, სიმშვიდეს კი მოიტანს, მაგრამ ეს იქნება სულიერი სიკვდილი. ადამიანი, რომელიც ოცნებას მალავს, საკუთარ თავს სამუდამოდ მიწაზე მიაჯაჭვავს. როგორი იქნებოდა სამყარო, ყველას რომ დაემალა თავისი ოცნებები? ყველას რომ თავისი „ზეცისკენ სწრაფვა“ გულში ჩაეკლა, სამყარო დაემსგავსებოდა ცივ, უფერულ, მექანიკურ და

ერთფეროვან სივრცეს, სადაც: გაქრებოდა ხელოვნება და პოეზია: როგორც ტექსტშია ნათქვამი, პოეტები შემოქმედებით მიილტვიან ზეცისკენ. ოცნებების მალვით ჩვენ დავკარგავდით ყოველგვარ სილამაზეს, მუსიკას, ლიტერატურასა და შთაგონებას. გამეფდებოდა ყვავების დიქტატურა: სამყარო მთლიანად პრაგმატული, მატერიალისტური და ბიუროკრატიული გახდებოდა. ადამიანები იარსებებდნენ მხოლოდ ჭამა-სმის, გადარჩენისა და ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მოკვდებოდა პროგრესი: ნებისმიერი დიდი აღმოჩენა, წინსვლა თუ ჰუმანური იდეა თავიდან ყოველთვის არის ვიღაცის „გიჟური“ და მიუწვდომელი ოცნება, რომელიც მასამ თავიდან ვერ გაიგო. ხეები და მგლებიც კი დადუმდებოდნენ: სამყარო დაკარგავდა თავის მისტიკურ, ცოცხალ სულს და გადაიქცეოდა მხოლოდ რობოტული არსებების ბინად. ცასწავალას ტრაგედია ის კი არ არის, რომ მან თავისი სურვილი გაამჟღავნა, არამედ ის, რომ გარშემომყოფებმა ეს ვერ აპატიეს. თუმცა, მისი ფრენა მაინც შედგა და სწორედ ამ გაბედული ნაბიჯით დარჩა იგი სამყაროს მეხსიერებაში, როგორც თავისუფლების სიმბოლო.

- **წაიკითხეთ ცხრილში მოყვანილი ციტატები და რვეულში ჩაწერეთ, რა ფიქრი ან ემოცია გაგიჩნდათ მათი კითხვისას.**

ციტატა ტექსტიდან (რა წერია?)	**ჩემი კომენტარი, რეაქცია (რას ვფიქრობ? რა ემოცია გამიჩნდა?)**
1. ცასწავალას „ფოთლები ეფარა ზედ და ეძინა. ეტყობა, მოლაღულმა დააფარა, რომ მელიას ვერ დაენახა. მართლაც, რამდენიმე წუთში საიდანღაც მოფრინდა მოლაღული და ფოთლები მიმალ-მომალა, რომ ფრთოსნებს არ ენახათ“.	**სავარაუდო პასუხი:** ეს ეპიზოდი უდიდეს სევდასა და, ამავდროულად, საოცარ სითბოს აჩენს. ჩემი რეაქცია: გული მტკივა, რომ უმწეო და ფრთადაჭრილ ცასწავალას მელიასგან (ფიზიკური სიკვდილისგან) დასამალად მოლაღულს ფოთლების გადაფარება სჭირდება. ყველაზე მწარე რეალობა ისაა, რომ მოლაღულს ფოთლების გადამალვა „ფრთოსნების“ (საკუთარი ჯიშის, სხვა ფრინველების) შიშით უწევს. ეს აჩვენებს, რომ ხშირად ბოროტ მტაცებელზე (მელიაზე) საშიში და სასტიკი საკუთარი, გულქვა საზოგადოებაა. ამავე დროს, მოლაღულის ეს ფარული მზრუნველობა იმედს მიტოვებს, რომ ამ დაუნდობელ სამყაროში სიკეთე, თანაგრძნობა და ერთგულება მაინც არსებობს.
2. ცასწავალა „გასცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე - უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა და ერთი სურვილით შეპყრობილი, მიწაზე დარჩენილ ფრთოსნებს ჩამოსძახოდა: - ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ!“	**სავარაუდო პასუხი:** ეს სიტყვები ჩემში აღფრთოვანებას, ტკივილსა და უდიდეს ემოციურ სიმძიმეს იწვევს. ვხვდები, რომ ეს ცასწავალას უკანასკნელი, თავგანწირული გაფრენაა. ის სიკვდილის ფასად სცდება ძველ საზღვრებს და საკუთარ სიცოცხლეს სწირავს არა ეგოისტური მიზნით, არამედ იმიტომ, რომ მიწაზე დარჩენილებს ზეცის არსებობა შეახსენოს. მისი ძახილი - „ცასწავალ!“ - არის არა სასოწარკვეთა, არამედ უმწეო ფრინველების გამოფხიზლების მცდელობა და სულიერი გამარჯვება. რა ემოცია მაქვს? ტანში ჟრუანტელი მივლის, რადგან ამ ეპიზოდში

	ერთდროულად იგრძნობა ფიზიკური დასასრულის სევდა და სულის აბსოლუტური, უკვდავი ტრიუმფი მიწისმიერ სიბნელეზე.
3. ცასწავალას „უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისღა ეყო ღონე და გული გაუსკდა. უკან მსუბუქად და მდუმარედ ეშვებოდა. მერე ასევე მსუბუქად დაეცა თავის საყვარელ ბალახებში.“	**სავარაუდო პასუხი:** ეს სიტყვები ჩემში ღრმა, განწმენდელ სევდასა და მშვიდ აღფრთოვანებას იწვევს. რა ემოცია მაქვს? გული მიკვდება საყვარელი პერსონაჟის ფიზიკური სიკვდილის გამო, თუმცა სიტყვები „მსუბუქად და მდუმარედ“ ტკივილს სიმშვიდით მიცვლის. ვხვდები, რომ ცასწავალა არ დამარცხებულა - მისი გული იმ სიმაღლეზე გასკდა, რომელსაც სხვები ვერასდროს მისწვდებიან. ის მოკვდა თავისუფალი, ხოლო მისი მშვიდი დაბრუნება „საყვარელ ბალახებში“ აჩვენებს, რომ მან შეასრულა თავისი ზეციური მისია და მიწამ იგი მშობლიური სითბოთი მიიღო. ეს უკვე გამარჯვებაა. ასეთი წამებისთვის ღირს თავგანწირვა. ცასწავალამ აისრულა ოცნება და მისი სული ამაყი და კმაყოფილი იქნება.

<u>რუბრიკა „შეადარეთ“:</u>

ნაწარმოები ეძღვნება ფრანგი მწერლის, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის, მოთხრობა „პატარა უფლისწულის“ მთავარ გმირს - მეოცნებე პატარა უფლისწულს. ბიჭუნა სხვა პლანეტიდანაა მოსული დედამიწაზე. მისი სამშობლო ერთი ასტეროიდია - პლანეტებზე ბევრად პატარა ციური სხეული. უფლისწული დედამიწაზე თავს სრულიად მარტო გრძნობს, აქ ყველაფერი უცხო და მიუღებელია მისთვის. ბიჭუნა ოცნებობს იმაზე, რომ დაბრუნდეს თავის პატარა ასტეროიდზე, სადაც მას საყვარელი არსება, ვარდის ბუჩქი, ელოდება. მოთხრობის ბოლოს უფლისწული ნებაყოფლობით დააკბენინებს გველს თავს, რათა მოიშოროს სხეულის სიმძიმე და ცაში ამაღლდეს სამშობლოში დასაბრუნებლად.

- როგორ ფიქრობთ, რატომ მიუძღვნა მწერალმა „ცასწავალა“ პატარა უფლისწულს? დაფიქრდით და დაწერეთ, რა მიგაჩნიათ ამ ორი პერსონაჟის ყველაზე მნიშვნელოვან საერთო ნიშნად (მაგ.: სწრაფვა სულიერი თავისუფლებისკენ, სულიერი მარტოობა, მიწიერი სამყაროს მიუღებლობა, თავგანწირვა ოცნებისა და იდეალებისთვის ან სხვა) და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

კომენტარი: გოდერძი ჩოხელმა „ცასწავალა“ ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულს“ მიუძღვნა, რადგან ორივე ნაწარმოები ერთსადაიმავე სულიერ ტკივილსა და იდეალებზე გვიამბობს. ამ ორი პერსონაჟის ყველაზე მნიშვნელოვან საერთო მახასიათებლად უნდა განვიხილოთ ამაღლებული ბუნება, მდიდარი სულიერება, შემოქმედებითი აზროვნება, სულიერი მარტოობა და მიწიერი, პრაგმატული სამყაროს მიუღებლობა. პატარა უფლისწულიც და ცასწავალაც ამ მიწაზე უცხო, ციდან მოვლენილი არსებები არიან. უფლისწული მოგზაურობს პლანეტებზე და აწყდება „დიდი ადამიანების“ აბსურდულ, მატერიალურ სამყაროს, ადამიანებს, რომლებიც დაკავებულნი არიან უსარგებლო ყოფითი საქმეებით და დაკარგული აქვთ მთავარის დანახვის უნარი. ზუსტად ასევე, ცასწავალა ეჯახება „ყვავების სასამართლოს“ - უფერულ მასას, რომელიც ფრენას მხოლოდ საკვების მოპოვებად მიიჩნევს. ორივე გულისმომკვლელად მარტოა საკუთარ გარემოში, რადგან მათი ენა და ღირებულებები (სიყვარული, ოცნება, სილამაზე) მიწიერი

არსებებისთვის გაუგებარია. საბოლოოდ, ორივე მათგანი ტოვებს ფიზიკურ სამყაროს (უფლისწული გველის ნაკბენით ბრუნდება თავის ვარსკვლავზე, ცასწავალას კი გული უსკდება ცაში) - ეს არის არა დამარცხება, არამედ მათი დაბრუნება მშობლიურ, ზეციურ სამშობლოში, რადგან მიწამ ვერ შეძლო მათი თავისუფალი სულის დატევა. ისინი ამ სევდიანი ფინალით იმარჯვებენ. მათი ხსოვნა უკვდავია. ისინი თავიანთი გაღებული მსხვერპლით მრავალი ადამიანის სულში შეცვლიან სამყაროსადმი მიმართებას.

<u>რუბრიკა „ლიტერატურული მეგზური“:</u>

- წარმოიდგინეთ, რომ წერთ მოთხრობას ბავშვობის თემაზე. წერილობით გადმოეცით:

✓ რომელ უნივერსალურ სიმბოლოს ან სიმბოლოებს გამოიყენებდით?

✓ გაიხსენეთ თქვენი ბავშვობიდან რომელიმე საგანი, მოვლენა ან ადგილი (მაგ.: ველოსიპედი, ეზოს მოედანი, ჟანგიანი ჭიშკარი). აირჩიეთ რომელიმე მათგანი და ახსენით: თქვენს პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, რას განასახიერებს იგი თქვენთვის? რისი სიმბოლო იქნებოდა თქვენს მოთხრობაში?

კომენტარი (შესაძლო ვარიანტი, რომელიც შეგვიძლია მაგალითის სახით მივცეთ ბავშვებს): მოთხრობაში გამოვიყენებდი გაზაფხულს ან ალიონს (დილის განთიადს), როგორც სიცოცხლის დასაწყისის, უმანკოებისა და აღმოჩენების უნივერსალურ სიმბოლოს. ასევე, მდინარეს, რომელიც დროის სწრაფ დინებასა და ბავშვობიდან შეუმჩნევლად ზრდასრულობაში გადასვლას განასახიერებს. ჩემი ბავშვობიდან ავირჩევდი ჩემი ბებია-ბაბუის სოფლის სახლის ჟანგიან, ჭრიალა ჭიშკარს. იგი ჩემთვის ასოცირდება უსაფრთხო ეზოსა და უცნობ, დიდ სამყაროს შორის არსებულ საზღვართან. ამ ნაწარმოებში ჟანგიანი ჭიშკარი იქნებოდა „გარდამავალი ზღვრის“ (პორტალის) სიმბოლო. მისი გამოღება ბავშვისთვის ყოველდღიურად ახალი თავგადასავლის დაწყებას ნიშნავს, ხოლო წლების შემდეგ მასთან დაბრუნება - წარსულთან, მოგონებებთან შეხებასა და იმის გაცნობიერებას, რომ ბავშვობის სამყარო უკან მოიტოვა, მაგრამ ჭიშკარი კვლავინდებურად ერთგულად ელოდება.

2. პერსონაჟი, როგორც სიმბოლო - მხატვრულ ლიტერატურაში სიმბოლო შეიძლება იყოს თავად პერსონაჟიც. ეს ნიშნავს, რომ პერსონაჟი, კონკრეტულად, ერთი ადამიანი არ არის - იგი რაღაც იდეას, თვისებას ან ადამიანთა მთელ ჯგუფს განასახიერებს. პერსონაჟი შეიძლება იყოს სიმბოლო თავგანწირვის, სიკეთის, მარტოობის, სიხარბისა თუ ბოროტებისა.

- **როგორ ფიქრობთ, რისი სიმბოლოა ცასწავალა? ახსენით ტექსტზე დაყრდნობით.**

კომენტარი: ცასწავალა არის თავისუფალი სულის, უანგარო შემოქმედისა და სულით მდიდარი მეოცნების უნივერსალური სიმბოლო. ის განასახიერებს ადამიანს (ან არსებას), რომელიც უარს ამბობს მხოლოდ მატერიალური ინტერესებით (ჭამა-სმით, სხეულზე ზრუნვით) ცხოვრებაზე. მისი ფრენა ცის შემეცნებისა და სულიერი სიმაღლეებისკენ სწრაფვაა. იგი არის სიმბოლო იმ გამორჩეული, ნიჭიერი ადამიანებისა (მაგალითად, პოეტების), რომლებსაც კონფორმისტული საზოგადოება (ყვავების გუნდი) ვერ უგებს, რიყავს და სჯის განსხვავებულობის გამო. ფრთების დაჭრისა და დევნის მიუხედავად, ცასწავალა ბოლომდე თავისი ბუნებისა და ძიებების ერთგული რჩება. მისი უკანასკნელი, თავგანწირული გაფრენა და ძახილი - „ცასწავალ!“ - მიწაზე დარჩენილთა გამოფხიზლების, სულიერი გამარჯვებისა და უკვდავების სიმბოლოა. ცასწავალა არის

სიმბოლო იმისა, რომ ნამდვილ „ზეციურობას“ განსაზღვრავს არა ფიზიკური შესაძლებლობები (ფრთები), არამედ სულის უნარი - მიწიდანვე შეჰხაროდეს ზეცას და მიილტვოდეს ვარსკვლავებისკენ.

- **თქვენი აზრით, როგორი ადამიანების ან რა თვისებების სიმბოლოებად შეიძლება მივიჩნიოთ ყვავი და მოლაღული? ახსენით ტექსტზე დაყრდნობით.**

კომენტარი: ყვავი და მოლაღული ორი სრულიად განსხვავებული ადამიანური ტიპაჟისა და მორალური თვისების სიმბოლოებია: ყვავი — კონფორმიზმისა და მატერიალიზმის სიმბოლოა. ის განასახიერებს ბრბოს, ბიუროკრატიულ აზროვნებასა და მიწას მიჯაჭვულ საზოგადოებას. მისი თვისებებია: პრაგმატიზმი, შეზღუდულობა, სხვისი კონტროლისა და დასჯის სურვილი. მისი კითხვები სასამართლოზე („ვინა გყავს ცაში?“ „ვინ დაგპატიჟათ?“) აჩვენებს ადამიანს, რომელსაც არ სჯერა ოცნებებისა და თავისუფლებისკენ ლტოლვისა. ყვავისთვის ყველაფერს მატერიალური სარგებელი, ნებართვა ან იერარქია უნდა განაპირობებდეს. იგი არის სიმბოლო იმ ადამიანებისა, რომლებიც ებრძვიან და დასცინიან ყველაფერს, რაც მათ ვიწრო ჩარჩოებში არ ჯდება.

მოლაღული - ფარული სიკეთისა და თანაგრძნობის სიმბოლოა. ის განასახიერებს იმ ცასწავალასთან შედარებით დამფრთხალ, მაგრამ კეთილშობილ ადამიანებს, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ სულიერება და ემოციური ინტელექტი. მას ახასიათებს: თანაგრძნობა, მზრუნველობა, ერთგულება და, ამავდროულად, მასის შიში. მოლაღული ერთადერთია, ვინც უმწეო ცასწავალას ეხმარება, ფოთლებს აფარებს და მელიასგან მალავს. თუმცა, ის ამას ფარულად აკეთებს, რადგან ეშინია „ფრთოსნების“ - ანუ საკუთარი საზოგადოებისგან გაკიცხვისა. მოლაღული არის სიმბოლო იმ ადამიანებისა, რომლებსაც აქვთ სიკეთის კეთების სურვილი, თუმცა ბრბოს წნეხის გამო უწევთ თავიანთი ნამდვილი, ჰუმანური სახის დამალვა. თუმცა, ამავე დროს, ის განასახიერებს იმედს. ცასწავალას სიკვდილის შემდეგ მოლაღული იქნება მისი იდეების გამავრცელებელი, ის არასოდეს დაივიწყებს საყვარელ მეგობარს და თუნდაც ფარულად სხვებს გადასცემს ცასწავალას ამაღლებულ სულიერებას.

- **გაიხსენეთ და წერილობით გადმოეცით: თქვენთვის ნაცნობი წიგნებიდან ან ფილმებიდან რომელი პერსონაჟი მიგაჩნიათ რაიმე თვისების ან იდეის სიმბოლოდ და რატომ. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.**

კომენტარი: მსოფლიო ლიტერატურიდან სულიერი სიმტკიცის, შეუპოვრობისა და ადამიანური ღირსების უბადლო სიმბოლოა სანტიაგო - ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობიდან „მოხუცი და ზღვა“. ჰემინგუეიმ 1954 წელს ამ მოთხრობისთვის ნობელის პრემია მიიღო ასეთი ფორმულირებით: „თხრობის ოსტატობისთვის, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა მოთხრობაში “მოხუცი და ზღვა” და იმ გავლენისთვის, რომელიც მან მოახდინა თანამედროვე სტილზე“.

მოხუცი სანტიაგო 84-დღიანი უიღბლობის შემდეგ ზღვაში გიგანტურ თევზს შეებრძოლება. ეს ორთაბრძოლა არ არის მხოლოდ საკვების მოპოვების მცდელობა; ეს არის სიმბოლო ადამიანის მარადიული ჭიდილისა ბუნების ძალებთან, ასაკთან და საკუთარ სისუსტეებთან. მიუხედავად იმისა, რომ ზვიგენები თევზს მთლიანად უჭამენ და სანტიაგო ნაპირზე მხოლოდ ჩონჩხით ბრუნდება, ის სულიერად მაინც უძლეველი რჩება. მისი ფიზიკური მარცხი უდიდეს მორალურ გამარჯვებად იქცევა. მისი ფრაზა: „ადამიანი იმისთვის არ არის შექმნილი, რომ დამარცხდეს. ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ

მისი დამარცხება შეუძლებელია“, - ეს სიტყვები წარმოგვიდგენს სანტიაგოს, როგორც ადამიანის გაუტეხელი სულის სიმბოლოს. ცასწავალას მსგავსად, სანტიაგოც ფიზიკურად თითქოს ყველაფერს კარგავს, მაგრამ მისი იდეალები და შინაგანი სიმაღლე ხელუხლებელი რჩება.

ასევე ძალზე საინტერესო გმირია გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „მუნჯი ახმედი და სიცოცხლის“ პერსონაჟი, მუნჯი მეთევზე ახმედი, რომელმაც დაკარგა მამა, შვილი, საყვარელი მეუღლე, ცხოვრობდა სიღატაკეში, მაგრამ არასდროს დაუკარგავს ჰუმანიზმი და სიკეთე. ის მარტო ებრძოდა დაუნდობელ რეალობას, მაწანწალა და ფსიქიკურად დაავადებული მოხუცი სედაც კი შეიფარა და უვლიდა.

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“:</u>

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. „გამოსათხოვარი წერილი ფრინველებს“ - წარმოიდგინეთ, რომ ცასწავალა ბოლო გაფრენის წინ, კანკეშის ძირას, გამოსამშვიდობებელ წერილს უტოვებს მოლაღულსა და სხვა ფრინველებს. მოირგეთ ცასწავალას ფუნქცია, მხატვრული განზომილება და დაწერეთ ეს წერილი. გადმოეცით: რატომ გიზიდავთ ცა - რა არის იქ ისეთი, რასაც მიწაზე ვერ პოულობთ; რა ხდება იმ „ზღვარს“ მიღმა, სადაც სხვები ვერ აღწევენ: რას ხედავთ, რა ფერებია და რა გრძნობა გიჩნდებათ, როდესაც მთელ დედამიწას ზემოდან დაჰყურებთ; რას ეტყვით მოლაღულს; რას უსურვებთ მათ, ვინც მხოლოდ მიწას დაჰყურებს და ამით კმაყოფილდება.

<u>დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა:</u>

კრიტერიუმი	აღწერილობა	დონე
I - პირობის გააზრება და შინაარსი	პირობა სრულადაა დაფარული: საუბარიამთავარი გმირის როლზე, იმაზე, თუ რატომ იზიდავს მას ცა, რა ამოძრავებს, რა ხდება „ზღვარს“ მიღმა, როგორ აღიქმება სამყარო „ზემოდან“. მსჯელობა გამყარებულია არგუმენტებით და გამოთქმულია ორიგინალური მოსაზრებები.	**მაღალი**
	პირობა ნაწილობრივაა შესრულებული. მოსწავლე მსჯელობის დავალების პირობით გათვალისწინებულ თემებზე, მაგრამ მსჯელობას აკლია დამაჯერებლობა და არგუმენტირება.	**საშუალო**
	მოიხსენიება ფრამგმენტულად ეხება დავალების პირობით გათვალისწინებულ საკითხებს, არ არის თანმიმდევრული არგუმენტირებული მსჯელობა პერსონაჟის მოტივაციაზე, ხშირას მსჯელობა აცდენილია ავტორის მიზანდასახულობას.	**საბაზისო**
	დავალების პირობა მთლიანად არაადეკვატურადაა გაგებული. ტექსტი აცდენილია ძირითად თემას.	**საწყისი**

II - მსჯელობა, არგუმენტაცია, შემოქმედებითობა	მოყვანილია ადეკვატური კონკრეტული მაგალითები / მოყვანილია ორიგინალური და არაშაბლონური მაგალითები (შესაძლოა წარმოჩენილი იყოს ახლებური ხედვა/შეფასებაც); შემოქმედებითად არის დანახული პერსონაჟის პერსპექტივა, მისი ინტერესები, ლტოლვა და მდიდარი სულიერი სამყარო.	**მაღალი**
	მსჯელობა ზოგადია; მაგალითები ადეკვატურია, მაგრამ ზედაპირული ან შაბლონურია; პერსონაჟის სახის გახსნას აკლია სიღრმე და შემოქმედებითი ხედვა. დავალების პირობა მოხსენიებულია, მაგრამ აზრი განვითარებული არ არის.	**საშუალო**
	მსჯელობა უკიდურესად მწირია. არგუმენტაცია ძალზე სუსტია, თუმცა მოსწავლე ცდილობს თემაზე საუბარს. არ ჩანს მოსწავლის შემოქმედებითი ხედვა.	**საბაზისო**
	მსჯელობა არ არის წარმოდგენილი: ნამუშევარი სრულიად მოკლებულია არგუმენტაციას (მაგ.: მოყვანილია მხოლოდ ფაქტების მშრალი ჩამონათვალი) ან მაგალითები საერთოდ არ არის მოყვანილი.	**საწყისი**
III - ნამუშევრის სტრუქტურა-ორგანიზება	ნაშრომს აქვს ცხადად გამოკვეთილი სტრუქტურა, ლოგიკურად გამართული და თანმიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	**მაღალი**
	სტრუქტურას აქვს ძირითადი ელემენტები (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), მაგრამ ერთი მათანი არასრულია, აბზაცები უმეტესწილად თანმიმდევრულია და ლოგიკურად არის გამოყოფილი.	**საშუალო**
	სტრუქტურა არ არის გამართული (მაგ.: აკლია შესავალი ან დასკვნა), ზოგიერთ ადგილას დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა. აბზაცების გამოყოფის პრინციპი ხშირად დარღვეულია.	**საბაზისო**
	ნაშრომი ქაოსურია, დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა, აბზაცები გამოყოფილი არ არის.	**საწყისი**
IV - ლექსიკა, სტილი	ლექსიკა მდიდარია; შერჩეულია შესაბამისი სტილი, დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად ზუსტად არის გამოხატული (დასაშვებია 1-2 უმნიშვნელო სტილისტური ხარვეზი).	**მაღალი**
	ლექსიკა ადეკვატურია; შერჩეულია შესაბამისი სტილი; გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი, რომლებიც ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	**საშუალო**
	ლექსიკა შეზღუდული და ერთფეროვანია. გვხვდება სტილისტური ხარვეზები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს აზრის გაგებას.	**საბაზისო**
	ლექსიკა უკიდურესად მწირია; სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას;	**საწყისი**

	გვხდება უხეში სტილისტური ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის აზრის გაგებას.	
V - მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია	ტექსტი ენობრივად გამართულია: მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა და ტექსტის ხარისხზე გავლენას არ ახდენს.	**მაღალი**
	გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეცდომა, თუმცა ისინი სისტემური არ არის და აზრის გაგებას არ აფერხებს.	**საშუალო**
	შედარებით ხშირად გვხვდება შეცდომები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში აფერხებს აზრის მკაფიოდ აღქმას.	**საბაზისო**
	მრავლად გვხვდება მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	**საწყისი**

2. რეპორტაჟი გაზეთისთვის „ტყის ამბები“ - წარმოიდგინეთ, რომ ფრინველები გამოსცემენ თავიანთ გაზეთს. მოირგეთ ამ გაზეთის ჟურნალისტი ფრინველის როლი და დაწერეთ რეპორტაჟი, რომელშიც თქვენს მკითხველებს მოუთხრობთ ცასწავალას ამბავს: შეაფასეთ ფრინველების დამოკიდებულება ცასწავალას მიმართ, მოსამართლის პოზიცია და სასამართლო გადაწყვეტილება. გამოკვეთეთ თქვენი პირადი თვალსაზრისი - ჰქონდათ თუ არა ფრინველებს უფლება, დაესაჯათ ცასწავალა თავისი ოცნების ერთგულებისთვის; რას ფიქრობთ ცასწავალას არჩევანზე, მის ბოლო გაფრენაზე; რისი გაკვეთილი უნდა იყოს ეს ფრინველთა „საზოგადოებისთვის“. რეპორტაჟში შეგიძლიათ ჩართოთ „ინტერვიუები“ ყვავთან, მოლაღულთან ან ადამიანთან, რომელიც შეესწრო ამ ამბავს (ამბის მთხრობელთან). მოიფიქრეთ რეპორტაჟისთვის ისეთი სათაური, რომელიც მკითხველის ყურადღებას მიიზიდავს.

<u>განმავითარებელი შეფასების სქემა: რეპორტაჟი „ტყის ამბებისთვის“</u>

შეფასების კრიტერიუმები	მაღალი დონე	საშუალო დონე	საბაზისო დონე	საწყისი დონე
I - ჟურნალისტის როლის მორგება და სათაური	მოსწავლე ბრწყინვალედ ირგებს ფრინველი-ჟურნალისტის როლს.ტექსტს აქვს ორიგინალური, მიმზიდველი სათაური,	მოსწავლე კარგად ინარჩუნებს ფრინველი-ჟურნალისტის პერსპექტივას.სათაური საინტერესოა, თუმცა შეიძლებოდა უფრო მეტად	ჟურნალისტის როლი ნაწილობრივ ჩანს, თხრობა ხანდახან ჩვეულებრივ ესეს ემსგავსება.სათაური ბანალურია ან მხოლოდ	ჟურნალისტის როლი საერთოდ არ არის გამოკვეთილი. ტექსტს არ აქვს სათაური.

	რომელიც ზუსტად ასახავს რეპორტაჟის არსს.	მიმზიდველი ყოფილიყო.	თემას ასახელებს.	
II - სასამართლო პროცესის ანალიზი	ღრმად და მრავალმხრივად არის შეფასებული ფრინველთა დამოკიდებულება, მოსამართლის პოზიცია და განაჩენი.	აღწერილია ფრინველთა დამოკიდებულება და სასამართლო გადაწყვეტილება, თუმცა აკლია სიღრმისეული ანალიზი.	სასამართლო პროცესი და პოზიციები მხოლოდ ზედაპირულად, ფაქტების დონეზეა მოხსენიებული.	სასამართლო პროცესი ან ფრინველთა დამოკიდებულება საერთოდ არ არის ნახსენები.
III - პირადი თვალსაზრისის არგუმენტირება	მკაფიოდ და დამარწმუნებლად არის ჩამოყალიბებული პირადი პოზიცია ცასწავალას დასჯაზე, მის არჩევანზე, ბოლო გაფრენასა და საზოგადოების გაკვეთილზე.	პირადი პოზიცია გამოხატულია, თუმცა არგუმენტები ნაწილობრივ დასაბუთებულია ან ესეისტურია.	აზრი დაფიქსირებულია (მაგ: „მებრალება“ ან „სწორად მოიქცნენ“), მაგრამ არ არის მოყვანილი არგუმენტები.	მოსწავლის პირადი თვალსაზრისი თემასთან დაკავშირებით საერთოდ არ ჩანს.
IV - ინტერვიუების ინტეგრირება (შემოქმედებითობა)	ტექსტში ორგანულად და შემოქმედებითად აა ჩასმული ინტერვიუები (ყვავთან, მოლაღულთან ან ადამიანთან), რაც რეპორტაჟს აცოცხლებს.	ინტერვიუები გამოყენებულია, თუმცა მათი კავშირი ძირითად ტექსტთან ოდნავ ხელოვნურია.	ინტერვიუს ფორმატი პრიმიტიულია (მხოლოდ მოკლე კითხვა-პასუხი) და ვერ ამდიდრებს რეპორტაჟს.	დავალების ეს კომპონენტი (ინტერვიუები) საერთოდ გამოტოვებულია.
V - ტექსტის სტრუქტურა და ენა	დაცულია რეპორტაჟის სტრუქტურა.ენა არის მდიდარი, ემოციური და პუბლიცისტური სტილისთვის შესაფერისი.	სტრუქტურა ძირითადად დაცულია.აზრი გასაგებია, თუმცა სტილისტურად ტექსტი ერთფეროვანია.	ტექსტი სტრუქტურულად არეულია.გვხვდება ენობრივი და გრამატიკული ხარვეზები, რაც აზრის გაგებას ართულებს.	ტექსტი დანაწევრებულია, აზრები დაუკავშირებელია და არ შეესაბამება ჟანრს.

რეკომენდაცია განმავითარებელი კომენტარისთვის:

- **თუ მოსწავლე საწყის/საბაზისო დონეზეა:** „შენი რეპორტაჟის სათაური ძალიან საინტერესოა! იმისათვის, რომ ნამუშევარი ნამდვილ რეპორტაჟს

დაემსგავსოს, ეცადე, უფრო მეტად შეხვიდე ფრინველი-ჟურნალისტის როლში. როგორ ფიქრობ, რას უპასუხებდა ყვავი შენს კითხვაზე? დაამატე მისი პასუხი ტექსტში.“

- **თუ მოსწავლე საშუალო/მაღალ დონეზეა:** „შესანიშნავი ნამუშევარია, როლი კარგად გაქვს მორგებული. კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ ცასწავალას ბოლო გაფრენის ანალიზისას ყურადღებას გაამახვილებ, თუ კონკრეტულად რა გაკვეთილი უნდა ისწავლოს ტყის საზოგადოებამ ამ შემთხვევიდან.“

3. იმიტირებული სასამართლო - მოაწყვეთ იმიტირებული სასამართლო, რომელზედაც განიხილავთ, დამნაშავეა თუ არა ცასწავალა. მსჯელობისას დაეყრდენით მოთხრობის ტექსტს, მოსაზრებების დასასაბუთებლად კი გამოიყენეთ დარწმუნების სხვადასხვა ხერხი (ლოგიკა, სანდოობა, ემოცია).

სასამართლო პროცესზე მონაწილეობას იღებენ:

✓ ბრალდებული ცასწავალა - ბრალი ედება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში. უნდა ახსნას, მიაჩნია თუ არა თავი დამნაშავედ და რატომ.

✓ ბრალმდებელი ყვავი - წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც ასაბუთებს, რატომ არის სახიფათო საზოგადოებისთვის ცასწავალასნაირი „მატყუარა“ (მაგ.: არღვევს დამკვიდრებულ წესრიგს, ტყუილი იმედებით კვებავს ფრინველებს, სწყვეტს მათ აუცილებელ ცხოვრებისეულ საჭიროებებს). შეეცადეთ გამოიყენოთ სანდოობასა და ლოგიკაზე დამყარებული არგუმენტები.

✓ ბრალდებულის დამცველი მოლაღული - წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც გამოკვეთს, რატომ არ არის ცასწავალას საქციელი ტყუილი, რა არის მისი ნამდვილი მიზანი და რატომ არ არის ეს სახიფათო (მაგ., ესაა რწმენა, ოცნება; საზოგადოების სულიერად ამაღლება). შეგიძლიათ გამოიყენოთ ემოციური არგუმენტებიც.

✓ მოწმეები - უპასუხებენ შეკითხვებს მომხდართან დაკავშირებით, მათი საუბარი უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ რეალურ ფაქტებს - რა ნახეს, რა მოისმინეს.

✓ ნაფიცი მსაჯულები - გამოაქვთ გადაწყვეტილება (ვერდიქტი), დამნაშავეა თუ არა ცასწავალა. გადაწყვეტილებას იღებენ კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, მას მერე, რაც მოუსმენენ ცასწავალას, ყვავს, მოლაღულსა და მოწმეებს.

✓ მოსამართლე - მიჰყავს სასამართლო სხდომა და გამოაქვს საბოლოო დასკვნა ნაფიცი მსაჯულების თვალსაზრისის გათვალისწინებით; ხსნის, რატომ გამოიტანა ასეთი დასკვნა.

გაინაწილეთ როლები და ჩაატარეთ სასამართლოს სხდომა.

მოწმეების როლში შეიძლება იყვნენ ამბის მთხრობელი, მიმინოები. ნაფიცი მსაჯულების როლში იქნებიან ყველანი, ვინც სიტყვით არ გამოდის პროცესზე. ისინი უსმენენ მხარეებს და ინიშნავენ საყურადღებო ინფორმაციას. სხდომის დასრულების შემდეგ მსჯელობენ იმაზე, რაც მოისმინეს და ნახეს, მოჰყავთ დამატებითი არგუმენტები (მოთხრობის ტექსტიდან, სხვა ტექსტებიდან, რეალური ცხოვრებიდან) და კენჭისყრის შედეგად გამოაქვთ გადაწყვეტილება.

<u>დავალების განმავითარებელი შეფასების სქემა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	მაღალი დონე	საშუალო დონე	საბაზისო დონე	საწყისი დონე
1. ტექსტის ცოდნა და კონტექსტის გამოყენება	მოსწავლე ზედმიწევნით კარგად ფლობს ტექსტს, სრულყოფილად იყენებს ეპიზოდებსა და ციტატებს ცასწავალას ქმედებების გასაანალიზებლად. ზუსტად გადმოსცემს მოთხრობის ალეგორიულ არსს.	მოსწავლე კარგად იცნობს ტექსტს და მეტწილად სწორად მიუთითებს ეპიზოდებზე, თუმცა ზოგჯერ უჭირს ციტატების ან ფაქტების სიღრმისეული დაკავშირება სასამართლო არგუმენტებთან.	მოსწავლეს აქვს ზედაპირული წარმოდგენა ტექსტზე. იშვიათად მოჰყავს კონკრეტული მაგალითები მოთხრობიდან, ეყრდნობა მხოლოდ ზოგად სიუჟეტს.	მოსწავლეს არ ახსოვს ტექსტის შინაარსი და ვერ იყენებს მოთხრობის ფაქტებს მსჯელობისას. საუბრობს ტექსტის მიღმა თემებზე.
2. არგუმენტაცია და დარწმუნების ხერხები (ლოგიკა, სანდოობა, ემოცია)	მოსწავლე ოსტატურად აბალანსებს სამივე ხერხს: აგებს მკაცრად ლოგიკურ ჯაჭვს, ემოციურად ზუსტად მოქმედებს აუდიტორიაზე და ავლენს მაღალ სანდოობას (ეთოსს). მისი პოზიცია ურყევია.	მოსწავლე იყენებს დარწმუნების ხერხებს, თუმცა რომელიმე მათგანი დომინირებს (მაგ: საუბრობს ძალიან ემოციურად, მაგრამ აკლია ლოგიკური არგუმენტები ან პირიქით).	მოსწავლე ცდილობს პოზიციის დაცვას, მაგრამ მისი მსჯელობა არადამაჯერებელია. დარწმუნების ხერხები სუსტადაა გამოხატული და არგუმენტები ხშირად მეორდება.	მოსწავლე ვერ აყალიბებს არგუმენტს. მისი გამოსვლა შემოიფარგლება მხოლოდ პირადი, დაუსაბუთებელი აზრის დაფიქსირებით („უბრალოდ მებრალება“ ან „უბრალოდ დამნაშავეა“).
3. როლური ქცევა და სასამართლო ეთიკა	მოსწავლე ბრწყინვალედ ირგებს როლს (ადვოკატი, პროკურორი, მოსამართლე, ყვავი და ა.შ.). იცავს რეგლამენტს, საუბრობს გამართული რიტორიკით, პატივს სცემს ოპონენტებს.	მოსწავლე კარგად ასრულებს როლს, თუმცა ზოგჯერ გამოდის პერსონაჟის ჩარჩოდან. სასამართლო ეთიკა დაცულია, მაგრამ გამოსვლას აკლია რიტორიკული სიმტკიცე.	მოსწავლე ნაწილობრივ ერთვება პროცესში, უჭირს როლში დარჩენა. ზოგჯერ არღვევს რეგლამენტს ან გამოხატავს ემოციებს შეუსაბამოდ.	მოსწავლე საერთოდ ვერ ირგებს როლს. პროცესის მიმართ გულგრილია, არ იცავს სასამართლო ფორმატს და ხელს უშლის დისკუსიას.

<u>რუბრიკა „იმსჯელეთ“:</u>

იმსჯელეთ შეკითხვებზე დაყრდნობით და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

- **რატომ გაასამართლეს ფრინველებმა ცასწავალა - მან მართლა დააშავა რაღაც თუ, უბრალოდ, იმიტომ დაისაჯა, რომ სხვებისგან განსხვავდება?**

ქვემოთ მოცემულია ცასწავალას დასჯის სამი მიზეზი. იმსჯელეთ, რომელი მიგაჩნიათ მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად და რატომ. შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ განსხვავებული ვარიანტიც.

ა) გაუგებრობა და შიში - ცასწავალა ფრინველებისთვის საფრთხეა, რადგან არ ესმით, რატომ იქცევა ასე;

ბ) საზღვრების დარღვევა - ცასწავალამ გაბედა და გასცდა საზოგადოებაში დაწესებულ „მიწიერ“ საზღვრებს;

გ) საკუთარი სიმართლის დამტკიცება - ფრინველები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათი „მიწიერი“ ცხოვრება მართებულია, ცასწავალას ოცნებები კი - დანაშაული.

კომენტარი: ცასწავალას სასამართლო პროცესი არ ყოფილა რეალური, სამართლებრივი დანაშაულის განხილვა. მან არც არავინ დაუზარალებია და არც საზოგადოებრივი წესრიგი დაურღვევია. მისი ერთადერთი „დანაშაული“ ის იყო, რომ იგი რადიკალურად განსხვავდებოდა სხვებისგან. ფრინველთა საზოგადოებამ ვერ აპატია მას ინდივიდუალიზმი და მიწიერი ყოფიერების მიღმა გახედვის სურვილი.

სამი შემოთავაზებული მიზეზიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტურია გ) მიზეზი: საკუთარი სიმართლის დამტკიცება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ბ) მიზეზს (საზღვრების დარღვევას). რატომ არის ეს ვერსია გადამწყვეტი? როდესაც ვინმე ახერხებს დაწესებული, „მიწიერი“ საზღვრების გადალახვას და მაღალ ოცნებებს მიჰყვება, იგი უნებურად სარკედ იქცევა მთელი საზოგადოებისთვის. ცასწავალას თავისუფალი ფრენა დანარჩენი ფრინველებისთვის იმის შეხსენება იყო, რომ თავად მიწაზე დახოხავდნენ და მხოლოდ საკვების მოპოვებაზე ფიქრობდნენ. ეს მათში არასრულფასოვნების განცდას აჩენდა. ფრინველებმა ცასწავალა იმიტომ კი არ დასაჯეს, რომ მან მართლა რამე დააშავა, არამედ საკუთარი კომფორტის ზონისა და ცხოვრების წესის გადასარჩენად. მისი გასამართლებითა და ოცნებების „დანაშაულად“ გამოცხადებით, მათ სურდათ დაემტკიცებინათ, რომ სწორედ მათი უინტერესო და ერთფეროვანი ცხოვრებაა ერთადერთი მართებული გზა. მათ სჭირდებოდათ ცასწავალას დასჯა, რათა სხვა ფრინველებსაც არ გასჩენოდათ ცაში ახედვისა და საზღვრების დარღვევის სურვილი (დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ის აზრიც, რომ სამივე ხედვა მართებულია და მხატვრულ სახეს შესაძლოა რამდენიმე სიმართლე უკავშირდებოდეს).

ცასწავალა გახდა მსხვერპლი „უმრავლესობის ტირანიისა“, რომელიც ვერ იტანს განსხვავებულ აზრს და ნიჭს. ფრინველებმა ის დასაჯეს არა საფრთხის, არამედ საკუთარი სიმცირის დასამალად და იმ ილუზიის შესანარჩუნებლად, რომ მათი „მიწაზე დგომა“ ერთადერთი სწორი არჩევანი იყო.

- **არის თუ არა ცასწავალა ტრაგიკული გმირი? როგორ უნდა გავიგოთ ცასწავალას ბოლო გაფრენა - ეს მისი გამარჯვებაა თუ დამარცხება?**

კომენტარი: ცასწავალა ნამდვილად არის კლასიკური ტრაგიკული გმირი, მისი ბოლო გაფრენა კი, მიუხედავად ფიზიკური დაღუპვისა, ცალსახად მისი სულიერი გამარჯვებაა. ლიტერატურული თვალსაზრისით, ამ საკითხების გააზრება რამდენიმე ასპექტით შეიძლება:

1. რატომ არის ცასწავალა ტრაგიკული გმირი?

ტრაგიკული გმირის მთავარი მახასიათებელი არის დაუძლეველი კონფლიქტი გამორჩეულ ინდივიდსა და სამყაროს/საზოგადოებას შორის, სადაც გმირი საკუთარი იდეალების ერთგულებას ეწირება. ცასწავალას ტრაგედია მის ნაკლოვანებებში კი არ არის, არამედ მის მისწრაფებაში - მას არ შეუძლია უღალატოს თავის ბუნებას და ოცნებას მაღლა ფრენაზე. იგი მარტოა თავის ძიებაში. საზოგადოებას (ფრინველებს) მისი არ ესმის, საფრთხედ აღიქვამს და სჯის. ტრაგიკული გმირი ყოველთვის იტანჯება იმის გამო, რომ უსწრებს თავის დროს ან სცდება თავისი გარემოს საზღვრებს.

2. ბოლო გაფრენა - გამარჯვება თუ დამარცხება?

ზედაპირულად, ფრინველთა „მიწიერი“ საზოგადოების გადმოსახედიდან, ეს შეიძლება დამარცხებად ჩანდეს: გმირი დაიღუპა, სისტემამ (სასამართლომ, უმრავლესობამ) იგი ვერ მიიღო და გაანადგურა. თუმცა, სიღრმისეულად ეს არის უდიდესი მორალური და სულიერი გამარჯვება. დამარცხება იქნებოდა ის, ცასწავალას სასამართლოს შიშით ფრთები რომ დაეკეცა, მიწაზე დარჩენილიყო და სხვა ფრინველებივით მხოლოდ საკვების მოპოვებაზე ეფიქრა. ეს იქნებოდა მისი, როგორც თავისუფალი არსების, სულიერი სიკვდილი. ბოლო გაფრენით მან მიაღწია იმ მაქსიმუმს, რაც მის არსებობას აზრს ანიჭებდა. მან აირჩია ხანმოკლე, მაგრამ ნამდვილი, თავისუფალი ფრენა, ვიდრე ხანგრძლივი, მაგრამ გალიაში ან მიწაზე ხოხვით გატარებული ცხოვრება. ტრაგიკული გმირის სიკვდილი ყოველთვის ტოვებს კვალს. მისი ბოლო გაფრენა არის მუდმივი შეხსენება და პროტესტი ტყის საზოგადოების ერთფეროვნებისა და სისასტიკის წინააღმდეგ. მან დაამტკიცა, რომ ფიზიკური განადგურება ვერ სპობს ამაღლებულ იდეასა და თავისუფლების წყურვილს.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“:</u>

დაწერეთ თხზულება: „ოცნება - სიცოცხლის მიზანი“, რომელშიც დაახასიათებთ გოდერძი ჩოხელის მოთხრობის გმირ ცასწავალას.

იმსჯელეთ:

- რა ადგილი უკავია ოცნებას ცასწავალას ცხოვრებაში;
- რატომ უპირისპირდებიან მას ფრინველები;
- რა თვისებები განასხვავებს მას ყვავისაგან, მოლაღულისაგან, რა არჩევანი გააკეთა ცასწავალამ;
- რაზე დაგაფიქრათ, რა გასწავლათ ამ მოთხრობამ;

- თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ოცნება იყოს სიცოცხლის ერთადერთი მიზანი - რა მოხდება, თუკი ადამიანი მხოლოდ საკუთარი ოცნებით იცხოვრებს და ყოველდღიურ მოვალეობებს სრულიად დაივიწყებს.

<u>წერითი დავალების შეფასების რუბრიკა:</u>

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
1. დავალების პირობის ადეკვატური გაგება-გააზრება და შინაარსობრივი მხარე	მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული მოთხრობის არსი, სრულყოფილად ახასიათებს ცასწავალას და ზუსტად განსაზღვრავს ოცნების როლს მის ცხოვრებაში. პასუხობს დავალების ყველა პუნქტს.	3
	თემა ძირითადად გააზრებულია, პერსონაჟი დახასიათებულია, თუმცა მსჯელობა ზოგიერთ პუნქტთან მიმართებით ზედაპირულია ან რომელიმე კითხვა გამოტოვებულია.	2
	თემის გააზრება სუსტია, მსჯელობა არის ფრაგმენტული, მოსწავლე მხოლოდ სიუჟეტს გადმოსცემს, არ ჩანს ანალიტიკურ ხედვა.	1
	ნაშრომი არ შეესაბამება დავალების პირობას ან შინაარსი საერთოდ არ არის გადმოცემული.	0
2. პერსონაჟთა შედარება და კონფლიქტის ანალიზი	მკაფიოდ და არგუმენტირებულად გამოკვეთს განსხვავებებს ცასწავალას, ყვავსა და მოლაღულს შორის. ღრმად აანალიზებს ფრინველთა დაპირისპირების მიზეზებსა და ცასწავალას არჩევანს.	2
	პერსონაჟები შედარებულია, თუმცა მხოლოდ ზედაპირული ნიშნებით (მაგ: „ყვავი მიწაზეა, ცასწავალა ცაში“). დაპირისპირების მიზეზები ბოლომდე არ არის ახსნილი.	1
	პერსონაჟების შედარება და კონფლიქტის ანალიზი საერთოდ არ არის წარმოდგენილი.	0
3. არგუმენტირებული მსჯელობა და პირადი პოზიცია	მოსწავლე დამარწმუნებლად მსჯელობს პრობლემაზე (ოცნებისა და რეალობის კონფლიქტი). მოჰყავს ლოგიკური, ცხოვრებისეული არგუმენტები და მკაფიოდ აყალიბებს დამოუკიდებელ ხედვას.	2
	პირადი პოზიცია დაფიქსირებულია, თუმცა მსჯელობა ცალმხრივია, აკლია დამაჯერებელი არგუმენტები ან მაგალითები.	1
	ეს კომპონენტი საერთოდ არ ჩანს ნამუშევარში.	0
4. კომპოზიციური გამართულობა (ნაშრომის აგება) და სტრუქტურა	ნაშრომი სტრუქტურულად სრულყოფილია: აქვს მკაფიო შესავალი, ძირითადი ნაწილი (ლოგიკურად დაყოფილი აბზაცებად) და დასკვნა. აზრები თანმიმდევრულია.	1
	ტექსტი სტრუქტურულად გაუმართავია, არ არის დაცული აბზაცებად დაყოფის პრინციპი, აზრები არათანმიმდევრული და ქაოტურია	0

5. ლექსიკა და სტილი	ნამუშევარი დაწერილია მდიდარი, მხატვრული და თემისთვის ადეკვატური ლექსიკით. აზრები გადმოცემულია ნათლად და სტილისტურად გამართულად.	1
	ლექსიკა ღარიბია, მეორდება ერთი და იგივე სიტყვები, ტექსტი სტილისტურად ერთფეროვანი ან გაუმართავია.	0
6. ენობრივი ნორმების დაცვა	ტექსტში მკაცრადაა დაცული ორთოგრაფიის, პუნქტუაციისა და მორფოლოგია-სინტაქსის წესები (დასაშვებია მაქსიმუმ 1-2 უნებლიე შეცდომა).	1
	ტექსტში უხვადაა გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები, რაც ართულებს შინაარსის გაგებას.	0

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

ჯალიაშვილი მაია, სხვად ყოფნის მისტერია, წერილი ინტერნეტგაზეთ „Mastsavlebeli.ge”-ზე, 27 მაისი, 2021

ზედელაშვილი ნინო, „ნაწილიანი - მოგონებები გოდერძი ჩოხელზე“, თბილისი, 2012

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:1</u>

ვაჟა-ფშაველა, მოთხრობა „ამოდის, ნათდება!“

პეტრიაშვილი გურამ, მოთხრობები: „თეთრსულელა“, „პატარა დინოზავრი“

ჩოხელი გოდერძი, მოთხრობა „არწივთან ფრენა“

ალფონს დოდე, მოთხრობა „მეწისქვილე კორნილის საიდუმლოება“

გი დე მოპასანი, მოთხრობები: „ფუნთუშა“ და „თოკის ნაჭერი“

რიჩარდ ბახის „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“

საათების სავარაუდო რაოდენობა: 3 აკადემიური საათი

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები:
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>მხატვრული ტექსტი</u> **- ვრცელი მოთხრობის ეპიზოდი** <u>შინაარსობრივი მხარე</u> - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი (რეალური, წარმოსახვით-ფანტასტიკური); პერსონაჟი (მაგ.: მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები,

ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება);

მონოლოგი, დიალოგი, პოლილოგი და მათი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ავტორისეული დახასიათება; ავტორისეული პლანი; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (მაგ.: ავტორის, პერსონაჟის); სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; ეპიზოდი; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი, გარეგანი);

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, ეპილოგი, აბზაცი;

ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: მეტაფორა, ეპითეტი, გაპიროვნება, ალეგორია, სიმბოლო); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. თხრობითი სახეობის ტექსტი.

2. სამიზნე ცნება „კონტექსტი“

კონტექსტური ფაქტორები

ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა).

3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“

მსგავსი ელემენტები - მთავარი იდეა/დედააზრი, თემა, მოტივი, სიუჟეტი, სახე-სიმბოლო; პერსონაჟთა ტიპები, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი მსგავსი სახასიათო ნიშან-თვისებები (მაგ.: პერსონაჟი - შემოქმედი/გმირი/მედროვე/მეამბოხე). ტექსტებს შორის მიმართებების, მსგავსი/უნივერსალური ელემენტების ცოდნა დაგვეხმარება, რომ მრავალმხრივად, სხვადასხვა პერსპექტივიდან გავიაზროთ წაკითხული; უკეთ წარმოვიდგინოთ, რითაა მნიშვნელოვანი ან/და გამორჩეული ესა თუ ის ტექსტი; რა ადგილი უჭირავს მას ქართულ ლიტერატურაში. თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, სახე-სიმბოლო, ციტატა (პარალელები: გოდერძი ჩოხელის „ცასწავალასთან“, ანტუან დე სენტ ეგზიუპერის “პატარა უფლისწულთან“, გურამ პეტრიაშვილის „პატარა დინოზავრთან“)

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეს შეუძლია:

- კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება;

- ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით;
- სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით;
- ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;
- ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე;
- მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;
- იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას;
- ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
- ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში/კულტურულ არეალში შექმნილ ტექსტებში მსგავსი თემების,
- იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით;
- იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.
- სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ტექსტების შედარება მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; იმის ახსნა, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

- ინტერტექსტობრივი მიმართებების (მაგ.: ალუზიის, ციტატის) ამოცნობა/წვდომა; იმის ახსნა, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს (მაგ.: თემის, მთავარი იდეის, პერსონაჟის სახის წარმოჩენის კუთხით).

ნაწარმოების შესახებ:

ამერიკელი მწერლის რიჩარდ ბახის ცნობილი ალეგორიული მოთხრობა „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“ წიგნის სახით პირველად 1970 წელს გამოქვეყნდა და 37 კვირის მანძილზე „ნიუ-იორკ ტაიმსის “ბესტსელერების სიაში იყო. მოთხრობა ყველა თაობის მკითხველის საყვარელი ნაწარმოებია. ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქმნილებაა, რომელშიც თოლიას (ადამიანის ალეგორიული მხატვრული სახე) თავისუფლებისა და განვითარებისკენ დაუოკებელი სწრაფვის ამაღელვებელი ამბავია მოთხრობილი. ნაწარმოების ორიგინალური ვერსია სხვადასხვა გამოცემაში 80-დან 120 გვერდამდე მერყეობს. 2014 წელს ავტორმა გამოაქვეყნა მისი გავრცობილი ვერსია (The Complete Edition), რომელშიც შედის მანამდე გამოუქვეყნებელი მეოთხე ნაწილი და 144 გვერდს მოიცავს. ეს მოცულობა ჟანრულად შუალედურია მოთხრობასა და რომანს შორის, მიეკუთვნება ე.წ. „პოვესტის“ (რუს.) ჟანრს, რომელსაც ქართულად ვრცელ მოთხრობას ვუწოდებთ.

ჩვენს სახელმძღვანელოში (მოსწავლის წიგნში) შედის მოთხრობის სამი საკვანძო ეპიზოდი: ჯონათანის კონფლიქტი მშობლებთან, მოგვიანებით უკვე - თოლიების თემთან (მისი გასამართლება და მოკვეთა) და ფინალურ ნაწილში მოთხრობილია, როგორ განვითარდა ჯონათანი, შეიძინა მიმდევრები, მათ შორის გამორჩეული მოსწავლე ფლეტჩერ ლინდი.

მშობლებთან და თემთან კონფლიქტის ეპიზოდები ნათლად აჩვენებს უფსკრულს გამორჩეულ ინდივიდსა და კონფორმისტულ უმრავლესობას შორის. პირველი სერიოზული წინააღმდეგობა ჯონათანს ოჯახში ხვდება. მისი მშობლები სასოწარკვეთილნი და შეშფოთებულნი არიან შვილის უცნაური ქცევით. დედას არ ესმის, რატომ არ შეუძლია ჯონათანს იყოს სხვა თოლიებივით, რატომ გახდა „მხოლოდ ძვალი და ბუმბული“ და რატომ ამჯობინებს შიმშილს ჰაერში ექსპერიმენტების ჩატარებას. მამა კი პრაგმატული კუთხით უდგება საკითხს და ახსენებს, რომ ფრენის ერთადერთი მიზანი საკვების მოპოვებაა. მშობლების მოთხოვნა, რომ ჯონათანმა სხვა თოლიებივით იცხოვროს, განპირობებულია შვილის “უცნაურობით“ გამოწვეული სირცხვილის გრძნობით, ასევე მის ბედზე გაუცნობიერებელი შიშითა და სიყვარულით. ისინი ცდილობენ შვილი „მიწაზე დააბრუნონ“ და აიძულონ, დაემორჩილოს საზოგადოებრივ ნორმებს. ჯონათანი ცდილობს კიდეც შეასრულოს მათი თხოვნა, თუმცა მისი ბუნება და სრულყოფილებისკენ სწრაფვა იმდენად ძლიერია, რომ „ნორმალურობის“ ჩარჩოებში დიდხანს ვერ ძლებს.

მეორე, ბევრად უფრო დრამატული ეპიზოდია გუნდის მიერ ჯონათანის გასამართლება. როდესაც იგი წარმოუდგენელ სიჩქარეს აღწევს და ფიქრობს, რომ მისი აღმოჩენა გუნდს გააბედნიერებს, მას სრულიად საპირისპირო რეალობა ხვდება. უხუცესთა საბჭო მას წრის ცენტრში უხმობს. თუმცა, ეს პატივისცემის ნიშნად კი არ ხდება, არამედ მის დასასჯელად. უხუცესი ჯონათანს აბრალებს „უპასუხისმგებლობას“, თოლიების ღირსების შელახვასა და ტრადიციების იგნორირებას. მათთვის დანაშაულია იმის მტკიცება, რომ ცხოვრებას შეიძლება სხვა, უფრო მაღალი აზრი ჰქონდეს, ვიდრე უბრალოდ გემებიდან გადმოყრილი

მყრალი ნარჩენების დევნა მუცლის ამოსაყორად. ჯონათანს სხვა იდეალები აქვს. მას არ სურს მუცელგაბერილ, ტლანქ, გონებაშეზღუდულ თოლიად დარჩენა, არა ცხოვრება საკვების მოსაპოვებლად, არამედ „ფრენა თვით ფრენის სიხარულისთვის!..“

ჯონათანის განაჩენი არის შერცხვენა, თემიდან მოკვეთა და შორეულ კლდეებზე განდევნა. გუნდი ზურგს აქცევს მას, რადგან სისტემას ეშინია იმ თავისუფლებისა და სიახლისა, რომელიც ჯონათანს მოაქვს. ეს ეპიზოდი კარგად აჩვენებს ბრმა უმრავლესობის ტირანიას გამორჩეული ნიჭის წინააღმდეგ. თუმცა, ფიზიკური განდევნა ჯონათანის დამარცხებად კი არ იქცევა, არამედ მისი ნამდვილი, შეუზღუდავი თავისუფლების დასაწყისად.

გოდერძი ჩოხელის „ცასწავალასა“ და რიჩარდ ბახის „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონს“ შორის არსებული პარალელები მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე მუდმივ, არქეტიპულ სიუჟეტს აცოცხლებს - ამაღლებული ინდივიდის კონფლიქტს პრაგმატულ და უინტერესო უმრავლესობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები სხვადასხვა კულტურულ სივრცეს მიეკუთვნებიან, მათი პერსონაჟების სულიერი გზა და ტრაგედია თითქმის იდენტურია. სხვაობა ისაა, რომ ჯონათანის ფინალი ე.წ. „ჰეფი ენდით“ სრულდება, ხოლო ცასწავალას ბედი ტრაგიკულია, ის ეწირება თავისი თემის ზეწოლასა და საკუთარ დაუოკებელ ვნებას. ორივე გმირისთვის არსებობის მთავარი აზრი ფიზიკური გადარჩენის საზღვრებს სცილდება. ჯონათანისთვის ფრენა არ არის საკვების მოპოვების იარაღი, ის ხელოვნება და სრულყოფილების მიღწევის საშუალებაა. ცასწავალასთვისაც ფრენა და ცისკენ ყურება უმაღლესი მიზანია. ისიც, ჯონათანის მსგავსად, უარს ამბობს მხოლოდ „მიწიერ“ ყოფაზე (საკვების ძიებაზე), რაც სხვა ფრინველების თვალში ორივე გმირს აშიმშილებს და ასუსტებს, თუმცა სულიერად ამაღლებს. ჯონათანს მშობლები სთხოვენ, შეეგუოს თოლიების ხვედრს და პრაგმატულად იცხოვროს. ცასწავალას შემთხვევაშიც, ტყის საზოგადოება მის მისწრაფებებს სიგიჟედ, უცნაურობად და ნორმიდან გადახრად მიიჩნევს. ორივე გმირს სთხოვენ, „დაეშვან მიწაზე“ და იყვნენ ისეთები, როგორებიც სხვები არიან. ორივე პერსონაჟის ისტორიაში ცენტრალური ადგილი უკავია სასამართლოს ეპიზოდს, რომელიც უმრავლესობის შიშისა და აგრესიის გამოვლინებაა. ორივე შემთხვევაში, ბრმა სისტემა საფრთხედ აღიქვამს ახალ იდეას და თავისუფლებას, რადგან ეს მათ „მიწიერ სიმართლეს“ ემუქრება. ყველაზე საინტერესო პარალელი მათ ფინალურ აკორდშია, სადაც ფიზიკური იზოლაცია ან სიკვდილი სულიერ ტრიუმფად იქცევა. ჯონათანი განდევნაში პოულობს უმაღლეს თავისუფლებას, სცდება მიწიერ საზღვრებს და მოგვიანებით მასწავლებლად უბრუნდება სამყაროს. ცასწავალა, ამკრძალავი განაჩენის მიუხედავად, მაინც მიფრინავს ცაში და იღუპება, თუმცა ეს სიკვდილი მისი უდიდესი გამარჯვებაა - მან კომპრომისზე წასვლას თავისუფლება ამჯობინა. ჯონათანიც და ცასწავალაც ტრაგიკული, მაგრამ ამავდროულად გამარჯვებული გმირები არიან. ისინი გვასწავლიან, რომ ოცნებისა და საკუთარი თავის ერთგულება ხშირად მარტოობისა და განდევნის ფასად მიიღწევა, თუმცა სწორედ ასეთ ინდივიდებს გადაჰყავთ სამყარო განვითარების ახალ საფეხურზე.

ჯონათანი და ცასწავალა ასევე ძლიერ ენათესავებიან სულიერად გურამ პეტრიაშვილის „პატარა დინოზავრის“ გმირს. პატარა დინოზავრიც უარს ამბობს მხოლოდ თავდახრილად ბალახის ძოვაზე, ემიჯნება თავის თემს და ჯონათანივით აღწევს უმაღლეს განვითარებას. ის ულამაზესი, მზის ლაქებით დამშვენებული ჟირაფი ხდება და ღრუბლიან ამინდებში ტყის ჩიტებისთვის მზედ იქცევა.

სამივე მწერალი ზღაპრულ ამბავს გვიყვება, ხატავს უცნაურ არსებებს, თუმცა სამივე პერსონაჟი მაძიებელი, დიდბუნებოვანი, ლაღი, მამაცი, სიახლეების მოყვარული, საზოგადოების გამაკეთილშობილებელი ადამიანის განსახიერებაა. ისინი ვაჟა-ფშაველას პოემების („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველისმჭამელი“) გმირებს გვაგონებენ.

<u>წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები:</u>

- როგორ გესმით გამოთქმა „დინების საწინააღმდეგოდ ცურვა“? თქვენი აზრით, რატომ ირჩევენ ადამიანები ამ გზას?
- ყოფილხართ თუ არა სიტუაციაში, როდესაც თქვენი აზრი სრულიად განსხვავდებოდა მეგობრების ან კლასელების აზრისგან? როგორ მოიქეცით ამ დროს - დათმეთ თქვენი პოზიცია თუ ბოლომდე დაიცავით?
- რატომ უჭირს ხოლმე საზოგადოებას (უმრავლესობას) იმ ადამიანების მიღება, რომლებიც სხვებისგან განსხვავებულად ფიქრობენ ან იქცევიან?
- რა განსხვავებაა ოცნებასა და მიზანს შორის? შეიძლება თუ არა, რომ ადამიანს ცხოვრებაში საერთოდ არ ჰქონდეს ოცნება?
- როდესაც რაიმე ახალს სწავლობთ (მაგალითად, ველოსიპედის ტარებას, ხატვას, ცეკვას ან ახალ თამაშს) და პირველ ჯერზე არ გამოგდის, რა გეხმარებათ, რომ გზა გააგრძელოთ და არ დანებდეთ?
- თქვენი აზრით, რის ხარჯზე მიაღწიეს წარმატებას მსოფლიოში ცნობილმა აღმომჩენებმა ან სპორტსმენებმა - მხოლოდ ნიჭით თუ დაუღალავი შრომითა და მარცხის შიშის დაძლევით?
- როდესაც გესმით სიტყვა „თოლია“, რა ასოციაცია გიჩნდებათ? რა თვისებები ახასიათებს ამ ფრინველს რეალურ ცხოვრებაში და როგორ ფიქრობთ, რა თვისებების სიმბოლო შეიძლება იყოს ის ლიტერატურაში (მაგ: თავისუფლება, ზღვა, სივრცე...)?
- როგორ ფიქრობთ, ყოველთვის სწორია თუ არა, როდესაც მშობლები ჩვენთვის პროფესიას ან მომავალ გზას ირჩევენ? როგორ უნდა მოიქცეს მოზარდი, თუ მისი ინტერესები მშობლების მოლოდინებს არ ემთხვევა?
- შეიძლება თუ არა, რომ ადამიანმა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის იცხოვროს და ყოველდღიური მოვალეობები (სწავლა, ოჯახის დახმარება) დაივიწყოს? სად გადის ზღვარი თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის?

რეკომენდაცია მასწავლებლისთვის: კითხვებზე მუშაობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ აქტივობა „იფიქრე - დაწყვილდი - გაუზიარე“. მიეცით მოსწავლეებს მოცემული კითხვარის გადახედვის შესაძლებლობა და რამდენიმე წუთი ინდივიდუალურად დასაფიქრებლად, შემდეგ მეწყვილესთან ერთად განიხილონ კითხვა და ბოლოს საუკეთესო არგუმენტები მთელ კლასს გაუზიარონ. ეს კარგ ნიადაგს მოამზადებს წიგნის კითხვის პროცესისთვის.

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“</u>

1. რატომ აღშფოთდნენ ჯონათანის მშობლები?

კომენტარი: ჯონათანის მშობლები აღშფოთდნენ იმიტომ, რომ მათი შვილი უარს ამბობდა სხვა თოლიებივით ცხოვრებასა და საკვების მოპოვებაზე**,** მთელ დროს ჰაერში ფრენის ექსპერიმენტებს უთმობდა, ამის გამო შიმშილობდა და საზოგადოებრივ ნორმებს არღვევდა

2. თქვენი აზრით, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯონათანს სხვა თოლიებივით ცხოვრება არ გამოუვიდა - მის სისუსტეზე თუ სიძლიერეზე? ახსენით თქვენი პასუხი.

კომენტარი: ეს ფაქტი მეტყველებს ჯონათანის სულიერ სიძლიერეზე. სხვა თოლიებივით ცხოვრება მას იმიტომ კი არ გაუჭირდა, რომ უნარი აკლდა, არამედ იმიტომ, რომ მისი შინაგანი თავისუფლების წყურვილი, ნიჭი და სრულყოფილებისკენ სწრაფვა ძალიან ძლიერი აღმოჩნდა. მან შეძლო ეღიარებინა საკუთარი გამორჩეულობა და უარი თქვა უმრავლესობის ბრმა წესებზე მორგებაზე, რაც უდიდეს მორალურ ძალასა და სიმამაცეს მოითხოვს.

3. რაში ხედავს გუნდი სიცოცხლის დანიშნულებას, რაში - ჯონათანი?

კომენტარი: გუნდი სიცოცხლის დანიშნულებას ხედავს მატერიალურ გადარჩენაში, საკვების მოპოვებასა და უსაფრთხოებაში, სადაც ფრენა მხოლოდ საკვებად თევზის მოპოვების იარაღია. ჯონათანი კი სიცოცხლის აზრს ხედავს სულიერ განვითარებაში, სრულყოფილების მიღწევაში, შემეცნებასა და თავისუფლებაში, სადაც ფრენა უმაღლესი ხელოვნებაა. „ფრენა თვით ფრენის სიხარულისთვის!“ - ეს იყო ჯონათანის უდიდესი ვნება და გატაცება (ამ კონტექსტში მასწავლებელმა მოსწავლეები შეიძლება დააფიქროს ორ მსგავს სიტყვაზე: სიცოცხლე და ცხოვრება („ცოცხლობს“ და „ცხოვრობს“). კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს დავაფიქრებთ იმაზე, თუ რა განსხვავებაა ამ ორ სიტყვას შორის, რით განსხვავდება ერთმანეთისგან ბიოლოგიური არსებობა (მხოლოდ საკვებისა და უსაფრთხოებისთვის ყოფნა) და სოციალური ცხოვრება).

4. **როგორ ფიქრობთ, ჯონათანის რა თვისებაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ მას თავისი აღმოჩენის თანაგუნდელებისთვის გაზიარება სურს? (მაგ.: ტრაბახაა, ალტრუისტია, ძალაუფლების მოყვარულია, გულჩვილია). პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.**

კომენტარი: ის ფაქტი, რომ ჯონათანს თავისი აღმოჩენის თანაგუნდელებისთვის გაზიარება სურს, უწინარეს ყოვლისა, მიგვითითებს იმაზე, რომ ის არის ალტრუისტი და კეთილი არსება. როდესაც ჯონათანი წარმოუდგენელ სიჩქარეს აღწევს და ფრენის ახალ ილეთებს სწავლობს, მისი პირველი რეაქცია სიხარული და აღფრთოვანებაა. მას სურს ეს ცოდნა გუნდს მიუტანოს არა ტრაბახისა ან ძალაუფლების მოპოვების მიზნით, არამედ იმიტომ, რომ სხვებსაც დაანახოს ფრენის სილამაზე და გაათავისუფლოს ისინი თევზის მოსაპოვებლად ყოველდღიური გაუთავებელი ბრძოლისგან. ნაწარმოებში ჩანს, რომ მას გულწრფელად სჯერა თანაგუნდელების პოტენციალის და სურს, მათაც მიანიჭოს თავისუფლებისა და უმშვენიერესი უკიდეგანო სამყაროს შეგრძნების ბედნიერება. მოგვიანებით, როდესაც მას გუნდიდან სრულიად უსამართლოდ განდევნიან, ჯონათანი

მარტოობაშიც კი განიცდის არა თავის გარიყვას, არამედ იმას, რომ სხვა თოლიები უარს ამბობენ თვალის გახელასა და ფრენის ნეტარების შეცნობაზე. ბახის მოთხრობის მომდევნო ნაწილებში მისი ალტრუისტული ბუნება კიდევ უფრო მკაფიო ხდება: იგი ტოვებს ახალ, სრულყოფილ სამყაროს და კვლავ დედამიწაზე ბრუნდება, რათა მასწავლებლად დაუდგეს იმ თოლიებს, რომლებმაც ის ერთ დროს გარიყეს. დიდი გერმანელი მწერალი თომას მანი საზოგადოებას ბიურგერებად და სულიერ ადამიანებად ყოფდა. მისი აზრით, ბიურგერია (გერმანულად სიტყვა Bürger ნიშნავს მოქალაქეს, თუმცა მოგვიანებით ამ სიტყვამ დამატებით პრაგმატული ადამიანის სემანტიკაც შეიძინა) ის, ვისაც, ფიზიოლოგიური და მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილების გარდა, სხვა ინტერესები არ აქვს და სულიერი ადამიანია ის, ვისაც აქვს შემოქმედებითი ხედვა ან სხვისი შექმნილის აღქმა-გააზრება შეუძლია, ესთეტია, ტკბება ბუნებით და ხელოვნების ნაწარმოებთან ზიარებით. ჯონათანის ტიპის პიროვნებები უარყოფენ „ბიურგერობას“ და სულიერ ადამიანებად რჩებიან ყოველთვის.

5. რა ბრალდება წაუყენა უხუცესმა ჯონათანს? რატომ ფიქრობს გუნდი, რომ ჯონათანის მიღწევა საფრთხეს წარმოადგენს?

კომენტარი: უხუცესმა ჯონათანს ბრალად წაუყენა უპასუხისმგებლობა და თოლიების საგვარეულოს ღირსებისა და ტრადიციების შელახვა. უხუცესის განცხადებით, ჯონათანმა დაარღვია დაუწერელი კანონი, რადგან ნამდვილი თოლია არ უნდა ცდილობდეს ცხოვრების აზრის ძიებას, არამედ უნდა შეეგუოს იმას, რომ მისი ხვედრი მხოლოდ ჭამა და გადარჩენაა. თოლიების გუნდი ფიქრობს, რომ ჯონათანის მიღწევა საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ის ანგრევს გუნდის მრავალწლიან, მყარ იერარქიას და ცხოვრების წესს. თუკი სხვა თოლიებიც დაიჯერებენ, რომ ფრენა ხელოვნება და თავისუფლებაა, ისინი უარს იტყვიან თევზის მოსაპოვებლად ბრძოლაზე, რაც დაარღვევს მათ უშფოთველ, ერთფეროვან წესრიგს. გარდა ამისა, ჯონათანის წარმატება საფრთხეს უქმნის უხუცესთა ძალაუფლებას და დანარჩენ თოლიებში არასრულფასოვნების განცდას აჩენს, ამიტომ სისტემა მას სასწრაფოდ იშორებს. მათთვის ჯონათანი ძალიან საშიში ფიგურაა (შენიშვნა: ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი და სასურველია მოსწავლეები დავაფიქროთ ასეთ თემაზე: არსებობს ფაქტი თუ მოვლენა და არსებობს მათი ინტერპრეტაცია. ყოველთვის აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ არქმევს სახელს, ვინ განსაზღვრავს შექმნილისა თუ მომხდარის, ინდივიდისა თუ ჯგუფის საზოგადოებრივ სტატუსს).

6. როგორ აბათილებს ჯონათანი უხუცესის ბრალდებას „უპასუხისმგებლობის“ შესახებ?

კომენტარი: ჯონათანი უხუცესის ბრალდებას სრულიად ახალი, უფრო ამაღლებული ლოგიკით აბათილებს და აცხადებს, რომ ნამდვილი უპასუხისმგებლობა სწორედ ბრმად, უმიზნოდ ცხოვრებაა. იგი გუნდის წინაშე სიტყვით გამოდის და ამბობს: „ვინ არის იმაზე უფრო პასუხისმგებლიანი, ვიდრე ისეთი თოლია, რომელიც ეძებს და პოულობს ცხოვრების უფრო მაღალ აზრს, უფრო დიდ მიზანს?“ ჯონათანი განმარტავს, რომ აქამდე თოლიების არსებობის ერთადერთი მიზანი საკვების მოპოვება და გადარჩენისთვის ბრძოლა იყო, მისი აღმოჩენა კი გუნდს აძლევს შანსს, გათავისუფლდნენ უმეცრებისგან, აღმოაჩინონ საკუთარი ნიჭი, ისწავლონ და იყვნენ თავისუფალნი. შესაბამისად, მისი მიზანი გუნდის ღირსების შელახვა კი არა, მისი ახალ საფეხურზე აყვანაა.

7. მოთხრობა მოსწავლის, ფლეტჩერის, ფიქრებით მთავრდება. თქვენი აზრით, რატომაა მნიშვნელოვანი, რომ „ერთადერთ ჭეშმარიტ კანონს“ - თავისუფლებას - არა მხოლოდ ჯონათანი, არამედ სხვებიც იზიარებენ? ნიშნავს თუ არა ეს, რომ იდეა უკვდავია? პასუხი დაასაბუთეთ.

კომენტარი: ფაქტი, რომ ნაწარმოები ფლეტჩერის ფიქრებით მთავრდება და ისიც იზიარებს საზღვრების გადალახვის ჯონათანისეულ კანონს, უმნიშვნელოვანესია, რადგან ეს ცალსახად ნიშნავს იდეის უკვდავებასა და მის გარდაუვალ გამარჯვებას. იდეა სცილდება ერთ ინდივიდს: სანამ თავისუფლების იდეა მხოლოდ ჯონათანის გონებაში არსებობდა, სისტემას შეეძლო მისი იზოლირება ან ფიზიკური განადგურება. თუმცა, როდესაც ეს ცოდნა მოსწავლეზე, ფლეტჩერზე გადადის, ჯონათანის მისია უკვე შესრულებულია - თავისუფლება აღარ არის ერთი თოლიის „აკვიატება“, ის ხდება მოძრაობა და ახალი რეალობა. ფლეტჩერი უკვე თავად ხდება მასწავლებელი, რომელიც ამ იდეას სხვებს გადასცემს. ეს ნიშნავს, რომ უხუცესთა საბჭომ და გუნდმა წააგო ბრძოლა. მათ განდევნეს ჯონათანი, მაგრამ ვერ განდევნეს მის მიერ დათესილი თავისუფლების მარცვალი. იდეა ხდება უკვდავი, რადგან მისი „დაჭერა“, დასჯა ან კლდეზე გამოკეტვა ფიზიკურად შეუძლებელია.

8. ჯონათანს უწევს არჩევანის გაკეთება - „ჭამა“ თუ „ფრენა“. ადამიანის ცხოვრებაშიც არის ეს ორი მხარე - ყოველდღიური მოვალეობები - ერთ მხარეს, ოცნება და გატაცება - მეორე მხარეს. თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა იცხოვრო ისე, რომ არც საზრუნავი დაგავიწყდეს და არც ოცნებაზე თქვა უარი? რატომ ფიქრობთ ასე?

კომენტარი: არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა იცხოვრო ისე, რომ ერთმანეთს შეუთავსო ყოველდღიური საზრუნავი და ამაღლებული ოცნებები. ეს არის სრულფასოვანი და ბედნიერი ცხოვრების ერთადერთი სწორი ფორმულა. ოცნება საზრუნავს აზრს ანიჭებს: თუ ადამიანი მხოლოდ ყოველდღიური მოვალეობებით (სწავლით, მუშაობით, გადასახადების გადახდით) იცხოვრებს და ოცნებაზე უარს იტყვის, მისი ცხოვრება დაემსგავსება ბახის თოლიების გუნდის არსებობას, რომელიც მხოლოდ „ჭამისთვის“ იბრძვის. მოვალეობები ხდება მოსაწყენი რუტინა, თუ არ ვიცით, რა არის ჩვენი საბოლოო, უფრო დიდი მიზანი. ოცნება არის ის ენერგია, რაც ყოველდღიურობის გადალახვაში გვეხმარება. მეორე მხრივ, რეალურ სამყაროში მხოლოდ ოცნებებით ცხოვრება და მიწაზე მყარად ვერდადგომა ადამიანს ილუზიებში ჩაკეტავს. ყოველდღიური პასუხისმგებლობების შესრულება (მაგალითად, განათლების მიღება, მუშაობა) ხშირად არის ის ინსტრუმენტი და ბაზისი, რაც ჩვენი ოცნებების რეალიზებისთვის გვჭირდება. თავად ჯონათან ლივინგსტონიც ხომ საათობით, დაუღალავად, დისციპლინირებულად შრომობდა, რათა სასურველი სიჩქარისთვის მიეღწია. ადამიანის უნიკალურობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მას აქვს უნარი ერთდროულად იყოს პრაგმატულიც და რომანტიკოსიც. მთავარია ოქროს შუალედის პოვნა - გქონდეს ფრთები, რომლითაც ცაში იფრენ, მაგრამ გქონდეს ფეხებიც, რომლითაც მიწაზე მყარად იდგები. ჩვენ არ გვიწევს რადიკალური არჩევანის გაკეთება „სრულ შიმშილსა“ და „ხოხვას“ შორის. ადამიანს შეუძლია თავისი ყოველდღიური სამუშაო შეასრულოს მაღალი პასუხისმგებლობით, ხოლო თავისუფალი დრო, გული და გონება იმ გატაცებებსა და ოცნებებს დაუთმოს, რომლებიც მას პიროვნულად ზრდის.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“:</u>

მოთხრობაში ვკითხულობთ: „შუაგულში დგომა ან დიდ სირცხვილს ნიშნავდა, ან დიდ პატივს.“ ეს წინადადება პარადოქსს მოგვაგონებს. მართლაც, როგორ შეიძლება ერთ ადგილზე დგომას ორი აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს?!

ფაქტია, რომ ორივე შემთხვევაში ცენტრში დგანან გუნდის რიგითი წევრებისგან გამორჩეული თოლიები - გამორჩეული ბელადები ან ისინი, ვინც შერცხვენას იმსახურებენ. მაშ, რა განსხვავებაა ამ ორ გამორჩეულობას შორის და რა პრინციპით წყვეტს საზოგადოება, ვინ იმსახურებს პატივს და ვინ - შერცხვენას?

- ტექსტში ორ საპირისპირო სამყაროს ვხვდებით: „უმეცრებასა“ და თავისუფლებას. უმეცრების სიბნელეში ცხოვრობს გუნდი, რომელსაც, საკვების შოვნის გარდა, არაფერი აინტერესებს, „თავისუფლების გზა“ კი გაიხსნა ჯონათანისთვის, რომელმაც აღმოაჩინა ფრენის, როგორც ხელოვნების, საიდუმლო. როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს რიჩარდ ბახი ამ სიმბოლოებს? რა კავშირი აქვს სიბნელეს საკუთარი შესაძლებლობების არცოდნასთან, ხოლო სინათლეს - თავისუფლებასა და განვითარებასთან? პასუხი ახსენით, ახსნისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ილია ჭავჭავაძის საჯარო სიტყვა, რომელიც შეისწავლეთ მეორე თავში.

კომენტარი: „სიბნელიდან სინათლისკენ“ - ეს მოწოდება იდეურად აკავშირებს რიჩარდ ბახის მოთხრობისა და წინამძღვრიანთკარში ილიას საჯარო გამოსვლის მთავარ სათქმელებს. რიჩარდ ბახი „უმეცრების სიბნელესა“ და „თავისუფლების სინათლეს“ იყენებს, როგორც უნივერსალურ, მუდმივ ლიტერატურულ სიმბოლოებს. ავტორი ამით აჩვენებს, რომ უმეცრება არის ადამიანის (ან თოლიის) სულიერი ტყვეობა, სადაც არსებობის ერთადერთი მიზანი ფიზიკური გადარჩენაა. სიბნელე იმიტომ უკავშირდება საკუთარი შესაძლებლობების არცოდნას, რომ ბნელში მყოფი არსება ვერ ხედავს საკუთარ ფრთებს, ვერ აღიქვამს ჰორიზონტს და ჰგონია, რომ მისი საზღვრები მხოლოდ ნაპირთან მთავრდება. სინათლე კი არის შემეცნება, რომელიც თვალს უხელს ინდივიდს, უჩვენებს თავის ნამდვილ პოტენციალს და აძლევს განვითარებისა და ჭეშმარიტი შინაგანი თავისუფლების შესაძლებლობას. ეს ხედვა პირდაპირ კავშირშია ილია ჭავჭავაძის საჯარო სიტყვასთან, სადაც ის ამბობს, რომ „ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა. სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, - სჩანს, ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო”.

ამ ორ ტექსტს შორის უმნიშვნელოვანესი პარალელები არსებობს: თოლიების გუნდი, რომელსაც მხოლოდ ნაყროვანება აინტერესებს, მხოლოდ ყოველდღიური მატერიალური ყოფიერებითაა დაკავებული და ივიწყებს სულიერ, ეროვნულ თუ პიროვნულ განვითარებას. ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ უმეცრება ერს აუძლურებს და მონობაში ამყოფებს. ბახთანაც, თოლიები, რომლებიც უარს ამბობენ ფრენის ხელოვნების სწავლაზე, საკუთარი ნებით იკეტებიან „უმეცრების გალიაში“ და ვერასდროს იგებენ, რა არის ნამდვილი ფრენა. სინათლე - განათლება და თავისუფლებაა. როგორც ილიასთვის იყო განათლება და წიგნიერება ქვეყნის გადარჩენისა და თავისუფლების ერთადერთი გზა, ისე

ჯონათანისთვის გახდა ფრენის საიდუმლოს შეცნობა სინათლის მომტანი. შემეცნებამ ჯონათანიც და მისი მოსწავლეებიც სულიერად გაათავისუფლა გუნდის ბრმა დოგმებისგან. ორივე ავტორი გვასწავლის, რომ ნამდვილი თავისუფლება იწყება გონებისა და სულის განათლებით. სანამ ერი თუ ინდივიდი უმეცრების სიბნელეშია, ის ვერასდროს აღმოაჩენს საკუთარ ძალებს. მხოლოდ ცოდნისა და სრულყოფილებისკენ ლტოლვის სინათლეს შეუძლია გამოაფხიზლოს საზოგადოება და მისცეს მას „მაღლა ფრენის“ უფლება.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“:</u>

დაწერეთ თხზულება თემაზე: „უმეცრებიდან თავისუფლებისკენ“ (რიჩარდ ბახის მოთხრობის მიხედვით).

თხზულებაში გამოკვეთეთ აბზაცები და სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. სათქმელი შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ შემდეგნაირად:

შესავალი

ისაუბრეთ, რას ნიშნავს თავისუფლება, მწერლის თვალსაზრისით; რატომ არის უმეცრება სიბნელე, ცოდნა და განვითარება კი - სინათლე.

ძირითადი ნაწილი

იმსჯელეთ, რა არის თოლიების ცხოვრების მიზანი და რატომ უწოდებს ამას ბახი უმეცრებას; რა აკლია თოლიების სამყაროს. რა ნაბიჯი გადადგა ჯონათანმა სიბნელიდან გამოსასვლელად, რას განასახიერებს მისთვის ფრენა; როგორ შეიცვალა მისი სამყარო, როცა მან ფრენის „სიდიადე“ აღმოაჩინა.

დასკვნა

შეაჯამეთ ძირითად ნაწილში გამოთქმული აზრები და გამოკვეთეთ, რაზე დაგაფიქრათ ამ მოთხრობამ.

<u>წერითი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა:</u>

კრიტერიუმები	აღწერილობა	ქულა
1. თემის გააზრება და შესავალი (სიმბოლოების ინტერპრეტაცია)	მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული თემა. შესავალში მკაფიოდ და საინტერესოდ მსჯელობს თავისუფლების არსზე მწერლის თვალსაზრისით; ლოგიკურად განმარტავს „უმეცრების, როგორც სიბნელის“ და „ცოდნა-განვითარების, როგორც სინათლის“ სიმბოლიკას.	2 ქულა
	შესავალი ნაწილი გამოკვეთილია, თუმცა მსჯელობა ზოგადია; სიმბოლოების (სიბნელე/სინათლე) ახსნა ზედაპირულია ან მხოლოდ ნაწილობრივაა გადმოცემული.	1 ქულა

	შესავალი საერთოდ არ შეესაბამება დავალების პირობას ან გამოტოვებულია.	0 ქულა
2. შინაარსობრივი მხარე: მსჯელობა თოლიების სამყაროს მახასიათებლებზე	მოსწავლე სრულყოფილად აანალიზებს თოლიების გუნდის ცხოვრების მიზანს (მატერიალური გადარჩენა) და არგუმენტირებულად ხსნის, თუ რატომ უწოდებს ამას ბახი უმეცრებას. ნათლად გამოკვეთს, რა აკლია მათ სამყაროს (სულიერება, თავისუფლება, განვითარება).	2 ქულა
	თოლიების ცხოვრება აღწერილია, თუმცა აკლია ანალიტიკური სიღრმე - მსჯელობა უფრო სიუჟეტის თხრობას ჰგავს, ვიდრე მიზეზების გააზრებას.	1 ქულა
	გუნდის ყოფა-ცხოვრება და მათი მთავარი პრობლემა - უმეცრება საერთოდ არ არის განხილული.	0 ქულა
3. ძირითადი ნაწილი: ჯონათანის გზა და მისი ფრენის იდეური მნიშვნელობა	სიღრმისეულად მსჯელობს ჯონათანის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, სწორად ხსნის ფრენის, როგორც ხელოვნებისა და უმაღლესი იდეალის სიმბოლიკას; ნათლად აჩვენებს, როგორ შეიცვალა და გაფართოვდა მისი სამყარო აღმოჩენის შემდეგ.	2 ქულა
	ჯონათანის ფრენის ეპიზოდები ნახსენებია, თუმცა მსჯელობა არ არის თანმიმდევრული ან ფრენის, როგორც „სიდიადის/ხელოვნების“ გააზრება ზედაპირულია.	1 ქულა
	პერსონაჟის განვითარებისა და მისი ტრანსფორმაციის ანალიზი არ ჩანს.	0 ქულა
4. დასკვნა და პირადი რეფლექსია	ნაშრომს აქვს ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დასკვნა, რომელიც ორგანულად აჯამებს ძირითად ნაწილში გამოთქმულ აზრებს. მოსწავლე ქმნის ღრმა პირად რეფლექსიას - გამოკვეთს, თუ კონკრეტულად რაზე დააფიქრა ამ ნაწარმოებმა.	2 ქულა
	დასკვნითი ნაწილი წარმოდგენილია, თუმცა ის მხოლოდ ძირითადი ნაწილის ფრაზების მექანიკური გამეორებაა, ან პირადი დამოკიდებულებაა გადმოცემული ბუნდოვნად.	1 ქულა
	ნაშრომში არ არის შემაჯამებელი მსჯელობა, დასკვნითი ნაწილი საერთოდ არ არის შესრულებული.	0 ქულა
5. ტექსტის სტრუქტურა და კომპოზიცია (ნაშრომის აგება)	ტექსტი სტრუქტურულად სრულყოფილია: მკაფიოდ არის გამოყოფილი სამივე სავალდებულო ნაწილი (შესავალი, ძირითადი, დასკვნა). აზრები დალაგებულია თანმიმდევრულად, აბზაცების გამოყოფის წესის სრული დაცვით.	1 ქულა
	ტექსტი კომპოზიციურად არეულია, აზრები ქაოტურად გადადის ერთი საკითხიდან მეორეზე, არ არის დაცული აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	0 ქულა

6. ენობრივი ნორმები, ლექსიკა და სტილი	ნამუშევარი დაწერილია მდიდარი, თემისთვის ადეკვატური ლექსიკითა და გამართული სტილით. დაცულია ორთოგრაფიის, პუნქტუაციისა და მორფოლოგია-სინტაქსის წესები (დასაშვებია მაქსიმუმ 1-2 უმნიშვნელო ხარვეზი).	1 ქულა
	ტექსტი სტილისტურად ერთფეროვანია, ლექსიკა - ღარიბი. გვხვდება უხეში გრამატიკული, ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომები, რაც აბრკოლებს აზრის გაგებას.	0 ქულა

<u>რუბრიკა „შეადარეთ“:</u>

შეადარეთ ერთმანეთს გოდერძი ჩოხელის „ცასწავალა“ და რიჩარდ ბახის „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“.

I. ორივე მოთხრობაში პერსონაჟს უწყობენ სასამართლოს.

- ✓ ისაუბრეთ, რა არგუმენტები მოჰყავთ ფრინველებს ცასწავალასთვის განაჩენის გამოსატანად - ერთი დღე-ღამით თავისუფლების აღსაკვეთად - და რით ასაბუთებენ თოლიები ჯონათანის გუნდიდან გაძევებას? რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ამ ორ სასამართლოს შორის?
- ✓ ვინ გამოდის სიტყვით სასამართლოზე ერთ მოთხრობაში და ვინ - მეორეში? რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს?
- ✓ შეადარეთ როგორ იღებენ ცასწავალა და ჯონათანი დაკისრებულ სასჯელს? რით ჰგვანან ერთმანეთს, რით განსხვავდებიან ისინი?

II. გაეცანით სიმბოლოებისა და პერსონაჟთა სახეების ძირითად მნიშვნელობებს, შემდეგ უპასუხეთ შეკითხვებს.

შეკითხვები:

1. ცა - ცხრილში ცა ერთადერთი უნივერსალური სიმბოლოა.

- როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევითობაა თუ ცა რაღაც ისეთს განასახიერებს, რაც ერთნაირად სჭირდება ყველა ადამიანს დედამიწის ნებისმიერ კუთხესა და ნებისმიერ ეპოქაში? რა არის ეს „რაღაც“ - რას ეძებენ ადამიანები ცაში, რაც ყველას ერთნაირად სჭირდება?

კომენტარი: ცა არ არის შემთხვევითი სიმბოლო; ის განასახიერებს უნივერსალურ, ფუნდამენტურ ფასეულობებს, რომლებიც ადამიანს თავისი არსებობის ნებისმიერ ეპოქაში, კულტურასა თუ გეოგრაფიულ წერტილში ერთნაირად სჭირდება. ეს „რაღაც“, რასაც ადამიანები ყოველთვის ეძებდნენ და ეძებენ ცაში, შეიძლება რამდენიმე ძირითად ცნებად ჩამოყალიბდეს: 1. სულიერი თავისუფლება: დედამიწაზე ადამიანი ყოველთვის შეზღუდულია ფიზიკური ბარიერებით, სოციალური ჩარჩოებითა და ყოველდღიური საზრუნავით (როგორც ჩოხელის „ტყის საზოგადოება“ ან ბახის თოლიების გუნდი). ცა კი არის ერთადერთი სივრცე, რომელსაც არ აქვს ხილული საზღვრები, კედლები და ღობეები. ის განასახიერებს აბსოლუტურ თავისუფლებას, სადაც სულს შეუძლია „გაშალოს ფრთები“; 2. ამაღლებული მიზანი და იდეალი: ცა მატერიალურად მიუწვდომელია - მას ვერ შეეხები, ვერ იყიდი და ვერც საკუთრებად აქცევ. ამიტომ, ის ყველა ეპოქაში იყო წმინდანების,

ხელოვნების, ოცნებებისა და იდეალების სამყარო. ადამიანები ცაში ეძებენ იმაზე მეტს, ვიდრე უბრალო მატერიალური, ბიოლოგიური გადარჩენაა. ის არის შეხსენება, რომ არსებობს უფრო ამაღლებული რამ, ვიდრე „მიწაზე ხოხვაა“. 3. იმედი და ნუგეში: როდესაც ადამიანი მიწაზე (ანუ რეალობაში) აწყდება ტკივილს, უსამართლობას ან ერთფეროვნებას, მისი მზერა ინსტინქტურად მიიმართება ზემოთ. ცა არის სიმბოლო იმედისა, რომ არსებობს უკეთესი, უფრო სუფთა და ნათელი სამყარო, სადაც სულიერი სიმშვიდის პოვნაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, რიჩარდ ბახის ჯონათანისთვისაც და გოდერძი ჩოხელის ცასწავალასთვისაც ცა გახდა არა უბრალოდ ფიზიკური გარემო, არამედ საკუთარი უსაზღვრო პოტენციალის, სრულყოფილებისა და ჭეშმარიტი თვითრეალიზაციის სიმბოლო. ეს არის სივრცე, რომელიც ადამიანს მოუწოდებს, არასოდეს შეეგუოს მხოლოდ „მიწიერ“ საზღვრებს.

- როგორ ფიქრობთ, რატომ იქცა ამ საერთო მისწრაფების სიმბოლოდ სწორედ ცა და არა სხვა რამ - მაგალითად, ზღვა ან მთა? პასუხის გასაცემად დაფიქრდით, რა მახასიათებლები აქვთ მთასა და ზღვას (მაგ.: შეგვიძლია ხელით შევეხოთ, მთავრდება ნაპირით ან მწვერვალით) და რით განსხვავდება ცა მათგან.

კომენტარი: ამ კონტექსტში, ცა ამ საერთო მისწრაფების (თავისუფლების, უსასრულობის, იდეალის) სიმბოლოდ იქცა იმიტომ, რომ ის, ზღვისა და მთისგან განსხვავებით, აბსოლუტურად მიუწვდომელი, დაუპყრობელი და უსაზღვროა. თუ დავფიქრდებით მთისა და ზღვის მახასიათებლებზე, დავინახავთ მკაფიო განსხვავებებს: მთას აქვს კონკრეტული, ფიზიკური მწვერვალი. ჩვენ შეგვიძლია მას ხელით შევეხოთ, ფეხით შევდგეთ მასზე და, რაც მთავარია, დავიპყროთ იგი. როგორც კი ადამიანი მთის მწვერვალზე ავა, იქ ძიება და აღზევება მთავრდება - გზა აღარ არის. შესაბამისად, მთა არის მიზნის მიღწევის, სიძნელეების გადალახვის სიმბოლო, მაგრამ არა უსასრულო მისწრაფებისა. ზღვას აქვს თვალუწვდენელი ჰორიზონტი, თუმცა ის მაინც ნაპირით მთავრდება. ზღვის ფსკერსა და წყალს ადამიანი ფიზიკურად ეხება. გარდა ამისა, ზღვა ხშირად ასოცირდება ქაოსთან, მისტიკურ სიღრმეებსა და საშიშროებასთან. მასზე გემით ცურვა მაინც ორგანზომილებიან, „მიწიერ“ სიბრტყეზე გადაადგილებაა. ცას არ აქვს ნაპირი და არ აქვს მწვერვალი. რაც უფრო მაღლა მიფრინავს თოლია ჯონათანი ან ცასწავალა, მით უფრო მეტი სივრცე იშლება მათ წინაშე. ცას არ გააჩნია ფინიშის ხაზი, ის დაუსრულებელი განვითარების სიმბოლოა. ცას ფიზიკურად ვერ შეეხები, ვერ მოჭრი, ვერ ააშენებ მასზე სახლს და ვერ აქცევ კერძო საკუთრებად. ის ყოველთვის რჩება ხელუხლებელი, სუფთა და მატერიალური სამყაროსგან დისტანცირებული. მთა და ზღვა ლოკალურია - ყველგან არ არის ზღვა ან მთა. ცა კი ყველას თავს ზემოთაა, დედამიწის ნებისმიერ წერტილში. ის ერთნაირად დაჰყურებს ყველას და ყველას აძლევს უფლებას, აიხედოს ზემოთ. სწორედ ამიტომ, როდესაც რიჩარდ ბახს ან გოდერძი ჩოხელს სურთ აჩვენონ ადამიანის სულის შეუზღუდავი პოტენციალი და იდეალებისკენ მარადიული სვლა, ისინი ირჩევენ ცას. ცა ერთადერთი ფიზიკური რეალობაა, რომელიც თავისი არსით მეტაფორულად სულიერ, ღვთაებრივ და უსასრულო სამყაროს განასახიერებს.

2. **ცასწავალა და ჯონათანი** - ისინი ფიზიკურად სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ცასწავალა პატარა, უღონო ჩიტია, ჯონათანი კი - ყველაზე სწრაფი თოლია. როგორ ფიქრობთ, რა არის ის ერთი რამ, რაც მათ ერთმანეთთან ათანაბრებს?

3. **ზღვარი** - ცასწავალა და ჯონათანი - ორივე გასცდება ზღვარს, მაგრამ შედეგი სხვადასხვაა - ერთი კვდება, მეორე „სხვა სამყაროში გადადის“. თქვენი აზრით, რამდენად შეგვიძლია მოთხრობების დასასრულს იმედიანი ვუწოდოთ - გაქრა თუ არა პერსონაჟების ოცნება მათთან ერთად? უპასუხეთ მოთხრობების კონკრეტულ ეპიზოდებზე დაყრდნობით.

4. **სასამართლო** - ცასწავალასაც და ჯონათანსაც სასამართლოს უწყობენ და ორივეს სჯიან ერთი მიზეზის - განსხვავებულობის - გამო. თქვენი აზრით, ვინ აღმოჩნდა ამ დაპირისპირებაში რეალურად გამარჯვებული - საზოგადოება, რომელმაც ისინი დასაჯა, თუ თავად პერსონაჟები? რატომ ფიქრობთ ასე?

მე-2, მე-3 და მე-4 დავალების საერთო კომენტარი: მიუხედავად ფიზიკური განსხვავებისა - როცა ერთ მხარესაა პატარა, სუსტი ცასწავალა, ხოლო მეორე მხარეს უძლიერესი და უსწრაფესი თოლია ჯონათანი - მათ აბსოლუტურად ათანაბრებს შინაგანი სულიერი თავისუფლება, კომპრომისზე უარის თქმა და საკუთარი ოცნებისადმი უპირობო ერთგულება. ეს არის ის „ერთი რამ“, რაც მათ სულებს ტყუპისცალად აქცევს და რეალურ ძალას ანიჭებს. ორივეს ახასიათებს შინაგანი სიმამაცე და ურჩობა. ორივე პერსონაჟმა უარი თქვა „ბიურგერულ“, პრაგმატულ ყოფიერებაზე. არცერთმა არ აირჩია უმრავლესობის უსაფრთხო, მაგრამ ერთფეროვანი და ბრმა გზა. მათ ამჯობინეს ყოფილიყვნენ გარიყულნი, ოღონდ საკუთარი ბუნებისთვის არ ეღალატათ. ორივეს აქვს იდეალისტური ხედვა. ფიზიკური მონაცემები მხოლოდ მატერიალური სამყაროს საზომია. სულიერ დონეზე კი ცასწავალას წყურვილი, შეიცნოს ცის სიღრმე, ზუსტად ისეთივე დიდებული და მასშტაბურია, როგორც ჯონათანის მისწრაფება, დაამყაროს ფრენის სიჩქარის ახალი რეკორდები. ორივესთვის ფრენა არის არა ფიზიკური მოქმედება, არამედ შემეცნებისა და სრულყოფილების გზაა. ორივეს აქვს მზადყოფნა უმაღლესი ფასის გადასახდელად. ორივე გმირი მზად აღმოჩნდა საკუთარი არჩევანის გამო მარტოობისთვის, განდევნისა თუ ფიზიკური სიკვდილისთვის. მათ დაამტკიცეს, რომ სულის სიდიადე და შინაგანი სიძლიერე ფრთების ზომითა და კუნთების სიძლიერით კი არ იზომება, არამედ იმით, თუ რამდენად შორს შეიძლება წასვლა საკუთარი იდეალის დასაცავად. პაწაწინა ცასწავალას სუსტი ფრთები ზუსტად ჯონათანის ძლიერი ფრთების ტოლფარდია, რადგან ორივემ შეძლო მიწიერი რუტინის, შიშის, უმეცრების დაძლევა და ცის უსასრულობის გათავისება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პერსონაჟის მიერ ზღვრის გადალახვას განსხვავებული ფიზიკური შედეგი მოჰყვება, ორივე მოთხრობის დასასრული თავისი არსით უაღრესად ოპტიმისტურია. პერსონაჟების ოცნება მათთან ერთად არათუ არ გამქრალა, არამედ სწორედ მათი ფინალური ნაბიჯით შეიძინა უკვდავება. თუ დავეყრდნობით ნაწარმოებების კონკრეტულ ეპიზოდებს, დავინახავთ, რომ ორივე ავტორი სრულიად სხვადასხვა მხატვრული ხერხით საერთო ჭეშმარიტებამდე მიდის. ესაა იდეის უწყვეტობა. ჯონათანის მიერ მიწიერი საზღვრების გარღვევა და „სხვა სამყაროში გადასვლა“ ამარცხებს სიკვდილის შიშს. მისი ოცნება არ ქრება, რადგან ის ტოვებს მოსწავლეებს. გოდერძი ჩოხელის „ცასწავალაში“ მსხვერპლი მოიაზრება, როგორც გაფრთხილება. ცასწავალას ფიზიკური სიკვდილი, ერთი შეხედვით, ტრაგიკულია, თუმცა მისი ფინალური აკორდი სინამდვილეში უდიდესი მორალური ტრიუმფია და არა დამარცხება. როდესაც ფრინველები მას სასამართლოს უწყობენ და უკრძალავენ ფრენას, ცასწავალა მაინც მაღლა მიფრინავს. ის იღუპება, მაგრამ იღუპება თავისუფალი. მოთხრობის ბოლოს მთხრობელი ხედავს მის დაცემას, თუმცა მკითხველის გულში რჩება არა ჩიტის სიკვდილი, არამედ მისი გაბედულება. ცასწავალას ოცნება არ გამქრალა, რადგან მან დატოვა გაკვეთილი და კვალი. მისი სიკვდილი არის მარადიული პროტესტი და სარკე იმ ფრინველებისთვის, რომლებიც

მიწაზე დარჩნენ. მისი დაღუპვა საზოგადოებას აფხიზლებს - ამბავი იწერება და მომავალ თაობებს გადაეცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცასწავალას ოცნებამ დაამარცხა დრო. სიკვდილი (ჩოხელთან) და ზღვრის გადალახვა (ბახთან) მხოლოდ ფორმალური განსხვავებაა. მთავარი ისაა, რომ ორივე გმირმა დაამტკიცა: სხეულის განადგურება ან გაქრობა არ ნიშნავს იდეის კვდომას. ოცნება მათთან ერთად კი არ გაქრა, არამედ სწორედ მათი წყალობით იქცა ჩაუქრობელ ვარსკვლავად, რომელიც მომავალ თაობებს გზას გაუნათებს.

ამ დაპირისპირებაში რეალურად და უპირობოდ გამარჯვებულები თავად პერსონაჟები - ჯონათანი და ცასწავალა - აღმოჩნდნენ, საზოგადოება კი, რომელმაც ისინი დასაჯა, სულიერად და მორალურად დამარცხდა. საზოგადოების (თოლიების გუნდისა და ტყის ფრინველების) მიზანი იყო, გაეტეხა გმირების ნება, შეეშინებინა ისინი და ეიძულებინა, დაეშვათ ფრთები და ჩვეულებრივ, ერთფეროვან რიტმს შეგუებოდნენ. სასამართლოზე არც ჯონათანს და არც ცასწავალას არ უნანიათ თავიანთი არჩევანი. მათ საკუთარ იდეალებზე უარი არ თქვეს. სისტემამ მათ ფიზიკურად სძლია (მოკვეთა, დაღუპვა), მაგრამ ვერ მოერია მათ სულს. თოლიების უხუცესთა საბჭოსა და ცასწავალას მოსამართლეებს ეგონათ, რომ ამ ინდივიდების მოშორებით საკუთარი „მიწიერი წესრიგი“ და ძალაუფლება დაიცვეს. სინამდვილეში, მათ გამოავლინეს სისუსტე და შიში სიახლის მიმართ. მათ საკუთარ თავს წაართვეს შანსი, გაფრენილიყვნენ უფრო მაღლა და ეცხოვრათ უკეთეს სამყაროში. ისინი დარჩნენ უმეცრებისა და რუტინის ტყვეობაში. ნამდვილი გამარჯვებული ისაა, ვისი იდეაც დროს უძლებს. ჯონათანმა შექმნა მოსწავლეების ახალი თაობა და შეცვალა სამყარო, ხოლო ცასწავალამ დატოვა წარუშლელი კვალი და გაკვეთილი, რომელზეც თაობები იზრდებიან. მათი დამსჯელების სახელები კი ისტორიას არც შემორჩენია - ისინი მხოლოდ ბრმა, უსახო მასად დარჩნენ. შესაბამისად, სასამართლო პროცესები იქცა არა გმირების სირცხვილად, არამედ მათი სულიერი დიდების, თავისუფლებისა და გამარჯვების უზენაეს დასტურად.

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი სახელოსნო“:</u>

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. „შეხვედრა ცაში“

წარმოიდგინეთ, რომ ცასწავალა და ჯონათან ლივინგსტონი უსასრულო ცაში ფრენისას ერთმანეთს შეხვდნენ. ორივე მათგანმა უდიდესი ზღვარი გადალახა. დაწერეთ თხზულება: „შეხვედრა ცაში“, რომელშიც აღწერთ, როგორ ჩაივლიდა ცასწავალასა და ჯონათანის შეხვედრა - როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რას გაუზიარებდნენ თავიანთი გამოცდილებიდან, დამეგობრდებოდნენ თუ არა, იფრენდნენ თუ არა ერთად.

შემოქმედებითი დავალების განმავითარებელი შეფასების სქემა:

შეფასების კრიტერიუმები	მაღალი დონე	საშუალო დონე	საბაზისო დონე	საწყისი დონე
1. პერსონაჟთა ხასიათების	ორივე პერსონაჟის (ცასწავალასა და	პერსონაჟების ხასიათები კარგად ჩანს,	პერსონაჟების ქცევა და ხასიათი	პერსონაჟების ხასიათები საერთოდ არ

გახსნა და ურთიერთობა	ჯონათანის) ინდივიდუალური ხასიათი და ფილოსოფიური ბუნება ბრწყინვალედაა ნაჩვენები. მათი შეხვედრა, შესაძლო დამეგობრება და ერთობლივი ფრენა აღწერილია ძალიან ემოციურად, ორიგინალურად და დამაჯერებლად.	თუმცა თხრობაში ერთი პერსონაჟი (მაგ. ჯონათანი) უფრო მეტადაა წინ წამოწეული, ვიდრე მეორე. ურთიერთობის აღწერა საინტერესოა, თუმცა ოდნავ აკლია მხატვრული დრამატიზმი.	ზედაპირულია, მათი შეხვედრისა და დამეგობრების აღწერა მარტივია და ნაკლებად გადმოსცემს მათ შინაგან სამყაროს.	არის გახსნილი. შეხვედრის ეპიზოდი გადმოცემულია მხოლოდ ერთი-ორი მშრალი წინადადებით.
2. გამოცდილების გაზიარება და იდეური კავშირი	მოსწავლე ღრმად აანალიზებს მათ იდეურ კავშირს. პერსონაჟები უზიარებენ ერთმანეთს „ზღვრის გადალახვის“, სისტემასთან დაპირისპირების და პიროვნული განვითარების უნიკალურ გამოცდილებას.	პერსონაჟები საუბრობენ თავიანთ წარსულზე, თუმცა ეს უფრო სიუჟეტების ზედაპირული მოყოლაა, ვიდრე ღრმა იდეური ანალიზი.	გამოცდილების გაზიარება ფრაგმენტულია; პერსონაჟები მხოლოდ ახსენებენ, რომ მათაც გაუჭირდათ, მაგრამ დეტალები არ ჩანს.	პერსონაჟები საერთოდ არ საუბრობენ თავიანთ გამოცდილებაზე ან დავალების ეს პუნქტი გამოტოვებულია.
3. სიმბოლიკა და შემოქმედებითი ხედვა	„უსასრულოების“ სიმბოლიკა (როგორც თავისუფლების, სივრცისა და უკვდავების ადგილი) უმაღლეს დონეზეა გამოყენებული. ტექსტი გამოირჩევა მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზიით.	ების სიმბოლიკა გამოყენებულია, თუმცა ნაშრომი მეტწილად სტანდარტულ ჩარჩოებში ჯდება და აკლია განსაკუთრებული ორიგინალურობა.	ების, როგორც სიმბოლოს, გააზრება პრიმიტიულია (მხოლოდ ფიზიკური ადგილია). შემოქმედებითი კომპონენტი სუსტად არის გამოხატული.	ნამუშევარს აკლია შემოქმედებითი მიდგომა, სიმბოლოები საერთოდ არ არის გამოყენებული. არ იკვეთება მოსწავლის შემოქმედებითი ხედვა.

4. სტრუქტურა, კომპოზიცია და აბზაცები	თხზულებას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი 3 ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა განვითარებული აბზაცების სრული დაცვით.	სამნაწილიანი სტრუქტურა დაცულია, თუმცა აბზაცებს შორის გადასვლები ხანდახან ლოგიკას მოკლებულია.	ტექსტი სტრუქტურულად არეულია, არ არის დაცული აბზაცების პრინციპი, თუმცა შინაარსის გაგება მაინც შესაძლებელია.	ნამუშევრის სტრუქტურა დანაწევრებულია, აზრები ქაოტურია და არ გააჩნია კომპოზიციური მთლიანობა.
5. ლექსიკა და ენობრივი გამართულობა	გამოყენებულია მდიდარი მხატვრული ლექსიკა, რომელიც იდეალურად შეესაბამება ნაწარმოებების სტილს. დაცულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.	ენა გამართულია, აზრი ნათელია, თუმცა ლექსიკა ოდნავ ერთფეროვანია. გვხვდება 1-2 უმნიშვნელო ენობრივი ხარვეზი.	ლექსიკა მწირია. გვხვდება თვალში საცემი გრამატიკული და პუნქტუაციური ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის ტექსტის აღქმას.	ტექსტში მრავლად გვხვდება უხეში ენობრივი შეცდომები, წინადადებები გაუმართავია და აზრი ბუნდოვანია.

<u>რეკომენდაცია მასწავლებლისთვის განმავითარებელი უკუკავშირისთვის:</u>

- თუ მოსწავლე საწყის/საბაზისო დონეზეა: „შენი იდეა ცაში მათ შეხვედრაზე ძალიან საინტერესოა! იმისათვის, რომ ნამუშევარი კიდევ უფრო გაღრმავდეს, დაფიქრდი: რას ეტყოდა პატარა ცასწავალა ჯონათანს თავისი სასამართლოს შესახებ? როგორ ანუგეშებდა მას ჯონათანი? შეეცადე, მათი დიალოგი ცალკე აბზაცებად გამოყო.“
- თუ მოსწავლე საშუალო/მაღალ დონეზეა: „შესანიშნავი შემოქმედებითი ნამუშევარია! შენ კარგად აჩვენე, რომ მათი ფრთების ზომის მიუხედავად, სულები თანასწორია. იმისათვის, რომ დასკვნა კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყოს, გამოკვეთე, თუ რას შეცვლის ამ ორი გმირის მეგობრობა და ერთობლივი ფრენა სამყაროსთვის.“

2. „ჩემი ცა და ჩემი მიწა“

დაწერეთ მცირე თხზულება, რომელშიც გადმოსცემთ: რა არის თქვენი გატაცება ან ჰობი, რომელიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ, და რატომ არის ის თქვენთვის მნიშვნელოვანი; რა არის თქვენს ცხოვრებაში ის აუცილებელი საქმეები და მოვალეობები, რომლებიც თქვენს გატაცებას დროს ართმევს; როგორ უნდა მოიქცეთ, რომ ერთდროულად

იყოთ ოცნების ერთგულიც და პასუხისმგებლიანი ადამიანიც - „იფრინოთ“ ისე, რომ „მიწა“ არ დაგეკარგოთ.

<u>შემოქმედებითი დავალების განმავითარებელი შეფასების სქემა:</u>

შეფასების კრიტერიუმები	მაღალი დონე	საშუალო დონე	საბაზისო დონე	საწყისი დონე
1. „ჩემი ცა“ – გატაცებისა და ჰობის აღწერა	მოსწავლე საინტერესოდ, ემოციურად და ვრცლად აღწერს საკუთარ ჰობის/გატაცებას. მკაფიოდ ასაბუთებს, თუ რატომ არის ეს საქმე მისთვის „ცის“ (ოცნების, თავისუფლების) ტოლფასი.	გატაცება დასახელებულია და აღწერილია, თუმცა აკლია ემოციური სიღრმე.არგუმენტები იმის შესახებ, თუ რატომ არის ეს მნიშვნელოვანი, ზოგადი და დაუსაბუთებელია.	ჰობი მხოლოდ დასახელებულია (მაგ: „მიყვარს ფეხბურთი/ხატვა“), მაგრამ არ არის ახსნილი მისი მნიშვნელობა.	საკუთარ ინტერესებსა და გატაცებებზე თხზულებაში საერთოდ არ არის საუბარი.
2. „ჩემი მიწა“ – მოვალეობების გააზრება	რეალისტურად და გულწრფელად აანალიზებს თავის ყოველდღიურ საზრუნავსა და პასუხისმგებლობებს (სწავლა, ოჯახის დახმარება და ა.შ.). ზუსტად აჩვენებს, როგორ და რატომ ართმევს ეს „მიწა“ დროს მის ოცნებებს.	მოვალეობები ჩამოთვლილია, თუმცა მათი კავშირი გატაცებასთან (დროის კონფლიქტი) ზედაპირულადაა ნაჩვენები.	მოვალეობები მხოლოდ გაკვრითაა ნაჩვენები, მოსწავლეს უჭირს იმის დანახვა, თუ რა პასუხისმგებლობები აკისრია ყოველდღიურობაში.	ყოველდღიური საქმეები და მოვალეობები ტექსტში საერთოდ არ არის ნახსენები.
3. ბალანსის პოვნა (ანალიტიკური ხედვა)	სრულყოფილად, ორიგინალურად და დამარწმუნებლად მსჯელობს იმაზე, თუ როგორ შეათავსოს „ფრენა“ და „მიწა“. მოჰყავს კონკრეტული, პრაქტიკული გზები (დროის განაწილება, დისციპლინა), რომ იყოს ოცნების ერთგულიც და პასუხისმგებლიანიც.	მოსწავლე ამბობს, რომ ბალანსის დაცვა საჭიროა, თუმცა მისი შემოთავაზებული გზები აბსტრაქტულია ან ნაკლებად პრაქტიკული.	პოზიცია ფრაგმენტულია (მაგ: „მთავარია კარგად ვისწავლო და მერე დავხატავ ხოლმე“), მსჯელობას აკლია დამაჯერებლობა.	თხზულებაში არ გვხვდება მსჯელობა ბალანსის პოვნის გზებზე ან ოცნებისა და მოვალეობის შეთავსებაზე.
4. სტრუქტურა და აბზაცები	ნაშრომი არის კომპოზიციურად გამართული, აზრები ვითარდება	ტექსტი სტრუქტურირებულია, თუმცა აბზაცებს შორის გადასვლები	აზრები ქაოტურია, აბზაცების გამოყოფის წესი	ტექსტი სტრუქტურულად სრულიად გაუმართავია,

	ლოგიკური თანმიმდევრობით, გამოყოფილია აბზაცები.	ხანდახან ლოგიკას მოკლებულია.	ნაწილობრივ ან საერთოდ არ არის დაცული.	წინადადებები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არ არის.
5. ენა და სტილი	ტექსტი დაწერილია გამართული ენით, ლექსიკა ადეკვატურია, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ნორმები დაცულია.	აზრი გასაგებია, თუმცა გვხვდება სტილისტური ერთფეროვნება ან 1-2 უმნიშვნელო გრამატიკული ხარვეზი.	ლექსიკა მწირია, გვხვდება თვალში საცემი გრამატიკული შეცდომები, რომლებიც აფერხებს შინაარსის გაგებას.	ტექსტში გვხვდება ენობრივი ნორმების უხეში დარღვევები.

<u>რეკომენდაცია მასწავლებლისთვის განმავითარებელი კომენტარისთვის:</u>

- თუ მოსწავლე საწყის/საბაზისო დონეზეა: „ძალიან საინტერესო გატაცება გქონია, შენი თხზულებიდან კარგად ჩანს, როგორ გიყვარს ეს საქმე! იმისათვის, რომ ნამუშევარი სრულყოფილი გახდეს, დაამატე ერთი აბზაცი და მიპასუხე: როგორ ფიქრობ, კონკრეტულად რა უნდა გააკეთო კვირის განმავლობაში, რომ სკოლის გაკვეთილებიც კარგად ისწავლო და შენი საყვარელი საქმისთვისაც დაგრჩეს დრო?“
- თუ მოსწავლე საშუალო/მაღალ დონეზეა: „შესანიშნავი, ზრდასრული ადამიანის ნამუშევარია! შენ კარგად დაინახე ბალანსი ოცნებებსა და რეალობას შორის. კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ დასკვნაში გამოიყენებ თოლია ჯონათანის ან ცასწავალას მაგალითს და პარალელს გაავლებ მათ და შენს ცხოვრებას შორის.“

სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:

ანტუან დე სენტ - ეგზიუპერი, „პატარა უფლისწული“

ჯანი როდარი, „ლურჯი შუქნიშანი“

ლუის სეპულვედა, „ამბავი თოლიისა და კატისა, რომელმაც მას ფრენა ასწავლა“

ჰარპერ ლი, რომანი „ნუ მოკლავ ჯაფარას“

<u>ქართული ხალხური ზღაპარი „თავგაუტეხელი კაცი“</u>

<u>საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 აკადემიური საათი</u>

გრძელვადიანი სასწავლო მიზნები
1. სამიზნე ცნება „ტექსტი“ <u>მხატვრული ტექსტი</u> - **ზღაპარი**

შინაარსობრივი მხარე - თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; პერსონაჟი (პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები. დიალოგი და მისი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (მაგ.: ავტორის, პერსონაჟის); სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები.

სტრუქტურა-აგებულება - სათაური, აბზაცი.

ენა - მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: ეპითეტი, შედარება, ალეგორია, სიმბოლო); ნაწარმოებში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/თავისებურებები. თხრობითი სახეობის ტექსტი.

3. სამიზნე ცნება „ტექსტების დიალოგი“

მსგავსი ელემენტები - მსგავსი ელემენტი: მთავარი იდეა/დედააზრი, თემა, მოტივი, სიუჟეტი, სახე-სიმბოლო; პერსონაჟთა ტიპები, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი მსგავსი სახასიათო ნიშან-თვისებები. (პარალელები: რევაზ ჭეიშვილის „სურათებიანი წიგნი“, არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძაღლი“, ჭაბუა ამირეჯიბის რომანის ფრაგმენტი „ანდრიევსკის ნაამბობი“ (მოცემულ ორ ტექტს შორის შგვიძლია გავავლოთ კონტრასტული პარალელი)

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეს შეუძლია:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.
- საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;
- მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.
- ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;

ნაწარმოების შესახებ:

ქართული ხალხური ზღაპარი „თავგაუტეხელი კაცი“ მცირე ფორმის, თუმცა ღრმად ფილოსოფიური და დიდაქტიკური ხასიათის/შინაარსის იგავური ნაწარმოებია. ეს ტექსტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც უნიკალური გზამკვლევი კონფლიქტების მართვის, ცხოვრებისეული სიბრძნისა და ადამიანური ურთიერთობების შესახებ. ზღაპრის მთავარი

სათქმელი ეფუძნება იმ ჭეშმარიტებას, რომ ნამდვილი ძალა და სიმამაცე არა აგრესიასა და ფიზიკურ დაპირისპირებაში, არამედ გონიერებასა და დათმობის ხელოვნებაშია.

სიუჟეტი საკმაოდ მარტივი, მაგრამ დრამატული კულმინაციით ვითარდება. ნაწარმოების დასაწყისში ვეცნობით მოხუცს, რომელიც საკუთარ თავს ლოცავს და მადლობას სწირავს უფალს იმისთვის, რომ ამდენი წლის განმავლობაში თავი არავისთვის გაუტეხინებია. ეს ფრაზა („თავის გატეხა“) ორგვარი მნიშვნელობისაა: ფიზიკური დაზიანება და, რაც მთავარია, მორალური ღირსების შელახვა ან კონფლიქტში ჩათრევა. მოხუცის ამ სიტყვებს გამოწვევად აღიქვამს ახალგაზრდა, ამბიციური ბიჭი, რომელიც „ბიურგერული“ და აგრესიული მენტალიტეტით მოქმედებს. მას სურს ძალის დემონსტრირება, ამიტომ უსამართლოდ ართმევს მოხუცს და უგდებს წყალს საკუთარ ვენახს, რითაც მოხუცს აშკარად იწვევს საჩხუბრად.

ნაწარმოების მთავარი იდეური გარდატეხა ხდება მაშინ, როდესაც მოხუცი ფიზიკური დაპირისპირების ნაცვლად, საოცარ სულიერ სიმშვიდესა და დათმობას ირჩევს. ახალგაზრდის ყოველ აგრესიულ მოთხოვნაზე („ხვალაც მე მინდა“, „ზეგაც მე მინდა“), მოხუცი პასუხობს კომპრომისით. ეს არ არის სისუსტის გამოვლინება; პირიქით, ეს არის უდიდესი შინაგანი სიძლიერე და მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური განაიარაღება. მოხუცმა იცის, რომ კონფლიქტის ასარიდებლად საჭიროა აგრესიის განეიტრალება, რომ კიდევ უფრო სასტიკი და მასშტაბური არ გახდეს.

ფინალი სიმბოლური და მორალისტურია. ახალგაზრდა, რომელიც ჩხუბის მიზეზს ეძებდა, საკუთარი უსამართლობის წინაშე მარტო რჩება. მოხუცის სიბრძნემ ბიჭი სარკეში ჩაახედა და საკუთარი საქციელის გაუმართლებლობას მიახვედრა. ფრაზა - „ასეთი კაცი რომ ყოფილხარ, იმიტომ არ გაგტეხია თავიო“ - არის იმის აღიარება, რომ მშვიდობამ და კეთილგონიერებამ გაიმარჯვა ბრმა ძალმომრეობაზე. ზღაპარი მკითხველს ასწავლის, რომ „თავგაუტეხელობა“, ანუ ცხოვრების ღირსეულად გავლა, მხოლოდ მათი ხვედრია, ვისაც დათმობის, მოსმენისა და მრისხანების დათრგუნვის უნარი შესწევს.

<u>წინარე ცოდნის გასააქტიურებელი კითხვები:</u>

- როგორ გესმით გამოთქმა „თავის გატეხა“? გარდა ფიზიკური ტკივილისა, კიდევ რა შეიძლება იგულისხმებოდეს ამ ფრაზაში, როდესაც ადამიანურ ურთიერთობებზე ვსაუბრობთ (მაგ: შერცხვენა, წაგება, ღირსების შელახვა)?
- თქვენი აზრით, ვინ არის „თავგაუტეხელი კაცი“? როგორ თვისებებს უკავშირებთ ასეთ ადამიანს - ფიზიკურ ძალას, სიფრთხილეს, სიმამაცეს თუ ჭკუას?
- როდესაც ხედავთ, რომ ადამიანი თქვენთან მიზეზს ეძებს, რათა გეჩხუბოთ, როგორ იქცევით ხოლმე - პირდაპირ პასუხობთ აგრესიით თუ ცდილობთ სიტუაციის განმუხტვას?
- როგორ გესმით სიტყვა „დათმობა“? თქვენი აზრით, კონფლიქტის დროს დათმობა სისუსტის ნიშანია თუ სიძლიერის? რატომ ფიქრობთ ასე?
- გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც ვინმეს რაღაც დაუთმეთ და ამით დიდ უსიამოვნებას გადაურჩით. რა იგრძენით იმ მომენტში?
- რატომ ითვლებიან ხალხურ ზღაპრებში მოხუცები ყოველთვის სიბრძნის, სიმშვიდისა და სწორი რჩევების სიმბოლოდ? რა თვისებები აქვთ მათ ისეთი, რაც ახალგაზრდებს ხშირად აკლიათ?

- რას ნიშნავს სიტყვა „შარი“ (ან შარზე ყოფნა)? როგორ უნდა ამოვიცნოთ ადამიანი, რომელიც უბრალოდ „შარზეა“ და რეალური პრობლემა არ გააჩნია?
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანმა ცხოვრება ისე გაატაროს, რომ არავისთან მოუვიდეს სერიოზული ჩხუბი ან დაპირისპირება? რა არის ამისთვის საჭირო?

<u>რეკომენდაცია (აქტივობის იდეა გაკვეთილისთვის):</u>

ზღაპრის წაკითხვამდე დაფაზე დაწერეთ მხოლოდ სათაური „თავგაუტეხელი კაცი“ და სთხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ ასოციაციური რუკა (ე.წ. Mind map) - რა სიტყვები, თვისებები ან ასოციაციები უჩნდებათ ამ სათაურის გაგონებისას. წაკითხვის შემდეგ კი შეადარეთ, დაემთხვა თუ არა მათი ვარაუდები ზღაპრის რეალურ შინაარსს.

შეგახსენებთ „ასოციაციური რუკის“ (კოგნიტური სქემის) ტექნიკას: ფურცლის ან დაფის ცენტრში იწერება მთავარი სიტყვა, თემა ან იდეა (მაგალითად, ნაწარმოების სათაური: „თავგაუტეხელი კაცი“). ცენტრიდან სხვადასხვა მხარეს იშლება ხაზები (ტოტები), რომლებზეც იწერება ამ თემასთან დაკავშირებული ძირითადი ქვეცნებები (მაგ: მოხუცი, ახალგაზრდა, კონფლიქტი, სიბრძნე). თითოეული მთავარი ტოტიდან კიდევ უფრო წვრილი ხაზები გამოდის, სადაც იწერება კონკრეტული ასოციაციები, თვისებები ან მაგალითები (მაგალითად, ტოტიდან „მოხუცი“ გამოიყოფა ქვეტოტები: სიმშვიდე, დათმობა, გამოცდილება და ა.შ.).

<u>რუბრიკა „უპასუხეთ კითხვებს“:</u>

1. რა იყო მოხუცის ლოცვის მთავარი შინაარსი?

კომენტარი: მოხუცის ლოცვის მთავარი შინაარსი იყო უფლისადმი მადლიერება იმისთვის, რომ მის ხანგრძლივ ცხოვრებაში თავი არავის გაუტეხია, და თხოვნა, რომ არც მომავალში მივიდეს იმ ზომამდე, რომ ვინმემ თავი გაუტეხოს.

2. რატომ გადაწყვიტა ახალგაზრდამ წყლის „გადაგდება“? რა იყო მისი ნამდვილი მიზანი?

კომენტარი: ახალგაზრდამ წყლის გადაგდება გადაწყვიტა იმიტომ, რომ ყური მოჰკრა მოხუცის ლოცვას და მისი გამოწვევა მოინდომა. მისი ნამდვილი მიზანი იყო ჩხუბის მიზეზის პოვნა, უსამართლობის ჩადენა და მოხუცისთვის თავის გატეხა (კონფლიქტში ჩათრევა).

3. რამდენჯერ დაუთმო მოხუცმა ახალგაზრდას? რა სიტყვებით უპასუხებს ყოველ ჯერზე?

კომენტარი: მოხუცმა ახალგაზრდას სამჯერ დაუთმო. ყოველ ჯერზე იგი შემდეგი სიტყვებით უპასუხებს: „კარგი და დღეს შენ მორწყე, შვილო, ხვალ კი მე მოვრწყავო!“, შემდეგ: „კარგი და რაკი ხვალაც შენ გინდა, მე კიდევ ზეგ მოვრწყავო“ და ბოლოს: „კარგი და რაკი ზეგაც შენ გინდა, მაზეგ მე მოვრწყავო“.

4. როგორ ფიქრობთ, რატომ დაუთმო მოხუცმა ახალგაზრდას - შეეშინდა თუ შეგნებულად აირჩია სიმშვიდე? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

კომენტარი: მოხუცმა შეგნებულად აირჩია სიმშვიდე. მან „შეატყო ახალგაზრდას - შარზეაო“ და იმის ნაცვლად, რომ აგრესიას აგრესიითვე შეპასუხებოდა, სიბრძნე გამოიჩინა. ეს შინაგანი სიძლიერე იყო, რადგან მან თავისი დათმობით კონფლიქტის ყოველგვარი მიზეზი და საბაბი საერთოდ გააქრო.

5. როგორ ფიქრობთ, რატომ შერცხვა ახალგაზრდას - რა დაინახა საკუთარ თავში ისეთი, რამაც ეს ემოცია გამოიწვია?

კომენტარი: ახალგაზრდას შერცხვა, რადგან საკუთარ თავში დაინახა უსაფუძვლო აგრესია, ბოროტება და უსამართლობა. მოხუცის დიდსულოვნებამ ის სარკე ჩაახედა და მიახვედრა, რომ კაცი, რომელსაც ის აგრესიულად მიმართავდა, მასზე ბევრად აღმატებული და კეთილი იყო.

6. რით დასრულდა დაპირისპირება?

კომენტარი: დაპირისპირება დასრულდა იმით, რომ ახალგაზრდამ აღიარა მოხუცის სიბრძნე (უთხრა: „ასეთი კაცი რომ ყოფილხარ, იმიტომ არ გაგტეხია თავიო“) და წყალი ისევ მოხუცის ვენახს მიუგდო.

7. როგორ ფიქრობთ, ამ ამბის მერე შეეცვლება თუ არა ახალგაზრდას დამოკიდებულება სხვა ადამიანების მიმართ? რატომ?

კომენტარი: ამ ამბის მერე ახალგაზრდას დამოკიდებულება შეეცვლება, რადგან მან მიიღო უდიდესი ცხოვრებისეული გაკვეთილი. მან საკუთარი გამოცდილებით ნახა, რომ დათმობა და სიმშვიდე ბევრად უფრო ძლიერი იარაღია, ვიდრე მუშტი და შარი. ამ გამოცდილებამ, წესით და რიგით, მას ადამიანების პატივისცემა უნდა ასწავლოს.

8. რას გვასწავლის ზღაპარი იმაზე, თუ როგორაა შესაძლებელი კონფლიქტის მოგვარება?

კომენტარი: ზღაპარი გვასწავლის, რომ კონფლიქტის მოგვარება (და თავიდან აცილება) შესაძლებელია არა საპასუხო აგრესიით, არამედ კეთილგონიერებით, სიმშვიდითა და ტაქტიკური დათმობით. აგრესიას თუ გონივრული ლმობიერებით დახვდები, ის საყრდენს დაკარგავს და თავისთავად გაქრება.

<u>რუბრიკა „დააკვირდით“:</u>

- მოხუცი ღმერთს სთხოვს: „ნურც მივალ იმ ზომამდის, რომ ვინმემ თავი გამიტეხოსო.“
  - ✓ როგორია იმ ადამიანის სულიერი მდგომარეობა, რომელიც უკიდურეს ზღვრამდე („იმ ზომამდე“) არის მისული? რატომ უფრთხის ამას მოხუცი?

კომენტარი: იმ ადამიანის სულიერი მდგომარეობა, რომელიც უკიდურეს ზღვრამდე არის მისული, ხასიათდება მრისხანებით, აგრესიით, მოთმინების დაკარგვითა და შინაგანი წონასწორობის სრული დარღვევით. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს აღარ

მართავს გონება და სიბრძნე, არამედ მასზე კონტროლს ბრმა ემოციები და წყენა იღებს, რაც მას ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირებისკენ უბიძგებს. მოხუცისთვის ყველაზე დიდი ფასეულობა საკუთარი სულის სიმშვიდე და ღირსებაა. „იმ ზომამდე“ მისვლა ნიშნავს პროვოკაციას აჰყვე, გაეხვიო შარში და გახდე ზუსტად ისეთივე აგრესიული, როგორიც შენი მოწინააღმდეგეა. როცა კაცი უკიდურეს ზღვარს სცდება, ის კარგავს კეთილგონიერებას. მოხუცს ეშინია, რომ წამიერმა მრისხანებამ არ ჩაადენინოს ისეთი რამ, რაც მთელ მის ცხოვრებას (რომელიც აქამდე მშვიდობითა და „თავგაუტეხლად“ განვლო) ჩრდილს მიაყენებს. მოხუცმა თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით კარგად იცის, რომ როგორც კი ადამიანი ბრაზს ემორჩილება, კონფლიქტი შეუქცევადი ხდება და მას ყოველთვის სავალალო შედეგი მოჰყვება: როგორც ფიზიკური, ისე სულიერი „თავის გატეხა“ (მასწავლებელმა მოსწავლეები შეიძლება დააფიქროს ასეთ თემაზე: ძიება და გამოცდილება“.)

- ✓ როგორ ფიქრობთ, „თავის გატეხა“ ყოველთვის სხვისი ბრალია, თუ თავად ადამიანიც ისე უნდა მოიქცეს, რომ კონფლიქტი აირიდოს? პასუხი დაასაბუთეთ მაგალითით.

კომენტარი: „თავის გატეხა“, ანუ კონფლიქტში ჩათრევა და ღირსების შელახვა, ყოველთვის სხვისი ბრალი არ არის. უდიდესი პასუხისმგებლობა თავად ადამიანს ეკისრება - მან ისე უნდა მართოს საკუთარი ემოციები, რომ პროვოკაციას არ აჰყვეს და კონფლიქტი თავიდან აირიდოს. თუ ადამიანი აგრესიას აგრესიითვე უპასუხებს, ის თავად ხდება დაპირისპირების თანამონაწილე და „თავის გატეხის“ მიზეზი. ამ მოსაზრებას საუკეთესოდ ასაბუთებს თავად ზღაპრის ეპიზოდი: როდესაც ახალგაზრდამ მოხუცს უსამართლოდ წაართვა წყალი, მან აშკარა პროვოკაცია მოაწყო. მოხუცს შეეძლო ეყვირა, თოხი მოემარჯვებინა და ფიზიკურად დაპირისპირებოდა ჯეელს. ასე მოქცევის შემთხვევაში, კონფლიქტი აუცილებლად მოხდებოდა და მოხუციც „თავგატეხილი“ (ფიზიკურადაც და მორალურადაც) დარჩებოდა. ეს იქნებოდა მისი არჩევანი. გონიერმა მოხუცმა შეგნებულად აიღო პასუხისმგებლობა სიტუაციაზე. მან დაინახა, რომ ბიჭი „შარზე იყო“, სიმშვიდე შეინარჩუნა და სამჯერ დაუთმო რიგი. ამ ნაბიჯით მან მოწინააღმდეგეს ჩხუბის ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა, კონფლიქტიც აირიდა და საკუთარი ღირსებაც („თავგაუტეხელობა“) შეინარჩუნა. ეს მაგალითი გვაჩვენებს, რომ კეთილგონიერ ქცევას ნებისმიერი აგრესიის განეიტრალება შეუძლია.

- მოხუცმა ყველაფერში დაუთმო ახალგაზრდას.
- ✓ მოხუცი შესაძლოა გაბრაზდა, მაგრამ მოთმინება აირჩია. როდესაც ადამიანი თავად წყვეტს, როგორ მოიქცეს და არ ემორჩილება ემოციას, ეს სისუსტეა თუ სიძლიერე? რატომ ფიქრობთ ასე?

კომენტარი: როდესაც ადამიანი თავად წყვეტს, როგორ მოიქცეს და არ ემორჩილება უცაბედ მრისხანებას, ეს არის უდიდესი შინაგანი სიძლიერე და სულიერი სიმწიფე. ბევრს შეცდომით ჰგონია, რომ დათმობა სისუსტეა, თუმცა რეალობა სრულიად საპირისპიროა. ემოციას - განსაკუთრებით ბრაზსა და წყენას - დაემორჩილო ძალიან ადვილია, რადგან ეს ადამიანის პირველადი, ინსტინქტური რეაქციაა. ყვირილს, აგრესიასა და ჩხუბს დიდი ჭკუა და ნებისყოფა არ სჭირდება. აი, იმ მომენტში კი, როცა შინაგანად ბობოქრობ, გონების ჩართვა, ემოციის დაცხრობა და მშვიდი პასუხის გაცემა უდიდეს თვითკონტროლსა და სულის სიმტკიცეს მოითხოვს. ადამიანი, რომელიც ბრაზდება და მაშინვე ჩხუბს იწყებს, სუსტია, რადგან მას სხვა (მისი მოწინააღმდეგე) მართავს. შარზე მყოფმა ბიჭმა თოხი

იმიტომ მოიმარჯვა, რომ მოხუცის ემოციებით ეთამაშა. მოხუცმა კი, მოთმინების არჩევით, ბიჭს ეს სადავეები ხელიდან გამოჰგლიჯა - მან თავად უკარნახა სიტუაციას განმუხტვის გზა. სუსტი ადამიანი წამიერ ემოციას ჰყვება და შედეგებზე არ ფიქრობს. ძლიერმა მოხუცმა კი წინასწარ დაინახა, რომ ჩხუბი ორსავე მხარეს დააზიანებდა, ამიტომ მშვიდობა არჩია წამიერ ამბიციას. ცნობილი სიბრძნეა: „ყველაზე ძლიერი ის კი არ არის, ვინც სხვას ერევა, არამედ ის, ვინც საკუთარ თავს სძლევს“. მოხუცმა სწორედ საკუთარი ემოციები დაძლია, რითაც აჩვენა, რომ მისი გონება ბევრად უფრო ძლიერი იარაღი იყო, ვიდრე ახალგაზრდის ფიზიკური ძალა.

- ✓ მოხუცი სიმშვიდითა და მოთმინებით იმარჯვებს. როგორაა ეს შესაძლებელი? მოიყვანეთ ერთი მაგალითი ლიტერატურიდან ან ცხოვრებიდან, რომელიც ადასტურებს ამ პერსონაჟის სიბრძნეს.

კომენტარი: მოხუცის სიმშვიდითა და მოთმინებით გამარჯვება შესაძლებელია იმ მარტივი ფსიქოლოგიური კანონზომიერებით, რომ აგრესიასა და შარს არსებობისთვის აუცილებლად სჭირდება საპასუხო წინააღმდეგობა. როდესაც მოწინააღმდეგე მრისხანებასა და პროვოკაციას აწყდება, მისი ბრაზი ორმაგდება; მაგრამ, როდესაც ის საპასუხოდ აბსოლუტურ სიმშვიდესა და დათმობას აწყდება, მისი აგრესია იცლება შინაარსისგან, კარგავს საყრდენს და უბრალოდ ქრება. სიმშვიდე მოწინააღმდეგეს განაიარაღებს და აიძულებს, ჩხუბის ნაცვლად საკუთარ საქციელზე დაფიქრდეს.

ამ პერსონაჟის სიბრძნეს ადასტურებს მაჰათმა განდისა და მისი „არაძალადობრივი წინააღმდეგობის“ ფილოსოფია. ინდოეთის გათავისუფლებისთვის ბრძოლისას მაჰათმა განდიმ უარი თქვა იარაღზე, ომსა და ფიზიკურ დაპირისპირებაზე ბრიტანეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ. იარაღით უხვად მომარაგებული ბრიტანელები მზად იყვნენ ნებისმიერი აჯანყება სისხლში ჩაეხშოთ (ისევე, როგორც ზღაპრის ახალგაზრდა ბიჭი იყო მზად თოხით ჩხუბისთვის). თუმცა, განდიმ ინდოელ ხალხს მოუწოდა მშვიდობიანი დაუმორჩილებლობისა და უდიდესი მოთმინებისკენ. როდესაც ბრიტანელები მათ სჯიდნენ, ინდოელები აგრესიით არ პასუხობდნენ, ისინი უბრალოდ აგრძელებდნენ თავიანთ მშვიდობიან გზას. ამ აბსოლუტურმა სიმშვიდემ ბრიტანეთის იმპერია სრულ ჩიხში შეიყვანა, რადგან მათ დაკარგეს ფიზიკური ძალის გამოყენების მორალური უფლება და, საბოლოოდ, მსოფლიო საზოგადოების წინაშე შერცხვათ (ზუსტად ისე, როგორც ზღაპრის ბიჭს შერცხვა მოხუცის დიდსულოვნების წინაშე). განდიმ და ინდოეთმა მოთმინებითა და სიმშვიდით მოიპოვეს დამოუკიდებლობა უდიდეს სამხედრო მანქანაზე. ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ ზღაპრის მოხუცის მიდგომა უნივერსალური კანონია: სიმშვიდე არის არა გაქცევა, არამედ ძალადობისა და აგრესიის დამარცხების ყველაზე გონივრული გზა (ეს თემა ფუნდამენტური პედაგოგიური, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო საკითხია. მოსწავლეები კარგად უნდა დაფიქრდნენ და გაარკვიონ, რა არის მოთმინება, პრინციპთა შინაგანი შენარჩუნების მნიშვნელობა, საკუთარ ემოციათა და სურვილთა მართვა (გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის სიტყვები ტარიელის მიმართ: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“).

- ✓ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საბოლოოდ ახალგაზრდამაც გაიმარჯვა? პასუხი ახსენით.

კომენტარი: დიახ, შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ ახალგაზრდამაც გაიმარჯვა. ეს არ ყოფილა ფიზიკური ან მატერიალური გამარჯვება, არამედ იყო ბევრად უფრო მნიშვნელოვანი - მორალური და სულიერი გამარჯვება საკუთარ უმეცრებაზე. ნამდვილი დამარცხება ბიჭისთვის იქნებოდა ის, რომ ჩხუბში ჩაბმულიყო, მოხუცისთვის თავი გაეტეხა და ბოროტება ჩაედინა. ზღაპრის ფინალში მან შეძლო საკუთარი შეცდომის დანახვა, საკუთარ ამბიციაზე მაღლა დადგომა და უკან დახევა. უსამართლობის აღიარება და სინანული სუსტი ადამიანის თვისება არ არის. ეს უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია. ახალგაზრდამ ამ შეხვედრიდან წაიღო ისეთი სიბრძნე, რომელიც მთელ მის მომავალ ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის. მან ისწავლა, რომ ძალა და ავტორიტეტი მხოლოდ მუშტებითა და აგრესიით არ მოიპოვება. მან აღმოაჩინა დათმობისა და კეთილგონიერების ძალა. როდესაც ბიჭმა წყალი ისევ მოხუცის ვენახს მიუგდო, მან საკუთარი ნებით აღადგინა სამართლიანობა. ეს მისთვის არავის დაუძალებია, გაცნობიერებული არჩევანი იყო. ამ ნაბიჯით მან საკუთარ თავში ნეგატიური ემოცია დაძლია. შესაბამისად, ამ კონფლიქტში არავინ დარჩენილა წაგებული. მოხუცმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ თავისი სიმშვიდით აირიდა ჩხუბი, ხოლო ახალგაზრდამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ სიბრძნეს ეზიარა და უკეთესი ადამიანი გახდა.

<u>რუბრიკა „წერითი დავალება“:</u>

ზღაპარში მოხუცი კონფლიქტის ნაცვლად სიმშვიდეს ირჩევს და სწორედ ეს აღმოჩნდება მისი სიძლიერე.

დაწერეთ თხზულება სათაურით: „როდესაც სიმშვიდე იმარჯვებს“, რომელშიც ზღაპრის სათქმელს დააკავშირებთ თქვენს პირად გამოცდილებასთან. აღწერეთ სიტუაცია: როდის და სად მოხდა კონფლიქტი, რას გრძნობდით და რატომ აირჩიეთ სიმშვიდე ბრაზის ნაცვლად; რით დასრულდა კონფლიქტი. გადმოეცით, რატომ არის სიმშვიდის შენარჩუნება და საკუთარი თავის მართვა რეალური სიძლიერე.

გაითვალისწინეთ: თუ მსგავსი პირადი გამოცდილება არ გაქვთ, მოიყვანეთ მაგალითი სხვა ადამიანის ცხოვრებიდან, ფილმიდან, წიგნიდან ან თავად წარმოიდგინეთ და აღწერეთ მსგავსი სიტუაცია.

<u>წერითი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა:</u>

კრიტერიუმები	აღწერილობა	ქულა
1. ზღაპრის სათქმელის გააზრება	მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული ზღაპრის მთავარი იდეა; ნაშრომში მკაფიოდ და ადეკვატურად ჩანს პარალელი მოხუცის არჩევანსა (სიმშვიდე) და თხზულების მთავარ სათქმელს შორის.	**2**
	ზღაპრის სათქმელი ნახსენებია, თუმცა მისი კავშირი თხზულების ძირითად იდეასთან ზედაპირულია ან არადამაჯერებელი.	**1**
	ნაშრომში საერთოდ არ ჩანს ზღაპრის არსის გააზრება.	**0**
2. კონფლიქტური	სიტუაცია (პირადი გამოცდილება, წიგნი/ფილმი ან წარმოსახვითი ამბავი) აღწერილია სრულყოფილად:	**2**

სიტუაციის აღწერა (პირადი ან დამოწმებული მაგალითი)	მკაფიოდაა ნაჩვენები, თუ როდის, სად და რატომ მოხდა კონფლიქტი, რა ემოციები ახლდა მას და რით დასრულდა იგი.	
	კონფლიქტი აღწერილია, თუმცა გამოტოვებულია მნიშვნელოვანი დეტალები (მაგალითად, არ ჩანს პერსონაჟის ემოციები, ან ფინალი ბუნდოვანია).	**1**
	კონფლიქტური სიტუაციის აღწერა საერთოდ არ არის წარმოდგენილი.	**0**
3. არგუმენტირებული მსჯელობა: სიმშვიდე, როგორც სიძლიერე	მოსწავლე დამარწმუნებლად და სიღრმისეულად მსჯელობს იმაზე, თუ რატომ არის ბრაზის მოთოკვა და საკუთარი თავის მართვა რეალური სიძლიერე. მოჰყავს ლოგიკური არგუმენტები.	**2**
	პოზიცია დაფიქსირებულია (მაგ: „სიმშვიდე კარგია“), თუმცა მსჯელობა ცალმხრივია, აკლია არგუმენტები და გააზრება, თუ რატომაა ეს სიძლიერის ნიშანი.	**1**
	ეს კომპონენტი (ანალიტიკური მსჯელობა) ნაშრომში საერთოდ არ იკვეთება.	**0**
4. კომპოზიციური გამართულობა და სტრუქტურა	ნაშრომი კომპოზიციურად სრულყოფილია: აქვს მკაფიო და დამოუკიდებელი სამივე სავალდებულო ნაწილი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). აზრები ვითარდება თანმიმდევრულად, აბზაცების სრული დაცვით.	**2**
	სამნაწილიანი სტრუქტურა არსებობს, თუმცა აზრები ლოგიკურად არ გადადის ერთმანეთში ან დარღვეულია აბზაცებად დაყოფის პრინციპი.	**1**
	ტექსტი სრულიად ქაოტური და არაორგანიზებულია, არ არის დაცული სამნაწილიანი ესეს სტრუქტურის პრინციპ.	**0**
5. ლექსიკა და სტილი	ნამუშევარი დაწერილია მდიდარი, ემოციური და თემისთვის ადეკვატური მხატვრულ-პუბლიცისტური ლექსიკით. აზრები გადმოცემულია ნათლად.	**1**
	ლექსიკა ღარიბია, მეორდება ერთი და იგივე სიტყვები, ტექსტი სტილისტურად გაუმართავია.	**0**
6. ენობრივი ნორმების დაცვა	დაცულიაქართლი სალიტერატურო ენის ნორმები, ორთოგრაფიის, პუნქტუაციისა და მორფოლოგია-სინტაქსის წესები (დასაშვებია მაქსიმუმ 1-2 უმნიშვნელო ხარვეზი).	**1**
	მრავლად გვხვდება გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომები, რაც ართულებს შინაარსის გაგებას.	**0**

<u>დონეების მიხედვით ქულების შეჯამების გზამკვლევი:</u>

- **9 - 10 ქულა (მაღალი დონე):** მოსწავლე ბრწყინვალედ აკავშირებს ზღაპრის ფილოსოფიას პირად თუ დამოწმებულ გამოცდილებასთან, წერს არგუმენტირებულად და სტრუქტურულად უზადოდ.
- **7 - 8 ქულა (საშუალო დონე):** დავალების პირობა შესრულებულია, თუმცა მსჯელობას აკლია ორიგინალურობა ან გვხვდება მცირე სტილისტური ხარვეზები.
- **4 - 6 ქულა (საბაზისო დონე):** მოსწავლე მხოლოდ ამბის მოყოლაზეა კონცენტრირებული, აკლია ანალიტიკური ნაწილი (თუ რატომაა სიმშვიდე სიძლიერე) და სტრუქტურა ნაწილობრივ დარღვეულია.
- **1 - 3 ქულა (საწყისი დონე):** ტექსტი ფრაგმენტულია, წინადადებები გაუმართავია და დავალების მოთხოვნების უმეტესობა უგულებელყოფილია.

<u>რუბრიკა „შეადარეთ“:</u>

1. ილია ჭავჭავაძე თავის ნაწარმოებში „დამაკვირდი“ წერს:

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,

ერიდე სისხლით ზღვევასა:

სულგრძელობითა ძლევა სჯობს

ვაჟკაცობითა ძლევასა“.

- ისაუბრეთ, რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ამ ლექსსა და ზღაპარში მოყოლილ ამბავს შორის.

კომენტარი: ილია ჭავჭავაძის ეს ლექსი წარმოადგენს ქართული ხალხური ზღაპრის - „თავგაუტეხელი კაცის“ - ზუსტ ფილოსოფიურ და მორალურ ფორმულას. მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს ხალხური სიბრძნე და კლასიკური ლიტერატურა. ლექსსა და ზღაპარს შორის არსებობს აბსოლუტური იდეური თანხვედრა. ილიას თითოეული სტრიქონი ზღაპრის მოხუცის მოქმედების პირდაპირი აღწერაა: „სიკეთით სძლიე შენს მტერსა“ - ზღაპარში ბიჭი მოხუცისთვის მტრულად განწყობილი, შარზე მყოფი არსებაა. მოხუცი მას არ უპირისპირდება იარაღით, არამედ სიკეთით, დათმობითა და სულიერი სითბოთი ხვდება. საბოლოოდ, სწორედ ამ „სიკეთემ“ სძლია ბიჭის აგრესიას. „ერიდე სისხლით ზღვევასა“ - მოხუცი უფრთხის „იმ ზომამდე“ მისვლას, როცა კონფლიქტი შეუქცევადი გახდება. ის უარს ამბობს შურისძიებაზე, ყვირილსა და ჩხუბზე (სისხლით ზღვევაზე). „სულგრძელობითა ძლევა სჯობს / ვაჟკაცობითა ძლევასა“ - ეს არის მთავარი გასაღები. აქ „ვაჟკაცობა“ ფიზიკურ ძალას, მუშტებსა და იარაღის ტრიალს ნიშნავს (როგორც ბიჭი იქცეოდა თოხით ხელში), ხოლო „სულგრძელობა“ - მოთმინებას, დიდსულოვნებასა და სიბრძნეს. მოხუცმა სწორედ სულგრძელობით გაიმარჯვა, რითაც დაამტკიცა, რომ ეს ბევრად უფრო შეგნებული ადამიანია.

მოცემულ ტექსტებს შორის არის ასევე ჟანრობრივი და კონტექსტური განსხვავებები: ზღაპარი არის კონკრეტული ცხოვრებისეული მაგალითი (ვენახის მორწყვა, წყლის

გაყოფა), სადაც სიბრძნე მოქმედებაში ჩანს. ილია ჭავჭავაძე კი იმავე იდეას აძლევს მხატვრულ-ფილოსოფიურ, განზოგადებულ ფორმას და მას მაღალ ზნეობრივ კანონად აყალიბებს. ილია პირდაპირ ახსენებს „მტერს“, რაც უფრო ფართო, შესაძლოა ეროვნულ ან პიროვნულ დიდ დაპირისპირებაზე მიგვითითებდეს. ზღაპარში კი „მტერი“ არის უბრალოდ გზააცდენილი, უმეცარი ახალგაზრდა, რომელიც ბოროტი კი არ არის, არამედ ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რას აკეთებს. შესაბამისად, ზღაპარი აჩვენებს, რომ სულგრძელობას შეუძლია „მტერი“ (მოწინააღმდეგე) მოყვარედ და მეგობრად აქციოს (ფინალში ბიჭს სირცხვილის გრძნობა უჩნდება და წყალს თავადვე აბრუნებს). ილია ჭავჭავაძემ თავის გენიალურ ლექსში ჩადო ის ზნეობრივი კოდექსი, რომლითაც ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა და რომელსაც „თავგაუტეხელი კაცის“ ზღაპარი ასე მარტივად გვასწავლის.

2. შეადარეთ ერთმანეთს დათა თუთაშხიასა და მოხუცის არჩევანი.

- დათამ მაღაზიაში რიგი არ დაუთმო თავხედ ქალს. ანდრიევსკიმ ეს პარადოქსად ჩათვალა, რადგან დათამ სიმკაცრე ამ ქალის სასიკეთოდ გამოიჩინა. მოხუცმა ყველაფერი დაუთმო ახალგაზრდას, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა. შეიძლება თუ არა პარადოქსი დავინახოთ მოხუცი კაცის ქცევაშიც? რატომ ფიქრობთ ასე?

<u>კომენტარი:</u> მოცემული შედარება ქართული მწერლობის ორ უმნიშვნელოვანეს მოდელს აპირისპირებს: ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხიას „სასტიკ სიკეთეს“ და ხალხური ზღაპრის მოხუცის „სულგრძელ დათმობას“. ორივე პერსონაჟის მიზანი, რეალურად, ერთი და იგივეა - მოწინააღმდეგის მორალური გამოფხიზლება და ბოროტების დათრგუნვა, თუმცა მათ ამ შედეგს განსხვავებული გზებით მიაღწიეს. დათამ მაღაზიაში რიგი არ დაუთმო უზრდელ, თავხედ ქალს. მისი პოზიცია ეყრდნობა პრინციპს: თუ ბოროტებას, თავნებობასა და თავხედობას დაუთმობ, ის უფრო გათამამდება და გაძლიერდება. დათას უმოქმედობა და დათმობა ბოროტების თანამონაწილეობად მიაჩნია. ამიტომაც მან გამოიჩინა პრინციპული სიმკაცრე, რათა ქალს საკუთარი მანკიერება დაენახა. ეს არის სიკეთე, რომელიც იძულებულია იყოს სასტიკი, რათა შემცოდე ადამიანი გამოასწოროს.

ზღაპრის მოხუცი კი აბსოლუტურად სხვა გზას ირჩევს - ის სამჯერ ზედიზედ თმობს საკუთარ უფლებას (წყლის რიგს). მოხუცის ფილოსოფია ამბობს: თუ აგრესიას ძალას დაახვედრებ, კონფლიქტი გაღრმავდება; ხოლო თუ მას აბსოლუტურ სიმშვიდესა და ცარიელ სივრცეს დაახვედრებ, აგრესია თავისთავად განეიტრალდება. მოხუცი კაცის ქცევაშიც ნამდვილად არის უდიდესი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური პარალელი და პარადოქსი. ანდრიევსკიმ დათას საქციელი იმიტომ ჩათვალა პარადოქსად, რომ დათამ არდათმობითა და სიმკაცრით გააკეთა სიკეთე. მოხუცის პარადოქსი კი ზუსტად საპირისპიროა: მან უკან დახევით, დათმობითა და „წაგებით“ მოიპოვა აბსოლუტური, საბოლოო გამარჯვება. ჩვეულებრივი ლოგიკით, როცა ვინმეს ყველაფერს უთმობ, შენ მარცხდები, ის კი იმარჯვებს. თუმცა, მოხუცის შემთხვევაში დათმობა სუსტი ადამიანის გაქცევა კი არ იყო, არამედ ბრძოლის უმაღლესი ტაქტიკა. მან თავისი დათმობით ახალგაზრდას წაართვა ერთადერთი რამ, რაც ამ უკანასკნელს სჭირდებოდა - ჩხუბის საბაბი. მოხუცმა დათმობით აიძულა მოწინააღმდეგე, საკუთარ უსამართლობას პირისპირ შეჯახებოდა. პარადოქსია, რომ მოხუცმა არაფერი მოიმოქმედა ბიჭის დასასჯელად, მაგრამ ბიჭი იმაზე სასტიკად დაისაჯა, ვიდრე თოხის იარაღად გამოყენებით დაისჯებოდა

- მას საკუთარი საქციელის შერცხვა. სირცხვილი კი სულის ყველაზე დიდი სასჯელი და, ამავდროულად, განკურნების გზაა. დათაც და მოხუციც პარადოქსული გმირები არიან. დათამ დაამტკიცა, რომ ხანდახან არდათმობაა სიკეთე, ხოლო მოხუცმა დაამტკიცა, რომ ხანდახან დათმობაა ყველაზე დიდი ძალა. ორივე შემთხვევა გვაჩვენებს, რომ ერთი შეხედვით ზედაპირული ქცევის მიღმა (სიმკაცრე იქნება ეს თუ დათმობა) ყოველთვის უფრო ღრმა, ზნეობრივი მიზანი დგას.

- თქვენი აზრით, რომელი მიდგომა უფრო ამართლებს თავხედობის წინააღმდეგ ბრძოლაში - დათასი თუ მოხუცი კაცისა? რატომ ფიქრობთ ასე?

კომენტარი: მიდგომის შერჩევა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ტიპის თავხედობასთან გვაქვს საქმე და როგორია მოწინააღმდეგის შინაგანი ბუნება. არცერთი მოდელი არ არის აბსოლუტური, თუმცა თითოეულს თავისი გამართლება აქვს კონკრეტულ სიტუაციაში. მოხუცის მოდელი იდეალურად მუშაობს მაშინ, როდესაც თავხედი ადამიანი (ჩვენს შემთხვევაში, აგრესიული ახალგაზრდა) ბოროტი კი არ არის, არამედ გზააბნეულია, ამბიციურია ან უბრალოდ „შარზეა“ საკუთარი ძალის დასამტკიცებლად. ასეთ ადამიანს ქვეცნობიერად სჭირდება წინააღმდეგობა, რათა თავისი აგრესია გაამართლოს. როდესაც მას აბსოლუტური სიმშვიდითა და სიკეთით ხვდები, მის სინდისს აძლევ შესაძლებლობას, გაიღვიძოს. დათმობა მოწინააღმდეგეს განაიარაღებს, აგვარებს კონფლიქტს და აიძულებს მას, საკუთარი თავის შერცხვეს. ეს მიდგომა ამართლებს მაშინ, როცა ადამიანში ჯერ კიდევ არის მორალური ნაპერწკალი.

დათას მოდელი აუცილებელია მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ცინიკურ, თავხედურ ბოროტებასთან ან უზნეობასთან, რომელიც სხვის ხარჯზე ცდილობს გამორჩენას (როგორც მაღაზიის თავხედი ქალი). ასეთი ტიპის თავხედობა დათმობას აღიქვამს არა სიბრძნედ, არამედ შიშად და სისუსტედ. თუ მას დაუთმობ, ის ხვალ უფრო მეტად გათავხედდება და სხვებსაც დააზიანებს. დათას პრინციპული სიმკაცრე მუხრუჭია ბოროტებისთვის. ის აჩვენებს, რომ სამყაროში არსებობს საზღვრები და წესები, რომელთა დარღვევაც დაუსჯელი არ დარჩება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო მეტად მოხუცი კაცის მიდგომა ამართლებს და მას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. კონფლიქტების უმრავლესობა (სკოლაში, ქუჩაში, ტრანსპორტში) ხდება წამიერი ემოციების, გაუგებრობისა და ამბიციების გამო. ასეთ დროს სიმშვიდის შენარჩუნება და დათმობა აჩერებს აგრესიის ნიაღვარს და იცავს ორივე მხარის სულიერ მშვიდობას. თუმცა, თუ ვხედავთ, რომ დათმობა სხვების ჩაგვრას, უსამართლობის გაძლიერებას ან ღირსების ფეხქვეშ გათელვას იწვევს, მაშინ მოხუცის სიმშვიდე უნდა შეიცვალოს დათასეული პრინციპულობით. იდეალური ვარიანტია, ადამიანს ჰქონდეს მოხუცის მოთმინება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში - დათას სიმტკიცეც.

- როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა რომელიმე მათგანის (ან დათას, ან მოხუცის) ქცევა ნებისმიერ სიტუაციაში გამართლებული და სწორი იყოს? პასუხი ახსენით.

კომენტარი: ვერც დათას და ვერც მოხუცის ქცევა ნებისმიერ სიტუაციაში გამართლებული და სწორი ვერ იქნება. ცხოვრება მეტისმეტად მრავალფეროვანია იმისთვის, რომ ერთმა კონკრეტულმა წესმა ან ქცევის მოდელმა აბსოლუტურად ყველა სიტუაციაში იმუშაოს. თითოეული მიდგომის უნივერსალურად გამოცხადებას მივყავართ

უკიდურესობამდე, რაც საბოლოოდ საზიანო ხდება. თუ ადამიანი ბრმად გადაწყვეტს, რომ ნებისმიერ სიტუაციაში მხოლოდ დათმობითა და სიმშვიდით უპასუხოს თავხედობას, ის ადრე თუ გვიან ტირანიის, ჩაგვრისა და უსამართლობის ხელშემწყობი გახდება. თუ ვხედავთ, რომ ვიღაც უსუსურს ჩაგრავს, ფიზიკურად უსწორდება სუსტს ან სხვის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, იქ მოხუცისეული დათმობა და გაცლა იქნება არა სიბრძნე, არამედ გულგრილობა და დანაშაული. არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც დათმობა ბოროტების გაძლიერებას ნიშნავს. თუ ადამიანი ცხოვრების წესად აქცევს დათასეულ პრინციპულობას და არცერთ წვრილმან უზნეობასა თუ თავხედობას არ გაატარებს, ის მუდმივი ომის, აგრესიისა და „შინაგანი გადაწვის“ რეჟიმში აღმოჩნდება.

მაგალითად, ყოველდღიურ ცხოვრებაში (რიგში, ტრანსპორტში, სკოლაში) ადამიანები ხშირად უხეშობენ დაღლილობის, გაუგებრობის ან წამიერი ემოციის გამო. თუ ყველა ასეთ წვრილმანზე დათასავით მკაცრად და პრინციპულად მოვიქცევით, საზოგადოება ნეგატიურად დაიმუხტება, კონფლიქტები გამრავლდება და ჩვენც დავკარგავთ სულის სიმშვიდეს. სწორედ ამიტომ, ცხოვრებაში ოქროს შუალედის დაცვაა საჭირო. ადამიანს უნდა ჰქონდეს მოხუცის უდიდესი მოთმინება და სიბრძნე, რათა ყოველდღიური, წვრილმანი პროვოკაციები სიმშვიდით დაძლიოს, თუმცა, როდესაც სასწორზე ადამიანის ღირსება, სხვისი უსაფრთხოება ან სამართლიანობა დგას, მან უნდა შეძლოს დათასავით მყარად, პრინციპულად და ურყევად დგომა. სწორი ქცევა არის არა ერთი მოდელის ბრმად მიყოლა, არამედ სიტუაციის სწორად შეფასების უნარი.

<u>რუბრიკა „შემოქმედებითი დავალება“:</u>

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

დავალება 1.

არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის პიროვნებას მის მიერ გაკეთებული არჩევანი განსაზღვრავს. დაწერეთ თხზულება, რომელშიც იმსჯელებთ, როგორ არის წარმოჩენილი ეს მოსაზრება მესამე თავში შესწავლილ ნაწარმოებებში (გამოიყენეთ, სულ მცირე, ორი ტექსტი).

ნამუშევარში:

- წარმოაჩინეთ, რა გარემოში უწვეთ პერსონაჟებს არჩევანის გაკეთება, რა სირთულეები ახლავს ზოგჯერ ამას (მაგ.: საზოგადოების წნეხი, დამკვიდრებული ჩარჩოები);
- ახსენით, რა არჩევანი გააკეთეს პერსონაჟებმა, რა მიიღეს შედეგად;
- ისაუბრეთ, როგორ გადააქცევს არჩევანი პერსონაჟს რომელიმე თვისების სიმბოლოდ (მაგ.: სიმტკიცის, მოხერხებულობის, თავგანწირვის, შეზღუდული აზროვნების);
- ჩამოაყალიბეთ, რას გვასწავლის პერსონაჟების გამოცდილება იმაზე, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ მართებული არჩევანი ჩვენს ცხოვრებაში;
- დაიმოწმეთ ტექსტებიდან მაგალითები თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად;
- გამოკვეთეთ სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა, რომელშიც შეაჯამებთ თქვენს მოსაზრებებს;
- გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

შემოქმედებითი დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა:

კრიტერიუმი	მაღალი დონე	საშუალო დონე	საბაზისო დონე	საწყისი დონე
1. იდეის გააზრება და არგუმენტაცია (თემა: ადამიანის არჩევანი და მისი პიროვნება)	მოსწავლე სიღრმისეულად და დამოუკიდებლად მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავს არჩევანი ადამიანის პიროვნებას. ნაშრომში მკაფიოდ ჩანს საკუთარი პოზიცია, რომელიც გამყარებულია ლოგიკური, მყარი და ორიგინალური არგუმენტებით. ნაჩვენებია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები პერსონაჟთა არჩევანსა და მათ შემდგომ ბედს/ჩამოყალიბებას შორის.	მოსწავლე კარგად აანალიზებს მთავარ სათქმელს და გამოხატავს საკუთარ პოზიციას არჩევანის როლზე. არგუმენტები ლოგიკურია, თუმცა ზოგიერთ ადგილას მსჯელობა საჭიროებს მეტ სიღრმეს ან დასაბუთებას. კავშირი პიროვნებასა და არჩევანს შორის ძირითადად სწორად არის დანახული.	მოსწავლე ნაწილობრივ უმკლავდება დავალების იდეის გააზრებას. მსჯელობა ზედაპირულია, ძირითადად შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით. არგუმენტები სუსტია ან ცალმხრივი და ყოველთვის ვერ უკავშირდება პიროვნების განსაზღვრის იდეას.	მოსწავლეს უჭირს თემის ირგვლივ მსჯელობა. პოზიცია ბუნდოვანია ან საერთოდ არ არის გამოკვეთილი. არგუმენტები არ არის მოყვანილი ან ისინი აცდენილია დავალების მითითებებს.
2. შესწავლილი ტექსტების გამოყენება და ანალიზი	მოსწავლე ზუსტად, ადეკვატურად და შემოქმედებითად იყენებს, სულ მცირე, ორ შესწავლილ ტექსტს (მაგალითად, ჯონათანის გაცნობიერებულ არჩევანს, დათას მორალურ დილემებს, თავგაუტეხელი კაცის გონიერებას, ან იგავების/ლექსის პერსონაჟთა შეცდომებსა და გადაწყვეტილებებს). მოაქვს ზუსტი პარალელები, ციტატები ან ეპიზოდები და მათ ორგანულად აკავშირებს საკუთარ მსჯელობასთან.	ნაშრომში გამოყენებულია ორი შესწავლილი ტექსტი. ეპიზოდები და პერსონაჟები ძირითადად მართებულად არის შერჩეული, თუმცა მათი ანალიზი ზოგჯერ შინაარსის გადმოცემას (თხრობას) უფრო ჰგავს, ვიდრე თემასთან სიღრმისეულ დაკავშირებას.	მოსწავლე ასახელებს ტექსტებს, თუმცა შემოიფარგლება მხოლოდ მათი მოკლე შინაარსის რეპროდუქციით. კავშირი პერსონაჟების არჩევანსა და თხზულების მთავარ სათქმელს შორის სუსტია. შესაძლოა გამოყენებული იყოს მხოლოდ ერთი ტექსტი პირობით მოთხოვნილი ორის ნაცვლად.	ნაშრომში ტექსტები საერთოდ არ არის გამოყენებული, ან მათი მოხმობა არის არაადეკვატური და ფრაგმენტული, რაც აჩვენებს, რომ მოსწავლეს არ იმახსოვრებს ან ვერ იგებს შესწავლილ მასალას.
3. ნაშრომის სტრუქტურა და კომპოზიციური გამართულობა	თხზულება სტრუქტურულად სრულყოფილია. მკაფიოდ გამოიყოფა შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. აბზაცები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს, მსჯელობა მიმდინარეობს თანმიმდევრულად, რაც ქმნის შინაარსობრივად	ნაშრომის სტრუქტურა დაცულია (არის შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), თუმცა აბზაცებს შორის გადასვლები ზოგჯერ მოკლებულია ლოგიკას. აზრის განვითარებაში შეინიშნება	ნაშრომის სტრუქტურა დარღვეულია. ტექსტი დაწერილია ერთიანი, დაუნაწევრებელი ტექსტით (აბზაცების გარეშე) ან სტრუქტურული ნაწილები (მაგალითად,	ნაშრომს არ გააჩნია კომპოზიციური მთლიანობა. ტექსტი შედგება ერთმანეთთან აზრობრივად დაუკავშირებელი, გაუგებარი წინადადებებისგან.

	მთლიან და შეკრულ ტექსტს.	მცირეოდენი შეუსაბამობები.	დასკვნა ან შესავალი) სუსტადაა გამოხატული. აზრი ხშირად წყდება.	
4. ენა, სტილი და მართლწერა	მოსწავლე იყენებს მდიდარ ლექსიკას და მრავალფეროვან სინტაქსურ კონსტრუქციებს. ნაშრომი დაწერილია შესაფერისი (აკადემიური/ესეისტური) სტილით. პუნქტუაციური, ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომები არ გვხვდება (ან დაშვებულია მხოლოდ 1-2 უმნიშვნელო ენობრივი ხარვეზი).	ლექსიკა ადეკვატურია, აზრი გასაგებად არის ჩამოყალიბებული. სტილი ძირითადად დაცულია. გვხვდება მცირეოდენი გრამატიკული ან მართლწერის შეცდომები, რომლებიც ხელს არ უშლის ტექსტის საერთო აღქმას.	მოსწავლის ლექსიკა ღარიბია, წინადადებები ერთფეროვანია. ხშირად მეორდება ერთი და იგივე სიტყვები. შეინიშნება სტილისტური ხარვეზები და არაერთი ენობრივი შეცდომა, რაც ართულებს აზრის გაგებას.	ნაშრომი გაუმართავია ენობრივად და სტილისტურად. დაშვებულია მრავალი მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა. დარღვეულია სინტაქსის ნორმები, რის გამოც ტექსტის შინაარსის გაგება თითქმის შეუძლებელია.

დავალება 2.

მოამზადეთ 5-7-წუთიანი პრეზენტაცია სათაურით: „არჩევანი - ადამიანის ნამდვილი სახე“ მესამე თავში შესწავლილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით. ამისთვის შეარჩიეთ და გამოიყენეთ ის ნაწარმოებები, რომლებიც, თქვენი აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს თქვენს სათქმელს.

ნამუშევარში:

- იმსჯელეთ, რა გვხდის ჩვენ იმად, ვინც ვართ - გარემოება (პირობები ან სიტუაცია, რომელშიც აღმოვჩნდით) თუ არჩევანი (ჩვენი საპასუხო გადაწყვეტილება ან მოქმედება);
- ისაუბრეთ, თქვენი აზრით, რომელმა პერსონაჟებმა გააკეთეს სწორი არჩევანი და რა თვისებები დასჭირდათ ამისთვის;
- გადმოეცით, როგორ არის შესაძლებელი, რომ არც ჩვენს არჩევანსა თუ ოცნებებზე ვთქვათ უარი და არც ყოველდღიური საზრუნავი დავივიწყოთ;
- ისაუბრეთ, რომელი პერსონაჟის არჩევანი მიგაჩნიათ ყველაზე საინტერესოდ და რატომ;
- დაიმოწმეთ კონკრეტული ადგილები ნაწარმოებებიდან თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად;
- მოიყვანეთ, სულ მცირე, ერთი შესაბამისი მაგალითი რეალური ცხოვრებიდან, მედიიდან ან ისტორიიდან.

პრეზენტაციის გასაფორმებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ თავში შესწავლილი სიმბოლოების ვიზუალური გამოსახულებები, მაგალითად: ცა, ნაპირი/ მიწა, ზღვარი, „დიდი წყალი“ (ზღვა, მდინარე) ან სხვა

პრეზენტაციის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა:

კრიტერიუმი	მაღალი დონე	საშუალო დონე	საბაზისო დონე	საწყისი დონე
1. დავალების პირობის გააზრება, პრობლემის ანალიზი და რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი	მოსწავლე სიღრმისეულად და კომპლექსურად მსჯელობს დილემაზე - „გარემოება თუ არჩევანი“. წარმატებით აკავშირებს პერსონაჟების შინაგან მისწრაფებებსა და ყოველდღიურ საზრუნავს შორის ბალანსის პოვნის იდეას. მოჰყავს რეალური ცხოვრებიდან, მედიიდან ან ისტორიიდან ზუსტად შერჩეული, შთამბეჭდავი მაგალითი, რომელიც ორგანულად ერწყმის პრეზენტაციის მთავარ სათქმელს.	მოსწავლე კარგად აანალიზებს გარემოებისა და არჩევანის ურთიერთმიმართებას და საუბრობს ოცნებებისა და რეალობის შეთავსებაზე. რეალური ცხოვრებიდან, მედიიდან ან ისტორიიდან მოყვანილი მაგალითი შესაბამისია, თუმცა მისი კავშირი ლიტერატურულ ტექსტებთან საჭიროებს მეტ არგუმენტაციას.	მსჯელობა პრობლემაზე ზედაპირულია ან ცალმხრივი (მაგალითად, საუბრობს მხოლოდ არჩევანზე და უგულებელყოფს გარემოებებს). ოცნებებისა და ყოველდღიურობის ბალანსის საკითხი მხოლოდ გაკვრითაა ნათქვამი. რეალური ცხოვრებისეული მაგალითი ზოგადია, ბანალურია ან ნაკლებად უკავშირდება თემას.	მოსწავლე ვერ ახერხებს თემის ირგვლივ მსჯელობას. პრეზენტაციაში არ ჩანს ანალიზის მცდელობა და საერთოდ არ არის მოყვანილი მაგალითი რეალური ცხოვრებიდან, მედიიდან ან ისტორიიდან.
2. პერსონაჟთა პორტრეტების ანალიზი და ტექსტების დამოწმება	მოსწავლე დამოუკიდებლად არჩევს და ზუსტად აანალიზებს ნაწარმოებებს. ნათლად ხსნის, თუ რა თვისებები დასჭირდათ პერსონაჟებს სწორი არჩევანის გასაკეთებლად. გამოკვეთს ყველაზე საინტერესო პერსონაჟის არჩევანს და მკაფიოდ ასაბუთებს თავის პოზიციას. მოსაზრებების გასამყარებლად დროულად და	პერსონაჟების შერჩევა მართებულია. მოსწავლე საუბრობს მათ თვისებებზე და გამოყოფს ერთ-ერთ მათგანს, როგორც ყველაზე საინტერესოს. ტექსტები დამოწმებულია, თუმცა ციტატები ან ეპიზოდები ხშირად წარმოდგენილია მშრალი თხრობის სახით და ყოველთვის არ ემსახურება პირადი პოზიციის არგუმენტირებულ დასაბუთებას.	პერსონაჟების ანალიზი შემოიფარგლება მხოლოდ მათი მოქმედებების მარტივი აღწერით. პასუხი კითხვაზე - თუ რატომ არის ესა თუ ის პერსონაჟი საინტერესო - ბუნდოვანია. ტექსტებიდან ეპიზოდების დამოწმება მინიმალურია ან ფრაგმენტული.	მოსწავლე ვერ აკავშირებს პერსონაჟების თვისებებს მათ არჩევანთან. არ ასახელებს ყველაზე საინტერესო პერსონაჟს და ნამუშევარში საერთოდ არ არის დამოწმებული კონკრეტული ადგილები შესწავლილი ნაწარმოებებიდან.

	ადეკვატურად იმოწმებს კონკრეტულ ადგილებს, ეპიზოდებს ან ციტატებს ტექსტებიდან.			
3. პრეზენტაციის ვიზუალური გაფორმება და სიმბოლოების გამოყენება	პრეზენტაციის ვიზუალური თუ შინაარსობრივი გაფორმება ორიგინალური და შემოქმედებითია. მოსწავლე ფუნქციურად და სიმბოლურად იყენებს შესწავლილ სახეებს (მაგ: ცა, ნაპირი/მიწა, ზღვარი, „დიდი წყალი“), რაც ამკვეთრებს მის სათქმელს და პრეზენტაციას ესთეტიკურად სრულყოფილს ხდის.	პრეზენტაცია კარგადაა გაფორმებული. მასში გამოყენებულია აღნიშნული სიმბოლოები (ცა, მიწა, წყალი და ა.შ.), თუმცა მათი დანიშნულება უფრო ილუსტრაციულია (სურათის დონეზე), ვიდრე ამ სიმბოლოების ღრმა, შინაარსობრივი გააზრება მსჯელობის პროცესში.	ვიზუალური ან ტექსტური გაფორმება გადატვირთულია ან პირიქით — ღარიბია. სიმბოლოებიდან გამოყენებულია მხოლოდ ერთი ან ორი, ისიც ფორმალურად, ისე, რომ ვერ უკავშირდება პრეზენტაციის ძირითად ხაზს.	პრეზენტაცია საერთოდ არ არის გაფორმებული, ან გაფორმება სრულიად აცდენილია თემას. შესწავლილი სიმბოლოები ნამუშევარში საერთოდ არ არის გამოყენებული.
4. გამოსვლის კულტურა, ენა და დროის ლიმიტი	მოსწავლე საუბრობს თავისუფლად, დამაჯერებლად, გამართული, მდიდარი და აკადემიური ენით. ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან (მზერა, ჟესტიკულაცია). პრეზენტაციის ხანგრძლივობა ზუსტად ჯდება 5-7-წუთიან ლიმიტში.	საუბარი გასაგები და ენობრივად გამართულია, თუმცა მოსწავლე ხანდახან ეყრდნობა ჩანაწერებს (კითხულობს). აუდიტორიასთან კონტაქტი ნაწილობრივია. დროის ლიმიტი დარღვეულია მცირედით (ნახევარი ან ერთი წუთით გადააცილა ან დააკლო).	მოსწავლის მეტყველება ერთფეროვანია, ძირითადად კითხულობს წინასწარ დაწერილ ტექსტს სლაიდიდან ან ფურცლიდან. უჭირს აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება. პრეზენტაციას დათქმულ ლიმიტზე ბევრად ადრე ასრულებს (მაგ: 3 წუთი) ან საგრძნობლად აჭარბებს დროს.	მეტყველება გაუმართავია, აზრის გაგება ჭირს. მოსწავლე საერთოდ არ უყურებს აუდიტორიას და კითხულობს ტექსტს. დროის ლიმიტი აბსოლუტურად უგულებელყოფილი ა (გამოსვლა არის ძალიან მოკლე ან მეტისმეტად გაწელილი).

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მასწავლებლისთვის:</u>

მურღულია გია, საზრისები: ფიქრი ქართულ ლიტერატურაზე“, თბილისი, 2018

<u>სარეკომენდაციო დამხმარე რესურსები მოსწავლისთვის:</u>

დოჩანაშვილი გურამ, მოთხრობა „ყველაზე კარგი პაპა“

შემოქმედებითი დავალებების შეფასების სქემები

თავი 1. „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა“

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	დავალების პირობა სრულადაა გააზრებული; შერჩეულია 2–3 შესაბამისი ნაწარმოები და ნაშრომი უპასუხებს დავალების ძირითად მოთხოვნებს.	2
	პირობა ძირითადად გააზრებულია, თუმცა ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა ნაწილობრივაა შესრულებული ან შეინიშნება თემიდან მცირე გადახვევა.	1
	პირობა მნიშვნელოვნადაა აცდენილი; შესრულებულია მოთხოვნების მხოლოდ მცირე ნაწილი ან ნაშრომი არსებითად სცდება თემას.	0
II კრიტერიუმი. ტექსტის გააზრება და პირადი დამოკიდებულების გამოხატვა	მოსაზრებებს ამყარებს ზუსტად შერჩეული ციტატებითა და ტექსტის დეტალებით; განმარტავს მხატვრული ხერხების დანიშნულებას; ასახელებს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ ნაწარმოებს და დასაბუთებულად ხსნის არჩევანს.	2
	იყენებს ტექსტის მაგალითებს, თუმცა მათი კავშირი მსჯელობასთან ყოველთვის მკაფიო არ არის; მხატვრულ ხერხებს ან პირად დამოკიდებულებას ნაწილობრივ განმარტავს.	1
	ტექსტიდან შესაბამის მაგალითებს თითქმის არ იყენებს ან ვერ აკავშირებს საკუთარ მსჯელობასთან; მხატვრული ხერხებისა და პირადი დამოკიდებულების განხილვა არ ჩანს ან ძალიან ზედაპირულია.	0
	გააზრებულად მსჯელობს, როგორ წარმოჩნდება საქართველო შერჩეულ ნაწარმოებებში; გამოკვეთს ავტორთა	2

III კრიტერიუმი. ნაწარმოებების შედარება და მსჯელობა	დამოკიდებულებას, საერთო სათქმელს, მსგავსებასა და განსხვავებას.	
	ნაწარმოებების ძირითადი სათქმელი გაგებულია, თუმცა შედარება ან მსჯელობა ზოგჯერ ზოგადია, არასრულადაა განვითარებული ან ნაწილობრივ გადადის შინაარსის გადმოცემაში.	1
	ძირითადად გადმოსცემს ნაწარმოებების შინაარსს; უჭირს ავტორთა დამოკიდებულების გააზრება, ნაწარმოებების შედარება და დამოუკიდებელი მსჯელობა.	0
IV კრიტერიუმი. სტრუქტურა - ორგანიზება	ტექსტს აქვს მკაფიო შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება; ნაწილები ერთმანეთთან ბუნებრივადაა დაკავშირებული და ტექსტი სწორადაა დაყოფილი აბზაცებად.	2
	ტექსტის ძირითადი სტრუქტურა იკვეთება, თუმცა ზოგ მონაკვეთში დასახვეწია აზრების თანმიმდევრობა, ნაწილებს შორის კავშირი ან აბზაცებად დაყოფა.	1
	ტექსტი ფრაგმენტულია; მკაფიო სტრუქტურა და აზრთა თანმიმდევრობა არ იკვეთება; აბზაცებად დაყოფა შეუსაბამოა ან არ არის დაცული.	0
V კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი, სალიტერატურო ენის ნორმები	ლექსიკა თემისა და მსჯელობითი ტექსტის შესაბამისია; აზრი მკაფიოდ და ზუსტადაა გამოხატული; ტექსტი ენობრივად გამართულია, პუნქტუაციური შეცდომები არ გვხვდება ან უმნიშვნელოა.	2
	ენა ძირითადად გასაგები და შესაბამისია, თუმცა გვხვდება ლექსიკური, სტილისტური, გრამატიკული, ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური ხარვეზები, რომლებიც აზრის გაგებას მნიშვნელოვნად არ უშლის ხელს.	1

	ლექსიკა მწირი ან შეუსაბამოა; მრავლადაა ენობრივი შეცდომები, რომლებიც აზრის გაგებას ართულებს.	0

თავი 2. ცოდნის გზაზე

დავალება 1. საჯარო სიტყვა

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	დავალების პირობა სრულად და ზუსტად არის გააზრებული. სიტყვაში წარმოჩენილია სკოლის გამორჩეული მხარეები, ფასეულობები, ცოდნა და უნარები, რომლებსაც იგი მოსწავლეებს აძლევს. გადმოცემულია კონკრეტული სირთულე ან სირთულეები სასკოლო ცხოვრებიდან და ნათლადაა ახსნილი, როგორ დაეხმარა მოსწავლეს მათ გადალახვაში სკოლა — მასწავლებელი, დირექცია ან თანაკლასელები.	**2**
	დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული; ძირითადი საკითხები წარმოდგენილია, თუმცა რომელიმე მათგანი არასაკმარისადაა განვითარებული, ან მსჯელობა ძირითადად ზოგადია და ნაკლებად ეფუძნება კონკრეტულ გამოცდილებას.	**1**
	სიტყვა ვერ უპასუხებს ან მხოლოდ უმნიშვნელოდ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს; სკოლის გამორჩეული მხარეები, პირადი გამოცდილება და სკოლის მხარდაჭერის როლი არ არის წარმოჩენილი ან იმდენად ბუნდოვანია, რომ დავალების მიზანი ვერ იკვეთება.	**0**
II კრიტერიუმი. სიტყვის სტრუქტურა და ორგანიზება	სიტყვაში მკაფიოდ იკვეთება სამი ნაწილი: მიმართვა, ძირითადი ნაწილი და დასასრული. აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება. მიმართვის ფორმები და ტონი შეესაბამება მიზანსა და აუდიტორიას —	**2**

	მომავალ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. დასასრული ეფექტურად აჯამებს მთავარ სათქმელს.	
	სიტყვის სტრუქტურა ნაწილობრივ გამართულია; ძირითადი ნაწილები იკვეთება, თუმცა აზრთა თანმიმდევრობა ზოგჯერ ირღვევა ან აუდიტორია და მიზანი სრულად არ არის გათვალისწინებული.	1
	სიტყვას მკაფიო სტრუქტურა არ აქვს; აზრები ფრაგმენტულად ან ქაოსურადაა გადმოცემული; მეტყველების ფორმა და ტონი აუდიტორიასა და საკომუნიკაციო მიზანს არ შეესაბამება.	0
III კრიტერიუმი. არგუმენტაცია და დარწმუნების საშუალებათა გამოყენება	მოსაზრებები გამყარებულია კონკრეტული და დამაჯერებელი არგუმენტებითა და მაგალითებით. მიზნობრივადაა გამოყენებული „დარწმუნების სამკუთხედის“ სულ მცირე ორი სფერო. ნათლად ჩანს, როგორ ემსახურება შერჩეული საშუალებები აუდიტორიის დარწმუნებას. შესაბამის კონტექსტშია გამოყენებული ნასწავლი ტექსტიდან შერჩეული ციტატა ან ციტატები.	2
	მოყვანილია არგუმენტები ან მაგალითები, თუმცა ისინი სრულად არ არის განვითარებული ან ნაკლებად დამაჯერებელია; დარწმუნების სამკუთხედის სფეროები ნაწილობრივაა გამოყენებული; ციტატის კავშირი სათქმელთან ყოველთვის მკაფიო არ არის.	1
	მოსაზრებები დაუსაბუთებელია ან თითქმის არ არის დასაბუთებული; დარწმუნების საშუალებები არ იკვეთება ან არამიზნობრივადაა გამოყენებული; შესაბამისი ციტატა არ არის გამოყენებული ან არ უკავშირდება სათქმელს.	0
	ლექსიკა მრავალფეროვანი, ზუსტი და საკომუნიკაციო სიტუაციისთვის შესაფერისია; აზრი მკაფიოდ და ბუნებრივადაა	2

IV კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი, სალიტერატურო ენის ნორმები	ჩამოყალიბებული; დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, ენობრივი ნორმები.	
	ლექსიკა ძირითადად შესაფერისია, თუმცა ზოგჯერ ერთფეროვანი ან არაზუსტია; გვხვდება სტილისტური და/ან ენობრივი ხარვეზები, რომლებიც ნაწილობრივ ართულებს სათქმელის აღქმას.	1
	ლექსიკა მწირია ან ხშირად არ შეესაბამება საკომუნიკაციო სიტუაციას; აზრი ხშირად ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული; მრავლადაა ენობრივი და/ან სტილისტური ხარვეზები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს სათქმელის გაგებას.	0
V კრიტერიუმი. მეტყველება, აუდიტორიასთან კონტაქტი, დროის ლიმიტი	მოსწავლე საუბრობს მკაფიოდ, გამართულად, სათანადო ხმის ძალითა და ტემპით. დაცულია სალიტერატურო ენის, მართლმეტყველების ნორმები; ინტონაცია, პაუზები, გამომეტყველება და ჟესტები ბუნებრივია და სათქმელს შეესაბამება. ინარჩუნებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან და იცავს განსაზღვრულ დროის ლიმიტს.	2
	გვხვდება ენობრივი ან მართლმეტყველების ხარვეზები, რომლებიც სათქმელის გაგებას მნიშვნელოვნად არ აფერხებს; მეტყველება ძირითადად გასაგებია, თუმცა ხმის ძალა, ტემპი, ინტონაცია, პაუზები ან ჟესტები ყოველთვის სათანადოდ არ არის გამოყენებული; მხედველობითი კონტაქტი არათანმიმდევრულია ან დროის ლიმიტი ნაწილობრივაა დაცული.	1
	მეტყველება ხშირად გაურკვეველი ან ძნელად აღსაქმელია; ხმის ძალა და ტემპი შეუსაბამოა; გამომეტყველებითი საშუალებები თითქმის არ გამოიყენება; მოსწავლე იშვიათად ამყარებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან და მნიშვნელოვნად არღვევს დროის ლიმიტს.	0

დავალება 2. ჯგუფური პრეზენტაცია „ცოდნის გაკვეთილები“

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. ნაწარმოებთა მთავარი სათქმელის გააზრება და შედარება	ადეკვატურად და სრულადაა წარმოჩენილი შესწავლილი ნაწარმოებების ავტორთა მთავარი სათქმელი; გააზრებულადაა შედარებული სხვადასხვა ეპოქაში სწავლის მიმართ გამოხატული დამოკიდებულებები; ნათლადაა გამოკვეთილი, რა არის მათში საერთო, მუდმივი და რა - განსხვავებული, ცვალებადი. მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით ნაწარმოებებიდან.	2
	ნაწარმოებების მთავარი სათქმელი და სწავლის მიმართ დამოკიდებულებები ძირითადად სწორადაა წარმოჩენილი, თუმცა შედარება ნაწილობრივად არის შესრულებული ან ზედაპირულია; მსგავსება და განსხვავება უფრო მეტად დასახელებულია, ვიდრე ახსნილი; მაგალითები მწირია ან ყველა მოსაზრებას არ ამყარებს.	1
	ნაწარმოებების მთავარი სათქმელი ბუნდოვნად ან არაზუსტადაა წარმოდგენილი; სხვადასხვა ეპოქაში სწავლის მიმართ დამოკიდებულებათა შედარება თითქმის არ იკვეთება; მოსაზრებები შესაბამისი მაგალითებით არ არის გამყარებული.	0
II კრიტერიუმი. ნამუშევრის სტრუქტურა და ვიზუალური მხარე	პრეზენტაცია ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა აგებული; ინფორმაცია მკაფიოდ და ზომიერადაა განაწილებული სლაიდებზე. ვიზუალური მასალა - ფოტოები, ნახატები, სქემები და სხვ. - მიზნობრივადაა შერჩეული, შეესაბამება შინაარსს და ხელს უწყობს მის უკეთ აღქმას. მუსიკალური გაფორმება, თუ გამოყენებულია, შეესაბამება თემასა და განწყობას და არ ფარავს სათქმელს.	2
	პრეზენტაციის სტრუქტურა ძირითადად იკვეთება, თუმცა ზოგიერთ სლაიდზე ინფორმაცია არათანაბრადაა განაწილებული, გადატვირთულია ან ზედმეტად მწირია; ვიზუალური მასალის ნაწილი შინაარსთან	1

	სუსტადაა დაკავშირებული ან მხოლოდ დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს.	
	პრეზენტაცია ფრაგმენტულია და მისი სტრუქტურა მკაფიოდ არ იკვეთება; ვიზუალური მასალა ძალიან მწირია, შემთხვევითაა შერჩეული ან შინაარსს არ შეესაბამება.	**0**
III კრიტერიუმი. მსჯელობა და არგუმენტაცია	მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ახსნილი, რამდენად აქტუალურია ნაწარმოებებში გამოხატული დამოკიდებულებები სწავლისადმი XXI საუკუნეში; ნათლადაა წარმოჩენილი, რით არის ეს იდეები ღირებული დღევანდელი მოსწავლისთვის. მოსაზრებები დასაბუთებულია კონკრეტული და შესაბამისი მაგალითებით.	**2**
	ნაწარმოებების იდეების თანამედროვეობასთან კავშირი წარმოჩენილია, თუმცა მსჯელობა ზოგჯერ ზოგადია ან არასაკმარისად განვითარებული; ნაკლებად ჩანს, კონკრეტულად, რატომ არის ეს იდეები მნიშვნელოვანი დღევანდელი მოსწავლისთვის, ან არგუმენტებს აკლია შესაბამისი მაგალითები.	**1**
	საკითხის XXI საუკუნესთან კავშირი თითქმის არ იკვეთება ან არაადეკვატურადაა წარმოდგენილი; მოსაზრებები არ არის დასაბუთებული.	**0**
IV კრიტერიუმი. პრეზენტაციის წარდგენა, შეკითხვებზე პასუხი	ჯგუფის წევრებს შორის წარდგენის ნაწილები მიზნობრივადაა განაწილებული; დაცულია დროის ლიმიტი. პრეზენტატორები ზუსტად და დასაბუთებულად უპასუხებენ შინაარსობრივ შეკითხვებს, ხოლო ჯგუფის სხვა წევრები - მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ შეკითხვებს.	**2**
	წარდგენა ძირითადად თანმიმდევრულია, თუმცა ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება ყოველთვის მკაფიო არ არის ან დროის ლიმიტი ნაწილობრივ ირღვევა; შეკითხვების უმეტესობას ჯგუფი უპასუხებს,	**1**

	თუმცა ზოგი პასუხი ზოგადი, არასრული ან არასაკმარისად დასაბუთებულია.	
	წარდგენა ფრაგმენტული და ძნელად აღსაქმელია; დროის ლიმიტი მნიშვნელოვნადაა დარღვეული; ჯგუფს უჭირს როგორც შინაარსობრივ, ისე შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.	**0**
V კრიტერიუმი. მეტყველება და აუდიტორიასთან კონტაქტი	მეტყველება მკაფიო და გამართულია, დაცულია სალიტერატურო ენისა ნორმები; შერჩეულია სათანადო ხმის ძალა და ტემპი; ინტონაცია და პაუზები ბუნებრივია და სათქმელს შეესაბამება. ლექსიკა ზუსტი და საკომუნიკაციო სიტუაციისთვის შესაფერისია; შენარჩუნებულია მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან, ჟესტები და გამომეტყველება ბუნებრივია, მოსწავლე ნაკლებად არის დამოკიდებული ჩანაწერებსა თუ სლაიდებზე.	**2**
	მეტყველება ძირითადად გასაგები და გამართულია, თუმცა გვხვდება ენობრივი ხარვეზები, რომლებიც სათქმელის გაგებას მნიშვნელოვნად არ აფერხებს; ხმის ძალა, ტემპი ან ინტონაცია ყოველთვის სათანადოდ არ არის შერჩეული; მხედველობითი კონტაქტი არათანმიმდევრულია და მოსწავლე ზოგჯერ ზედმეტად ეყრდნობა ჩანაწერებს ან სლაიდებს.	**1**
	მეტყველება ხშირად გაურკვეველი ან ძნელად აღსაქმელია; ხმის ძალა, ტემპი და ინტონაცია შეუსაბამოა; ხშირია ენობრივი და მართლმეტყველების ხარვეზები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს სათქმელის გაგებას. მოსწავლე იშვიათად ამყარებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან და ძირითადად კითხულობს ტექსტს ჩანაწერებიდან ან სლაიდებიდან.	**0**

დავალება 1.

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	დავალების პირობა სრულად და ზუსტადაა გააზრებული. განხილულია, სულ მცირე, ორი შესწავლილი ნაწარმოები.	**2**
	დავალების ძირითადი მოთხოვნები შესრულებულია, თუმცა რომელიმე საკითხი არასრულადაა განხილული.	**1**
	დავალების პირობა მხოლოდ ნაწილობრივაა გააზრებული; განხილულია ერთზე ნაკლები მოთხოვნილი ტექსტი.	**0**
II კრიტერიუმი. პერსონაჟების არჩევანის გააზრება, შედარება და ინტერპრეტაცია	ნათლადაა წარმოჩენილი, რა გარემოში უწევთ პერსონაჟებს არჩევანის გაკეთება, რა სირთულეები ახლავს ამ არჩევანს, რას ირჩევენ ისინი და რა შედეგამდე მიდიან; მკაფიოდაა ახსნილი, რას გვიჩვენებს პერსონაჟის არჩევანი მის პიროვნებაზე; ნათლადაა წარმოჩენილი, როგორ წარმოაჩენს იგი კონკრეტულ თვისებას (მაგ.: სიმტკიცეს, მოხერხებულობას, სხვ.); ნაწარმოებებს შორის იკვეთება მნიშვნელოვანი მსგავსება ან განსხვავება.	**2**
	პერსონაჟების არჩევანი და მათი თვისებები ძირითადად სწორადაა დაკავშირებული, თუმცა ახსნა ზოგჯერ ზედაპირულია; ნაწარმოებებს შორის მსგავსება ან განსხვავება დასახელებულია, მაგრამ სრულად არ არის გააზრებული.	**1**
	პერსონაჟის არჩევანსა და მის პიროვნულ თვისებებს შორის კავშირი ბუნდოვანი ან არაზუსტია; ნაწარმოებების შედარება თითქმის არ იკვეთება.	**0**
III კრიტერიუმი. მსჯელობა, არგუმენტაცია	მოსაზრებები მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია ტექსტებიდან შერჩეული შესაბამისი მაგალითებით. ახსნილია, როგორ ამყარებს მოყვანილი მაგალითები ავტორის მსჯელობას.	**2**

	დასკვნაში გააზრებულადაა შეჯამებული, რას გვასწავლის პერსონაჟების გამოცდილება მართებული არჩევანის შესახებ და როგორ შეიძლება ამ გამოცდილების დაკავშირება ადამიანის ცხოვრებასთან.	
	მსჯელობა ძირითადად გასაგები და დასაბუთებულია, თუმცა ზოგი მოსაზრება ზოგადი ან არასაკმარისად განვითარებულია; ტექსტობრივი მაგალითები გამოყენებულია, მაგრამ მათი კავშირი მოსაზრებასთან ყოველთვის მკაფიო არ არის. დასკვნა ჩამოყალიბებულია, თუმცა ზედაპირული ან ზოგადია.	1
	მსჯელობა ძირითადად დაუსაბუთებელია; შესაბამისი ტექსტობრივი მაგალითები არ არის გამოყენებული ან სათქმელს არ უკავშირდება; დასკვნა არ არის ჩამოყალიბებული ან არ გამომდინარეობს ნაშრომის ძირითადი მსჯელობიდან.	0
IV კრიტერიუმი. სტრუქტურა-ორგანიზება	ნაშრომს მკაფიოდ აქვს გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება; აბზაცები მიზნობრივადაა გამოყოფილი.	2
	ტექსტის ძირითადი სტრუქტურა იკვეთება, თუმცა რომელიმე ნაწილი ნაკლებად მკაფიოა; აზრთა თანმიმდევრობა ან აბზაცებად დაყოფა ზოგ შემთხვევაში დასახვეწია.	1
	ტექსტის სტრუქტურა ბუნდოვანია; შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა მკაფიოდ არ იკვეთება; აზრები ფრაგმენტულად ან არათანმიმდევრულადაა გადმოცემული; აბზაცებად დაყოფა არ არის მიზნობრივი.	0
V კრიტერიუმი. ლექსიკა, სტილი, ენის ნორმები	ლექსიკა მრავალფეროვანი, ზუსტი და თემის შესაბამისია; აზრი მკაფიოდ და ბუნებრივადაა ჩამოყალიბებული; დაცულია სტილისტური ერთგვაროვნება, სალიტერატურო ენის, მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.	2

	ცალკეული უმნიშვნელო ხარვეზები ტექსტის აღქმას არ აფერხებს.	
	ლექსიკა ძირითადად შესაბამისია, თუმცა ზოგჯერ ერთფეროვანი ან არაზუსტია; გვხვდება სტილისტური, გრამატიკული, მართლწერისა და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც სათქმელის გაგებას მნიშვნელოვნად არ აფერხებს.	1
	ლექსიკა მწირი ან ხშირად შეუსაბამოა; აზრი ხშირად ბუნდოვნად ან არაბუნებრივადაა ჩამოყალიბებული; მრავლადაა სტილისტური, ენობრივი და პუნქტუაციური შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.	0

დავალება 2.

კრიტერიუმი	აღწერილობა	ქულა
I კრიტერიუმი. დავალების პირობის გააზრება	პრეზენტაცია უპასუხებს დავალების ყველა ძირითად მოთხოვნას. შერჩეულია ისეთი ნაწარმოებები და პერსონაჟები, რომლებიც მიზნობრივად ემსახურება თემის წარმოჩენას. გამოყენებულია კონკრეტული შესაბამისი ადგილები ნაწარმოებებიდან და, სულ მცირე, ერთი შესაბამისი მაგალითი რეალური ცხოვრებიდან, მედიიდან ან ისტორიიდან.	2
	დავალების ძირითადი მოთხოვნები შესრულებულია, თუმცა რომელიმე მოთხოვნა არასრულადაა გათვალისწინებული; შერჩეული ნაწარმოებები და მაგალითები ძირითადად შეესაბამება თემას, თუმცა მათი ნაწილი ნაკლებად მიზნობრივია.	1
	დავალების მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის შესრულებული; შერჩეული ნაწარმოებები, პერსონაჟები ან მაგალითები თემასთან სუსტადაა დაკავშირებული ან საჭირო მასალა არ არის გამოყენებული	0
II კრიტერიუმი. ნაწარმოებების გააზრება,	გააზრებულადაა ახსნილი გარემოებისა და არჩევანის ურთიერთმიმართება; ნათლად ჩანს,	2

შედარება და ინტერპრეტაცია	როგორ მოქმედებს გარემოება პერსონაჟთა გადაწყვეტილებებზე და როგორ ავლენს მათი არჩევანი პიროვნულ თვისებებს. გააზრებულადაა განხილული, რომელი არჩევანია მართებული და რატომ; გამოკვეთილია პერსონაჟებსა თუ ნაწარმოებებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსება და განსხვავება.	
	გარემოებისა და არჩევანის ურთიერთმიმართება და პერსონაჟთა გადაწყვეტილებების მნიშვნელობა ძირითადად სწორადაა გააზრებული, თუმცა ინტერპრეტაცია ან შედარება არასაკმარისადაა განვითარებული; ზოგი მოსაზრება უფრო აღწერითია, ვიდრე ანალიტიკური	1
	გარემოებისა და არჩევანის ურთიერთმიმართება ბუნდოვნად ან არაზუსტადაა გააზრებული; პერსონაჟთა გადაწყვეტილებების მნიშვნელობა და მათი პიროვნული თვისებები თითქმის არ არის გაანალიზებული; შედარება არ იკვეთება.	0
III კრიტერიუმი. მსჯელობა და არგუმენტაცია	მოსაზრებები მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ჩამოყალიბებული. არგუმენტები გამყარებულია ნაწარმოებებიდან შერჩეული კონკრეტული ადგილებითა და შესაბამისი მაგალითით რეალური ცხოვრებიდან, მედიიდან ან ისტორიიდან. ახსნილია, როგორ ამყარებს თითოეული მაგალითი პრეზენტაციის მთავარ სათქმელს.	2
	მოსაზრებები ძირითადად დასაბუთებულია, თუმცა ზოგი არგუმენტი ზოგადი ან არასაკმარისად განვითარებულია; გამოყენებულია ტექსტობრივი და რეალური ცხოვრების, მედიის ან ისტორიის მაგალითი, მაგრამ მათი კავშირი სათქმელთან ყოველთვის მკაფიო არ არის.	1
	მსჯელობა ძირითადად დაუსაბუთებელია; ტექსტობრივი მაგალითები არ არის გამოყენებული ან სათქმელს არ უკავშირდება; არ არის მოყვანილი შესაბამისი მაგალითი	0

	რეალური ცხოვრებიდან, მედიიდან ან ისტორიიდან.	
IV კრიტერიუმი. პრეზენტაციის სტრუქტურა და ვიზუალური ორგანიზება	პრეზენტაცია ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა აგებული; მკაფიოდ იკვეთება შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. ინფორმაცია სლაიდებზე ზომიერად და მიზნობრივადაა განაწილებული. გამოყენებული ვიზუალური მასალა და სიმბოლოები შინაარსს შეესაბამება და ხელს უწყობს მთავარი სათქმელის უკეთ აღქმას.	2
	პრეზენტაციის სტრუქტურა ძირითადად გამართულია, თუმცა რომელიმე ნაწილი ნაკლებად მკაფიოა ან ზოგიერთ სლაიდზე ინფორმაცია გადატვირთული, მწირი ან არათანაბრადაა განაწილებული; ვიზუალური მასალის ნაწილი მხოლოდ დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს.	1
	პრეზენტაცია ფრაგმენტულია და მისი სტრუქტურა მკაფიოდ არ იკვეთება; სლაიდები არაორგანიზებულია; ვიზუალური მასალა შემთხვევითაა შერჩეული, ძალიან მწირია ან შინაარსს არ შეესაბამება.	0
V კრიტერიუმი. მეტყველება და აუდიტორიასთან კონტაქტი	მოსწავლე საუბრობს მკაფიოდ, გამართულად, სათანადო ხმის ძალითა და ტემპით; ინტონაცია და პაუზები სათქმელს შეესაბამება. ლექსიკა ზუსტი და საკომუნიკაციო სიტუაციისთვის შესაფერისია; დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები. მოსწავლე ინარჩუნებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან, ნაკლებად არის დამოკიდებული ჩანაწერებსა და სლაიდებზე და იცავს დროის ლიმიტს.	2
	მეტყველება ძირითადად გასაგები და გამართულია, თუმცა ხმის ძალა, ტემპი ან ინტონაცია ყოველთვის სათანადოდ არ არის შერჩეული; გვხვდება ენობრივი ხარვეზები, რომლებიც სათქმელის გაგებას მნიშვნელოვნად არ აფერხებს. მხედველობითი კონტაქტი არათანმიმდევრულია, მოსწავლე ზოგჯერ	1

	ზედმეტად ეყრდნობა ჩანაწერებს ან სლაიდებს, ან დროის ლიმიტს მცირედ არღვევს.	
	მეტყველება ხშირად ძნელად აღსაქმელია; ხშირია ენობრივი ხარვეზები; მოსწავლე ძირითადად კითხულობს ტექსტს ჩანაწერებიდან ან სლაიდებიდან, იშვიათად ამყარებს მხედველობით კონტაქტს და მნიშვნელოვნად არღვევს დროის ლიმიტს.	0

ქართული მწერლობა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, როგორც ჩვენი ხალხის სულიერი საგანძური, სიბრძნისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის სიმბოლო. ძველი ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან დაწყებული, „ვეფხისტყაოსნითა“ თუ მოგვიანო ხანის შედევრებით დასრულებული, ლიტერატურა ყოველთვის წარმოგვიჩენდა ქართული სიტყვის სილამაზესა და ქართველი ხალხის მთავარ ფასეულობებს - მეგობრობას, სამშობლოს სიყვარულსა და სიმართლის ძიებას. ეს სახელმძღვანელო სწორედ ამ დიდებულ სამყაროში სამოგზაუროდ გიწვევთ.

ამ გზაზე ერთ-ერთი გამორჩეული ეპოქა მეფე ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელებს უკავშირდება. მათი მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა ქართული კულტურის აღორძინების საფუძვლად იქცა. ვახტანგ მეფის დავალებითა და უშუალო მონაწილეობით სულხან-საბამ არაერთი სახელმწიფოებრივი და კულტურული საქმე აღასრულა, რითაც საფუძველი ჩაუყარა განმანათლებლობის ახალ ტალღას საქართველოში. მის კალამს ეკუთვნის იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ და „ლექსიკონი ქართული“, რომელსაც ვახტანგ VI-მ სიყვარულით „სიტყვის კონა“ უწოდა.

ყდაზე გამოსახული ეს ორი დიდი მოღვაწე შეგვახსენებს, რომ ლიტერატურა არის ცოცხალი და უწყვეტი პროცესი, როდესაც ცოდნა, შრომა და მეგობრობა ქვეყნის საკეთილდღეოდ ერთიანდება.

